К 36656
2

ივ. ჯავახიშვილი

ქართველი ერის ისტორია

წიგნი მესამე

თბილისი
1949

ქართველი ერის ისტორია

III

ив. ДЖАВАХИШВИЛИ

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО НАРОДА

кн. III

(XIII – XIV вв.)

ИЗДАТЕЛЬСТВО
Тбилисского государственного университета
имени И. В. СТАЛИНА

Тбилиси — 1949

ივ. ჯავახიშვილი

K 36656/2
ᲨᲔ 2021-346164

ქართველი ერის ისტორია

წიგნი მესამე

(XIII—XIV საუკუნეები)



სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1949

9(С41)322

ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული ხელნაწერი მასალა
დასაბეჭდად გაამზადა

სიმ. ყაუხჩიშვილმა

შინაარსი

რედაქტორისაგან VII

თავი პირველი. მეფე ლაშა-გიორგი 1

ლაშა-გიორგის პოლიტიკური საქმიანობა (1—6). — მონღოლთა პირველი ხანმოკლე გამოჩენა საქართველოში (6—20). — ლაშა-გიორგის ზოგადი დახასიათება (21—30).

თავი მეორე. რუსუდან მეფე 31

რუსუდანის გამეფება (31—37). — ბრძოლები 1222—1225 წლებში (37—41). — ჯალალედინის შემოსევა (41—44). — გარნისის ბრძოლა (44—50). — თბილისის აღება ჯალალედინისაგან (50—63). — თბილისის მტრის ხელითგან დროებით გამოგლეჯა (63—66). — ჯალალედინის ლაშქრობანი 1227—29 წლებში (66—70). — ჯალალედინის საქართველოთგან გაქცევა მონღოლთა კვლავ გამოჩენის გამო (71—72). — ჯალალედინის დახასიათება როგორც სარდლისა და პოლიტიკოსის (72—73). — მონღოლების ყოფა-ცხოვრება და წესწყობილება (73—92). — მონღოლთა კვლავ გამოჩენა მახლობელი აღმოსავლეთის დასაპყრობად (92—93). — მონღოლების მეორე შემოსევა საქართველოში (93—101). — რუსუდანისაგან თავისი შვილის დავით IV-ის თანამოსაყდრედ დასმა (101—108). — რუსუდანის ამაო ცდა ევროპითგან სამხედრო დახმარების მისაღებად (108—110). — მონღოლთა განდევნის იმედის გაქარწყლება და მათთან დაზავების აუცილებლობა (110—111). — დავით IV-ის მონღოლთა ყაენის ურდოში გამგზავრება. რუსუდანის გარდაცვალება (111—120).

თავი მესამე. უმეფობის ხანა საქართველოში 121

საქართველოს მეზობლების იერიშები და ქართველთა გამარჯვება (121—122). — მონღოლთაგან საქართველოში შემოღებული წყობილება (122 — 123). — გიორგი ლაშასძის, დავით V-ის, საქართველოს ტახტის მემკვიდრედ დასახელება (123—127). — ბრძოლა დავით IV-ისა და დავით V-ის მომხრეთა შორის (127—137). — კოხტასთავის შეთქმულება. ცოტნე დადიანის გმირობა 137—147). — ეგარსლან ბაკურციხელი (142—144).

თავი მეოთხე. ორმეფობა საქართველოში 145

ულუ-დავითის სახლობა (145—149). — დავით რუსუდანის ძე და მისი ოჯახობა (149—152). — დავით-ნარინის აჯანყება და დასავლეთ საქართველოში გადასვლა (152—158). — ულუ-დავითის განდგომილება (158—171). — ურთიერთობა ულუ-დავითისა და ნარინ-დავითს შორის დასავლეთ საქართველოში (171—175). — დავით V-ის მონღოლებთან შეთანხმება და აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრება (175—178). — ოქროს ულუსსა და ერანის ილხანებს შორის ატეხილი ბრძოლა (178—188). — მოარული სენის მოდება და დავით V-ის სიკვდილი (188—191).

თავი მეხუთე. დავით რუსუდანის ძის მეფობა დასავლეთ საქართველოში 192

დავით IV-ის საგარეო პოლიტიკის გეზი (192—193). — თეგუდარის შეთქმულება აბაღა ყაენის წინააღმდეგ და მისი შეფარება დასავლეთ საქართველოში (193—205). — ღალღურის ამბოხება ერანის ყაენის წინააღმდეგ და მისი შეფარება დასავლეთ საქართველოში (205—206). — რაჭის ერისთავის კახაბერიძის შინათგამცემლობა

(206—208). — დავით IV ღონისძიება ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენის აღსადგენად (208—209). — საქართველოს და ბიზანტიას შორის გაცხარებული ბრძოლა ტრაპიზონის საკეისროში პოლიტიკური გავლენის გამო (210—212).

თავი მეექვსე. მეფე დიმიტრი მეორე თავდადებულად წოდებული . . . 213

საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები დიმიტრი თავდადებულის დროს (213—215). — დიმიტრი მეორის სახლობა (215—220). — აღმ. საქართველოს ჯარის მონაწილეობა ყაენთა ყველა ლაშქრობაში (220—224). — სადუნ მანკაბერდელი მედროვე ქვეყნისმმართველი (224—227). — ბუღა ჩინგსანგის შეთქმულების გამომჟღავნება და დიმიტრის მეფობის ტრაგიკული დასასრული (227—232). — დიმიტრი II თავდადებულის პიროვნების ზოგადი დახასიათება (232—236).

თავი მეშვიდე. სრულიადი საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა 237

ვახტანგ II დავით-ნარინის ძე (237—244). — დავით VI დიმიტრი თავდადებულის ძე და კოსტანტინე დავითი-ნარინის ძე (244—247). — ურთიერთი უნდობლობა ყაზან ყაენსა და დავით VI-ს შორის (247—256).

თავი მერვე. გიორგი მეხუთე ბრწყინვალე 257

გიორგი V-ის პიროვნება და გამეფების გარემოება (257—259). — აღმ. საქართველოს მდგომარეობა გიორგი მეხუთის მეფობის ხანაში (259—265). — გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკის ზოგადი გეზი (265—267). — გიორგი ბრწყინვალის შინაური პოლიტიკა (267—272). — გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა და საქართველოს დიდი ხვედრითი წონა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ცხოვრებაში (272—278). — ბრძოლა საქართველოს და ბიზანტიას შორის ტრაპიზონის საკეისროში პოლიტიკური გავლენის გამო (278—281).

თავი მეცხრე. ბაგრატ მეხუთე, დავითის ძე 282

ბაგრატის გამეფება (282). — საქართველოს საზღვრები ბაგრატის დროს (283—284). — ბაგრატ მეფის ოჯახი (284—285). — თემურ-ლენგის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა და საქართველოში მის პირველი შემოსევის მიზეზი და გარემოება (285—301). — ბაგრატ მეფის გარდაცვალება (301—302). — თემურ-ლენგის მეორე შემოსევა (302—307).

თავი მეათე. დასკვნითი მიმოხილვა 308

საძიებლები 325

რედაქტორისაგან

1941 წელს დაიბეჭდა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს „ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, XIII—XIV სს." (გვ. XIII+248), რომლის შესახებაც რედაქციისაგან წამძღვანებულ წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ იგი (წიგნი) „წარმოადგენს შემოკლებულ რედაქციას ავტორის მიერ დამზადებული მეცნიერული გამოკვლევისას" და რომ პირველი შესაძლებლობისთანავე დაიბეჭდებოდა „ამ გამოკვლევის ვრცელი რედაქცია მთელი მისი მეცნიერული აპარატით".

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სწორედ „ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნის ამ ვრცელ რედაქციას. ძირითადი განსხვავება ვრცელსა და მოკლე რედაქციებს შორის ის არის, რომ ვრცელს რედაქციაში, განსხვავებით მოკლე რედაქციისაგან, პირველწყაროები როგორც ქართული, ისე უცხოური, სრულად არის მოყვანილი და სამეცნიერო ლიტერატურაც დამოწმებულია მეცნიერულ აპარატში. გარდა ამისა, რიგი საკითხები ვრცელს რედაქციაში უფრო ფართოდ არის განხილული.

სამწუხაროდ, ვრცელი რედაქციის დედანი სრულად არ არის დაცული ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს არქივში, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ამ არქივის ჯეროვნად შეუსწავლელობის გამო, ჯერჯერობით სრულად არ არის გამოვლენილი, და ჩვენ დავბეჭდეთ ეს წიგნი იმ მასალის მიხედვით, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა.

ჩვენს განკარგულებაში იყო „ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნის ვრცელი რედაქციის ტექსტის მასალის სამი შეკვრა. პირველი ორი შეკვრა (586 გვ. და 542 გვ. საწერი ქაღალდისა) შეიცავს მასალას, რომელშიც ვრცლად არის განხილული XIII საუკუნის ისტორია (წინამდებარე გამოცემის გვ. 1—256), ხოლო მესამე შეკვრაში XIV საუკუნის ისტორიის შემცველი ტექსტი ფრაგმენტულია: ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით არის მიმოხილული გიორგი ბრწყინვალის მეფობა და ბაგრატ მეხუთის და თემურ-ლენგის შემოსევათა ისტორია, თემურ-ლენგის მეორე შემოსევამდე (წინამდებარე გამოცემის გვ. 257—307); რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, მათ შესახებ მხოლოდ ციტატებია პირველწყაროებიდან ამოწერილი. თვით პირველ ნაწილშიც, XIII საუკუნის ისტორიაში, მასალა ალაგ-ალაგ ნაკლულევანია.

რადგან ასეთი იყო ტექსტის დედნის მდგომარეობა, ჩვენ, რათა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ ამ წიგნში განხილულ საკითხთა ფარგლებში დაგვეცვა მთლიანობა და საგრძნობი ხარვეზები არ ყოფილიყო, მიზანშეწონილად დავი-

ნახეთ შეგვევსო ზოგიერთი ნაკლულევანი ადგილი ავტორისავე, 1940 წელს გამოცემული, წიგნიდან, ე. ი. მოკლე რედაქციიდან. ეს ადგილებია:

1940 წ. გამოცემის	წინამდებარე გამოცემის
გვ. 93—97	გვ. 208—212
„ 114—120	„ 231—236
„ 133—139	„ 250—255
„ 160—176 (ნაწილობრივ)	„ 257—272
„ 180—181	„ 285—285
„ 187—189	„ 298—301

მასალების მესამე შეკვრაში, სულ ბოლოს, იდვა 79 გვერდის შემცველი მოკლე მიმოხილვა ქართველი ერის თავგადასავლისა დასაბამიდან ვიდრე XIV საუკუნის დასასრულამდე, თემურ-ლენგის შემოსევამდე (დედანს აკლია გვერდები: 19—21, 32—33, 35, 51—52). რადგან ეს „მიმოხილვა“ XIII — XIV საუკუნეთა ისტორიის მასალებში იდვა და XIV საუკუნით თავდებოდა, ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ განსვენებულ აკადემიკოსს განზრახული ჰქონდა „ქართველი ერის ისტორიის“ ეს მესამე წიგნი დაებოლოვებინა დასკვნითი მიმოხილვით, და ჩვენც იგი მოვათავსეთ წიგნის ბოლოში და ვუწოდეთ „დასკვნითი მიმოხილვა“ (წინამდებარე გამოცემის გვ. 308—324).

პარაგრაფები მხოლოდ ორიოდე ადგილას არის დედანში ავტორის მიერ დასათაურებელი; დანარჩენი სათაურები ჩვენ აღვადგინეთ თვით ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა მიხედვით, უმთავრესად ამავე წიგნის შემოკლებული რედაქციის მიხედვით.

სიმ. ყაუხჩიშვილი.

თბილისი
1949. XII. 23.

თავი პირველი

მეფე ლაშა-გიორგი

[ლაშა-გიორგის პოლიტიკური საქმიანობა]

ლაშა-გიორგი, როგორც ვიცით, უკვე დედის სიცოცხლეში, თუმც მცირეწლოვანი, სახელმწიფო საქმეებში გარეული იყო და თამარ მეფის თანამოსაყდრედ ითვლებოდა. დედის სიკვდილის შემდგომ რომ სამეფო ტახტზე ავიდა, ლაშა-გიორგი ჯერ ჭაბუკი იყო. ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე ამბობს: იყო «ათორმეტისა წლისა ოდეს მეფე[დ] დაჯდა»-ო (ანა დ˜ფლი ქცˇა), მაგრამ ეს ცნობა თამარის გარდაცვალების შემდგომ ტახტზე ასვლას კი არ ეხება, არამედ ლაშა-გიორგის თანამოსაყდრეობას. მარმეთის 1206 წ. სომხური წარწერითგანა ჩანს მარლაც, რომ ლაშა-გიორგი თორმეტ-ცამეტი წლისა ყოფილა, როდესაც დედას თანამოსაყდრედ გაუხდია[1]. ფარსადან გორგიჯანიძე ამბობს: ლაშა-«გიორგი მეფე იყო ცამეტისა წლისა... და ხუთი წელიწადი დედამ (თამარმა) იცოცხლა შვილის მეფობაში და ˜რა დედა შეიცვალა, გიორგი მეფე თვრამეტის წლისა შექმნილ იყო»-ო[2].

ლაშა-გიორგი 1192—1193 წ. დაიბადა (ქˇლ ერის ისტორია II, 599), მაშასადამე, დედის თანამოსაყდრედ 1205—1206 წ. გაˇხდარა, ხოლო ფ. გორგიჯანიძის ცნობისამებრ თამარი 1210—1211 წ. უˇდა გარდაცვლილიყოს და მაშინ ტახტის მემკვიდრე 18 წლისა იყოო. როდის გარდაიცვალა თამარ მეფე, დანამდვილებით გამორკვეული არ არის, ˇაგრამ დაახლოვებით, ალბათ, 1213 წ[3]. ამ თარიღის ˇიხედვითაც ლაშა-გიორგი სულ ოცი წლის ჭაბუკი ყოფილა, როდესაც მაშინდელ საქართველოს დიდი სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი გამხდარა.

ესოდენ პასუხსაგები საქმის სათანადოდ გაძღოლა, როგორიც მაშინდელი შორს და ფართოდ განფენილი საქართველოს სახელმწიფო იყო, რომელსაც ჩრდილოეთით საზღვარი ქედს გადაღმა იმიერკავკასიაში ქონდა, სამხრეთით ჩრდილოეთ სპარსეთში და მცირე აზიაში იყო შესული, შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული მთელ მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფო იყო, მეტად ძნელი უნდა ყოფილიყო ჭაბუკ ლაშა-გიორგისათვის. თამარის ბრძნულმა მეფობამ და ლაშქრის ძˇევამოსილებამ საქართველოს თვით დასავლეთ ევროპის შორეულ ქვეყნებშიაც დიდი სახელი გაუთქვა და ˇქაურ ქრისტიანთა შორის, რომელნიც არაბებს ებრძოდნენ, მისი მოკავშირეობის სურვილი აღუძრა.

---

[1] ქˇლ ერის ისტორია, II, 634.

[2] საახიო მუზ. Mscr. georg. № 6, გვ. 93.

[3] იხ. ქˇლ ერის ისტორია, II, 633—634.

როცა დიდებულ თამარის სიკვდილის შემდგომ საქართველოს სათავეში მისი ჭაბუკი, განებივრებული ერთადერთი ვაჟიშვილი ლაშა-გიორგი უნდა ჩამდგარიყო, არა ერთსა და ორს ვაზირთაგანსა და მმართველი წრის წარმომადგენელს თავისი ქვეყნის მომავალის შესახებ გულში შიში უნდა შეჰპაროდა, მოერეოდა თუ არა იმ უაღრესად პასუხსაგებ საქმეს, რომელიც ბედმა ამ ყმაწვილს არგუნა. ამ გარემოებას ამ ჭაბუკი მეფის გატაცებული თაყვანისმცემელი თვით ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანეც ვერ მალავს და სრული გულახდილობით მოგვითხრობს: «შემდგომად გარდაცვალებისა თამარ მეფეთ-მეფისა წარიწირა სასოება ყოველმან ამან სამეფომან», მაგრამ ღმერთმა საქართველოს «მოსცა მშობელისა მსგავსი»-ო. ამ ცნობის პირველი ნაწილითგან ჩანს, რომ ნაშინ ყველანი ასე არ ფიქრობდნენ და მაინცადამაინც დედის მსგავსი თვისებების მქონებლად ლაშა-გიორგი თავდაპირველად არ მიაჩნდათ. ეს საქართველოშიაცა და საქართველოს გარეშეც, მეტადრე ყმადნაფიც საბრძანებლებში კარგად უნდა სცოდნოდათ. ამიტომ საქართველოს მეზობლებსა და ყმადნაფიც მფლობლებს და, ალბათ, ლაშა-გიორგის ჭაბუკობის გამოც კვლავ იმედი დაჰბადებიათ, ეხლა კი ჩვენი განთავისუფლებისა და დახსნის დღე დადგაო. გასაოცარი ეს არის, რომ სხვებზე უწინარეს თავი განძის მფლობელს წამოუყვია. ქართველი ისტორიკოსი ამბობს: «იწყეს განძით განდგომა, არღარა მოსცეს მეფეს ხარკი»-ო (ჟამთააღმწერელი* 723, გვ. 539).

ახალგაზრდა მეფემ ამ მოულოდნელ კადნიერებას დიდი ყურადღება მიაქცია იმიტომ, რომ იცოდა თუ რას უქადდა საქართველოს ამგვარი ურჩობის დაუსჯელობა. ლაშა-გიორგიმ ამის გამო სწრაფად მოუწოდა «წარჩინებულთა სამეფოსათა» და საქმის ვითარება აუხსნა: «მეფეთა შორის ბრწყინვალემან და სანატრელმან დედამან ჩემმან... ყ ო ვ ე ლ ნ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ გ ო მ ნ ი პ ა პ ა თ ა და მ ა მ ა თ ა ჩ ე მ თ ა ნ ი მ ო ხ ა რ ა ჯ ე დ შ ე ქ მ ნ ა და დ ღ ე ი ს ა მ ო მ დ ე მ ო რ ჩ ი ლ ნ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს ა ჩ ვ ე ნ ი ს ა ნ ი ა რ ი ა ნ. აწ განძის ათაბაგს საწუნელ უქმნიე და ხარკისა არღარა ნებავს მოცემა»-ო (იქვე* 724, გვ. 539—540). ამ კადნიერებისათვის განძის ათაბაგი უნდა სამაგალითოდ დავსაჯოთ, «რათა სხვათა მტერთაგან არა საწუნელ ვიქმნეთ»-ო (იქვე).

წარჩინებულთა კრებამ მეფის განზრახვა და გეგმა მოიწონა და «დაამტკიცეს ლაშქრობა» (იქვე). ლაშა-გიორგიმ შეჰყარა მთელი საქართველოს სპა და ვანძის ათაბაგის სამფლობელოს შეესია. ქართველთა მოზღვავებულ ჯარს «ვერ წინააღუდგეს განძელნი». გაჯავრებულ გულზე ლაშა-გიორგის მეომრებმა «მოაოჯრეს ვანძის ქვეყანა, აიღეს ტყვე და ნატყვენავი ურიცხვი» (იქვე *724, გვ. 540—541).

საქართველოს ჯარი დაუბრკოლებლივ წინ მიდიოდა ისე, რომ კიდეც «მოადგეს ქალაქსა განძისასა» (იქვე *725, გვ. 541). როგორც ჩანს, ათაბაგი თავის მთავარ ლაშქრითურთ ქალაქ განძაში გამაგრებულა. ქართველთა ჯარი ჩვეულებისაებრ ისე დაბანაკებულა, რომ განძის «ერთ-კერძო მჭარგრძელნი დგეს, ერთ-კერძო ჰერნი, კახნი და სომხითარნი, ქართველნი (sic) და თორელნი, ერთ-კერძო აფხაზნი, დადიანი, ბედიანი და ლიხთიქითნი ზედმოკიდებით ურთიერთას» (იქვე). განძა მაინც ქართველთაგან ყოველმხრივ გარემოდგ-

მული არ იყო: «მტკვრისაკენ ქვემოთ» მყოფი მხარე განძისა თავისუფალი ყოფილა.

ათაბაგმა და განძელებმა საქართველოს ჯარს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს: «მრავალ დღე ებრძოდეს» ქალაქს, მაგრამ ვერ აიღეს ქართველებმა, ფართო საერთო ბრძოლის მაგიერ ფალავნების შეცილება იყო: «ყოველთა დღეთა გამოვიდოდეს ქალაქისა კარსა ბრძოლად ჩალიბ[ა]დ[1] აქათცა და მუნითცა, ურჩეულესნი იბრძოდიან» (იქვე *725, გვ. 541).

ლაშა-გიორგის მოეწყინა ასეთი უნაყოფო ბრძოლა და გამბედავი თავოსნობა გამოიჩინა: «ინება მეფემან გარეშემოვლა ქალაქისა» (იქვე). ამ სამხედრო ხერხით მას ჰსურდა ბრძოლისათვის გადამწყვეტი მიმართულება მიეცა. მაგრამ ეს „გარეშემოვლა“ ლაშა-გიორგის «მცირედითა ლაშქრითა» დაუწყია ისე, რომ ამ გაბედულ და მეტად სახიფათო საქმისათვის «მეფეს ჰყვა ოთხი ათასი კაცი ოდენ». მომეტებული ნაწილი მათგანი მესხნი ყოფილან (იქვე). საგულისხმოა, რომ ეს გარეშემოვლა ლაშა-გიორგის საიდუმლოდ მოუწყვია და სხვებისათვის არ გაუმჟღავნებია (იქვე *726, გვ. 543). განძელებს ლაშა-გიორგის გარეშემოვლა არ გამოჰპარვიათ: «ვითარ (მეფე თავის რაზმითურთ) მოვლიდა მტკვრისაკენ ქვემოთ, ცნეს ესე განძის მყოფთა» (იქვე* 725, გვ. 541) და მსწრაფლ აღიჭურნენ, ქალაქის კარები გააღეს და 10000 კაცი «ვითარ მჭეცნი ზედა-მიუჴდეს» გარეშემომვლელ რაზმს (იქვე). ფიცხლავ მკაცრი, ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. მტრის მრავალრიცხოვანებას მეფის გული სრულიადაც არ შეუშინებია. თავის რაზმის წინამბრძოლთა გუნდს მან ასეთი სახელოვანი მეომარნი უთავა, როგორიც იყვნენ შიბილა, ყვარყვარე ჯაყელის პირმშო შვილი, გურკელი ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა (იქვე* 725—726, გვ. 542). თვით მეფეც თავისი თავგანწირული გულადობით სხვებს მაგალითს უჩვენებდა და ამხნევებდა. განძელები ქართველთა შედარებით მცირერიცხოვანი რაზმისაგან ასეთ მედგარ წინააღმდეგობას არ მოელოდნენ და რაკი გამარჯვების იმედი გადასწყვიტეს, გაიქცნენ, რომ ისევ ქალაქს შესულიყვნენ. მაგრამ ქართველები «სდევდეს ვითარ კართამდე ქალაქისად» და მხოლოდ «მცირედნი-ღა შეივლტოდეს ქალაქად», დანარჩენნი ზოგი ტყვედ წამოასხეს, ზოგი დახოცეს (იქვე).

როცა ქართველთა დანარჩენმა ჯარმა ეს ამბავი შეიტყო, უკვე მობრუნებულს მეფეს მიეგებნენ. თუმც გამარჯვებულს და მეფეს მაინც საქართველოს ლაშქრის «თავადნი მებრძოლნი» დიდი საყვედურითა და უკმაყოფილებით დაუხვდნენ და ეს გამოუცხადეს კიდეც, რომ მეფემ ეს სახიფათო გარეშემოვლა მათ «უმეცრებით» და დაუკითხავად განიზრახა და მოაწყო. გულნატკენი «თავადნი მებრძოლნი დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა კარსა მეფისასა ყოფად» (იქვე* 726, გვ. 542). ჭაბუკმა მეფემ იგრძნო,

---

[1] „ჩალიბი“ ქართული სიტყვა არ არის, არამედ თურქული ج‌ا‌ل‌ب, რაც გვარიანს, წარჩინებულს, ბატონს, განათლებულს და კეთილშობილსა ჰნიშნავდა. ჯ ა ბ ა ლ ი ბ ‌ ‌ ‌

რომ ქართული სამხედრო სამართლისა და წესის დარღვევა ისე ადვილი არ იყო და საქართველოს ჯარის შეურაცხყოფილი მეთაურნი რომ დაემშვიდებინა, ლაშა-გიორგი იძულებული იყო ბოდიშიც კი მოეხადა: «მეფე იგი [ჰ]უნისაგან ჩამოჴდა და ეევედრა შენდობად უმეცრებით ქნულისა» თვის (იქვე * 726, გვ. 543).

განძაში მომწყვდეული ათაბაგი «შემჭირდა»: ქართველთა მოდგმულ ლაშქრის წყალობით მას გზები შეკრული ჰქონდა და ხსნა არსაითგან იყო. ამის ვამო განძის ათაბაგი ლაშა-გიორგის «ეევედრა, რათა განუჩინა ხარაჯა პირველი» (იქვე). ქედმოხრილმა ათაბაგმა კვლავ საქართველოს ბატონობა აღიარა და წინანდებურად საქართველოს მეფის ყმადნაფიცი გახდა. მისი ვედრება «ისმინა მეფემან»: წინანდელი ხარკი დაადო და ტყვეებიც დაუბრუნა «ფასითა და მრავლითა ძღვნითა, თვალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვეცხლითა» (იქვე). განძის მფლობელის წინააღმდეგ ძლევამოსილ ლაშქრობას ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანეც თავის მოკლე ცნობით ადასტურებს: «მეფემან... განძას კართამდის აიღო შანქორი»-ო, ამბობს იგი.

როგორც ჩანს, ქართველთა ბატონობისაგან განთავისუფლების მცდელობა არც შემდეგში შეჩერებულა. საქართველოს საბრძანებლის სამხრეთის სანახებშიაც, როგორც ეტყობა, ურჩობა დაუწყიათ და აჯანყებულან. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს XIII საუკ. მეორე ათეულის დამლევს აღწერილი აქვთ საქართველოს ჯარის ძლევამოსილი ლაშქრობა «ვიდრე ნახჭევანამდე». მაგრამ ეს გამარჯვების ამბავი უცნაურად გვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში საქართველოს მხედრობამ ნახჭევანს იქით შორს წაწევა შესძლო და სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილი დაიმორჩილა. აღსანიშნავია, რომ კერძოდ ის ოროტნი (Արատն), რომლის აღების შესახებ ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს ლაშა-გიორგის დროს საუბარი აქვთ, სტ. ორბელიანის სიტყვით უკვე 1211 წელს იყო დაპყრობილი და შემოერთებული[1]. ცხადია, რომ ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს აღნიშნული არ უნდა ჰქონდეთ ის გარემოება, რომელმაც ნახჭევანამდე გალაშქრება და მიწაწყლის აღება კვლავ აუცილებელი გახადა. საფიქრებელია, რომ აქაც ისეთივე ამბავი უნდა მომხდარიყო, როგორიც გაცილებით უფრო ადრე განძის სანახებში მოხდა. უეჭველია, აქაც პასიურ ურჩობასა, თუ ცხად აჯანყებას უჩენია თავი, თუ რომ ოროტოთგან ნახჭევანამდე მთელი სანახების ყველა ციხეების აღება ისევ მოუხდათ. ქართველი და სომეხი ისტორიკოსები კი მხოლოდ ძლევამოსილების ამბავს შეიცავენ და შემდეგს მოგვითხრობენ.

ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვით «მეფემ აიღო ოროტო და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისნი ვიდრე ნახჭევანამდე». ამ ამბავს სომეხთა ისტორიკოსი ვარდანიც მოგვითხრობს. მას ამასთანავე თარიღიცა აქვს დასახელებული და თვით მოთხრობაც ცოტა უფრო ვრცელია. ვარდანის სიტყვით 668 წ. სომეხთა წელთაღრიცხვით, ე. ი. 1219 წ. ქ.

---

[1] Գատ. Հարանգին Միսական, ღუკასიანის გამოც. 1911 წ., გვ. 392.

ივანე ათაბაგმა ვოროტნი და მახლობელი ციხე აიღო, მაგრამ ქვეყანა სრულად ვერ ჩაიგდო ხელშიო, იმიტომ რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა სომეხ მთავართა ხელში ყოფილა, იქ თურმე 23 შესანიშნავი ციხე ითვლებოდა, 1400 სოფელი და 28 მონასტერი. მაგრამ უკვე 1103 წ. შემდგომ ეს ქვეყანა თანდათან განადგურდა. როდესაც ოროტნი საქართველოს ხელში გადასულა, ქვეყანა, ვ ა რ დ ა ნ ი ს სიტყვით, უკვე აოხრებული ყოფილა[1].

ამგვარადვე აღსანიშნავია, რომ ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვით ამირსპასალარი მხარგრძელის დიდ სპარსეთში ძლევა-მოსილი ლაშქრობის შემდგომ, ე. ი. უკვე ლაშა-გიორგის მეფობაში, როგორც ეტყობა, ივანე ათაბაგის მეთაურობით «მოწუა და მოარბივა ხლათისა ქვეყანა, შემოიხუეწა ხლათელი და ძლევამოსილმან მას ზედა მისცნა ზავისა სიმტკიცენი მათგან შეუცოდებელობასა შინა წყობისნი[2]. და სხუა შემოიხუეწა კარნუქალაქელი მოყურად და ერთგულად სახლისა მისისა, ჩადგა ბასიანს და მუნ ითამაშეს და გაისუენეს ერთგან». ლაშა-გიორგის დროს, იმავე ავტორის სიტყვით, «აიღო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა ჴრმლითა და ომითა მისათხრობელითა, რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჯაბუკი და მეომარი»-ო.

ყმაღნაფიცთა ურჩობის ჩაქრობის შემდგომ საქართველოში სიწყნარე დამყარდა. ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვით «იყო სამეფო მისი დიდსა დაწყნარებასა შინა». შინ მყუდროების მხედველი ჯაბუკი მეფე, რომელსაც რაინდული სულისკვეთება ჰხიბლავდა, დასავლეთ ევროპითგან მოსულს მოწოდებასა და თხოვნას გაუხარებია დასავლეთის ქრისტიანების ჯვაროსანთა ომში მაჰმადიანთა და სარკინოზთა წინააღმდეგ საქართველოს ჯარითურთ მონაწილეობის მიღების შესახებ. ამ ამბავზე დასავლეთი ევროპის მაშინდელ წყაროებში შემდეგი ცნობები მოგვეპოვება.

გერმანელი იმდროინდელი მემატიანე მოგვითხრობს 1221 წ. ქვეშე.

Anno 1221. Hic scribit summus pontifex Honorius... quod idem legatus Pelagius misit nuncios suos in Avigniam, t e r r a m G e o r g i a n o r u m, q u i s u n t v i r i c a t h o l i c i e t p o t e n t e s i n a r m i s, r o g a n s e t o b s e c r a n s, u t e t i p s i e x p a r t e s u a g u e r r a m m o v e a n t S a r a c e n s i s (Chronica A l b r i c i M o n a c h i a monacho Novi monasterii Hoiensis interpolata, იხ. Monumenta Germaniae historica t. XXIII, p. 911).

მეფე ლაშა-გიორგის სახელდობრ დამაციაში (apud Damatiam) მყოფ ბოციქულის ხელით რომის პაპის რჩევა და ბრძანება (consilium... et mandatum) მოსვლია, რომ ის საქართველოს ჯარითურთ ჯვაროსან ქრისტიანებს მოჰშველებოდა (in subsidium Christianorum). მეფესაც პაპის მოწოდება უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ჯვაროსანთა ომში მონაწილეობის მისაღებად ჯარის შეყრასა და მზადებას შესდგომია. ამ მზადებაში იყო, რომ მოულოდნელად სრულებით უცნობი და შორეული ქვეყნებითგან მოსული მტერი,

---

[1] *Մեծին Վարդանայ Բարձրբերդեցւոյ Պատմութիւն Տիեզերական*, მოსკოვის 1811 წ. ბეჭდვა, გვ. 184—185, შეად. M. B r o s s e t. Additions etc. გვ. 301.

[2] A წყალობისანი.

მონღოლთა ლაშქარი, საქართველოს საზღვრებს მოადგა. ამ გარემოებამ განზრახული საქმე მთლად ჩაშალა [1].

[მონღოლთა პირველი ხანმოკლე გამოჩენა საქართველოში]

ლაშა-გიორგის დროს მონღოლთა ამ პირველი შემოსევის ამბის შესახებ საქართველოში რამდენიმე ცნობა მოიპოვება, როგორც ქართულ მწერლობაში, ისე სომხურადა და სპარსულადაც. არსებითად მათ შორის თანხმობა სუფევს, მაგრამ ზოგიერთში განსხვავებაც ემჩნევა. ლაშა-გიორგის - დროინდელ უცნობ მემატიანეს არც კი სცოდნია, თუ ვინ იყვნენ ის უცნაური მეომრები, რომელნიც საქართველოს შემოესივნენ. იგი ამბობს: «შემოვიდეს უცხო თესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და [ჰ]ერეთს, ევნო რამე მცირედი მათგანცა, შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა. შემდგომ... ლმობიერ ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყუიდნეს გაქცეულნი. და მეორესა წელიწადსა კუალა[დ]ცა მომართეს და დადგეს ბარდავის ჭალასა. შეიყარა სამეფო მისი (მეფემ) და მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთა-გორსა და აგარათა შუა და ვიდრე ზედამისულადმდე გაექცნეს, განვლეს დარუბანდის გზა»-ო (ანა დ˜ფლი ქ˜ცა [გვ. 244]). ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატიანისთვის ესენი ჯერჯერობით მხოლოდ „უცხო თესლნი“ იყვნენ, მათი სახელი მას არა სცოდნია. მას ჯერ ფიქრადაც არ მოსდის, თუ რას მოასწავებდა ეს შემოსევა და სრულებით დამშვიდებულია, სომხითს და ჰერეთს «ევნო რამე მცირედი»-ო. თუ ლაშა-გიორგის - დროინდელი მემატიანის ნათქვამს დავაკვირდებით, ისე გამოდის, რომ ქართველთა და მონღოლთა შორის მხოლოდ ორჯერ უნდა ყოფილიყო ბრძოლა: პირველად, როდესაც „უცხო თესლნი“ სომხითს და ჰერეთს შეესივნენ, ქართველებს მცირედი „ევნო“-ო. მაშასადამე, ქართველებს მარცხი მოსვლიათ. მეფე ამ პირველს შეტაკებაში, როგორც ჩანს, არა ყოფილა, არამედ მხოლოდ «შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა». ამ ბრძოლაშიაც ქართველები, როგორც ეტყობა, ძლეულ იყვნენ, იმიტომ რომ მემატიანე ამბობს: «პირველი წყლულება მათგან იქმნა»-ო, (იქვე), მაგრამ ამ ბრძოლის შედეგის შესახებ გარკვევით ის არას ამბობს. მხოლოდ ამის „შ ე მ დ გ ო მ“ ქართველებმა «მოხედვითა ღ˜თისათა და ლმობიერ ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყუიდეს» მონღოლებიო.

მემატიანის სიტყვით მტერი «გაქცეული მეორესა წელიწადსა კუალადცა» დაძრულა და მონღოლებმა თურმე «მომართეს და დადგეს ბარდავის ჭალასა». ლაშა-გიორგიც მოემზადა საბრძოლველად, «შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთა-გორსა და აგარათა შუა». მაგრამ მონღოლები ქართველებს არ შებრძოლებიან, არამედ «ვიდრე ზედამისულადმდე გაექცნეს, განვლეს დარუბანდის გზა»-ო (იქვე).

ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს მოთხრობა უფრო ვრცელია და უფრო მკაფიოც. ჯალალედინის მრავალჯერ დამარცხების შემდგომო, ამბობს ქართ-

[1] იხ. რუსუდანის ეპისტოლე რომის პაპისადმი, მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902 წ. გვ. 562 და 7.

ველი ეამთააღმწერელი, ჩინგიზყაენმა «წარმოავლინნა ორნი თავადნი... იამა და სანპაიანა, რომელთა ქართველნი სებაჲ-ჯებობით[1] უწოდიან, რჱთა..., სადამდე ეძლოთ სლვად, განიხილონ ქუეყანა» (* 738. გვ. 559). წარმოგზავნილი მხედართმთავრები დავალებულის შესრულებას შესდგომიან და «ათორმეტი[თა] ათასითა მჴედრითა» დაძრულან და თანდათან აიდარბაგანშიც მისულან, ბოლოს «მოიწივნეს განძას» და, რაკი მათ ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა, «მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა, ქვეყანასა გაგისა, იწყეს დარბევად»-ო (იქვე).

ვარამ გაგელმა და ივანე ათაბაგმა რომ შეიტყეს ეს ამბავი, მაშინ «აცნობეს მეფესა უცხოსა ნათესავისა მოსვლა». ლაშა გიორგიმ «მოუწოდა სპათა თვისთა იმერთა და ამერთა და შეკრიბა ოთხმოცდა ათი ათასნი მჴედარნი», ამოდენა ჯარითურთ მეფე თათრებისაკენ გაეშურა, რომელნიც „გაგისა ბოლოს“ ყოფილან დაბანაკებულნი. აქ მეფეს შემოუერთდნენ აგრეთვე ივანე ათაბაგი, მისი ძმისწული, ზაქარია ამირსპასალარის ძე შანშე, ვარამ გაგელი და სხვანი (იქვე* 738, გვ. 560). ბრძოლა მომხდარა «წყალსა ზედა ბერდუჯსა», ადგილსა «საგიმად წოდებულსა», ორთავე მოპირდაპირენი თავგამოდებით იბრძოდნენ ისე, რომ «იქმნა ძლიერი ომი». ამ გახურებული ბრძოლის დროს მონღოლებმა თითქოს, თუ მართლაც ქართველთა პირისპირ შებმას ვერ გაუძლეს და «ნახევარნი ივლტოდეს თათარნი». როგორც შემდეგში გამოირკვა, მონღოლთა ლაშქრის ერთ წილს ქართველთა ჯარისათვის გარშემოვლა განუზრახავს და განუხორციელებია კიდეც: «ნახევართა მხირი ეყო». როდესაც საქართველოს მხედრობა მონღოლთა ლტოლვილი ლაშქრის უკან დევნაში გართული იყო და თავისი თავი, ალბათ, გამარჯვებულად მიაჩნდა, ამ დროს მონღოლთა გარშემომვლელი რაზმები ქართველებს „უკანით მოუჴდეს“ და საშინელი მარცხით თავზარდაცემულნი «ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თვით მეფე ლაშა», ხოლო «ურიცხვი სული ქრისტიანე მოკუდა». მაშინ, თვით ივანე ათაბაგი და სამცხის სპასალარი სარგის სიკვდილს ძლივს გადურჩნენ, მეჭურჭლეთ-უხუცესის ყვარყვარეს შვილი ზექა კი «მოიკლა ძლიერად მებრძოლი» (იქვე* 739, გვ. 560). დამარცხებულნი და «ლტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა» თბილისსა. მონღოლებმაც ქართველთა დადევნება მოინდომეს, მაგრამ «მოიწივნეს სამშვილდემდე და მიერ უკუნიქცეს» და «წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, ვერცა შარვანშა აღუდგა და ვერცა დარუბანდელი, განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთსა»-ო (იქვე* 739—740, გვ. 561).

მონღოლთა შემოსევის შესახებ სომეხთა ისტორიკოსი კირაკოზ განძაკელიც გვაწვდის ცნობებს. მისი სიტყვით მონღოლთა პირველი შემოსევა საქართველოში 1220 წელს მომხდარა საბადა ბაჰადურის მეთაურობით და ვითომც მონღოლები ჩვენს სამშობლოში დარუბანდის გზით შემოსულიყვნენ. კირაკოზს აღნიშნული აქვს, რომ მონღოლებზე მაშინდელ საზოგადოებაში სხვადასხვა ცრუ ხმები იყო გავრცელებული, სახელდობრ, ვითომც მონღოლები ქრისტიანები ყოფილიყვნენ და ქრისტიანთ მაჰმადიანთა ბატონობისაგან დასახსნელად წამოსულიყვნენ. ამის გამო მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ქრის-

[1] სუბუდაჲ და ჯებე.

ტიანები არ ემზადებოდნენ, პირიქით ერთგან ხალხი თურმე თავის მღვდლთ-თურთ ჯვრით ხელში მიეგება მონღოლებსო[1].

კირაკოზი ამტკიცებს, ვითომც სწრაფად მომავალს მტერს ქალაქ თბილისამდის მოეღწიოს, ხოლო შემდეგ ალვანეთში ჩასულიყოს, ქ. შაქის სანახებში (იქვე, 190). მონღოლები ერთს ჭაობიან და მიუვალ ადგილას გამაგრებულან ქ. ბარდავსა და ქ. ბელაქანს შუა, რომელსაც ბელამეჯი რქმევია (იქვე, 191). ცხადია, აქ მოხსენებული ბელაქანი ის ბელაქანი კი არ არის, რომელიც ეხლაც ზაქათალის ოლქში არსებობს, არამედ ძველად განთქმული ქალაქი ბაჲლაქანია, რომელიც მტკვარისა და არეზის შესართავთან ახლო მდებარეობდა, მტკვრითგან ორი დღის სავალზე ჰშორავდა და არეზითგან გამოყვანილი არხით ირწყვებოდა[2].

ბარდავი ეხლანდელს ს. ბარდას ადგილას მდებარეობდა მტკვრისა და ტერტერის შესართავთან მახლობლად[3].

თათართა შემოსევისთანავე საქართველოს მეფემ ლაშა-გიორგიმ და ივანე ამირსპასალარმა კირაკოზის სიტყვით ჯარი შეჰყარეს და მტერთან საბრძოლველად დაიძრნენ. ხუნანის ველზე მტერს შეეყარნენ და შეებნენ. პირველად მონღოლები შედრკნენ და გაიქცნენ, მაგრამ რაკი მტერს ჩასაფრებულებიც ჰყავდა, ჩასაფრებულნი ქართველებს ზურგით მოექცნენ და ქართველთა ლაშქარს მოულოდნელად ცემა დაუწყეს. მაშინ მონღოლთა ლტოლვილი ჯარიც შედგა და პირი ქართველებისაკენ იბრუნა. ორთავ მხრივ მტრით მოცულმა საქართველოს ლაშქარმა ბრძოლა ველარ შესძლო და გაიქცა. მეფემაცა და მთავრებმაც ლტოლვით უშველეს თავსა. მონღოლებს ბრძოლის ველზე დიდძალი დავლა ერგოთ.

დამარცხებული მეფე, რა წამს შინ დაბრუნდა, მაშინვე წინანდელზე უფრო დიდი და ძლიერი ჯარის შეგროვებას შეუდგა, რომ მტერს შეჰბრძოლებოდა, მაგრამ მონღოლები მთელი თავის ქონებითა და დედაწულებითურთ აიყარნენ და დარუბანდის გზით გამგზავრება მოიწადინესო, მხოლოდ დარუბანდელებმა გზა არ მისცეს და ამის გამო კავკასიონი გადალახეს და ისე გადავიდნენო[4].

მეორე სომეხ მემატიანეს მალაქია ობელას (ბერს) ნათქვამი აქვს, ვითომც მონღოლთა ანუ თათართა პირველი შემოსევა საქართველოში მეფე რუსუდანის დროს მომხდარიყოს, ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდგომ[5]. ამასთანავე ის ამტკიცებს, რომ თვით ჩინგიზყაენს ებრძანებინოს და თავისი მხედართმთავარნი ალვანეთსა და საქართველოში წარმოეგზავნოს დასაპყრობად (იქვე). მონღოლთა შემოსევის გაგონებაზე საქართველოს მეფე 60000 მხედრობითურთ კოტმანის დიდს მინდორთან მივიდა, რომელიც ტერუნაკანის ციხის წინ არის გადაშლილი (იქვე). მოთხრობა ამ ომის შესახებ მალაქიას

---

[1] *Պատմութիւն Հայոց Կիրակոսի Գանձակեցւոյ*, თბილისი, 1910 წ. გამ. გვ. 190—191;

[2] რაუსატ ეს-საფა, იხ. B. Dorn. Beiträge zur Geschichte der Kaukasischen Länder und Volker aus morgenländischen Quellen. V. Geographica. Mémoires de l'Académie impériale des sciences de St.-Pétersbourg. VI série, t. VII, გვ. 564—566. აგრეთვე В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, 1903 წ. გვ. 151.

[3] აღნიშნულია სამხედრო შტაბის რუკაზეც, იხ. აგრეთვე ვ. ბარტოლდის ზემოაღნიშნული წიგნი, გვ. 151.

[4] კირაკოზ განძაკელი, იქვე, 191—192.

[5] *Պատմութիւն վասն ազգին Նեստորական*, პეტერბურგის 1870 წ. გამოკ. გვ. 5.

ოტა არეული აქვს და ორჯერ არის მოყვანილი, ერთხელ მოკლედ, მეორედ უფრო ვრცლად; მაგრამ განსხვავებულადაც. ივანე ათაბაგი, რომელიც რუსუდანის მეფობის დროს ქვეყნის მთავარ გამგედ ითვლებოდა, თათართა შემოსევის გაგონებაზე საქართველოს სამეფოს მხედრობითურთ გაგში მივიდა ბლუ ზაქარიას ძესთან ვაჭრამთან, დიდ და ბრძენ მთავართან (იქვე, 5—6). ივანემ ისიც თან წაიყვანა და მონღოლთა ლაშქარს შეებრძოლა. ომის დროს ვაჭრამი მარჯვენითი წვერის მხედართმთავრად იყო, ხოლო ივანეს მარცხენითი წვერი ეძვემდებარებოდა (იქვე, 6).

როდესაც ქართველთა ჯარი და მონღოლთა ლაშქარი ერთიერთმანეთს ეკვეთა, ამ დროს მანასგომის პატრონმა (տէրն Մանասայ գոմուց) ჰამიდულამ შურისძიებით ივანე ათაბაგის ცხენს [დეზი ჰკრა] (იქვე, 5). მონღოლებმა შეამჩნიეს, რომ ქართველთა მხედრობაში ამგვარი განხეთქილება არის, ქართველთა მხედრობას მეტის სიმკაცრით ეკვეთნენ და უწყალოდ ამოხოცესო (იქვე, 6). ქართველთა ჯარის მარჯვენითი წვერის მხედართმთავარმა გაგის პატრონმა ვაჭრამმა ეს ამბავი ვერც კი შეიტყო და საღამომდის მკაცრითა და დაუცხრომელი იერიშით მონღოლებს მიჰხოცავდა, სანამ საგამას (ჟამთააღმწერელის „საგრას") მინდორი დახოცილ თათართა გვამებით არ აივსოო. მაშინ შეიტყო საქართველოს დანარჩენი ჯარის დახოცვის ამბავი და დაღონებული თავის საჯდომ ციხეში ქარჰერძში დაბრუნდაო (იქვე, 6).

მ ა ლ ა ქ ი ა ს სიტყვით ეს ბრძოლა ვითომც 1214 წ. მომხდარიყოს. სამი წლის შემდგომ, ე. ი. 1217 წ. თათრები კვლავ მოვიდნენ, განძა აიღეს, მცხოვრებნი უწყალოდ მოსრეს და წარტყვევნეს, ხოლო შემდეგ დიდი ნატყვევნავითა და ქონებით დატვირთულნი თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენო (იქვე).

მ ა ლ ა ქ ი ა ს აღწერილობაში ბრძოლის ველის სახელი გარკვევით აღნიშნული არ არის: ჯერ ამბობს, რომ ომი კოტმანის ველზე მოხდაო, მერე კი ისევ ამოდის, ბრძოლა გაგის მახლობლად ყოფილა საგამის მინდორის მიდამოებში.

მონღოლთა საქართველოში შემოსევის ამბავი გამოჩენილ სპარსელ ისტორიკოსს რ ა შ ი დ ე დ ი ნ ს აც აქვს მოთხრობილი. როდესაც ჩინგიზ ყაენმა შეიტყო, რომ სულტანი ჯალალედინი მამის სიკვდილის შემდგომ ღაზნაში წავიდა და იქ საიდუმლოდ ლაშქარს ჰკრებსო, სიფრთხილის გულისათვის მან ღაზნაში და ღარჯისტანში (غرجستان) ზაბულსა და კაბულში თავისი ერთი სარდალი 30000 ჯარისკაცითურთ წარგზავნა, რომ შეძლებისდაგვარად მათ ეს ქვეყნები დაეპყრათ და ყარაულად ყოფილიყვნენ და ამგვარად თვით ჩინგიზხანსა და მის შვილს ტულიხანს ხვარასნის დაპყრობა გულდამშვიდებით შესძლებოდათ [1]. მერმე, რაკი ჩინგიზხანმა დაინახა, რომ სულტანი მოჰამმედი ხვარაზმშა მოკვდა, ხოლო მისი შვილი ჯალალედინი დაძრწოდა, მან ჯებე და სუბუდაჲ გაგზავნა, რომ რაც რამ სულტანის სამფლობელოში იყო არანში, ადარბაგანში, ერაყში და შირვანში დაეპყრათ [2].

---

[1] იხ. ი. ბ ე რ ე ზ ი ნ ი ს გამოცემა Сборник летописей. История монголов, соч. Рашид-эддина, სპარს. 119—120, რუს. თარგ. 79.

[2] იხ. ი. ბ ე რ ე ზ ი ნ ი ს გამოცემა Сборник летописей. История Монголов, соч. Рашид-эддина. История Чингиз-хана от восшествия его на престол до кончины. Труды восст. отд. Р. А. О. ч. XV, სპარს. ტექსტი გვ. 131, რუს. თარგ. 87.

როდესაც ჯალალედინი ნიშაბურითგან ღაზნინში გაიქცა, ჯებემა და სუბუდაჲმ ჩინგიზხანს ელჩი აახლეს და ეს გარემოება მოახსენეს. ეხლა ჩვენ მათ ხვარაზმშაჰების საქმეებისაგან მოვიცალეთ და თქვენის ბრძანებისაებრ წინამდებარე ქვეყნების დაპყრობას შევუდგებითო. ერთ-ორ წელიწადში ამასაც მოვრჩებით და ყივჩაყეთის გზით მონღოლეთში მოსვლას შევიძლებთო[1]. თავრიზში მოსულ მონღოლებს ათაბაგი უზბეგი ჯეჰანფაჰლავანის შვილი იქ არ დახვდათ: თითონ კი გაქცეულიყო და კაცი მიეგზავნა დიდის ძღვენითა, ზავი შეკრათო. ჯებე-სუბუდაჲმ თანხმობა გამოაცხადეს და აქეთგან რანისაკენ გაემგზავრნენ, რომ ზამთარი იქ გაეტარებინათ[2]. გზა რანისაკენ საქართველოზე იდო. ამის გამო, ალბათ, როდესაც მონღოლთა ლაშქარმა საქართველოს სამფლობელოს საზღვრები გადალახა, მონღოლების წინააღმდეგ ათი ათასი ქართველი გამოვიდა საბრძოლველად და მონღოლებს შეებრძოლნენო. ქართველები უკუქცეულ იქმნენ და მომეტებული ნაწილი მათგანი დახოცილ იყვნენ. მაგრამ რაკი მონღოლებმა ნახეს, რომ საქართველოში გზები ვიწროა და დაბურული ტყეები იყო, ისევ უკან გაბრუნდნენ და მარაღისაკენ გაემგზავრნენ (იქვე). როცა მარაღა და ჰამადანი აიღეს და ჩვეულებისაებრ მცხოვრებნი ამოხოცეს და დააწიოკეს, ისევ რანისაკენ წამოვიდნენო, ჯერ სერაბი აიღეს და ააოხრეს, მერე აღდაველი, ხოლო იქითგან ქ. ბაილაქანისაკენ გაემართნენ, ძალით აიღეს და დიდით პატარამდე ამოწყვიტესო. ამის შემდგომ რანის უმთავრეს ქალაქს, განჯას, მიადგნენ, დაიპყრეს და სრულიად დაანგრიეს.

აქეთგან მონღოლებმა პირი საქართველოსაკენ იბრუნეს. ქართველებმა ჯარი დააწყეს და ომისათვის მოემზადნენ, როცა მოწინააღმდეგენი ერთიერთმანეთზე მივიდნენ, ჯებე ხუთი ათას კაცითურთ ჩაუსაფრდა, ხოლო სუბუდაჲ დანარჩენ ლაშქრითურთ პირისპირ ეკვეთა, მაგრამ პირველად მონღოლები უკუიქცნენ. ქართველები მათ კვალდაკვალ დაედევნენ. ამ დროს ჯებე საფრებითგან გამოხტა და მონღოლებმა ქართველები შუაში მოიქციეს და ერთ წამში ოცდაათი ათასი ქართველი ამოხოცესო. მერე ადგნენ და პირი შირვანის დარუბანდისაკენ იბრუნესო[3] და ყივჩაყეთში გადავიდნენ.

სწორედ გასაოცარია, რომ რაშიდედინის წინამორბედმა და ერთ-ერთ წყაროთაგანმა სპარსელმა ისტორიკოსმა ჯუვეინიმ[4] (გარდაიცვალა 1283 წ.) მონღოლთა პირველ შემოსევისა საქართველოში თითქოს არა იცის რა. მის სიტყვით ჯამა (ـجـ), ანუ ჯებე ჯერ თავრიზში მივიდა და დაიმორჩილა, მერე მარაღა და ნახჭავანი და მთელი მისი სანახები გაწყვიტა, ათაბაგ ხამუშმა რომ მორჩილება გამოუცხადა, იგი იქითგან რანში წავიდა, ბაჲლაქანი აიღო და შირვა-

---

[1] იქვე, სპარს. გვ. 134, რუს. 89.
[2] იქვე, სპარს. 136, რუს. 90.
[3] იქვე, სპარს. 138, რუს. 91—92.
[4] В. Бартольдъ, Туркестан в эпоху Монгольского нашествия ч. I, 39—40—43. СПБ. 1900 г.

ნის გზით დარუბანდში მოვიდაო[1]. საქართველოში შესევაზე არა აროს რა ნათქვამი, თითქოს იქ არაფერი მომხდარიყოს.

ქართველ, სომეხ და სპარსელ ისტორიკოსთა ცნობების მხოლოდ კრიტიკული განხილვისა და ერთიერთმანეთთან შედარების შემდგომ შეიძლება საქმის ნამდვილი ვითარება გამოირკვეს. როგორც ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვებითგანა ჩანს, იმდროინდელმა ქართველებმა კარზე მომდგარი მტრის შესახებ თითქმის არა იცოდნენ რა. კირაკოზის მოთხრობაც ამას ადასტურებს. ხალხში თურმე ხმები იყო გავრცელებული, რომ შორეულ ქვეყნითგან რომელიღაც უცხოთესლი მოდიოდა, მაგრამ თანაც ამბობდნენ, ვითომც ისინი ქრისტიანები იყვნენ და მხოლოდ მაჰმადიანებს ებრძოდნენ. ვითომც ისინი მაჰმადიანთა მონობისაგან წმიდა ადგილების გამოხსნასა და განთავისუფლებას აპირებდნენ და ჯვაროსან ქრისტიანეთა მოსაშველებლად წამოსულიყვნენ. ამის გამო აზიის ქრისტიანები ამ „უცხოთესლთ“ უფრო თავიანთ თანამორწმუნედ და მოკავშირედ სთვლიდნენ, ვიდრე მტრად.

კირაკოზის ამ ცნობების სიმართლეს რუსუდან მეფისა და ივანე ათაბაგის ეპისტოლეებიც საუცხოოდ ამტკიცებენ. 1223 წელს[2] დაწერილს და რომის პაპისადმი გაგზავნილს ეპისტოლეში საქართველოს მეფე რუსუდანი რომის ეკლესიის მღვდელთ-მთავარს ატყობინებს: თათრების ანუ მონღოლების პირველი შემოსევის დროს ჩვენ მათდამი არავითარი სიფრთხილე არ გამოგვიჩენია, იმიტომ რომ ისინი ქრისტიანები ვვეგონენო და მხოლოდ შემდეგ დავრწმუნდითო, რომ ისინი კარგი ქრისტიანები არ იყვნენ[3]. ივანე ათაბაგი უფრო მეტსაც ამბობს და ამტკიცებს თათრები ჯვარის წინ წარმოძღვანებით შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და ამნაირად ქრისტიანობის სარწმუნოების მოჩვენებით მოგვატყუესო[4]. ეს უკანასკნელი ცნობა კი იმის შესახებ, ვითომც მონღოლებს საქართველოს საზღვრები ჯვარითხელში გადმოელახოთ, საეჭვო უნდა იყოს და არც მართალი იქნება, მაგრამ რომ მცირე აზიასა და საქართველოში მონღოლთა ვინაობისა და მათი გამოლაშქრების ნამდვილი მიზეზისა და მიზნის შესახებ დაჭეშმარიტებით არა იცოდნენ რა და მონღოლები ქრისტიანები ეგონათ, ეს ცხადია. შესაძლებელია, რომ პირველი შემოჭრის დროს ქართველები ამიტომაც ყოფილიყვნენ ომისათვის მოუმზადებელნი. მაგრამ დამახასიათებელია, რომ 1223 წელსაც კი ვერც რუსუდან მეფეს და ვერც ივანე ათაბაგს, როგორც ჩანს, საქმის ნამდვილი ვითარება ვერ წარმოედგინათ და ვერც იფიქრებდნენ, რომ მონღოლები მცირე აზიასა და საქართველოს კვლავ ეწვევოდნენ და მაშინ კი მათს ქვეყანას ხან-

---

[1] Tarikh - i - Jahan - Gushà of Jùwayni, edited by Mirza Muhammad of Qazwin, E. J. W. Gibb memorial, vol. XVI გვ. 114.

[2] იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 8.

[3] „nos non cavebamus ab ipsis, quia credebamus eos Christianos esse, sed postea quam intelleximus eos non esse bonos Christianos“ (მ. თამარაშვილი, ისტ. კათ. გვ. 564. შეად. გვ. 7).

[4] „Tartari, cruce praecedente eos, intraverunt terram nostram et sic sub specie Christianae religionis deceperunt nos“... (მ. თამარაშვილი, გვ. 564. შეად. გვ. 9).

გრძლივ დაიმონებდნენ. ამის გამო მეფე რუსუდანსაცა და ივანე ათაბაგსაც საქართველოს მანამდის უძლეველი მხედრობის დამარცხება შემთხვევით ხიფათად მიაჩნდათ.

სპარსელი ისტორიკოსის რაშიდედინის მოთხრობა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, თუ როგორ მოადგნენ მონღოლები საქართველოს. ქართველი ანამთაღმწერელი თუმცა ამბობს, რომ ჩინგიზხანმა თავისი მხედართმთავრები სებაჲ და ჯებე წარმოგზავნა „სადამდე ეძლოთ სლვად“ და დაავალა მხოლოდ რომ „განიხილონ ქუეყანა“, თითქოს მარტო წინასწარი გაცნობა და განხილვა მიანდო, მაგრამ სპარსელ ისტორიკოსს უფრო რთული სურათი აქვს დახატული, სამწუხაროა მხოლოდ, რომ არც მისი მოთხრობაა მთლად გარკვეული.

ჩინგიზხანის მთავარი მიზანი ხვარაზმშაჰის მუჰამმედისა და მისი შვილის ჯალალედინის დამარცხება და მათი ვრცელი და დიდი სამფლობელოს დაპყრობა იყო. რამდენჯერმე დამარცხებული ჯალალედინი რომ ღაზნაში გაიპარა და იქ ხელახლად დიდი ლაშქრის შეყრას შეუდგა, ჩინგიზხანმა გადასწყვიტა, რომ საჭირო იყო ჯალალედინისათვის გზები შეეკრა და ამ გზით მისთვის მზადების საშუალება მოესპო, თავისთვის კი ბრძოლის ასპარეზის შუაგული უზრუნველეყო. ამისათვის მან, რაშიდედინის სიტყვით, თავისი ერთი სარდალი 30000 ჯარისკაციოთურთ ღაზნასა, ღარჯისტანსა, ზაბულსა და კაბულში გაგზავნა და დაავალა, რომ, თუ შესძლებდნენ, ეს ქვეყნები დაეპყრათ და იქ ყარაულად ყოფილიყვნენ და ამ გზით იმ ბრძოლის ასპარეზი, სადაც თვით ჩინგიზხანი თავისი შვილითურთ ომობდა, დაეცვა და უზრუნველეყო.

მალაქია აბეღასაც აღნიშნული აქვს, რომ მონღოლთა მხედართმთავარი საქართველოში და ალბანეთში თვით ჩინგიზხანის მიერ იყო გამოგზავნილი.

რაშიდედინი თავის მეორე ცნობაში, სადაც აღნიშნული აქვს, თუ როგორ გაისტუმრა ჩინგიზხანმა თავისი სარდლები ჯებე და სუბუდაჲ ქვეყნების დასაპყრობად, საქართველოს შესახებ არას ამბობს; მას ჩინგიზხანის მიერ დასაპყრობად განკუთვნილად ჩამოთვლილი აქვს რანი, ადარბაგანი, ერაყი და შირვანი, როგორც ჯალალედინის სამფლობელო. საქართველო მოხსენებული არ არის და არც შეიძლება მოხსენებული ყოფილიყო, რაკი ჩინგიზხანს თავის სარდლებისათვის უბრძანებია, ჯალალედინის ყოფილი სამფლობელო დაიპყარითო. მაგრამ რანი და შირვანიც რომ მაშინ სრულებით ჯალალედინს არ ეკუთვნოდა და შირვანი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო? თუ მონღოლები ჯალალედინის სამფლობელოს ეძებდნენ მხოლოდ, მაშინ არც რანისათვის და არც შირვანისათვის ხელი არ უნდა ეხლოთ. ამავე ავტორის მეორე და ვრცელს აღწერილობაში მონღოლთა საქართველოში შემოსევა შემთხვევით მოვლენად არის წარმოდგენილი. მონღოლთა ჯარი რანში მიდიოდა იქ ზამთრის გასატარებლად, გზა რანში მიმყვანებელი საქართველოზე იდო, ქართველები მონღოლებს გადუდგნენ და თითონვე აუტეხეს ბრძოლაო.

როგორც ჟამთააღმწერელის, ისე რაშიდ ედ ინის აღწერილობით ნათლად მტკიცდება, რომ მონღოლები საქართველოში და კავკასიაში საზოგადოდ სამხრეთითგან, ადარბაგანითგან მოსულან და კირაკოზის ცნობა, ვითომც მონღოლები ჩვენში დარუბანდის გზით შემოსულიყვნენ, მცდარია და ყოვლად შეუსაბამო.

სამაგიეროდ კირაკოზ განძაკელის თარიღი, რომ მონღოლთა პირველი შემოსევა 1220 წელს მოხდა, სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს. ამას რუსუდანის 1223 წ. მიწერილი ეპისტოლე რომის პაპი ჰონორისადმიც ამტკიცებს. ამას გარდა რაკი რაშიდ ედ ინიც ამბობს, რომ ჯებე და სუბუდაჲ ადარბაგანისა, შირვანისა და საქართველოსაკენ მაშინ წამოსულან, როცა ჯალალედინი ღაზნაში გაქცეულა[1], მაშასადამე, სპარსელ ისტორიკოსისდა მიხედვითაც ეს ამბავი 1220 წელს უნდა მომხდარიყო[2].

იმ მონღოლთა ლაშქრის რაოდენობის შესახებ, რომელიც ჯებე-სუბუდაჲს მეთაურობით საქართველოს შემოესივნენ, რაშიდ ედ ინს არაფერი აქვს ნათქვამი. ჯუვეინის სიტყვებითგან ვიცით მხოლოდ, რომ როდესაც ჩინგიზხანმა ისინი ჯალალედინს დაადევნა, მათ 30000 რჩეული მხედარი გააატანა თანა (ტარიხ-ი-ჯეჰან კუშაჲ, გვ. 113), ხოლო ადარბაგანში, შირვანში და საქართველოში რომ მოვიდნენ, მონღოლთა ჯარის რიცხვი შემცირდა და თუ გაიზარდა, ამის შესახებ სპარსელი ზემოაღნიშნული ისტორიკოსები არას ამბობენ. ქართველი ჟამთააღმწერელი კი მოგვითხრობს, რომ ჯებე და სუბუდაჲ 12000 მხედარის მბრძანებელი ყოფილან. მაგრამ ვარდან ბარძრბერდელს ნათქვამი აქვს, უეჭველია, თავისი წყაროს მიხედვით, რომ საქართველოს საზღვრებში შემოსული ლაშქარი 20000 მეომრისაგან შესდგებოდა[3]. და ეს რიცხვი ვგონებ უფრო სწორი უნდა იყოს.

თვით შემოსევის შესახებაც ისტორიკოსთა შორის სრული თანხმობა არა სუფევს, პირიქით, ზოგიერთში აღწერილობას თვალსაჩინო განსხვავება ემჩნევა. რაშიდ ედ ინის სიტყვით, რანში მიმავალ მონღოლებს როდესაც ისინი საქართველოს საზღვრებში შევიდნენ, რომ ამ გზით რანამდის მიეღწიათ, ქართველთა 10000 მეომარი გადუდგა გზაზე და მონღოლებს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდაო. ამისდა მიუხედავად მონღოლები უკან გაბრუნდნენ, იმიტომ რომ საქართველოში ვიწრო გზები იყო და ტყით იყო დაბურულიო. კარგა ხნის შემდგომ (ალბათ გაზაფხულზევე) მონღოლები კვლავ მოვიდნენ საქართველოში, როდესაც დიდი ბრძოლა მოხდა და ისევ მონღოლებმა გაიმარჯვეს, რომლის შემდგომაც დარუბანდის გზით სამშობლოში დაბ-

---

[1] 1220 წ. იხ. В. Бартольд, Туркестан I, 474—475.

[2] ამის გამო ცხადია, რომ მალაქია აბეღა სრულებით შემცდარია, როდესაც ამტკიცებს, ვითომც მონღოლთა პირველი შემოსევა 1214 წ. მომხდარიყო, ხოლო მეორე 1217 წ.: ორივე თარიღი ყოვლად შეუწყნარებელია. მით უმეტეს სრულებით შეუსაბამო და შემცდარია მალაქიას ცნობა, ვითომც მონღოლთა პირველი შემოსევა რუსუდანის მეფობაში მომხდარიყოს. ამას თვით რუსუდან მეფის ზემომოყვანილი 1223 წ. ეპისტოლეც ეწინააღმდეგება [და] დანარჩენ ყველა ისტორიკოსების მოწმობაც.

[3] ემინის გამ. გვ. 186.

რუნდნენ. მაშასადამე, ქართველ-მონღოლთა შორის რაშიდ ედინის სიტყვით ბრძოლა მხოლოდ ორჯერ უნდა მომხდარიყოს.

ლაშა-გიორგის-დროინდელმა მემატიანემაც იცის, რომ ქართველებს მონღოლებთან რამდენჯერმე ჰქონდათ ბრძოლა, მაგრამ მისი აღწერილობა ბუნდოვანია. მაინც იმის სიტყვებითგანაც ნათლადა ჩანს, რომ მონღოლები საქართველოში პირველ შემოსევის დროს ორგზის იყვნენ: ერთხელ, როდესაც „შემოვიდეს... სომხითს და ჰერეთს“ და ქვეყანას „ევნო რამე მცირედი“, ბრძოლა ბალის წყალზე მოხდა და, როგორც ჩანს, ქართველთა სახეიროდ არ გათავებულა, მაგრამ შემდეგ ლაშა-გიორგის „ლმობიერ ქცევითა“ მტერი მაინც „გააქცივნეს და ამოსწყუიდნეს“. მეორედ, როდესაც „გაქცეული“ მონღოლები საქართველოს „მეორესა წელიწადსა“, ე. ი. ერთი წლის შემდგომ კვლავ ეწვივნენ და ბარდავის ჭალას დაიბანაკეს, მაგრამ საქართველოს შეერთებული ჯარი დაუხვდათ და უბრძოლველად უკუიქცნენ და დარუბანდის გზით სამშობლოში დაბრუნდნენო.

მაშასადამე, ქართველი მემატიანისა და სპარსელ ისტორიკოსის ცნობათა შორის იმ მხრივ არის თანხმობა, რომ ერთიცა და მეორეც ამბობენ მონღოლები ორი წლის განმავლობაში საქართველოში ორჯერ იყვნენო, ხოლო არსებითი განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ სპარსელი მონღოლთა უკუქცევის შესახებაც სდუმს და თანაც ამტკიცებს, რომ სწორედ მეორე შესევის დროს მოხდა ქართველ-მონღოლთა შორის დიდი ბრძოლა, რომელიც აგრეთვე ქართველთა დამარცხებით დამთავრდაო.

ქართველმა ქამთააღმწერელმა ორგზის შემოსევის შესახებ თითქოს არა იცის რა და მოთხრობილი აქვს ერთგზისი შემოსევა, რომელიც გაგის დაწიოკებით დაიწყო და საგიმის მახლობლად ქართველთათვის დიდი ბრძოლით დაბოლოვდა.

მალაქია აბეღასაც მოთხრობილი აქვს მხოლოდ ერთგზისი შემოსევის ამბავი და მხოლოდ ერთი დიდი ომი აქვს აღწერილი, გაგის მახლობლად საგამის მინდორის მიდამოებში. პირველი შემოსევის შესახებ მას არაფერი აქვს ნათქვამი.

არც კირაკოზსა აქვს მოხსენებული მონღოლთა ორი შემოსევა, არამედ მხოლოდ ერთი შემოსევა აქვს აღწერილი, სახელდობრ მეორე, როდესაც ქართველ-მონღოლთა შორის დიდი ბრძოლა მოხდა. ამისდა მიუხედავად ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანისა და რაშიდ ედინის მოთხრობა სამართლიანად მიგვაჩნია და გვგონია, რომ პირველ შემოსევის დროს მონღოლები სწორედ ორგზის უნდა სწვევოდნენ საქართველოს.

სპარსელი ისტორიკოსის ცნობა, რომ მონღოლები რანში მიდიოდნენ საზამთროდ და რაკი გზა რანისაკენ მიმყვანებელი საქართველოზე მიდიოდა, მონღოლებმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრები გადმოლახეს და რანისაკენ მიისწრაფოდნენო, ქართველ მემატიანის სიტყვებს, ამ ამბავის თანაშედროვისას, უდგება იმ მხრივ, რომ ისიც ამბობს, რომ სომხითს და ჰერეთს შემოვიდნენ უცხო ფესლნი და ევნო რამე მცირედი.

რ ა შ ი დ ე დ ი ნ ი ამბობს, რანისაკენ მიმავალს მონღოლებს ქართველთა 40000 მეომარი გადუდგა და შეებრძოლაო, მაგრამ ძლეულ იქმნენო. ქართველი მემატიანის სიტყვით საქართველოს ჯარი მონღოლთა ლაშქარს „მიეწია ბალის წყალთა ზედა“ და აქ მომხდარ ბრძოლაში ქართველთ, როგორც ჩანს, მარცხი მოუვიდათ და „პირველი წყლულება მათგან იქმნა“-ო. სად იყო ეს ბალისწყალი არა ჩანს. არსებობს ბალაჩაჲ ანუ ბალასწყალი ეხლაც ეხლანდელს ლენქორანის მაზრაში (5 ვერს. რუკაზე, 3 ₁₀, 66-00, 39-15), მაგრამ ეს ადგილი სომხითსა და ჰერეთზე ძალიან შორს არის. ან იქნებ ქართველ-მონღოლთა შეტაკება მაშინ მოხდა, როდესაც მონღოლთა ლაშქარი სომხითსა და ჰერეთს დაჰშორდა და რანის საზღვრებს მიუახლოვდა? ამას თითქოს გვაფიქრებინებს მემატიანის ზმნა „მიეწია“. მაგრამ იქნებ ქართველ მემატიანის ეს ცნობა მეორე შეტაკებას ეხება და არა პირველს და ბალის წყალი კირაკოზის ბელამეჯს უდრიდეს.

როგორც რ ა შ ი დ ე დ ი ნ ი ამბობს, ქართველ-მონღოლთა პირველი შეტაკება ქართველთა დამარცხებით დამთავრებულა. ეს ლ ა შ ა - გ ი ო რ გ ი ს - დ რ ო ი ნ დ ე ლ ი მ ე მ ა ტ ი ა ნ ი ს სიტყვებითაც მტკიცდება, მცირედი „ევნო“ მათგან ქართველთაო.

იმ დიდი ომის შესახებ, როდესაც საქართველოს შეერთებული მხედრობა დამარცხდა, ისტორიკოსთა შორის მეტი თანხმობა სუფევს. რ ა შ ი დ ე დ ი ნ ი ს სიტყვით ეს დიდი ბრძოლა მონღოლთა საქართველოში მეორე გზის მოსვლის დროს მომხდარა, ბაჲლაქანისა და განძის აღებისა და აოხრების შემდგომ. ქ ა რ თ ვ ე ლ ი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ც ადასტურებს ამ ცნობას იმ მხრივ მხოლოდ, რომ მისი სიტყვითაც მონღოლები ჯერ „მოიწივნეს განძას“, ხოლო შემდეგ „მოიწივნეს საზღვართა საქართველოსთა“. მაგრამ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ნათქვამი არა აქვს, რომ ეს ამბავი მეორე გზის შემოსევის დროს მოხდა.

ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით მონღოლები ჯერ შეესივნენ „ქვეყანასა გაგისა“ და „იწყეს რბევად“. თამარ მეფის ისტორიკოსისაგან ვიცით, რომ ციხე გაგისა მდებარეობდა «ქუემოსა კერძოსა ქუეყანასა სომხითისასა» (ისტ˜რნი და აზნ˜ი* 605, გვ. 375). გაგის პატრონმა ვარამ გაგელმა მტრის შემოსევის ამბავი მაშინვე მეფეს აცნობა. მეფემ სწრაფად 80000 მხედარი შეჰყარაო და გაგის ბოლოს მდგომ მტრის წინააღმდეგ გაეშურა.

მ ა ლ ა ქ ი ა ს სიტყვით საქართველოს ჯარი ნაკლები უნდა ყოფილიყოს და სულ თურმე 60000 მეომრისაგან შესდგებოდა. სომეხთა ისტორიკოსი ამბობს, რომ მეფე თავისი მხედრობითურთ კოტმანის დიდ მინდორთან მივიდა. კოტმანის მინდორი თურმე ტერუნაკანის ციხის წინ ყოფილა გადაშლილი. ხოლო დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის სიტყვებითგან ჩანს, რომ გაგსავით ტერუნაკანიც „სომხითისა ციხე“ ყოფილა და საქართველოსათვის სწორედ დავით აღმაშენებელს შემოუერთებია (ც˜ა მფ˜სა დ˜ვთსი* 543, გვ. 310). მაშასადამე, მ ა ლ ა ქ ი ა ს ეს აღწერილობა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ცნობას კარგად უდგება და ადასტურებს.

კირაკოზ განძაკელის სიტყვით ქართველ-მონღოლთა დიდი ბრძოლა ხუნანის ველზე მომხდარა. სად იყო ეს ხუნანი, თითონ კირაკოზს ნათქვამი არა აქვს. იგი ამბობს, რომ გამაგრებული ბანაკი თათრებს ქ. ბარდავსა და ბელაქანს შუა მდებარე ბელამეჯში ყოფილა, მაგრამ მონღოლები იქითგან დაიძრნენ და ქართველთა მომავალ ჯარის დასახვედრად წამოვიდნენ, თუ იქვე დარჩნენო, ამაზე სომეხი ისტორიკოსი არას ამბობს. ამის გამო კირაკოზის თხზულებითგან არცა ჩანს, სად უნდა ვეძებოთ ხუნანის მინდორი.

ხუნანი ლეონტი მროველის სიტყვით გარდაბანში, ანუ ხუნანის საერისთავოში იყო, რომლის საზღვრად აღმოსავლეთით მდინარე ბერდუჯი ყოფილა, დასავლეთით ქალაქი გაჩიანი და სამხრეთით სომხითის მთები და ჩრდილოეთით მტკვარი[1]. ვახუშტის სიტყვით მის დროს იმ ადგილს, სადაც წინათ ხუნანი იყო, სახელი შეცვლილი ჰქონია. «ხუჯბადინის ქვეით არს ხუნანი, აღმოსავლით და ჩრდილოთ უდის მტკვარი, სამხრით ქცია, აღაშენა ციხე-ქალაქი ქართლს, პირველ ეწოდა მტკვრის ციხე, შემდგომად ხუნანი და აწ მაჰმადიანნი უხმობენ ყიზ-ყალას, დაბის გამო»-ო[2]. ციხე ყიზ-ყალას ნანგრევები ეხლაც შენახულია, 5-ვერსიან რუკაზეც არის აღნიშნული და ქციისა და მტკვრის შესართავთან ახლო მდებარეობს, ორი ვერსით ჩრდილო დასავლეთით, ქციასა და მტკვარს შუა, ქციაზე ცოტა უფრო დაახლოვებულია, ვიდრე მტკვარზე.

თვით ხუნანის ველიც აქვე მახლობლად იქნებოდა. კირაკოზის სიტყვითაც, მაშასადამე, მოპირდაპირეთა შეყრა იმავ ადგილის მიდამოებში უნდა მომხდარიყო, სადაც დანარჩენ ქართველ და სომეხ ისტორიკოსებსა აქვთ დასახელებული.

თვით ბრძოლა ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მომხდარა «წყალსა ზედა ბერდუჯსა», ადგილსა «საგიმად წოდებულსა». ამ ცნობას მალაქიაც ადასტურებს და მასაც ომის ასპარეზად გაგის მახლობლად მდებარე „საგამის მინდორი“ (*դաշտն Սագամայ*) აქვს დასახელებული.

საქართველოს ჯარი მეფე ლაშა-გიორგის მეთაურობით ომისათვის მზადებას შეუდგა. დარაზმული ჯარი საქართველოში მიღებული ბრძოლის წესისაებრ სამად იყო გაყოფილი. მალაქიას სიტყვით მარჯვენითი წვერის მხედართმთავრად ვარამ გაგელი ყოფილა, ხოლო მარცხენითი წვერი ივანე ათაბაგის ხელქვეით იყო. ჯარის მთავარი, შუაგული ნაწილის სარდალი მალაქიას მოხსენებული არა ჰყავს, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ მეფის ხელქვეით უნდა ყოფილიყო.

ქართველებთან შედარებით მონღოლთა სარდლებს ნაკლები ჯარი ჰყოლიათ, ამიტომ მათთვის ცხადი იქნებოდა, რომ ქართველებთან პირისპირ შებრძოლება მათ ხეირს არ დააყრიდა. ამის გამო თუ ქართველებმა თავიანთი მხედრობა სამად გაჰყვეს, მონღოლთა ლაშქრის უფროსებმა, რაშიდედი-

---

[1] იხ. ქრლ ერის ისტორია, II, გვ. 286.

[2] გრგრფია, ბრუს. 168; ჯან. 58—59.

ნის სიტყვით, ორად გაანაწილეს თავისი ხელქვეითნი და იმ დროს, როცა ჯვბე თავისი მეომრებითურთ ჩასაფრებული იყო ქართველთა ჯარის გარეშე-ბოსავლელად, სუბუდაჲ დანარჩენი ლაშქრითურთ ქართველთ პირისპირ უნდა შეჰბრძოლებოდა. სპარსელი ისტორიკოსის ამ ცნობას ქართველი ჟამთააღმწერელიც ამტკიცებს და ამბობს, რომ «ნახევარნი... თათარნი» პირისპირ ომობდნენ, ხოლო «ნახევართა მზირი იყო»-ო.

მონღოლთა ლაშქრის ორად გაყოფას და ერთი ნაწილის ჩასაფრებას კირაკოზიც ადასტურებს.

ქართველთა და თათართა საომრად დარაზმულ ჯარებს შორის მკაცრი და ძლიერი ომი მოხდა ისე, რომ რაშიდ ედინის სიტყვით პირისპირ მებრძოლ მონღოლთა ლაშქარმა თავი ვეღარ შეიმაგრა და უკუიქცა. ამას კირაკოზიც ადასტურებს და ქართველი ჟამთააღმწერელიც ამბობს, «ნახევარნი ივლტოდეს თათარნი»-ო.

ლტოლვილ მტერს ქართველები კვალდაკვალ დაედევნენ, ეგონათ თათრები საბოლოოდ დამარცხებულნი არიანო და უშიშრად და უდარდელად წინ მიიწევდნენ. ამ დროს ჯებე მზირმყოფი ჯარისკაცითურთ ქართველთა მთელს მდევარს ჯარს ზურგით მოექცა და უკანითგან ცემა დაუწყო. ამით გამხნევებული მონღოლთა უკუქცეული ლაშქარიც შედგა და კვლავ ქართველებისაკენ იბრუნა პირი. ორთავ მხრივ მოქცეულმა მტერმა ქართველებს თავს ზარი დასცა, ჯარი შედრკა, აირია და ივლტოდა.

სპარსელი ისტორიკოსის ამ ცნობასაც ქართველი ჟამთააღმწერელი კვერს უკრავს, მონღოლები მდევარ ქართველთა ჯარს «უკანით მოუკდეს»-ო და ამის გამო ბრძოლას ვეღარ გაუძლეს და «ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თვით მეფე ლაშა»-ო. კირაკოზ განძაკელის მოთხრობა ამ ომის შესახებ თუმცა მოკლეა, მაგრამ ამ ადგილას მისი ცნობებიც ზემომოყვანილ ისტორიკოსების მოთხრობას საერთოდ უდგება.

რა გასაკვირველია, რომ ამ ომის დროს «ურიცხვი სული ქრისტიანე», მათ შორის სახელოვანი მებრძოლი ბექა, მეჯურჭლეთ-უხუცესის ყვარყვარეს შვილი, მომკვდარიყო, როგორც ქართველი ჟამთააღმწერელიც ამბობს. თვით სარდლები და საუკეთესო მხედართმთავრები ივანე ათაბაგი და სამცხის სპასალარი სარგის სიკვდილს ძლივს გადურჩნენ. რაშიდ ედინი ამტკიცებს, ვითომც მონღოლებს ერთ წამში ოცდაათი ათასი ქართველი მეომარი დაეხოცოთ, მაგრამ რიცხვი სპარსელ ისტორიკოსს უეჭველია გაზვიადებული უნდა ჰქონდეს. თუ რუსუდან მეფისა და ათაბაგის ეპისტოლეების ცნობა ქართველთა დიდი დამარცხების შესახებ სწორედ ამ ომს შეეხება, მაშინ იმათი სიტყვით ქართველ მოკლულ ჯარისკაცთა რიცხვი სულ 6000 უდრიდა[1].

როგორც რაშიდ ედინის, ქართველი ჟამთააღმწერელისა და კირაკოზ განძაკელის აღწერილობითგანა ჩანს, ქართველთა ჯარის

[1] „interfecerunt VI millia de nostris": მ. თამარაშვილი, ისტ. კათ. გვ. 563—564, შედ. გვ. 7.

დამარცხების მიზეზი მონღოლთა ლაშქრის მოულოდნელი მზირი და გარშემოვლა იყო. ამიტომ მ ა ლ ა ქ ი ა ს ცნობა, ვითომც ქართველთა მარცხი ქართველებს მანასგომის პატრონის ჰამიდულას საქციელს გამოეწვიოს, საეჭვოა და არც დასაჯერებელი არის.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით მონღოლები ქართველთა დამარცხებულს ჯარს უკან დაედევნენ და სამშვილდემდე მოაღწიეს, მაგრამ მერმე „მიერ უკუნ იქცეს". რატომ გაბრუნდნენ გამარჯვებული თათრები, ამის შესახებ ქართველი ისტორიკოსი არას ამბობს. მას აღნიშნული აქვს მხოლოდ, რომ მონღოლები „წარვიდეს გზასა დარუბანდისასა"-ო. ცხადია, ჯებე-სუბუდაჲს ფიქრად არ მოუვიდოდათ, რომ ამ დამარცხების შემდგომ საქმე გათავებული იყო და საქართველო საბოლოოდ დაიპყრეს. მაშასადამე, მონღოლთა მოულოდნელი და სწრაფი უკუქცევის მიზეზად რაიმე დაბრკოლება უნდა ყოფილიყო, რომელმაც ისინი დაარწმუნა, რამდენად სახიფათო იქნებოდა მათთვის საქართველოს შუაგულში შეჭრა. როგორც პირველი შემოსევის დროს, მაშინაც გამარჯვებულთ იგრძნეს საქართველოში ლაშქრობის სიძნელე და გზებიც ვიწრო ეჩვენათ, ტყეებიც მეტად ხშირი აღმოჩნდა. იმგვარადვე მეორე გზის შემოსევის დროსაც, ალბათ, რაღაც დამაბრკოლებელ გარემოებას უნდა აეძულებინა, რომ მონღოლებმა, თუმც გამარჯვებულებმა, საქართველოს თავი მიანებეს და შინ დაბრუნება ირჩიეს.

თუ მ ა ლ ა ქ ი ა ს დაეჯერება, საგიმის ანუ საგამის ომში მონღოლებს სრული გამარჯვება არ რგებიათ. მათ დაუმარცხებიათ საქართველოს ჯარის შუაგული და მარცხენითი წვერი. მართლაც, ქ ა რ თ ვ ე ლ ი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ც ლტოლვილ სარდალთა შორის იხსენიებს მეფე ლაშა-გიორგის, რომელსაც ჯარის შუაგული ექვემდებარებოდა, და ივანე ათაბაგი, რომელიც მარცხენითი წვერის მხედართმთავარი იყო.

მარჯვენითი წვერი, მ ა ლ ა ქ ი ა ს სიტყვით, არამც თუ უვნებელი დარჩენილა, პირიქით თვით მოჰქონდა მონღოლებზე მკაცრი იერიში იმ დროს, როდესაც ქართველთა დანარჩენი ჯარი ასეთს განსაცდელში ჩავარდა. მ ა ლ ა ქ ი ა ამბობს, რომ მარჯვენითმა წვერმა და მისმა მხედართმთავარმა ვარამ გაგელმა დანარჩენი ჯარის დამარცხების ამბავი საღამომდის ვერც კი შეიტყეს და დაუცხრომელი სიმედგრით მისდევდნენ და მიჰხოცდნენო ისე, რომ საგამას მინდორი დახოცილ თათართა მძორით მოიფინაო. იქნებ ამ გარემოებას შეეფიქრიანებინოს მონღოლთა მხედართმთავარნი და დაერწმუნებინოს, რომ საქართველოს დამარცხებისათვის უფრო მეტი ჯარი იყო საჭირო და იმიტომ გაბრუნებულიყოს?

ლ ა შ ა - გ ი ო რ გ ი ს - დ რ ო ი ნ დ ე ლ ი მ ე მ ა ტ ი ა ნ ე ამტკიცებს, რომ პირველი მარცხის შემდგომ „მოხედვითა ღთისათა ლმობიერ ქცევითა მეფისა გიორგისითა" ქართველებმა შემოსეული მონღოლები „გააქციეხეს და ამოსწყუიდნეს". მაშასადამე, კვლავ ბრძოლა უნდა მომხდარიყო და ეს მეორე ბრძოლა კი ქართველთა სასარგებლოდ უნდა გათავებულიყო. ამ ამბავის თანამედროვე ქართველი მემატიანის ზემომოყვანილ ცნობას მეფე რუსუდანისა და ივანე ათაბაგის ეპისტოლეებიც ადასტურებენ. რუსუდანი რომის პაპს ჰონო-

რიუსს ატყობინებს, რომ პირველი დამარცხების შემდგომ, როცა ჩვენ დავრწმუნდით, რომ მონღოლები ქრისტიანები არ იყვნენ, შეერთებული ძალით წინააღვუდეგით და 25000 დავუხოცეთ და მრავალი მათგანი დავატყვევეთ, ხოლო დანარჩენნი ჩვენი ქვეყნითგან უკუვაქციეთო[1]. ივანე ათაბაგიც სიტყვა-სიტყვით ამასვე იმეორებს იმ განსხვავებით, რომ დახოცილ 25000-ს მხედარად იხსენიებს[2].

თუმცა რუსუდან მეფისა და ივანე ათაბაგის ზემოაღნიშნულს წერილებში გაზვიადება ცხადად მოჩანს და დახოცილთა რაოდენობა ყოვლად დაუჯერებელია, რათგან ქართველ ჟამთააღმწერელისაგან ვიცით, რომ სუბუდაგსა და ჯებეს ხელქვეით სულ 12000, ხოლო ვარდანის სიტყვით 20000 მეომარი ყოფილა და 25000-ს ქართველები მონღოლებს საითგანღა მოუკლვდნენ, მაგრამ მეტად საყურადღებოა ძეძატიანისა და რუსუდან — ივანე ათაბაგის ცნობების საზოგადო თანხმობა. თუ მეფე რუსუდანი და მისი ვაზირი უცხო ადამიანისა და მთელი დასავლეთ ევროპის სულიერ მამისა და წინამძღოლის წინაშე კვეხულობდნენ და სიმარილეს მალავდნენ, ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე ხომ თავის თანამედროვეთათვის სწერდა და ვერავის მოატყუებდა. ამასთანავე, თუკი რუსუდანი საქართველოს პირველ მარცხს არ უმალავდა რომის პაპს და პირიქით ატყობინებდა კიდეც, თათრებმა ჩვენს ერს დიდი უბედურება შეამთხვიესო[3], ეტყობა რუსუდანსაც სიმართლის დამალვა საჭიროდ არ მიაჩნდა.

ქართველთა ზემომოყვანილ წყაროების ამ ცნობის არსებითად სიმართლეს ცოტა არ იყოს თვით მონღოლია მოულოდნელი საქციელიც ამტკიცებს, როცა ისინი, რაშიდ ედინის სიტყვით, უცებ საქართველოთგან გაბრუნდნენ და ჩვენს ქვეყანას თავი დაანებეს. ერთი საგრძნობელი დაბრკოლება არსებობს იმ მხრივ, რომ ქართველთა ამ გამარჯვების შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი არც ქართველს ჟამთააღმწერელს, არც კირაკოზსა და მალაქიას. ეს კია, რომ რაშიდ ედინიც არა მალავს, რომ პირველი თავისი გამარჯვებით მონღოლთა სარდლებმა მაინც ვერ ისარგებლეს და იძულებული იყვნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. უნებლიედ საკითხი იბადება, თუ რატომ მოხდა ასე? სპარსელი ისტორიკოსი ბუნდოვანად ამბობს საქართველოში გზები ვიწრო აღმოჩნდა და დაბურული ტყეები იყოო. ცხადია, რომ შემოსეულ მონღოლებს გამარჯვების შემდგომ კიდევ შემთხვევა ჰქონიათ საქართველოში ლაშქრობის მთელი სიძნელე ეგრძნოთ და დარწმუნებულიყვნენ, რომ გზებიც ვიწრო და სახიფათო იყო და დაბურული ტყეებიც მათთვის ნამდვილს საფრთხეს წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, ქართველ-მონღოლთა პირველი შეტაკების შემდგომ, როგორც ჩანს, კიდევ ყოფილა ბრძოლა, რომელსაც მონღოლებისათვის დაუნახავია, რომ მათთვის უკეთესი იყო საქართველოთ-

---

[1] „Collectis viribus insurreximus in eos et interfecimus XXV millia de illis, et cepimus multos ex illis et reliquos fugavimus de terra nostra“: მ. თამარაშვილი, ისტ. კათ. გვ. 564, შეად. გვ. 7.

[2] იქვე. გვ. 564, შეად. გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 563, შეად. გვ. 7.

გან ისევ ადარბაგანში უკან დაეხიათ. თუ ლაშიდედინის ბუნდოვან სიტყვებს ამგვარად გავიგებთ, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანისა და რუსუდან მეფისა და ივანე ათაბაგის ეპისტოლეების ზემომოყვანილი ცნობა ქართველთა გამარჯვების შესახებ სრულებით უსაფუძვლო არ უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ სომეხთა ისტორიკოსს ვარდან ბარძრბერდელს ნათქვამი აქვს, 1222 წ. მონღოლებმა რომ საქართველოში კვლავ შემოსევა დააპირეს და გამოსალაშქრებლად წამოემართნენ კიდეც, მათმა მზვერავებმა ამბავი მოუტანეს, რომ საქართველოს ჯარი მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მზად იყო. და ამ ამბის გაგების შემდგომ შემოსევა ველარ გაბედესო[1].

მონღოლთა ლაშქრის დარუბანდის გზით წასვლის შემდგომ საქართველოში ჩვეულებრივი მყუდროება გამეფდა: ყველას ეგონა, რომ „უცხო ნათესავი“ შემთხვევით შემოიჭრა საქართველოში და ისევ თავის ქვეყანაში დაბრუნდა და მცირე აზიას სამუდამოდ ჩამოშორდაო. ლაშა-გიორგი ეხლა თავის დის რუსუდანის საქმეს შეუდგა.

უკვე წინათაც «დაჲ მათი რუსუდან ითხოვეს ხლათსა დასასმელად დიდმან სულტანმან მელიქმან, რომელსა ეგჳპტით ვიდრე ხლათამდის სპარსეთი ჰქონდა»-ო, ნათქვამი აქვს ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატიანეს.

მაგრამ ეს საქმე ვერ მოხერხებულა: «დაშალა მოწყალებამან ღ(ა)თისმან და არა ყო ესრე»-ო, ამბობს ქართველი მემატიანე.

ეს რომ ჩაშლილა, სილამაზით განთქმული რუსუდანი ეხლა «დიდითა შემოხუეწითა სთხოვა შარვანშა»-მ. მოკრძალება და „დიდი შემოხუეწა“ იმიტომ დასჭირებია შარვანის მფლობელს, რომ საქართველოს მეფის ყმადნაფიცად ითვლებოდა და თავისთავს საცოლოს სწორად ვერა გრძნობდა. მემატიანის სიტყვით, შარვანშას «უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი».

საქმის წესისაებრ მოსაწყობად საქართველოს მბრძანებელმა ჯერ «გაგზავნა შარვანს ქართლისა ერისთავი», ხოლო შემდეგ «თუით გიორგი მეფე ბაგავანს მივიდა გაკაზმად და მიცემად დისა მისისა» (იქვე). ლაშა-გიორგის აკ„ათ დღე“ დაუყვია და თავისი დის ქორწილი, როგორც ჩანს, გადაუხდია კიდეც. ამიტომ უკვე «დრო იყო წასულისა მისისა» და მეფეც წასვლას აპირებდა, რომ სრულებით მოულოდნელად, იმავე ქართველი მემატიანის სიტყვით, «მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა, ქრონიკონი იყო ოთხას[2] ორმოცდა ორი». 1222 წელს, 18 იანვარს, ლაშა-გიორგი ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა წუთისოფელს გამოსალმებია[3].

---

[1] *Պատմութիւն տիեզերական*, ემინის გამ. 187.

[2] ხელნაწერში შეცდომით „რვაასი“ სწერია, „უ“-ის მაგიერ „ყ“ წაუკითხავს (იხ. ამის შესახებ ქ(ა)ლ ერის ისტორია II, 598, 618).

[3] ლაშა-გიორგის-დროინდელი ქართველი მემატიანის ზემომოყვანილი ცნობები რუსუდანის გათხოვებისა და მეფე ლაშა-გიორგის სიკვდილის შესახებ შეტანილია ბარათაშვილისეულსა და დადიანისეულს ქ(ა)ლაში (იხ. მ(ა)ნ დფ(ა)სი ქ(ა)ლ., გვ. 562, 564).

[ლაშა-გიორგის ზოგადი დახასიათება]

უეჭველია, ლაშა-გიორგი სამეფო ტახტის მპყრობელთა შორის თავისი ადამიანური თვისებებით არაჩვეულებრივ პიროვნებად მოჩანს. სამწუხაროდ, მისი ყოველმხრივი, მიუდგომელი დახასიათებისათვის ამჟამად ყველა აუცილებლად საჭირო ცნობები ხელთ არა გვაქვს. ისტორიულ წყაროთაგან შენახულია მისი მეფობის მოკლე აღწერილობა მისდროინდელ მემატიანის თხზულებაში და ქართველი ჟამთააღმწერელის ვრცელ ნაწარმოებში ამ ჭაბუკი მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა, ისევე როგორც პირადი თვისებები, უფრო ვრცლად არის აღწერილი. მაგრამ ჟამთააღმწერელი, ვითარცა XIV ს. პირველი ნახევრის დამლევს მცხოვრები ისტორიკოსი, რასაკვირველია, თანამედროვის მაგიერობას ვერ გაგვიწევს, თუმცა მისი მოთხრობა წერილობით წყაროებზეა დამყარებული და არა-ერთს საგულისხმო ცნობას შეიცავს. თვით ის საისტორიო წყარო, რომლითაც ჟამთააღმწერელს უსარგებლია, შენახული რომ ყოფილიყო, მაშინ ამ ძეგლის თვისებების გამორკვევა შეგვეძლო, ეხლა კი გამოურკვეველი გვრჩება ამ წყაროს როგორც დრო, ისევე ავტორის ვინაობა. ლაშა-გიორგის პიროვნების გამო და გარშემო კი, როგორც ირკვევა, დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვაობა ყოფილა. მისი მეფური და ადამიანური ქცევა სხვადასხვანაირად ყოფილა განსჯილი და დაფასებული, როგორც თანამედროვეთა მიერ, ისევე მომდევნო თაობათა განმავლობაში და მთელ XIII ს. სიგრძეზე ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ბანაკად გაყოფილი ჩანს და ლაშა-გიორგის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა არ დამცხრალა, არამედ, ოდნავ დროგამოშვებით მიყუჩებული, კვლავ უფრო მეტი სიმძლავრითა, ენებათა ღელვით და პარტიული სიმწვავით განახლებულა. ამიტომ ლაშა-გიორგის პიროვნების შესახებ პირუთვნელი, დამშვიდებული, მიუდგომელი მსჯელობა არც მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს შეეძლოთ: ყოველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე თუ ისტორიკოსი უნებლიეთ, ან მომხრეთა, ან მოწინააღმდეგეთა დასში იქნებოდა. ეს მედასეობა ქართველ ჟამთააღმწერელის წყაროსაც ემჩნევა. ეს გარემოება თანამედროვე მკვლევარს მეტად უძნელებს საქმეს, რათგან ლაშა-გიორგის შესახებ სხვა ერთა ისტორიკოსებს, მათ შორის სომხებსაც, ძალიან ცოტა ცნობები აქვთ და, რაც მოეპოვებათ, არც ერთი მისი ადამიანური პიროვნების დახასიათებას არ ეხება, არამედ მხოლოდ სახელმწიფოებრივს, უფრო კი სამხედრო ამბებს გვისურათებენ.

პირადად ლაშა-გიორგი გულადი და კარგი მეომარი იყო: «მშუილდოსანი და ცხენოსანი, გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიკადნა სიმცროსავე შინა სწორნი დავით პაპის-პაპისა მისისანი, ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქუეყანისა ნაყოფთა მოსულისათუის»-ო (ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე). რასაკვირველია, აქ მის მადიდებელ მემატიანეს თავი ვერ შეუკავებია და თავისი ქება-დახასიათება ძალზე გადაუჭარბებია: დავით აღმაშენებელთან ლაშა-გიორგის შედარება, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუფერებელი რამეა. მაგრამ ჭაბუკი მეფე პირადად რომ მართლაც გულადი და უშიშარი ადამიანი იყო, ამას მისი ხასიათის სხვა ბევრი ნაკლის აღმნიშვნელი ჟამთააღმწერელი და მისი წყაროც

მთლიანად ადასტურებენ, მას თავის თხზულებაში ნათქვამი აქვს: «იყო ესე ლაშა-გიორგი მკნე, ახოვანი, ძლიერი»-ო (* 729, გვ. 546). მართალია, მასდავით აღმაშენებლამდე ძალიან ბევრი უკლდა, მაგრამ მის თანამედროვეთათვის, უეჭველია, იმ გარემოებასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ახალგაზრდა მეფემ თავისი დიდებული დედის თამარის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების დაცვა და ყმადნაფიცთა ურჩობის ყოველგვარი ცდის ალაგმვა შესძლო. მისი დედის თანამშრომელ ვაზირთა და მმართველი წრის თვალში ჭაბუკ მეფისათვის დიდი ღირსება და ღვაწლი იყო, თუ გავიხსენებთ, რომ წარსულის დიდი მონაპოვარის შენარჩუნება და გამოყენება ადვილი საქმე არ იყო და რომ თვით ისეთ ძლიერ პიროვნებასაც კი, როგორც დიმიტრი I იყო, თავისი დიდებული მამის დავით აღმაშენებელის ნაანდერძევი საბრძანებლის ხელუხლებლად დაცვა გაუძნელდა.

დედისაგან ლაშა-გიორგის გულკეთილობა და გულწრფელობა ჰქონია დამკვიდრებული. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მის დროინდელ ისტორიკოსს ჭაბუკი მეფე დახასიათებული ჰყავს ვითარცა: «დაჭირვებულთა განმკითხველი ბჭე და მოსამართლე». თავისი დიდებული დედივით ლაშა-გიორგისაც სიკვდილად დასჯა და სხვა დამასახიჩრებელი და შეურაცხმყოფელი სასჯელი სძულებია: «შუიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრაკისა არა მკრველი» იყოო (ლაშა-გიორგის მემატიანე). ამნაირად კულტურულიგანვითარებისა და იურიდიული შეგნების ის მაღალი დონე, რომელსაც საქართველომ XII ს. დამლევსა და მე-XIII ს. დამდეგს მიაღწია და რომელიც მისი დედის მზურვალე მონაწილეობით შეიქმნა, ლაშა-გიორგის არ ჩამოუქვეითებია და ნაანდეოძევი ტრადიცია წმინდად დაუცავს.

ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვით ლაშა-გიორგი იყო «უმანკოგონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა დიდთა და მცირეთა; მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღდელთა მათითა პატივითა, მშუიდი და განურისხებელი ბუნებითა». ამავე ავტორის ცნობით ჭაბუკ მეფესთან «იყუნეს გამგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან (sic) მკარგრძელი ზაქარია მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი ივანე ათაბაგი». მაშასადამე, ისე გამოდის, რომ ლაშა-გიორგის ყველასთან საუცხოოდამოკიდებულება ჰქონია, ყველა თანასწორად და დიდი და მცირე განურჩეველად ჰყვარებია, მშვიდი და წყნარი ხასიათისა ყოფილა და თავისი დედის ვაზირებივე ჰყოლია მრჩეველებად.

ქართველი ჟამთააღმწერელი კი და, უეჭველია, მისი წყარო ლაშა-გიორგის ხასიათზე სულ სხვას მოგვითხრობენ. მართალია, მასაც აღნიშნული აქვს, რომ პირველ ხანებში ლაშა-ვიორგი «იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვი და არავისთვის მოშურნე, მლოცველ, მმარხველ, განმკითხველ და მოწყალე» (* 726—727, გვ. 543). მაგრამ ამ ისტორიკოსის სიტყვებითგან ირკვევა, რომ ჭაბუკ მეფეს თავისი ხასიათის სუსტი თვისებები პირველი ლაშგრობის დროსვე გამოსჩენია. განძის ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლის დროსმან თავისი აჩქარებული, დამოუკიდებელი და თვითნება მოქმედების წყალობით საქართველოს ჯარს საგრძნობი ზარალი ანახა და თავისი თავიც და-

რაზმიც დიდ განსაცდელში ჩაავდო. სახელის მოხვეჭის წყურვილი და აჩქარებული მეომრის რაინდული სულისკვეთება მის ხასიათში სახელმწიფოსა და ჯარის წინამძღოლისათვის აუცილებლად საჭირო სიდინჯეს სჭარბობდა. ბართალია, მისი მოქმედება ყოველთვის გულწრფელი უმანკოებით ყოფილა მოსილი: როგორი გატაცებითაც ის გამარჯვების მონატრული საქართველოს ჯარის მთავარსარდლის დაუკითხავად და უცნობლად მტრის გარშემოვლას შესდგომია, ისევე მხურვალე გულწრფელობითა და თავისი ადამიანური. ჭაბუკური შეცდომის გამოსასწორებლად თავისი მეფური ღირსების დამცირების შიშს არ მოჰრიდებია და, როგორც ჩვეულებრივი რაინდი და პატიოსანი ადამიანი, ცხენიდან ჩამომხტარა და მთავარსარდლისათვის უთხოვნია «შენდობად უმეცრებით ქმნულებისა»-თვის.

მაგრამ შემდეგში ლაშა-გიორგის, ჟამთააღმწერელისა და მის წყაროს სიტყვით, ხასიათი თანდათან გამოსცვლია. ჭაბუკი მეფე დროს ნხიარულად გატარებას შესჩევია: «განისვენებდა ნადირობითა და მსმურთა თანა მიდრკა სიბოროტემდი» (* 727, გვ. 543). წინანდელ „მლოცველო“-ბისა და „მმართველ“-ობის მაგიერ, იგი უკვე «სახეობის მოყუარე და ღვინისა მოყუარე და გემოთ-მოყუარე» გამხდარა და «შეჭცეულ იყო სმასა და ჭამასა» (* 729, გვ. 547).

ხასიათის ასეთი ცვლილება ისტორიკოსის ცნობით თანამოასაკეთა გავლენის შედეგი უნდა ყოფილიყო, რათგან ლაშა-გიორგიმ თურმე თავისი თანამოაზრენი დაიახლოვა და «შეიყარნა თანამოასაკენი მსმურობითა». ამავე დროს ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვები, ვითომც მეფეს თავის ყველა საქმეებში ვამგედ და თანაგამზრახად დედის, თამარ მეფის, ვაზირები ჰყოლოდეს, უკვე სამართლეს აღარ შეეფერებოდა, რათგან თანამოასაკეთა დაახლოვებასთან ერთად მან «განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და მეფისა დედისა [თამარის] წესთა მასწავლელნი» (* 727, გვ. 543—544). ამნაირად ჟამთააღმწერელისა და მისი წყაროს ცნობით «უგუნურნი და უწესონი კაცნი, მეფისა კარსა ზედან ყოფის არა-ღირსნი», თურმე «აწ კარსა ზედა მმეფენი» და გამგებელნი გამხდარან (* 730, გვ. 547).

ჟამთააღმწერელი, ამგვარად, ამბობს, რომ თუმცა ლაშა-გიორგი საზოგადოდ გულკეთილი და მოწყალე ადამიანი იყო, „არავისთვის მოშურნე“ არა ყოფილა, ამასთანავე „განმკითხველ და მოწყალე“ მეფედ ითვლებოდა (იქვე * 727, გვ. 543), მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა, რომ მეტად «ლაღი და თჳთბუნება» (იქვე * 723, გვ. 539), «ლაღი, ამპარტავანი, თავკადი [და] თვითბუნება» (იქვე, * 729, გვ. 546—547), ანუ თვითნება ადამიანი იყო.

როგორც პიროვნება ლაშა-გიორგი მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იმ მცირედი ცნობებისდა მიხედვითაც, რომელიც ქართველს ჟამთააღმწერელს აქვს მოყვანილი ლაშა-გიორგის პირადი თვისებებისა და ცხოვრების შესახებ, მეფე თითქმის თავისუფალ მოაზროვნედ და თავისებურ პიროვნებად მოჩანს. ამ მხრივ ლაშა-გიორგის ცოლქმრობის ამბავი მეტად საგულისხმოა. ჭაბუკი მეფე, ველისციხეში ყოფნის დროს, ერთი გათხოვილი ქალის გასაცბრს სილამაზეს ისე გაუტაცია, რომ თავისი გრძნობა ვერ დაუმორჩილებია და თავისთან წაუყვანია. რაკი მეფემ ეს ქალი ძლიერი გრძნო-

ბიდ „შეიყუარა“, თავისგან აღარ იშორებდა და ცოლად ესვა. ამ ქალისაგან ლაშა-გიორგის ვაჟიც კი ჰყავდა, რომელსაც დავითი უწოდეს (ჟ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი* 728, გვ. 545).

ქართული სახელმწიფო სამართალი და წესი მეფეს ნებას არ აძლევდა თავისივე ქვეშევრდომი ქალი შეერთო: მას უნდა თანამეცხედრედ მეზობელ მეფეთა ასული მოეყვანა, ამასთანავე საქართველოს მეფეთ-მეფეთა გვარეულობის რძლობის ღირსი (იხ. ქლ სამართლის ისტორია I, სახელმწიფო სამართალი).

მეფის პირადი გრძნობა სახელმწიფო სამართლის ამ დებულებაზე უფრო ძლიერი იყო და რათგან კანონიერად ამ თავისი გულის სატრფოს შერთვა არ შეეძლო, ლაშა-გიორგიმ ამიტომ «არა ინება ქორწინება ცოლისა» სრულებით (* 729, გვ. 546). ამის გამო უმაღლეს სამღვდელოებისა და მოხელეობის წარმომადგენელნი, სახელმწიფო ტახტის ბედით დაინტერესებულნი, სთხოვდნენ ლაშა-გიორგის თავისი და საქართველოს დედოფლობის შესაფერისი და ღირსეული თანამეცხედრე მოეყვანა. მას კი მხოლოდ ველისციხელი ქალი უყვარდა და, როგორც ეტყობა, სხვა ცოლი არც უნდოდა. ხოლო რაკი სამღვდელოება სხვის ცოლყოფილთან სჯულიერი შეუღლების ნებას არ აძლევდა, ამის გამო ლაშა-გიორგიმ «არა ინება ქორწინება ცოლისა» (იქვე, * 729, გვ. 546).

ეს საქმე რომ თავიანთდა სასურველად მოეწყოთ, «შეკრბეს კათოლიკოზი, ეპისკოპოზნი და ვაზირნი» და მეფეს მოახსენეს: «არა ჯერ არს, რათა მკევალი გესვას და არა ცოლი»-ო (იქვე). მეფის წინაშე წამდგარნ მოუგონებიათ ამასთანავე საღმრთო სჯულის სიტყვები: «პირველვე ქალწული წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მსიძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან»-ო (იქვე).

ლაშა-გიორგიზე ვერც ამ საუბარს უმოქმედია, არც იმ სასჯელს შეუშინებია, რომელსაც საღმრთო წერილი უქადდა მსიძავთა და მრუშებს. ლაშა-გიორგიმ მოსულთ თურმე ცივი უარი უთხრა: «მეფესა არა ენება», თურმე «არცა უსმინა ამისთჳს» (იქვე) და ველისციხელ საყვარელის მოშორება არ მოინდომა. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვები, რომ მეფე მოყვარული იყო «მონაზონთა და მღდელთა მათითა პატივითა», მისი მათდამი სრული მორჩილების მნიშვნელობით არ უნდა გვესმოდეს. პირიქით, როგორც ამ გარემოებითგანა ჩანს, სამღვდელოების გავლენა ლაშა-გიორგის არ დასტყობია, არც მაინცდამაინც დიდი პატივისცემა გამოუჩენია, რათგან მას მათი ზნეობრივი დარიგების მოსმენაც კი არ მოუნდომებია.

რაკი თხოვნით და ჩაგონებით ვერა გააწყეს რა, უმაღლესმა სამღვდელოებამ უკიდურესს საშუალებას მიჰმართა და «წარგვარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს» (იქვე). საქართველოს მმართველ წრეებს უნდოდათ ამ გზით მეფე აეძულებინათ სჯულიერი თანამეცხედრე ეყოლა. მაგრამ მოტყუვდნენ: ლაშა-გიორგიმ თავის გულის სატრფოს ამის შემდგომაც არ უღალატა და «არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებელად» (იქვე).

ეს მონათხრობი ჟამთააღმწერელისა და მის წყაროს მოგონილი ამბავი არ არის, ამ მოთხრობის სიმართლე, როგორც შემდეგში თავის ადგილას დავრწმუნდებით, სხვა წყაროებითაც მტკიცდება. მაგრამ ამ გარემოებას თვით ამ ჭაბუკი მეფის თანამედროვის მოწმობაც ადასტურებს: ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატიანესაც აღნიშნული აქვს, რომ ჭაბუკ მეფეს «არა დარჩა ცოლსა თანა გჳრგჳნისა შვილი». მას რომ საზოგადოდ შვილი და სატრფო არ ჰყოლოდა, ისტორიკოსი, რასაკვირველია, ასეთ წინადადებას არ დასწერდა. ცხადია, მის მაქებელ მემატიანესაც სცოდნია, რომ ლაშა-გიორგის ვაჟიშვილი დარჩა, მაგრამ მას არ იხსენიებს, რათგან მისი თვალთსაზრისით ეს ძე სათვალავში მისაღები არ იყო, ვინაითგან ის „ცოლსა თანა გჳრგჳნისა“ არ იყო შობილი, არამედ უკანონო შვილად ითვლებოდა.

ლაშა-გიორგი, გარკვეული დროითგან, როგორც აღვნიშნეთ, მხიარულობისა და გასართობის მოყვარული ჭაბუკი ყოფილა. ჟამთააღმწერელი ამბობს: მეფე «სახეობისა მოყუარე და ღვინის მოყუარე და გემოთ მოყუარე» იყო (* 729, გვ. 547). მემატიანის სიტყვით ლაშა-გიორგის ვითომც დედათა სქესის ტრფიალი ჰყვარებია და ჰქონებია «გულისთქმის მიერ შემწველობა დედათა მიმართ» (იქვე, * 727, გვ. 545). ამიტომაც იყო, რომ მას «ვერ არწმუნეს ცოლისა სმა»-ო (იქვე *, 727, გვ. 544—545). მაგრამ ჟამთააღმწერელის ამ სიტყვებს მისივე მეორე ზემოაღნიშნული ცნობა ეწინააღმდეგება ლაშა-გიორგის ძლიერი სიყვარულის შესახებ ველისციხელი ქალისადმი, რომლის მოშორება მას არასგზით არ უნდოდა და უქორწინებელიც კი დარჩა.

ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს, რომ მეფეს ქეიფიც ჰყვარებია. ლაშა-გიორგიმ «შეიყარნა თანამოსაკენი მსმურობითა დედათა უწესოთა თანა აღრევად»-ო (იქვე, * 727, გვ. 544). ერთხელ მეფე ამ სმასა და დროსგატარებაში «ესოდენ უსახურობად მიიწია», რომ უკვე შეზარხოშებული «მსმელ ფრიადისა ღვინისა თაფლუჭისა» თანამოჰასაკეებმა «წარიყუანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი» (იქვე). ჩვეულებრივ მომაკვდავივით მყოფი ლაშა-გიორგი რინდთ ვერ უცვნიათ და «რინდნი მუნ მეფისა მისვლისა არა-მგონებელნი და ღვინით უცნობო ქმნილნი» შელაპარაკების დროს მეფეს «ზედამოეტევნეს მგუემელნი ძლიერად, ვიდრემდე ერთიცა თვალი მარჯვენე ხედვისაგან უხედვო ყვეს»-ო (იქვე).

იქნებ მთელი ეს ამბავიც ლაშა-გიორგის მოწინააღმდეგე დასისაგან შეთხზული ცილისწამება იყოს და ნამდვილად არაფერი ამის მსგავსი არ მოხდარიყოს? აღსანიშნავია, რომ XIII ს. სომეხთა და სპარსელთა ისტორიკოსები ასეთს არაფერს მოგვითხრობენ, თვით ეს ზემოაღწერილი ამბავი კი იმდენად სრულებით არაჩვეულებრივი და მეფისათვის საუბედო იყო, რომ ის უეჭველია გახმაურდებოდა და მემატიანეებსაც აღუნიშვნელი არ დარჩებოდათ. ეს გარემოება, მეზობელ და სომეხ ისტორიკოსთა სრული დუმილი ამ ამბის შესახებ, ჟამთააღმწერელის მოთხრობის სიმართლეს სათუოდა ჰხდის. მაგრამ მაინც დამახასიათებელია, რომ ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატიანეს საჭიროდ უცვნია თავის თხზულებაში ჭაბუკ მეფეზე განეცხადებინა: «ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუენო-

დ ი ს»-ო. ისტორიკოსის ეს ორი გამონათქვამი გვაფიქრებინებს, რომ მემატიანის შექება მის თანამედროვეთაგანს ბევრს შესაძლებელია ტყუილად სჩვენებოდა, რათგან ჭაბუკი მეფის პირად თვისებებს ისეთი წუნიც ედებოდა, რომლის მცოდნეს თავისი ქებისავე უნდა შერცხვენოდა. მემატიანე ამ ჯგუფის აზრს არ იზიარებდა და ლაშა-გიორგის პიროვნება უმწიკვლოდ მიაჩნდა ისე, რომ მეფის სიკვდილის შემდეგომაც ის გაბედულად აცხადებდა «ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა»-ო, მაგრამ მაინც ისტორიკოსის თავის მართლება ჰმოწმობს, რომ ჭაბუკი მეფის სახელის გარშემო ქების მაგიერ გმობაც ისმოდა. ამიტომ ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა და, უეჭველია, მისი წყაროს ზემომოყვანილი დახასიათების მთლად უსაფუძვლო ზღაპრად მიჩნევა არ შეიძლება.

ორი ქართული საისტორიო წყაროს ასეთი შეუთანხმებლობა ლაშა-გიორგის პიროვნების დახასიათების დროს, შემდეგ სომეხ ისტორიკოსთა მდუმარეობა ჭაბუკი მეფის სააუგო ყოფაქცევის შესახებ, თანაც თვით ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა გ ა ნ მოთხრობილი ზოგი ცნობები თანამედროვე მკვლევარს მსჯელობის დროს ფაღრეს სიფრთხილეს უჭარნახებს და ავალებს წყაროთა მსჯელობის ამ უთანხმოებას სათანადო განმარტება მოუძებნოს.

ლაშა-გიორგის პიროვნების დახასიათების დროს რომ მარტო ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს მოთხრობას დავემყაროთ, მაშინაც ცხადი შეიქნება, რომ მეფე თავისუფალი მოაზროვნე უნდა ყოფილიყო: ქორწინების ჩვეულებრივ წესს, საეკლესიო ჯვარისწერას, ის თავისთვის სავალდებულოდ არ სთვლიდა, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისის მაგიერ მას, თუმც მეფესა და საქართველოს მართვა-გამგეობის მესაჭეს, მხოლოდ პირადი გრძნობა, ძლიერი პირადი სიყვარული ამოქმედებდა და ამის მიღწევისათვის სხვისი ოჯახური ბედნიერებისა და მყუდროების დარღვევასაც არ დაჭრიდებია. ყოველგვარი დაბრკოლებისდა მიუხედავად, ის თავისი გულის სატრფოს სიკვდილამდე ერთგული დარჩენილა და ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მისი, ვითარცა საქართველოს სახელმწიფოს მეფის, მოვალეობა იყო ტახტის კანონიერი მემკვიდრის არსებობაზე ეზრუნა.

ლაშა-გიორგის, როგორც ეტყობა, ზნეობრივობის ჩვეულებრივი მოძღვრებაც არაფრად მიაჩნდა და, როდესაც მას აგონებდნენ, რომ არამცთუ მეფეს, ჩვეულებრივ ადამიანსაც კი სხვისი ოჯახური მყუდროების შერყევა არ შეეშვენის, მას ამაზე საუბრის მოსმენაც არ ჰნებავდა. ბოლოს და ბოლოს, როდესაც მის პირად რწმენაზე მიდგებოდა საქმე, ლაშა-გიორგის არც საამღვდელოებისა ერიდებოდა, მისი არამცთუ პატივისცემა, ამ შემოხვევაში ოდნავი გავლენაც კი ჭაბუკ მეფეს არ ეჰჩნევა. ამავე დროს ის „სახეობის“, მხატვრული სანახაობის, მუსიკისა, უეჭველია, ალბათ, პოეზიისაც და ყოველგვარი გასართობის მოყვარული ყოფილა საერთოდ და, როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, ქეიფს, მხიარულ დროსგატარებას თავის თანამოაზრეთა და თანამოასაკეთა წრეში ეტანებოდა. ეს მისი თანამოასაკენი თავიანთ ხერი „რინდთა“ წრესთან ყოფილან დაახლოებულნი. დასასრულ, ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით, ლაშა-გიორგიც, თავის თანამოაზრეთა და „რინდთა“

მსგავსად, სქესობრივ გრძნობათა სფეროშიაც ჩვეულებრივი ზნეობრიეობის დაცვას საჭიროდ არ სცნობდა და თავშეუკავებელი იყო. ეს უკანასკნელი ცნობა, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამავე ისტორიკოსისავე მოთხრობას მისი ძლიერი სიყვარულის შესახებ თავის სატრფოსადმი როგორღაც ვერ უდგება და ამ ცნობას რაიმე განმარტება სჭირდება. ამის გაგება გაგვიადვილდება, თუ „რინდთა“ ვინაობა გვეცოდინება.

ვინ უნდა ყოფილიყვნენ ის „რინდნი“, რომელთა წრესა და საზოგადოებაში ყოფნა მეფე ლაშა-გიორგისათვის ჟამთააღმწერელსა და მის წყაროს საძრახისად და სამარცხვინოდ მიაჩნდათ? მათივე სიტყვებითგანაჩანს, რომ ისინი ლოთობის მიჰდევარნი ყოფილან და მათ წრეში «დედათა უწესოთა თანა აღრევა» იშვიათი შემთხვევა არ ყოფილა და იქვე მიდიოდნენ თანამოაზრენი, «რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი» (* 727, გვ. 544). ასეთ რინდ. მართლაც მემთვრალეს, მსმელს, ლოთსა ჰნიშნავდა.

მაგრამ აბა ყური დავუგდოთ, რას ამბობს რინდების შესახებ სპარსეთის გამოჩენილი მგოსანი ჰაფიზ-ი თავის ღაზალში. بازدرون پرزندان پرس مست მაშასადამე „რინდი“ უბრალო ლოთი კაცის სახელი კი არ ყოფილა, არამედ რომელთაც იმქვეყნიური, ზეშთაბუნებრივი სამყაროს საიდუმლოება იცოდნენ და ეკითხებოდათ.

ამ მნიშვნელობით ნახმარი „რინდი“-ს შესახებ საკითხი სპარსულ სუფიობის მოძღვრებასთან არის დაკავშირებული. სუფიობა მისტიკურ-ფილოსოფიური, ან უფრო თეოსოფიური მსოფლმხედველობის მოძღვრება იყო, რომელიც თავდაპირველად მაჰმადიანობის წიაღში გაჩნდა და მასთან დაკავშირებული იყო. უკვე პირველ საუკუნეშივე მუჰამმედის სიკვდილის შემდგომ, როდესაც ისლამის თეოლოგია საბოლოოდ ჩამოყალიბდა, ამ სარწმუნოების დაკანონებული მოძღვრება ზოგ მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობისა და ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ საიდუმლოებათა განმარტება-გაგების მაძიებელთ ისლამის თეოსოფია აღარ აკმაყოფილებდა. ჯერ კიდევ წარმართობის დროს შუამდინარეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ადგილებში სხვადასხვა მისტიკური სარწმუნოება იყო გავრცელებული და მაჰმადიანობის გავრცელებისა და გაბატონების შემდგომაც მათი კვალი, უეჭველია, შერჩენილი უნდა ყოფილიყო. ისლამის წიაღში თვით არაბთა, ან გაარაბებულთა შორის მისტიკური მიმართულების გაჩენა ნაწილობრივ ამითვე უნდა აიხსნას. ამნაირი სულიერი და სარწმუნოებრივი ბიდრეკილების პირნი მაცდურ ქვეყნისაგან განშორებას ცდილობდნენ, ხანგრძლივ მხურვალე ლოცვა-ვედრებას ეტანებოდნენ და ზეშთაბუნებრივი ძალისა, იმქვეყნიური სამყაროსა და ზეობრივ-სარწმუნოებრივი სისრულის მიღწევაზე ფიქრსა და ოცნებას ეტანებოდნენ. ეს მისტიკური მიმართულება მაჰმადიანურ მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგე კი არ იყო, არამედ თავდაპირველად არაბ მუსლიმანებს მის შემავსებლად და გამაღრმავებელად მოეკლინათ. ამ მისტიკური მიმართულების უძველეს და სახელოვან წარმომადგენელთა შორის ცნობილი არიან აბუ საგიდ ჰასან ბასრელი, რომელიც გარდაიცვალა 728 წ. ქ. შ., მისი ორი მოწაფე და

ხვებიც. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულების წარმომადგენელთაგან განთქმული იყო ქალიც რაბიგე-ი-გადავიჯე ბასრელი (გარდ. 801 წ. ქ. შ.), რომელმაც მეკაში გამგზავრებასა და წმიდა ადგილების მოლოცვას სრული 14 წელიწადი მოანდომა.

აბუ-საგიდ ბენ-აბულხაირ-ის ლექსების გამომცემელს პროფ. ჰერმან ეთე-ს აღნიშნული აქვს, რომ ამ გამოჩენილი სუფიის პოეტურ თხზულებებში ბევრგან აზრის გაგნება ძნელი ხდება და გამონათქვამები ბუნდოვანი აქვს ისე, რომ ძნელი გასარჩევია, ნამდვილი ხორციელი სიყვარული იგულისხმება, თუ ღვთიურს, იმქვეყნიურ, ან ღვთაებისადმი აღფრთოვანებულს სიყვარულზე აქვს საუბარი, წითელ ღვინით შეზარხოშებასა და გარინდებაზე ლაპარაკობს, თუ ღვთივმონაბერსა და ღვთაებისადმი აღმაფრენით გამოწვეულ განკვირვებასა და გარინდებას ჰგულისხმობს. ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის მის პოეტურს შემოქმედებაში ზღვარი არა ჩანს და სინამდვილე და მისტიკა ისეთი გასაოცარი ხელოვნებითა და მომხიბლავი მშვენიერებით არის ერთიერთმანეთში გადახლართული, რომ ადამიანი მის შემოქმედებაში საუცხოვო და უნაზესი გრძნობით გამსჭვალულ ამქვეყნიურს სიყვარულსა და ცხოვრების სიამოვნების დაუშრეტელ წყურვილსაც განსჭვრეტს და ზეშთაბუნებრივ საიდუმლოების ძიებითა და ღვთაების აღმაფრენით გატაცება-ქებათა-ქებასაც დაინახავს. ეს მისტიკოს-სუფიების პოეტური შემოქმედების საერთო თვისებაა, რომელიც მას წინათაც და ეხლაც ასე მომხიბლავ ელფერსა სდებდა. მისი თეოსოფიური მრწამსი მაინც ყოველსაკე ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ ჯილდოს არარაობად სთვლიდა, სარწმუნოების ყოველსაკე დოგმებსა და სავალდებულო წესებს უარჰყოფდა და მხოლოდ თავის არსების ღვთაებასთან განუყრელად ყოფნისადმი მისწრაფებას აღიარებდა.

განთქმული მეცნიერი მკურნალი და ფილოსოფოსი აბუ-გალი იბნ-სინაც (983—1037 წ.), რომლის სახელი დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეებში ავიცენა-დ გადააკეთეს, მისტიკური მიმართულების მოძღვრების მიმდევარი და მელექსეც იყო. მაგრამ, ვითარცა მეცნიერსა და ფილოსოფოსს, მას ამ მისტიკურ პოეზიაში სკეპტიკური და პესიმისტური ჰანგებიცა აქვს შეტანილი და ხან მართლმადიდებელ მაჰმადიანობის რწმენას დასცინის, ხან თვით გარინდებულ სუფიებსაც არ ინდობს და სასაცილოდ იგდებს. სკეფსისსა და ამქვეყნიურ-იმქვეყნიურ საიდუმლოების ძიების უნაყოფოების გრძნობით გამოწვეულ პესიმიზმს უკვე თავის დაღი დამჩნეული აქვს.

ღიჯას-უდდინ აბულფას ომარ ბენ იბრაჰიმ ალხაჯჯამ, რომელიც ჩვეულებრივ შემოკლებით ომარ ხაჯჯამ-ად იწოდება და გამოჩენილი ვარსკვლავთმრიცხველი და მათემატიკოსი იყო, თანაც სპარსეთის ერთ-ერთ საუკეთესო მგოსნადაც ითვლებოდა, აგრეთვე სუფიების მოძღვრების მიმდევარი და მქადაგებელი იყო. მას ეკუთვნის განთქმული ოთხსტრიქონიანი ტაეპები, რომელთაც „რუბაგჯ“ ეწოდებოდა და რომლებშიაც სპარსთა ამ დიდ მგოსანსა და მოაზროვნეს თავისი გრძნობა, რწმენა და პოეტური შემოქმედება გასაოცარი სიღრმითა და მიმზიდველობითა აქვს გამოხატული. სპარსეთში იშვიათად თუ მოიძებნება სხვა მგოსანი, რომლის ნაწარმოები ისე

გავრცელებული იყოს და განათლებული საზოგადოებისათვის ესოდენ საყვარელი საკითხავი იყოს, როგორც ომარ ხაიამი და მის ტაეპებია. მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ მის თხზულებათა პირვანდელ შემადგენლობის დამახინჯება-შერყვნას ხელი შეუწყო და დროთა განმავლობაში გატაცებულ მკითხველთაგან ომარ ხაიამის ლექსთა კრებულში სხვა მსგავსი და მონათესავე მიმართულების მგოსნების ტაეპებიც ჩართულ იქმნა. ამნაირად, ომარ ხაიამის კრებული თანდათან დიდდებოდა და მრავალფეროვანი შინაარსისა ხდებოდა. ამ გარემოებამ ომარ ხაიამის პირადი მსოფლმხედველობის გამორკვევა მეტად გააძნელა, რათგან, არაერთი გამოცემისა და თარგმანების არსებობისდა მიუხედავად, ჯერაც მის თხზულებათა კრიტიკული გამოცემა არ არსებობს. პროფ. ვალ. ჟუკოვსკიმ თავის საყურადღებო მონოგრაფიაში „Омар Хайям и «странствующие» четверостишия", „ომარ ხაიამ-ი და «მოარული» ტაეპები", რომელიც 1897 წ. გამოვიდა (იხ. المظفر Сборник статей учеников проф. Виктора Романовича Розена ко дню двадцатипятилетия его первой лекции, გვ. 325—363); გამოარკვია, რომ მისი სახელით ცნობილ ლექს-ტაეპთა კრებულის ერთი მეხუთედი მისი არ ყოფილა, არამედ სხვა ხელთნაწერებში 39 სხვადასხვა მგოსნის გამოთქმულად ითვლებარათგან ტექსტის ამნაირი კრიტიკული შესწავლა მხოლოდ დაწყებულია, ამიტომ ამ ჩანართი ტაეპების რიცხვი შეიძლება გამრავლდეს. ამის შესაძლებლობის შიშმა პროფ. ვალ. ჟუკოვსკი სკეფსისის სრულ უკიდურესობამდე მიიყვანა და მან ომარ ხაიამის ყოველი ტაეპის საეჭვოდ და ჩანართად მიჩნევა შესაძლებლად სცნო (გვ. 363).

جهان چو گل وجود ما را آراست دانست زفعل ما چه خواهد برخاست
پس سوختن قیامت از بهر چه خواست حکمش نیست هر گناهم که مراست
(ომარ ხაიამი, 15)

ომარ ხაიამის ტაეპთა შორის მოყვანილია, რომელიც პროფ. ვ. ჟუკოვსკის სიტყვით ჰაფიზის თხზულებათა შორისაც იხსენიება:

دل سر حیات اگر کماهی دانست درموت هم اسرارا الهی دانست
اکنون که توباخودی ندانستی هیچ فردا که زخود روی چه خواهی دانست
(ომარ ხაიამი, გვ. 8)

ما کافر عشقیم و مسلمان دگر است مامور ضعیفیم و سلیمان دگر است
از ما رخ زرد و جامه کهنه طلب بازارچه قصب فروشان دگر است
(ომარ ხაიამი, გვ. 9). ეს ტაეპი პროფ. ვ. ჟუკოვსკის სიტყვით ჯალალ-ალ-დინ რუმის თხზულებათა შორისაც იხსენიება ხელთნაწერებში.

در صومعه و مدرسه و دیر و کنشت ترسنده ز دوزخند و جویای بهشت
انکس که زاسرار خدا باخبر است این تخم در اندرون خود هیچ نکشت
(رباعیات حکیم خیام)
(პეტერბ. გამოცემა, გვ. 7)

هر دل که در او نور محبت بسرشت گرساکن مسجد است و گر زاهل کنشت
در دفتر عشق هر کرا نام نوشت آزاد زدوزخست فارغ ز بهشت (ეკეთ. ۹)

بتخانه و کعبه خانهٔ بندگیست ناقوس زدن ترانهٔ بندگیست محراب و کلیسیا
وتسبیح و صلیب حقا که همه نشانهٔ بندگیست

(ეკეთ, გვ. ۹).

صد کعبه آب و گل بیکدل نرسد کعبه چه روی بدر دلبرا دریاب.

(ომარ ხაიამი, გვ. ۲)

گویند مخور باده شعبان نه رواست نه نیز رجب که آنمه خاصّ خداست
شعبان ورجب مه خداهست و رسول ماه رمضان خوریم کان خاصهٔ ماست

(ომარ ხაიამი, გვ. ۱۵).

თავი მეოთხე

რუსუდან მეფე

[რუსუდანის გამეფება]

ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით ლაშა-გიორგის სიკვდილის წინ დიდებულნი დაუბარებია და მათთვის თავისი უკანასკნელი ანდერძი უთქვამს. მომაკვდავი მეფის ცხედრის გარშემო შეკრებილ «ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათა შევედრა დაჲ ოვისი რუსუდან» (იქვე, *740, გვ. 563). ლაშა-გიორგიმ მათ სხვათა შორის თურმე უთხრა: «თქვენ მკვიდრთა საქართველოსთა... მიგითვალავ დასა ჩემსა რუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფე ჰყოთ»-ო (*741) გვ. 563). მეფის ანდერძისაებრ მის დას თითქოს მხოლოდ დროებით, მისი მცირეწლოვანი შვილის სოულჰასაკობამდის მოყრამდე, უნდა სჯეროდა საქართველოს სახელმწიფო ტახტი. ამიტომ მან იმავე წარჩინებულთა წინაშე რუსუდანსაც ანდერძად დაუტოვა და სთქვა: «დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღ~თისა სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღიზარდოს შვილი ჩემი დავით, ხოლო, რაჟამს ეძლოს მეფობა და მჴედრობა, რომელ დავით მეფე ჰყოს და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკჳდრედ მეფობისა ჩემისა»-ო (იქვე, *741, გვ. 563—564).

ამ ანდერძისდა თანახმად რუსუდანი თითქოს მხოლოდ დროებითი მმართველი უნდა ყოფილიყო საქართველოსი, მაშასადამე, იმდენად მეფედ ვერ ჩაითვლება, რამდენად მცირეწლოვან მემკვიდრის მზრუნველად და პატრონად და ამ მცირეწლოვანობის გამო აგრეთვე სახელმწიფოს უზენაეს გამგედ.

ლაშა-გიორგის რომ ამგვარი ანდერძი მართლაც დაეტოვებინა და თუ ეს მერმინდელი ისტორიკოსის შეთხზული არ არის, მეფის აზროვნობისათვის იგი მეტად დამახასიათებელი იქნებოდა. როგორც ვიცით, მას „სჯულიერი" თანამეცხედრე არა ჰყოლია და საქართველოში ლაშა-გიორგის შეუღლება ველისციხელ მანდილოსანთან არავის, — არც სამღვდელოებას და ვაზირთა და დანარჩენ დიდებულებს, — კანონიერ ცოლქმრობად არ მიაჩნდა და ისინი თვით მცირეწლოვან ძესაც ამიტომ მეფის კანონიერ შვილად და ტახტის მემკვიდრედ ვერ მიიჩნევდნენ.

ლაშა-გიორგი, როგორც უკვე დავრწმუნდით, თავის სიყვარულისა და სატრფოს შესახებ სულ სხვანაირად მსჯელობდა: მას ველისციხელი ქალი თავის თანამეცხედრედ მიაჩნდა და მისგან შეძენილ ძესაც თავის ნამდვილ შვილად და ჟამთააღმწერელის მოთხრობით ისე გამოდის თითქოს კანონიერ მემკვიდრედაც სთვლიდა. იგი ფიქრობდა, რომ მხოლოდ მცირეწლოვანობა

უშლიდა მის შვილს დავითს, რომ საქართველოს სახელმწიფო ტახტის კანონიერი მპყრობელი გამხდარიყო. ცხადია, რომ ქართველ წარჩინებულთაგან და „მკჯდრთაგან“ მეფის ამ აზრს ბევრი ვერ დაეთანხმებოდა და არც შეიწყნარებდა, მეტადრე ისინი, რომელნიც ლაშა-გიორგის გულითად სატრფოისა და დავითის დედის წაგვრაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. მაგრამ თვით მეფის თავისუფალ აზროვნობას ეს საუცხოოდ ახასიათებს. ის გარემოება, რომ ლ ა შ ა - გ ი ო რ გ ი ს - დ რ ო ი ნ დ ე ლ ი მ ე მ ა ტ ი ა ნ ე, ჭაბუკი მეფის თანამოაზრე და მაქებელი, მის მცირეწლოვან ძეს არ იხსენიებს, დავითის ტახტის მემკვიდრედ დატოვების შესახებაც არაფერს ამბობს და მხოლოდ რუსუდანზე ამყარებს საქართველოს სახელმწიფოს მთელ იმედებს, ჟ ა მ თ ა - ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა და მის წყაროს ცნობას ლაშა-გიორგის ანდერძის შესახებ საეჭვოდა ჰხდის და მერმინდელ შენათხზად გვაფიქრებინებს.

მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობა ლაშა-გიორგის მიერ თავისი უკანონო შვილის შესახებ დატოვებული ანდერძის თაობაზე სრულებით უსაფუძვლო არ ყოფილა. მაგრამ მერმინდელს გარდმოცემასა და განსაკუთრებით დავით ლაშა-გიორგის ძის მონ ხრე ჯგუფსა და დასს თავის ბიზნებისა და თვალსაზრისის სასარგებლოდ გადაუკეთებია და გაუზვიადებია. ჯერ კიდევ 1246 — 7 წ. ქართველ მოწინააღმდეგე მებრძოლ წრეებისაგან პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ს ამ ანდერძის შესახებ იმაზე მეტის არაფრის თქმა არ შეეძლო, რომ მამას, ცხადია გიორგი ლაშას, თავისი უკანონო შვილისათვის თავისი მიწების ერთი ნაწილი დაუტოვებია[1].

ქართველ ერს დიდებული თამარის შემდგომ რასაკვირველია ქალის მეფობა არ ეუცხოვებოდა, მაგრამ, რაკი ქალს სახელმწიფო ტახტზე მხოლოდ იშვიათს და განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო ასულიყო, ამიტომ უეჭველია რუსუდანის გამეფების შესახებ საქართველოს მკჯდრთა და წარჩინებულთ ამაზე საგანგებო ბჭობა უნდა ჰქონოდათ.

ქართველ ჟამთააღმწერელს კი ამის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. ლაშა-გიორგის დასაფლავების შემდგომაო, მოთხრობილი აქვს მას, «შეკრბეს წარჩინებულნი ამის სამეფოსანი [იმერნი] და ამერნი კათოლიკოზთა ორთავე(?) წინაშე ნიკოფსით დარუბანდამდე ყოველნი მორჩილებასა მათსა ქვეშე მყოფნი და მეფე ყვეს რუსუდან, დასუეს საყდართა სამეფოთა და მოულოცეს მეფობა წესისაებრ»-ო (იქვე, *742, გვ. 564).

ამ აღწერილობითგან ნათლად ჩანს, რომ რუსუდანის გამეფების დროს მეფედ კურთხევისა და დაგვირგვინების წესი მთლად ყოფილა აღსრულებული და რუსუდანისათვის საქართველოს წარჩინებულთ „მეფობა“ მიულოცნიათ. სახელმწიფოს დროებითი მმართველისა და სამეფო ტახტის მზრუნველისა და პატრონისათვის უეჭველია მეფედ კურთხევა „წესისაებრ“ საჭირო არ იქნებოდა. და თუ რუსუდანმა თვითონაც მოინდომა მეფედ კურთხევის წესის აღსრულება და დიდებულთაც ამის ნება მისცეს, მაშ იმთავითვე გადაწყვე-

---

[1] „Filio adulterae terrae partem relinquebat pater (იქვე) ბერჟერონის გამოცემა: le pére en mourant avait laissé au bâtard une partie de sa terre (გვ. 57).

ტილი ყოფილა, რომ რუსუდანის მეფობა დროებითი არ არის და სამეფო ტახტიც კანონიერად მას ეკუთვნის.

ყურადღების ღირსია, რომ თავის გამეფების ამბავი რუსუდანმა რომის პაპს ჰონორიუსსაც აცნობა და მისწერა: „ვაუწყებთ სიწმიდესა შენსა, რომ ძმა ჩემი, მეფე ქართველთა, მიიცვალა და სამეფო მისი მე დამრჩა“-ო[1]. საგულისხმოა, რომ მცირეწლოვანი მემკვიდრის შესახებ არაფერი აქვს რუსუდანს ნათქვამი და ისე გამოდის, რომ სამეფო მხოლოდ მას დარჩა. განსვენებული მეფის მცირეწლოვან მემკვიდრის შესახებ არც ივანე ათაბაგის წერილშია რამე ნათქვამი, მისი ხსენება არც იქ არის[2].

სულ სხვა მხრივ არის დამახასიათებელი და საყურადღებო ივანე ათაბაგის სიტყვები ამავე საგნის შესახებ. თუ თვით რუსუდანი დასავლეთ ევროპის უზენაეს მწყემსმთავარს სწერდა მეფობა მე დამრჩაო, ივანე ათაბეგი კი თავის მხრივ რუსუდანის შესახებ აუწყებს: „პატრონი ჩემი, მეფე, გარდაიცვალა“ და ჩვენ რუსუდანი „მ ე ფ ე დ ა მ ო ვ ი რ ჩ ი ე თ“-ო[3]. უეჭველია, ამ ერთი ამბავის ორ გამონათქვამს შორის შემთხვევითი განსხვავება არ არის და ივანე ათაბაგის დიდმნიშვნელოვანი სიტყვები სიმართლეს უფრო სისწორით უნდა გადმოგვცემდეს. ცხადია, თუმც ქართველ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ამაზე არა აქვს რა ნათქვამი, მაგრამ რუსუდანის სამეფო ტახტზე ასვლას და „წესისაებრ მეფობის მილოცვას“ საქართველოს წარჩინებულთა თათბირი და ბჭობა უძღოდა წინა და ამ ბჭობამ გადასწყვიტა აგრეთვე ეს საკითხი და რუსუდანი მეფედ აირჩია და სამეფო ტახტზე დასმა გადასწყვიტა.

ლ ა შ ა - გ ი ო რ გ ი ს - დ რ ო ი ნ დ ე ლ ი უ ცნ ობ ი მ ე მ ა ტ ი ა ნ ი ს სიტყვით უკვე ვიცით, რომ რუსუდანი მისმა ძმამ შირვანშაჰზე გაათხოვა. ეს რუსუდანის პირველი გათხოვება იყო. აღსანიშნავია, რომ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ მ ა თითქოს ამისი არა იცის რა და არაფერი აქვს ნათქვამი. რაკი ძმის, მეფე გიორგის, მოულოდნელი უმემკვიდრეო სიკვდილის გამო რუსუდანი დასვეს მეფედ, მას, რასაკვირველია, შირვანში ქმართან დაბრუნება აღარ შეეძლო, არამედ საქართველოში დარჩა. რუსუდანს მაშინ ჯერ მემკვიდრე არა ჰყავდა, მაგრამ ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვები ცხად-ჰყოფენ, რომ მაშინდელ მოწინავე ქართველობას მთელი თავისი იმედები მაინც რუსუდანის და არა ლაშა-გიორგის უკანონო შვილის შთამომავლობაზე ჰქონია დამყარებული. ავტორს თავისი მატიანე ამგვარი, ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელი ვედრებით აქვს დაბოლოვებული: «ღმერთმან ყოვლისა სახიერებისამან... დაიცავნ სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღ ̅თივ გ ̅ვ ̅რ ̅ვ ̅ნ ̅ოსანი რ უ ს უ დ ა ნ დ ა ყ ა ვ ნ ნ ა ყ ო ფ ი მ ი ს ი ჩ უ ე ნ დ ა ს ა ლ ხ ი ნ ე ბ ე ლ ა დ თ ე ს ლ ̅ ი თ ი თ ე ს ლ ა მ დ ე»-ო.

ეყოლა, თუ არა, რუსუდანს თავისი პირველი ქმრისაგან შვილი, არა ჩანს, მხოლოდ, როგორც ირკვევა, შირვანშაჰისათვის ბალე თავი დაუნებე-

[1] „Significamus Sanctitati Tuae quod frater meus Rex Georgianorum mortuus est, et regna ejus remansit mihi“: მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტ. კათ. გვ. 563, შეად. გვ. 7.

[2] ი ქ ვ ე, გვ 564, შეად. გვ. 8 — 9.

[3] „Dominus meus rex est mortuus et... nos elegimus in regem:“ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 564, შეად. გვ. 8 — 9.

ბია და ქმრად სხვა მოუყვანია. ამის შესახებ რამდენიმე ცნობა გვაქვს შენახული, რომელთა შორის სრული თანხმობა არ სუფევს, მაგრამ არსებითი განსხვავება მათ შორის მაინც არ არის.

არაბი მემატიანის ა ბ უ ლ - ფ ე დ ა-ს (გარდ. 1331 წ.) სიტყვით, ლაშა-გიორგის სიკვდილის შემდგომ საქართველოს სამეფო ტახტზე აყვანილ მის დას რუსუდანს, ვითარცა ერთადერთ მემკვიდრეს, ქართველებმა საქმრო მოუძებნეს. მაშასადამე, საქმე იმგვარადვე უნდა ყოფილიყო, როგორც მისი დიდებული დედის თამარის დროს მოეწყო. საქართველოს მმართველი წრეები ალბათ ისეთი მეფური შთამომავლობის უფლისწულს დაეძებდნენ, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სახლის ღირსი და შესაფერისი იქნებოდა. არზრუმის მბრძანებელმა ტოღრილ შაჰმა, კილიჯ-არსლანის შვილმა სელჩუკიანმა რუსუდანის საქმროდ თავისი შვილი მ ო ღ ი ს ედ-დ ი ნ ი შეაძლია. ეს წინადადება მოწონებულ იქმნა, მაგრამ იმ პირობით მხოლოდ, რომ საქმრო მაჰმადიანობას უარჰყოფდა, გაქრისტიანდებოდა და მოინათლებოდა. მამამა და შვილმა ამაზე თანხმობა განაცხადეს და საქმრო მართლაც მოინათლა. ამგვარადო, ამბობს აბულ-ფედა, მოღის ედ-დინი ქართველთა მეფედ და დედოფლის ქმრად გახდაო[1].

არაბთა ისტორიკოსის სიტყვით ეს ამბავი 1223 წ. 3 თებერვალს უნდა მომხდარიყო.

ამავე ამბავს უნდა ეხებოდეს ნ ე ს ე ვ ი ს მოკლე ცნობაც, რომ არზრუმის ბატონმა ერთ-ერთ თავის შვილს ქრისტიანობა მიაღებინა და ქმრად მისცა საქართველოს დედოფალსაო[2]. მართალია, დედოფლის სახელი ნესევის ნაშრომში აღნიშნული არ არის, მაგრამ ცხადია რუსუდანი იგულისხმება. თუმცა ნესევის არც ამ ამბავის თარიღი აქვს მოხსენებული, მაგრამ მისი მოთხრობითგან მაინც ირკვევა, რომ ეს გარემოება ჯალალედინის საქართველოში შემოსევამდე, ანუ 1225 წ.-მდე უნდა მომხდარიყო (იქვე).

ქართველი ჟამთააღმწერელი ამ ამბავს სხვანაირად მოგვითხრობს. მას ნათქვამი აქვს: «ამათ ჟამთა შინა მოეყუანა მეფესა რუსუდანს ტოღრილის[3] შვილი მძევლად ერთგულობისათვის, რომელ კეთილ იყო და სრული ასაკითა, შვენიერი გვამითა, მჭნე და ძლიერი ძალითა. ვითარ განიცადა, სთნა მეფესა რუსუდანს და ინება ქმრად მიყუანება მისი, რომელი აღასრულაცა და იქორწილა ტოღრილის* შვილი, რომლისაგან იშვა ასული სიტურფე აღმატებული

---

[1] Journal asiatique IV sére, t. XIV, p. 475.

[2] Vie du sultan Djalal ed-din Mankouberti, 209.

[3] მ-მ დ-ფლის ქ-ცა და სხვა ქც-ანიაც სწერია „ორტულის", მაგრამ აქ რომ სახელი მერმინდელი გადამწერისაგან არის დამახინჯებული და დედანში სხვანაირად ეწერებოდა, ამას ვახუშტის თხზულებაც ამტკიცებს, რომელსაც ნათქვამი აქვს „იქორწინა რუსუდან ტ უ ღ რ უ ლ ი ს ძესა ზედა (ს-ქლს ისტ. 225). მა-, მაშასადამე, ქ-ცის ისეთი ხელთნაწერი ჰქონია, სადაც ეს სახელი ასე წერებულა. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ტყუილად უსწორებს მას (იქვე, შენ. 3) და მ. ბ რ ო ს ე ც ცდებოდა, როდესაც ფიქრობდა, ვითომც ქართველ ისტორიკოსს ორტულის მაგიერ თავდაპირველად ორტუკი უნდა ჰქონოდა და აქ ორმაგი შეცდომა მოსვლოდეს (H. d. G. I, 501, შენ. 2). როგორც ირკვევა, აქ ჟამთააღმწერელს კი არ მოსვლია შეცდომა, არამედ გადამწერისაგან ყოფილა ტექსტი წარყვნილი.

და უწოდა სახელი სანატრელი»ა დედისა მათისა თამარ. და კვალად მიუდგა და შვა ძე. და უწოდა დავით» (*750, გვ 571).

მაშასადამე, ჟამთააღმწერელის სიტყვით ისე გამოდის, რომ არზრუმის სულტნის ტოღრილის შვილი საქართველოში მძევლად ყოფილა, თვით რუსუდანს მოსწონებია საქმროდ და შეურთავს კიდეც. ცნობა ტოღრილის შვილის მძევლობის შესახებ არზრუმის ყმადნაფიცობას კარგად უდგება და უეჭველია მართალი უნდა იყოს. მაგრამ მეორე მხრით იმისდა მიუხედავად, რომ ქართველი ჟამთააღმწერელი ამაზე არას ამბობს და, პირიქით, ტოღრილის შვილის ქმრად მოყვანას იგი რუსუდანის პირადი გემოვნებისა და არჩევანის შედეგად გვიხატავს, აბულ-ფედას ცნობა, რომ საქართველოს მმართველი წრეები მეჯური შთამომავლობის და ღირსებით შესაფერისს უფლისწულს საქმროდ დაეძებდნენ, მაინც მართალსა ჰგავს. ის გარემოება, რომ ქართველებს მაჰმადიანი ტოღრილის ძისათვის გაქრისტიანება მოუთხოვიათ და პირობად დაუდვიათ, ამასთანავე მამასაცა და შვილსაც ამაზე თანხმობა განუცხადებიათ და საქმრო მაჰმადიანობას გადასდგომია კიდეც, გვაფიქრებინებს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მარტო რუსუდანის პირადს გრძნობასა და მოწონებას არ უნდა ჰქონოდა, არამედ სახელმწიფო ტახტისათვის მემკვიდრეობის უზრუნველყოფაზე საზრუნავსაც, რომ რუსუდანს ჰყოლოდა „ნაყოფი მისი“, რომელიც უნდა გამხდარიყო საქართველოს სამეფოს «სალხინებელად თესლითი თესლამდე». რაკი ჟამთააღმწერელიც ამბობს, რომ რუსუდანმა „იქორწილა“ და ტოღრილის შვილი სჯულიერ ქმრად შეირთო, ცხადი ხდება, რომ ამ ნაბიჯს არც ის სთვლიდა უკანონოდ და სააუგოდ. მაგრამ აბულ-ფედას სიტყვები, რომ მუღლის ედ-დინი ტოღრილის ძე მარტო რუსუდანის ქმრად კი არა, არამედ ამასთანავე საქართველოს მეფედაც იყო დასმული, მართალი არ არის და არც ერთი სხვა მოწმობით არა მტკიცდება. არც ჟამთააღმწერელი, არც სომეხთა ისტორიკოსები და არც ნესევი ამაზე არაფერს ამბობენ და არც სადმე წარწერებში იხსენიება. პირიქით, ნესევიც მას მხოლოდ ქართველთა დედოფლის ქმრად იცნობს.

რათგან არც ქართველმა ჟამთააღმწერელმა და არც არაბმა ისტორიკოსებმა ნესევიმ და აბულ-ფედამ რუსუდანის პირველი ქორწინებისა არა იციან რა, მათთვის ამ ცნობაში გასაოცარი არაფერია. მაგრამ რაკი ჩვენ თანამედროვე მემატიანის სიტყვებითგან ვიცით, რომ რუსუდანი უკვე ერთხელ გათხოვილი იყო და ქმრად შირვანშაჰი ჰყავდა, ამიტომ ტოღრილის შვილის შერთვა მეორე ქორწინება და მეორე ქმარი გამოდის რუსუდანისა. ეს გარემოება, რასაკვირველია, უნდა ასე თუ ისე განმარტებული იყოს. პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო აქ, რასაკვირველია, მხოლოდ ჰიპოთეზის გამოთქმა შეიძლება. ჯერ ერთი, შირვანშაჰი, ვითარცა საქართველოს ყმადნაფიცი და ყმა, პირადად რუსუდანის ქმრად, მას შემდგომ, რაც იგი საქართველოს მეფედ იქცა, შეიძლება შეუფერებლად ყოფილიყო ცნობილი, რათგან იგი ერთსა და იმავე დროს ყმადაცა და მეფე-დედოფლის ქმრადაც იქნებოდა. თუმცა არზრუმის სულტანიც საქართველოს ყმადნაფიცად ითვლებოდა, მაგრამ ეს ყმობა იმდენად მჭიდრო დამოკიდებულება არ იყო, როგორიც შირ-

ვანშაჰისა, ღირსებითაც რუმის სულტანს მაშინ უფრო დიდი სახელი ჰქონდა, დავარდნილი, თანაც რუსუდანის ქმრად მისი შვილი ხდებოდა და არა ტოღრილი, რომელიც ყმადნაფიცად რჩებოდა ისევ. შესაძლებელია აქ ზემოაღნიშნულზე მეტად იმ გარემოებას ჰქონოდა გავლენა, რომ რუსუდანის ქმარი, ვითარცა ეხლა უკვე საქართველოს მეფე-დედოფლის მეუღლე, უეჭველად ქრისტიანე უნდა ყოფილიყო და ეგების შირვანშაჰმა გაქრისტიანებაზეც უარი განაცხადა და ამ გარემოებამ მისი ბედი საბოლოოდ გადასწყვიტა. ასე იყო, თუ ისე, მაინც ცხადია, რომ რუსუდანის პირველი ქორწინება ისეთი ხანმოკლე ყოფილა და ახალი ჯვარდაწერილნი ისე საფუძვლიანად გაყრილან, რომ ამის ხსენება ახლო მომდევნო ისტორიასაც კი დაჰვიწყებია.

ა ბ უ ლ - ფ ე დ ა ს ერთი დამახასიათებელი და საყურადღებო ცნობა მოეპოვება. მას ნათქვამი აქვს, რუსუდან მეფეს ერთი განძელი მაჰმადიანი უყვარდა, რომელსაც თუმცა ბევრი ეხვეწა და ემუდარა, საჩუქრებითაც ავსებდა, ოღონდ მაჰმადიანობაზე უარი ეთქვა და გაქრისტიანებულიყო, მაგრამ ვერას გზით ვერ დაიყოლია და მუსლიმანობაზე ხელი ვერ ააღებინაო [1]. თუმცა აბულ-ფედას ეს მაჰმადიანი მეპატრონედ არა ჰყავს და მისი შთამომავლობა, სადაურობის გარდა, აღნიშნული არა აქვს და თვით ეს შემთხვევაც რუსუდანის ქმრის ტოღრილის ძისა და მის მომდევნო სატრფოს გაგდების შემდგომ აქვს მოთხრობილი ისე, რომ დედოფლის თითქოს უკანასკნელ სიყვარულადა ჰყავს გამოყვანილი, მაგრამ რადგან განძა შირვანშაჰების სატახტო ქალაქი იყო და რუსუდანი, როგორც ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვებითგან ვიცით, მართლაც შირვანშაჰზე უნდა გათხოვებულიყო, შესაძლებელია აქ ამ ამბავის მხოლოდ ქრონოლოგიურად შეცდომითი ანარეკლი იყოს და არსებითად კი ამ შემთხვევის იმ უკანასკნელ ხანას ეხებოდეს, როდესაც რუსუდანის საქართველოს სახელმწიფო ტახტზე აყვანის შემდგომ მის ქმრისათვისაც, თუ მას საქართველოს მეფის რუსუდანის ქმრად ყოფნას მოისურვებდა, გაქრისტიანება აუცილებელი იყო.

თუ ამბავის ქრონოლოგიურად აკინძვის დროსაც არაბი ისტორიკოსი მართალი იყო და არა სცდებოდა, როდესაც განძელი მაჰმადიანისადმი რუსუდანის ტრფობა დედოფლის უკანასკნელ სიყვარულად ჰქონდა წარმოდგენილი, და ამ შემთხვევას რუსუდანის პირველ ქმროსნობასთან საერთო არაფერი აქვს, მაინც ეს ცნობა საყურადღებოა და დამახასიათებელი. თუ რუსუდანს საჭიროდ მიაჩნდა თავისი უკანასკნელი სატრფოსათვისაც კი გაქრისტიანება აუცილებელ პირობად დაედვა, მით უმეტეს ასეთი პირობა ქმრის, შირვანშაჰისათვის, იქნებოდა დადებული და ეს პირობა ადვილად შეიძლება მათი გაყრისა და განშორების მიზეზად გამხდარიყო.

რუსუდანის პირველი ქმროსნობა მაინც იმდენად ხანმოკლე და თვით კავშირი იმდენად სუსტი ყოფილა, რომ ისტორიას არც ის ამბავი და არც ქმრის სახელი ხეირიანად არ დასსომებია.

---

[1] Journal asiatique, IV-e série, t XIV, p. 475.

თუმცა ქართველ ჟამთააღმწერელს რუსუდანისათვის ტოღრილის შვილის ქმრის მოყვანის თარიღად ასეთი გამოურკვეველი გამონათქვამი აქვს ნახმარი, როგორიცაა „ამათ ჟამთა შინა“, მაგრამ უწინარესი მოთხრობის მიმდინარეობითგან თითქოს ისე გამოდის, რომ ეს ამბავი ჯალალედინის საქართველოში შემოსევის პირველი წლის, ანუ 1225 წ. ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო (ჟამთააღმ. *749 — 750, გვ. 750). ჟამთაღმწერელის ბუნდოვანი დათარიღება ამტკიცებს, რომ ამ ამბავის ზედმიწევნითი თარიღი არ უნდა სცოდნოდა და მხოლოდ დაახლოებით შეეძლო განესაზღვრა. ამის გამო და რადგან ნესევის სიტყვებითგანაც ირკვევა, რომ არზრუმის სულტანის შვილი ჯალალედინს საქართველოში მოსვლისთანავე უკვე რუსუდანის ქმრად და ქრისტიანად უნახავს, ამიტომ აბულ-ფედას თარიღი 1223 წ. სწორი უნდა იყოს[1].

[ბრძოლები 1222 — 1225 ნლებში]

ლაშა-გიორგის მოულოდნელი სიკვდილისა და მის მაგიერ საქართველოს სამეფო ტახტზე ახალგაზრდა ქალის რუსუდანის ასვლის ამბავის გაგონებისთანავე საქართველოს ყმადნაფიც სამფლობელოებსა და მეტოქე მეზობლებს კვლავ იმედები უნდა გასცხოველებოდათ. ასეც მომხდარა და უკვე იმავე წელს მტრული მოქმედება დაწყებულა.

1222 წელს[2] იმიერკავკასიიდან ყივჩაყნი გადმოვიდნენ დარუბანდის გზით. კირაკოზ განძაკელის სიტყვით ვითომც მათ საქართველოს მეფისათვის თხოვნით მიემართოთ საბინადრო ადგილები გვიწყალობეთო, მაგრამ მას ვითომც ამაზე უარი ეთქვას. ამის გამო მათ თავისუფალი ადგილები განძელებისათვის უთხოვნიათ და მათგან მიუღიათ კიდეც[3].

არც ვარდანი, არც იბნ ალასირი ამის შესახებ არას ამბობენ. ყივჩაყები განძაში დაბინავებულან. კირაკოსი ამტკიცებს კიდეც, რომ განძელებმა ისინი სიხარულით მიიღეს, რადგან ქართველების აოხრებისაგან ილაჯი გაწყვეტილი ჰქონდათ და მათი დახმარებით იმედი ჰქონდათ, რომ ქართველებს წინაღმდეგობას გაუწევდნენ (იქვე, 119). განძაში ფეხი მოიკიდეს თუ არა, ყივჩაყები ქ. კაბალაჰს დაეცნენ, რომელიც იბნ ალასირის სიტყვით, ქართველებს ეკუთვნოდა[4]. სწორედ ქალაქის ზღუდის წინ დაიბანაკეს და გარშემოერტყნენ. ქ. კაბალაჰის პატრონი ყივჩაყებს მოელაპარაკა და აღუთქვა საქართველოს მეფესთან მოციქულს გავგზავნი, რომ თქვენ ხალათები და თეთრი გიწყალობოთო, შეეერთდეთ და მეზობლების ქვეყნები დავიპყროთო. ყივჩაყებმა რამდენსამე დღეს კი შეიკავეს თავი და კაბალაჰის მიდა-

---

[1] ბროსე (H. d G. I, 508, შენ. 3) ფიქრობდა, რომ თარიღად 1225 ან 1226 წ. უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ნესევის ცნობას ეწინააღმდეგება.

[2] ვარდანის ცნობით; იბნ ალასირის ცნობით 619 წელს = 1222 — 1223 წ. (M. Defrémery, Fragm. de géogr. et d'historiens arabes et persans: Journal asiatique, 1849 წ. nov. décembre, გვ. 463.

[3] კირაკოზ განძაკელი, მოსკოვის გამოცემა, 1858 წ., გვ. 119.

[4] M. Defrémery, Fragm. de géogr. et d'historiens arabes et persans: Journal asiatique, 1849 წ. nov. — décembre, გვ. 466.

მოების დარბევას თავი დაანებეს, მაგრამ მერმე ისევ დაიწყეს ნავარდობა[1]. ქართველებმა ჯარი შეკრიბეს და ივანე ათაბაგის მეთაურობით ყივჩაყების წინააღმდეგ გაილაშქრეს[2]. როცა საქართველოს მხედრობის გამოლაშქრების ამბავი შეიტყეს, განძის ამირას რჩევით ქ. განძაში დაბრუნდნენ, ხოლო ლაშქრის ერთი წილი მხედართმთავრის წინამძღოლობით ქართველებს გზაზე დაუხვდა, უგრძნეულად თავს დაესხა. გამარჯვება ყივჩაყებს დარჩათ: დიდძალი ტყვე და სურსათი ჩაუვარდათ ხელში, ომშიაც ბევრი დაიხოცა[3].

ამ გამარჯვებით წახალისებულმა ყივჩაყების მეორე ამირამაც ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა განიზრახა, შეკრიბა ლაშქარი და გამგზავრებას აპირებდა. ეს რომ განძის ამირამ ქუშხარამ შეიტყო, დაუშალა, დაიცადე, ჯერ ქართველების ამბავი გავიგოთ და მერმე გაილაშქრეო. გათამამებულმა ყივჩაყებმა განძის მმართველის ბრძნულ დარიგებას ყური არ ათხოვეს და საქართველოსაკენ გამოემართნენ, ააოხრეს და აიკლეს მოსაზღვრე ქვეყანა და არხეინად უკან გაბრუნდნენ. მაგრამ საქართველოს ჯარი მოკლე გზით უკან დაედევნა და ჩაესაფრა. როცა ყივჩაყები უდარდელად იმ ადგილს მოახლოვდნენ, სადაც ქართველები ჩასაფრებულები იყვნენ, ქართველთა ჯარი საფრებითგან უცბად მტერს თავს დაესხა, უწყალოდ ამოხოცა და მთელი ნატყვევნავი ყივჩაყებს დააყრეინა. ვინც გადარჩა სიკვდილს, ბარდავში (ბერდ) შეიხიზნა და იქითგან ქუშხარას შეუთვალეს, ასეთი უბედურება თავს დაგვატყდა და შენი ლაშქრით მოგვეშველე, რომ ქართველებზე შური ვიძიოთო. ქუშხარას ქართველებისა თითონაც ეშინოდა, ამიტომ დახმარებაზე უარი შეუთვალა, ჩემს რჩევას ყური არ უგდეთ და ეხლა, რაც გინდოდეთ, ისა ქენითო. ამაზე გულმოსულმა ყივჩაყებმა თვით შირვანის ცარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი, მაგრამ ამით, რასაკვირველია, უფრო თავი დაიღუპეს. მოთმინებითგან გამოსულმა ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, ლეკები, ქართველები და შირვანელები, ყივჩაყების დევნა-ხოცვაში ერთიერთმანეთს ეჯიბრებოდნენ[4]. იმავე 1222—3 წელს (619 წ. ჰიჯ. რამაზანში) ქართველებმა რანისაკენ გაილაშქრეს და ქ. ბეილაქანს მიადგნენ, იქნებ ყივჩაყთა მომხრეობისათვის შირვანშაჰის დასასჯელად. ბეილაქანი ისედაც დაზარალებული იყო მონღოლების შემოსევის დროს; ქალაქი გაცარცული და გაოხრებული იყო. მონღოლების გრიგალმა რომ გაიარა, შეშინებული მოქალაქენი, რომელთაც გაქცევით სიკვდილს თავი დააღწიეს, ბეილაქანში დაბრუნდნენ და თავიანთი ქალაქის აღდგენას შეუდგნენ. ჯერ კიდევ ქალაქის კედლისა და ზღუდის შეკეთება დამთავრებული არა ჰქონდათ, რომ საქართველოს მხედრობა თავზე დაადგა. უეჭველია ქართველებს ბეილაქანის გაჭირვებული მდგომარეობითა და სისუსტით უსარგებლიათ. ბეილაქანელი და სხვა შირვანელი მაჰმადიანნი მიჩვეულნი იყვნენ, რომ ქართველები იმ მტრის ქალაქს ან ქვეყანას, რომელიც

---

[1] იბნ ალასირი, იქვე, გვ. 467.
[2] კირაკოსი, 119, იბნ ალასირი, იქვე, 468.
[3] კირაკოსი, 119, იბნ ალასირი, 468.
[4] იბნ ალასირი, 469 — 470, კირაკოსი, 120.

ხარკს გამოიღებდა, თავს ანებებდნენ და თავიანთ ჯარს შინ აბრუნებდნენ ხოლმე. ამიტომ ბეილაქანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ შემთხვევაშიც ფულით თავს დაიღწევდნენ: გაოხრებულ ქალაქში ქართველებისათვის წინაღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ და ისევ ერთადერთი ხსნა ფულის გამოღება იყო. მაგრამ ბეილაქანელებს იმედი გაუცრუვდათ; ქართველებმა მოულოდნელად ქალაქს ჯარი შემოარტყეს და პირდაპირ დაიპყრეს. ამასთანავე, იბნ ალასირის სიტყვით, მცხოვრებნი ამოხოცეს და ქალაქი მონღოლებზე უფრო უარესად გაანადგურესო[1], ალბათ იმიტომ, რომ შირვანელნი თამაშობისათვის დაესაჯათ და საქართველოზე გამოლაშქრების მადა დაეკარგვინებინათ.

იმავ 1222-3 წელს (თვესა შაბანს) სურმარის პატრონი ქ. ხლათში წავიდა, ხოლო თავის მოადგილედ ერთი თავისი ამირა დანიშნა. ამ ამირამ ლაშქარი შეკრიბა და საქართველოს განაპირა ქვეყანას შეესია, რამდენიმე სოფელი აიკლო და ნადავლით შინისაკენ გაბრუნდა. ეს რომ ქართველებმა შეიტყეს, დვინის მმართველმა შალვა ახალციხელმა თავის ხელქვეითი ჯარი ქ. სურმანისაკენ წაიყვანა, ალყა შემოარტყა, ქალაქის მიდამოები დააონავრა და ისევ უკან წავიდა. ქართველების თავდასხმის ამბავი სურმარის პატრონს აცნობეს. ისიც ხლათითგან საჩქაროდ დაბრუნდა და სწორედ იმ დღეს მოუსწრო, როდესაც ქართველებნი ქალაქს ალყა ახსნეს და გამარჯვებული შინისაკენ ბრუნდებოდნენ. სურმარის პატრონმა საჩქაროდ ლაშქარი შეყარა და მტერს დაედევნა, ქართველი ჯარის უკანამავლებს დაეწია, ბევრი დახოცა, ნადავლისა და წაგვრილი საქონლის ჯოგის ნაწილიც ხელითგან გამოსტაცა. ამის გამო შალვამ ხელმეორედ შეკრიბა ჯარი და დაიძრა, რომ სურმარი გარშემოეცვა. სურმარის პატრონს დვინის მმართველის გამოლაშქრების ამბავი აცნობეს. იმანაც საჩქაროდ მხედრობას თავი შეუყარა და დიდის სისწრაფით გაეშურა და გზაზე ქართველებს ჩაუსაფრდა. მოახლოვდა თუ არა ქართველი მხედრობა, სურმარელნი ანაზდეულად თავს დაეცნენ და მრავალი ქართველი ჯარისკაცი გამოასალმეს წუთისოფელს. თვით შალვა ახალციხელი და სხვა წარჩინებული მეომარნი ტყვედ შეიპყრეს, ხოლო მათი ბარგი ხელში ჩაიგდეს. ამის გამო საქართველოს მეფემ სურმარის პატრონის ბატონს, ხლათის მფლობელს მელიქ ალ-აშრაფს მოციქულის პირით შეუთვალა: „ვგონებ, რომ ჩვენ მშვიდობიანობის ზავითა ვართ შეკრულნი, მაგრამ აბა როგორ იქცევა სურმარის პატრონი?! თუ ჩვენ დაზავებულნი ვართ, ჩვენ თანამემამულეთა განთავისუფლებით დაამტკიცეთ ეს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ზავი დარღვეულია, წაკიდება გამოგვიმეღავნეთ, რომ ჩვენც ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ“. ამის შემტყობმა აშრაფმა სურმარის პატრონს უბრძანა დატყვევებული ქართველები განეთავისუფლებინა და ქართველებთან ისევ მშვიდობიანობა დაემყარებინა. სურმარის პატრონმა თავის ბატონის ბრძანება დაუყოვნებლივ აასრულა[2].

---

[1] იბნ ალასირი, იქვე, 471—472.

[2] იბნ ალასირი, იქვე, 472—474.

1225 წელს (622 წ. ჰიჯ.) ქართველებმა კვლავ რანისაკენ გაილაშქრეს, რომ ქ. განძა გარშემოეცვათ. ამ ლაშქრობისათვის ქართველები, იბნ ალ-ასირის სიტყვით, წინდაწინვე მოემზადნენ, იმიტომ რომ განძაში მცხოვრები ბევრი იყო და, ვითარცა ქართველებთან ბრძოლას მუდმივ მიჩვეულნი, გულადობითა და ახოვანებით განთქმული იყვნენ. როცა ქართველებმა განძას ჯარით ალყა შემოარტყეს, მოქალაქეთ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მხნედ დაუხვდნენ, მაგრამ რამდენსამე დღეს ქალაქის ზღუდეს არ გამოსცილებიან და შიგნითგან აძლევდნენ ქართველს ჯარს პასუხს. შემდეგ განძელებმა ქალაქითგანაც გარეთ გამოსვლა გაბედეს და დაბანაკებული მტრის ჯარს თავგამოდებით შეებრძოლენ. ქართველები დარწმუნდნენ, რომ განძელები ომისათვის შესაფერისად მომზადებული იყვნენ და იმათ დასამარცხებლად მეტი ჯარი იყო საჭირო, ამის გამო აიყარნენ და შინ დაბრუნდნენ [1].

იმავე წელს შირვანში შაჰსა და იმის შვილს შორის მტრობა ჩამოვარდა. შირვანშაჰი ბოროტი და უსამართლო კაცი იყო და ქვეშევრდომებს მეტად ავიწროებდა და აწუხებდა. ხალხის უკმაყოფილობით წაქეზებულმა და ლაშქრის მომხრეობით გაკანდიერებულმა შაჰის შვილმა მამა სამეფო ტახტითგან ჩამოაგდო და თვით გამეფდა. ამასთანავე მამას შეუთვალა: „იყავ შენ კოშკში არხეინად დამშვიდებული, მე ხელს არ გახლებ, შენცა და შენს მხლებლებსაც დიდს ჯამაგირს გაგიჩენთ“-ო. მაგრამ ტახტითგან ჩამოგდებულმა შირვანშაჰმა იუკადრისა და საჩივლელად საქართველოში გაიქცა. იქ მან მთავრობას დახმარება სთხოვა და შველისათვის თავის საბრძანებლის ნახევარის დათმობა აღუთქვა. ამ პირობით შეთანხმებულმა ქართველებმა შირვანშაჰს მეშველი ჯარი გაატანეს. შირვანშაჰმა იმდენად მძიმე და შირვანელებისათვის სამარცხვინო პირობა დაუდვა ქართველებს, რომ მისმა შვილმა ყველას ადვილად ჩააგონა, თუ მის მამის გამარჯვებას რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა: მცხოვრებთა უწყალო ჟლეტა-ყვლეფა და ნახევარი სახელმწიფოს ქართველებისათვის დათმობა, იქნებ ქართველები ნახევარს არც კი დაჰყაბულდნენ და ქვეყანა მთლად ხელში ჩაიგდონო, არიგებდა ახალგაზრდა მეფე. ისევ სჯობია ჩვენ დავასწროთ ქართველებს და შევებრძოლოთო. ლაშქარს მეფის ნალაპარაკევი მოეწონა და მისი მხნე მეთაურობით ქალაქ გარეთ დაუხვდა. შირვანელებს თუმცა 1000 მეომარზე მეტი არა ჰყავდათ იმ დროს, როდესაც ქართველი ჯარისკაცი იბნ ალასირის სიტყვით 3000 იყო, მაგრამ მაინც იმოდენად თავგანწირულება და მამაცობა გამოიჩინეს, რომ ქართველთ მეშველი ჯარი დაამარცხეს და უკუაქციეს, ტყვეც ბევრი წაასხეს. შირვანშაჰიც გაცქეულ ქართველებს გაჰყვა, მაგრამ საქართველოს მთავრობამ იგი თავის ქვეყნითგან დაითხოვა [2].

ამავ 1225 წელს საქართველოს სამეფო მხედრობა დაიძრა თბილისით და ადერბაიჯანს შეესია, სახელდობრ იმ ქვეყანას, რომელიც უზბეგს ეკუთვნოდა. ქართველებს თავი თამამად ეჭირათ, გაბედულად იქცეოდნენ, იმიტომ რომ მაჰმადიანებს მხდალადა სთვლიდნენ და არაფრად აგდებდნენო. ქართველებმა

---

[1] იბნ ალასირი, იქვე, 477—478.
[2] იბნ ალასირი, იქვე, 478—480.

ერთი იმდენად ვიწრო ხეობის თავს დაიბანაკეს, სადაც ერთი საცხენო გზა იყო მხოლოდ და არხეინად ვიყვნენ. თავის მხრივ მაჰმადიანთა ერთი რაზმი წამოვიდა ქართველებთან შესაბრძოლებლად და ეს საშიში იწროები გულადად გადალახა. როცა მტერი ქართველთა ჯარს თავს დაეცა, მას ფიქრადაც არ მოსვლია, თუ რა განსაცდელი მოელოდა. ამგვარმა ქართველთა წინდაუხედაობამ მტერს საქმე გაუადვილა და გამარჯვება მიანიჭა. ქართველთ ჯარი გამოიქცა და, ვის როგორც შეეძლო, ისე უშველა თავსა. ამგვარმა უკუღმართობამ ქართველები მეტად გააგულიანა და შურისძიების წყურვილი აღუძრა. ამის გამო მზადებას შეუდგნენ, რომ მოულოდნელად ადერბაიჯანს შეჰსეოდნენ და მთელი ქვეყანა აემტუტებინათ. მაგრამ სამზადისი გაუცრუვდათ: ცოტა ხნის შემდგომ თვით საქართველოს ეწვია დაუცხრომელი მტერი ჯალალ-ედინი, რომელმაც ქართველებს დაასწრო [1].

[ჯალალედინის შემოსევა]

ჯალალედინის საქართველოში შემოსევის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ქართველს ჟამთააღმწერელსა აქვს და ამ ლაშქრობის თანამედროვესა და თანადამხვდარს ისტორიკოსს, რომელიც ხვარამზელ სულტანის კარის ისტორიკოსი იყო. ამას გარდა ამ ამბავის შედარებით უფრო მოკლე აღწერილობა სომეხთა ისტორიკოსს კირაკოზ განძაკელს და ვარდანს, სპარსელ ისტორიკოსს რაშიდ ედინს და არაბ მემატიანეს იბნ ალასირსაც აქვთ.

სულტანმა ჯალალედინის ნამამ ადარბაგანის ათაბაგს უზბეგს მოციქულად ნუსაირ-ედდინი გაუგზავნა და შეუთვალა, ამიერითგან მისი ხოტბა ეთქვა, ფული თავის საბრძანებელში ყველგან სულტანის სახელით მოეჭრა და ამის გარდა ხაზინაში ყოველწლივ გადაწყვეტილი ხარაჯა შეეტანა ხოლმე. უზბეგმა სულტანის პირობები მიიღო: რანში, ადარბაგანში და ვიდრე დარუბანდ-შირვანის საზღვრებამდე ყველა მეზგითებში სულტანის ხოტბა სთქვეს. ათაბაგმა თეთრი და ძვირფასი საგნებიც სულტანს ძღვნად მიართვა, რომ მან მის სამფლობელოს მფარველობა გაუწიოს. მორჩილების წინდად მან ყაზმინის ციხე გადასცა სულტანს, ხარაჯის გადახდაზე კი ბოდიში მოიხადა, გადაკვეთილ რაოდენობას ვერ მოგცემთ იმიტომ, რომ ქართველები ჩემს ძალას არაფრად აგდებენ და ჩემი სამფლობელოს საზღვრებს მოსვენებას არ აძლევენო. სულტანი დაკმაყოფილდა, ქართველებს კი ელჩი გაუგზავნა, რომელსაც მის მაგიერ უნდა ეცნობებინა, უზბეგი ამიერითგან ჩემს სახელმწიფოს ეკუთვნის და, თუ იმის საბრძანებელის აოხრებას თავს არ დაანებებთ, პასუხს მე გაგცემთო. თავის მხრივ უზბეგს აზრადა ჰქონდა ქართველები აეძულებინა, რომ სულტანის ხოტბა ეთქვათ. სულტანიც ომისათვის მზადებას შეუდგა და ბრძანება გასცა, რომ 50000 საუკეთესო ცხენოსანი ლაშქარი შეეკრიბათ. სულტანის ელჩს საქართველოთგან ვითომც მოციქული მოჰყვა საჩუქრებითურთ, მაგრამ სულტანს უკვე ჯეონი გავლილი ჰქონდა, როცა ეს ორი დესპანი შეხვდნენ მას [2].

[1] იბნ ალასირი. იქვე, 480 — 481.

[2] მოჰამედ ენ ნესევი, Histoire du sultan Djalal ed-din Mankoberti, traduit de l'arabe par O. Houdas. Public. de l'école des langues orient. vivantes. გვ. 30-31.

სულტანი ჯალალედინი ადერბეიჯანისაკენ გაემგზავრა. გზაზე, ამ ქვეყანას რომ უახლოვდებოდა, ქ. მარაღის მცხოვრებთა მოციქულები წარუდგნენ, რომელთაც გულმოდგინედ სთხოვეს სულტანს მათს ქალაქში მოსულიყო, ყოველგვარ მოხელეთა ყვლეფა-ცარცვისაგან განეთავისუფლებინა და, ქართველთა დაუცხრომელი ნავარდობისაგან ეხსნა. ადგილობრივი ათაბაგი იმდენად სუსტი იყო, რომ არავითარი გავლენა და პატივისცემა შენარჩუნებული არა ჰქონდა. ჯალალედინი მარაღისაკენ გაეშურა და უბრძოლველად დაიპყრო. რამდენიმე დღის შემდგომ მან ყადი მუჯირ ედდინ ომარ ბენ სად ხვარამზელი რუმის და შამის სულტნებთან ელჩად გაგზავნა, წერილები გაატანა და ატყობინებდა, რომ მან ადერბეიჯანი დაიპყრო და ქართველების კლანჭებს გამოჰგლიჯა. ამასთანავე სულტანი აუწყებდა მათ, რომ მას ქართველების წინააღმდეგ გალაშქრება აქვს განზრახული და მათი ქვეყანა უნდა ცეცხლსა და სისხლს შთავანთქმეინო, რომ ქართველებს დავანახვო, რომ სპარსეთს პატრონი გამოუჩნდაო. დასასრულ, ჯალალედინი არწმუნებდა, რომ მას შემდგომ, როდესაც იგი საქართველოს შემოიერთებს, მის ერთადერთ წადილად მეზობლებთან ვითომც მეგობრულ განწყობილების ჩამოგდება იქნებოდა [1].

მუჯირ ედდინი მოციქულად გაემგზავრა, მაგრამ როცა ის დაბრუნდა, სულტანს უკვე ქ. თბილისი დაპყრობილი ჰქონდა. ელჩი გაისტუმრა თუ არა, ჯალალედინი მარაღითგან დაიძრა და აუჯანისა, ანუ უჯანისაკენ გაემგზავრა [2], ხოლო აქეთგან წამოსული პირდაპირ თავრიზს მიადგა და ალყა შემოარტყა. მოლაპარაკების შემდგომ ეს ქალაქი სულტანს დაუთმეს და 622 წელს ჰიჯრითგან (=13 იანვ. 1125 წ.—2 იან. 1226 წ.) მის ხელში გადავიდა [3].

როცა ჯალალედინმა ადარბაგანი მტკიცედ დაიპყრა, ქართველებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ უყურადღებოდ დაეტოვებინათ, მით უმეტეს, რომ მათ ვერც ჯალალედინის კვეხნა და ქადილი გამოეპარებოდათ, მარაღითგან რომ მეზობელ მაჰმადიანთა მმართველებს დაუგზავნა, ადარბაგანი ქართველებს ხელითგან გამოვგლიჯე და თვით ქართველებსაც სეირს ვუჩვენებო. ნესევიც ამბობს, რომ რა წამს ჯალალედინმა ადარბაგანი დაიპყრა, ქართველები დვინის სანახებში, ადგილსა გარნისად წოდებულსა შეიყარნენო [4]. ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით კი, როდესაც ხვარაზმელნი «მოიწივნეს ადარბაგანსა... და ქვეყანად მჯარგრძელთა... მოოკრებად ქვეყანათა დვინისათა და კერძოთა მისთა, ცნა [ესე] ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა, მივიდეს მეფეს რუსუდანს წინაშე, მოაკსენეს მოსვლა ხვარაზმელთა, თვით დიდისა სულტნისა ჯალალ[ე]ედდინისა»-ო (*743, გვ. 566). მაშასადამე, ქართველი მემატიანის აზრით პირველი იერიშის მომტანი საქართვე-

---

[1] ნესევი, თ. XLVII, გვ. 182—183.

[2] იქვე, თ. XLVII, გვ. 183.

[3] იქვე, თ. XLVII, გვ. 184.

[4] ჰუდას გამოცემაში დვინის მაგიერ Zoun'ი და გარნისის მაგიერ Kerbi, Kerti, Kezti, Kezbi სწერია, მაგრამ უკვე სენმარტენმა და შემდეგ დეფრემერიმ (Frag. 484—485) გამოარკვიეს, რომ აქ გადამწერის შეცდომა არის, და შეასწორეს.

ლოზე თვით ჯალალედინი იყო, ნესევი კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ხვარაზმელნი ჯერ კიდევ ადარბაგანში იყვნენ, როდესაც ქართველებმა თავიანთს ჯარს თავი გარნისში მოუყარესო.

კირაკოზ განძაკელის ცნობები ქართველი მემატიანის სიტყვებს უფრო უდგება და ისიც ამბობს, რომ ჯერ ჯალალედინი სომხეთში შემოვიდა, და მხოლოდ მაშინ აცნობა ივანე ათაბაგმა მეფე რუსუდანს მტრის შემოსევაო [1].

სხვებზე უფრო ვრცლად ეს ამბავი არაბ მემატიანეს იბნ ალასირს აქვს აღწერილი და აი რასა სწერს იგი: მას შემდგომ, რაც ჯალალედინი ადარბაგანში მოვიდა, სულ იმას იმეორებდა, ქართველების წინააღმდეგ გაუგზავრები, დავამარცხებ და მათ ქვეყანას დავიპყრობო. ხოლო როდესაც მან ადარბაგანი დაიპყრა, ქართველებს მოციქული გაუგზავნა ომის გამოსაცხადებლად. ქართველებმა მას ასე შემოუთვალეს: მამა შენი შენზე ძლიერიც იყო და გულადიც, შენზე მეტი ლაშქრის პატრონიც იყო, მაგრამ რაც თათრებმა მამა-შენს უყვეს, შენც ხომ იცი და თქვენი სამეფოებიც დაიპყრესო, ის თათრები ჩვენკენ გამოემართნენ, ჩვენ იმათი არ შეგვშინებია და მათი ლაშქრობა იმით დაბოლოვდა, რომ ჩვენგან გაიქცნენო [2]. ამგვარი პასუხის შეთვლისთანავე ქართველები თავიანთ ჯარის შეყრას შეუდგნენ. ჯალალედინმა ქართველებს დაასწრო და ქ. დვინი დაიპყრა, ხოლო შემდეგ ქართველთა ჯარის წინააღმდეგ გაემართაო [3].

მაშასადამე, იბნ ალასირიც ქართველი ეამთააღმწერელის ცნობას ადასტურებს იმ მხრივ, რომ საქართველოზე იერიში პირველად ხვარაზმელ სულტანს მოუტანია და დვინი (თუ სანახები) დაუპყრია და მხოლოდ ამის შემდგომ მომხდარა ქართველთა და ხვარაზმელთა შორის დიდი ომი. იბნ ალასირ-ის მოთხრობაში ჩართული ქართველთა საპასუხო მიწერილობაც ხვარაზმელთა სულტნისადმი, ალბათ, სრულ სიმართლეს უნდა შეიცავდეს, რათგან მისი შინაარსი ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანისა და რუსუდან მეფისა და იოანე ათაბაგის რომის პაპისადმი მიმართული ეპისტოლეების შინაარსს მშვენიერად უდგება. მაშინდელ ქართველთა მმართველწრეებს, როგორც ეტყობა, საქმის ნამდვილ ვითარებაზე მონღოლთა პირველი შემოჭრისა და მისი შედეგის შესახებ სრულებით მცდარი შეხედულება ჰქონიათ: მონღოლები ძლეულად და საქართველოთგან უკუქცეულად, თავიანთი თავი კი ძლევამოსილად მიუჩნევიათ. ამ სულიერ განწყობილებას მათთვის სიფხიზლისა და შორსმჭვრეტელობის უნარი მოუდუნებია: მონღოლების ლაშქრის ნაწილის მიხედვით მათ ძალღონეზე უმსჯელიათ, ამ ნაწილის დამარცხება, თუ უკუქცევა, მთელი ლაშქრის უკუქცევად მიუღიათ და ამისთანა ყალბი შეხედულების წყალობით მონღოლები თავიანთან შედარებით სუსტად ჩაუთვლიათ. ამისდაგვარად მონღოლთაგან დამარცხებულს ჯალალედინსაც საშიშ მოწინააღმდეგედ არ სთვლიდენ.

---

[1] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, გვ. 211.
[2] დეფრემერი, Frag. t. XIV, გვ. 482, 1849 წ.
[3] იქვე, გვ, 482 — 483.

ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით «ხვარაზმელნი მოვიდეს წელსა მესამესა ლაშა-გიორგის მიცვალებისაგან» (*743, გვ. 566), ესე იგი 1225 წელს. ისტორიკოსი ნესევიც ამავე თარიღს ასახელებს[1]. იბნ ალასირსაც 1225 წ. თვე აგვისტო აქვს აღნიშნული[2], კირაკოზ განძაკელსა და ვარდანსაც[3].

[გარნისის ბრძოლა]

როდესაც რუსუდან მეფემ ხვარაზმელთა საქართველოში შემოსევა შეიტყო, მაშინვე «მოუწოდა ყრმათა იმერთა და ამერთა» (ჟამთააღმწერელი *744, გვ. 566). საჩქაროდ შეყრილი ჯარის მთავარ სარდლად «განაჩინა მეფემან რუსუდან» ივანე ათაბაგი, რომელიც თავისთან დაიბარა. ქართული საბ-ხედრო სამართლისდა თანახმად რუსუდანმა ივანე ათაბაგს, ვითარცა საქართველოს ჯარის უზენაეს მხედართმთავარს, «უბოძა დროშა სამეფო» და «წარავლინა ბრძოლად სულტნისა» (იქვე *744, გვ. 567).

ქართველი მემატიანე საქართველოს საბრძოლველად წასული სპის რაოდენობაზე არას ამბობს. ნესევის სიტყვით კი ქართველთა ჯარში მაშინ 60000 მეომარი უნდა ყოფილიყო[4]. იბნ ალასირს ამაზე ცოტა მეტი აქვს დასახელებული და, თუ მას დავუჯერეთ, ქართველებს 70000 ჯარისკაცზე მეტი უნდა შეეყარათ[5]. თავის მხრივ ნესევისა და იბნ ალასირს ჯალალედინის ლაშქრობის რიცხვზე ცნობები არ მოეპოვებათ. სამაგიეროდ ქართველს ჟამთააღმწერელსა და სომეხთა ისტორიკოსს ვარდანს შემოსული მტრის რაოდენობა აქვს განსაზღვრული. ჟამთააღმწერელის სიტყვით ხვარაზმელი სულტნის ლაშქარში იყო «კაცი ვითარ ას ორმოცი ათასი» (*743, გვ. 566). ვარდანს გაცილებით მეტიც აქვს აღნიშნული და ჯალალედინის მხედრობა ვითომც 200000 მეომარს შეიცავდა[6]. ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით, როდესაც საქართველოს მხედრობა მტერს მიუახლოვდა, დარწმუნდა, რომ «დაებანაკა ხვარაზმელთა სოფელსა, რომელსა ჰქჯან გარნისი» (*744. გვ. 567). ნესევიც ამ ცნობას ადასტურებს (გვ. 185). კირაკოზ განძაკელს (ისტორია, გვ. 212) და ვარდანსაც (ისტორია, გვ. 188) ქართველ-ხვარაზმელთა ბრძოლის ველად იგივე სოფელ-ქალაქი (*դիզապատ*) გარნისი აქვთ დასახელებული.

---

[1] იხ. Hist, du Sultan Djalal ed-din Mankoberti, გვ. 184 და 190.

[2] Frag. 482.

[3] კირაკოზ განძაკელი, გვ. 211; ვარდანი, გვ 187. ისტორიკოსთა ამ სამაგალითო თანხმობას მხოლოდ რაშიდ ედინი არღვევს, რომელსაც უწერია, ვითომც ჯალალედინი საქართველოში 620 ჰიჯრ., ანუ 1227—1228 წ. ქრისტესით წასულიყოს საომრად (Histoire des Mongols de Fadl Allah Raschid ed-din, éd. par E. Blochet, E. J. W. Gibb Memorial, vol. XVIII, 2, გვ. ٢٨). მაგრამ აქ ცხადი შეცდომაა, ან უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაშიდ ედინის ეს ცნობა ჯალალედინის პირველს ლაშქრობას კი არ ეება საქართველოში, არამედ ერთს მერმინდელთაგანს, რომლის შესახებაც დაწვრილებით თავის ადგილას ქვევით იქნება ლაპარაკი.

[4] გვ. 185, თ. XLVIII.

[5] დეფრემერი, Frag. 482.

[6] ვარდანი. გვ. 187.

ქართველთა მოახლოვებაზე «წინაგანეწყო სულტან ჯალალ ედდინი» და საბრძოლველად მოემზადა (ჟამთ. *744, გვ. 567). რასაკვირველია, მაშინვე აგრეთვე «ივანე ათაბაგმან განაწყო სპანი მეფისანი იმერნი და ამერნი», ამასთანავე როგორც წესი იყო «აჩინა წინამძღოლად თორელნი და ძმანიცა» იგი ორნი ახალციხელნი შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მებრძოლნი» (ჟამთ. *744, გვ. 567).

ნესევის სიტყვით ქართველები გარნისის თავს, მთებს შორის მდებარე ერთს მაღალ მწვერვალზე ყოფილან გამაგრებულნი (გვ. 186), ჯალალედინი კი თავისი ლაშქრითურთ იქვე დაბლობში მდგარა, ქართველთა ბანაკის ქვემოთ, ბრძოლის ველითგან თუმცა ცოტა მოშორებით, მაგრამ მაინც მოპირდაპირენი ერთმანეთზე თურმე იმდენად დაახლოვებულნი ყოფილან, რომ ხვარაზმელთა ბანაკში ქართველთა ჯარის ჟრიამული და ხმაურობა მოისმოდა (იქვე). სულტანმა ჯალალედინმა თავისი ლაშქარი ღამიანად მტრის წინააღმდეგ დააწყო: შუაში მხედრობა დააყენა, რომელიც თავით ფეხთამდის შეჭურვილი იყო, მარცხენითს წვერში მთლად ქვეითობა იდგა, რომლის სარდლადაც სულტანის ძმა ღიას ედდინი იყო, ხოლო მარჯვენითი წვერი შვილდოსანთა ჯარს ეკავა[1]. მთელ მეორე დღეს ასე დაწყობილ-დარაზმული სულტანის ლაშქარი ქართველთა შემოტევას უცდიდა, მაგრამ ამაოდ. ქართველთა ჯარს მაღლობი, მაგარი ადგილი ეჭირა და იქითგან ფეხს არ იცვლიდა (იქვე). იქნებ თანაც მეშველ ჯარის მოლოდინში იყო და იმიტომ არ იწყებდა ომს. რაკი იმ დღეს ქართველებს ბრძოლა არ დაუწყიათ, დრო კი მიდიოდა, სულტანმა მზის ჩასვლისას თავისი კარავი წინ წააწევინა და ღამე იქ გაათენა, თანაც ხანებსა და ემირებს უბრძანა ფრთხილად და ფხიზლად ყოფილიყვნენ. დილის რიჟრაჟზე ჯალალედინმა ხანები და ემირები შეჰყარა და უთხრა: „როგორც ეტყობა მტერს საქმის გაჭიანურება სწადია და შემოტევის მაგიერ მას თავისთვის უმჯობესად მიაჩნია თავის ადგილას იყოს გამაგრებული და იქ გვიცადოსო. ამიტომ ჩემი აზრია, რომ ჩვენ თითონ შევუტიოთ მტერს და ყოველმხრივ თავს დავეცეთ, ხოლო, თუ მტერი ჩვენზე ეერიშით წამოვიდა, ეცადეთ შვილდის სეტყვით შეაჩეროთო“[2].

ამ დარიგების შემდგომ სულტანი თავისი ლაშქრითურთ დაიძრა და მთისაკენ გაემართა. წინამბრძოლობა ხვარაზმელთა მხრივ ღიას ედდინისა, ორხანისა და სხვა ემირების მეთაურობით მარცხენითმა წვერმა დაიწყო[3] და ასეც უნდა მომხდარიყო, რაკი ქვეითობა მთლად მარცხენითს წვერში იყო გამწკრივებული. ბრძოლა დაიწო. «დაეახლნეს (ქართველთა) წინამბრძოლნი და სულტანი» ჯალალედინი თავის მოწინავე ლაშქრითურთ (ჟამთააღმწერელი *744, გვ. 567). შალვა ახალციხელმა თავისი ჯარი ხვარაზმელთა მომავალ რაზმებს წინაგანუწყო და სამხედრო მოქმედებას შეუდგა. მტერი თავგამოდებით მოდიოდა და თავგანწირვით მოისწრაფებოდა იმ მწვერვალი—

---

[1] ნესევი, 186.
[2] ნესევი, 186—187.
[3] იქვე, 187.

საკენ, სადაც ქართველები იდგნენ. შალვა და ივანე ახალციხელებმა დაინახეს, რომ ომი მეტად მკაცრი და ძლიერი უნდა ყოფილიყო და ამიტომ «წინამებრძოლთა ყოველთა მოუვლინეს კაცი» ამირსპასალარს ივანე ათაბაგს და მოახსენეს: «დაახლოვებულ ვართ სულტანსა და სპათა და ჩუენ დიდად უმცირეს ვართ და ჰომი ძლიერი წინაგვიც, წარმოიმალონ მჴნეთა სპათა მეფისათა და სიმჴნემან შენმანო» (იქვე, *745, გვ. 568).

იერიშით მომავალს მტერს ქართველთა წინამბრძოლთ შალვა ახალციხელის მეთაურობით «არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა» და მედგრად „ზედა მიეტევნეს". შეიქმნა „ძლიერი ომი" (იქვე). ყოველ მხრივ ისრები თოვლივით მოდიოდნენ და მალე მოწინაღმდეგენი ერთმანეთს დაერიენენ და ხელჩართული ომი გაჩაღდა. რაკი ხვარაზმელ სულტანის ყოველი მეომარი დარწმუნებული იყო, რომ მას მხოლოდ მაშინ შეეძლო სიკვდილის განსაცდელისათვის თავი დაეღწია, თუ კი მწვერვალს მიაღწევდა, ამიტომ თითოეული მათგანი ცდილობდა საჩქაროდ მთაზე და მწვერვალამდის ასულიყო[1].

ამ გახურებული და დაუნდობელი ომის დროს «ცხენნი ორთავე ძმათა ახალციხელთა დაუჴოცეს და ქუეითნი მჴნედ იბრძოდეს». რაკი ორთავე მებრძოლი ჯარი გასაოცარი გულადობით და თავგამოდებით იბრძოდა[2], ამიტომ რა გასაკვირველია, რომ «მოისრვოდეს ორგნითვე ურიცხვი და უმეტეს თორელნი» (ჟ ა ნ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, *746, გვ. 549).

ქართველს ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს არაბ და სომეხ ისტორიკოსებსავით აღნიშნული აქვს, რომ გარნისის ომი, ქართველთა დამარცხებით დაბოლოვდა, მაგრამ ამ დამარცხების მიზეზად მას შემდეგი გარემოება მიაჩნია: გაცხარებული ომის დროს, როდესაც წინამბრძოლნი გაჭირვებაში იყვნენ და მოშველებას სთხოვდნენო, «დაიპყრა ფერჴი ივანე ათაბაგმან, იტყჳან შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა»-ო (*744, გვ. 567) და «ჟამსა წყობისა და ჟამსა ომისასა... არღარა ვიდოდა მბრძოლთა კერძ»-ო იმისდა მიუხედავად, რომ წინამბრძოლთა სარდალმა შალვამ და ივანემ „ორგზის მოუვლინეს" ამირსპასალარს ივანე ათაბაგს მოციქული და შველასა სთხოვდნენ. ივანე ათაბაგი «არასა მიუდგებოდა» (იქვე *745, გვ. 568), არამედ «ივანე და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთრჯულთა ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა [მებრძოლთა], არამედ დგეს შორით და არა ინება შველა ივანე ათაბაგმა»-ო (იქვე *745, გვ. 568 — 569).

ასეთ გარემოებაში მოუხდათ ბრძოლა ქართველთა წინამბრძოლთაო (იქვე). რაკი „განგრძელდა ომი" და ჯერ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ორთავე ძმას ახალციხელთ ცხენები მოუკლეს, მაგრამ ქვეითნიც გულადად იბრძოდნენ. მერმე «ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ჴრმალნიცა ახალციხელთანი გატყდეს ჩაბალახსა ზედა». მაშინ კი შედრკნენ და «ივლტოდეს ქართველნი»-ო (იქვე *746, გვ. 569).

---

[1] ნ ე ს ე ვ ი, 187.

[2] ი ბ ნ ალ ა ს ი რ ი, Frag, 483).

ამგვარად, ქართველი ისტორიკოსის აღწერილობითგან თითქოს ისე გამოდის, ვითომც გარნისის ბრძოლაში ჯალალ ედინსა და ქართველებს შორის მარტო ქართველთა ჯარის თავკანწირულ წინამბრძოლთა სამხედრო მოქმედების მეტი არა ყოფილიყოს რა და ვითომც ამირსპასალარს საქართველოს სპის მთელი სავსება ბრძოლაში არ წაელვაროს. ეს აზრი ძნელი დასაჯერებელია და ყოვლად შეუწყნარებელიც კია და ვგონებ შემდეგ დროში უნდა გაჩენილიყო.

რა მოსაფიქრებელია, რომ ამირსპასალარს, რომლის სახელსაც საბოლოოდ დამარცხების მთელი სირცხვილი და პასუხისმგებლობა უნდა დასწოლოდა, ასეთი უცნაური და უგუნური შურისძიება ეკისრა თავის წინამბრძოლთა სარდლისადმი. ივანე ათაბაგი ხომ ბავშვი არ იყო, რომ არა სცოდნოდა წინამბრძოლთა მიუშველებლობით წაგებული ომი ვის უფრო გაუფუჭებდა სახელს, მას მთავარსარდალს, თუ მის ხელქვეითს სარდალს შალვა ახალციხელს, ან რომ ნათლად გათვალისწინებული არა ჰქონოდა, რამდენად საშიში იყო საქართველოსათვის ხვარაზმელთაგან გარნისთან დამარცხება.

უეჭველია, გარნისის დამარცხებას სხვა უფრო ბუნებრივი და ამასთანავე შესაწყნარებელი მიზეზი უნდა ჰქონოდა. შესაძლებელია ივანე ათაბაგი ამ ბრძოლაში შესცდა და წინამბრძოლთ საქართველოს ჯარის დანარჩენი ხაწილი დროზე ვერ მიაშველა და სწორედ შაშინ ვერ წაღვარა, როდესაც საჭირო იყო, — რთულსა და დიდს ომში მთავარსარდლისათვის ყველაზე უფრო ძნელი და საჭირო იმ მარჯვე დროის გამორკვევა და მიგნებაა, როდესაც ჯარის სავსებობის წაღვრა საუკეთესო და სწრაფ შედეგს მოიტანს, — იქნებ ივანე ათაბაგი ამ მხრივ შეცდა, წინამბრძოლთ მარჯვე და საჭირო დროს ვერ მიეშველა და ბრძოლის წაგებას ამ შეცდომამაც შეუწყო ხელი, მაგრამ ეს უნებლიეთი შეცდომა უნდა ყოფილიყო და არა შურით გამოწვეული განზრახ ჩადენილი უმოქმედობა. აქ რომ შური დამარცხების თავდაპირველ და ნამდვილ მიზეზად არ უნდა ყოფილიყო, ამას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს; ეს ცნობა შურის შესახებ თვით ქართველ ჟამთააღმწერელს კი არ ეკუთვნის, არამედ ზეპირი გარდმოცემით შეუთვისებია, საზოგადოებაში თქმულებად ყოფილა გავრცელებული. ისტორიკოსი ორგანვე გარკვევით ამბობს: «იტყუიან შურითა ყო»-ო (*744, გვ. 567); «არა ინება შველა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა ყოფად იტყუიან»-ო (იქვე, *745, გვ. 569). მაშასადამე, ჩვენს ჟამთააღმწერელს ცნობა შურის შესახებ ზეპირ წყაროზე ჰქონია დამყარებული და რაკი, როგორც უკვე ვიცით, იგი XIV საუკ.-ეში ცხოვრობდა[1] (ისტორიის მიზანი, I, 196), მკითხველისათვის ცხადი იქნება, რამდენად

[1] ამაზე უფრო შეუწყნარებელი მოთხრობა აქვს მოყვანილი კირაკოზ განძაკელს. შალვამ და ივანემ საქართველოს ჯარს უთხრეს: ჩვენ წინ წავალთ, თქვენ კი აქ მოგვიცადეთ, თუ გავიმარჯვეთ, თქვენ მოგვეშველეთო, ხოლო თუ დავმარცხდით, თქვენს თავს უშველეთო, მაგრამ მათ წინამბრძოლთა ომის შედეგს არ მოუცადეს და გაიქცნენო (*Պատմ. Հայոց*, 212). ვინც ქართული სამხედრო წესწყობილება იცის, მისთვის ცხადია, რომ წინამბრძოლთა რაზმის სარდალს თვით არც ამგვარი უგუნური პირობის მიცემა, შეეძლო და არც უფლება ჰქონდა. მთელი ჯარის მოქმედების მიმართულების მიმცემი ამირსპასალარი იყო.

ფრთხილად უნდა მოეპყრას ერთი საუკუნის შემდგომ ხალხში გავრცელებულ ხმას.

ჯალალედინის ისტორიკოსს ნ ე ს ე ვ ი ს მოყვანილი აქვს ერთი ცნობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გარნისის ბრძოლაში ქართველთა დამარცხების ერთი მიზეზთაგანი გავითვალისწინოთ. მისი სიტყვით, სანამ ქართველთა ჯარს ხვარაზმელთა სულტნის მხოლოდ ქვეითობა ებრძოდა, ქართველი მეომრები თავგამოდებით იბრძოდნენ. მაშინ ჯალალედინის ლაშქრითგან როგორც ეტყობა, მხოლოდ მარცხენითი წვერი, ქვეითობა და მარჯვენითი წვერი შვილდოსანნი იღებდნენ ბრძოლაში მონაწილეობას. ლაშქრის შუაგული, მრავალრიცხოვანი მხედრობა სულტანმა განზრახ იმთავითვე არ ჩააბა ომში, ჯერ ერთი ალბათ იმიტომ, რომ მხედრობას მწვერვალზე ასვლა არ შეეძლოთ, რომ მას გზას ქვეითობა და შვილდოსანნი არ გაუკაფავდნენ, და მეორეც იმიტომ, რომ ცხენოსანი ჯარი მას უკანასკნელი ჟამისათვის ბრძოლაში მარჯვედ დასაკრავად და დაქანცული მარჯვენითი და მარცხენითი წვერების მისაშველებლად ჰყოლოდა.

სწორედ ძლიერი და ხელჩართული ბრძოლის დროს საქართველოს ჯარმა შენიშნა, რომ ხვარაზმელთა მრავალრიცხოვანი მხედრობა დაიძრა და სულტანის ჯარს მოეშველა[1]. ამ დროს უკვე «შენივთდა ძლიერად ომი», ისე რომ «ჭრმალნიცა ახალციხელთანი გატყდეს (ნტრის) ჩაბალახსა ზედა» (ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ *746, გვ. 569). ქართველთა მოქანცულმა ჯარმა ხვარაზმელთა ომში ახლად ჩაბმულს მხედრობას ველარ გაუძლო, შედრკა და უკუ იქცა. ქართველთა მხედართმთავრები ბევრს ეცადნენ ჯარი შეემაგრებინათ, მაგრამ ამაოდ, ისინი თავზარდაცემულნი უბრძოლველად გარბოდნენო (ნ ე ს ე ვ ი, 187—188), «ივლტოდეს ქართველნი» (ჟამთააღ. *746, გვ. 569).

ამ საშინელი დამარცხებისა და განსაკუთრებით თავზარდაცემული ლტოლვის დროს დიდძალი ქართველი მეომარი დაიხოცა. ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი ამტკიცებს კიდეც, ვითომც ნაძდვილი წყაროებითგან, თითქოს ქართველ დახოცილთა რიცხვი 20000-მდე უწევდა, მაგრამ ჯალალედინის კარის ისტორიკოსი ამბობს, რომ ბრძოლის ველი დაახლოვებით 4000 მოკლული მტრის გვამით იყო მოფენილიო[3], და ეს ცნობა, რასაკვირველია, უფრო სწორი არის. სხვათა შორის მაშინვე შალვა ახალციხელის ძმაც «ივანე გარნისისა კლდესა შელტოლვილი ზენაკერძო მოტევებულითა ქვითა მოიკლა» (ჟ ა მ თ ა ა ღ მ. *746, გვ. 569).

მოკლულთა გარდა მრავალი ქართველი ხვარაზმელი ტყვედაც ჩაუვარდათ[4], მათ შორის ბევრი მხედართმთავარიც იყო და თვით წინამბრძოლთა სარდალი შალვა ახალციხელი[5]. «შალვა მუნვე შეპყრობილ იქმნა სიმრავლისა

---

[1] ნ ე ს ე ვ ი, 187.

[2] დ ე ფ რ ე მ ე რ ი, Frag. 483.

[3] ნ ე ს ე ვ ი, 188.

[4] ი ქ ვ ე,

[5] ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი: დ ე ფ რ ე მ ე რ ი, Frag. 483.

ფრიადისა მიერ» და ომის და უკანდევნის გათავების შემდგომ «წარიდგინა სულტან ჯალალედინისა წინაშე» (ჟამთააღმ. *746, გვ 569).

შალვა ახალციხელი იმდენად განთქმული მეომარი იყო, რომ სულტნის წინაშე წარდგენილი «იცნეს ნახჭევნელთა და აიდარბაგნელთა და მოაჴსენეს სულტანსა ახოვნება და წყობათა შინა სიქველე» (ჟამთააღმ. *749, გვ. 569). ჯალალედინმა სახელოვანს ქართველს მხედართმთავარს პატივი სცა და არამც თუ დაატყვევა, არამედ «მიანიჭა ქალაქნი აიდარბაგანისანი» (იქვე), რომ საკვები და საცხოვრებელი საკმაოდ ჰქონოდა.

გარნისის დამარცხების შემდგომ საქართველოს ჯარის მთავარსარდალმა ამირსპასალარმა და ათაბაგმა ივანემ ტყვეობას ლტოლვით დააღწია თავი: «ივანე ათაბაგი უკუნ იქცა ბიჯნისად»[1]. (იქვე *749, გვ. 570). ჯალალედინმა რომ ეს შეიტყო, მაშინვე საგანგებოდ მდევარნი და მარბიელნი უკან დაადევნა და ბიჯნისის ციხეს მცველნი გარს შემოარტყა, რომ საქართველოს ჯარის მთავარსარდალს ციხითგან გამოსვლა ვეღარ გაებედა და ივანე ათაბაგი ამნაირად ბიჯნისში მოემწყვდია[2].

ჯალალედინმა თავისი ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი თავრეჟში აცნობა. ხოლო გარნისითგან ძლევამოსილი ხვარაზმელი სულტანი დვინისაკენ გაემართა, სწრაფად იერიში მიიტანა და უმალ აიღო. ქალაქის დაპყრობის შემდგომ ჯალალედინმა ჯერ დვინის ყადის უბრძანა, რომ დვინელი მაჰმადიანი მცხოვრებნი ცოლშვილებითურთ დანარჩენ მოქალაქეთაგან განეცალკევებინა და შემდეგ ქალაქი გაცარცვა. დიდძალი ნატყვენავი და სიმდიდრე ჩაუვარდათ ხელში სულტანსა და მის მოკავშირეებს[3].

რაკი ლაშქრობაში ასე გაიმარჯვა, სულტანი ჯალალედინი უკვე თბილისის აღებასა ფიქრობდა, რომ თავრეჟითგან შერეფ ელმულკისაგან წერილი მოუვიდა, აქ შენს წინაღმდეგ აჯანყებას აპირებენო[4]. ამის გამო «სულტანი [მიიქცა] ადარბაგანს და ნახჭავანს და მიერ აღაოჴრებდეს საქართველოსა, არბევდეს და ტყუე ჰყოფდეს და სრულიად უწყალოდ ჴოცდეს» (ჟამთაღმ. *749, გვ 570).

ნესევის სიტყვით ჯალალედინმა, შერეფ ელმულკის წერილი რომ მიიღო და თავრეჟში წასვლა დააპირა, ადარბაგანში გამგზავრებამდე მარჯვნითი წვერის ამირები დაიბარა და საგანგებო მოხელის პირით შემდეგი გამოუცხადა: „ჩვენ ნამდვილი დამამტკიცებელი ცნობები გვაქვს თქვენი უმოქმედობისა, უკანასკნელ ომში რომ გამოიჩინეთ, და ისიც კარგად ვიცით, რომ თქვენ ვადაწყვეტილი გქონდათ უკუქცეულიყავით, ქართველებს რომ ჩვენს წინაღმდეგ ჯარი კიდევ გამოეგზავნათ. მაგრამ, რადგან ღმერთმა გამარჯვება გვიწყალობა, ხოლო ურწმუნოებს (ე. ი. ქართველებს) მკაცრი სასჯელი მიუსაჯა, ეს თქვენი კარგად ცნობილი დანაშაულობა გვიპატიებია, თუ რომ

---

[1] სტ. ორბელიანის სიტყვით ივანე ათაბაგს უკულტოლვის დროს მხოლოდ 10 კაცი ღა ჰხლებია. მაგრამ ვითომც ციხე ჭედეში შეეხიზნულიყოს (ისტ. 293).

[2] იბნ ალასირი: Frag. 483.

[3] ნესევი, 189.

[4] იქვე, 190.

თქვენ ამ ქვეყანაში ფეხს მოიკიდებთ და ჩემ დაბრუნებამდე ძირიან-ფესვიანად დაარბევთ და დააწიოკებთო“. ამირებმა ეს წინადადება, რასაკვირველია, სიამოვნებით მიიღეს. ჯალალედინმა ამ მარბეველ ამირებს გზების მაჩვენებელად საქართველოს მთებსა და ხეობებში ორი სურმანელი მფლობელი თან გამოაყოლა[1]. სამი თვის განმავლობაში და მეტსაც, სანამ ჯალალედინი არ დაბრუნდა, სულტანის დარიგებისაებრ ამირები და მათი ლაშქრის კაცნი საქართველოს არბევდნენ და აოხრებდნენ, ხალხს აწიოკებდნენ და ვისაც მოახელებდნენ ტყვედ მიჰყავდათ. ქართველ ტყვეთა სიმრავლის გამო მათი ფასი ისე დაეცა თურმე, რომ თითო ქართველი ტყვე 2 ან 3 დინარად იყიდებოდა. მარბეველთა პატარ-პატარა რაზმები დაძრწოდნენ და ისეთ მიყრუებულ ადგილებში დათარეშობდნენ, სადაც მათ შეჭრას არავინ მოელოდა[2].

უკვე თავრეჟში ყოფნის დროს სულტანმა ჯალალედინმა საქართველოს სამეფოს დანარჩენი ადგილების და ყმადნაფიც სამფლობელოების დაპყრობაც განიზრახა. ამისათვის მან ორხანის მეთაურობით თავისი ლაშქარი გაგზავნა ქ. განძის წინაღმდეგ. ორხანმა ქ. განძა და მისი სანახებნი დაიმორჩილა[3].

[თბილისის ალება ჯალალედინისაგან]

იმავე 1225 წელს დეკემბერში ჯალალედინი თავრეჟითგან აიყარა და თბილისის ასაღებად წამოვიდა[4]. სწორედ მდ. არეზს რომ მოუახლოვდა, ჯალალედინის შალვა ახალციხელის მიერ დაწერილი წერილები მოართვეს, რომელიც შალვას თავის მემამულეებისათვის მიუწერია და რომელშიაც სულტანის გამოლაშქრების ამბავს საიდუმლოდ ატყობინებდა. მაგრამ მისი წერილები დაეჭირათ. რაკი შალვა თავისიანებს აფრთხილებდა და ჯალალედინის სამხედრო გეგმას ამჟღავნებდა, ღალატად ჩამოართვეს და სულტანმა მაშინვე ბრძანა შალვა იქვე წყლის პირას ორად განეკვეთათ და მოეკლათ[5]. ეს ამბავი უნდა 1226 წლის დამდეგს მომხდარიყო იმიტომ, რომ 1225 წელს დეკემბერში თავრეჟითგან აყრილი ჯალალედინი საქართველოს საზღვრებში 1226 წლის დამდეგს შემოსულა[6].

სახელოვანი შალვა ახალციხელის მოკვლის ამბავი ქართველ ჟამთაღმწერელსაცა აქვს აღწერილი, ამასთანავე თარიღიც მოეპოვება. ქართველი ისტორიკოსი ამბობს, რომ შალვა «შემდგომად წელიწადისა ერთისა მოიკლა სულტნისა მიერ არა დატევებისათჳს სჯულისა»-ო (*749, გვ. 570). თარიღი მართლაც უდგება: შალვა 1225 წ. იყო ტყვედ წაყვანილი, ხოლო მეორე წელს, ანუ 1226 წ. სულტანის ბრძანებით მოიკლა. მაგრამ შალვას სიკვდილად დასჯის მიზეზი სულ სხვა არის დასახელებული. შესაძლებელია, რომ ბოლოს და ბოლოს, როდესაც შალვას წერილები გამოაშკარავდა, ასამართლებდნენ და სიკვდილად დასჯა მიუსაჯეს, შალვა ახალციხელისათვის ეთქვათ, თუ მაჰმადიანობას მიიღებ, სიკვდილს გადარჩებიო და მას „სჯულის

[1] ნესევი, 191.
[2] იქვე. 191 — 292.
[3] იქვე, 195.
[4] იბნ ალასირი: Frag. 484.
[5] ნესევი, 202.
[6] იბნ ალასირი: Frag. 486—487.

„დატევება“ უარეყო, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც ნ ე ს ე ვ ი ს უფრო სწორად აქვს, ვგონებ, დასახელებული. თუმც დატყვევებულმა და სულტანისაგან „პატივცემულმაც“ შალვას გულმა მაინც ვერ მოითმინა, რომ თანამოძმენი არ გაეფრთხილებინა და საქართველო განსაცდელისაგან არ ეხსნა, ტყვეობაში პატივსა და საკუთარ კეთილდღეობასა მან საქართველოსათვის სიკვდილი ირჩია.

ვიდრე ჯალალედინის ლაშქრობის ამბავს განვაგრძობდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით ისე გამოდის, თითქოს ხვარაზმშაჰის ეს მეორე გამოლაშქრება, როდესაც მან ქ. თბილისი ხელში ჩაიგდო, ივანე ათაბაგის სიკვდილის შემდგომ და ავაგის ათაბაგობის დროს მომხდარიყოს (*749, გვ. 570 და *751 — 747, გვ. 572 — 574). ხოლო იგივე ქართველი ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ ჯალალედინის პირველ შემოსევისა და გარნისის ომის «შემდგომად ორისა» წლისა მიიცვალა ივანე ათაბაგი» და ნის მაგიერ ათაბაგობა ავაგმა მიიღო (იქვე *749, გვ. 570). მაშასადამე, ივანე ათაბაგი 1227 წელს მიიცვალა. ქართველ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ამ ცნობის სიმართლეს სომეხთა ისტორიკოსი სტ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ც ადასტურებს, რომელიც ივანე ათაბაგის გარდაცვალების თარიღად აგრეთვე 1227 წელსა სდებს[1].

ამ ამბების თანამედროვე და თვით ხვარაზმშაჰის კარის ისტორიკოსი და მდივანი ნ ე ს ე ვ ი და ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი კი ქ. თბილისის აღების თარიღად 1228 წელს 9 მარტსა სდებენ და ეს თარიღი საქმის მიმდინარეობას უფრო უდგება და ამიტომ უფრო სწორიც უნდა იყოს.

ამას გარდა ქართველი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ამტკიცებს, ვითომ ჯალალედინს ქ. თ ბ ი ლ ი ს ი ს ა კ ე ნ მიმავალს ბიჯნისში მყოფ ავაგ ათაბაგისათვის შეეთვალოს, მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს და თითო კაცის თანხლებით შევიკრიბნეთო. ავაგს ხვარაზმშაჰის სურვილი აუსრულებია და სულტანმა მოლაპარაკების დროს ავაგს უთხრა: ჩემი მიზანი იყო საქართველოსთან კავშირის დადება და მხოლოდ «მშვიდობისა და ზავისა ყოფად» მოვედიო. ვიცი, რომ «მეფე თქუენი დედაკაცი არს» და მარტო ის მინდა, რომ «მყოთ ქმარ მისა და მეფე თქუენზედა და ვსძლოთ ყოველთა მტერთა ჩუენთა, უკეთუ არა ჰყოთ, მოოჴრდეს სამეფო თქუენი»-ო (*746 — 747, გვ. 573 — 574). ჯალალედინმა ავაგს სთხოვა ამასთანავე: «წარავლინეთ კაცი მეფესა თქუენსა წინაშე და აუწყეთ თქმული ჩემი» (*747; გვ. 574). ავაგმა ხვარაზმშას თხოვნა აასრულა, მაგრამ მეფე რუსუდანმა და საქართველოს ვაზირთ რომ ათაბაგ ავაგის წერილი წარიკითხეს, «განკუირდა მეფე და უცხო უჩნდა საქმე ესე, და მიუმცნეს ავაგს არცა თუ სმენად საქმისა მაგისა, არამედ სრულიად განყენებად»-ო (იქვე). რაკი ჯალალედინმა ციცი უარი მიიღო, დაიძრა და თბილისს მიადგაო.

არაფერი ამის მსგავსი ნ ე ს ე ვ ი ს ა და ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ს ა არა აქვთ, მაგრამ თავისდათავად ქართველ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს მოთხრობაში შეუძლებელი არაფერია. მხოლოდ ერთი ქრონოლოგიური დაბრკოლება ეღობება მას

---

[1] სტ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ისტორია, 292.

წინ. თუ ეს მოლაპარაკება ქ. თბილისის აღებამდე მოხდა, მაშინ ათაბაგად ავაგი კი არა, ივანე იყო და ჯალალედინსაც ივანესთან უნდა ჰქონოდა საუბარი და არა ავაგთან, ხოლო თუ ხვარაზმშაჰს მოლაპარაკება მართლაც ავაგ ათაბაგთან ჰქონდა, მაშინ ცხადია ივანე ათაბაგი მკვდარი უნდა ყოფილიყო, ესე იგი მთელი ეს ამბავი 1227 წ. შემდგომ უნდა მომხდარიყო, როდესაც ქ. თბილისი უკვე აღებული იყო.

ჯალალედინი რომ თბილისის ასაღებად წამოსულა, მას ისევ სამხრეთის გზა აურჩევია. ჯერ თურმე «მოიწია (ჯალალედინ) სულტანი სომხითად» და «მოაოჴრა ყოველი სომხითი» (ჟამთააღმ. *747, გვ. 575) და შეჰდეგ საქართველოს სამეფო ქალაქისაკენ გამოემგზავრა. უეჭველია ქართველთა და ხვარაზმელთა შორის სომხითში კვლად ომი უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქართველ ჟამთააღმწერელს დაწვრილებითი ცნობები არ შეუტანია თავის თხზულებაში. ხოლო ვარდანის სიტყვით, რომელიც ნესევისა და იბნ ალასირის მსგავსად ამ ამბავის თარიღად მეორე წელიწადს პირველ შემოსევის შემდგომ, ანუ 1226 წ. სდებს, ჯალალედინს სახელდობრ გაგის მიმართულება აურჩევია და გაგის მინდვრით გამომგზავრებულა[1]. გარნისის დამარცხების შემდგომ საქართველოს მთავრობა ომისათვის მზადებაში ყოფილა და როდესაც ხვარაზმშაჰი კვლავ საქართველოს საზღვრებს მოუახლოვდა, ქართველებს უკვე მეშველი ჯარი თანა ჰყავდათ. ალანთა, ლეკებისა და ყივჩაყთა ჯარი იყო მოსული. ამის გამო ქაროველები დარწმუნებულნი ყოფილან, რომ ეხლა კი უეჭველად გაიმარჯვებდნენ.

მომავალს მტერს ქართველთა მხედრობა გზაზე დაჰხვედრია. მაგრამ ჯალალედინს მათი მომართვის ამბავი არ გამოჰპარვია და მათ დასახვედრად და შესატყუებლად წინასწარი ზომები მიუღია. ამ მიზნით ხვარაზმშაჰმა რამდენსამე ადგილას თავისი ლაშქარი ჩაასაფრა და გამარჯვებით დაიმედებულს ქართველთა სპას მახე დაუგო. არაბ მემატიანეს იბნ ალასირს, რომელსაც ეს ცნობები აქვს შენახული, არ მოუხსენებია იმ ადგილების სახელი, სადაც ჯალალედინს ჯარი ჰყავდა ჩასაფრებული და სადაც მოხდა ქართველთა და სულტანის ლაშქრის მეორე ბრძოლა. როდესაც საქართველოს მხედრობა ჯალალედინისას წააწყდა, მტრის ჯარმა შეიტყუა, სადაც თავისი ჩასაფრებულები ეგულებოდა, და შემდეგ მასთან ერთად მოულოდნელად დაეცა. საქართველოს ჯარმა, ორთავ მხრივ მტრით შემორტყმულმა, ვერ გაუძლო და თავზარდაცემული გაიქცა. ჯალალედინმა თავისს მდევარს ლაშქარს უბრძანა, რომ არავინ დაენდოთ და ყველანი, ვისაც კი დაეწეოდნენ და მოახელებდნენ, უეჭველად დაეხოცათ. ხვარაზმშაჰის ბრძანება, რასაკვირველია, ასრულებული იყო[2].

როდესაც მდევარი ჯარიც ძლევამოსილი უკან დაბრუნდა, ჯალალედინმა ეხლა კი პირდაპირ თბილისისაკენ გასწია და თბილისის მახლობლად მთელი თავისი ლაშქრითურთ დაიბანაკა. სანამ ქალაქის გარემოცვას და აღებას შეუდგებოდა, ხვარაზმშაჰმა ჯერ თვით ქალაქისა და ციხის დათვალიერება ირჩია.

---

[1] ვარდანი, *Պատ. տիեզ.* 188.

[2] იბნ ალასირი: Frag. 487.

ამისათვის მან თავისი სპა რამდენადმე ნაწილად გაჰყო და მომეტებული ნაწილი სხვადასხვა ადგილას ჩაასაფრა. ხოლო თითონ დაახლოებით სამი ათასი ცხენოსნითურთ ქ. თბილისის ზღუდეების გასაშინჯავად წავიდა[1].

ჯალალედინი რომ თბილისს მოუახლოვდა, დარწმუნდა, რომ საქართველოს დედაქალაქი მაგარი და ძლიერი იყო, მშვენივრად დაცული ბუნებრივადაც და მისი ზღუდეებიც მომეტებულად მთის მწვერვალებსა და მდინარის ციცაბო ნაპრალებზე იყო აგებული[2]. მდინარე თბილისს ორად ჰყოფდა: ერთი მხრით ქალაქი იყო, მეორე მხრით დიდმნიშვნელოვანი და მიუვალი ციხე. ძელის ხიდი აერთებდა თბილისის ამ ორს ნაწილს[3].

ვითარცა ცნა მეფემან (რუსუდან) მოსვლა სულტანისა, აიყარა და წარვიდა ქუთათისს. ხოლო ტფილისის მცველად დაუტოვა ლაშქარნი და თავად ორნი ძმანი ბოცოს ძენი მემნა და ბოცო» (ჟამთააღმ. *747 გვ. 574—575). მაშასადამე, საქართველოს მთავრობას სატახტო ქალაქი წინდაწინვე დაუცლია და მისი დაცვა საგანგებოდ დანიშნულ მცველებისათვის მიუნდვია.

როდესაც ჯალალედინი თავის 3000 მხედრითურთ[4] თბილისს მოუახლოვდა, თბილისის მეციხოვნეთ დაინახეს, რომ ხვარაზმელთა რაზმი მცირერიცხოვანი იყო და გამხნევდნენ[5]: «მცველნი ქალაქისანი აღიჭურნეს» საჩქაროდ, ზღუდითგან გაიჭრნენ და «იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე» (ჟამთააღმ. *747, გვ. 575).

ქართველთა მედგარი კვეთების გამო ჯალალედინმა უკან დაიხია[5]. ქართველები მტერს ძლეულად და უკუქცეულად სთვლიდნენ. ქართველი ჟამთააღმწერელის სი[illegible]ვით ამ დღის ბრძოლა ქართველებსა და „ძლეულ“ ხვარაზმელთა ამით და[illegible]ავრებიათ: მებრძოლნი ბინდს გაუშველებია.

ჯალალედინს [illegible]ის მხედართმთავრებს, თუმც «ძლეულთა, მიუვლინეს კაცი სულტანისა [სპარსთა] მიცემად ქალაქისა, რათა კართა რომელსა სპარსნი სცვიდეს განუხვნ[იდ]ეს და შიგნით ბრძოლა უყუეს»-ო (ჟამთააღმწ. *747, გვ. 575). თბილელ სპარსელებს ხვარაზმშაჰის ჯაშუში დაუიმედებიათ და შინაგანცემა და დახმარება აღუთქვამთ (იქვე).

მეორე დღეს «ვითარ განთენდა, კუალად აღიჭურა სულტანი მინდობილი სპარსთა შინაგანცემისა» და თბილისისაკენ გამოილაშქრა. რასაკვირველია, ქართველთა მეციხოვნენიც სამზადისს და აღჭურვას შეუდგნენ. როდესაც ქალაქის მცველთა უფროსნი მემნა ბოცოს ძე და მისი ძმა ბოცო უკვე შეიარაღებულნი „განძის კარს“ მიუახლოვდნენ და «ეგულებოდა განსვლად და მუზარადისა დარქმად», სწორედ ამ დროს უეცრად «მემნას სპარსმან ვინმე აფთითა[6] ძლიერად დაუხეთქა უმუზარადოსა თავსა და განუპო». მემნა ჯაყელი «ჰყის დაეცა და მოკუდა» (ჟამთააღმ. *774—748, გვ. 575).

---

[1] იბნ ალასირი: Frag. 468.
[2] ნესევი, 203.
[3] იქვე, 203.
[4] იბნ ალასირი: Frag. 488.
[5] იქვე.
[6] მახვილია ბრტყელი და ტანგრძელი (საბა ორბელიანი)

ეს მკვლელობა ნიშანი იყო: მაშინვე «იქმნა შინათ ომი». ცალკე ხვარაზ-მელნი გარეთგან იბრძოდნენ და ამასთანავე «განახუნეს კარნი სპარსთა ტფილელთა» და მტერი შიგ ქალაქში შემოუშვეს (იქვე 748, გვ. 576). რაკი თბილისში ამგვარი «შინაგანცემა იყო ქალაქისა» და მისი დაცვა უკვე აღარ შეიძლებოდა, ამიტომ «ივლტოდეს მცველნი ქალაქისანი და შედგეს ისანთა». ბოცოს ძე ბოცომ, რომელიც შინაგამცემის მახვილს გადურჩა, «გაამაგრა ისანი და ქმნა ძლიერი ომი» მაგრამ თვით თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, მაინც ჯალალედინის ხელში იყო (იქვე).

მაშასადამე, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით თბილისი შინაგანცემის გამო ჩავარდნია ხვარაზმშაჰს. სულ სხვანაირად აქვთ თბილისის დაპყრობის ამბავი ნ ე ს ე ვ ი ს ა და ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ს მოთხრობილი. ნ ე ს ე ვ ი მისივე სიტყვით ამ დროს ავადმყოფი სურმანში წოლილა, თბილისის გარემოცვასა და აღებას არ დასწრებია[1] და ამის გამო მისი მოთხრობა ამ ადგილას მეტად მოკლეა. ნ ე ს ე ვ ი ს ისე აქვს აღწერილი, თითქოს ჯალალედინს თბილისი ერთი დაკვრით აეღოს და ერთს დღეს.

ნ ე ს ე ვ ი ს სიტყვით ხვარაზმშაჰის ლაშქარი ჯერ ქალაქის ზღუდეს მიესია და ქართველი ქალაქისა და ციხის მცველნი ზღუდეს გარეთ გამოუტყუებია, ხოლო შემდეგ ისე ძლიერად ეკვეთა, რომ ქართველებს დიდის ზარალით უკან დაახევინა. უკან დევნილი ქალაქის მცველნი შეეცადნენ საჩქაროდ ისევ თბილისში შესულიყვნენ და მის ზღუდეებსა და კედლებს ამოჰფარებოდნენ, მაგრამ ღიას ედინმა მათ დაასწრო, ქალაქის კარებს მიადგა და თბილისი აიღო. მაშასადამე, ნ ე ს ე ვ ი ს არც ხვარაზმელთა უკუქცევის შესახებ აქვს რანაირი ნათქვამი, არც თბილისის სპარსთა შინაგანცემასა და ღალატზე. ისე გაგოდის, რომ ჯალალედინს მხოლოდ გამოუტყუნია ქართველი მეციხოვნენი.

ამგვარადვე აქვს აღწერილი ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ს ა ც, მაგრამ მას სამაგიეროდ ისეთი ცნობები მოეპოვება, რომელნიც საშუალებას გვაძლევენ ისტორიული სინამდვილე აღვადგინოთ. ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი არ უარჰყოფს, რომ ჯალალედინმა თავის 3000 მხედრითურთ ქართველებთან პირველ შებრძოლების დროს უკან დაიხია, ის მხოლოდ ამტკიცებს, რომ ეს განგებ მოიქმედა, რომ ქართველები მოეტყუებინა და მახე დაება მათთვისაო. ქართველებს კი ეგონათ, ხვარაზმშაჰი დამარცხებული გარბისო. ამით უფრო გათამამდნენ და უკან დაედევნენ. როდესაც ქართველი მეციხოვნენი იმ ადგილამდე მიუახლოვდნენ, სადაც ჯალალედინს თავისი ლაშქარი ჩასაფრებული ჰყავდა, დამალული სპა საფრებითგან ამოცვივდა, ქართველებს ეცა და ქართველთაგან მომეტებული ნაწილი იქვე დაიხოცა, ხოლო დანარჩენი თბილისისაკენ გაეშურაო. მაგრამ მათ კვალდაკვალ ჯალალედინის ლაშქარიც მიჰყვა და ქალაქში შეიჭრაო[2].

ამ აღწერილობაში საყურადღებო ის არის, რომ არაბი ნემატიანეც ამბობს, რომ ხვარაზმშაჰმა უკან დაიხია და ეს მისი უკუქცევა ქართველებმა მის დამარცხებად ჩასთვალესო. არსებითი განსხვავება მის და ქართველ ე ბ ი-

---

[1] ნ ე ს ე ვ ი, 203.

[2] ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი. Frag. 488.

თააღმწერელის სიტყვებს შორის ის არის, რომ იბნ ალასირსაც ნესევისავით ისე აქვს მოთხრობილი, თითქოს თბილისი ერთი დაკვრით და ერთს დღეს ყოფილიყოს აღებული, ქართველი ისტორიკოსი კი ამტკიცებს, რომ ჯალალედინმა თბილისი მეორე დღეს აიღო.

საგულისხმოა, რომ არც იბნ ალასირს აქვს თბილისის სპარსთა ღალატის შესახებ რაიმე პირდაპირ ნათქვამი. მაგრამ სამაგიეროდ მას კიდევ ერთი მეტად დამახასიათებელი ცნობა მოეპოვება. ის მოგვითხრობს, რომ ხვარაზმშაჰის თბილისში შეჭრილს ლაშქარს თბილელი მაჰმადიანები სიხარულით მიეგებნენ და ხმამაღლა ადიდებდნენ მაჰმადიანობას და ჯალალედინის სახელსაო[1]. ეს ცნობა ამტკიცებს, რომ თბილელ მაჰმადიანების გული ჯალალედინს მოუხიბლავს და მათი საქციელი ღალატის მსგავსი იყო. ქართველი უამთააღმწერელი რომ მართალია და თბილელ სპარსელებს თვით შინაგანცემით საქართველოს დედაქალაქის აღება ჯალალედინისათვის გაუადვილებიათ, ამას სომეხთა ისტორიკოსი კირაკოზ განძაკელიც ამტკიცებს და პირდაპირ ამბობს, რომ თბილისში მცხორები სპარსნი ხვარაზმელთა ძალმცემელნი და მშველელნი (Զինաւոր) იყვნენ და ჯალალედინმა მათის დახმარებით აიღო ქალაქი[2].

ხვარაზმელნი რომ თბილისში შეიჭრნენ და „იქმნა შინათ ომი", სულტანის გამხეცებულმა მეომრებმა ნესევის სიტყვით მცხოვრებნი მახვილით ამოწყვიტეს, ხოლო მათი ქონება იავარ-ჰყვეს და დაარბიეს, ყველა ქართველნი და სომხები, რომელნიც ქალაქ თბილისის მკვიდრნი იყვნენ, ამოხოცესო[3]. იბნ ალასირი ამბობს, რომ ქალაქის დარბევა და მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტა თავის სპისათვის თვით ჯალალედინს უბრძანებია, მან ბრძანება გასცა, რომ არავინ დაენდოთ, არც დიდი და არც პატარა. სიკვდილს მხოლოდ ის გადურჩებოდა, ვინც ქრისტიანობას უარჰყოფდა და მაჰმადიანობას მიიღებდა. მაგრამ ასეთებიც ხვარაზმელთ ჯერ უნდა დაეტყვევებინათ. ამ განკარგულების თანახმად დედაკაცები და ბავშვებიც შეიპყრეს და ტყვე ჰყვესო[4].

ქართველი ისტორიკოსიც ცხოვლად და შემაძრწუნებელის ფერადებით გვიხატავს ქალაქ თბილისისა და მის მცხოვრებთა აკლებისა და უწყალო ხოცვა-ჟლეტის შემზარავს სურათს. მხეცებივით შეცვივნულმა ხვარაზმელებმა «ესეოდენ მძვინვარედ იწყეს მოსრვად» თბილისში მყოფ ხალხისა, რომ «ჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან» და ამის «უკანის დედანი მოიკლვოდიან» (უამთააღმ. *748, გვ. 576). ადამიანის სიცოცხლე არად ღირდა და მტერი ხალხს უაზროდ და უგუნურად ჰულეტდა: მოხუცებულნი, «ბერნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს» (იქვე). თავიანთ ბატონის ბრძანებისაებრ გამძვინვებული ხვარაზმელი მეომარნი არავის ინდობდნენ და «არა ჰყოფდეს წყალობასა: რომელნიმე და-

---

[1] Frag. 488 — 489.

[2] კირაკოზ განძაკელი, 203.

[3] ნესევი, 202.

[4] Frag. 489.

ნითა იელიასა დასობილნი, სხვანი მკერდსა დაცემითა, რომელნიმე მუცელსა და ზურგსა განიგმირებოდეს» (იქვე *749, გვ. 577).

საზარელს სურათს და შემაძრწუნებელ სანახაობას წარმოადგენდა მაშინ საქართველოს დედაქალაქი: ქუჩებში «ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩვილთა თმა და სისხლი, თავი მჭართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო»-ო. (იქვე *748—749, გვ. 576—577).

ამ საშინელ მტარვალობისა და სიმხეცის გამო «საზარელთა ჴმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი» (იქვე) და შიშის ზარითა და სასოწარკვეთილებით «ხედვიდეს ზოგნი საყუარელთა შვილთა, ზოგნი ძმათა და მამათა, ცოლნი [ქმართა] და ქმარნი ცოლთა უპატიოდ... მკუდარ მდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა (იქვე *749—752 (sic), გვ. 577).

თუ ზემომოყვანილ ისტორიკოსთა ცნობების ამგვარს შემთხვევებში ჩვეულებრივს გაზვიადებას გავითვალისწინებთ, მაინც თვალწინ საზარელი სურათი წარმოგვიდგება. ქართველ, სომეხ და არაბ ისტორიკოსთა ერთხმივი მოწმობა ამტკიცებს, რომ ჯალალედინს თბილისში დიდი სიმკაცრე გამოუჩენია და არავინ დაუნდვია. მხოლოდ გამაჰმადიანებას შეეძლო გადაერჩინა თბილისში მყოფი ქართველი და სომეხი სიკვდილისაგან.

თუ ქალაქი თბილისი ხვარაზმშაჰის ხელთ იყო და იქ მისი ჯარი დათარეშობდა, ციხე ისანი, სადაც მემნას ძმა ბოცო ჯაყელი და მეციხოვნენი შეიხიზნენ, მტერს მედგარს წინაღმდეგობას უწევდა და არ ჰნებდებოდა. ჯალალედინს არ შეეძლო ისნის ციხე აუღებელი დაეტოვებინა იმიტომ, რომ მისი მეციხოვნენი ხვარაზმელთა ლაშქარს არ მოასვენებდნენ და მუდამ საფრთხე იქნებოდა მოსალოდნელი. ამის გამო ჯალალედინმა მისი აღება გადასწყვიტა.

ქართველი მეციხოვნენი დიდს გაჭირვებაში იყვნენ და რაკი «არღარა იყო ღონე ლხინებად ქალაქისა» და ისანში ჩაკეტილ მეომართა მსხვერპლს წაგებული საქმის გამოსწორება აღარ შეეძლო, ამიტომ «წარმოავლინა მეფემან რუსუდან კაცნი ბოცოსა და სხუათა მცველთა ქალაქისათა, რათა დაუტეონ ისანი და წარვიდენ» (ყამთა

მ. *753, გვ. 578). მაგრამ თვით მეციხოვნენი ამის მოწადინებული არ იყვნენ და ისნის დაცლა და მტრისათვის დანებებაზ არ ჰსურდათ. ამის გამო «მრავალგზის მოავლინა დასტური მეფემან დატევებად ქალაქისა» (იქვე).

მხოლოდ როდესაც სულტანმა ჯალალედინმა თავისი ლაშქარი დარაზმა, მტკვარს გაღმა გავიდა და ციხეს მიადგა, ბოცო მაშინ შეფიქრიანდა. ხვარაზმშაჰმა თავისი სპა ციხეს შემოარტყა. ის-ის იყო ჯარი ციხეზე იერიშის მიტანისათვის მზადებას შეუდგა, რომ ისნის ციხის კარები გაიღო და ქართველთა მეციხოვნე ჯარის მოციქული გამოვიდა სულტანთან ციხის დანებების შესახებ მოსალაპარაკებლად [1]. რუსუდან მეფის ბრძანებისა და დასტურისაებრ

---

[1] ნესევი, 203 — 204.

ბოცომ ისნის ციხის დატოვება და „წარსვლა“ გადასწყვიტა (ჟამთააღმ. *753, გვ. 578).

რაკი მეტად მკაცრი და სუსხიანი ზამთარი იყო და საქონელი, პირუტყვნი და მეომარნიც ამის გამო დიდს გაჭირვებაში იყვნენ, ამიტომ სულტანი ჯალალედინი ბოცოს პირობებს დასთანხმდა[1]. ეხლა კი სულტანი საქართველოს დედაქალაქის სრულ ბატონად იქცა.

ციხე ისანიც ხელში ჩაიგდო თუ არა, ჯალალედინმა თავისი თავი უზრუნველყოფილად იგრძნო და «იწყო უბოროტესთა ბოროტ[ება]თა ქმნად ქრისტიანეთა ზედა» (ჟამთააღმ. *753, გვ. 579). თუ აქამდის გამაჰმადიანება, თუ მისი უარყოფა მცხოვრებთა სურვილზე იყო მაინც დამოკიდებული და სიკვდილის შიშის გარდა მათ სხვა არაფერი აიძულებდათ ქრისტიანობისათვის ეღალატათ, ეხლა ხვარაზმშაჰმა პირდაპირ იძულებას მიჰყო ხელი: ნებაყოფლობას აღარავის ეკითხებოდნენ და თვით სულტანიც ქრისტიანეთა საარწმუნოებრივი გრძნობის შეგინებასა და შელახვას არ მოერიდა. ჯალალედინმა შემდეგს ტლანქსა და უგუნურს საშუალებასაც კი მიჰმართა, რომ «იწყო ოღვევად ეკლესიათა» (იქვე, 754, გვ. 579) და შემდეგ «ველ-ყო სიონისა გუნბადისა შემუსრვად და ზედა ბილწისა საჯდომისა აღშენებად». როცა სიონის გუმბათზე ხვარაზმშაჰმა თავისთვის ასეთი უცნაური და სასაცილო ტახტი გააკეთებინა, «ჭიდითა მაღლითა და გრძლითა განჭიდა აღსავლად», თავისებური აღსავალი კიბე შეუქმნა და შემდეგ «ხატი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, რომელი სიონს მკუიდრ იყო, ბრძანა მოყუანებად და ჭიდისა შესავალსა დადებად პირაღმართ».

როდესაც ყველაფერი მზად იყო, მაშინ ჯალალედინმა «ბრძანა ყოველთა შათ პყრობილთა ქრისტეანეთა მამათა და დედათა» მოყვანა და ყველასაგან ითხოვდა «იძულებით დათრგუნვად პატიოსანთა ხატთა და დატევებად სჯულისა» (ჟამთააღმ. *754, გვ. 579). ხვარაზმშაჰს ამასთანავე ნაბრძანები ჰქონდა, რომ, ვინც ქრისტიანობას არ უარყოფდა, მისთვის თავი მოეჭრათ (იქვე), ბევრმა ვერ გაუძლო სიკვდილის შიშს და გამაჰმადიანდა, მაგრამ ისეთებიც ბლომად იყვნენ, «რომელთა მიიღეს გვირგვინი წამებისა» (იქვე *854, გვ. 580 და კირაკოზ განძ. 213).

ქართველი ჟამთააღმწერელი, როგორც ვიცით, საზოგადოდ მორცხვი და მოკრძალული ისტორიკოსია და ქართულ საისტორიო მწერლობის მთავარ მოძღვრებას მისდევს, რომ საისტორიო თხზულებაში „უშვერისა“ რისიმე თხრობა „არა საკადრებელ არს“[2]. და იქნებ იმიტომ არა აქვს მას ის მართლაც უშვერი და შემაძრწუნებელი საქციელი აღწერილი, რომელიც ხვარაზმშაჰს უკადრნია და თავის ხელქვეითებისათვის ჩაუდენინებია. ეს ამბავი სომეხთა ისტორიკოსს კირაკოზ განძაკელსა აქვს აღწერილი. მისი სიტყვით ჯალალედინს ბოლოს თავის ამ მეორე საშუალებისათვისაც თავი დაუ-

---

[1] ნესევი, 203 — 204.

[2] იხ. ისტ. მიზ.ნი და მეთოდები, წ. I, გვ. 197—198 და XVIII.

ნებებია და პირდაპირ უბრძანებია, ამიერითგან ვინც ნებაყოფლობით და მუქარითაც გამაჰმადიანებას არ მოინდომებდა, დაეჭირათ და ძალით წინადაეცვითათ. კირაკოზს აღწერილი აქვს, რაოდენი სამარცხვინო და მხეცური ძალმომრეობა იყო ნახმარი, რომ ხვარაზმშაჰის ეს უშვერი ბრძანება აესრულებინათ [1].

იმ საშინელმა და შეუკავებელმა ძალადობამა და ხოცვა-ყლეტამ, რომელიც ჯალალედინმა თბილისში დაატრიალა, რასაკვირველია, უზარმაზარი მსხვერპლი შეიწირა. ქართველი ჟამთააღმწერელი ამბობს, რომ მარტო წამებულთა, რომელთაც ქრისტიანობას არ უღალატეს და ისევ სიკვდილი ირჩიეს, «აღრიცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ვჰგონეს, ვითარმედ ათბევრ აღიწია რიცხვი მოკლულთა»-ო (*754, გვ. 580). მაშასადამე, მოკლულთა საერთო რიცხვი ისტორიკოსის სიტყვით დაახლოვებით 100000-მდე ასულა. თუ გავიხსენებთ, რომ თბილისში უკვე IX საუკ.-ში ბევრი მცხოვრები ყოფილა და მარტო ბუღა თურქის შემოსევის დროს, მან რომ თბილისი გადასწვა, 50000 მცხოვრები დაიღუპა [2], ხოლო ამის შემდგომ, განსაკუთრებით რაც თბილისი დავით აღმაშენებელითგან მოყოლებული საქართველოს სამეფოსი და ამასთანავე მთელი ამიერკავკასიის დედაქალაქად იქცა, მთელ XII საუკ-ში ძალზე უნდა გაზრდილიყო და დიდ ქალაქად განსდარიყო,—თუ ყველა ამას გავიხსენებთ, მაშინ ქ. თბილისში ჯალალედინის მტარვალობის დროს დახოცილთა ზემომოყვანილი რიცხვი თუნდაც მოჭარბებულად გვეჩვენოს [3], მაინც ამ დედაქალაქის დიდი მოსახლეობის საშინელი განადგურების ასე თუ ისე გამომხატველად შეიძლება მივიჩნიოთ.

ჯალალედინი რომ საქართველოს დედაქალაქს დაეპატრონა, მარტო მცხოვრებთა დაწიოკებას, ძალმომრეობასა და ხოცვა-ყლეტას არ დაჰკმაყოფილდა, არა, ხვარაზმელთ აიკლეს, გაცარცვეს და «მოაოჯრეს თბილისი» (ჟამთააღმ. *754, გვ. 580). სულტანმა დაისაკუთრა აუარებელი სიმდიდრე, რომელიც კი საქართველოს სამეფო ქალაქში მრავალი ხნის განმავლობაში დაუნჯებული იყო. ნესევის სიტყვით ჯალალედინს თბილისში ისოდენა სიმდიდრე და განძეულობა ჩაჰვარდნია ხელში, რომ მათი აღნუსხვის დროს დახელოვნებული მდივან-მწიგნობარის ხელიც კი იღლებოდა და მათი სრულიად სიისა და ნუსხის შესადგენად გრაგნილთა ბორცვები არა კმაროდა [4]. ხვარაზმელთა თავშეუკავებელი და მხეცური თარეშისა და ხოცვა-ყლეტისათვის

---

[1] კირაკოზ განძაკელი, 213.

[2] ქ'ლ ერის ისტორია II, 376.

[3] რომ თბილისი დიდი, მჭიდროდ დასახლებული და მდიდარი ქალაქი უნდა ყოფილიყო და ამის გამო მცხოვრებთა რიცხვი 100000 გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ამასთვით ნესევის ცნობებიც (გვ, 203 და 204) და მარკო პოლოს აღწერილობაც რამუზიოს გამოცემაში (И. Минаев, Путешествие Марко Поло, изд. Русс. Геогр. Общ. გვ. 31, შენ. 4) საკმაოდ ამტკიცებს. საყურადღებოა იმდროინდელი აღმოსავლეთის ქალაქების რაოდენობის წარმოსადგენად, რომ 1404 წელსაც კი მრავალ აოხრებისდა მიუხედავად თავრიზში 200000 მცხოვრები ყოფილა (В. Бартольд, Историко-географ. обз. Ирана. 1903 წ. გვ. 147).

[4] ნესევი, 204.

მეტად დამახასიათებელია, რომ მათ გახურებული ცარცვა-გლეჯისა და ხოცვის დროს თავისიანებიც კი არ დაუნდვიათ: იბნ ალასირის სიტყვით ხვარაზმელთა ავკაცობისაგან, ხოცვა-ჟლეტისა და ცარცვა-გლეჯისაგან არც თბილისის მკვიდრნი მაჰმადიანნი გადარჩენილან.

საქართველოს დედაქალაქის თბილისის აღება, რასაკვირველია, ხვარაზმშაჰისათვის დიდი გამარჯვება იყო, ხოლო ქართველებს ასეთი საშინელი უბედურება ბუღა თურქის შემოსევის შემდგომ არ უნახავთ. უკვე 1032 წ. შემდგომ, როგორც ვიცით, თბილისის ამირა საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო [1], 1122 წლითგან მოყოლებული კი თბილისი დავით აღმაშენებლის წყალობით საქართველოს კვლავ დედაქალაქად იქცა [2]. ას ოთხი წლის სრული თავისუფლების შემდგომ საქართველოს დედაქალაქი ისევ მტერს ჩაუვარდა ხელში და აოხრდა.

ჯალალედინისათვის ეს დიდი და სასახელო გამარჯვება იყო და ამ ამბავს მაშინდელს მცირე აზიაში დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. მოუხდენია კიდეც. ამ ომების თანამედროვეს არაბ ისტორიკოსს გამოთქმული აქვს ის სიხარული, რომლითაც მაჰმადიანთა გული აივსო თბილისის აღების გამო, და ის მიზეზი, რამაც ეს სიხარული გამოიწვია.

თბილისის დაპყრობა ჯალალედინის მიერ ბრწყინვალე ვამარჯვებაა, ამბობს იბნ ალასირი, და მაჰმადიანთა ქვეყნებში და მოსლიმანთა აზრით სასახელოდ ითვლებაო, იმიტომ რომ ქართველები მაჰმადიანთ მეტად მედიდურად ეპყრობოდნენ და რაც უნდოდათ იმას სჩადიოდნენ. ადარბაგანის თითოეული ქალაქის წინააღმდეგ მათ გალაშქრება შეეძლოთ და ვერც ერთი მოწინააღმდეგე მათ ვერ შეაჩერებდათ და ვერც ერთი დამცველი მათ ვერ უკუაქცევდათ. ქართველები არზრუმის წინააღმდეგაც ამნაირადვე იქცეოდნენ, ისე რომ არზრუმის მპყრობელი ქართველთა მეფის ნაწყალობევ საპატივო სამოსელით იმოსებოდა და მას ისეთი დროშაც კი ააფრიალებინეს, რომელსაც თავზე ჯვარი ჰქონდა გაკეთებული. მისმა შვილმა ქართველთა შიშით ქრისტიანობაც კი მიიღო, რომ ამ გზით ქართველთა დედოფალი შეერთო ცოლად და ქართველთა იერიშებისა და თავდასხმისაგან თავი უზრუნველ-ეყო. ქართველნი იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ რუქნედინიც კი დაამარცხეს. შირვანის დარუბანდელნიც ქართველებმა უკიდურესად შეავიწროეს. ხოლო მაშინაც კი, როდესაც ქ. ხლათთან ივანე მხარგრძელი ხლათელთ ტყვედ ჩაუვარდათ, ზავის პირობა ისე იყო დადებული, რომ ხლათელები მოვალენი იყვნენ ქართველთათვის შიგ ციხეში ეკლესია აეგოთ სამრეკლოთურთ. მხოლოდ ამის შემდგომ აიყარნენ და ქ. ხლათს ალყა მოხსნესო. ერთი სიტყვით, მთელ მცირე აზიაში მაშინ ქართველთა ძლიერების წინააღმდგომი არავინ იყო და ჯალალედინმა ეხლა გამოიჩინა ის გულადობა, რომელიც ადარბაგანელ და სპარსელ ამირებსა, მთავრებსა და სულტანებს აკლდათ. ამიტომაც არის, რომ მაჰმადიანნი ხვარაზმელ შაჰსა და სულტანს შეჰხაროდნენ და ჯა-

---

[1] ქ'ლ ერის ისტორია II, 433.

[2] ი ქვე, II, 521—522.

ლალედინის გამარჯვება და ქართველებზე ძლევამოსილება მათ გულნაწყენ და შელახულ თავმოყვარეობას აკმაყოფილებდა (დ ე ფ რ ე მ ე რ ი, Frag. გვ. 489—491 და 492).

თბილისის აღების შემდგომ მოხდარი ამბები ქართველს ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს მეტად მოკლედ აქვს მოთხრობილი და მის ნაამბობში მტრის არაერთი და ორი საყურადღებო სამხედრო მოქმედება არის გამოტოვებული: მას მხოლოდ ზოგადად აღნიშნული აქვს, რომ ჯალალედინმა საქართველოს სატახტო ქალაქის ხელში ჩაგდების შემდგომ საქართველოს შემდეგი კუთხეებიც აიკლო და ააოხრაო. ხვარაზმელებმა «ესრეთ რა მოაოჯრეს ტფილისი, იწყეს რბევად, ტყუენვად, ჴოცად და კვლად სომხითისა და კამბეჩიანისა და იორისა ნაპირთა, [ზოგი] ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, ქარნიფორისა და არსიანის მომდგომთამდე. გაგრძელდა ესევითარი ჭირი»-ო (ჟ ა მ თ ა ა ღ მ. *755, გვ. 580).

ამგვარი ზოგადი ცნობა ჯალალედინის მიერ საქართველოს სამეფოს სხვადასხვა ნაწილების აღების შესახებ ქართველს ისტორიკოსს ერთგან კიდევ მოეპოვება. ქ. თბილისის აღებამდე აქვს მოთხრობილი, მაგრამ უთარიღოდ და უეჭველია იქ აღნიშნული ადგილებიც მომეტებულად 1226 წ.-ს და შემდგომ უნდა ყოფილიყო აოხრებული. ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი სახელდობრ ამბობს: ჯალალედინმა «მოაოჯრა ყოველი ქვეყანა დვინისი, კუსტისა დვინისასა,[1] და ყოველი ანისი, სომხითი, გაგი განძამდე, შანქორი»-ო (იქვე *750, გვ. 570).

ჯალალედინის კარის ისტორიკოსი ნ ე ს ე ვ ი ც ადასტურებს, რომ თბილისის დაპყრობის შემდგომ სულტანმა თავისი მარბეველი ლაშქარი საქართველოს[2] უმორეულესი ნაწილების დასამორჩილებლად გაგზავნა[3]. თვით ხვარაზმშაჰი კი საქართველოში აღარ დარჩენილა, რათგან ერაყითგან შეატყობინეს, რომ ბორაყს თათრებთან მოლაპარაკება აქვს და აჯანყებას აპირებსო. ამის გამო ჯალალედინმა 6000 ჯარისკაცითურთ თავისი ძმა ღიას ედინი საჩქაროდ ქერმანში გაისტუმრა, ურჩი ბორაყი დაიმორჩილეო და თითონაც აიყარა და ქერმანისაკენ გაემგზავრა[4].

წასვლის წინ სულტანმა თბილისში შერეფ ელმულკი დანიშნა, რომ მას იქითგან მარბეველი ლაშქრისათვის საქართველოში ხელმძღვანელობა გაეწია[5]. თავისი სახლობა, ჰარამი ხვარაზმშაჰმა ქეილკუნში დასტოვა და მის დასაცავად ხანები მიუყენა. ამ ხანებს შორის უეცრად ხმა გავრცელდა, რომ თბილისში მყოფს შერეფ ელმულკს ქართველები გარსშემოერტყნენ, ერთს ბრძოლაში კიდეც დაამარცხეს და რიცხვით სძლიესო. მაშინვე ხანები საბჭოდ შეიყარნენ, რა ვქნათ, მივეშველნეთ შერეფ ულმულკს, თუ არაო. უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ისინი სულტანის მიერ ჰარამის დასაცავად არიან მიყენებულნი და ამიტომ აქეთგან ფეხი არ უნდა მოვიცვალოთო. ორხანმა კი მათ

---

[1] სწერია «კუტსთა დანისისა».

[2] ნესევის ამავე მნიშვნელობით „აბხაზი“ აქვს ნახმარი.

[3] ნ ე ს ე ვ ი, 204. თავი VII.

[4] ი ქ ვ ე. 205.

[5] ი ქ ვ ე, 205.

არ დაუჯერა და 5000 ცხენოსანი ჯარითურთ თბილისისაკენ გაეშურა. ორხანი რომ თბილისში მივიდა, მხოლოდ მაშინ გამოირკვა, რომ ქეილკუნში გავრცელებული ხმა სრულებით უსაფუძვლო იყო[1].

ორი დღის შემდგომ თბილისში თაჯედინი ქილიჯი მახარებლად მოვიდა და ხვარაზმელთ აუწყა, რომ თვით ჯალალედინი ერაყით დაბრუნდა და ნახჭავანში არის ამჟამადო. ცოტა ხნის შემდგომ სულტანი მართლაც ისევ საქართველოს დედაქალაქში მოვიდა[2], იბნ ალასირის სიტყვით ხვარაზმშაჰი ქერმანითგან თბილისში 1226 წლის სექტემბერში დაბრუნებულა[3].

ჯალალედინის მოსვლისთანავე ხვარაზმშაჰის ლაშქარი ისევ მოედო საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მოსარბევად და გასაცარცვავად[4]. ნესევის სიტყვით სულტანმა თბილისში ყარამალიქ თაჯედინ ელჭუსაჲნი და ნუსრეტ ედინ მუჰამმედის ძე კაბუდჯამე დასტოვა, ხოლო თითონ მსუბუქად ხლათისაკენ გაილაშქრა[5], მაგრამ იბნ ალასირს უფრო მეტი ცნობები მოეპოვება.

არაბ მემატიანის სიტყვით ჯალალედინი პირდაპირ ხლათში კი არ წასულა, არამედ ჯერ ქ. ანისისაკენ გამგზავრებულა, სადაც ივანე ათაბაგი და ზოგი კიდევ სხვა გადარჩენილი ქართველი მხედართმთავრები იყვნენ შეხიზნულნი. სულტანი ანისს შემოერტყა, ხოლო თავისი ლაშქრის მეორე ნაწილი ქ. კარისაკენ გაგზავნა, რომ ისიც ქართველებისათვის წაერთმიათ. ჯალალედინი ორთავე ქალაქს მედგრად შეებრძოლა, რათგან ორთავე ძლიერ და მიუდგომელ ციხეებად ითვლებოდნენ. სულტანმა მათ წინააღმდეგ საბრძოლველი მანქანებიც კი დაადგმევინა. მაგრამ ქართველები გულადად და თავგანწირულად იბრძოდნენ და მომდგარს მტერს ღირსეულად პასუხს აძლევდნენ[6].

ქ. ანისის წინაშე ჯალალედინმა სრული ერთი თვე თითქმის არც კი დაჰყო, რომ აიყარა და ისევ თბილისში დაბრუნდა, ანისისა და კარის გარშემო მებრძოლი ლაშქარი კი ისევ თავის ალაგს დასტოვა[7].

თბილისითგან სულტანი თავისი ჯარითურთ საქართველოს ისეთს კუთხეებს შეესია, სადაც ქართველნი შეხიზნულები ეგულებოდა, თავს დაეცა, გადასწვა და გადაბუგა ქალაქები, ააოხრა ქვეყანა, ტყვეები წამოასხა და ისევ თბილისში დაბრუნდა[8].

ჯალალედინი თბილისში დიდ ხანს არ დარჩენილა: სულ ათიოდე დღე დაჰყო და ისევ სწრაფად აიყარა და ხლათის ასაღებად გაეშურა. იბნ ალასირის სიტყვით სულტანი უფრო ხლათელებისათვის თვალების ასახვევად და გასაბრიყვებლად წამოსულა თბილისში, რომ მელიქ ალაშრაფის მოადგილე

---

[1] ნესევი, 207 — 208.
[2] ნესევი, 208.
[3] Frag. 494.
[4] ნესევი, 208.
[5] იქვე.
[6] Frag 494.
[7] იქვე.
[8] იქვე, 494—495.

ხლათში ეჯიბი ჰუსამ ედინ-ალი არხეინად ყოფილიყო, თავდაცვაზე არ ეზრუნა და მტრის დასახვედრად მზად არ ყოფილიყო.

ათი დღის შემდგომ ხვარაზმშაჰი უეცრივ დაიძრა და საჩქაროდ თავის ლაშქრითურთ ხლათისაკენ გაემართა. ჯალალედინი დარწმუნებული იყო, რომ მისი დაცემა ხლათელებისათვის სრულებით მოულოდნელი იქნებოდა და ამგვარ ანაზდადი იერიშით თავხარდაცემული მოწინააღმდეგე ბრძოლას ველარ შესძლებდა. მაგრამ თვით სულტანის ამალაში ვიღაც ერია, რომელმაც ჯალალედინის ეს საიდუმლო და სწრაფი გალაშქრება ხლათის მმართველს აცნობა. ამ ამბავმა ხლათში თვით სულტანის მისვლას ორი დღით უსწრო. და როცა ჯალალედინი ხლათის სანახებს მიუახლოვდა, ხლათელები მტრის დასახვედრად უკვე მომზადებული იყვნენ.

ჯერ ხვარაზმშაჰი ქ. მანასკერტს (მელაზკერდ) მიადგა და შემოერტყა. მაგრამ ორი დღის შემდგომ სწრაფად აიყარა და ქ. ხლათს მიადგა. მიეიდა თუ არა, ქალაქზე ძლიერი და მედგარი იერიში მიიტანა თუმც საშინელის ზარალით, მაგრამ მაინც ქალაქის ზღუდეებს მიუახლოვდა და აქ შეჩერდა.

შემდეგ ჯალალედინმა ხელმეორედ მიიტანა იერიში. ხლათელნი გულადად ომობდნენ, მაგრამ ხვარაზმშაჰის ლაშქარმა მათ დიდი ზარალი მიაყენა, ჯალალედინის ჯარი ქალაქის კედლებს მიადგა და გარეთუბანში შეიჭრა კიდეც, აქ ტყვეც და დავლაც ჩაუვარდა ხელში.

ეს რომ ხლათელებმა შეიტყეს, გაორკეცებული და თავგანწირული სიმამაცით შეუტიეს გარეთუბანში შემოჭრილს მტერს და თუმც დიდი მსხვერპლის შემდგომ, მაგრამ მაინც ხლათითგან განდევნეს.

ამ მეორე უნაყოფო იერიშის შემდგომ ჯალალედინმა თავისი ჯარი რამდენსამე დღეს დაასვენა და მერე ისევ შეუტია. მაგრამ არამცთუ ვერას გახდა, პირიქით, ხლათელები ისე ძლიერად ეკვეთნენ ხვარაზმშაჰის ლაშქარს, რომ ქალაქისაგან დიდს მანძილზე უკუაქციეს. არაბი მემატიანე ამბობს, ხლათელებმა უკვე კარგად იცოდნენ, თუ როგორ ექცეოდნენ ხვარაზმელნი დაპყრობილს ქვეყნებს, როგორ სცარცვავდნენ და ჰგლეჯდნენ ყველაფერს, და ამიტომაც ებრძოდნენ ჯალალედინს ასე გამწარებითაო.

ხვარაზმშაჰი მაინც ქ. ხლათის მახლობლად იყო დაბანაკებული, სანამ სიცივემ არ მოუჭირა და არ ჩამოთოვა. მაშინ კი იკადრა და ხლათითგან უკან დაიხია [1].

ჯალალედინის მარცხი ხლათთან დამახასიათებელია. აქ იწყება ხვარაზმშაჰის ბედის უკუღმა ტრიალი ადარბაგანსა და ამიერკავკასიაშიც. მისი საშინელი სიმკაცრე და მისი ლაშქრის მხეცური ქცევა და შეუკავებელი ცარცვა-გლეჯა, რომლისაგანაც ყველანი, ქრისტიანებიცა და მაჰმადიანნიც, ბრალიანიცა და უბრალოც განურჩეველად დაზარალდა ჯალალედინის ადარბაგანში, მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში ლაშქრობის დროს, ვის არ აღაშფოთებდა?. მაჰმადიანთაც კი, რომელნიც პირველ ხანებში ძლიერი სულტანის გამოჩენამ ვაახარა და ქრისტიან ქართველთა ძლევამოსილების ღირსეულ და მოსლიმან-

---

[1] იბნ ალ ასირი, Frag. 498—497.

თათვის საამაყო მეტოქედ და პასუხის გამცემად მოეჩვენათ, ხვარაზმელთა შეშაძრწუნებელი ძალადობისა და მცარცველობის გამო ჯალალედინისათვის უნებლიედ უნდა ზურგი შეექციათ. ხლათელთა თავგანწირული ბრძოლა და ადარბაგანში რამდენჯერმე მომხდარი ამბოხება სწორედ უკვე ასეთი ხვარაზმელთადმი გაღვიებული სიძულვილის გამომმჟღავნებელია.

[თბილისის მეჯრის ხელითგან დროებით ვამოგლეჯა]

ოუმცა ჯალალედინის კარის ისტორიკოსი ნესევი ამაზე სდუმს, მაგრამ მეორე თანამედროვე არაბ მემატიანეს იბნ ალასირს აღნიშნული აქვს, რომ ხვარაზმშაჰის მიერ თბილისში დატოვებული მცველნი და მეციხოვნენი ადგილობრივ თბილისელ მცხოვრებ მაჰმადიანებსაც კი მეტად ცუდად და უსამართლოდ ეპყრობოდნენ. ხვარაზმელთა ქცევა იმდენად აუტანელი იყო, რომ თბილისში მყოფმა ადგილობრივმა მაჰმადიანებმა ქართველებს საიდუმლოდ მოციქული მიუგზავნეს და ემუდარებოდნენ მოდით და იხსენით ქ. თბილისი მტარვალთაგანაო [1].

ქართველებს, რასაკვირველია, ამ მარჯვე შემთხვევით უსარგებლიათ და საჩქაროდ მზადებას შესდგომიან [2]. ნესევის სიტყვით თბილისში დატოვებულ ხვარაზმელთა მეციხოვნე ლაშქრის სიმცირე არზრუმის პატრონის შვილს უცნობებია ქართველებისათვის. მან ქრისტიანობაც კი მიიღო, რომ ქართველი დედოფალი შეერთო ცოლადაო [3]. როდესაც ჯალალედინი საქართველოს შემოესია, მან ეს გაქრისტიანებული არზრუმის მთავრის შვილი თავისთან მიაყვანინა, მაჰმადიანობის ღალატი მიუტევა და თავშესაფარი მისცა, მფარველობაც გაუწიაო. სულტანმა რომ ხლათისაკენ გაილაშქრა, ეს ყმაწვილი ისევ ქართველებთან გაიქცა, ხელმეორედ გაქრისტიანდა და ქართველებს თბილისის უბწეო მდგომარეობის ამბავი მიუტანა, რომ იქ ხვარაზმელთ სულ მცირედი მეციხოვნე ჯარი ჰყავდათ [4].

იბნ ალასირი ამაზე არას ამბობს. იქნებ არზრუმის მთავრისშვილსაც მიეტანოს ქართველებისათვის ცნობები თბილისის მცველთა მცირეიცხოვანობის შესახებ. მაგრამ უეჭველია ეს ამბავი მათ თვით თბილისელ მაჰმადიანთა მოციქულისაგანაც უკვე ეცოდინებოდათ.

ქართველებმა ანისითგან, კარითგან და სხვა ციხეებითგან მეციხოვნე ჯარის ერთი წილი გამოიყვანეს და მოიშველიეს [5]. და სანამ ჯალალედინი თავის ლაშქრითურთ ჯერ კიდევ ხლათთან იდგა, უეცრად თბილისს დაეცნენ. ნესევი, ალბათ, თავისიანების დამარცხებისა და დანაშაულობის შესამსუბუქებლად ამტკიცებს, ვითომც ქართველებს თბილისის ასაღებად მთელი თავისი

---

[1] Frag. 498.
[2] იქვე.
[3] ნესევი, 209.
[4] ნესევი, 209 და 289 — 290.
[5] იბნ ალასირი, Frag. 498.

ქვეითობა და მხედრობა შეეყარათ[1], მაგრამ ამას არც იბნ ალასირი ადასტურებს და ძნელი დასაჯერებელია, რომ ასე საჩქაროდ ქართველებს მთელი თავიანთი ჯარის შეგროვება მოესწროთ.

---

[1] ნესევი, 209. უცნაური გარემოებაა, რომ ჯალალედინს რუსუდანის ქმარი ტოღრილის შვილი თავისთან დაუბარებია და თბილისში უნახავს (ნესევი, იქვე). რა მიზეზია, რომ ის რუსუდან მეფეს არ გაჰყოლია ქუთაისში? თბილისის მეციხოვნე დამცველ ჯარში იყო, თუ ისე ცალკე დარჩა, ძნელი სათქმელია. ცხადია მხოლოდ, რომ ჯალალედინს უნდა ალარათ სცოდნოდა მეუღლეთა შორის, როგორც ეტყობა, უკვე ჩამოვარდნილი ურთიერთისადმი უკმაყოფილების ამბავი, ამას ხვარაზმელი სულტანის საქციელი გვაფიქრებინებს: მან მუღლის ედინი თავისთან დაიბარა, მაჰმადიანობის უარყოფა აპატია, დაასაჩუქრა და წყალობით აავსო (იქვე, გვ, 293). ჯალალედინს რომ ტოღრილის შვილის ქართველთა მეფე რუსუდანისა და ქართველებზე გულის აყრის ამბავი არ სცოდნოდა, დარწმუნებული არ ყოფილიყო, რომ მისი პირადი სულიერი გაწყობილება ქართველთადმი საბოლოოდ და მის მაჰმადიან სულტანისადმი საერთოგულოდ იყო შეცვლილი, უეჭველია საქართველოს მეფის რუსუდანის ქმარს ასე ადვილად ვერ ენდობოდა. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ რუსუდანსა და მის მეუღლეს შორის უკვე 1225 წ. უსიამოვნება უნდა ყოფილიყო ჩამოვარდნილი.

მუღლის ედინის უკმაყოფილების გრძნობა მაინც ხანგრძლივი არ ყოფილა და ქართველებზე გული მთლად არ ჰქონია აყრილი. იგი მალე მაჰმადიანობას კვლავ გადასდგომია და ისევ გაქრისტიანებულა, ქართველებთან დაბრუნებულს, მას ხვარაზმელთა ფრიად მნიშვნელოვანი საიდუმლოება გამოუმჟღავნებია, რომ თბილისის აღება სულტანისაგან მეციხოვნე ჯარის სიმცირის გამო ადვილია. ქართველებმა, როგორც ვიცით, ისარგებლეს კიდეც ამ გარემოებით და თბილისი მტერს მართლაც ხელითგან გამოსტაცეს. ეს ამბავი 1226, ან უკიდურეს შემთხვევაში 1227 წ, უნდა მომხდარიყო. მაშასადამე, რუსუდანის ქმარს ხვარაზმელებთან ყოველგვარი წყალობისდა მიუხედავად ერთ წელზეც მეტს ვერ გაუძლია. ისევ ქართველებთან ყოფნა ურჩევია.

ნესევის თუ დავუჯერებთ, რუსუდანის ქმარი მუღლის ედინი ტოღრილის ძე ქართველებსაც აუთვალისწუნებიათ და შეზიზღებიათო. ამ გარემოების მიზეზი ჯალალედინის კარის ისტორიკოსი არ ასახელებს. შესაძლებელია ამგვარი გრძნობა მის იმ პოლიტიკურსა და სარწმუნოებრივს ღალატს გამოეწვია, რომელიც მან ხვარაზმშაჰთან მისვლითა და მიმხრობით გამოიჩინა. მაგრამ პირადად რუსუდან მეფესაც თავის მეუღლეზე გული აუყრია, გაჰყრია და სხვა ქმარი შეურთავს (ნესევი, 239 — 290). ოუმცა ამ გარემოებაზე ქართველი ავტორი ამბობს. მაგრამ სამაგიეროდ ابن الاثير ადასტურებს და ეს მართალი უნდა იყოს. თუ ეს უკანასკნელი ამბავი, რუსუდანის და მის ქმრის გაყრა, იმ დროს მოხდა, როდესაც ტოღრილის შვილი ხვარაზმელებთან იყო, ე. ი. 1225 წ., მაშინ რუსუდანს შეეძლო ეს გაყრა კანონიერად მოეწყო და თავის ქმარს, ვითარცა ქრისტიანობის უარისმყოფელს, საეკლესიო კანონებისდა თანახმადაც გაჰყროდა. გულწრფელად თუ მოჩვენებითა და გარეგნულად შესაძლებელია ხელზე რუსუდანს თავისი ქმრის სწორედ ეს დანაშაულება დაეხვია, მაგრამ ابن الاثير მიზეზად სულ სხვა რამეს ასახელებს. მისი სიტყვით დედოფალს ერთი თავისი რაინდთაგანი (შამლუკთაგანიო) ჰყვარებია. ქმარს ეს ამბავი შეუტყვია და ერთხელ თავის თვალით დარწმუნებულა, რომ ცოლი მის მაგიერ უკვე სხვას ეტრფოდა. განრისხებულს ტოღრილის შვილს რუსუდანისათვის თავისი აღშფოთებული გულისწყრომა გამოუთქვამს, მაგრამ მას არა მცთუ მისი ლაპარაკისათვის ყურადღება არ მიუქცევია, პირიქით თავისი ქმარყოფილისათვის ბორკილი გაუყრეინებია და ციხეში ჩაუსვამს კიდეც. ქმრად კი მის მაგიერ ერთი მის მახლობელთაგან მოწონებული და სილამაზით განთქმული ალანელი ქალაბუკი მოუყვანია და შეურთავს, რომელიც შემდეგში აგრეთვე გასტუმრებული ყოფილა (Journal asiat. IV ser. XIV, t. 475).

თბილისში ხვარაზმელთა ლაშქრის უფროსად ყარა მალიქი იყო, რათგან შერეფ ულმულკი ჯალალედინის მიერ განჯაში იყო გაგზავნილი.

ნესევი ამბობს, ვითომც ყარა მალიქი იმდენად მხდალი ყოფილიყოს, რომ ქართველთა ჯარის მოახლოებისთანავე თბილისი მან ყველა მასთან მყოფ ამირებთან ერთად უბრძოლველად დასცალა. მაშინ ქართველები თბილისში შევიდნენ და რაკი კარგად იცოდნენ, რომ იმ პირობებში თბილისის ხელში შენარჩუნება არ შეეძლოთ, მტერს რომ მისით სარგებლობის საშუალება აღარ ჰქონოდა, ქალაქი თითონვე გადასწვეს.

ამრიგად, ნესევის სიტყვით ისე გამოდის, თითქოს ქართველთა ჯარს თბილისი უბრძოლველად ჩაეგდოთ ხელში. მაგრამ იბნ ალასირის ცნობებით ქართველებს თბილისი ძალით დაუპყრიათ: ყარა მალიქის უბრძოლველად ქალაქის დაცლის შესახებ მას არაფერი უწერია[1]. ქართველთაგან თბილისის გადაწვის ამბავს კი იბნ ალასირიც ადასტურებს[2].

რაწამს შერეფ ელმულკმა ქართველთა თბილისის წინააღმდეგ გალაშქრების ამბავი გაიგო, ჯალალედინს წერილს წერილზე უგზავნიდა, ჩვენი ლაშქრის წინააღმდეგ ქართველები თბილისზე იერიშის მიტანას აპირებენ და დროზე მიეშველეო. ამ მოულოდნელი შემთხვევის გაგებისთანავე ჯალალედინი სწრაფად ხლათითგან წამოვიდა მაგრამ, სანამ ის თბილისამდე მოაღწევდა, საქმე გათავებული იყო კიდეც[3]. ქართველებმა თბილისი აიღეს, გადასწვეს, რომ მტრისათვის გამოსადეგარი აღარა ყოფილიყო და ისევ თავი მიანებესო. ხვარაზმშაჰს გადაბუგული ქალაქი-ღა დახვდა[4].

იბნ ალასირის სიტყვით ქ. თბილისი ქართველებს 1227 წელს (624 წ. ჰიჯრ. რები პირველის თვეში) აუღიათ და გადაუწვავთ[5], მაგრამ ნესევის ეს ამბავი 1226 წ. ქვეშე აქვს აღწერილი[6]. ერთს სხვა მაჰმადიან მემატიანეს კი ნათქვამი აქვს, რომ ქართველებმა ქ. თბილისი ხვარაზმელ მეციხოვნეთ წაართვეს და მხოლოდ ამ ქალაქის აღების ერთი წლის შემდგომ თბილისი გადასწვეს, დაანგრიეს და მიატოვესო[7]. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ თბილისი ქართველებს 1226 წ., ალბათ, დამლევს უნდა დაებრუნებიათ, მაგრამ 1227 წ. ეგების დამდეგს გადაეწვათ და მიეტოვებინათ. გასაოცარია სწორედ, რომ ქართველ ჟამთააღმწერელს ქ. თბილისის ქართველთა მიერ აღებისა და გადაწვის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი და, ნესევისა და იბნ ალასირს რომ ეს შემთხვევა აღწერილი არა ჰქონოდათ, არა გვეცოდინებოდა რა.

ქართველები რომ თბილისის დაწვისათვის დაესაჯა და შური ეძია, ჯალალედინმა შირვანის ქალაქები შაქი და ყაბალა, რომელნიც ქართველებს

---

[1] Frag. 498.
[2] იქვე.
[3] ნესევი, 209 — 210.
[4] იბნ ალასირი, Frag. 498 და ნესევი, 210.
[5] Frag, 497.
[6] გვ. 209 — 211.
[7] დეფრემერი, Frag, 499, შენ. 3.

ეპყრათ, საფი ედინსა და ხოშყარას ჩააბარა. ორივენი გაემგზავრნენ და მიხდობილი ქალაქები დაიჭირეს. საფი ედინი მაშინვე გადასახადების აკრებას შეუდგა. ქართველებმა, რასაკვირველია, მათი განდევნა მოიწადინეს და ორთავ ქალაქს მიადგნენ. ხოშყარამ წინაღმდეგობა ვერ გაბედა და საჩქაროდ გაიპარა. საფი კი ქართველებს გაუძალიანდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ქართველები გარშემორტყმული იდგნენ და საფის შეპყრობას ლამობდნენ, მაგრამ მერე ჯალალედინის მოახლოვების ამბავი მოუვიდათ და ამის გამო საჩქაროდ ალყა მოხსნეს და წავიდნენ [1].

[ჯალალედინის ლაშქრობანი 1227-29 წლებში]

ამის შემდგომ სულტანი ჯალალედინი ერაყს გაემგზავრა, რომ მონღოლებს დახვდომოდა [2]. ხვარაზმშაჰმა ერაყში თან წაიყოლა შერიფ ელმულკი, მაგრამ რაკი ამბავი მოუვიდა, რომ ადარბაგანში მის წინააღმდეგ ამბოხებას აპირებდნენ, ისევ ადარბაგანსა და რანში გამოისტუმრა [3]. შერეფ ელმულკი შეუდგა ჯერ კიდევ დაუპყრობ ციხეების აღებას [4], მაგრამ ალი ელაშრაფმა 1226 წ. დეკ. 22 — 1227 წ. 12 დეკ. შერეფ ელმულკი დაამარცხა და უკუაგდო [5]. შერეფ ელმულკი ჯერ თავრეჟში გაიქცა, მაგრამ გაზაფხულზე ისევ რანში წამოვიდა [6].

რანში მიმავალი მგზავრი ხაჩენის ციხეს მიადგა, რომელიც ჯალალ ედდოვლეს [7] ეჭირა. ეს ჯალალი ივანე ქართველის, ესე იგი ათაბაგის დისწული იყო, ამბობს ნესევი [8]. ამ ცნობას ჯალალის დედის შესახებ კირაკოზ განძაკელიც ადასტურებს [9]. მუქარით და დაყვავებითაც [10] შერეფ ელმულკს ისე მოუხერხებია, რომ ჯალალ ხაჩინელს ქედი მოუხრია და 10000 დრაჰკანი პვრპერაც გადაუხდია, 700 მაჰმადიანი ტყვეც გაუთავისუფლებია. განთავისუფლებულ ტყვეთა შორის ზოგი დიდის ხნის, ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს, შეპყრობილნი იყვნენ [11].

თავის მხრივაც ადარბაგანით მოსულმა ჯალალედინმაც, მუღანში დაბანაკებულმა, ერთი თავისი მხედართმთავარი ქუჯ აბეპ კეკხანი თავისი ლაშქრის ერთი წილითურთ საქართველოში გამოისტუმრა. ხვარაზმშაჰის მარბიელი ჯარი ლორეს მიადგა, ააოხრა მთელი სანახები და დაელა ჩაიგდო ხელში. ნატყვენავით დატვირთულმა ხვარაზმელთა ლაშქარმა ღამის გასათენებ-

---

[1] ნესევი, 243.
[2] ნესევი, 244.
[3] იქვე, 251—252.
[4] იქვე, 259.
[5] იქვე, 264—270.
[6] იქვე, 270—272.
[7] ნესევის „ჯალალედინი“ უწერია, მაგრამ სომხურ წყაროებში „დოვლე“ ეწოდება.
[8] გვ. 272.
[9] კირაკოზ განძაკელი, 254.
[10] იხ. აგრეთვე И. А. Орбели, hАсан Джалал, князь Хаченский: ИАН. 1909 წ, გვ. 406—407, 408—409, 411 და სხვაგან.
[11] ნესევი, 272.

ლად ერთს ტბასთან[1] დაიბანაკა. მათმა მხედართმთავარმა თავისი ჯარი ორად გაჰყო: ერთი ამ ტბის აღმოსავლეთით დააბინავა, მეორე დასავლეთ ნაპირას. ქართველები მათ თვალყურს ადევნებდნენ და ტბის დასავლეთ ნაპირას დაბანაკებულს რაზმს ღამიანად უეცრად თავს დაესხნენ, ზოგი ამოხოცეს, ზოგი კიდევ ტყვედ წაიყვანეს[2].

ჯალალედინმა რომ თავის ლაშქრის ამგვარი მარცხი შეიტყო, ეს საშინლად იწყინა, განსაკუთრებით კი იმან განარისხა, რომ მის ჯარს ქართველები ასე თავს დაეცნენ[3].

ქართველს ჟამთააღმწერელს და, ალბათ, თვით ქართველებსაც ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ მონღოლთა ლაშქრის მოახლოვების გამო, რაკი ხვარაზმშაჰმა ჯალალედინმა იცოდა, «რომელ სპანი მისნი და ადარბაგანი ვერ წინააღუდგებიან, დაუტევა აიდარბაგანი და წარმოემართა»-ო (*760, გვ. 587). ქართველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სულტანი თბილისში მოდიოდა. ქართველები ჯალალედინის დაძვრისთანავე მზადებას შეუდგნენ.

რუსუდან მეფემ «მოუწოდა ყოველთა სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა, შანშეს მანდატურთ-უხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა, ვარამს მსახურთ-უხუცესსა, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სა მეფოსა». ამას გარდა «განუხვნა კარნი დარიალ[ან]ისანი და გარდამოიყუანნა ოვსნი და დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთეულნი» (ჟამთააღ. *760, გვ. 587).

თავის მხრივ ჯალალედინს და ხვარაზმელთ ქართველთა სამხედრო სამზადისი ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, თითქოს [პირველად იერიშის მოტანას ქართველები აპირებდნენ და ნ ე ს ე ვ ი ც ამტკიცებს, თითქოს ჯალალედინს ჯერ ქართველთა მზადების ამბავი შეეტყოს, ხოლო შემდგომ წამოსულიყოს ქართველებთან საბრძოლველად.

ქართველი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ცნობა, რომ რუსუდან მეფემ საქართველოს ჯარის შეყრას გარდა ჯიქნი, ოსნი, დურძუკნი და სხვა მთეულნიც გადმოასხა, ნ ე ს ე ვ ი ს სიტყვითაც მტკიცდება. მას მხოლოდ ქართველთა მეშველებად ლეკნი, ალანნი და სვანები ჰყავს დასახელებულნი[4]. ამ ბრძოლის შესახებ ცნობები რ ა შ ი დ ე დ ი ნ ს ა ც მოეპოვება და მას ამასთანავე ერთი ფრიად საყურადღებო გარემოებაც აქვს აღნიშნული. ქართველ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ა ვ ი თ მასაც იერიშის მომტანად ჯალალედინი ჰყავს წარმოდგენილი. სულტანი ისპაჰანითგან დაიძრა და თავრეჟში მივიდა, ხოლო იქითგან საქართველოსაკენ გაემგზავრაო[5].

ჯალალედინის ამ ლაშქრობის თარიღად რაშიდედინს 620 წ. აქვს ჰიჯრ. აღნიშნული, რაც 1227 — 1228 წ. ქ. შ. უდრის. რაკი რუმის სულტანს, შამის მეფეებს, შაჰარმენს და მათ მოსაზღვრე მფლობელთ ხვარაზმშაჰის ვამარჯვე-

---

[1] ტბის სახელი ნესევის „პეტახ"-ი უწერია, მაგრამ „ბენაჯი" Frag. 510.
[2] ნ ე ს ე ვ ი, 292.
[3] ი ქ ვ ე, 293.
[4] ნ ე ს ე ვ ი, 293.
[5] ბლოშეს გამოც. II, გვ. 11.

ბისა და გაბატონებისა ეშინოდათ, ამიტომ ყველანი ჯალალედინის უკუქცევისათვის აღსდგნენ და ქართველთა ლაშქარს შეუერთდნენო. საქართველოს ჯარში თვით ქართველთა, აფხაზთა, სვანთა[1] და სომეხთა გარდა რ ა შ ი დ ე დ ი ნ ს მოხსენებული ჰყავს ლეკნი, ავართა[2] ყივჩაყნი და ჭანეთის[3] ჯარი[4].

საგულისხმიეროა, რომ ზემოაღნიშნულ მაჰმადიან მეფეებსა და მთავრებს არამცთუ ჯალალედინისათვის მხარი არ დაუჭერიათ, არამედ შეერთებულის ძალით ქართველებს მიჰმხრობიან, რომ მათთან ერთად ხვარაზმელი სულტნისათვის ღირსეული პასუხი გაეცათ და უკუექციათ. ეს უეჭველია ხვარაზმელთა შემაძრწუნებელი ქცევისა და ცარცვა-გლეჯის შედეგი უნდა იყოს. ქართველ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით «შეკრბეს ნაჭარმაგევსა სიმრავლე ურიცხვი და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხვარაზმელთა»-ო (*750, გვ 587). წარვლენილი ჯარის რაოდენობა ზედმიწევნით აღნიშნული არა აქვს. რ ა შ ი დ ე დ ი ნ ი ც ამბობს, რომ ჯალალედინის წინააღმდეგ ქართველთა და მათ მოკავშირეთა ჯარი მრავალრიცხოვანი იყო (გვ. ٢٨), მაგრამ თვით რიცხვი არც მასა აქვს დასახელებული. მხოლოდ ნესევი ამბობს, რომ ქართველთა ჯარი 40000 აღემატებოდაო[5].

რუსუდან მეფემ საქართველოს შეერთებული ჯარი ისე გაისტუმრა საბრძოლველად, რომ «თვით დროშა — სეფე არა წარგზავნა». მას შემდგომ რაც ქართველთა დროშას ჯალალედინთან პირველ ომში საშინელი მარცხი მოუვიდა, რუსუდანმა ქართველ სამხედრო წესს გადაუხვია და ლაშქრად მიმავალს ჯარს სეფე-დროშა ბრძოლაში არ გაატანა (ჟ ა მ თ ა ა ღ . *760, გვ. 588). ქართველთა ჯარი და მათი მოკავშირენი ნაჭარმაგევითგან «წარემართნეს და განვლეს ტფილისი».

როგორც ეტყობა, თვით ჯალალედინსაც თავის სპა წამოუწევია წინ და მუღანითგან ლორის სანახებში მოსულა თავისი დამარცხებული რაზმის მოსაშველებლად. საქართველოს შეერთებული მხედრობა რომ სამხრეთისაკენ წამოვიდა, მაშინ უკვე «სულტანი დაბანაკებული იყო სომხითს, ჴევსა ბოლნისისა» (ჟამთაღმ. *760, გვ. 588).

რაწამს ჯალალედინმაც ქართველთა ჯარის მოახლოვების ამბავი შეიტყო, აიყარა და მსუბუქ ცხენოსან ჯარითურთ ქართველთა წინაღმდეგ გაეშურა. ხვარაზმშაჰსაც დიდძალი ლაშქარი ჰყავდა თანა[6].

მოპირდაპირეთა წინამავალნი თურმე იმავე ტბის პირას დაეახლნენ ერთიერთმანეთს, სადაც ამას წინათ ქართველებმა ხვარაზმელთა რაზმი დაამარც-

---

[1] სპარსულად ბლოშეს გამოცემაში შეცდომით سوسان არის დაბეჭდილი, ალბათ سوان-ის მაგიერ.

[2] სპარს. سرير J. Marquart-ი ამტკიცებს, რომ ამ სახელს ავარებს ეძახდნენ (Osteurop. u ostasiat. Streifzüge, გვ. 302 და 423.

[3] ხელთნაწერებში ,ხან خانت ხან جانت სწერია, თავდაპირველად جانت ჭანეთი იჭნებოდა.

[4] ი ქ ვ ე .

[5] გვ. 293.

[6] ნ ე ს ე ვ ი , 293.

ხეს[1]. ქართველთა წინამავალთ თვალი მოჰკრეს თუ არა «დარაჯთა სულტნისათა, აცნობეს სულტანსა. ხოლო იგი აღიჭურა» და დარაზმულ-შეიარაღებული «წინაგანეწყო და იქმნა ომი სასტიკი» (ჟამთააღმ *760—761).

ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით ბრძოლა თითქოს ქართველთათვის საკეთილოდ დაწყებულიყოს და «პირველსავე შეკრებასა სძლევდეს ქართველნი» და მხოლოდ შემდეგ, როდესაც «შენივთდა ბრძოლა, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი კაცი», მაშინ ქართველთა მდგომარეობა შეირყა და «იძლივნეს სპანი მეფისანი და ხვარაზმელთა მიერ ივლტოდეს» (ჟამთააღ. *761, გვ. 588). ნ ე ს ე ვ ი კი ამტკიცებს, რომ ქართველ-ხვარაზმელთა უკვე მეწინავე ჯარების კვეთების დროს ქართველნი ივლტოდნენ. ხოლო მიიტანა თუ არა ჯალალედინმა საქართველოს და მის მეშველ მთელ ჯარზე ძლიერი იერიში, ისინიც შედრკნენ და უკუიქცნენო[2]. ძლევამოსილ ხვარაზმშაჰს ლტოლვილ ქართველთა ქონება დარჩა დავლად, მისი ლაშქარი კი თავზარდაცემულს მოწინააღმდეგე ჯარს მისდევდა და მიჰხოცდა[3]. ამგვარად, თუმცა აქა-იქ ჯალალედინს მარცხი მოუვიდა და ქართველებმაც მის მხედრობას ორჯერ საგრძნობი ზარალი მიაყენეს და პატარა კერძო ბრძოლაში დაამარცხეს, მაგრამ დიდ, მთავარ ომში კი გამარჯვება მაინც ქართველთა და მათს მოკავშირეებს კი არა ხვდათ, არამედ ისევ ხვარაზმშჰას.

ქართველთა დამარცხების უმალ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით ჯალალედინი ვითომც თბილისში უნდა მისულიყო და «თუღა სად ვინმე პოვნა დარბევად [არბევდა] ქვეყანათა მათ ზემოჴსენებულთა»-ო (*761, გვ. 588). საქართველოს სხვადასხვა ადგილებს ხვარაზმშაჰი კი მართლა არბევდა, მაგრამ ნ ე ს ე ვ ი ს თხზულებითგანა ჩანს, რომ ამ დროს სულტანი თბილისში არ უნდა მოსულიყოს.

ნესევის სიტყვით ძლევამოსილი ჯალალედინი მაშინვე ც. ლორეს მისდგომია, იქვე დაუბანაკნია და ლორელებისათვის მუქარა შეუთვლია: მისამარ, ის ტყვეები განათავისუფლეთ, რომელნიც თქვენ ტბასთან ჩემს ჯარზე ღამე თავს დასხმის დროს წაასხით, თორემ თქვენს ციხეს ალყას შემოვარტყამო. ლორელებმა ჯალალედინის თხოვისაებრ ყველა ხვარაზმელი ტყვეები განათავისუფლეს[4].

აქეთგან სულტანი საქართველოს დიდებულ ვარამ გაგელის სამთავროსაკენ გაეშურა იმიტომ, რომ სულტანის ერაყში ყოფნისას თურმე განძის სანახებს არბევდა და ჯალალედინს მისი დასჯა სწადდა[5]. ამ ვარამ გაგელსა «კაცსა გონიერსა და ლაშქრობათა შინა წარჩინებულსა» როგორც ვიცით «აქუნდა შანქორი და მიმდგომნი მისნი ქუეყანანი» (ჟამთააღმ. *750, გვ. 570—571, იხ. აგრეთვე კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, ისტორია, გვ. 288).

---

[1] ი ქ ვ ე.
[2] ნ ე ს ე ვ ი, 293.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ნ ე ს ე ვ ი, 294.
[5] ი ქ ვ ე.

ალბათ, აქედან თუ აწუხებდა ვარამ გაგელი. ჯალალედინის მოადგილეს ზე-
რეფ ელმულკს, როდესაც ის განძაში იყო.

მრავალრიცხოვან ლაშქრითურთ, ერთს უკუნეთს ღამეში ხვარაზმშაჰი
საჩქაროდ აიყარა და ვარამის წინაღმდეგ გაილაშქრა. მისი ჯარისკაცნი კა-
ლიასავით მოედვნენ ვარამ გაგელის სამმართველო ქვეყანას და ყველას, ვისაც
კი მოასწრებდნენ, ან ხოცდნენ, სცარცავდნენ, ან ტყვედ მიჰყავდათ. საგან-
ძური და ყოველგვარი ქონებაც, საცა მოახელეს და იპოვეს, ხელში ჩაიგდეს [1].

აქ რომ ჯალალედინმა გული მოიჯერა, შემდეგ ციხე შექანს მიადგა და
მედგარი იერიშით აიღო. აქაც ჯალალედინმა მრავალი ქრისტიანენი ამოაჟლე-
ტინა. მერე ალიაბადის ციხის დასაპყრობად გაემგზავრა, რომელიც ივანე ათა-
ბაგის ასულს თამთა დიოფალს ეკუთვნოდა. ამ ადგილის დაპყრობას იმიტომ იყო
მოწადინებული, რომ თამთას სიამაყე შეელახა და დაემცირებინა. ხვარაზმშაჰმა
ჯერ მეციხოვნენი ამოხოცა და მერე ქალაქი მთლად ააკლებინა. აქეთგან ჯალალ-
ედინმა კაკისა და ყვარელის (ყუარინ) ციხეებს შემოარტყა ალყა, მაგრამ რაკი
სამ თვეშიც ვერა ააკლო რა, ამიტომ როცა ამ ადგილების მცხოვრებთ შე-
მოუთვალეს, ოღონდ ალყა მოხსენ და ფულს მოგცემთო, სულტანი მაშინვე
ამ პირობაზე დათანხმდა, ფულები მიიღო და ხლათისაკენ გაეშურა [2].

რაკი ჯალალედინმა თავის წადილს მიაღწია: ქართველთა სამხედრო ძლიერ-
ება შეასუსტა, ძალა დაუქსაქსა და გაუფანტა, ქართველთა მიერ დატყვევე-
ბული ხვარაზმელნი განათავისუფლებინა, ისევ თავისი გულითადი წადილის გან-
ხორციელება მოინდომა და ხლათის აღება მოისურვა [3]. მაგრამ პირადი საქ-
მეების გამო ჯერ თვით ნახჭავანისაკენ წავიდა, თავისი უმთავრესი ლაშქარი
კი ხლათისაკენ გაისტუმრა. ნახჭავანად მიმავალი სულტანი ბიჯნისს მიადგა,
მაგრამ ისე სწრაფად და მოულოდნელად, რომ არავინ იცოდა, რა სწადდა.
ჯალალედინი თავის 1000 მხედარ მამლუკითურთ იმავ ღამეს ბიჯნისის მახ-
ლობლად ხევში ჩასაფრდა და როცა ირაჟრაჟა და ბიჯნისელებმა თავიანთი
საქონელი საძოვრად გამორეკეს, უეცრად თავს დაეცა და მთელი ნახირი
წაართვა. სულტანმა ეს ამოდენა საქონელი წინ წაიძღოლა და სულ მთლად
ნახჭავანში ჩარეკა, სადაც საქონელი ამის გამო ისე გაიაფდა, რომ საუკეთესო
ხარი ერთ დრაჰკანის (დინარ) ფასად იყიდებოდა თურმე [4].

ხანგრძლივი გარემოცვის შემდგომ ჯალალედინმა ხლათი როგორც იყო
1229 წ. მიწურულს აიღო და თავის ლაშქარს ააკლებინა [5]. ხლათის აღებას
სხვა ქალაქებისა და ციხეების დაპყრობაც მოჰყვა, მაგრამ მალე ჯალალედი-
ნის ბედის ჩარხმა კვლავ უკუღმა იწყო ტრიალი.

---

[1] ნესევი, 295.
[2] ნესევი, 295—205.
[3] იქვე, 299—300.
[4] იქვე, 300.
[5] ნესევი, 330—336.

ჯალალედინის საქართველოთგან გაქცევა მონღოლთა კვლავ გამოჩენის გამო

ხვარაზმშაჰი ადარბაგანში იყო, ჯერ სოქმანაბადში[1], მერე თავრეჟში[2], როდესაც 1230 წ. დაახლოვებით ავვისტოში[3], მას ამბავი მოუტანეს, რომ მონღოლები გასაოცარი სისწრაფით ადარბაგანს უახლოვდებოდნენ[4].

მონღოლთა ლაშქარს ჰსარდლობდნენ «ოთხნი ნოინნი—ჩორმაღანი, ჩაღატა, იოსური და ბიჩოი» (ჟამთაღ. *761—762, გვ. 589—590). ქართველი ისტორიკოსის სიტყვით ეს ნოინები «ორმოცი ათასითა კაცითა და დედაწულითა მოვიდეს ქუეყანასა ალმოთისასა». შემდეგ მივიდნენ «ქუეყანად ერაყისა და მოაოჴრეს» (იქვე *762, გვ. 590). ჯალალედინმა შეიტყო თუ არა, რომ მონღოლები ზანგანისაკენ (=ზენჯანს) მოდიოდნენ, მაშინვე გაცლა ირჩია, სწრაფად თავრეჟითგან აიყარა და მუღანში მოვიდა[5]. 1230 წ. ნოემბრის ახლო ხანებში მონღოლები უკვე სოქმანაბადში იყვნენ[6].

მონღოლებმა, ანუ თათრებმა, მალე ადარბაგანსაც მოაღწიეს იმ ადგილს, სადაც «არს თავრეჟი». აქ რომ თავრეჟელნი დამორჩილდნენ, ეხლა «მივიდეს ქალაქსა არდავლისა», რომელიც ავრეთვე უბრძოლველად დანებდა (ჟამთააღ. *762, გვ. 590). კვალდაკვალ მიმყოლ თათრებს ეგონათ, რომ ხვარაზმშაჰი რახსის გაღმა გავიდა განძისაკენ და შემდეგ პირი ისევ ადარბაგანისაკენ იბრუნა[7]. ამიტომ მონღოლებმა სწრაფად «განვლეს რაჴსი და მივიდეს განძად», რომელიც «ჴელთ იგდეს» (ჟამთააღ. 762, გვ: 590).

მონღოლთა განძაში მოსვლის «მცნობელი სულტანი მსწრაფულ აიყარა დედა-წულითა და ივლტოდა საბერძნეთად»[8]. ჯალალედინი ამიდში მივიდა[9], მაგრამ მონღოლთა მდევარმა რაზმმა აქაც იპოვა და თავზე წაადგა ისე, რომ ძლივს მოასწრო ცხენზე შეჯდომა და გაქცევა[10]. ქართველს ჟამთააღმწერელსაც ნათქვამი აქვს, რომ დადევნებული თათარნი სულტანს «მიეწივნეს ბასიანს, იხილეს და [მსწრაფულ] განიბნივნეს [სპანი მისნი], ოდენ სულტანი მარტო დაშთა» (ჟამთააღ. «762, გვ. 590—591).

ჯალალედინი მთებში გაიქცა, სადაც ერთმა ქურთმა შეიპყრა, რომელსაც უნდოდა სულტანი მდევართაგან გადაერჩინა, და თავის სოფელში მიიყვანა. მაგრამ იქ მეორე ქურთმა «იხილა და მოაკუდინა»[11], ნესევის სიტყვით შურისძიებით ხლათში მოკლულ თავის ძმის სისხლის ასაღებადო, ხოლო ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით ანგაარებით და გაცარცვის გულისათვის, რაკი ჯალალედინს «საოტყელი და უნაგირი და კაპარჭი

---

[1] ნესევი, 347.
[2] იქვე, 360.
[3] იქვე, 352.
[4] იქვე, 360.
[5] ნესევი, 360.
[6] იქვე, 363.
[7] ნესევი, 373—374.
[8] იქვე.
[9] ნესევი, 408.
[10] იქვე.
[11] ჟამთააღ. *762, გვ. 591, ნესევი, 409—410.

უფასოთა თვალთა მიერ შემკული იყო და მის თვალითა მოიკლა»-ო (*762, გვ. 591). ასე მოეღო ბოლო 17 აგვისტოს 1231 წელს ჯალალედინის მღელვარე და დაუდგრომელ სიცოცხლეს[1].

[ჯალალედინის დახასიათება როგორც სარდლისა და პოლიტიკოსის]

თუმცა ხვარაზმშაჰი ნიჭიერ სარდლად და გულად კაცად ჩანს, მაგრამ მაინც სპარსეთისა, ადარბაგანისა და საქართველოსათვის ჯალალედინის ძოლვაწეობას ზიანის მეტი არა მოუყენებია რა; დანგრეული და აოხრებული ციხე-ქალაქები, დიდძალი უწყალოდ და უგუნურად ამოწყვეტილი ხალხი, გაცარცული ქვეყნები და განადგურებული ეკონომიური კეთილდღეობა, აი რა დასტოვა თავის შემდგომ ხვარაზმშაჰმა სპარსეთსა, ადარბაგანსა და საქართველოში ყველგან, სადაც კი მან თავის ლაშქრითურთ ფეხი შესდგა. «ძოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცის შვილთა, წარტყუენვასა და მოოჴრებასა დედაქალაქისა ტფილისისა და უჩეტესთა ადგილთა ლიხთა იმერისა (აღმოსავლეთ) საქართველოჲსათა» რა ხეირი უნდა დაჰყოლოდა ან საქართველოს აყვავებულსა და დაწინაურებულს ცხოვრებას ან ხალხის სიმდიდრეს, ან თვით ერს. ვინც კი მოასწრო და სიკვდილს ან ტყვეობას გადურჩა, ისიც აიყარა და გაიქცა: «სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა ივლტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთასა»[2]. მტრის მძვინვარე გამანადგურებლობის წყალობით აღმოსავლეთი საქართველო ისე დაზიანდა, რომ თითქმის «აოღარა იყო შენებულება თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა» (ჟამთააღ. *755, გვ. 580). საქართველოს მცხოვრებნი განბნეულნი და განცალკევებულნი იყვნენ ისე, რომ ერთ დროს მომწყვდეული იყვნენ კიდეც «მანდატურთ-უხუცესი შანშა... ანისსა და ამირსპასალარი ავაგ ბიჯნისს, აგრეთვე გაგელი» და საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებნი «ყოველნი სიმაგრეთა შინა ცხოვნდებოდენ» (იქვე *758, გვ. 584). ან კი განა გასაკვირველია, რომ საქართველო ასე საგრძნობლად დაზარალებულიყოს, როდესაც ხვარაზმელთა თავშეუკავებელი და მრისხანე თარეში და ცარცვა-გლეჯა საქართველოში «ხუთისა წლისა იყო ჟამთა, რამეთუ ორი წელი პირველ აღაოჴრეს ქუეყანა და ხუთი წელი ქალაქსა დაყუეს და აოკრებდეს ქუეყანათა» (ჟამთააღ. *755, გვ. 580).

როგორც უკვე ვიცით, ჴარნისის ბრძოლა 1225 წ. აგვისტოში მოხდა, ხოლო ქ. თბილისი ჯალალედინმა 1226 წლის 9 მარტს ჩაიგდო ხელში. თუ ამ თარიღს 5 წელიწადს მივუმატებთ, გამოვა 1231 წელიწადი ჯალალედინის სიკვდილის თარიღი და მართლაც, როგორც ზემოთაც აღნიშნული იყო, ხვარაზმელთა ნავარდი საქართველოში არ შეჩერებულა, სანამ სულტანი მონღოლთაგან დევნილი იძულებული არ იყო ამიერკავკასიითგან გაქცეულიყო. ამგვარად, ქართველ ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი ქრონოლოგიური ცნობა სრული ჭეშმარიტებაა და მისი სიმართლე საუცხოოდ მტკიცდება. ვისაც ჰსურს თვალწინ ნათლად წარმოიდგინოს ის საშინელი და აუნაზღაურებელი უბედურება, რომელიც ხვარაზმელთა აოხრების დროს საქართველოს კულტურასა

---

[1] ნესევი, 413.

[2] აბუსერიძე ტბელი: ქკ-ბი II, 118.

და მწერლობას თავს დაატყდა, მან უნდა იმ ამბების თანამედროვის ერთი ცნობა წაიკითხოს, რომელსაც ჯვარის მონასტრის ხელთნაწერის ერთს მინაწერში ვიღაც გიორგი, «შემდგომად ტყუეობით გამოსვლისა ხუარაზმელთაგან», მოგვითხრობს, სახელდობრ, თუ რა საშინელება იყო «მაშინდელნი ყ[ლ]ლთა ქრისტეანთა ჭირნი და განსაცდელნი, ოხრებანი მონასტერთა და ეკლესიათანი». თვით საქართველოში, სადაც კი ხვარაზმელთ ფეხი შეუდგამთ, «არა სადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი»-ო და ზოგი დატაცებული ხელთნაწერთაგანნი «იერუსალიმს შუკათა შინა შთასულმან ვნახენ[1]»-ო.

რა იცოდა ჯალალედინმა, რომ თავის ლაშქრობითა, ხოცვა-ჟლეტითა და ცარცვა-გლეჯით ადარბაგანში და საქართველოში ის თავის დაუძინებელს მტრებს, მონღოლებს, უმზადებდა ნიადაგს და ამ ქვეყნების აოხრებითა და დასუსტებით ის მონღოლებს საუკეთესო სამსახურს უწევდა. იქ, სადაც ხვარაზმშაჰის ულმობელ და გამაოხრებელ ლაშქარს თავისი მსახვრელი ფეხი შეუდგამს, მონღოლებისათვის სამხედრო მოქმედება გაადვილებული იყო: მონღოლები ისე სწრაფად სდევდნენ ჯალალედინს, რომ ყველგან სადაც ხვარაზმშაჰმა თავის სამხედრო მოქმედებით ფეხი მოიკიდა, მათ მისი ადგილი დაიჭირეს და ადვილად დაეპატრონენ.

[მონღოლების ყოფა-ცხოვრება და წესწყობილება]

ჯალალედინის მდევარნი მონღოლთა მოლაშქრენი რომ ხვარაზმშაჰის საქმეს მოორჩენენ და შემდეგ ხლათისა და ვალაშკერტის ქვეყნები მოაოხრეს, თავრეჟში წავიდნენ და აიღეს ქალაქიცა და მისი მიმდგომი ქვეყანაც. ამგვარად დაიწყო მონღოლთა მეორე და პირველზე უფრო გარკვეული მიზნის მქონებელი სამხედრო მოქმედება ადარბაგანსა და ამიერკავკასიაშიც (ყამთააღ. *763, გვ 592).

ვიდრე საქართველოს ისტორიის მოთხრობას განვაგრძობდეთ და მონღოლთა ბატონობის ხანის განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა საქართველოს ამ უცხო მბრძანებელთა ზოგადი მოკლე დახასიათება ვცადოთ. მკვლევარნი ორ ჯგუფად იყოფებიან, რომელთაგან ერთს ჯგუფს მონღოლთა ბატონობა აზიასა და ევროპაში ნაყოფიერად მიაჩნია და ამტკიცებს კიდეც, რომ ამ ხანამ კაცობრიობას მონღოლთა წყალობით ზოგი რამ თვალსაჩინოც შესძინა და ადამიანთა ცხოვრების წარმატებას ხელი შეუწყო. მეორე ჯგუფის წარმომადგენელნი კი, მათ შორის თ. ლინდნერიც, მონღოლთა როგორც ლაშქრობას ისე ბატონობასაც აულაგმელ ველურობისა და შეუბრალებლობის მოვლენად სთვლის, რომელმაც კაცობრიობის დაწინაურებული ცხოვრების წესერი განვითარება შეაფერხა და ზოგან სამუდამოდ მოსპო კიდეც[2]. მიუდგომელ ისტორიულ დაფასებისათვის მონღოლთა მოღვაწეობისა და მისი შედეგის დაფასებაა საჭირო, ორთავე ჯგუფის წარმომადგენელნი კი უფრო პირად აღფრთოვანება-აღშფოთებასა და გრძნობებს ემორჩილებიან, ვიდრე დამშვიდებით და კვალ-და-კვალ ისტორიულ სინამდვილის გამორკვევას ცდილობენ.

---

[1] ჯვარ. მონასტ. ხელთნ. ა. ცაგარელი, Пал. Сбор. 10 вып. გვ. 168, § 77.

[2] იხ. Th. Lindner, Weltgeschichte seit der Völkerwanderung, II, გვ. 83 — 86 და 97 — 99.

რა გააკეთეს და ჩაიდინეს მონღოლებმა საქართველოში თავიანთ ბატონობის დროს, რა შესძინეს და რა ზიანი მიაყენეს ჩვენს სამშობლოს, მოკლედ და დასკვნის მსგავსად ამ წიგნის ბოლოში გვექნება საუბარი მას შემდგომ, როდესაც მონღოლთა ბატონობის დროინდელ საქართველოს მთელი ისტორიული თავგადასავალი განხილული გვექნება. ეხლა კი საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით მონღოლთა მდგომარეობა და წესწყობილება დავახასიათოთ იმ დროისათვის, როდესაც თათრები ჩვენს ქვეყანას პირველად ეწვივნენ და ფეხი მოიკიდეს.

მონღოლთა ყოფა-ცხოვრებისა და წესწყობილების დასახასიათებლად მეცნიერებმა უკვე თითქმის ყველა წყაროებით,—არაბულ, სპარსულ და სომხურ საისტორიო თხზულებებით, კათოლიკე მქადაგებელთა და მოციქულთა აღწერილობებით,—ისარგებლეს. ქართული საისტორიო და სხვაგვარი წყაროები იყო მხოლოდ აქამდის უყურადღებოდ დატოვებული და ამის გამო ქვემორე მოყვანილს დახასიათებაში იმ ცნობებს გარდა, რომელიც მეცნიერებას ზემოაღნიშნულ წყაროების შედარებითი შესწავლით აქვს შეძენილი, განსაკუთრებით ყურადღება ქართულ საისტორიო წყაროების ცნობებს ექნება მიქცეული.

მონღოლები ორი მთავარი ტომისაგან შესდგებოდნენ და ამის გამო ორი სახელით იყვნენ ცნობილნი, ისე რომ უკვე ჩინურ წყაროებში მათ „მ ე ნ გ უ - დ ა დ ა“ ეწოდებოდა [1], საქართველოშიც ხან მონღოლებად, ხან თათრებად არიან ხოლმე მოხსენებული. ჩვენი ჟამთააღმწერელი ამბობს მაგალითად: მონღოლები «უწოდიან თავსა მათსა მონღოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა ვგონებ ერთ საჴელად» [2]-ო (ჟამთააღ. *733, გვ. 552). ჩვენ ეხლა, რასაკვირველია, ვიცით, რომ სახელი „თათარი“-ც ქართული არ არის, არამედ უკვე VII საუკ. პირველს ნახევარში ჩინეთშიც კი იყო ცნობილი, ხოლო, პირიქით, ისინი სწორედ უცხოეთში, მაგ., იმავე ჩინეთში მონღოლებად იწოდებოდნენ, სამშობლოში კი თავიანთ თავს სწორედ თათრებს ეძახდნენ [3].

როგორც რუსუდან მეფის ეპისტოლითგან ჩანს, ქართველებს მონღოლთა ჩამომავლობასა და სადაურობაზე პირველ ხანებში არა სცოდნიათ რა, მაგრამ შემდეგში, რასაკვირველია, ყველაფერს შეიტყობდნენ და ქართველმა ჟამთააღმწერელმა ბევრი საყურადღებო ცნობები შეიტანა მონღოლთა თავდაპირველს ყოფა-ცხოვრებასა, რწმენასა და წესწყობილეაზე. მან იცის მონღოლთა სახელმწიფოს თავდაპირველი თავგადასავალი და ისტორია, პირველ ხანებში კი ამ მხრივ ქართველები სხვებივით სრულებით უცოდინარნი იყვნენ. მაშინ ახალ მოსულ მტრის თავისებურება და საკვირველი ვარეგანი სახე, მისი უცნაური ზნე-ჩვეულებები და „უცხო ენა“ საგონებელში აგდებდა ყველას, განსაკუთრებით რაკი «არცა ძველთა წიგნთა სადა იპოების ამბავი მათი», რომ იქითგან მაინც შეეტყოთ რამე გარკვეული.

პირველ ხანებში სხვებსავით ქართველებსაც უპირველესად მონღოლების „უმსგავსო“ გარეგნობა აკვირვებდათ, რომ ისინი იყვნენ სრულებით «უცხო-

---

[1] ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, თურქისტანი, გვ. 409—410.

[2] მ ნ დ ფ ს ჴ ც ა—საჴელად.

[3] ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, თურქ. 409—410.

ხახითა, წესითა და შესახედავადაცა» (ჟამთააღ. *730, გვ. 548). ასეთი რაშ ქართველებს წინათ არასდროს არ ენახათ და განცვიფრებულნი იყვნენ, რომ თათრებს ცხვირი ჰქონდათ «მდაბალი ესოდენ რომელ ღაწვნი უმაღლეს იყუნიან ცხვირთა», ამასთანავე «მცირედნი ნესტვნი ოდენ ჩნდიან» (იქვე, *730, გვ. 548—549). ასეთი პატარა ცხვირი მით უფრო „უმსგავსო“ იყო, რომ იმავე დროს ისინი „თავითა დიდ“ ყოფილან, შუბლ-ბრტყელ და თანაც „ყოვლად უწვერულნი“, თუმცა თავზე შავი და ჯშირი თმა ემოსათ თურმე (იქვე). ამგვარ დიდ პირსახეზე მათ ჰქონიათ „ბაგენი მცირე“, ხოლო „კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ“. თვალებიც სახესთან შედარებით „მცირე და ძლითა საჩინო და განზიდულ“, ე. ი. პატარა, ღრმად და მრუდედ ჩამჯდარი ჰქონდათ (იქვე). კირაკოზ განძაკელს მონღოლთა სახე ჯოჯოხეთურად შიშის მომგვრელად სჩვენებია კიდეც[1]. მათი ყოფა-ცხოვრებაც ქართველებისა და დანარჩენ მაშინდელ ერთათვის არაჩვეულებრივი იყო იმიტომ, რომ, როგორც უბინადრო ეოს შეეფერება, მონღოლებმა «პურისა გემო არა იცოდიან» და მხოლოდ «ჯორცითა და პირუტყვთა სძითა ცხოვნდებოდეს» (ჟამთ. *731, გვ. 548). მონღოლთა გამოკვება შედარებით ადვილი საქმე იყო იმიტომ, რომ ხორცის გარჩევა არ სცოდნიათ და «ყოველსავე სულიერსა ჭამდეს: ჯორცსა კატისასა, ძაღლისა და ყოველისავე»-ო (ჟამთააღ. *733, გვ. 552). ჩვეულებრივ „მცირედითა საზრდელითაც“ იყვნენ ხოლმე კმაყოფილნი (იქვე), მაგრამ ჭამაშიაცა და სმაშიც, თუ მარჯვე შემთხვევას შეესწრებოდნენ, ხარბნი და გაუმაძღარნი იყვნენ[2].

მონღოლთა სარწმუნოება მარტივი ყოფილა. მალაქიას სიტყვით მონღოლები თურმე ნაბდისაგან გაკეთებულს კერპებს სცემდნენ თაყვანსა, რომელნიც ყველგან თან დაჰქონდათ[3]. ამ ცნობას სხვა მემატიანენი (კირაკოზ განძ. და ვარდანი) და მოგზაური პლანკარპინიც ადასტურებენ[4]. ქართველ ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ მონღოლნი და უიღურნი სარწმუნოებრივად ურთიერთისაგან განსხვავდებოდნენ და, თუ „უღურნი კერპის მსახურნი იყუნეს (*731, გვ. 550), მონღოლებს თითქოს «აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა» (*767, გვ. 597). ამასთანავე «უღურნი კერპის მსახურნი არიან ძაღლთა, უწოდიან ქუჯინათ»-ო (იქვე *733, გვ. 552). მაშასადამე, უმთავრეს კერპად და სათაყვანებელ ცხოველად ძაღლი ჰყოლიათ მიჩნეული. მონღოლების ღვთაებას კი ვითომც უფრო განყენებული სახიერება ჰქონიყო და ერთის, უზენაესის ღვთაების გამოხატულება ყოფილიყო. მას მონღოლნი «თენგრი უწოდდეს ენითა მათითა» (იქვე *732, გვ. 552). ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობას მოგზაურ რუბრიკვისის აღწერილობა და სიტყვებიც ადასტურებენ. მასაც ნათქვამი აქვს, რომ მონღოლები ერთის ღმერთის თაყვანისმცემელნი იყვნენ. როდესაც მათ

---

[1] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 257.

[2] იქვე.

[3] მალაქია, *Ისტორია*, 3.

[4] იხ. Relation du voyage de Jean du Plan Carpin en Tartarie გამოცემული ბერეერონის მიერ. Voyages faits principalement en Asie dans les XII, XIII, XIV et XV siècles. t. I, MDCCXXXV, გვ. 30.

სამლოცველოში შე

თვით წარმართ მონღოლებსაც ულვიოდათ გულში. მონღოლთა ამგვარი სულიერი განწყობილება ქრისტიანთა და მაჰმადიანთა მიმართ ქართველ ჟამთააღმწერელსაც სცოდნია და აღნიშნული აქვს.

სხვადასხვა სარწმუნოებისდა მიუხედავად მონღოლთა და თათართა ეროვნების უმრავლესობა და თვით ყაენებიც თავიანთ წარმართობის ერთგულნი იყვნენ.

მონღოლთა სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან დაკავშირებული იყო მათი სასმელი ყუმისი, რომელიც ცხენის რძისაგან კეთდებოდა და რომლის შესმას აძალებდნენ ხოლმე ყოველ უცხოელსაც კი[1]. მათ სარწმუნოებრივ მოძღვრებასთანავე არის მონღოლთა „ფიცთა სიმტკიცეც“ დაკავშირებული. მათი უალრესი საფიცარი და უქცეველი აღთქმა ის იყო, რომ «ოქრო წმიდა სამჯერ წყალსა ჩაყვიან და განავლიან იგი და შეასვიან» (ჟამთააღ. *767, გვ. 597). თუ ამგვარი „ოქროთა საფიცარი“ (იქვე, *768, გვ. 598) მონღოლებმა ვისმე, თუნდაც წინანდელს მტერს, მისცეს, მაშინ ამ გზით «მინდობილნი შეიწყნარნიან და ამა ფიცსა არა ეცრუვნენ» (იქვე, *767, გვ. 597) და არასდროს არ გასტეხდნენ; მაგრამ ყველაზე მეტად განსაკუთრებული გამწმედელი ძალა, მონღოლთა აზრით, ცეცხლსა ჰქონდა. ამის გამო ყოველს მათთან მიმავალს, მეტადრე მათ მბრძანებელ ყაენთან წარსადგენად გამზადებულს, ჯერ უეჭველად ორ ცეცხლ შუა გაატარებდნენ, ხოლო შემდეგ შინ შეიყვანდნენ ხოლმე[2].

მონღოლები, თათართა და მონღოლთაგან, ორ მთავარ შტოსაგან, შემდგარნი, საგვარეულო წესწყობილებას ვერ გასცილდნენ. «ამათნი ნათესავნი», ანუ ეროვნებაო, «მრავალგვარად განყოფილ იყუნეს» მაშინაც, როდესაც თავიანთი ისტორიულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება დაიწყეს და „არიანცა ჯერეთ“ ეხლაცო, ამბობს ქართველი ჟამთააღმწერელი (*733, გვ. 552).

მონღოლთა საზოგადოებრივ იმდროინდელ მდგომარეობის მეორე დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენდა, რომ საგვარეულო წესწყობილებასთან ერთად მათ არც მკვიდრი ბინადრობა ჰქონდათ არც სამშობლოში, არც დაპყრობილ ქვეყნებში, სადაც კი გაბატონდნენ. თვით საქართველოს სამეფოშიც და ამიერკავკასიაში მონღოლნი წელიწადში ორჯერ უეჭველად იცვლიდნენ ხოლმე ბინას და ზამთარში მთელის ურდოებით ბარად ჩამოდიოდნენ, ზაფხულში კი მაღლობ ადგილებში იხიზნებოდნენ ხოლმე.

განსვენებული პროფ. ი. ბერეზინი მართალი იყო, როდესაც მონღოლთა უზარმაზარ სახელმწიფოს დამხობისა და დაპყრობილ ქვეყნებში თვით მონღოლთა გადაგვარების უმთავრეს მიზეზად მონღოლთა მკვიდრ ბინადრობისა და მოსახლეობის უქონლობა აღიარა, რამაც მონღოლებს მაღალ კულტურის შეთვისების საშუალება დაუხშო[3].

---

[1] კირაკ. განძაკელი, ისტორია, 257—258. ყუმისის მომზადება და შესმის წესი რუბრუკვისს აქვს აღწერილი (იხ. Voyage გვ. 12—13).

[2] პლანკარპინის Voyage, გვ. 31, 32.

[3] И. Березин, Очерк внутреннего устройства Улуса Джучиева, СПБ 1863 წ. (გვ. 21—22).

მონღოლთა შორის მრავალცოლიანობა იყო გავრცელებული. თვით «ჩინგიზ ყანს ცოლნიცა მრავალნი ესხნეს» (ჟამთააღ. *736, გვ. 557) და ჩვეულებრივ მომაკვდავ თათრებსაც ხომ იმდენი ცოლი ჰყავდათ, რამდენიც ჰსურდათ [1]. საცოლოებს მონღოლები თურმე მშობლებისაგან ყიდულობდნენ [2]. მამის სიკვდილის შემდგომ მამის ყველა ცოლები მის საკუთარ დედის გარდა, უმცროს შვილს რჩებოდნენ [3]. თავიანთ რომელისამე ცოლისათვის რომ ღალატი შეეტყოთ, მონღოლები თურმე დაუნდობლივ ჰკლავდნენ, თითონ კი, სადაც კი ქვეყნის დასაპყრობად მივიდოდნენ, ქალების ნამუსის დანდობა არ იცოდნენ [4].

აღსანიშნავია, რომ დასავლეთელი მოგზაურნიც, როგორც მაგ. კარპინი და რუბრუკვისი, ისე ჩინელი მოგზაურნი და მემატიანენი ერთხმივ გაოცებული იყვნენ მონღოლთა ბინძურებით. მაგ., მენ-ხუნის სიტყვით მონღოლებს ჩვეულებრივ ხელების დაბანა არა სცოდნიათ: ჭუჭყიანი ხელებით იღებდნენ ისინი თურმე თევზსა და ხორცს და გაქონიანებულ ხელებს ტანისამოსზე იწმენდნენ. საცვალს და სამოსელს, სანამ ზედ ტანზე არ შემოეფლითებოდათ, არც იცვლიდნენ და არც იხდიდნენო [5]. მონღოლთა მომეტებულ ბინძურობას დასავლეთელი მოგზაურნიც ადასტურებენ [6].

როდესაც მონღოლნი, ანუ თათრები ჩინელს მენ-ხუნს უნახავს, ისინი თურმე სრულებით უვიცნი და განუვითარებელნი ყოფილან. მონღოლებმა ახალ წელიწადის დასაწყისის შეტყობა სხვაფრივ არ იციან, თუ არ ბალახის აღმოცენებით: როდესაც მინდვრებში ბალახი ამოვა, მაშინ იწყება მათი წელიწადიცო. როდესაც რომელსამე თათარს ჰკითხავთ, რამდენი წლისა ხარო, ის გიპასუხებთ ამდენი და ამდენი ბალახისაო. ხშირად მიკითხავს მონღოლებისათვის, დღეს რა თვისაო, მაგრამ მათ ღიმილით მოუგიათ ხოლმე, არ ვიცითო. მათ შემოდგომა და გაზაფხული ერთიერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიათ. მთვარე რომ გაივსება, მაშინ იციან, რომ თვე შესრულდა. როდესაც შეატყობენ ბალახის ამწვანება შეგვიანდა, მიხვდებიან ხოლმე, რომ ნეკია [7].

შემდეგში მონღოლები უფრო განათლდნენ და განვითარდნენ. ქართველმა ისტორიკოსმა უკვე იცის, რომ «თქვენი მათნი მთოვარითა აღრაცხილ არიან» (ჟამთააღ. *854, გვ. 699). ამას გარდა მათ უკვე საგანგებო წელთაღრიცხვის წესიც ჰქონდათ, რომელიც 12 წლისაგან შესდგებოდა. ეს «ათორმეტი წელიწადი ათორმეტთა პირუტყუთა და ცხოელთა სახელსა ზედა» იყო დაწესებული და ამ თავისებურ კჯკლოსის თვითეულს წელიწადს ერთ-ერთი ცხოველის, ან პირუტყვის სახელი ეწოდებოდა: პირველს წელიწადს სახელდობრ თაგვის წელიწადი ერქვა, მეორეს — «ზროხისა», მესამეს — ავაზისა, მეოთხეს — კურდღელისა, მეხუთეს — ვეშაპისა, მეექვსეს — გველისა, მეშვიდეს

---

[1] კირაკოზ განძაკელი, 258

[2] პლ. კარპინი, Voyage, art. II, გვ. 28 და რუბრუკვისი, Voyage, გვ. 17. თავი IX.

[3] იქვე, გვ. 17—18, თ. IX.

[4] კირაკოზ განძაკელი, 258.

[5] ი. ბერეზინი, Очерк, 19.

[6] პლანკარპინი, Voyage, art. IV, გვ. 36.

[7] ი. ბერეზინი, Очерк, 18.

— ცხენისა, მერვეს — ცხვარისა, მეცხრეს — მაიმუნისა, მეათეს — ქათმისა, მეთერთმეტეს — ძაღლისა და მეთორმეტეს — ღორისა (ჟამთააღ. *732, გვ. 550—551).

ქართველი ჟამთააღმწერელი სრულებით მართალია, როდესაც მონღოლთა წელთაღრიცხვის შესახებ მოგვითხრობს. ცნობილია, რომ მათ მართლაც ცხოველთა კკლოსი ჰქონდათ მიღებული და სწორედ ის სახელები ეწოდებოდა მათ 12 წელიწადს, რომელიც ჩვენს ისტორიკოსს აღუნიშნავს.

ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან ისე გამოდის, რომ თათრებს, ანუ მონღოლებს, თავიანთი წელთაღრიცხის კკლოსი უიღურებისაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.

საზოგადოდ, უიღურთა ტომს მონღოლებზე დიდი გავლენა ჰქონიათ. თათრებს თავდაპირველად კულტურა და განათლება სწორედ მათგან შეუთვისებიათ. ჩვენი ისტორიკოსიც მაგ. ამტკიცებს, რომ მონღოლებმა თავიანთი „წერილი“, ანუ ანბანი უიღურთაგან „მოიპარეს“ და «ათექუსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწავლოცა არს და ადვილ გულისჴმისსაყოფიცა»-ო (ჟამთააღ. *731, გვ. 550). მართლაც, თუ მონღოლნი გაძლიერების პირველ ხანებში, ჩინელ მ ე ნ - ხ უ ნ ი ს სიტყვით, იმდენად უვიცნი იყვნენ, რომ წერაც კი არა სცოდნიათ და მოციქულებს დაბარებულ ბრძანების გაზეპირება უხდებოდათ[1], რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი ს დროს მონღოლთა ყაენებს უკვე უცხოელ ხელმწიფეებთან მიწერმოწერა ჰქონიათ. რუბრუკვისის სიტყვით მონღოლებს სწორედ უიღურული ანბანით უწერიათ[2], რომელშიაც მართლაც იმდენი ასო იხმარება, რამდენიც ქართველს ისტორიკოსსა აქვს აღნიშნული.

თვით ჩინგიზ ხანის დროსაც კი, როდესაც მონღოლთა ძლიერი სახელმწიფო დაარსდა, წერილობითი საქმის წარმოება (1206 წ.) გაუჩნდათ მონღოლებს, მთელი დავთარხანისა და მწიგნობრობის საქმე სწორედ უიღურს ტაშატუნს ჰქონდა ჩაბარებული. მასვე ჰქონდა დავალებული, რომ ჩინგის ხანის შვილებისათვის უიღურული წერა-კითხვა შეესწავლებინა[3].

საგულისხმოა, რომ თვით ჩინგიზხანიც სიკვდილამდე წერაკითხვის უცოდინარი დარჩა და ჩინგიზხანის ყოველგვარ ცდისდა მიუხედავად მწიგნობრობა ვერც მონღოლებმა შესძლეს იმდენად მაინც შეეთვისებინათ, რომ სხვების დაუხმარებლივ სასელმწიფოს მართვა-გამგეობის რთულს საქმეს გასძღოლოდნენ. შემდეგშიაც კი შესაფერისად მომზადებულ და განათლებულ მონღოლთა რიცხვი მცირე იყო და მონღოლთა ბატონობის მოსპობამდე ისინი უნებლიეთ იძულებულნი იყვნენ ხან უიღურთა, ხან სპარსთა, ხან კიდევ ჩინელთა დახმარებით ესარგებლათ[4].

თათართა მთავარი ხელობა მათ ძლიერების დროსაც ნადირობა, სამხედრო მოქმედება და ლაშქრობა-მხედრობა იყო. ამიტომაც იყო, რომ ისინი

---

[1] ი. ბ ე რ ე ზ ი ნ ი ს Очерк, 18.

[2] Voyage, chap. XXVII, გვ. 55.

[3] ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, Туркестан, 416.

[4] ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, Образование империи Чингиз-хана: ЗВОРАО ტ. X, 1896 ტ. 117—118.

«უფროს ცხენსა ზედა იყუნეს მჯნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის» (ჟამთააღ. *731, გვ. 549).

საყურადღებო ცნობები აქვს ქართველ ჟამთააღმწერელს მონღოლთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილების შესახებ. როდესაც ჩინგიზმა თავისი სახელმწიფო დააარსა, მონღოლთა სამეფოს სათავეში იდგა ერთი უზენაესი გამგე. ჩვეულებრივ თათრები «ხანობით უჴმობდეს ჴელმწიფესა მათსა», «მეფესა მათსა ხანობით გინა ყანობით უწოდენ»-ო (ჟამთააღ. *733, გვ. 553). ამ ორ სახელწოდებათაგან ხანი საერთო მონღოლურია და უძველესი. თვით ჩინგიზმაც თავის თავს ხანი უწოდა და მხოლოდ უქათამ შემოიღო პირველად „ყაანი“ [1].

რა ეწოდებოდა ხანის, ან ყაანის საბრძანებელს, მონღოლურად „საყაენო“-ს რას ეძახდნენ, არა ჩანს, მაგრამ უეჭველია ამგვარი ცნების აღმნიშვნელი სიტყვა თათრებს უნდა ჰქონოდათ. ჩინგიზხანის შემდგომ მონღოლთა თვალგადუწვდენელი სახელმწიფო ოთხად გაიყო, მაგრამ „ოთხსავე საყაენოს“ (ჟამთააღ. *820, გვ. 665) მაინც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და ერთობა შეწყვეტილი არ იყო.

ხანის, ან ყაენის ხელქვეითს უზენაესს და უდიდესს ერთეულს, როგორც ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან ჩანს, ერთ-ერთ სახელად „ულუსი“ უნდა ყოფილიყო. მართალია, პრ. ი. ბერეზინის აზრით ულუსი ვითომც „დუმან“-ის, ან „თუმან“-ის თანასწორი ერთეული უნდა იყოს (Очерк, 47), მაგრამ ვგონებ ეს აზრი მცდარია. თუმანის სათავეში, როგორც ვიცით, თუმენის, ან დუმენის მთავარი იდგა, რომელიც ხანს, ან ყაენს ექვემდებარებოდა. „ულუსი“ კი, როგორც ეტყობა, თვით ყაენს ემორჩილებოდა, პირადად მის ქვეშე იყო. ჟამთააღმწერელი მაგ., ამბობს: «შეიძრა ულუსი დიდად დიდისა ყანისა ბათოსი»-ო (*840, გვ. 685). ცნობილია აგრეთვე, რომ ჯუჩი ყანის საბრძანებელს ჯუჩის ულუსი ეწოდებოდა. ამგვარად. ისე გამოდის, თითქოს „ულუსი“ საყაენოს აღმნიშვნელი მონღოლური სახელი უნდა იყოს, მხოლოდ ვგონებ მარტო ყაენის ხელქვეით უბინადრო, მონღოლთა ტომთაგან შემდგარ საბრძანებელისა.

რომ „ულუსი“ ყაენის უზენაეს საბრძანებელს, მის ხელქვეითს დაწესებულებას ჰნიშნავს, ამას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. როდესაც ქართველ ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ მეფე დავით ლაშას ძის გასაოცარი უმადურობის წყალობით მისი უერთგულესი და თავგადადებული სარგის ჯაყელიც კი იძულებული იყო მეფეს განზე გასდგომოდა და ყაენისათვის მფარველობა ეთხოვა, იქ სადაც ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ ყაენმა ჯაყელის თხოვნა შეისმინა, სარგისი მეფის უზენაესს ბატონობას მოაშორა და თავისას დაუმორჩილა, ნათქვამია: «ამიერითგან იქმნეს ჯაყელნი ულოსისანი ვიდრე ჟამთა მეფეთა შორის ბრწყინვალისა... დიდისა გიორგისისა»-ო (ჟამთააღ. *849, გვ. 695). მაშასადამე, ყაენის ყოველი კარის პირდაპირი ხელქვეითი „ულოსისა“-დ იწოდებოდა.

---

[1] M. Quatremère, Histoire des Mongols de la Perse t. I. préface 10e. შენ. 10.

ხანის ან ყაენის სადგომს მონღოლები „ურდო“-ს ეძახდნენ. ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს მაგ., რომ გიორგი, დავით ლაშას ძის შვილი, თბილისში მბრძანებლად შეიყვანეს თუ არა, «დაყუეს მცირედი ჟამი ქალაქსა და მერმე წარვიდეს ეჯანს და მოიწივნეს ურდოსა... წარიყუანეს ყანს წინაშე»-ო (834, გვ. 679). როგორც ეტყობა, „ურდო“ მარტო ხანის, ანუ ყაენის სადგომს კი არ ერქვა, არამედ დიდი მხედართმთავრების, დიდი ნოინების სადგურსაც. იმავე ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ ძლევამოსილი მხედართმთავარნი ბრძოლის ველითგან «ვამარჯვებულნი მოვიდეს ურდოთა მათთა» (*863, გვ. 708).

ჟამთააღმწერელის ცნობა თავისთავად თუმცა სამართლიანია, მაგრამ სადგურის თვით სახელი ქართულში დამახინჯებული ჩანს იმიტომ, რომ მოგზაურთა ცნობებითაც და სპარსელ ისტორიკოსთა სიტყვებითგანაცა ჩანს, რომ ხანის ანუ ყაენის სადგომს მონღოლურად „ორდუ“[1] რქმევია[2]. ხმოვანთა ამგვარი გადასმა ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა და „ორდუ“ „ურდო“-დ, ალბათ, საქართველოში უნდა გადაკეთებულიყო.

ცნობილია, რომ მონღოლთა ყაენებს, როგორც უბინადრო ერის მეფეებს შეჰფერით, ერთი და მუდმივი საჯდომი და სადგომი დაპყრობილ ქვეყნებშიაც კი, სპარსეთსა და საქართველოში, არა ჰქონიათ, არამედ სულ ცოტა ორი სადგომი უეჭველად მოეძებნებოდათ ხოლმე: ერთს „საზაფხულო სადგომი“ (ჟამთააღმწ. *826, გვ. 672) ან „სადგური საზაფხულო“ (იქვე *822, გვ. 667—668) ეწოდებოდა და ეს ადგილი მაღლობი და გრილი უნდა ყოფილიყო, მეორეს კიდევ „საზამთრო ადგილი“ (იქვე *826, გვ. 672), ან საზამთრო სადგომი, ან „სადგური საზამთრო“ (იქვე *822, გვ. 667) ერქვა. საზამთრო სადგომად, თავისდათავად ცხადია, მხოლოდ დაბალი და თბილი ქვეყანა შეიძლებოდა ყოფილიყო.

ქართულ საისტორიო წყაროებში მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ სად ჰქონდათ ჩვეულებრივ მონღოლთა ხანებს თავიანთი ურდოები ზაფხულსა და ზამთარში. მაგ., ულო ყაენს მუღანი «აქვნდა სადგურად საზამთროდ» (იქვე *822, გვ. 667). ამიტომაც არის ნათქვამი, რომ ულო ყაენი «წარვიდა საზამთროსა ადგილსა, რომელსა აწ ყარაბაღობით და მუღნობით უჴმობენ»-ო (იქვე *826, გვ. 672). საზაფხულო საჯდომად მონღოლთა ბატონებს, სხვათა შორის, ალატაღიც ჰქონიათ. ამავე ულო ყაენის შესახებ სწერია: «მოიწია საზაფხულოსა სადგომსა თჳსსა ალატაღს»-ო (იქვე 826, გვ 672). ალატაღს გარდა მონღოლთა ყაენს «აქუნდა საზაფხულოდ სადგურად გელაქუნი»-ც (იქვე *847, გვ. 692). იმ დროს, როდესაც შესაფერისი დრო დადგებოდა და ხანის სადგომად განკუთვნილს ადგილში ყაენი ბრძანდებოდა, მაშინ ის ადგილი, რაშიდ ედინისა და დანარჩენ სპარს ისტორიკოსთა თქმით, ნამდვილ ქალაქს მოაგონებდა ადამიანს: მრავალი სად-

---

[1] Ordu, იხ. პლანკარპინის Voyage, ch. III, გვ. 9 და რუბრუკვისის Voyage, chap. XXI, გვ. 40.

[2] იხ. M. Quatremère, Hist. des Mongols, t. I, préface. გვ. 20—21, შენ. 27.

გომები და საეკლესიო და ყველა სამმართველო დაწესებულებანი, დიდძალი ამალა და მოხელეები, სეფე-ლაშქარი და ყაენის მცველნი, ამასთანავე ყველანი თავიანთ „დედაწულითა“ ანუ სახლობით, რასაკვირველია, თვით უდაბნოსაც გამოაცოცხლებდნენ და სულს ჩაუდგამდნენ. მაგრამ, რაკი დანიშნული დრო მოაწევდა და ადგილის მოცვლა დაიწყებოდა, ხანი წაბრძანდებოდა და მას ყველა დაწესებულებანი და მხლებელ-მოხელეები ცოლშვილებითურთ თან გაჰყვებოდნენ, მაშინ ამ ადგილს ცეცხლსაც წაუკიდებდნენ და ყველაფერს გადაბუგავდნენ ხოლმე, რომ გველებსა და სხვა ქვეწარმავალთ უპატრონოდ მიტოვებული სადგომები თავიანთ ბუნაგად და ბუდედ არ გაეხადათ. იმ დროს ურდო მტრისაგან აოხრებულსა და განადგურებულს ნასოფლარს ემსგავსებოდა[1].

სხვა უბინადრო ტომებსავით, მონღოლებსაც სახლებად მოძრავი კარვები და „ხარგები“ ჰქონდათ. მაგ., როდესაც თემუჩი ივლტოდა, «მივიდა სახლსა და ხარგთა შინა, აჰყარა დედაწული» და მათთან ერთად გზას გაუდგა (ჟამთააღ. *734, გვ. 554). მონღოლებსავით თურქებიც ხარგებსა და კარვებში ცხოვრობდნენ და ყველგან თან დაჰქონდათ. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ყარახანი იძლია და გაიქცა, ძლევამოსილი ქართველები «აივსნეს... კარვითა და ხარგითა» (იქვე, 793 გვ. 631). ‘ხარგ’ სპარსული სიტყვა خرگاه არის და როგორც საბა ორბელიანსაც განმარტებული აქვს, „ბალანთ კარავი“, ე. ი. მატყლის ქსოვილის, ან და შეთელილის ნაბდისაგან გაკეთებული კარავი იყო[2]. მართლაც მონღოლებმა, კარვებს გარდა, სხვა სახლი არ იცოდნენ და ამ კარვებს ისე აკეთებდნენ, რომ თითოეულს მათგანს ყოველთვის რგვალი მოყვანილობა ჰქონდა. ჯერ წნელისაგან ჯოხებით დამაგრებული რგვლად გაკეთებული სადგომი იყო, რომელსაც თავკვეთილ კონუსის მსგავსი საბურავი ჰქონდა, ხოლო შემდეგ გვერდებზე და საბურავზე ნაბადი ჰქონდა შემოვლებული ისე კი, რომ სახურავი შუაში ღია იყო და კარავში დანთებული ცეცხლის კვამლი ადიოდა. ასეთს კარავს კარებიც ნაბდისა ჰქონდა ჩამოფარებული[3], მოსახლეობისა და ბინადრობის ამგვარი წესი მონღოლების აყრა-დაბანაკებას საუცხოოდ შეეფერებოდა და ამის გამო მათთვის მოძრაობა მეტად ადვილი და თანაც ჩვეულებრივი საქმე იყო. ამას გარდა, რაკი მონღოლები ყოველ აყრის დროს მთელ თავიანთ ოჯახობითურთ დაიძრებოდნენ და მიემგზავრებოდნენ, ამიტომ ყოველი ამისთანა შემთხვევა ნამდვილად ხალხის, ან ტომის გადასახლებას წარმოადგენდა ხოლმე. საყურადღებოა, რომ თავიანთი შორეული ლაშქრობის დროს თათრებს ამ წესის წყალობით ერთი ფრიად დიდმნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ, რომელიც მათ საშუალებას აძლევდა ყოველი მკაცრი ბრძოლის შემდგომაც თავის მებრძოლთა რაზმები კვლავ სწრაფად შეევსოთ და გაეძლიერებინათ. მთელი სახლობით, „დედა-წულითა მათითა“ საომრად გამგზავრება მათ უადვილებდათ ცოცხალი ძალა საჭიროებისაებრ გამოეყენებინათ და ბრძოლაში

---

[1] M. Quatremère, Hist. des Mongols t. I, préface, გვ. 21—23, შენ. 27 იხ. აგრეთვე რუბრუკვისის აღწერილობა Voyage, chap. XXI, გვ. 40.

[2] იხ. საბ. ორბელიანი, ლექსიკონი s. v.

[3] იხ. პლ. კარპინის Voyage art. II გვ. 29.

მოკლულ მეომართა მაგიერ დაუყოვნებლივ და სწრაფად სამყოფნი მებრძოლნი ჩაეყენებინათ. ამგვარად, მონღოლებს ლაშქრობის დროს ყოველთვის მებრძოლთა მარაგი მზად ჰყავდათ, რომლის ომის დროს წაღვრა შეეძლოთ, მკვიდრ ბინადრობას მიჩვეულ მათ მოწინააღმდეგეებს კი სწორედ ეს უძნელდებოდათ და ისევე სწრაფად და მსუბუქად საქმის მოწყობა არ შეეძლოთ.

მოძრაობის დროს თათრებს თავიანთი კარვები და ხარგები ან დაშლილი და დაკეცილი მოჰქონდათ ხოლმე თან, ან მთლად გამართულს აიღებდნენ, ურმის თვლებზე დასდებდნენ და ისე მზა-მზარეულად გაწყობილი გადაჰქონდათ ხოლმე[1].

თვით მონღოლები თავიანთ ამგვარ მოძრავ მოსახლეობის აღსანიშნავად სიტყვა „ჲურტ"-სა ხმარობდნენ[2], მაგრამ ეს სიტყვა ქართულს წყაროებში არა გვხვდება და მის სამაგიეროდ ქართულში თითქოს სპარსული „ხარგა" უნდა იყოს, თუმცა მონღოლურს „ჲურტ"-ს უფრო ფართო მოსახლეობის მნიშვნელობა აქვს, ხარგა კი მხოლოდ მოძრავ მონღოლურ-თურქულ კარავის აღმნიშვნელად იხმარებოდა.

მონღოლთა სახელმწიფო წესწყობილება არისტოკრატიული იყო იმ მხრივ, რომ საყაენოს მართვა-გამგეობაში მხოლოდ ყაენი და უმაღლესი წრე იღებდა მონაწილეობას და ხალხი მხოლოდ მორჩილი ქვეშევრდომი იყო[3]. გაერთიანებისათვის მებრძოლმა ჩინგიზხანმა თავის დიადს საბრძანებელს თვითვე გამოუთხარა საძირკველი და ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე «განუყო ოთხად ლაშქარი თვისი და განაჩინა შვილნი ოთხნი ყანად» (ჟამთააღ. *758, გვ. 584). პირველად უფროსი შვილი ჯუჩი იყო გამოყოფილი, რომელსაც მონღოლურ საგმირო თქმულებისა და რაშიდედინისაებრ 1207—1208 წ. „შიბირ"-ის ქვეყანა რგებია ირტიშის სანახებში[4]. ქართველ ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს, რომ მამამ «პირმშოსა მისცა ნახევარი ლაშქარი და წარავლინა დიდსა ყივჩაყეთსა ვიდრე ბნელადმდე: ოსეთსა, ხაზარეთსა, რუსეთსა ვიდრე ბორღართა და სერბთამდე, კავკასთა ჩრდილოთა ყოველთა მკუიდროვანთა» (*758. გვ. 584—585). ჩინგიზის დანარჩენი შვილების ხვედრის შესახებ ჩინურსა და სპარსულ წყაროებში პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება. ჩანჩუნის სიტყვით, ჩაღატას საბრძანებელი 1221—1223 წ. ილის სამხრეთით უნდა ყოფილიყო[5]. ქართველ ისტორიკოსს კი ნათქვამი აქვს, რომ ჩინგიზხანმა «მეორესა შვილსა ჩაღათას მისცა ლაშქარი და უღურთა ქუეყანა სამარყანამდე და ბუხარი და ვიდრე ალმუთის ქუეყანამდე» (ჟამთააღ. *758, გვ. 585). მესამე შვილს ხვედრად ჯუვეინის სიტყვით ემილის და ყობაყის (قبق) ქვეყანა რგებია მამისაგან[6]. ჟამთააღმწერელს ეს ქვეყნებიც აქვს დასახელებული, მაგრამ სხვაც ბევრი. მისი ცნო-

---

[1] პლ. კარპინის Voyage, art. II, გვ. 29.

[2] იხ. M. Quatremère, Hist. des Mongols t. I, préface, გვ. 55—57, შენ. 72.

[3] იხ. ვ. ბარტოლდის Образование империи Чингиз-хана: ЗВОРАО 1896 წ., X წიგ., 114 და Туркестан II, 414.

[4] ვ. ბარტოლდი, Туркестан II, 421—422.

[5] ვ. ბარტოლდი, იქვე II, 422.

[6] იქვე, 423.

ბით «მესამესა შვილსა ოქოთას მისცა თვითონ მისი ტახტი საჯდომად და ყარაყურუმი, ჩინ-მაჩინი, ემელისა და ყუთაყისა (თუ ყუბაყისა) ქუეყანა და ხატაეთი» (*758 — 759 გვ. 585). მეოთხე შვილს, რომელსაც თული ერქვა, მამამ «მისცა ლაშქარი და ოქოთას ზედამოკიდებით ქუეყანა აღმოსავლეთით»-აო, ამბობს ქართველი ჟამთააღმწერელი (იქვე *759, გვ. 585). თუმცა ჩინგიზხანი ჯერ კიდევ ყაენობდა, მაგრამ საყაენოს ამგვარი დაყოფა და განაწილება ამთავითვე უმაგალითო ლაშქრობითა და სისწრაფით შექმნილს თვალგაუწვდენელს ამ სახელმწიფოს ერთობის საფუძველს აცლიდა და მის მომავალ დამხობის ერთადერთ მთავარ მიზეზად უნდა გამხდარიყო.

მართალია, გარდმოცემაა შენახული, რომ ჩინგიზხანმა თავის შვილებს «ამცნო წელიწადსა შინა ერთხელ ოქოთასას მივიდოდენ ძმანი მისნი უხუცესნი ყურ[ულ]თისა საქნელად"-ო (ჟამთააღ. *759, გვ. 585). ყურულთა მონღოლური სიტყვაა და როგორც აქ მოყვანილ ადგილითგანაც ჩანს, ბჭობას, კრებას ჰნიშნავს. სომეხთა მემატიანეს მალაქიასაც ამ სიტყვის მნიშვნელობა ამნაირადვე აქვს განმარტებული[1].

ამას გარდა ყურულთა ყაენის საყაენო ტახტზე აყვანასა და დღესასწაულსაც ეწოდებოდა. ყოველი ახალი ყაენის გამეფებას უეჭველად ყურულთაც თან სდევდა ხოლმე. მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მონღოლთა ხანის ურდოში ნამყოფი პლანკარპინი ამბობს, რომ საყაენო ტახტზე აყვანა მონღოლებმა საგანგებო ბჭობისა და არჩევანით იცოდნენო. ამ ბჭობაში და არჩევანში თურმე მარტო მაღალი ვიწრო წრე—მთავარნი და ყაენის გვარის-შვილნი—იღებდნენ მონაწილეობას, ხალხი კი მხოლოდ გარეშე მაყურებელი იყო და იმ კარვის მახლობლად, სადაც საბჭოს წევრნი ისხდნენ, ღობეს გარეთ გადაწყვეტილებას უცდიდა[2].

არჩევანს ტახტზე აყვანის, ანუ უფრო ხალიჩით აწევისა და ყაენად დალოცვის წესი მისდევდა ხოლმე, ჯერ მთავარნი და უფლისწულნი ყაენად არჩეულს ყაენობას სთხოვდნენ, შემდეგ ყაენად გამზადებული დაეკითხებოდა, დაემორჩილებოდნენ მას ისინი, ვითარცა თავიანთ მბრძანებელს, და აასრულებდნენ, თუ არა, მის ყოველს სიტყვას? რაკი დასტურს მიიღებდა, მაშინ კი ხალს გაშლიდნენ, ზედ დასვამდნენ და ჯერ ყაენს დალოცავდნენ, შემდეგ მის მეუღლესაც ხალზე დასვამდნენ, ორთავეს ხალით ჰაერში ასწევდნენ და სრულიად სათათრეთის ყაენად და უზენაეს მბრძანებელად მაღლახმივ გამოაცხადებდნენ. მერმე ოქროსა, ვერცხლს და თვალ-მარგალიტს მიართმევდნენ და ახლად გაყაენებული თავის მხრივ ყველა მთავრებსა და უფლისწულებს უხვად დაასაჩუქრებდა[3]. ამასაც მონღოლები ყურულთას უწოდებდნენ. მაგრამ მალე ამ ყურულთასაც თავისი პირვანდელი განსაკუთრებული ხასიათი დაეკარგა, წინასწარი არჩევანი და საარჩევნო თათბირი გაქრა და თვით ყურულთაც მარტო დენ ყაენის საზეიმო ტახტზე აბრძანების დღესასწაულად-ღა იქცა.

---

[1] Գաւառաբիւն, 9.

[2] Voyage, chap. VII, გვ. 12.

[3] იქვე, chap. VIII და IX, გვ. 13—16.

რაკი თათრები მრავალცოლიანობას მისდევდნენ და იმდენს ცოლს იყვანდნენ, რამდენის შენახვაც კი შეეძლოთ, ამიტომ მათთვის კანონიერი ანუ სჯულიერი და უკანონო ცოლი და შვილები არ არსებობდნენ და ნაბიჭვარსა და ბუშს სჯულიერი ცოლის შვილისაგან არ არჩევდნენ [1].

მემკვიდრეობის კანონიც მონღოლებს თავისებური ჰქონდათ და თუ ჩვეულებრივ, სხვათა შორის ქართულ სამართალშიაც, უფროსს შვილს გაყრის და მამული ქონების დამკვიდრების დროს საუფროსო ეძლეოდა და უპირატესობა ჰქონდა [2], მონღოლურ სამართლისდა მიხედვით უპირატესობა უმცროს ძმასა ჰქონდა. მინიჭებული და მამის სახლკარი და ძირითადი ქონება სწორედ მას ეკუთვნოდა [3], თუმცა კი გარეგანი პატივისცემა უფროსს ძმას არ აკლდა და თათრებშიაც მიღებული იყო, უმცროსს უფროსისათვის შესაფერისი პატივი უნდა ეჩვენებინა. უფრო მეტიც კი, უმცროსს უფლისწულსაც კი უფროსის წინაშე მისალმების დროს მუხლი უნდა მოეყარნა და სანამ არ სთხოვდა, მის წინაშე დაჯდომაც კი არ შეეძლო [4].

თავიანთ უზენაესს მბრძანებელს ყაენს მონღოლები მონურად სცემდნენ თაყვანსა და პატივს და მხოლოდ ამგვარისავე თაყვანისცემის შემდგომ შეეძლოთ უცხოელებს, მეზობელ და შორეულ ხელმწიფეთა დესპანებს, თვით ძლიერს მაგრამ ყმადნაფიც მეფეებსა და ტახტის მემკვიდრეებსაც კი, წარსდგომოდნენ სადარბაზოდ ყაენს. თათრებს მაგ., აუცილებელ წესად მიაჩნდათ დარბაზობის, თუ სხვა დროს ვისაც კი ყაენისათვის რამე მოსახსენებელი ან სათქმელი ჰქონდა, უეჭველად მუხლმოყრილს უნდა ელაპარაკა, სხვანაირად მას კრინტს არ დააძრეინებდნენ. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მეფე დავით ლაშას ძის განდგომილების გამოძიების დროს სარგის ჯაყელი მონღოლთა მბრძანებელს საქმის ვითარების შესახებ «მუჭლ-მოყრილი ეტყოდა» (ჟამთააღ. *838, გვ. 684). ხოლო თვით მეფე დავით ლაშას ძეც კი, ბრძოლის ველზე მყოფი, სანამ სათქმელს მოახსენებდა, ჯერ «გარდაჴდა ცხენისაგან, თაყვანისცა და ჰრქვა: „დიდო ყანო“, ჩვენ ქართველთ აი რა ჩვეულება და წესი გვაქვსო (იქვე *861, გვ. 706).

დასავლეთის მოგზაურნი და მოციქულნიც მონღოლებს ერთხმივ უჩივიან ძალზე ამპარტავანნი და მედიდურნი არიან, უცხოელებს არად აგდებენ, უცხო ქვეყნის უფლისწულების პატივისცემაც კი არ იციანო [5]. კარპინი ამბობს, რომ მონღოლთა წესი ისეთია, რაკი ვინმე ყაენს წარუდგება მოსახსენებლად თუ ბრძანების მოსასმენად, ყაენის წინაშე უეჭველად მუხლმოდრეკილი უნდა იყოსო [6]. რუბრუკვისს თავის მოგზაურობის აღწერილობაში სხვათა შორის აღნიშნული აქვს, როცა ყაენს უნდა წარვდგომოდი და მინდობილი საქმე თათართ მბრძანებელისათვის უნდა მომეხსენებინა, მაშინვე მითხრეს დაიჩოქეო. მე ერთ მუხლზე ჩავი-

---

[1] იხ. პლ. კარპინის Voyage, art. გვ, 58.

[2] იხ. ჩემი „ქ“ل სამართლის ისტორია“, სამოქ. სამართალი.

[3] M. Quatremère, Hist. des Mongols t. I, გვ. 89—90 შენ. 6.

[4] იქვე.

[5] პლ. კარპინის Voyage, art. IV, გვ. 36.

[6] იქვე, chap. XI, გვ. 38.

ჩოქე, მაგრამ მათ მანიშნეს, რომ ორთავე მუხლი მომუყარა. მეც იძულებული ვიყავ დავმორჩილებულიყავო[1]. რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ს რომ ჯიუტობა დაეწყო და მუხლის მოყრაზე უარი ეთქვა, მასაც იგივე დაემართებოდა, რაც ბაღდადისა და მოსლემინთა მბრძანებელს მოუვიდა: ჯერ ძალად მოაყრეინებდნენ მუხლსა, მერმე სიკვდილადაც დასჯიდნენ. ამ მხრივ ქართველ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს მეტად დამახასიათებელი ცნობა აქვს შენახული. როდესაც მონღოლებმა მაჰმადიანთა-სულიერ მთავრისა და მბრძანებელის სატახტო ქალაქი ბაღდადი აიღეს და თვით ხალიფაც ტყვედ ჩაუვარდათ, დატყვევებული ხალიფა «მოიყუანეს წინაშე ყანისა ულოსსა და წარადგინეს წინაშე მისსა». როგორც მონღოლურად მიღებული იყო «ეტყოდეს ხალიფას, რათა თაყუანისცეს ყანს, ხოლო მან არა-თავს იდვა»-ო. რაკი ნებაყოფლობით არ მოისურვა, მაშინ ძალა დააატანეს და «აიძულებდეს თაყუანის ცემად: გამოუხვნიან ფერვნი მისნი და იგი პირდაღმა დაეცის», მაგრამ მაინც ამის შემდგომაც ხალიფა უარზე იდგა და თავის ნებით „არა თაყუანისსცა". ამისათვის ულო ყაენმა ურჩი და ამაყი ხალიფას სიკვდილად დასჯა ბრძანა (ჟამთააღ. *817—818, გვ. 662).

ყაენისადმი მონური თავყანისცემა და მორჩილება იქამდის მიდიოდა, რომ «ესე იყო წესი თათართა რ ო მ ე ლ ყ ა ე ნ ს წ ი ნ ა შ ე ა რ ა ვ ი ნ დ ა ჯ დ ე ბ ო დ ი ს ა რ ც ა პ ურ ი ს ჭ ა მ ა ს ა შ ი ნ ა» (ჟამთააღ. *814, გვ. 658), თუ რომ საგანგებოდ საამისო ნებართვას არ მიიღებდა. როგორც მონღოლთა ყაენებს მედიდურად და მოუკარებლად ეჭირათ თავი, გარეგნობითაც მათ შესაფერისი უპირატესობის ნიშანი ჰქონდათ. ერთ-ერთ ამგვარ განსაკუთრებულ კუთვნილებად საჩრდილობელი ითვლებოდა, რომელსაც მონღოლურად „სუქური" ეწოდებოდა. ქართველი ისტორიკოსი ამბობს, რომ ს უ ქ ურ ი ს ა ჩ რ დ ი ლ ო ბ ე ლ ი... ს ხ ვ ა ს ა ა რ ა ვ ი ს ა ქ ვ ნ დ ი ს, თ უ ი ნ ი ე რ ყ ა ნ თ ა დ ა ნ ა თ ე ს ა ვ თ ა მ ა თ ს ა»-ო. (ჟამთააღ. *814, გვ. 658).

პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ს ა ც უნახავს ბათო ყაენთან ამნაირი საჩრდილობელი და-მას ქართველი ჟამთააღმწერელისავით აღნიშნული აქვს, რომ ყოველ ხანს და მათს სახლობას საჩრდილობელის ხმარების უფლება აქვთ მინიჭებული[2]. ეს სუქური ისე ყოფილა გაკეთებული, რომ «მაღალსა შეშასა, ვითარცა ბუნსა დროშისასა ზედა განრთხუმულ იყჳს» და ქოლგის მსგავსად «საგრილობელად შექმნილი, მრგუალი, შესაკეცელი და გასაშლელი» იყო. ამგვარი ქოლგა, ანუ საგრილობელი საგანგებო მოხელეს, რომელსაც „სუქურჩად" უწოდებდნენ, მუდამ «აქუნდა თ ა ვ ს ა ზ ე დ ა ყ ა ნ ი ს ა ს ა» (ჟამთააღ. *804, გვ. 646)[3].

განსაკუთრებული პატივისცემისა და წყალობის ნიშნად მონღოლთა მბრძანებელს საჩრდილობელი თურმე საქართველოს მეფისათვისაც მიუცია და უფლება მიუნიჭებია, რომ დავით ლაშას ძის თავზეც საგანგებო მოხელეს ამგვარი საჩრდილობელი სჭეროდა. ქართველს ისტორიკოსს ამის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ «შეიწყალა ყაენმან ბათო მეფე დავით და მისცა სუქური საჩრდილობელი»-ო (იქვე, *814, გვ. 657).

---

[1] რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი, Voyage, chap. XXI, გვ 43.

[2] რაშიდედინს „შუქურჩად" უწერია (იხ. Н. Березин, Очерк. გვ. 60).

[3] პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ი, Voyage chap. III, გვ. 6—7.

თუ რამდენად აფასებდნენ მონღოლთა ბატონნი ამ განსაკუთრებულს ნიშანს, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ «უკეთუ არა ყაენთა ნათესავი იყუს, არავისა ჴელ-ეწოფებოდა დაჩრდილება» სუქურითა (იქვე *804, გვ. 646).

მონღოლთა მბრძანებლებს თავიანთი საყაენო კარიც შესაფერისი ბრწყინვალებით ჰქონიათ მოწყობილი. დასავლეთელ მოგზაურთა და დესპანთა აღწერილობითგანა ჩანს, რომ ხანებს დიდი სიმდიდრე ჰქონიათ მოგროვილი და მათი დარბაზობაც განმაცვიფრებელი სიდიადით ყოფილა მოსილი. ხანებს ანუ ყაენებს საგანგებო კარის მოხელეები და მსახურნი ჰყოლიათ, რომელთაგანნი ზოგიერთნი მცველები იყვნენ, ზოგნი დარბაზობისათვის განკუთვნილ მსახურებად ითვლებოდნენ. ამას გარდა მრავალრიცხოვანი სეფე-ლაშქარი განუწყვეტლივ გარს ერტყა ყაენის სადგომს და შესავალ-გამოსავალ ადგილებს ფხიზლად სდარაჯობდა. მონღოლთა ყაენს მაგ., ჰყავდნენ «კ ა რ ი ს მ ც ვ ე ლ ნ ი მ ე კ ა რ ე ნ ი» (ჟამთააღ. *804, გვ. 646), რომელთაც აგრეთვე მარტივად „კ ა რ ი ს მ ც ვ ე ლ ნ ი“-ც (იქვე *788, გვ. 625) ეწოდებოდათ. მონღოლურად თურმე მათ ეძახდნენ «ე ᲒᲒ ᲒᲒ-დანჩად [1], რომელ ა რ ი ა ნ კ ა რ ი ს მ ც ვ ე ლ ნ ი მ ე კ ა რ ე ნ ი» (იქვე *804, ვგ. 646).

ეგვდანჩობა, ანუ კ ა რ ი ს მ ც ვ ე ლ ო ბ ა მონღოლთა საყაენოში უბრალო და დაბალ მოხელეობად კი არა, არამედ ფ რ ი ა დ ს ა პ ა ტ ი ო დ და ს ა ს ა ხ ე ლ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ო დ ა. ამას ის გარემოებაც ნათელჰყოფს, რომ ულო ყაენმა საქართველოს წარჩინებულებს თავისი განსაკუთრებული წყალობის დასამტკიცებლად სხვათა შორის „ეგვდანჩი-ს“ თანამდებობა უბოძა (ჟამთააღ. 804, გვ. 646).

საყაენო კარის მსახურადვე ითვლებოდა „მ ე ᲥᲠ მ ლ ე“, რომელსაც „ულ-დ ა ნ ჩ“-ად უწოდდნენ მონღოლნი. ქართველი ისტორიკოსის განმარტებისამებრ ულდანჩი «არს მეᲥრმლე რომელსა ა რ ტ ყ ი ა Ქრ მ ა ლ ი დ ა კ ა რ ს ა ზ ე დ ა მ დ გ ო მ ა რ ე ა ს» (ჟამთააღ. *804, გვ. 645—646). მართლაც, მონღოლთა ყაენის სეფე-მცველთა სამ გუნდთაგანს ერთს მაჰმადიან ისტორიკოსთა ცნობითაც „Აულდუჩი“ ერქვა [2]. მ ე Ქ რ მ ლ ე ო ბ ა ც თურმე მონღოლურ სახელმწიფო წეს-

---

[1] ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი ს სიტყვით მეკარეთა მონღოლური-სახელი იმ ტექსტში, სადაც ამის შესახები ცნობაა შენახული, გარკვევით არა ჩანს, ალბათ „ე გ ᲒᲒ დ ე ნ ჩ ი“ ერქმეოდა, მონღოლურ სიტყვითგან ᲒᲒ ᲒᲒ დ ე ნ ანუ ᲒᲒ დ ე ნ (=კარს)“-ისაგან არის ნაწარმოებიო (Туркестан, 412). მ ᲒᲒ მ დ ᲒᲒ ᲒᲒ ᲥᲒ ᲒᲒ ᲒᲒ Გ

წყობილებაში საპატიო საკარისკაცო თანამდებობად ყოფილა მიჩნეული. იმავე ხემოაღნიშნულს ულო ყაენს საქართველოს ზოგიერთ წარჩინებულთათვის საგანგებო წყალობის ნიშნად „ულდანჩ“-ობა უბოძებია (ჟამთააღ. *804, გვ. 645—646).

საყაენო კარს მუდამ თანახლდნენ აგრეთვე „შვილდკაპარჭოსანნი“ ამ მსახურთ მონღოლები უწოდებდნენ «ყორჩად, რომელთა აქვნდა მშვილდ-კაპარჭი» (ჟამთააღ. *805, გვ. 646). „ყორჩი“, რომელიც რაშიდედინსაც „ყორჩ-ის“ სახელით ჰყავს მოხსენებული[1], ჩვეულებრივ შვილდ-კაპარჭოსან ჯარისკაცად კი არ ითვლებოდა, არამედ საპატივო მოხელედ, რომელსაც თვით წარჩინებული გვარისშვილებიც კი არ თაკილობდნენ (იხ. ჟამთააღ. *804, გვ. 645—646).

საყაენო კარის სამსახური „ყუბ[უ]რჩ“-ებსაც ჰქონდათ დაკისრებული (ჟამთააღ. 804, გვ. 646 შენ. 7). მაგრამ რასა ნიშნავდა მონღოლურად ეს სახელი, ან რა ქართულს თანამდებობას უდრიდა, არა ჩანს იმიტომ, რომ ამ ადგილას ტექსტი დამახინჯებულია. იქნებ ეს სიტყვა მონღოლურ „ყუიბურ“-ისაგან იყოს ნაწარმოები? თუ ასეა, მაშინ „ყუბურჩი“ უნდა მეშურდულესა ნიშნავდეს იმიტომ, რომ „ყუიბური“ მონღოლურად შურდულსა ჰქვიან[2]. მაგრამ თვით ქართ. ისტორიკოსს კი, თუ იქ ამ ალაგს ტექსტს არ აკლია (რაც საფიქრებელია), „ყუბ[უ]რჩ“-ის შესახებ ნათქვამი აქვს: «რომელთა აქვნდის ტანისამოსი“-ო (ჟამთააღ. *804, გვ. 646). საყაენო კარის იმ მოხელეებს გარდა, რომელნიც ქართველს ისტორიკოსსა ჰყავს მოხსენებულნი და რომელთა შესახებაც ზევით უკვე იყო საუბარი, კიდევ შემდეგი თანამდებობა არსებობდა: 3 ბოქაული, ანუ „ბაურჩი“ ჭამა-სმის თადარიგის დამჭერი იყო, 1 „ახტაჯი“, რომელიც სეფე-ჯოგის გამგედ ითვლებოდა, ხოლო 2-ს კიდევ ცხენების გახედნა ებარათ, 3 კიდევ საქონლის ძოვებასა და გამოკვებას განაგებდა. 1 „ჯურტჩი“ ხარგებისა და ჯურტების გაკეთებას თვალყურს ადევნებდა. დასასრულ, 1 „ჩერბჩი“ შინა მსახურთა გამგე იყო. თვით ყაენის სეფე-შვილდკაპარჭოსანი ანუ „ყორჩი“ ოთხი ყოფილა და მეხრმლე „ულდანჩი“ იყო ოთხივე[3]. მონღოლთა ყაენის სეფე-ჯარი, რომელიც ყოველთვის მას თან ახლდა და იცავდა, მონღოლურად „ქეშიკტენ“-ად იწოდებოდა[4]. ამ სიტყვის მხოლოობითი რიცხვი „ქეშიკი“ იქნება და ქართულ მწერლობაშიაც არის შემოსული. „ქეშიკი“ რიგსა და მორიგეობასა ნიშნავდა[5], იმიტომ, რომ ისინი თავიანთ სამსახურს რიგრიგობით ასრულებდნენ: ერთს რიგს „ტურგუეტ“-ი ეწოდებოდა და ეს ჯგუფი მცველად მხოლოდ დღისით ინიშნებოდა, მეორე რიგს კი ღამ-ღამობით უნდა ედარაჯნა, მას „ქებტეუტ“-ს ეძახდნენ. თავდაპირველად დღის დარაჯთა რიცხვი 70-ს არ აღემატებოდა, ღამისა კი

---

[1] იხ. Березин, Очерк 65 და Сборн. летописей I, 229 შენ. 34 და II, 225.

[2] И. Березин, Сборник летописей II, 198.

[3] ვ. ბარტოლდი, Туркестан, 411—412.

[4] მარკო პოლოს მოგზაურობა, ი. პ. მინაევის თარგმანი ვ. ვ. ბარტოლდის რედაქტორობით გამოც., გვ. 128, თ. LXXXVI.

[5] ვ. ბარტოლდი, Туркестан, 412.

ᲫᲝ-ს [1], მაგრამ შემდეგში ქეშიკთა რიცხვი ძალიან იყო გადიდებული [2] და უკვე მარკო პოლომ იცის, რომ „ქეშიკტენ“-ის რიცხვი 12000 უწევდა [3]. მარკო პოლოს სიტყვით 12000 ქეშიკნი ოთხ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი და თითო ჯგუფთაგანში 3000 მხედარი ითვლებოდა. თითოეულს ამ ოთხ ჯგუფთაგანს სამი დღე და ღამე უნდა ედარაჯნა, და შემდეგ კი მორიგეობისაგან გადამდგარიყო და რიგ-რიგად ყაენის სადგომის მცველობა მეორე, მესამე და და მეოთხე ჯგუფისათვის დაეთმო [4].

რაკი ქეშიკნი ყაენის სადგომს და მის კარავს სდარაჯობდნენ, ამიტომ, რასაკვირველია, ქეშიკებად მხოლოდ სანდო პირებს ჰნიშნავდნენ ხოლმე. ამისდა გვარად ქეშიკებს დიდი უფლებები ჰქონდათ მინიჭებული, მეტადრე ღამის დარაჯებს. რაკი შებინდდებოდა, ქეშიკთ უფლებაც ჰქონდათ და მოვალენიც იყვნენ ყოველი ადამიანი შეეპყრათ ყაენის სადგომის მახლობლად საეჭვოდ მიმომავალი. ხანის კარავში სხვაფრივ, თუ არა ქეშიკის თანხლებით, შესვლა არ შეიძლებოდა. ვინც კი დაუკითხავად და უცბად მონღოლთა ᲒᲑრძანებლის კარავში შესვლას გაბედავდა, ქეშიკთ შეეძლოთ იქვე მოეკლათ [5].

მონღოლთა სახელმწიფო წესწყობილების უმაღლესი საფეხური ყაენის ანუ ხანის შემდგომ „ნოინებს“ ეჭირათ. „ნ ო ი ნ ნ ი“ თურმე «ღირსებისაᲔᲑრ ᲒᲐთისა» სხვადასხვაგვარნი ყოფილან. ისინი ორ მთავარ ჯგუფად განიყოფებოდნენ: ქართველი ისტორიკოსი არჩევს „ნ ო ი ნ თ ა დ ი დ თ ა დ ა მ ც ი რ ე თ ა“. ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ ბათო ყაენმა არღუნი «წარავლინა ყოველსა საᲑრძანებელსა მას მისსა... რათა... განაჩინოს ნ ო ი ნ თ ა Დიდთა დ ა მ ც ი რ ე თ ა ღირსებისაᲔᲑრ მათისა ულუფა» (*819, გვ. 663—664). მაშასადამე, ერთს ცალკე ჯგუფს „დიდნი ნოინნი“ შეადგენდნენ. იგივე ავტორი ამბობს, რომ სადუნის ათაბაგობის დროს საქართველოში «არა იქნებოდა... უსამართლობა არცა დ ი დ თ ა ნ ო ი ნ თ ა გ ა ნ»-ო (იქვე *873, გვ 717).

ვინ იყვნენ ნ ო ი ნ ნ ი და რა თანამდებობა ჰქონდათ? ქართველ ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს: ჩინგიზხანის შვილებმა «მოუწოდეს ოთხთა ე რ ი ს მ თ ა ვ ა რ თ ა, რომელთა ნოინობით უჴმობენ»-ო (იქვე *761, გვ. 580). მაშასადამე, ნ ო ი ნ ებ ი ერისთავებსავით საყაენოს სხვადასხვა კუთხის გამგენი ყოფილან. მაგრამ, რაკი მონღოლნი უბინადრო ხალხი იყო და მათ მკვიდრი მოსახლეობა არ იცოდნენ, ამიტომ მათი თანამდებობა მათ თავდაპირველს სამშობლოში იმდენად ქვეყანათა გამგეობით არ განისაზღვრებოდა, რამდენადაც მონღოლთა ტომის გარკვეული ერთეულის მთავრობითა და მეთაურობით. ქართველ ისტორიკოსს ერთგან შემდეგი საყურადღებო ცნობა მოეპოვება: «მოუწოდეს ოთხთა ერისმთავართა, რომელთა ნ ო ი ნ ობ ი თ უჴმობენ... ა თ ი ა თ ა ს - ა თ ა ს ი მ ი ს ც ე ს დ ე დ ა წ უ ლ ი თ ა მ ა თ ი თ ა და წარმოავლინეს ᲫᲔᲑᲜᲐᲓ» ჯალალედინისაო (იქვე *761, გვ. 589). რაკი ათი ათასი მონღო-

---

[1] ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, Туркестан, 412.
[2] ი ქ ვ ე, 413.
[3] ᲫᲝგზაურობა, თ. LXXXVI. გვ. 128.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, Туркестан, 413.

ლურად უმაღლესს ერთეულს შეადგენდა და მონღოლურად 10000, როგორც ქვევით დავინახავთ, „თუმანი“ ან „დუმანი“ ეწოდებოდა, ამიტომ ისე გამოდის, რომ ნოინი უპირველესად „დუმან“-ის მთავარი ყოფილა. მართლაც, უკვე გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა კატრმერმა დაამტკიცა, რომ ნოინი სწორედ 10000 კაცის, ანუ „დუმანის“ თავად ითვლებოდა[1]. ზოგჯერ თვით სახელშიაც კი იყო ხოლმე აღნიშნული და ჩვეულებრივ ნოინის მაგიერ „ტუმან ნოიდონ“-ი, ესე იგი „დუმანის“, 10000 ნოინი ერქვა ხოლმეო[2].

დიდ ნოინთა შორის ყველაზე მაღლა „ულუსის ნოინი“ უნდა მდგარიყო. ეს იმითი მტკიცდება, რომ განსაკუთრებული, უაღრესი პატივის ნიშნად ულო ყაენმა ბრძანა «რათა თჳნიერ ულუსისა ნოინისა კიდე ურდოს შესვლასა მეფისა (დავითისა) ზედათ არავინ დადგებოდის» (ჟამთააღ. *314, გვ. 658). მაშასადამე, ულუსის ნოინს თვით საქართველოს მეფეზეც კი მეტი პატივი ჰქონია და, როდესაც მეფე ურდოში მიბრძანდებოდა, მას „ზედათ“, მასზე უფრო მაღლა, მხოლოდ ულუსის ნოინი იდგებოდა. ამგვარად ცხადია, რომ ულუსის ნოინობას სამოხელეო პატივის უმწვერვალესი ადგილი ეპყრა მონღოლთა სახელმწიფოში.

თვით მონღოლებს ეს სიტყვა, რასაკვირველია, თავისებური დაბოლოებით ექმნებოდათ და, როგორც ჩანს, მათ ამ თანამდებობისათვის სახელად „ულუს-ნოინი“ ჰქონიათ. ჟამთააღმწერელი სხვათა შორის ამბობს: ყაენმა «განაჩინა მჳედართ-მთავრად, რომელთა ულუს-ნოინობით უწოდდენ და აწ ბეგლარბეგად»-ო (*803, გვ. 644). ვამოჩენილ სპარსელ ისტორიკოსს რაშიდედინს, როგორც ეტყობა, ეს ტერმინი „ულუს-ნოინი“ არა აქვს აღნიშნული და საზოგადოდ არც სხვა წყაროებში მოიპოვება. არც კატრმერს, არც ჰამმერს, არც ბერეზინსა და ბარტოლდს თავიანთ გამოკვლევებში შეტანილი არ აქვთ. სამაგიეროდ პრ. ბერეზინის თხზულებაში „Очерк внутреннего устройства Улуса Джучиева“ ნახსენებულია اولوسبكى „ულუსბეკი“ (გვ. 52). იბნ ბატუტას ეს სიტყვა განმარტებული აქვს „მთავართა-მთავარ“-ად[3]. ხოლო რაშიდედინის თხზულებაში გვხვდება بزرك اوردو ومقدم امداء „ურდოს მთავარი და ამირათა უპირველესი“[4]. ბერეზინს ჰგონია, რომ „ულუს-ბეკი“ იმავ იბნ ბატუტას „მთავართა-მთავარს და რაშიდედინის „ამირათა უპირველესს“, მთავართა ანუ ბეგთა უფროსს, ულუსის უხუცესს მთავარს უდრის[5].

უფლებით, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ულუს-ბეკ“-ის ნამდვილი მონღოლური სახელი ქართველს ჟამთააღმწერელს ვგონებ უნდა საუკეთესოდ ჰქონდეს შენახული: „ულუს-ბეკს“ მონღოლურად ალბათ „ულუს-ნოინი“ ერქმეოდა. თუმცა „ულუს-ნოინი“, როგორც თვით სახელიც ამტკი-

---

[1] იხ. Histoire des Mongols, 76, შენ. 94.

[2] Березин, Очерк, 63.

[3] იქვე, 52.

[4] იხ. ბერეზინის გამოცემული Сборник летописей I, 77, სპარსული დედანი და რუს. თარგმანის გვ. 60.

[5] Очерк, 52.

ცებს, მართლაც ულუსის უფროსი, მთავარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეტყობა მისი ხელისუფლება და თანამდებობა მარტო ამით არ განისაზღვრებოდა. აქაც ქართველი ისტორიკოსის განმარტება სამართლიანი უნდა იყოს. მას რომ ნათქვამი აქვს: ყაენმა ეს და ეს პირი „განაჩინა მხედართ-მთავრად, რომელთა იგი ულუს-ნოინობით უწოდდენ და აწ ბეგლარბეგად»-ო (ჟამთააღ. *803, გვ. 644), მაშასადამე, ულუს-ნოინი უპირველესად მხედართ-მთავარი, ჯარის მთავარი გამგე ყოფილა. როგორც ჩანს, შემდეგში მონღოლური სახელი „ულუს-ნოინი“ გადავარდნილა და მის მაგიერ თურქული სიტყვა „ბეგლარბეგი“ შემოსულა. ისტორიკოსის ცნობა, რომ ულუს-ნოინს „აწ“ ბეგლარბეგს უძახიანო, ამტკიცებს, რომ ამგვარი ცვლილება უკვე XIV საუკუნეში ყოფილა მომხდარი, რათგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ქართველი ჟამთააღმწერელი სწორედ იმ დროს ცხოვრობდა [1].

„ბიკი“ ანუ „ბეგი“ ძველი ტერმინია და ჯერ ჩინგიზხანამდის არსებობდა. თავის საყაენოშიც ჩინგიზმა ბიკობა შემოიღო, რომელსაც უაღრესი თანამდებობა და პატივი მიანიჭა: მას უნდა თეთრი ტანისამოსი სცმოდა, თეთრ ცხენზე მჯდარიყო, ხოლო ყრილობის დროს მას პირველი ადგილი ეკუთვნოდა, მის ნაბჭობსა და გადაწყვეტილებასაც ყველანი პატივისცემით უნდა მოჰპყრობოდნენ. პირველ „ბიკ“-ად ჩინგიზხანს თურმე ბარინის ტომის ერთი წევრთაგანი დაუნიშნავს [2]. ეს კაცი გათარხნებული ბუო და ურდოში რომ მოვიდოდა ყველაზე მაღლა იჯდა, ეფლისწულებივით ისიც ყაენის მარჯვნივ იმყოფებოდა ხოლმე, ხოლო მისი ცხენიც თვით ჩინგიზყაენის ცხენებთან ერთად ება [3].

ამგვარად, ირკვევა, რომ იმ უაღრესი პატივით, რომელიც მას ურდოში მინიჭებული ჰქონია, „ბიკი“ ანუ „ბეგი“ და ულუს-ნოინი თანასწორნი უნდა იყვნენ. მაგრამ, თუ თავდაპირველად „ბიკის“ პატივი და გავლენა თითქოს უფრო სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ხასიათისა უნდა ყოფილიყო [4], შემდეგში ბეგსაც და ულუს-ნოინსაც სამოხელეო-სამხედრო უფლებები მიჰნიჭებია: ულუს-ნოინი „ეროსმთავარიც“ იყო და „მჭედართ-მთავარიც“. „ბეგლარბეგის“ თანამდებობაც, რომელიც ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით, ულუს-ნოინობას უდრიდა და XIV საუკუნეში შემოვიდა, მართლაც უზენაეს სამხედრო და საყაენო კარის ხელისუფლებად ითვლებოდა [5].

ულუს-ნოინის შემდგომ ნოინთა შორის პირველი ადგილი, როგორც ეტყობა, „თაიჩუთთა ნოინთა“ უნდა ჰკუთვნებოდა. ქართველი ისტო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წ. I. 195—196.
[2] ვ. ბარტოლდი, Туркестан, 421.
[3] რაშიდედინი, ბერეზინის გამოც, I. 263—264. რუს. თარგმანის გვ. 193.
[4] ვ. ბარტოლდი, Туркестан, 421.
[5] ჰამმერი, Geschichte der Jlchane II, 180—181.

რიკოსის სიტყვით, ულო ყაენის დროს «თაიჩ[უ]თ[თ]ა“ [1] ნოინთა ოთხთა მიერ განეგებოდა ქვეყანა საბრძანებელისა მათისა» (ჟამთააღ. *805, გვ. 647). „თაიჩუთ“ ანუ „ტ ა ი ჯ უ ტ“ მონღოლური მრავლობითი რიცხვია, რომლის მხოლობითი რიცხვი იქმნება „ტაიჯი“, რაც თ ა ვ ა დ ს ან ა ზ ნ ა ურ ს ნიშნავს. ზევით უკვე მოყვანილი იყო რ ა შ ი დ ე დ ი ნ ი ს ცნობა იმის შესახებ, რომ საყაენოში მთავართა, ანუ ბეგთა უფროსის, „ამირათა უპირველესის“ თანამდებობა არსებობდა. იქნებ „თ ა ი ჩ უ თ თ ა ნ ო ი ნ ი“, რაც თავადთა ნოინს ნიშნავს, რაშიდედინის მოხსენებულს ხელისუფლებას უდრიდა? როგორც არ უნდა იყოს, „თაიჩუთთა ნოინთა“ რეალური მნიშვნელობა ცხადია: თუ ულუს-ნოინი ერთი იყო, „თაიჩუთთა ნოინნი“ ოთხნი ყოფილან.

[მონღოლთა კვლავ გამოჩენა მახლობელი აღმოსავლეთის დასაპყრობად]

ჯერ კიდევ აღმ. საქართველო ხვარაზმშაჰისგან აოხრებული და დაწიოკებული იყო, ცხოვრება მთლად წესიერ კალაპოტში ჩამდგარი არ იყო და აკლებულმა ქვეყანამ წელში გაჰართვა და გამაგრება ვერ მოასწრო, რომ მონღოლნი კვლავ ეწვივნენ და ეხლა კი უფრო მეტის სიმედგრით და თავგამოდებით შეუდგნენ საქართველოს სამეფოს დაპყრობას. რასაკვირველია, ამ ამბავს ქართველთა მმართველ წრეებისათვის თავზარი უნდა დაეცა.

თავრეჟის აღების შემდგომ „მეორესა წელსა“ მონღოლები ანუ თათრები ჯერ ბარდას მიადგნენ, ხოლო მერმე «განძას და იწყეს რბევად და ოჯრებად საქართველოსა» (ჟამთააღ. *763, გვ. 592). თათართა ლაშქარი მოულოდნელად გაოწემოჰრტყმია განძას და საბრძოლველი მანქანებით ქალაქის ზღუდე დაუნგრევია, მაგრამ მაინც თვით განძაში მონღოლები არ შეჭრილან, არამედ ერთი კვირის განმავლობაში თურმე ალყა შემორტყმული ჰქონდათ. რაკი განძელები დარწმუნდნენ, რომ ქალაქს წინააღმდეგობა აღარ შეეძლო, თავიანთი შენობები და საარჩო-საბადებელი გადასწვეს, რომ მტერს ხელში მაინც არ ჩაეგდო. ამ ამბავმა თათრები მეტად განარისხა: მათი ლაშქარი საჩქაროდ განძაში შეიჭრა და მცხოვრებნი ქალი, თუ კაცი დიდით პატარამდე ჩვეულებისაებრ უწყალოდ ამოხოცეს [2]. ვარდანის სიტყვით ეს ამბავი 1235 წელს მომხდარა: განძა მონღოლებს ამ დროს აუღიათ [3].

როდესაც მონღოლებმა განძის სანახებში ცარცვა-გლეჯით გული იჯერეს, მათ ერთი თავიანთი რაზმი 1000 მეომრისაგან შემდგარი ქ. შანქორის

---

[1] მ-მ დფ-ლს და შევსებულს ქ-ცა-ში სწერია „თ ა - მ ჩ თ ა“ ნოინთა. ქარაგმა ამტკიცებს, რომ ისტორიკოსს სიტყვა შემოკლებულად დაუწერია. „თამჩთა“ მონღოლურად არ არსებობს, არის „თაიჯუთ“, რაც თ ა ვ ა დ ს, ა ზ ნ ა ურ ს ნიშნავს (ბ ე რ ე ზ ი ნ ი, Сборн. летописей, I, 293). ამიტომ შესაძლებელია „მ“ ხელნაწერში „ი“-ის მაგიერ იყოს და დამატებულ ჯერ ეთ ინ ს ნ ებ ოდეს. მნიშვნელობა „თაიჩუთ“-ისა კარგად უდგება.

[2] კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა ე ლ ი, ისტორია, 222—223.

[3] ვ ა რ დ ა ნ ი, ისტორია, 189.

დასაპყრობად გაგზავნეს. როგორც ვიცით, ეს ქალაქი საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა და ვარამ გაგელს ჰქონდა ჩაბარებული. მონღოლთა ზემოაღნიშნული რაზმი შანქორს მიადგა. ამ რაზმმა ქალაქის კარების წინ დაიბანაკა, შანქორელთ გზა შეუკრა და შემავალს-გამომსვლელს არ უშვებდა[1].

შეწუხებულმა შანქორელებმა ვარამ გაგელს და მის შვილს ალბუღას შეუთვალეს, ჩვენს თავს ეს ამბავია, თათრები ცოტანი არიან და მოდით მოგვეშველეთო. ვარამ გაგელი არც თითონ წავიდა, თავის შვილსაც წასვლა დაუშალა. მისი დაბნეულობისათვის დამახასიათებელია, რომ შანქორელნი არც სხვაფრივ დაარიგა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ და მტრისთვის როგორ გაეწიათ წინააღმდეგობა. შანქორელებმა, როგორც იცოდნენ და მოახერხეს, მონღოლებს წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ქალაქი მაინც აღებულ იქმნა. გამარჯვებულმა მტერმა მცხოვრებნი ამოჟლიტა, გაცარცვა, ხოლო შემდეგ შენობები გადასწვა[2].

შანქორითგან თათართა ძლევამოსილი რაზმი ვარამ გაგელის დანარჩენ განსაგებელ ქვეყანისაკენ გაეშურა, რომ ისიც აეღო და დაემორჩილებინა, და თავისი განზრახვა განახორციელა კიდეც: ჯერ ტერუნაკანი, ერგევანქი და მაწნაბერდი აიღეს, მერმე თვით გარდაბანიც, რომელშიაც მაშინ ვარამ გაგელი იმყოფებოდა. მაგრამ მონღოლთა მოახლოვება შეიტყო თუ არა, ვარამი ღამე ჩუმად გაიპარა და მონღოლებს თავი მოარიდა. უპატრონოდ მიტოვებული გარდაბანელნი იძულებულნი იყვნენ მონღოლთა სურვილი აესრულებინათ, ცხენები და საქონელი მიეცათ და ხარკი დაედოთ[3].

ამის შემდგომ თათრები ტაუშის, კაწარეთის, ნორბერდისა და გაგის ასაღებად გაეგზავნენ. მიადგნენ ამ ადგილებს, შემოერტყნენ და მეტად შეაჭირვეს[4].

[მონღოლების მეორე შემოსევა საქართველოში]

ჯალალედინის სიკვდილის შემდგომ ქუთაისითგან ორიოდე წლის გადმოსახლებული იყო, რომ «ცნა მეფემან რუსუდან მოახლოება თათართა». მონღოლთა სწრაფმა წინსვლამ და ძლევამოსილებამ ეხლაც ისე მოადუნა რუსუდანის ნება და სახელმწიფოებრივი აზრი, რომ მან მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობის მაგიერ ისევ «დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთათისს», ხოლო «ტფილისის [მცველად დაუტევა] მუხას ძე, და ამცნო, რომელ უკუ[ეთუ დმა]ნისამდე მი[ვი]დიან თათარნი მოწუას ტფილისი თვინიერ ნიტისა (ნიჟისა?) და ისანთა, რომელ არღარა იპყრან სახლად ხვარაზმელთა-[ებრ]» (ქამთააღ. *764—765, გვ, 593—594).

---

[1] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 228.
[2] იქვე.
[3] იქვე, 229.
[4] იქვე.

მონღოლთა ლაშქრის მეთაური ჩაღატა ნოინი თავის რაზმითურთ ქალაქ ლორისაკენ გაემგზავრა. ციხე-ქალაქი ლორე როგორც ვიცით „სათავადო და სამთავრო“ საქართველოს სამეფოს ამირსპასალარების საჯდომად ითვლებოდა და ჩვეულებრივ მათ ჰქონდათ ხოლმე საქელოდ[1]. თამარის დროს ეს ადგილი მხარგრძელთა გვარისშვილებს ეჭირათ, როგორც ამირსპასალართა მოხელეობით აღჭურვილთ, ხოლო მონღოლთა ამ მეორე შემოსევის დროს კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს სიტყვით შანშეს ჰქონია ხელთა, იქ ყოფილა მისი სადგომი და საჭურჭლეც[2]. რაკი ჩაღატას ლორის ციხის სიმაგრის ამბავი გაგონილი ჰქონდა, მის ასაღებად რჩეული მეომარნი წაიყვანა და საბრძოლველი მანქანებიც წაიღო თანა[3].

შანშე მხარგრძელმა მონღოლთა მოახლოვებისთანავე ლორეს თავი მიანება, თავის სახლობითურთ იდუმალ გაიხიზნა და თავი ერთს ხეობაში, გამოქვაბულში შეაფარა. ლორის მტრისაგან დაცვა კი თავის სიმამრის სახლობას მიანდო[4].

ჩაღატა ნოინი ლორეს მიადგა და გარსშემოერტყა. შანშეს მიერ დანიშნული ციხის მცველნი, ზღუდის სიმაგრეზე მინდობილნი, უდარდელად იყვნენ და სმა-ჭამასა და სიამოვნებაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ციხის მაგრებაზე[5]. მონღოლებმა ჯერ ერთგან ციხის კედელი შესთხარეს და ჩამოანგრიეს, მაგრამ შიგ მაინც არ შეიჭრნენ, არამედ იმ ადგილს უდარაჯებდნენ, რომ ლორითგან არავინ გაქცეულიყო. რაკი ლორელები დარწმუნდნენ, რომ ქალაქი უმწეო მდგომარეობაში იყო და თითქმის უკვე მტერს ხელში ჩაუვარდა, იქვე ხევში ჩაცვივდნენ. ეს რომ მონღოლებმა დაინახეს, ქალაქში შეიჭრნენ და ჩვეულებისაებრ მცხოვრებთაგან ბევრი, მათ შორის შანშეს ცოლის მშობლები და ნათესავებიც, დახოცეს. ამასთანავე მთელი ლორე აიკლეს და გაცარცვეს. სხვათა შორის მონღოლებმა შანშეს საჭურჭლეც ხელში ჩაიგდეს[6].

ლორეს რომ მორჩნენ, მონღოლებმა ეხლა დმანისისაკენ გაილაშქრეს, აიღეს და იმნაირადვე მოიქცნენ, როგორც ჩვეულებრივ წესად ჰქონდათ მიღებული[7]. «მანდატურთა-უხუცესი შანშე» მონღოლებს ვერსად გაუშაგრდა, აიყარა და «შეივლტოდა ქუეყანად აჰარისასა» (ჟამთააღ. *765, ფვ. 594).

როგორც ვიცით, რუსუდან მეფემ ქუთაისში გადასახლების წინ თბილისის მეციხოვნე ჯარის უფროსს მუხას ძეს უბრძანა, რომ რაწამს მტერი

---

[1] იხ. ქ ‍ ‍ ‍

დმანისამდე მოაღწევდა, მას უნდა საქართველოს დედაქალაქი გადაეწვა, ისანსა და განძეულობას გარდა, რომ მტერი თბილისში ვერ გამაგრებულიყო. რა უნდა ექმნა თითონ, ჯარითურთ აყრილიყო და მონღოლთა ჯარს უბრძოლველად გასცლოდა, თუ ისანში უნდა შემდგარიყო და მტრისათვის იქითგან ვაეწია წინააღმდეგობა, ამის შესახებ ქართველ ჟამთააღმწერელს არაფერი აქვს ნათქვამი. რაკი მონღოლებმა დმანისი აიღეს, მაინცდამაინც ცხადია, რომ ნუხას ძეს მეფის ბრძანებისაებრ თბილისი უნდა დაეცალა და დაეწვა.

მონღოლებმა შეუფერხებლივ განაგრძეს თავიანთი ლაშქრობა, ჯერ ძლიერი და მაგარი ციხე სამშვილდე აიღეს, რომელიც საქართველოს დედაქალაქის კარი და ზღუდე იყო სამხრეთის მხრივ, და შემდეგ თვით თბილისაც მოადგნენ და დაიპყრეს [1], ალბათ, უკვე გადაბუგული.

თბილისითგან მონღოლებმა თავიანთი რაზმები აქეთ-იქით დაგზავნეს აღმოსავლეთ საქართველოს დასარბევად [2]. მონღოლები «მოეფინეს მსგავსად მკალთა ოჴრებად და ჴოცად» (ჟამთააღ. *765, გვ. 594). საქართველოს მთავრობამ და ვაზირებმა გასაოცარი გაუბედაობა და უთაურობა გამოიჩინეს. თვით მეფემ აღმოსავლეთს საქართველოს თავი მიანება და ქუთაისში გადასახლდა, თავს უშველა. ვაზირებმაც თავიანთი მოვალეობა დაივიწყეს და შეუთანხმებლივ, დაქსაქსულად მოქმედებდნენ. მათაც, გულადობისა და მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის მაგიერ, რომ ხალხისათვის მისაბაძი და გამამხნევებელი მამაცობისა და შეუდრეკელობის მაგალითი ეჩვენებინათ, მეფეს მიბაძეს და თავიანთ თავზე დაიწყეს ზრუნვა, პირადი კეთილდღეობა და უზრუნველყოფობა საზოგადო კეთილდღეობას ანაცვალეს. ჯერ იყო და, როგორც ვიცით, ვარამ გაგელი თავის საგამგეო ქვეყანაში ბრძოლის ხელმძღვანელობის მაგიერ ბიიმალა და ხალხი მტრის წინაშე უმწეოდ მიატოვა, ხოლო თვით «ვარამ გაგელი შეივლტოდა ქუთათისს» (ჟამთააღ. *765, გვ. 594). შანშე მანდატურთ-უხუცესიც ხომ, როგორც ვნახეთ, აჭარაში შეიხიზნა. ისიც კი, რომელიც საქართველოს მთელი ჯარის წინამძღოლი და მეთაური უნდა ყოფილიყო, «ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისასა» (იქვე) და იქ გამაგრდა. მის მაგალითს, რასაკვირველია, სხვებმაც მიჰბაძეს და იმ სანახების მცხოვრებნიც ციხე-სიმაგრეებში შედგნენ [3].

როდესაც მეთაურნი ასე ნხდალად მოიქცნენ და მტერს არ წინააღუდგნენ, განა გასაკვირველია, რომ ერიც შეძრწუნებულიყო და თავზარდაცემულს ლტოლვაზე უფრო ეფიქრა, ვიდრე თავდაცვასა და მტრის მოგერიებაზე? სადაც კი მონღოლთა მოახლოვების ხმა მიაღწევდა, იქ ვისაც შეეძლო, «ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმაგრეთა კავკასიანთასა და მთიულეთსა» (ჟამთააღ. *765, გვ. 594). ვინც გაქცევა ვერ მოახერხა და ციხე-სიმაგრეებში თავი ვერ შეაფარა, «მიეცემოდეს მწარესა ტყეობასა და უწყალოთა

---

[1] კირაკოზ განძაკელი. ისტორია, 240.
[2] იქვე.
[3] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 241.

სიკუდილსა, რომელ არა იყო წყალობა», ამიტომ «თვინიერ სიმაგრეთა ფულა-სადამე [ვინ] დაშთომილიყო, სავსე იყო ტყეპითა, და გოდებითა მიერ შეიცვლებოდეს ყოველნი მკუიდრნი საქართველოსანი ამერისანი» (იქვე 765, გვ. 595).

მაგრამ უპატრონოდ და უმეთაუროდ მიტოვებულ საქართველოში, როგორც ვნახეთ, ვერც ციხეებიღა უწევდნენ მონღოლებს წინააღმდეგობას და ვერც სიმაგრეები იფარავდნენ მტრის უწყალო მტარვალობისაგან. ამიტომ უმწეო ხალხში «ესოდენი ზარნი იქმნეს თათართანი», მომავალ განსაცდელისაგან ისე იყვნენ აღშფოთებულნი, რომ ისინიც კი, რომელნიც ადგილობრივ ციხეებს შეეფარნენ, თავიანთი თავი უზრუნველყოფილად აღარ მიაჩნდათ და «უმრავლეს[ნი] ქართველნი ციხეთა და მაგართა ადგილთა დაუტეობდეს და-ივლტოდეს კავკასიად» (ჟამთააღ. *766, გვ. 595).

ამის წყალობით მონღოლთა გამარჯვებისათვის მეტად ხელსაყრელი ვითარება დამყარდა საქართველოში. რაკი «მეფე რუსუდან ყოვლადვე დამკუიდრდა ლიხთ იქით და ვერცა ლიხთ აქეთ გარდმოვიდის», მეფეს არ შეეძლო სამეფოს ნამდვილ საპეთმპყრობელად ყოფილიყო, მეტადრე რაკი ვერც «ამიერნი ვაზირნი მათ (მეფეს) წინაშე მივიდიან უცალობისა ძლითა» (ჟამთააღ. *766, გვ. 595). მეფე და ვაზირნი ერთიერთმანეთს დაშორებულნი იყვნენ და ამისთანა განსაცდელში ამაზე უფრო სახიფათო რაღა უნდა ყოფილიყო? მაგრამ საქართველოსათვის განსაკუთრებით ის გარემოება უფრო იყო საშიშარი, რომ მეფესავით «ძლიერნი ერისთავთა-ერისთავნი და ვაზირნი განდგეს ურთიერთას, თავთა მათთა შემწყობელნი» (იქვე), თითოეული თავისთვის იყო განდგარი, საერთო სახელმწიფო საქმე დავიწყებული ჰქონდა და მხოლოდ პირად კეთილდღეობასა და თავდაცვაზე ზრუნავდა. ასეთი მდგომარეობა საქართველოს სრულს უკულმართობას უქადდა და, რასაკვირველია, ყოველგვარ წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას უსპობდა. როდესაც «ესრეთ ურთიერთას შეუზრახებელ იყვნეს და შეუთქმელ», სხვაფრივ არც შეიძლებოდა, რომ საქმე დატრიალებულიყო და თავის საზხედრო ძლიერებით განთქმული საქართველო დაავადებულსავით მოუძლურდა. ან რა საკვირველია, რომ ასეთ დაქსაქსულობისა და შეუთანხმებლობის დროს «ძლიერნი იგი საქართველოსანი და სახელგანთქმულნი უღონო იქმნეს ყოვლადვე ვერ შემმართებელნი ჴსენებადცა წყობისა მიყოფად თათართა» (ჟამთააღ. 766, გვ. 595—596). ისე ეგონებოდა ადამიანს, თითქოს საქართველოს მმართველ წრეებს ნებისყოფა და თაოსნობა, საზოგადოებრივი გრძნობა და სიმამაცე მოდუნებული და მიყუჩებული ჰქონოდეს. მონღოლებსაც ეს უნდოდათ: ყოველი მებრძოლისათვის იმაზე უკეთესი რა უნდა იყოს, როდესაც მოწინააღმდეგის ძალა დაქსაქსული და განცალკევებულია; სათითაოდ დამარცხება მისთვის რა თქმა უნდა უფრო ადვილი საქმე იყო, ვიდრე წესიერად შემტკიცებულის, შეერთებული წინააღმდეგობისა. მონღოლებმაც ქართველთა შეუზრახებელობით ისარგებლეს და საქართველოს მმართველნი, ერისთავთ-ერისთავნი და ვაზირნი სათითაოდ ცალცალკე დაამარცხეს და დაიმორჩილეს.

რაკი შანქორი, ჰერეთის ციხე-ქალაქები, ლორე, დმანისი და საქართველოს დედაქალაქი მათ ხელში იყო, მონღოლები ეხლა დანარჩენი დიდმნიშვნელოვანი ადგილების დაპყრობას შეუდგნენ. საყურადღებოა, რომ ქართველთა სამხედრო ისედაც დაქსაქსული ძალის საბოლოოდ დასაუძლურებლად მათ ერთსა და იმავე დროს საქართველოს სამეფოს ყველა დიდმნიშვნელოვანი ციხე-ქალაქების წინააღმდეგ ცალცალკე რაზმები გაუგზავნიათ. ამ ხერხით მონღოლებმა ის მოიგეს, რომ ქართველთა სხვადასხვა ქალაქებში მდგომ მეციხოვნე ჯარს საშუალება მოუსპეს ერთიერთმანეთს, ან ერთ-ერთს ვინც გასაჭირში ჩავარდებოდა, მიჰშველებოდნენ, ამ გზით საქართველოს ჯარს შეერთებისა და თანხმობრივი მოქმედების მაგიერ განცალკევებულსა და დაქსაქსულს უხდებოდა მტერთან ბრძოლა. მონღოლებმაც ამ თავიანთი სამხედრო გეგმით საუცხოოდ ისარგებლეს და საქართველოს სამეფოს ძლიერი ციხე-ქალაქები სათითაოდ დაიმორჩილეს და დაიპყრეს.

კაენის ციხის წინააღმდეგ, სადაც ავაგ მხარგრძელი იყო შეხიზნული, დუღადა, ანუ იტუღატა ნოინი მოქმედებდა[1], ანისის წინააღმდეგ იბრძოდა ჩორმაღონი[2], ხოლო კარს ყარაბაჰადური მიადგა[3].

ჩორმაღონმა ანისს თავისი მოციქული მიუგზავნა და შეუთვალა დამემორჩილეო. რაკი ქ. ანისი შანშეს საპატრონო იყო, ქალაქის მმართველნა წრეებმა იმის დაუკითხავად პასუხის გაცემა ვერ გაბედეს. ხოლო თვით ანისის მცხოვრებნი, განსაკუთრებით მდაბიო ხალხი და რამიკნი მონღოლთა ნოინის წინადადებით იმდენად აღშფოთებული იყვნენ, რომ გააფთრებით ეცნენ მონღოლთა მოციქულებს და ელჩები მოკლეს[4].

რასაკვირველია, ამ შემაძრწუნებელმა ამბავმა თათრები საშინლად განარისხა. ჩორმაღონმა მაშინვე თავის ლაშქარს უბრძანა ანისისათვის ალყა შემოერტყათ, საბრძოლველი მანქანებიც მიეტანათ და ქ. ანისის აღებას შესდგომოდნენ. ძლიერი და მედგარი ბრძოლის შემდგომ მონღოლებმა ქ. ანისი აიღეს და მოკლული ელჩების ჯავრი იყარეს: განმძვინებულნი ხოცდნენ და იკლებდნენ ანელებს, სცარცვავდნენ და ანადგურებდნენ ამ მშვენიერს და მდიდარს ქალაქს. მონღოლებმა მხოლოდ ზოგიერთი ქალები და ბავშვები დაინდეს, ჩვეულებისაებრ არც ხელოსნებისათვის დაუშავებიათ რა, არამედ ტყვედ წაიყვანეს. ანისი აოხრდა და განადგურდა[5].

იმავე დროს, როდესაც მონღოლთა ერთი რაზმი ანისს ებრძოდა, მეორე, დუღადას მეთაურობით, კაენის ციხესთან იდგა. როგორც ვიცით, კაენის ციხეში შეხიზნული იყვნენ ამირსპასალარი ავაგი და იმ ახლომახლო ადგილების მცხოვრებნი. რაკი აქ მონღოლებს საქართველოს ამირსპასალარი ეგულებოდათ, რასაკვირველია, გაორკეცებულის სიმედგრით ცდილობდნენ, რომ კაენის ციხე და ავაგი დაემორჩილებინათ. მონღოლებმა კაენს ქვემოთგან კედელიც

---

[1] ვარდანი, 189 — 190, კირაკოზ განძაკელი, 241.
[2] ქამთა�. *766, გვ. 596, კირაკოზ განძაკელი, 244, ვარდანი, 190.
[3] კირაკოზ განძაკელი, 247.
[4] კირაკოზ განძაკელი, 244—245.
[5] იქვე, 245.

კი გარშემოავლეს და გზები შეუკრეს, თანაც ავაგს კაცი მიუგზავნეს დაგვნებდი და დაგვმორჩილდიო[1].

ავაგს უნდოდა თათრები როგორმე თავითგან მოეშორებინა და მოეტყბო. ამისათვის მან მონღოლებს თავისი ქალიც კი მისცა დიდძალი ძღვენიც მიართვა. მონღოლებმა ყველა ეს მიიღეს. მაგრამ არამც თუ ციხისათვის ალყა არ მოუხსნიათ, არამედ უფრო მეტის სიმედგრით შემოუთვალეს ავაგს დაგვნებდიო[2].

თანდათან ციხეში შეხიზნულნი უწყლობამ შეაწუხა. ამიტომ კაენელებმა და შეხიზნულთა წარმომადგენლებმა მონღოლებს ცხენები და საქონელი მიუძღვნეს, ოღონდ ნება მოგვეცით ჩვენ ოჯახობისათვის წყალი წავიღოთო. თათრებმა ჯერ თანხმობა გამოაცხადეს, მაგრამ მერმე წყალზე მოსულნი ყველანი დაატყვევეს, ხოლო შემდეგ აიძულეს თქვენი სახლობაც გამოიყვანეთო. კაენელთ მეტი გზა არა ჰქონდათ და მონღოლთა ბრძანება ასრულეს: როდესაც ყველამ წყურვილი მოიკლა, თათრებმა ქალთაგან ვინც უფრო მოეწონათ დაატყვევეს, მათი ქმრები კი დახოცეს. დანარჩენნი განთავისუფლეს და შინ დააბრუნეს[3].

ავაგ ამირსპასალარი დარწმუნდა, რომ ხსნა არ იყო და მონღოლნი კაენთანაც გაიმარჯვებდნენ, შეხიზნული ხალხი კი ტყუილ-უბრალოდ იტანჯებოდა. ყველა ამ «ბოროტსა ხედვიდა ამირსპასალარი ავაგ ძე ივანე ათაბაგისა» და ამიტომ დამორჩილება ამჯობინა. წინააღმდეგობის გაწევის უნაყოფობა მისთვის უფრო იმ სამწუხარო გარემოებამ დაანახა, რომ მაშინ აღღო ანისი ჩორმაღონს» (ჟამთააღ. *766, გვ. 596)[4].

ავაგმა თავის წარმომადგენელად მონღოლთა ხანთან თავისი სახლთუხუცესი გრიგოლი გაგზავნა. ჩორმაღონი გელაქუნის ტბის პირას იყო დაბანაკებული და ავაგის დამორჩილების ამბავი, რასაკვირველია, ძალიან იამა[5]. თავისი მოციქულის პირით მონღოლთა ნოინს თავისი პირობები შეუთვალა: «მათ წინაშე წისლვა და ხილვა და მსახურება და ხარაჯის მიცემა და დადება ქვეყანისა მისისა» (ჟამთააღ. *766, გვ. 596).

ჩორმაღონმა ამ პირობებზე თანხმობა გამოაცხადა და მოციქულიც ჩვეულებისაებრ „ოქროთა საფიცართა“ მიერ დაარწმუნეს, რომ თავიანთ სიტყვას არ უღალატებდნენ და კაენით გამოსულ ავაგს არას ავნებდნენ. ხოლო მონღოლთა „ფიცთა სიმტკიცედ“ და „ოქროთა საფიცრად“ შემდეგი ჩვეულება ჰქონდათ; «ოქრო წმიდა სამჯერ წყალსა ჩაყვიან და განავლიან იგი და შეასვიან» (იქვე *767, გვ. 597).

რაკი ამ გზით ავაგმა თავისი თავი უზრუნველჰყო, ეხლა კი თითონაც ხანთან გაემგზავრა. ამის შემდგომ სწორედ უცნაურია, რომ ავაგის ეს ნაბიჯი

---

[1] კირაკოზ განძაკელი, 241.

[2] იქვე.

[3] იქვე, 241—242.

[4] კირაკოზს ქ. ანისის აღება ავაგის დამორჩილების შემდგომ აქვს მოთხრობილი (გვ. 244—246), მაგრამ ჟამთააღმწერელი სხვანაირად და ვგონებ სწორად მოგვითხრობს.

[5] კირაკოზ განძაკელი, 242.

კირაკოზ განძაკელს უნდოდა თავგანწირულებად მოქჩვენებინა[1], ხოლო ქართველი ჟამთააღმწერელი ავაგის ამ მოქმედებას იმდენად აზვიადებს, რომ გაიძახის: «წარვიდა ამირსპასალარი ავაგ დამდები სულისა მისისა ქუეყანისა მისისათვის»-ო (ჟამთააღ. *767: გვ. 597). ამაზე მეტი პოლიტიკური სიბეცე და შეუგნებლობა ძნელი წარმოსადგენელია.

მონღოლთა ნოინებმა დამორჩილებული ავაგი, რასაკვირველია, დიდის პატივით მიიღეს: უბრძანეს თავის ლაშქარს, რომ ავაგის სვგამგერ ციხე-ქალაქების წინააღმდეგ აღარ ებრძოლათ, ხოლო ვინც ტყვედ იყო წაყვანილი მათგან ბევრი განათავისუფლეს. ამასთანავე, რასაკვირველია, ავაგს მთელი მისი სახელო ქვეყანა ისევ დაუბრუნეს[2]. მაგრამ მსახურებისა და ხარაჯის ძლევის გარდა, რომელიც ავაგმა იკისრა და დამორჩილების დროს თითონაც მონღოლთ აღუთქვა, ნოინებმა მას მსინც თავიანთი «მცველნი ქალაქისანი დაუდგინნეს, რომელთა ბანათ უწოდდეს სიტყვთა მათითა» (ჟამთააღ *767, გვ. 597—598). მაშასადამე, ავაგის სახელო ქვეყანაში მონღოლებს თავისი მეციხოვნე ლაშქარი ჩაუყენებიათ და ამნაირად თვით ავაგისადმი თათრებს მაინცდამაინც დიდი ნდობა არ გაუჩენიათ, პირიქით მათ, როგორც ეტყობა, ჰსურდათ, რომ ავაგისათვის ურჩობის ვამოჩენისა და წინააღმდეგობის ყოველივე საშუალება მოესპოთ. ავაგის დამორჩილების და დაზავების წყალობით ხაინც «დამშვიდნა ქუეყანა ავაგისა» (ჟამთააღ. *767, გვ. 598).

რაკი საქართველო მტრის ხანგრძლივი ნავარდისაგან მოქანცული იყო, ერთი ბაგალითიც კმარიდა, რომ ავაგის გზას სხვებიც გაჰყოლოდნენ. მტრის წინაშე ქედის მოხრა, რაც უნდა იყოს, ადამიანის თავმოყვარეობისათვის საოაკილოა, მაგრამ როდესაც ამგვარ სააუგო საქმეს სხვა ჩაიდენს, მაშინ დანარჩენთ ძნელი ნაბიჯის გადადგმა უადვილდებათ და თვით საქციელსაც მათთვის თითქოს აუგიანობაც კი ეკარგება. ამ შემთხვევაში ასეთი სათაკილო ნაბიჯის გადადგმა საქართველოს სახელმწიფოს მხედრობის თვით მთავარსარდალმა ავაგ სპასალარმა იკისრა და სხვებისათვის ხომ მონღოლთა წინაშე დამორჩილება უფრო ადვილი საქმე იქმნებოდა.

ავაგს მართლაც ბალე მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ. რაკი «ცნა შანშა მანდატურთ-უხუცესმან ზავი ავაგისი და თათართა და უვნებელად დაცვა ქუეყანისა, ინება» მანცა მონღოლებთან დაზავება და დამორჩილება. შუამავლობა ამ საქმეში შანშემ უფრო გამოცდილს ავაგსა სთხოვა. თათრები ამ ამბავმაც, რასაკვირველია, გაახარა, შანშე მანდატურთ-უხუცესს თანხმობა შეუთვალეს და «მიუმცნეს მითვე ოქროსა საფიცრითა მტკიცე ფიცი უვნებლობისა» (ჟამთააღ: *767—768, გვ. 598).

ამ თავდებობის შემდგომ, შანშეც მონღოლთა ნოინებს ქედმოხრილი დამორჩილი წარუდგა. ავაგსავით მასაც პატივი სცეს «და ანისი მათ მიერ წაღებული და მისი ქვეყანა ყოველი მისცეს». მაგრამ მასაც ავაგსავით «მცველნი დაუდგინნეს ქვეყანასა შინა» (იქვე *768, გვ. 598) და თავიანთი ბატონობა

---

[1] კირაკოზ განძაკელი, გვ. 243.

[2] იქვე, გვ. 243—244.

აქაც უჭრუნველჰყვეს. ასე დამორჩილდა თათართა საყაენოს მანდატურთ-უხუ-ცესი შანშე ზაქარიას ძე[1].

ამ ორი მაგალითის შემდგომ მორჩილებისადმი მიმყვანელი გზა უკვე კარგა გატკეპნილი და ცნობილი იყო და მონღოლებთან «ვინცა მივიდეს ქარ-თველთა მთავართაგანნ, პატივითა შეიწყნარიან, ხოლო ურჩთა ქუეყანა მოი-სრვოდა» (იქვე). მაინც სხვებზე უფრო გვიან მონღოლებს ის მთავარი მიენდო და დაემორჩილა, რომელიც თავის საგამგეო ქვეყნითგან ყველაზე უწინარეს გაიქცა და გაიხიზნა, — ვარამ გაგელი ზაქარიას ძეც, როცა დარწმუნდა, რომ თათრებთან მისვლა და მათ წინაშე ქედის მოხრა მას პირადად არავითარ საფრთხეს არ უქადდა, „ამისი მცნობელი“ უკვე გაბედულად „მიენდო ზავი-თა“, თანაც თავისი «ქვეყანანი მისცა და დაამშვიდნა» (იქვე). კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს სიტყვით ვარამ გაგელთან ერთად მონღოლებს მისი შვილი აღბუღა და ხაჩინელი მთავარი ჰასანი ჯალალად წოდებულიც დაჰმორჩილე-ბიან[2].

დასასრულ, მონღოლებს „მიენდვნეს“ თვით „ჰერ-კახნი“, ქართლელნი და გამრეკელი თორელი სარგისი, «კაცი სწავლული და ფილოსოფოსი და მრავალღონე» (ჟამთააღ. *768, გვ. 599), ესე იგი ჯავახეთიც. მხოლოდ «მესხნი სათნოებისათვის მეფისა რუსუდანისა არა მიენდვნეს» თათრებს (იქვე) და ჯერ კიდევ მტერს წინააღმდეგობას უწევდნენ.

მონღოლებიც თავისას არ იშლიდნენ და გადაწყვეტილი ჰქონდათ, რო-გორც ჩანს, კავკასიაში ფეხი მტკიცედ მოეკიდათ: «იწყეს შენებად და ზამთარს დაიბანაკეს ბარდავს და მტკურისა პირსა» (იქვე *768, გვ. 598) და აქეთგან არბევდნენ საქართველოს. რაკი მესხნი ნებაყოფლობით დამორჩილებას არ აპირებდნენ, ჩაღატა ნოინმა მათ წინააღმდეგ გაილაშქრა. თუმცა მესხნი «შეი-ვლტოდეს ციხეთა შინა», მაგრამ მაინც თათართა ნავარდობის დროს «მოისრა და ტყუე იქმნა სული მრავალი სამცხესა და ბევრი ერი მოიკლა» (იქვე *768—769, გვ. 598). ცხადია, რომ ამგვარს დაქსაქსულსა და განმარტოებულს წინააღმდეგობას ქვეყნისათვის უნაყოფო ზიანისა და განადგურების მეტი არაფერი შეეძლო მოეტანა, «არღარა იყო ღონე» და მის გამო «მოაჯსენა მე-ფესა რუსუდანს ივანე ციხისჯვარელმან ჯაყელმან, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდებოდა, რათა სთნდეს რომელ იჴსნას ქუეყანა სამცხისა ოჴრებისაგან და იგიცა მიენდოს ჩაღატას». რუსუდანს სხვა რაღა დარჩენოდა და «ინება მეფე-მან და წარმოგზავნა» შესაფერისი დასტური (იქვე *769. გვ. 599). ჩვეულე-ბისაებრ ახალდამორჩილებული „მთავარი ქუეყანისა სამცხისა“ ივანე ციხის-ჯვარელი ჯაყელი ჩაღატა ნოინს წარუდგა, რომელმაც «პატივითა შეიწყნარა» და რომელსაც სხვებსავით სამცხეში «დაუდგინნა მცველნი ქუეყანისანი» (იქვე *769, გვ. 599—600).

სამცხის დამორჩილებით დამთავრდა მონღოლთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა, რომელიც მათ ამ გზით თითქმის მთლიანად „ჭელთ-

---

[1] კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, 249.

[2] ი ქ ვ ე.

„ბედეს“. საქართველოს, რომელიც თვითონ სხვა სამეფოების მბრძანებელი იყო და არა ერთი ყმადნაფიცი სახელმწიფო ჰყავდა, უნდა ქედი მოეხარა და სხვისი ბატონობის შემყურე გამხდარიყო. იმ ძლიერებისა და დიდების შემდგომ, რომელიც საქართველოს XII-ს-ში მოხვეჭილი ჰქონდა, ასეთი საშინელი ბედის ტრიალი იმდროინდელი ქართველი მმართველი წრეებისა და მთელი ერისთვისაც შემაძრწუნებელი და თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ იმ მწარე შეგნებას თუ შეეძლო ქართველთა მაშინდელი მძიმე სულიერი მდგომარეობის შემსუბუქება, რომ მათი ბედის მონაწილე მაშინ თითქმის მთელი აზია და ევროპის თვალსაჩინო ნაწილი იყო.

[რუსუდანისაგან თავისი შვილის დავით IV-ის თანამოსაყდრედ დასმა]

ჯერ კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში ხვარაზმშაჰის ლაშქარი დათარეშობდა და რუსუდან მეფე ქუთაისში იყო დაბინავებული, რომ ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით რ უ ს უ დ ა ნ ს გ ა დ ა უ წ ყ ვ ე ტ ი ა თ ა ვ ი ს ი მ ც ი რ ე წ ლ ო ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ტ ა ხ ტ ზ ე დ ჯ ე ს ვ ა დ ა თ ა ნ ა მ ო ს ა ყ დ რ ე დ გ ა ე ხ ა დ ა. გიორგი III და თამარ მეფითგან მოყოლებული ეს საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. მაშინ თურმე იქმნა ძე მისი დავით ვითარცა წლისა ხუთისა» (ყამთააღ. *756—757, გვ. 582). რათგან ჯალალედინს აღმოსავლეთი საქართველო ამ დროს ჯერ კიდევ ხელში ჰქონდა, ამიტომ უფლისწულის კურთხევა არაჩვეულებრივ პირობებში მოხდა.

ამ საკითხის შესახებ წინასწარ მსჯელობაში, რომელიც უეჭველია იქნებოდა მოწყობილი, მიიღეს თუ არა მონაწილეობა არა ჩანს, მხოლოდ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ დავით რუსუდანის ძის კურთხევას სამეფოს ყველა ვაზირები და დიდებულები ვერ დასწრებიან. თუმცა კურთხევის წესისაებრ სამეფოს ყველა წარჩინებულებს უნდა დაელოცათ ახლად ნაკურთხი მეფე, ან თანამოსაყდრე, მხოლოდ რათგან «ამიერი ესე სამეფო უცალო იყო ხვარაზმელთაგან» და «მანდატურთ-უხუცესი შანშა იყო ანისსა და ამირსპასალარი ავაგ ბიჯნისსა და ეგრევე ვარამ გაგელი, ჰერნი და კახნი, სომხითარნი, ქართველნი, თორელნი, შავშნი, კლარჯნი, ტაოელნი ყოველნი სიმაგრეთა შინა ცხოვნდებოდეს», თუმცა «თვითეულნი მორჩილებასა რუსუდანისასა» იყვნენ, მაგრამ მტრისაგან «უცალოებისა ძალითა, ვერ დაუხვდეს დალოცვასა მეფისა დავითისასა» («ყამთააღ. *758, გვ. 584»). ამგვარად, რუსუდანის ძის დავითის თანამოსაყდრედ დასმასა და კურთხევა - დალოცვაში მარტო დასავლეთი საქართველო ყოფილა მონაწილედ.

ისტორიკოსის სიტყვით, რუსუდან მეფემ «მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა აფხაზთა, დადიან-ბედიანთა, რაჭის ერისთავთა, კათალიკოზსა აფხაზეთისასა და დასუეს მეფედ დავით ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთათისს და დასდგეს თავსა მისსა გურგჯნი, დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ. სრულყო კათალიკოზმან წესი კურთხევისა» (იქვე, *757—758, გვ. 583).

როდის მოხდა ეს ამბავი, რა წელს, ამის შესახებ ქართველ ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს არაფერი აქვს ნათქვამი. ერთის მხრით აღნიშნული აქვს მხოლოდ,

რომ ამ დროს ჯერ აღმოსავლეთი საქართველო ჯალალედინის ხელში იყო, მეორე მხრით, ვითომც თავისი ძე დავითი თანამოსაყდრედ მას შემდგომ დაესვას, როდესაც თავისი ძმისწული გიორგი-ლაშას შვილი საბერძნეთს თავის სიძეს ღიას ედინსა და ქალთან გაისტუმრა (იქვე, *757, გვ. 583). მაგრამ ეს ორი ცნობა ერთიმეორეს არ უდგება.

რუსუდანისაგან თავისი ქალის თამარის გათხოვების შესახებ როგორც ქართველს, ისევე უცხოქვეყნელს ისტორიკოსებსა აქვთ ცნობები. აი, რას ამბობს ამაზე ქართველი ჟამთააღმწერელი: «ვითარ აღიზარდა ასული მათი თამარ, ესმა საბერძნეთისა სულტანსა, ძესა რუქნადინისა, ყიასადინსა, ქმნულ კეთილობა მეფისა ასულისა, ევედრა მრავალთა ნიჭთა და ძღვენთა მიერ, რათა მისცეს ცოლად ასული მისი თამარ და აღუთქუა ფიცითა არა დატევებასჯულისა ქრისტიანისასა. რომელი ისმინა მეფემან რუსუდან და მისცა ასული მისი სულტანსა ყიასადინს, რომელი ესე უჯერო იყო ქრისტეანთა მიერ, რამეთუ დიდითა დიდებითა მისცა აწყუერი ზითვად» (ჟამთააღ. *750 — 751, გვ. 571). ეს ცნობა ავტორს ქრონოლოგიურად განსაზღვრული არა აქვს და რუსუდანისაგან ტოღრილის შვილის შეუღლების ამბავის შემდეგ აქვს მოყვანილი ისე, რომ თხრობის დალაგებულობითაც ამ ამბავის განსაზღვრა შეუძლებელი ხდება. ა ბ უ ლ ფ ა რ ა ჯ ი ს სიტყვით რუსუდანს თავისი ასული თამარი 1236—1237 წ. გაუთხოვებია[1].

თამარის ქმარს ღიასადინ სულტანს ისე გაგიჟებით ჰყვარებია თავისი ცოლი, რომ მისი სახის ფულებზე გამოსახვას აპირებდა. მაგრამ მას ამის მაგიერ მისი თანამეცხედრის დასაკმაყოფილებლად და ბედნიერების ნიშნად ლომის ზევით მოთავსებული მზის გამოსახვა ურჩიეს[2].

სომეხთა ისტორიკოს კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ს ა[3] რუსუდანის ასული რუმის სულტნის ღიასადინზე გათხოვებულად ჰყავს მოხსენებული, თუმცა მ ა ლ ა ქ ი ა ა ბ ა ღ ა თამარ ბატონიშვილის ღიასადინის თანამეცხედრეობის ამბავს არ იხსენიებს, მაგრამ რაკი მასაც აღნიშნული აქვს, რომ დავით ლაშას ძე რუსუდანმა რუმის მბრძანებელს გაუგზავნა თავითგან მოსაშორებლად, ამიტომ საფიქრებელია, რომ თამარის გათხოვება ღიასადინზე მალაქიას წყაროსაც უნდა სცოდნოდა[4].

---

[1] ასურული ქრონიკა, იხ. St-Martin, t. II, 292, ბ რ ო ს ე, H. d. G. I, გვ. 502, შენ. 3).

[2] არაბ. ქრონ., გვ. 319, იხ. ბ რ ო ს ე, H. d. G. I, გვ. 502, შენ. 3.

[3] კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, ისტორია, 300.

[4] ერთი წყაროა მხოლოდ, რომელიც ისტორიკოსთა ამ თანხმობრივს მოწმობას არღვევს და სულ სხვა ცნობას გვაწვდის. სახელდობრ, ჯალალედინის ისტორიკოსი ნ ე ს ე ვ ი ა, რომელსაც რუსუდანის ასულის თამარის გათხოვება სხვანაირად აქვს მოთხრობილი. ამ ქალის ქმრად იგი სულ სხვა პირს ასახელებს. მას ნათქვამი, აქვს, ვითომც შირვანშაჰს თავისი შვილი ქართველებისათვის მიეცეს, რომელთაც ეს ჭაბუკი მოუნათლავთ, რომ მაზე თამარის შვილის რუსუდანის ასული გაეთხოვებინათო. ჯალალედინმა რომ საქართველო დაიპყრო, შირვანშაჰის შვილი ტყვეობითგან განათავისუფლაო (Vie etc. 289). მაშასადამე, ნ ე ს ე ვ ი ს ცნობით, თამარი რუსუდანის ასული ვითომც შირვანშაჰის შვილზე და არა ღიასადინზე უნდა ყოფილიყო გათ—

ქართველ ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს, რომ, როდესაც რუსუდანმა თავისი შვილის დავითის თანამოსაყდრედ დასმა და გამეფება განიზრახა, თავისი ძმისწულის, ლაშა-გიორგის უკანონო შვილის დავითის, თავითგან მოშორება გადასწყვიტაო. ამიტომ ჰაბუკი «წარუვლინა ფარულად ასულსა მისსა და სიძესა სულტანსა ყიასადინსა თანა საბერძნეთს, რათა წარსწყმიდონ და იყოს დაუშფოთველად ძისა მისისა დავითისათვის არა განყოფად მეფობისა»-ო. მაგრამ «ვითარ მიიწია დავით წინაშე სულტნისა და [მამის] დისწულისა მის, რუსუდანისა ასულისა თამარისა, რომელსა სულტანი სახელად უწოდდა გურჯი-ხათუნად, ისილეს იგი და შეიყუარეს.... და იპყრეს პატივითა» და არამცთუ არაფერი ცუდი მას არ შეამთხვიეს, პირიქით «გურჯი-ხათუნ დედოფალი კეთილსა უყოფდა ყრმასა ბიძისა ძესა დავითს». მაშასადამე, ჟამთააღმწერელის სიტყვით, ეს ამბავი ვითომც დავით რუსუდანის ძის თანამოსაყდრედ დასმას უძღოდა წინ და მხოლოდ «ვითარცა წარგზავნა ძმისწული საბერძნეთს», მაშინ დასვა თავისი შვილი მეფედაო (*757, გვ. 583). კირაკოზ განძაკელსაც ამნაირადვე აქვს ნათქვამი, ვითომც რუსუდანს ლაშა-გიორგის ძე თავის ქალისა და სიძისათვის შემდეგში გაეგზავნოს მის მეფობის წინააღმდეგ ყოველგვარ ბოროტმოქმედების თავითგან ასაცილებლად და დასაღუპავადო [1].

მაგრამ ეს გარემოება მართალი არ უნდა იყოს და სხვა ცნობებითაც არ მტკიცდება. ასურელი ისტორიკოსი აბულფარაჯი თავის არაბულ მატიანეში ამ ამბავს სხვანაირად მოგვითხრობს და მისი სიტყვები ჭეშმარიტებას უნდა უფრო უახლოვდებოდეს. აბულფარაჯის ცნობით, თამარი რომ ღიასადინისათვის მიუთხოვებია, თავისი ქალისათვის თან თავისი ძმისწული ლაშა-გიორგის ძე დავითიც გაუტანებია [2]. მაშასადამე, ყრმა დავით რუსუდანს თავის ასულისათვის გათხოვებისთანავე ქმრის სამშობლოში გაუყოლებია.

როგორც ქრონოლოგიური ისევე სხვაგვარი მოსაზრებანი აბულფარაჯის სიტყვებს ამაოთლებენ და ადასტურებენ.

რაკი ჟამთააღმწერელის ცნობით რუსუდანს თავისი მცირეწლოვანი შვილი სამეფო ტახტზე ჯერ კიდევ დასავლეთ საქართველოში შეხიზვნისა და ქუთაისში ბინადრობის დროს აუყვანია, როდესაც მთელი აღმოსავლეთი საქართველო და მისი დედაქალაქი ჯალალედინის ხელთ იყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ამბავი 1228—1230 წ. უნდა მომხდარიყო, მაინცდამაინც 1231 წ. უწინარეს, რათგან ამ დროს ხვარაზმელთა სულტანი უკვე მონღოლებისაგან დაშარცხებული და საქართველოთგან გაქცეული იყო.

ხოვილი, მაგრამ ყველა ისტორიკოსთა ერთხმივი მოწმობით ეს ნესევის ცნობა შეცდომა უნდა იყოს. მართალია თუ არა ნესევის ცნობა, რომ რუსუდანის ასულის თამარის საქმრო რომელსაც ის შეცდომით შირვანშაჰის ძედ სთვლის, ქართველებმა გააქრისტიანეს. არ ვიცით. მხოლოდ თვით რუსუდანის ასულს თამარს კი თავისი სჯულის აღსარებისათვის თან კარის სამღვდელოება წაუყოლებია და მღვდელმსახურებისათვის საჭირო იარაღი და სამსახურებელი წაუღია. თამარს ღიასადინის ცოლობაშიაც «ხუცესნი და ხატნი წინაშე მისსა აქუნდის არაფარულად, არამედ განცხადებულად» (ჟამთააღ. *779, გვ. 712).

[1] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 273 და 300.

[2] S.-Martin, t. II, p. 292; ბროსე, H. d. G. 502 შენ. 3.

ხოლო ზემოთ უკვე დავრწმუმდით, რომ რუსუდანსა და მის ქმარს ტოღრილის ძეს შორის უკვე 1225 — 6 წ. იმდენად ძლიერი უთანხმოება ყოფილა, რომ ერთმანეთს დაშორებული იყვნენ და რუსუდანის ქმარი 1226 წ. საქართველოს მოსისხლე მტერს, ჯალალედინს მიემხრო კიდეც. ამიტომ საფიქრებელია, რომ უკვე 1226 წ. რუსუდანსა და ტოღრილის ძეს შორის საცოლ-ქმრო დამოკიდებულება შეწყვეტილი იქმნებოდა, რუსუდანმა კი, როგორც ვიცით, ის ქმრად 1223 წ. შეირთო. ამიტომ პირველი შვილი, თამარი, 1224 წ. შეიძლება დაბადებულიყო. თუ მეორე შვილი, ვაჟი დავითი ერთი წლის შემდგომ ეყოლა, მაშინ დავით რუსუდანის ძე 1225 წ. იქნება დაბადებული, მაინცდამაინც 1226 წ. არა უგვიანეს. მართლაც 1225 წ. დაბადებული, დავითი 1230 წ. უკვე ხუთი წლისა შეიქნებოდა და, რათგან მისი თანამოსაყდრედ დასმა შეიძლება მხოლოდ 1230 — 1 წ. მომხდარიყო, ამიტომ ნარინ-დავითის დაბადების თარიღად 1225 წ., ხოლო თანამოსაყდრეობისა კი 1230 წ. უნდა იყოს მიჩნეული.

ერთ კინკლოსის ცნობაში კი ნათქვამია: 1236 წ. «ქორონიკონსა: უნვ: დასაბამითგან: ხყმ: აქა დ᾽თ მეფედ დაჯდა ძე რუსუდანისი»-ო[1]. ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ ეს თარიღი და ცნობა ან მცდარია, ან მცირეწლოვანი დავითის რუსუდანის მიერ თანამოსაყდრედ დასმას არ შეიძლება ჰგულისხმობდეს. მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობა, ვითომც რუსუდანს თავისი ძე მხოლოდ მაშინ დაესვას სამეფო ტახტის თანამოსაყდრედ, როდესაც ლაშა-გიორგის შვილი თავის ქალთან და სიძე ყიასადინთან გაისტუმრა და ვითომც მაშინ ხვარაზმშაჰი საქართველოში ყოფილიყოს, ერთიმეორეს ეწინააღმდეგება და შეუსაბამოა.

აბულფარაჯის ცნობა თამარ, რუსუდანის ასულის ყიასადინზე გათხოვების შესახებ უეჭველია სწორი უნდა იყვეს, რათგან ეს ამბავი ისტორიკოსთა ერთხმივი მოწმობით ყიასადინის მონღოლთა მიერ დამარცხებამდე მომხდარა. ხოლო მ ა ლ ა ქ ი ა ა ბ ე ღ ა ს ამ დამარცხების თარიღად 688 წ. სომეხთა აღრიცხვით ანუ ქრისტესით 1239 წ. აქვს მოყვანილი[2]. ვ ა რ დ ა ნ ს — 1242 და 1243 წ.[3] და კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ს 1243 წ. აქვს აღნიშნული[4]. ხოლო ა ბ უ ლ ფ ა რ ა ჯ ი კი თარიღად 639 წ. ჰიჯრისას[5] ასახელებს, რაც ქრისტესით 12 ივლ. 1241 — 5 იანვ. 1242 წ. უდრის. ჰ ა მ მ ე რ ს გარკვეული თარიღი არ მოეპოვება და მხოლოდ ეს ამბავი 1238 წ. შემდგომ და 1244 წ-ს შუა აქვს მოთავსებული[6].

ვითარცა 1224 წ. დაბადებული, 1236 — 7 წ. ყიასადინზე გათხოვილი რუსუდანის ასული თამარი ქორწინების დროს 12 — 13 წლისა იქმნებოდა მხოლოდ, მაგრამ მაშინ, თანამედროვე შეხედულებით ასეთი ნორჩი ჰასაკის

---

[1] აუხაზ. ქ᾽რკა: ქკ᾽ბი II, 124.
[2] მ ა ლ ა ქ ი ა, ისტორია, 13.
[3] ვ ა რ დ ა ნ ი, შოფ. ისტ. 193.
[4] კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, ისტ., 269.
[5] პ ა ტ კ ა ნ ო ვ ის Ист. Монголов инока Магакии, გვ. 76, შენ. 28.
[6] ჰ ა ა ბ მ ე რ ი, I, 111 — 112.

ქალიშვილის გათხოვება ჩვეულებრივი მოვლენა იყო და რუის-ურბნისის საეკ-ლესიო კრების დადგენილებითაც თორმეტი წლის ქალის გათხოვება შეიძლე-ბოდა და კანონიერადაც იყო მიჩნეული.

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ რუსუდანს, ა ბ უ ლ ფ ა რ ა ჯ ი ს უფრო სარწმუნო ცნობის მიხედვით, 1236 — 7 წ. თავის გათხოვილ ქალთან ერთად სიძის სამშობლოში, რუმის სასულტნოში, თავისი ძმისწული დავითიც გაუს-ტუმრებია. შესაძლებელია, რუსუდან მეფეს ამით თავისი თავისა და შვილის მეფობის წინააღმდეგ ყოველგვარი საფიქრებელი აჯანყების მოწყობის შესა-ძლებლობის მოსპობაც სურდა, მაგრამ არც ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა და არც კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს სიტყვები, ვითომც რუსუდანს დავით ლაშას ძე თავის სიძესთან მერმე სწორედ მოსაკლავად გაეგზავნოს, ეგონებ მარ-თალი არ უნდა იყოს. თუ სომეხთა ისტორიკოსები ამბობენ, მხოლოდ ყიას-ადინმა თავისი სიდედრის სურვილის მთლად ასრულება შეუძლებლად სცნო და დავით მარტო ციხეში დაამწყვდია, რომ მას რუსუდანისათვის ვნების მი-ყენება არ შესძლებოდაო[1], ჟამთაღმწერელი უფრო შორს მიდის. ის ამტკი-ცებს, ვითომც, როდესაც რუსუდანის ორჯერ მიწერილმა თხოვნამ დავითის მოკვლის შესახებ, რომ ამის შემდგომ «უზრუნველად ეპყრას მეფობა მას და ძესა მისსა, დავითს», ვერ გასჭრა და ყიასადინსა და ქალს დავითის მკვლე-ლობა ვერ ჩაადენინა, მაშინ თავისი მიზნის მისაღწევად რუსუდანს ვითომც შემდეგი შემაძრწუნებელი ხერხისათვის მიემართოს. მანო «დაწერა წიგნი სიძეს სულტანსა თანა ყიასადინსა და ესრეთ მიუმცნო «ვითარმედ: ამისათჳს მენება მოკულა ძმისწულისა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა ძმისწული ჩემი დავით თანაეყოფვის და ამისათჳს არა ნებავს ასულსა ჩემსა ბოროტი მისი»-ო (*778—9, გვ.. 611). წაიკითხა თუ არა ყიასადინმა ეს წე-რილი, სამინლად განრისხდა, და «შევიდა სახლსა სადედოფლოსა», შეურაცხ-ყოფითა, ცემითა და იძულებით ქრისტიანობაზე უარი ათქმევინა და გაამაჰ-მადიანა, ხოლო დავით ლაშას ძე შეიპყრო და ზღვაში ჩასაგდებად მისცა მე-ნავეებსაო (იქვე *779—780, გვ. 612—613). ერთმა მენავეთაგანმა სიბრალულით ზღვაში გადაგდებისას ფიცარი მისცა ხელის მოსაკიდებლად. ქარმა დავითი რომ თვალს მოაშორა, ერთმა ნავით მომავალმა ვაჭარმა შენიშნა, სიკვდილს გადაარჩინა და 6 თვე საიდუმლოდ შეინახაო. მაგრამ შემდგომ, რომ გახმა-ურდა, ამ ამბავმა ყიასადინის ყურამდისაც მიაღწია. მან დავითი ახლა გვე-ლებიან ღრმა და, ბნელ ჯურღმულში ჩაადებინა, რომელშიაც 5 წელიწადის განმავლობაში სასწაულებრივი და ფარული კვებით სიკვდილს მაინც გადაურ-ჩაო (იქვე *780 — 784, გვ. 613 — 618).

რუსუდან მეფისადმი მიწერილ საზიზღარს ბოროტმოქმედებას თვით თავის თავზე და სვინდისზე სრულებით ხელაღებული ავაზაკიც კი იშვიათად ჩაიდენს ხოლმე და რადგან ლაშა-გიორგის ძის თავგადასავალი ამასთანავე ზღაპრული და ბავშვური გულუბრყვილობით შემკულ ცნობებით არის მოქარგული, საეჭვო შთაბეჭდილებას ახდენს.

---

[1] კ ი ო ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, 300.

ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსუდანს საქართველოს გარეშე, მის სიძესა და ქალთან მყოფი დავითი, მისი ძმის უკანონო შვილი, თავის მეფობისათვის იმდენად სახიფათო პიროვნებად და მეტოქედ მიეჩნია, რომ თავისი ასულიც კი არ დაენდვა და ასეთი სამარცხვინო საქმე ეკადრა. საქართველოში რომ ყოფილიყო, კიდევ შეიძლება რუსუდანს შიში ჰქონოდა, მაგრამ რუმითგან რას მოახერხებდა ეს ჭაბუკი, რომელიც, როგორც ჟამთააღმწერელის და სომეხთა ისტორიკოსების სიტყვებსაც ეტყობა, ყველას დავიწყებული ჰყავდა. ამასთანავე ყიასადინი, რუსუდანის მინაწერის სიმართლეში რომ დარწმუნებულიყო, ის დავით ლაშას ძეს არ დაინდობდა და მოაკვლეინებდა მით უმეტეს, რომ დანამდვილებით ეცოდინებოდა, რომ საქართველოს მთავრობა ამისათვის არამცთუ არ გამოედავებოდა, პირიქით, თვით მეფე მადლიერიც კი იქმნებოდა. ჟამთააღმწერელი გრძნობს დანაშაულებასა და სასჯელს შორის ამ ცხადს შეუსაბამობას და ცდილობს იმით გამოაკეთოს შთაბეჭდილება, რომ ამტკიცებს, ვითომც ეს ღვთის შთაგონებით მომხდარიყოს (*780, გვ. 613).

ამ დაუჯერებელი მოთხრობის მაგიერ მოგვეპოვება ა ბ უ ლ ფ ა რ ა ჯ ი ს სრულებით სანდო და ბუნებრივი ელფერის მქონებელი ცნობა. მას ნათქვამი აქვს: გათხოვების ცოტა ხნის შემდგომ თამარმა, რუსუდანის ასულმა, უარჰყო ქრისტიანობა და გამაჰმადიანებულ იქმნა, მისი ბიძაშვილი (აბულფარაჯს შეცდომით „ძმა“ უწერია) და კათალიკოსი (ალბათ კარის სამღვდელოება, ბორკილგაყრილნი ერთ ციხეში იქმნენ ჩაგდებულნი, სადაც იმყოფებოდნენ იმ დრომდის, სანამ თათრები არ მოვიდნენ და ციხე, რომელშიაც დამწყვდეულნი იყვნენ, არ აიღეს, რის წყალობითაც განთავისუფლდნენო[1].

თუმცა აქ ნათქვამი არ არის, თუ რამ გამოიწვია სულტანის ასეთი მრისხანება, მაგრამ უეჭველია, ყიასადინის სახლობაში მისი მეუღლისა და პიძაშვილის გარშემო რაღაც ამბავი უნდა დატრიალებულიყოს. ამიტომ შესაძლებელია ქართველი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ცნობა ერთგვარს სიმართლეს ძხოლოდ იმ მხრივ შეიცავდეს, რომ დავით ლაშას ძეს რაღაცა ბოროტმოქმედება უნდა დაბრალებოდა, შესაძლებელია სიყვარულიც დაეწამებინათ. ასეთი ხმა ჰორი და ტყუილი იყო, თუ მართალი სულ ერთია, სასახლეში ურუსუდანოთაც ადვილად შეიძლებოდა გავრცელებულიყო. ამასთანავე ის გარემოება, რომ უმთავრესად დავით ლაშას ძე და სამღვდელოება დაუსჯიათ და არა თამარი, და დავითიც შედარებით სუბუქად გადარჩენილა, გვაფიქრებინებს, რომ აქ მრუშების მაგიერ შეიძლება სულ სხვა ბრალდება ყოფილიყო.

ა ბ უ ლ ფ ა რ ა ჯ ი ს ცნობა ცხადჰყოფს, რომ დავით ლაშას ძე ციხეში ყიასადინს ჩაუსვამს, და ეს, რასაკვირველია, უფრო მართალია, ვიდრე ის ზღაპრული თავგადასავალი, რომლითგანაც ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით ულუ-დავითს მხოლოდ ღვთის განგებითა და სასწაულებრივი მფარველობით შეეძლო თავი დაეღწია. ყველა ამ მოსაზრებათა გამო, განსაკუთრე-

[1] Paulo post abnegata religione mohamedana facta est. Frater et catholicos in vinculo conjecti sunt in castello quodam ibique manserunt, donec tatari advenerunt et castellum expugnarunt, ubi inclusi erant, quo facto liberari sunt (Chron. p. 515. იხ. პ ა ტ კ ა ნ ო ვ ი ს Исг. Монг. инока Магакии 65, შენ 9.

ბით სომეხთა ისტორიკოსების და ქართველი ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი ცნობები იმდენად სინამდვილის ანარეკლი არ უნდა ყოფილიყოს რამდენადაც ჭორებსა და ზეპირ, პარტიული ხასიათის თქმულებებზე [დამყარებული].

არც ქართველი ჟამთააღმწერელი და არც სომეხთა ისტორიკოსები ზემომოთხრობილი ამბების თანამედროვენი არ ყოფილან, თვით კირაკოზის ისტორიის ეს ნაწილიც სამი ერთიმეორის საწინააღმლეგო წყაროს უბრალო და უხეირო კომპილაციას წარმოადგენს უფრო, ვიდრე თანამედროვის აღწერილობას. ამასთანავე ყველა ეს ისტორიკოსები ლაშა-გიორგის უკანონო შვილის დავითის მომხრეთა ცნობებსა და საბუთიანობას მოგვითხრობენ და ამიტომ მათ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, რასაკვირველია, სრული პირუთვნელობის გამოჩენა არ შეეძლოთ.

ერთადერთ თანამედროვე და მიუდგომელ წყაროდ პლან კარპინის ცნობა უნდა იყოს მიჩნეული: მას ორივე ქართველი უფლისწული 1247 წ. მონღოლთა ყაენთან პირადად უნახავს და იქვე მათ შესახებ გაგონილი ცნობები აქვს თავის მოგზაურობაში შეტანილი. ვითარცა უცხოელს და საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და ბრძოლის გარეშე მდგომს, პლან კარპინს ადვილად შეეძლო განაგონი სრული პირუთვნელობით გადმოეცა ჩვენთვის. სწორედ ამიტომ მის ცნობას სხვების ცნობასთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს.

მისი სიტყვით ყაენთან მისულ ორ ბატონიშვილთაგან ერთი კანონიერი შვილი იყო, მეორე უკანონო. მაგრამ პლან კარპინს ისინი თითქოს ერთი მამის შვილებად მიუჩნევია[1]. მაგრამ ეს, რასაკვირველია, გაუგებრობის ნაყოფს წარმოადგენს, ცხადი შეცდომაა. შემდეგ პლან კარპინს ერთი უფლისწულის, სახელდობრ რუსუდანის შვილის სახელიც სწორად ვერ დაუხსომებია და „მელიქად“ (qui erat legitimus „Melic“) აქვს ჩაწერილი. საფიქრებელია, რომ დავით რუსუდანის ძე, ვითარცა უკვე მეფედ ცხებული, მას მეფის არსებული წოდებულებით გააცნეს ვითარცა „მელიქ დავითი“, მან, ან იქნებ მისი თხზულების გადამწერებმა ეს ვერ გაიგეს, საკუთარ სახელად წარმოიდგინეს და შემდეგ ფრანგმა მთარგმნელმა თავისთვის ჩვეულებრივ სახელად გადააკეთა და მიხეილად აქცია, როგორც ეს ბერჟერონის გამოცემაშია.

სამაგიეროდ პლან კარპინმა ამ ორივე ტახტის მაძიებელის შესახებ ბევრი რამე საყურადღებო იცის. მისი სიტყვით კანონიერი შვილი და მემკვიდრე დედოფლის ძე იყო და თვით მისი დედაც მეფედ იჯდა საქართველოში. პ. კარპინს ლათინურად ნათქვამი აქვს: რომლის საშუალებითაც ქმარი სამეფოს განაგებდა (ფლობდა), რათგან ქალთაგან განეგებოდა ეს ქვეყანა. თუმცა პლან კარპინს ამ მეფე-დედოფლის სახელი აღნიშნული არა აქვს, მაგრამ ცხადია რუსუდან მეფეა ნაგულისხმევი. პაპის ელჩის სიტყვით ეს კანონიერი

[1] „duo quoque filii regis Georgiae“ lib. I, cap VII, ბერჟ. გამ. „puis deux fils du Roi de Georgie“ chap. VII, გვ. 13. „il est arrivé depuis peu aux deux fils du Roi des Géorgiens, dont l'un étoit légitime nommé Michel, et l'autre bâtard, appellé David“ (ბერჟ. თარგ. გვ. 57).

ტახტის მემკვიდრე და მეფობის მაძიებელი წლოვანობით უკანონო ტახტის მაძიებელზე უმცროსი იყო, და ეს, როგორც ვიცით, სრული სიმართლეა[1].

საქართველოს ტახტის მეორე მაძიებელის სახელი პლან კარპინს სწორად აქვს შენახული: იგი მართლაც დავითი იყო. არა სცდება რომის პაპის დესპანი, როცა მას რუსუდანის შვილზე უფროსად (qui maior erat) იხსენიებს. მან იცის, რომ იგი საქართველოს მეფის უკანონო შვილი იყო (de adulterio natum). ცხადია პლან კარპინი ლაშა-გიორგის უკანონო ძეზე, დავითზე ლაპარაკობს.

პაპის დესპანს ერთი სიტყვაც მისი იმ ზღაპრული თავგადასავლისა და მოპოვების შესახები ცნობების ოდნავად მსგავსი რამ, რომელიც ჟამთააღმწერელსა და სომეხ ისტორიკოსებს აქვთ მოთხრობილი, არ მოეპოვება. ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ ლაშას ძის დავითის მომხრე თანმხლებ საქართველოს დიდებულებს ამ დროს ამ უფლისწულის საზღაპრო ბედიღბლის შესახებ არაფერი სცოდნიათ. ამიტომ ქართველი ჟამთააღმწერელისა და სომეხთა ისტორიკოსების ზემომოყვანილი ცნობები მართლაც მერმინდელ ზღაპრადა და შენათხზად უნდა ვიცნათ, რომელიც დროთა განშავლობაში პოლიტიკური მიზნით ულუ-დავითის მომხრეთა და ნარინ-დავითის მოწინააღმდეგეთა წრეებში უნდა იყოს მოჭორილი.

[რუსუდანის ამაო ცდა დას. ევროპითგან სამხედრო დახმარების მისაღებად]

რუსუდან მეფემ მონღოლთა შემოსევის შემდგომ, რაკი, ალბათ, სხვა ხსნა არსაითგან იყო, თავისი და თავის შვილის დავითის სახელით რომის პაპს გრიგოლ IX ეპისტოლით მიჰმართა და მონღოლთა წინააღმდეგ დახმარება და შველა სთხოვა. თუმცა ამ წერილს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ გრიგოლ IX-ის საპასუხო ეპისტოლითგან, რომელიც 1240 წ. არის დაწერილი, ცხადადა ჩანს, რომ რუსუდან მეფეს პაპისათვის უთხოვია რომის ეკლესიის მხედრობა საქართველოში მოსულიყო მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში მისაშველებლად[2].

მას ეტყობა იმედი ჰქონია, რომ როგორც რომის პაპი თავის დროზე ქრისტიანობის საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველთ მოსაშველებლად იწვევდა და საქართველოს მხედრობაც ჯვაროსანთა ომებში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა და უეჭველია მიეშველებოდა კიდეც, რომ მონღოლთა მოულოდნელს შემოსევას ერთბაშად საქმე არ ჩაეშალა, ამგვარადვე რუსუდანს ჰგონებია, რომ საკმარისი იყო საქართველოს მეფეს პაპისათვის მტრების წინააღმდეგ დახმარება ეთხოვა, რომ დასავლეთ ევროპითგან მეშველი ჯარები მოსულიყვნენ კიდეც.

---

[1] Alius vero qui junior est, veniebat cum matre... Mater alterius scilicet Melic regina Georgiae, per quam maritus regnum, quia per feminas Illud regnum tenebatur" (იქვე). ბერჟერონის გამოც: „l'autre plus jeune vint avec sa mere... cette mere du légitime, qui avait succedé au Roiaume de Géorgie, qui venoit d'elle, d'autant que les femmes y succedent (გვ. 57). ფრ. თარგმანი ზედმიწევნითი არ არის.

[2] იხ. თამარაშვილი, ისტ. კათოლიკობისა, გვ. 570, ქართ. თარგ. 15, ფრ. თარგ. L'église Géorgienne გვ. 428.

მაგრამ რომის პაპის გული რომ მოეგო, რუსუდან მეფეს გრიგოლ IX-სთვის თანაც მიუწერია, ჩვენთვის სასურველია ეკლესიათა შეერთება მოხდესო[1]. როგორ ჰქონდა საქართველოს მეფეს ეს შეერთება წარმოდგენილი და ვის მიერ იყო ეს აზრი ნაკარნახევი, არა ჩანს, იქნება იმიტომ, რომ რუსუდანის ეპისტოლის დედანს ჩვენამდის არ მოუღწევია, რომის პაპს კი ეს სურვილი ისე გაუგია, ან მხოლოდ ისე უნდოდა წარმოედგინა, რომ ეკლესიათა შეერთების მაგიერ რომის პაპის უზენაესობა ცნობილი ყოფილიყო, ხოლო ქართული ეკლესიის მღვდელმთავარს მეორეხარისხოვანი ადგილი მიჰკუთნებოდა.

რუსუდან მეფის და საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ-საეხელმწიფოგეგმა და ოცნება ცხოვრების სინამდვილემ უწყალოდ დაამსხვრია. თავის საპასუხო წერილში რომის პაპს ძლიერი ეკლესიისა და ქვეყნის საკეთმპყრობელის ენა და კილო ავიწყდება და საქართველოს გაჭირვებულს მთავრობას თავისავე უმწეო მდგომარეობას უხატავს და შესჩივის: თუ თქვენთვის დახმარება საჭიროა, ჩვენც ისეთს გაჭირვებაში ვართ, რომ შეგეცოდებით. „ჯერ არს, რომ თქვენ შეგვიბრალოთ, რათგან სარწმუნოების მტერი ჩვენც ძლიერ გვდევნის. იმის გარდა, რომ სარკინოზნი ესპანიასა და ასურეთში კათოლიკე სარწმუნოებასა სდევნიან, ზოგნი ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომილნი წინააღგვიდგნენ და შეძლებისაებრ ღმერთის ეკლესიას დევნა დაუწყეს, ახალ მწვალებლობის დამყარება სურთ და ჭეშმარიტი სარწმუნოების მოსპობას ცდილობენ“.ო. ასე შესჩიოდა ქართველებს ის რომის უზენაესი მღვდელმთავარი, რომლის ყოვლად შემძლებლობისა და ძლიერების მტკიცე იმედი ჰქონდა საქართველოს მთავრობას[2]. აი, იმიტომ „ნუ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის მხედრობა ვერ მოდის თქვენ მოსაშველებლად თათრების წინააღმდეგ“-ო[3], ამბობს პაპი გრიგოლ IX და თანაც თავის გასამართლებლად უმატებს: სულ ერთია „სარკინოზნი, რომელთაც ასურეთში ვეომებით, ჩვენს მხედრობას მანდეთ არ გამოუშვებენ, ამ თქვენმა ამბავმაც ჩვენამდინ ძლივს მოაღწია“-ო[4]. რაკი „ქრისტეს სარწმუნოების დასაცავად მტერს იტალიასა, ასურეთში და ესპანიაში დაუცხრომელად ვეომებით, ამიტომ თქვენი დახმარება არ შეგვიძლიანო[5]. მეშველი ჯარის მაგიერ რომის პაპი საქართველოს მეფეს თავის ეპისტოლესა და მოქადაგეთა წესის ძმებს უგზავნიდა, რომელთაც ქართველთა გულში საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების საჭიროებისა და აუცილებლობის აზრი უნდა ჩაენერგათ[6]. ეს ჩემი გამოგზავნილნი მიიღეთ „სახიერებით ვითარცა ქრისტეს მიერ მოვლენილნიო“.

ადვილი წარმოსადგენელია, რა ეულდამწყდარი იქმნებოდა რუსუდან მეფე და საქართველოს მთავრობა, როდესაც მეშველი ჯარის მაგიერ მათ მო-

---

[1] იქვე, ლათ. 570, ქართ თ. 17. ფრ. თ 429,
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე, ლათ. დედ. 572, ქართ. თ. 17, ფრ. თ. 430.

ქადაგეთა წესის მონაზონები მიუვიდოდნენ, რომელთა სამოქმედო ასპარეზი ქართული ეკლესიის დასამორჩილებლად უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

რათგან საქართველოს მმართველი წრეებისათვის რომის ეკლესიასთან შეერთების საკითხს უფრო პოლიტიკური მიზანი ჰქონდა ვიდრე სარწმუნოებრივი, როდესაც ამ ევროპელთა სამხედრო დახმარების იმედის ამაოება გამოაშკარავდა, მათ ეკლესიათა შეერთების საკითხსაც უმალ თავი დაანებეს და ამ საქმეზე აღარ უზრუნვიათ. მაინცდამაინც კათოლიკე მეცნიერის მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს აზრისდა საწინააღმდეგოდ (გვ. 17 — 18) მაშინ პაპის მოციქულთა და ეპისტოლის მოსვლას რომისა და საქართველოს ეკლესიათა შეერთების საქმე არც დაუწინაურებია და მით უმეტეს არც დაუმთავრებია. ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ პაპი ინოკენტი IV-ეს 1245 წ. კვლავ აღუძრავს ეკლესიათა შეერთების საკითხი და, სხვათა შორის, ამის საჭიროების შესახებ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელისათვისაც მოუწერია. ქართველთა და რომის ეკლესიები რომ შეერთებული ყოფილიყვნენ, ასეთს მომართვას უეჭველია არავითარი აზრი არ ექნებოდა, და რომის პაპი მაშინ საქართველოს კათალიკოზს ამგვარს მოწოდებას არც გამოუგზავნიდა.

მონღოლთა განდევნის იმედის გაქარწყლება და მათთან დაზავების აუცილებლობა

ქართული საისტორიო წყაროთგან ვიცით, რომ მონღოლებმა დასავლეთ საქართველოში შეჭრა და ამისთვის ლიხის მთის გადალახვა ვერ გაბედეს. მათ მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო ჰქონდათ დაპყრობილი, ისიც ჯერ ნაწილობრივ. მ ა რ კ ო პ ო ლ ო ს ა ც აქვს ეს გარემოება აღნიშნული: საქართველოში „მთები, ხეობები და ციხეები ბლომად“ არის და ამის გამო „თათრებმა ამ ქვეყნის მთლიანად დაპყრობა ვერ შესძლეს“ [1].

მაგრამ საქართველო პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მეტად სახიფათო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, რათგან სახელმწიფოს მთელი აღმოსავლეთი ნაწილი მონღოლთა წყალობით დანარჩენ დამოუკიდებელ საქართველოს ჩამოშორებული იყო: სახელმწიფოს უზენაეს ორგანოებს: მეფესა, სავაზიროს და დარბაზს იქ უკვე ხელი აღარ მიუწვდებოდათ.

რაკი ასეთი მდგომარეობა კარგა ხანს გაგრძელდა და თითქმის უკვე ერთმა ათეულმა განვლო, როდესაც რომის პაპისაგან 1240 წ. დაწერილი ეპისტოლის მიღების შემდგომ დასავლეთი ევროპის ქრისტიანეთა მონღოლთ წინააღმდეგ სამხედრო დახმარების ყოველივე იმედი გაცრუვდა, რუსუდანისა და მთავრობისათვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებისა და ამ გზით მთლიანობის კვლავ აღდგენისათვის ხელსაყრელი პირობები არ ჩანდა. ამიტომ საქართველოს მეფესა და მმართველ წრეებს ამ გარემოებისათვის უნდა უეჭველად ყურადღება მიექციათ და გადაეწყვიტათ, სჯობდა თუ არა, ასეთი მდგომარეობის გაგრძელება, რაც საქართველოს დიდი სახელმწიფოს ორად დაყოფისა, შემოერთებული ნაწილების აუცილებელი თანდათანი ჩამოცილებისა და მთელი სახელმწიფოებრივობის

[1] მინაევის თარგ. 30.

დამლისათვის უნებლიეთ ხელის შეწყობას უდრიდა, თუ უკეთესი იყო ისევ მონღოლებთან დაზავება მოეხერხებინათ, რომ საქართველო ასე მაინც განხეთქილება-დამლისაგან დაეცვათ.

რაკი საქმე ისე დატრიალდა, რომ აღმოსავლეთი საქართველო თითქმის მთლად მონღოლთა ხელში გადავიდა, თვით რუსუდან მეფე კი თბილისში დაბრუნებასა და ცხოვრებას ვერ ბედავდა და არც მთავრებს და ვაზირებს შეეძლოთ ქუთაისში მეფისათვის მოსახსენებლად და დასტურის მიძაღლებად მუდამ დაუბრკოლებლივ სიარული, გადასწყვიტა, რომ მონღოლებთან შეთანხმების გარდა, სხვა გზა არ იყო. ამიტომ რუსუდან მეფეს «განეზრახა, რათა წარმოავლინოს ძე თავისი დავით და მიანდოს თათართა და აიღოს სიმტკიცე უვნებლობისა» (ჟამთააღ. *769, გვ. 600). ამის შესახებ მოსალაპარაკებლად და პირობების გამოსარკვევად რუსუდანმა მონღოლებს მოციქულებად შანშე, ავაკი, ვარამ გაგელი და შოთა კუპრი გაუგზავნა (იქვე). მონღოლთა მთავარი ამ დროს უკვე რუმის სულტნის ყიასადინ ქაიხოსრო II-ის (1236—1245 წწ.) წინააღმდეგ გასალაშქრებლად ამხედრებული იყო, ამიტომ ამ საქმის გადაწყვეტა ლაშქრობის დამთავრებამდე გადასდო და თვით საქართველოს მეფის მოციქულებიც თან წაიყოლია (იქვე *769, გვ. 600). მხოლოდ როდესაც რუმის სულტანი იძულებული შეიქნა ქედი მოეხარა, ხარაჯის ძლევა აღეთქვა და თავის საბრძანებელში მონღოლთა მცველები ჩაეყენებინა, ამის შემდგომ ხლათის სულტანმაც ჩათრევას ჩაყოლა ირჩია და მონღოლებს ნებაყოფლობით დაემორჩილა, მონღოლთა ჯარის სარდალი უკან დაბრუნდა, საზაფხულოდ გელაქუნში, არარატის მთებში დაბანაკდა და აქეთგან საქართველოს მეფეს თანხმობა შეუთვალა: «წარუვლინა მოციქული მეფესა რუსუდანს, რათა ზავი იქმნას შორის მათსა და მოსცეს ძე მისი დავით და მისცენ მეფობა და ტფილისი და ყოველი საქართველო» ო იქვე (*773, გვ. 604).

[დავით IV-ის მონღოლთა ყაენის ურდოში გამგზავრება. რუსუდანის გარდაცვალება]

რუსუდანს, რასაკვირველია, ეს ამბავი იამა, თავისი შვილი სასწრაფოდ მონღოლებს გამოუგზავნა, «წარმოგზავნა ძე თვისი დავით», და თვითონაც გამოაცილა. ამასთანავე «მეფემან რუსუდან თანა წარიტანნა ყოველნი მთავარნი ლიხთიმერელნი» ცოტნე დადიანი ბედიანი, რაჭის ერისთავი, გურიელი და სხვა „ყოველნი წარჩინებულნიც“ თან ხლებიან. მეფე-უფლისწულს საზღვარზე აღმოსავლეთ საქართველოში მყოფი ვაზირები და დიდებულნი დიდის ამბით დახვდნენ (იქვე *773—774, გვ. 604—60). ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან ნათლად არა ჩანს, გადმოვიდა თუ არა შვილთან ერთად რუსუდანიც აღმოსავლეთ საქართველოში, თუ ბატონიშვილი მხოლოდ ლიხის მთამდის გამოაცილა? მაგრამ შემდეგი მოთხრობა გვაფიქრებინებს, რომ შვილთან ერთად რუსუდანიც თბილისში გადმოსულა. ჟამთააღმწერელის სიტყვით, რუსუდანი ამ ამბავის რამდენიმე წლის შემდგომ «გარდაიცვალა ტფილისსა» (787, გვ. 622). მაშასადამე, ისტორიკოსს იგიც აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსულად ჰყოლია ნაგულისხმევი. კირაკოზ განძაკელი კი

არამც თუ ამის მსგავსს არას ამბობს, მისი სიტყვით ვითომც რუსუდანი სვანეთში გაქცეულიყოს და იქ გარდაცვლილიყოს (ისტ. გვ. 374, 299 და 300). მაგრამ კირაკოზის ცნობა რომ მართალი არ არის, ამას პლან კარპინის სიტყვები გვაფიქრებინებენ. როდესაც მას 1246—1247 წ. საქართველოს სამეფო ტახტის ორივე მაძიებელი მონღოლთა ყაენთან უნახავს, იქ გაუგონია, ვითომც რუსუდანი თავის შვილს მოჰყვებოდა, მაგრამ გზაში გარდაიცვალაო[1]. თუმცა არც ქართველი ჟამთააღმწერელი და არც სომეხთა ისტორიკოსები ამაზე არას ამბობენ და ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსუდანი ასეთ მოგზაურობაზე დათანხმებულიყო, ხოლო პლან კარპინისაგან გაგონილი ამტკიცებს, რომ რუსუდანი თავის შვილს დასავლეთ საქართველოთგან აღმოსავლეთში გადმოსვლისა და მონღოლებთან შვილის გასტუმრების დროს მაინც უნდა გამოჰყოლოდა და თბილისში მაინც უნდა ყოფილიყო.

კირაკოზ განძაკელი მონღოლთა და საქართველოს შეთანხმების ამბავს სხვანაირად მოგვითხრობს. მისი სიტყვითაც მონღოლებს თითონ მიუმართავთ წინადადებით რუსუდანისათვის მორჩილების ნიშნად ან თითონ მისულიყო მათთან, ან თავისი შვილი, ყრმა დავითი გამოეგზავნა ჯარითურთ. მაგრამ რუსუდან მეფემ შეუთვალა, სანამ თქვენ ყაენთან გაგზავნილი ჩემი დესპანი არ დაბრუნდება, თქვენთან ვერ მოვალო. გაუგზავნა თუ არა მაინც თავისი შვილი დავითი, როგორც ამას მონღოლები სთხოვდნენ, კირაკოზს ნათქვამი არა აქვს. ამ ცნობაში ის არის საყურადღებო, რომ საქართველოს მეფეს, რუსუდანს, თითონვე, ამაზე უწინარეს გაუგზავნია დესპანი ყაენთან საზავო პირობებზე მოსალაპარაკებლად. დაზავების თაოსნობა, მაშასადამე, საქართველოს მთავრობისა ყოფილა. რაკი ქართველი ჟამთააღმწერელი ამაზე არაფერს ამბობს გამოსარკვევია, რამდენად მართალი უნდა იყოს ეს ცნობა.

სომეხთა ისტორიკოსს კირაკოზ განძაკელს დავით რუსუდანის ძის და დავით ლაშას ძის გამეფების ამბავი ორჯერ აქვს სხვადასხვა ადგილას და ერთიმეორისგან განსხვავებულად ნაამბობი. პირველად ნათქვამი აქვს, რომ მონღოლებმა რუსუდან მეფეს შემოუთვალეს, დამორჩილების ნიშნად ან პირადად თითონ მისულიყო მათთან, ან თავისი ყრმა შვილი დავითი გაეგზავნა მათთვის. არც ერთი ამ პირობათაგანი რუსუდანმა არ მიიღო, არამედ ივაგი, ივანეს ძე, პატარა რაზმითურთ მონღოლებთან გაისტუმრა და ასე შეუთვალა: „სანამ თქვენ ყაენთან წარვლინებული ჩემი ელჩი უკან არ დაბრუნდება, მანამდის თქვენთან ვერ მოვალ“-ო. ხოლო, როცა მონღოლებმა რუსუდანის სიძე, რუმის სულტანი, დაამარცხეს, მასთან მოსალაპარაკებლად მთავარი ვაჰრამი (ვარამ) გაგზავნეს და დამორჩილება სთხოვეს, ვარამმა იქითგან თან მოიყვანა რუსუდანის ძმისწული, ლაშა-გიორგის ძე, რომელიც რუსუდანმა რუმის სულტანთან თავის ქალთან ერთად გაგზავნა მის დასაღუპავად და იქ სულტანთან დამწყვდეული იყო. ვარამმა მონღოლებს აუხსნა, რომ მოყვანილი ყმაწვილი თავის საპატრონოს ჩამოცილებული მათი მეფის ძე იყო. მაშინ მონღოლებმა ეს უფლისწული თავისი მამიდის საწინააღმდეგოდ გასამეფებლად გამოიყენეს,

---

[1] Voyage, ბერჟერონის გამოც. გვ. 57.

ბრძანება გასცეს ქრისტიანული წესით მეფედ ეკურთხებინათ და ყველანი მას დამორჩილებოდნენ. ლაშა-გიორგის ძე დავითი დასვეს თბილისში, ხოლო შემდეგ დიდებულებმა ავაგ სპასალარმა, შაჰანშაჰმა ზაქარიას ძემ, ვაჭრამმა და მისმა შვილმა აღბუღამ დავითი მცხეთაში წაიყვანეს, კათალიკოზს მოუწოდეს და მეფედ აკურთხეს. გაიგო თუ არა ეს ამბავი მისმა მამიდამ რუსუდანმა, მაშინვე თავის შვილ დავითითურთ აფხაზეთსა და სვანეთში გაიქცა და იქითგან ბათო ყაენთან, რომელსაც დარუბანდი, ოსეთი და რუსეთი ემორჩილებოდა, დესპანი აფრინა დაგემორჩილებიო. მან ბრძანება გამოსცა რუსუდანი თბილისში დამჯდარიყო მეფედ და სხვა მონღოლებსაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ [1].

მეორეჯერ ამავე საგანზე შემდეგია მოთხრობილი: საქართველო რომ თათართა ბატონობის ქვეშე მოექცა, ქართველთა მეფე რუსუდანი სვანეთში გამაგრდა. მას ორთავე ულუსის, ჩრდილოეთისაც და სამხრეთის, მონღოლთა ძეთაურებისაგან უთვლიდნენ მშვიდობიანი შეთანხმებით დაჰმორჩილებოდა, მათთან მისულიყო და მათი მბრძანებლობის ქვეშე თავის სამეფოზე ებატონა. მაგრამ რაკი რუსუდანი მშვენიერი ქალი იყო, ამიტომ ვერცერთ მათგანთან წასვლა ვერ გაბედა. თავისი მცირეწლოვანი ძე დავითი კი მეფედ დასვა და ბათოსთან გაგზავნა. როცა ბაჩუ ნოინმა (Բաչու Նոյին) ეს ამბავი შეიტყო, ნაწყენმა, რომ რუსუდანმა ბათოს მიჰმართა, რუმის სულტანს ღიასედინს კაცი გაუგზავნა და იქითგან რუსუდანის ძმისწული ლაშა-გიორგის ძე დავითი მოაყვანინა, რომელიც რუსუდანს თავის ქალთან, ღიასედინის ცოლთან გასტუმრებული ჰყავდა. ღიასედინმა ის ჩაამწყვდია, რომ მისი სიდედრისათვის მეფობის გამო დავა არ აეტეხა. ლაშა-გიორგის ძეს დავითს უფლება დაუბრუნეს და ყაენთან გაისტუმრეს დასამტკიცებლად. რუსუდანს კი ელჩს ელჩზე უგზავნიდნენ, რომ უეჭველად მათთან გამოცხადებულიყო. ბათო ყაენმაც ამგვარადვე დავით რუსუდანისძე უზენაეს ყაენთან გაისტუმრა, თითონ რუსუდანს კი თავისთან იბარებდა გამოსაცხადებლად. ორთავე მხრით შევიწროებულმა რუსუდანმა საწამლავი დალია და გარდაიცვალა, ხოლო სიკვდილის წინ ავაგ ეერისმთავარს წერილობითი ანდერძი დაუტოვა და თავისი შვილი, თუ იგი ყაენისაგან დაბრუნდებოდა, მას შეჰვედრა. გიუქ ყაენმა ორთავე დავითები სიყვარულით შეიწყნარა და დაადგინა, რომ ორთავეს ერთიმეორის შემდგომ ემეფა: ჯერ უფროსს, ლაშა-გიორგის ძეს დავითს, იმის სიკვდილის შემდგომ კი, თუ დავით რუსუდანის ძე ცოცხალი იქმნებოდა, ის ასულიყო სამეფო ტასტზე. ყაენისაგან საქართველოში დაბრუნებულნი ავაგის შუამავლობით სწორედ ასეც მოიქცნენ და დავით ლაშას ძე თბილისში გამეფდა, ხოლო დავით რუსუდანის ძე სვანეთშიო [2].

ამ ორი ცნობის ერთი გადაკითხვაც საკმარისია, რომ კირაკოზ განძაკელი უბრალო და ლიტონ კომპილატორად წარმოგვიდგეს, რომელიც თავის წყაროებითგან ამოღებული ცნობების შეთანხმებაზეც კი არ ფიქრობ-

---

[1] Պատմութիւն Հայոց ღუკას. გამ. გვ. 273 — 274.

[2] იგივე, გვ. 299 — 301.

და და რომელიც მისგან მოყვანილ სხვადასხვა მოთხრობების ცნობათა წინაღმდეგობისათვის თავს არ იწუხებდა.

რუსუდან მეფის თანამედროვე ვაზირთა-უპირველესისა და მწიგნობართ-უხუცესის არსენი ჭყონდიდელის ერთი წყალობის წიგნი, მგელა აბულახტარის ძისადმი ბოძებული, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სომეხთა ისტორიკოსის წყაროს ერთი ამბავთაგანი სამართლიანი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ამ საბუთში მწიგნობართ-უხუცესი შემდეგ საგულისხმო ცნობას იძლევა: «ესე დაწერილი მე... ა რ ს ე ნ ი ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ — მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ - უ ხ უ ც ე ს მ ა ნ დ ა გ ი წ ე რ ე ჩემსა ჭყონდიდისა ქონებასა შიგა შენ აბულახტარის ძესა მგელასა და შვილთა შენთა... მას ჟამსა, ოდეს ღმერთმან და, ვიკადრო, გამზრდელმა ჩემმა მ ე ფ ე თ - მ ე ფ ე მ ა რ უ ს უ დ ა ნ ბ ა თ ო ი ს ა გ ა მ გ ზ ა ვ ნ ა ს ა მ ს ა ხ ო ბ ა რ ა დ, შ ე ნ მ ა შ ი ნ თ ა ნ ა მ ყ ე ვ დ ა დ ი დ ი მ ო ი ჭ ი რ ვ ე დ ა ჭ ი რ ნ ი ჰ ნ ა ხ ე ნ»-ო[1].

ამ საბუთითგან ირკვევა, რომ რუსუდან მეფეს არსენი ჭყონდიდელ—მწიგნობართ-უხუცესი ბათოსთან გაუგზავნია. ცხადია, ეს შეიძლება მომხდარიყო, ან იმ დროს, როდესაც დავითს, თავის ძეს, ისტუმრებდა ყაენთან, ან ამაზე უწინარეს. ვინც რუსუდანმა უფლისწულს დავითს თან გააყოლა, ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ორჯერა ჰყავს დასახელებული, მათ შორის ეკი არსენი მწიგნობართ-უხუცესი არა ჩანს. ვაზირთა-უპირველესის თანამდებობა იმდენად დიდი იყო, რომ ისტორიკოსისაგან მისი მოუხსენებლობა, იგიც რომ ამ დროს უფლისწულთან ერთად გამგზავრებულიყო, ძნელი დასაჯერებელია. ამიტომ საფიქრებელია, რომ ჟამთაღმწერელის მოთხრობაში არსენის წყალობის წიგნში მოხსენებული ამბავი არ იგულისხმება. გვრჩება, მაშასადამე, მეორე შესაძლებლობა, რომ აქ სწორედ ის დესპანობა იგულისხმება, რომელზედაც კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ს აქვს მოთხრობილი და რომლის საქართველოში დაბრუნებამდე რუსუდანს ადგილობრივი მონღოლებისათვის მინდობაზე უარი უთქვამს. თვით ასეთი უზენაესი ხელისუფლის წარვლენა ბათოსთან, როგორადაც საქართველოში მწიგნობართ-უხუცესი ითვლებოდა, გვაფიქრებინებს, რომ არსენის რუსუდან მეფისაგან მეტად პასუხსაგები საქმის მოგვარება უნდა ჰქონოდა დავალებული. ამიტომ შესაძლებელია ის „სამსახური", რომელზედაც არსენის წყალობის წიგნშია საუბარი, ამ დავალებას ჰგულისხმობდეს, როდესაც რუსუდანს ყაენისათვის, ალბათ, შეთანხმების პირობები უცნობებია და მინდობილობის სიმტკიცე ექნებოდა ნათხოვნი. აღსანიშნავია, რომ ქართველი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვებითგანაცა ჩანს, რომ რუსუდანს იმაზე უწინარეს, ვიდრე სპარსეთის მონღოლთაგან დავითის მეფედ დასასმელად გადმოგზავნის წინადადებას მიიღებდა, უვნებლობის ფიცი მონღოლთაგან უკვე უნდა ჰქონოდა მიღებული, რათგან დაზავების წინადადების მიღების შესახებ ცნობას ჩვენ ისტორიკოსს შემდეგი სიტყვები აქვს დართული: რუსუდანს მოეწონა და «გულსავსე იყო ამისთვის, რომე ფიცსა მტკიცედ იპყრობდეს და მინდობილსა შეიწყალებდეს»-ო (*773, გვ. 604).

[1] საისტორიო მოამბე 1925 წ. II, 131 — 132. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემის შეცდომები შესწორებულია დედნის მიხედვით.

ამგვარად, მაშინდელ საქმეთა მიმდინარეობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ათი წლის განმავლობაში მონღოლთაგან აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობა იმ დროისათვის ამოწურულად იქმნა ცნობილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობამ რუსუდან მეფესა და მთავრობას იმდროინდელი მდგომარეობის გაგრძელებას ისევ მონღოლებთან შეთანხმება და დაზავება ამჯობინებინა; რუსუდანმა ზავის პირობებისა და უვნებლობის ფიცის ყაენისაგან მისაღებად ბათოსთან საგანგებო დესპანი გაგზავნა. მისი დაბრუნების შემდგომ ადგილობრივ მონღოლთა ნოინებისაგან ხელმეორედ დაზავების წინადადებაზე რუსუდანმა თანხმობა განაცხადა და თავისი შვილი აღმოსავლეთ საქართველოში გამოისტუნრა.

აღსანიშნავია, რომ ნარინ-დავითის ამერეთში გადმოსვლის ამბავი ქართველ ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ორჯერ აქვს მოთხრობილი (გვ. 604—5 და 609—10) ზოგიერთი განსხვავებით.

დავით ბატონიშვილი ჯერ თბილისში შეიყვანეს, ხოლო შემდეგ ბარდავში გაემგზავრნენ იქ დაბანაკებულ მონღოლთა ნოინების სანახავად. სადარბაზოდ მისულებს თათართა მთავრები დიდი პატივისცემით დახვედრიან და ისტორიკოსის სიტყვით ვითომც დავითისთვის მიეცეთ «ყოველი საქართველო» (იქვე *774 და 777, გვ. 605 და 609—610). მაგრამ უკანასკნელი ცნობა, ალბათ, მთლად სამართლიანი არ უნდა იყოს. ამ გარემოებას მონღოლთა ნოინების საქციელი აამჟღავნებს. მათ, ალბათ, ბათოსგან მიღებული საიდუმლო ბრძანების თანახმად, დავით რუსუდანის ძე ყაენთან გაისტუმრეს, რომელსაც დავითის გამეფება უნდა დაედასტურებინა (იქვე *774 და 776, გვ. 605 და 607—608). მაშასადამე, ამ ნოინებს მხოლოდ თავისი დასკვნისა და ცნობების თანწაყოლება შეეძლოთ, სამეფოდ დამტკიცება კი მათი უფლება არ ყოფილა.

ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ცნობით დავით რუსუდანის ძეს მონღოლებმა «ნარინ დიდებითა უწოდეს, ესე იგი არს სეფის პირი (პირ[მშო]ი?) დავით» *774, გვ. 605). თუმცა ეს ცნობა ქართველ ისტორიკოსს იმ ადგილას აქვს მოყვანილი, სადაც დავითის ბარდავში ნოინებთან პირველად მისვლასა და მეფედ დასმის შესახებ აქვს საუბარი, მაგრამ იმ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც საქართველოს ტახტის მემკვიდრედ და მაძიებლად მეორე დავითი, ლაშა-გიორგის ძეც გამოჩნდა და ამ ორი დავითისათვის ერთიმეორისაგან გასარჩევად მეტსახელები იყო საჭირო.

ქ ა რ თ ვ ე ლ ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს დ ა ვ ი თ რ უ ს უ დ ა ნ ი ს ძ ი ს გ ა მ ე ფ ე ბ ა ზ ე მ ო ნ ღ ო ლ თ ა ნ ო ი ნ ე ბ ი ს თ ა ნ ხ მ ო ბ ა ი ს ე გ ა უ გ ი ა, თ ი თ ქ ო ს «კ უ ა ლ ა დ ე გ ო ს ა მ ე ფ ო ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს ა ქ უ ე შ ე რ უ ს უ დ ა ნ მ ე ფ ი ს ა ს ა» (*777, გვ. 610). ამგვარად, დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველო კვლავ ერთი მეფის საბრძანებლად უნდა შექმნილიყო. რათგან მონღოლებს მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო ჰქონდათ დაპყრობილი, დასავლეთი კი არ გადაულახავთ და ის თავისუფალი იყო, საყურადღებო საკითხი იბადება, რა უფლებრივ მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო დასავლეთი საქართ-

ველო გაერთიანების დროს? იყო, თუ არა ამის შესახებ რაიმე მოლაპარაკება და დაიდო, თუ არა პირობა ამის თაობაზე? ნიშნავდა, თუ არა, ეს გარემოება დასავლეთი საქართველოს მონღოლებისათვის ნებაყოფლობით დამორჩილებას და ეს მსხვერპლი საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად იყო შეწირული, თუ ამით დასავლეთ საქართველოს უფლებრივი მდგომარეობა არ უნდა შეცვლილიყო და წინანდებურად თავისუფალი რჩებოდა, ისტორიკოსს ამაზე არაფერი აქვს ნათქვამი.

სამაგიეროდ ამ საყურადღებო საკითხის გამორკვევის საშუალებას პლან კარპინი გვაძლევს, რომელსაც თავის მონღოლეთში მოგზაურობის აღწერილობის წიგნში შემდეგი აქვს ნათქვამი: თათრები სომხეთში მოვიდნენ, რომელიც დაიმორჩილეს საქართველოს ერთ ნაწილთან ერთად, რათგან მეორე (ნაწილი) ნებაყოფლობით მიემხრო მათ, და ყოველწლიურად ხარკად მათ 40000 პერპერას უხდის, რასაც აქამომდე ასრულებენ კიდეცო[1]. ამ ცნობაში ერთი ნაწილი ამიერსაქართველოს, მეორე ნაწილი დასავლეთ საქართველოს გულისხმობს. მაშასადამე, ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოსაც უცვნია ნებაყოფლობით მონღოლთა უზენაესი უფლება. რაკი ეს ამბავი პლან კარპინს 1246—7 წ. უკვე სცოდნია, ცხადია საქართველოს მეორე ნაწილის ანუ იმიერსაქართველოს ნებაყოფლობითი შეთანხმება მონღოლებთან ამაზე უწინარეს უნდა მომხდარიყო, იმ დროს, ალბათ, როდესაც რუსუდანმა, ბათო ყაენისაგან თავისი დესპანის პირით პასუხისა და უვნებლობის ფიცის მიღების შემდგომ, თავისი შვილი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოგზავნა მისი სრულიად საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად.

ამგვარად, ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობას სახელმწიფოს მთლიანობის საბოლოო დარღვევისა და ორად გაყოფის შიშით, ამ მთლიანობის აღსადგენად დასავლეთ საქართველოსაგან მონღოლთა უზენაესობის აღიარება უმჯობინებია. მაგრამ საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთი ნაწილების უფლებრივი მდგომარეობა ამ შეთანხმების ძალითაც განსხვავებული დარჩენილა. იმიერი საქართველო წინანდებურად მონღოლთაგან თავისუფალი რჩებოდა, მხოლოდ მონღოლთა უზენაესობის ცნობის ნიშნად ყოველწლიურად

---

[1] „Les tartares... arrivèrent en Armenie qu' ils subjugèrent avec une parte de la Georgiane, car l'autre de son bon gré se rendit à eux, et leur païa de tribut tous les ans quarante mille Yperperes ou Besans, comme ils font encore maintenant" (Voyage de Plan Carpin en Tartarie. ბ. ბერჟერონის გამოც. Voyages en Asie etc. t. I გვ. 49, 1247 წ. ქვეშე).

«Pour les nations un peu éloignées, et qui sont voisines de celles qu'ils redoutent, et qui ne les reconnoissent en rien, ils se contentent, de les traitter plus doucement, et d'en tirer seulement le tribut, sans les menacer de leur faire guerre pour n'êfraïer pas les autres de se rendre à eux, ainsi qu'ils en ont fait aux Obeses et Georgiens, dont ils tirrent quarante ou cinquante mille Yperperes ou Besans de tribut: et toutefois nous avons depuis oui dire, qu'ils sont sur le point de se revolter. Les noms des païe, qu' ils ont subjuguez sont ceux-ci... Alans ou Asses, Obeses ou Georgiens (Voyage de Plan Carpin en Tartarie, გვ. 58, 1247 წ. ქვეშე).

40000 პერპერას იხდიდა. აღმოსავლეთ საქართველოში კი მონღოლთა ნოინები იდგნენ თავიანთი ჯარითურთ და აქ მცხოვრებლებს მონღოლთა ყოველგვარი გადასახადების გამოღება უხდებოდათ. საქართველოსათვის ამ შეთანხმებას იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ამ გზით მისი სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღდგენილ იქმნა და იმიერ-ამიერ საქართველოს ერთი მთავრობა ჰყავდა, რომელსაც სამეფოს წინანდელი საზღვრების დაცვა და ჩამოცილებისადმი მიდრეკილების შეჩერება შეეძლო.

ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით ნოინებმა ინებეს რუსუდანის ძის დავითის «წარვლინება დიდსა ყა^ნს ბათოსასა და მიერ ყარაყურუმს მანგუ ყანისასა» (*786, გვ. 620—621). თუმცა ამ ამბავმა დედაცა და შვილიც ძალიან დააღონა, მაგრამ «ვითარ არღარა იყო ღონე, წარვიდა ნარინ დავით და თანა წარატანა მეფემან რუსუდან მცირედ თანაზრდილნი მისნი ქართლისა ერისთავისა სურამელის გრიგოლის შვილი ბეგაი და საგურკლელი მახუჯაგის ძე, ამირეჯიბი ბეშქენ და თვალნიცა ორნი დაუმალნა ძუირად საფასონი» (*768, გვ. 621). თანამყოლ პირთა სია მეორეგან ჟამთააღმწერელს ცოტა სხვანაირად აქვს მოყვანილი და ათაბაგი ავაგ, სურამელი, გამრეკელი და ამირეჯიბი ბეშქენ არიან მოხსენებული (*802, გვ. 642).

დავით რუსუდანის ძე და მისი ამალა «მიიწინეს წინაშე ზემოხსენებულისა ბათოსსა, რომელმან კეთილად იხილნა ნარინ დავით მეფე, ორი წლისა ჟამთა თვის თანა იპყრა და მიერ წარავლინა ჩინმაჩინს და ყარაყურუმს მანგუ ყანს წინაშე. რომელი, მიიწია რა, კეთილად შეიწყნარა» (ჟამთააღ. 786, გვ. 621). რუსუდანის ძის საქართველოთგან გამგზავრების თარიღი ჟამთააღმწერელს აღნიშნული არა აქვს, მაგრამ საქმეთა მიმდინარეობისათვის ამის გამორკვევა საჭიროა. ამ თარიღის განსაზღვრა მხოლოდ დაახლოებით შეიძლება და ისიც სხვადასხვა გარემოების გათვალისწინების შემდგომ.

ისტორიკოსის ცნობით მეფე დავითის მგზავრობისა და ყაენთან ორი წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ მისი დედა რუსუდანი გარდაცვლილა. ამიტომ რუსუდანის გარდაცვალების თარიღის გამორკვევის შემდგომ შესაძლებელი იქნება მისი შვილის დავითის საქართველოთგან გამგზავრების თარიღის გამოანგარიშებაც. ორივე დავითი, რუსუდანის ძეც და ლაშა-გიორგის ძეც, პლან კარპინს მონღოლთა ყაენ გუჯუქთან უნახავს 1246 წელს. ამ ცნობას სპარსელი ისტორიკოსი რაშიდედინიც ადასტურებს. მისი სიტყვითაც, რომელიც უეჭველია ამ ავტორის წყაროს უნდა ეკუთვნოდეს, გუჯუქის ყაენად კურთხევის დღესასწაულს 1246 წ. აგვისტოში საქართველოთგან ორივე დავითი დასწრებია[1].

სპარსელი ისტორიკოს ჯუვეინის 1260 წ. ახლო ხანებში დაწერილს თხზულებაშიც „ტარიხ-ი ჯეჰან ქუშაჲ“ ნათქვამია, რომ გუჯუქ-ყაენის ტახტზე ასვლას საქართველოთგან ორივე დავითი დაესწრო: از گرجستان هردو داود (Tarikh-i-Jahān-gusha. Gibb Memorial XVI).

---

[1] Hist. des Mongols de Fadl Allah Rashid ed-din, editée par E. Blochet E. J. W. Gibb Memorial vol. XVIII, 2, სპარს. ტექსტის. ۲۴۲

რომელი ამ ორ დავითთაგანი რუსუდანის ძე, თუ ლაშა-გიორგის ძე უფრო ადრე მივიდა მონღოლთა უზენაეს მბრძანებელთან, პლანკარპინს გარკვევით ნათქვამი არა აქვს. რომის პაპის დესპანს აღნიშნული აქვს მხოლოდ: უმცროსი ამ ორთაგანი „დედითურთ თათართა ხელმწიფესთან მოვიდა, რათგან ზემოხსენებული დავითიც იმასთანვე მოეჩქარებოდაო“ [1]. დანამდვილებით ეს პლანკარპინს არც შეიძლებოდა სცოდნოდა, ამგვარი საკითხი არც დაებადებოდა, რათგან 1246 წ., როდესაც იგი მონღოლთა ყაენთან მივიდა, ორივე ტახტის მაძიებელი მას უკვე იქ დაჰხვედრია [2].

ხოლო, როგორც თავის ადგილას გამორკვეულ-დასაბუთებული გვაქვს, რუსუდან დედოფალი 1245 წ., ან 1246 წ. დამდეგს უნდა იყოს გარდაცვლილი. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, რუსუდანმა რომ თავისი შვილი მონღოლებთან გაისტუმრა, ყაენთან მისული უფლისწული, ეამთააღმწერელის ცნობით, 2 წლის განმავლობაში იქ იმყოფებოდა. ამდენი ხნის ლოდინმა და შვილზე ამბების უქონლობამ რუსუდანი დააავადა და სამარემდის მიიყვანა. აქეთგან საფიქრებელია, რომ რუსუდანის ძე ნარინ-დავითი თავისი დედის სიკვდილის $2^1/_2$—3 წლით უწინარეს, ე. ი. 1242—3 წ. უნდა ვიგულისხმოთ საქართველოთგან მონღოლეთში გამგზავრებულად.

ბათო ყაენთან დესპანის გაგზავნის დროს რუსუდან მეფეს იმედი ექნებოდა, რომ მონღოლებთან დაზავება საქართველოსაც და მასაც ერთგვარად კვლავ მშვიდობიანობას დაუბრუნებდა. 17 წლის განმავლობაში აწიოკებულ-აფორიაქებული ხალხის ცხოვრება ასე თუ ისე თავის კალაპოტში ჩადგებოდა. მას ეგონა, რომ ამისთვის მისი შვილის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოყვანა და სპარსეთის მონღოლებთან გაგზავნა საკმარისი იქნებოდა. მაგრამ დავითის ყაენთან გამგზავრების აუცილებლობამ რუსუდანი დააოწმუნა, რომ საქმე ისე მარტივი და ადვილი არ იყო. 2 წელიწადზე მეტმა განელო დავითის საქართველოთგან წასვლის შემდგომ, მაგრამ სამეფოდ განმზადებული დავით რუსუდანის ძე არც თითონა ჩანდა, არც მისი ამბავი ისმოდა. რუსუდანი და მთავრობა დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი. დედის მწუხარებასა და დარდს საზღვარი არა ჰქონდა. ამდენი უბედურების მნახველს რუსუდანს სნეულება შეჰპარვია და გარდაცვლილა.

რუსუდან მეფის სიკვდილის შესახებ ქართველ ეამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ როდესაც ალამუთის წინააღმდეგ მონღოლები გალაშქრებას აპირებდნენ და «წარმოუვლინეს მოციქული მეფესა რუსუდანს, რათა მისცენ სამყოფი საქართველოსა ლაშქარი ალმოთს», ვითომც მეფე რუსუდან სწორედ «მას ჟამსა ტკბილისა შვილისათვის მწარედ ილეოდა, დასნეულებული გარდაიცვალა ტფილისსა და წარიყუანეს მთავართა დიდითა პატივითა და ტყეპითა, რამეთუ აღღარა

[1] „Alius vero, qui junior erat, veniebat cum matre ad Tartarorum imperatorem, pro eo quod Dauid praedictus ad ipsum iter arripuerat veniendi“.

[2] ბერეერონის გამ. chap. VII, გვ. 13.

ი პ ო ვ ე ბ ო დ ა ნ ა თ ე ს ა ვ ი მ ე ფ ე თ ა, რამეთუ ნარინ დავით ყარაყურუმს წარავლინა და სხუაი იგი დავით მკუდრად საგონებელ იყო, აქა რუსუდან გარდაიცვალა. რომელი დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა მონასტერსა გელათს» (*787, გვ. 622—623 [1]).

ამგვარად, თუმცა ქართველი ჟამთააღმწერელი რუსუდანის გარდაცვალების თარიღს არ ასახელებს, მაგრამ რა წელიწადს აქვს მაინც ნაგულისხმევი, ამის გამოანგარიშება შეიძლებოდა და, როგორც დავრწმუნდით, თითქოს 1249 წ. გამოდის. ბატონიშვილს ვახუშტს კი ნათქვამი აქვს, რომ რუსუდან მეფე «მოკვდა ტფილისს წელსა 1237, ქართულსა 457» [2]. შევსებულ-გადაკეთებულს ბარათაშვილისეულ ქ^ცაში ამის შესახებ ვრცელი ცნობა მოიპოვება. იქ ნათქვამია: «გარდაიცვალა ტფილისს ქორონიკონსა უნა (451)». ხოლო გასწვრივ კიდეზე განმარტებულია: ქ^ს აქათ ჩსლგ.:. (1233 წ.) ეს ამბავი სხვას ქორონიკონში ვიძიეთ, ამიტომ ასრე დავწერეთ. ამ ქ^კსა მოკუდა რუსუდან მეფე»-ო [3].

ვ ა ხ უ შ ტ ი ს ა და ბარათაშვილისეული ქ^ცის თარიღების შეუსაბამობა იმდენად ცხადია, რომ მათი განხილვაც კი არ ღირს. გასარჩევი გვაქვს მონღოლთა ბატონობის ქართველი ისტორიკოსის მიერ ნაგულისხმევი რუსუდანის გარდაცვალების თარიღი.

ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს თანახმად ისე გამოდის, ვითომც რუსუდანი 1249 წ. უნდა გარდაცვლილიყოს, მაგრამ ეს რომ მართალი არ არის, ამას რომის პაპის დესპანის პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ი ს ზემომოყვანილი ცნობაც ნათლად ამტკიცებს. ირკვევა: როცა მას ტახტის მაძიებელნი ორივე დავითი 1246 წ. თათართა ყაენთან დახვედრია, უკვე გაგონილი ჰქონია, რომ კანონიერი მემკვიდრის დედა-მეფე, ე. ი. რუსუდანი, უკვე მკვდარი იყო. სრულებით ცხადია, რომ ამ ამბავის ნოტანა რუსუდანის შვილს არ შეეძლო, რადგან საქართველოთგან დიდი ხანია წამოსული იყო, არამედ შედარებით ახალმოსულს პირს, ალბათ, ლაშა-გიორგის ძე დავითს. მაშასადამე აშკარაა, რომ რუსუდანი 1246 წლამდე და ამის ახლო ხანებში უნდა გარდაცვლილიყო.

მოიპოვება ქრონოლოგიური ცნობები, რომელნიც ზემოაღნიშნულ თარიღს კარგად უდგება. ერისთვიანთ კკლოსში მაგ., ნათქვამია: 1246 წ. «ქ^კსა ოთხას სამოცდა ექუსსა რუსუდან მეფე მიიცვალა»-ო [4]. მეორე წყარო, რომელსაც თ ე დ ო ჟ ო რ დ ა ნ ი ა გამოურკვეველი მიზეზის გამო აფხაზთა ქრონიკას უწოდებდა, ერთი წლით უფრო ადრე სდებს რუსუდანის სიკვდილს და ამ კკლოსში სწერია: 1245 წ. «ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ს ა: უ ჲ ე: დ ა ს ა ბ ა მ ი თ გ ა ნ:

---

[1] ქ^ლი ჟამთააღმწერელი ამ სიკვდილს ქრონოლოგიურად ალამუთზე გალაშქრების დასაწყისს უკავშირებს. რაკი ალამუთზე გალაშქრება მართლაც ალამუთის აღების 7 წლის წინათ დაიწყო და, როგორც ქ^ლ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს აღნიშნული აქვს, სწორედ «შვიდ წელ განგრძელდა ბრძოლა ალმუთისი» (*788, გვ. 624), მაშინ ბრძოლის დასაწყისი 1249 წელს (1236—7) უნდა ვიგულისხმოთ.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტორია, გვ. 231.

[3] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მ^მ დ^ფსი ქ^ცა, გვ. 622, შენ. 7.

[4] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Хрон. Эрист. Абаф. 12.

ხყმთ: აქა რუსუდან მოკუდა და მასვე წელსა დავით გამოვიდა»-ო[1]. უკანასკნელი ცნობა, ალბათ, უფრო სწორი უნდა იყოს, რათგან მონღოლთა უზენაეს ყაენთან 1246 წ. მისულმა პლანკარპინმა, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, იცოდა, რომ საქართველოს ტახტის კანონიერი მემკვიდრის დედა, ე. ი. რუსუდან მეფე უკვე მკვდარი იყო. ცხადია, ამ ამბის გაგება მხოლოდ იქ მყოფ ქართველთაგან შეეძლო. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოთგან მონღოლთა ყაენების საჯდომ ქალაქამდის თითქმის ერთი წელიწადი უნდებოდა ადამიანს მგზავრობა, ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსუდანი მართლაც 1245 წ. უნდა გარდაცვლილიყო[2].

---

[1] აფხ. ქრ-კა: ქკ-ბი II, 124.

[2] ნეორე თარიღი 1246 წ-ც უნდა ხედვითი გრაფიკული შეცდომის ნიადაგზე წარმომდგარიყო, რათგან „ე“ და „ვ“ ერთიმეორეს მიაგავს.

თავი მესამე

უმეფობის ხანა საქართველოში

[საქართველოს მეზობლების იერიშები და ქართველთა გამარჯვება]

რუსუდან მეფის სიკვდილმა საქართველოს მმართველი წრეები უდიდეს საგონებელში ჩააგდო: ნარინ-დავითის შესახებ არაფერი ისმოდა და მისი კვალი თითქოს გაქრა. ამნაირად, საქართველოს სამეფო ტახტი უპატრონოდ და სახელმწიფო უსაჭეთმპყრობელოდ დარჩა. ასეთი მდგომარეობა საქართველოს პოლიტიკური არსებობისათვის შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო, რათგან მეზობლები უეჭველია საქართველოს უმეფობით დაუყოვნებლივ ისარგებლებდნენ, საუკუნე-ნახევრის დაუცხრომელი აღმაშენებლობით მონაპოვრის ჩამოცილებასა და ოვიანთი ბატონობის უღლის დადებას შეეცდებოდნენ.

მართლაც, უმეფობის ხანაში ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით შამის, ანუ ასურეთის თურქთა გაიგეს თუ არა „უმეფობა ქართველთა“ და მონღოლთა სამსახურის გამო „უცალოება ქართველთა“, მაშინვე სამზადისს შეუდგნენ და 60000 ჯარითურთ ვინმე ყ ა რ ა ხ ა ნ ი ს მეთაურობით საქართველოს ასაკლებად წამოვიდნენ. პირველად მიადგნენ „ქუეყანასა ვალაშკერტისასა“, რომელიც ისტორიკოსის სიტყვით სულ ახალი აღებული ყოფილა, — «მას ჟამსა ოდენ აღეღო შანშეს»-აო. ყარახანმა თავის ლაშქრითურთ საქართველოს სწორედ ამ ახალშემოერთებული თემის «ვალაშკერტისა და რაჭს-იქით ქვეყანათა ვიდრე სურმანდამდე» აოხრებით დაიწყო. ეს სანაპირო «ეპყრა შანშეს მანდატურთ-უხუცესსა». შანშემ მაშინვე თავისი ჯარი შეყარა და ავაგ ათაბაგისაც მოიშველია, ისე რომ სულ «შეკრბეს მჴედარი ვითარ ოცდაათი ათასი». ამ მხედრობითურთ შანშე მანდატურთ-უხუცესი ვალაშკერტში მივიდა და იქ დაბანაკებულ მტრის განსადევნად სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა, რომელმაც დიდი მსხვერპლი შეიწირა, მეტადრე მტრის მხრით. ხოლო როცა «შენივთდა ომი, იძლია ყარახან იგი და სპა მისი ივლტოდეს». გაქცეულ მტერს ქართველებმა «დევნა უყუეს ვიდრე ხლათამდე, მოსრეს და ტყვე ყვეს სიმრავლე ურიცხვი, აღივსნეს ცხენითა, ჯორითა და აქლემითა, კარვითა და ხარგითა, ალაფითა ურიცხვითა». ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების შემდგომ შანშე მანდატურთ-უხუცესი «მივიდა ანისსა, სახლსა და ტახტსა მისსა»-ო (* 792—793, გვ. 630—631).

ჩვენი ისტორიკოსის ამ მოთხრობაში დასახელებული ასურეთის თურქები ალბათ შუამდინარისა და სირიის ათაბაგები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ყარახანი და მთელი ეს ამბავი სხვა წყაროებში ჯერ არსადა ჩანს, ამიტომ ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს მოთხრობის შემოწმება და შემთხვეულების ზედმიწევნით დათარიღება შეუძლებელია. ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა ვ ე სიტყვით საქართველოს მეზობლების გააფთრებული იერიში ზემოაღწერილი ბრძოლის შემდგომ

არ შეწყვეტილა, არამედ რაკი „განითქმოდა ყოველგან უმეფობა საქართველოსა, აღიძვროდეს ყოველნი ნათესავნი ოკრებად ქართველთა». ეხლა ჯერ მცირე აზიის თურქეთზე ძიმდგარა და დაძრულან «საბერძნეთსა მეფენი თურქნი და სულტანი ერზინკისა და სხვათა ქალაქთა შინა მყოფნი ამირანი», თავიანთი მრავალრიცხოვანი ლაშქრითურთ საქართველოში შემოსასევად. ეს ამბავი რომ სანაპირო თემების მცხოვრებთ შეუტყვიათ, შეშინებულთ ყუარყუარე ციხისჯვარელ-ჯაყელისათვის სასწრაფოდ კაცი უფრენიათ სწრაფი დახმარების სათხოვნელად. მასაც დაუყოვნებლივ დაუძახნია «ყოველთა მესხთა ერისთავთა და ყოველთა ტაძრეულთა»-თვის და 10000 მხედარი შეუყრია. მეომართა თავმოყრისთანავე ყუარყუარე მტრის დასახვედრად გაეშურა. მოწინააღმდეგე ჯარს ალთუხანისა და ონხანის მეთაურობით თურმე უკვე საქართველოს საზღვრები გადმოლახული ჰქონია: «ოლთისნი და ბალთაყური ყოველი მათ აქვნდა და აოხრებდეს ტაოსა» „და უკვე «ბანას გარემოსდგმოდეს». ყუარყუარე თავისი მხედრობითურთ მივიდა „თავსა კალმახისასა". ბრძოლა მტერთან ავნის ვაკეს მოხდა. ძლიერი და ორთავე მხრით თავგანწირული ბრძოლითგან გამარჯვებული ქართველები გამოსულან. მათ თურმე «აღიღეს ტყვე და იავარი ურიცხვი, ცხენი და ჯორი, აქლემი, კარვები [და] ყოველი სიმდიდრე, რომელი აქვნდა» მტერს. სამცხეში დაბრუნებულმა ყუარყუარე ჯაყელმა ეხლა თავისი „ძისწულნი" ივანე, რომელსაც ეწოდა პაპაჲ", და უმცროსი სარგის ახალი ჯარითურთ მტრისგან დაპყრობილი მიწაწყლის განსათავისუფლებლად გაისტუმრა. მათაც დავალებული საქმე აასრულეს: «აიღეს ოლთისნი და ბალთაყურის ციხე» რომელიც ჯერ კიდევ შემოსეული მტრის ხელში იყო, და ამნაირად საქართველოს ეს სანაპირო მტრისაგან გასწმინდეს (*793 — 795, გვ. 631 — 633). სხვა-ქვეყნელ ისტორიკოსთა ამის შესახებ ცნობების უქონლობის გამო ჩვენი ისტორიკოსის არც ამ მოთხრობის შემოწმება შეგვიძლია.

[მონღოლთაგან საქართველოში შემოღებული ნყობილება]

თვით მონღოლთა მოღვაწეობა უმთავრესად სამხედრო და დამპყრობელობითი სასიათისა იყო, თავიანთი წესწყობილებაც სამხედრო-საგვარეულო საფუძველზე ჰქონდათ დამყარებული. ამიტომ დაპყრობილ ქვეყნებსაც სამხედრო ელემენტის გაძლიერება და გავლენიანობა დაეტყო. მონღოლები თავიანთ ყმადნაფიც სამეფოებისაგან მხოლოდ მოლაშქრეობაში მონაწილეობის აუცილებლად მიღებასა და ხარკის წესიერად გადახდას თხოულობდნენ. ვინც უფრო მეტს სიმამაცესა და თაოსნობას იჩენდა, ის იყო მონღოლთათვის ძვირფასი და დიდ, დასაწინაურებელ და პატივსაცემ კაცადაც მათ სწორედ ასეთი პირები მიაჩნდათ. ამის წყალობით საქართველოშიც, სადაც მთავრობის სათავეში მწიგნობართ-უხუცესი იდგა და ვაზირთა-უპირველესადაც სამოქალაქო უწყების ეს უფროსივე და არა ამირსპასალარი იყო, მწიგნობართ-უხუცესის პირველობა და გავლენიანობა თანდათან დაიჩრდილა და ძალაცა და მნიშვნელობაც პირადი მამაცობითა და გამჭრიახობით გამოჩენილმა პირებმა მოიპოვეს. ამით აიხსნება, რომ მონღოლთა დროინდელი ჟამთააღმწერელის საისტორიო თხზულების მოთხრობაში მწიგნობართ-უხუცესი მოქმედ პირთა შო-

რის წინანდებურად უკვე აღარა ჩანს და საუბარი აქ უმთავრესად მთავრების მოღვაწეობაზეა. ამგვარად, მონღოლური წესწყობილების და ცხოვრების პირობათა გავლენით საქართველოშიც სამხედრო წრის წევრთა გაძლიერება შესაჭჩნევი ხდება. ამ გარემოებას ხელს უწყობდა საქართველოს მონღოლთაგან ახლად შემოღებული საშხედრო ერთეულებად, დუმანებად დანაწილება და ამ ერთეულების უფროსებად მთავრების დანიშვნა.

სპარსეთის მონღოლებმა აღმოსავლეთი საქართველო თავიანთი მართვა-გამგეობის წესების თანახმად „დუმან"-ებად დაჰყვეს. „დ უ მ ა ნ ი" მონღოლურად 10 000-სა ჰნიშნავდა, მაგრამ იმავე დროს სამხედრო და საქვეყნოდ გამრიგის სამოხელეო ერთეულსაც ეწოდებოდა. საქართველოს „დუმან"-ებად დაყოფას მონღოლებისათვის სამხედრო თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა, რათგან ამისდა გვარად საქართველოს თითოეულ ამ ერთეულთაგანს ჯარის გარკვეული რიცხვი უნდა გამოეყვანა მონღოლებისათვის.

მონღოლებმა დუმნის თავად ქართველი ერისთავთ-ერისთავები დანიშნეს. უპირველესად ეგარსლან ბაკურციხელს, რომელიც ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს დახასიათების თანახმად იყო „კაცი ღრმად მოუბარი" და „საკვირველი", მაგრამ არა „ნიჭთა მქონებელი სამჴედროთა", „მჴედრობისა წესთა ცარიელი" (*787, 792 და გვ. 623, 629), მისცეს «სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა». შანშეს ჩააბარეს «მამული მისი და ავაგისი». ვარამ გაგელს «ყოველი სომხითი», გრიგოლ სურამელს ქართლი, გამრეკელ-თორელს ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე [1]. დასასრულ, ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს «ყოველი იმერი სამეფო» ჰქონდათ ჩაბარებული (* 787—788, გვ. 623—624)[2].

მაგრამ მონღოლთა ამ სამხედრო განწესებამ საქართველოს მთავართა შორის ე გ ა რ ს ლ ა ნ ბ ა კ უ რ ც ი ხ ე ლ ი დააწინაურა: (ჟამთააღმწ. *792, გვ. 629). ისტორიკოსის სიტყვით მის სიტყვას ყველა ასრულებდა: «ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილებდეს. ვითარცა მეფესა,—თვით დიდი და პატიოსანი შანშე მანდატურთ-უხუცესი და გაგელი ვარამ და ყოველნი მთავარნი». ასეთი გავლენიანობა, რასაკვირველია არ შეიძლება მარტო მისი მონღოლთა წინაშე დაწინაურებით აიხსნას, არამედ მისი იმ დიდი ნიჭისა და მჭევრმეტყველების შედეგიც უნდა ყოფილიყოს, რომელმაც ეგარსლანს ღრმად მოუბარისა და საკვირველი კაცის სახელი გაუთქვა. აღსანიშნავია, რომ მოკლე ხანში ის თურმე «ეგზომ განდიდნა, რომელ კნინ-ღა და სახელის დებად-ცა მეფისა იკადრა» (*792, გვ. 629).

[გიორგი ლაშას ძის, დავით V-ის, საქართველოს ჯახჯის მეჯკვიდრეობა]

ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს თანახმად ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ნარინ-დავითი ყაენის ურდოში იმყოფებოდა და მისი ამბავი აღარა ისმოდა რა ისე,

---

[1] შესაძლებელია აქ ყუარყუარე ციხიჯვარელ-ჯაყელის სამფლობელოც იყოს, რომლის სახელი ი ნენ გადამწერისაგან იყოს გამოტოვებული.

[2] შად. გვ. 629. შენ. 9 [ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა].

რომ საქართველოში ის ცოცხალიც აღარ ეგულებოდათ, რაკი სამეფო ტახტის მემკვიდრედ რუსუდანის სიკვდილის შემდგომ აღარავინ იყო, «შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავარ ყოფა მათ ზედა ეგარსლანისი». მაგრამ დანარჩენნი ამის წინააღმდეგნი ყოფილან და ეგარსლანის კანდიდატურის მაგიერ სამეფო ტახტზე ლაშა-გიორგის უკანონო ძის აყვანა მოუსურვებიათ: «ამისთჳს შეკრბეს მთავარნი ამერის საქართველოსანი—შანშე, გარამ გაგელი, ყუარყუარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი, სურამელი გრიგოლ ქართლის ერისთავი, გამრეკელი-თორელი, ორბელნი და მრავალნი ერისმთავარნი და ძებნა ყუეს ლაშას ძის დავითისათჳს» (* 798—799, გვ. 638).

მოლაპარაკებას ლაშა-გიორგის ძის მეფედ დასმის აუცილებლობა დაუდასტურებია და ეს გარემოება საქართველოს მმართველ წრეებს მონღოლთა ნოინებისათვის მოუხსენებიათ, რომ მათ ქართველ დიდებულთა ამ განზრახვისათვის ხელი შეეწყოთ. მათ თანხმობა განუცხადებიათ და ჯარიც მიუციათ ამის განსახორციელებლად. როცა სულტანს შეეკითხნენ, მან ვითომც განაცხადა: «ძველ ოდესმე ექსორია ვყავ, აწ არს შვიდი წელი, არა უწყი ცოცხალ არს, ანუ მკვდარ»-ო (*800, გვ. 640).

სომეხთა ისტორიკოსს მ ა ლ ა ქ ი ა ს ა ც დავით ლაშა-გიორგის ძის მოძებნისა და მეფედ მოყვანის ამბავი უმეფობის ხანაში, რუსუდანის გარდაცვალების შემდგომ, აქვს მოხსენებული (გვ. 17). ბარათაშვილისეული ქართლის ცხოვრების ხელთნაწერში დავითის მეფედ გამოყვანის თარიღი რუსუდანის გარდაცვალების თარიღთან ერთად არის დასახელებული. «ქორონიკონსა უნა» (451), ქრისტეს აქათ ჩსლგ (1233 წ.) მოკუდა რუსუდან მეფე. მოუჯდა ფარუს ფოლადი, ამოსწყვიტნა სრულიად სამეფონი და არავინ ჰყუა გამვლენი. ა მ ა დ რ ო ს ა ა ლ ა ს ტ ა ნ ე ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ მ ე ფ ე მ ო ვ ი დ ა ყ ა ი ნ ს წ ი ნ ა შ ე მ ე ფ ო ბ ი ს ა გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ რ ა დ (sic). ვიდრე იქით მობრუნდებოდა, მოუჯდეს თათარნი და სრულად სამცხის სახლი გარდაელინეს»-ო[1]. ვის ეხება თარიღი და ვინ არის ბარათაშვილისეულ შევს-გადაკ. ქ-ცის ხელთნაწერის შენიშვნაში მოხსენებული „ალასტანელისა შვილი დავით მეფე“, რომელიც მონღოლთა ყაენთან მივიდა მეფობის გამოსათხოვნელად რუსუდან მეფის სიკვდილის უმალ? აზრისა და გარემოების მიმდინარეობის მიხედვით ეს დავით „ალასტანელისა შვილი“ ლაშა-გიორგის უკანონო შვილი დავითი უნდა იყოს. მაგრამ რატომ არის ის ალასტანელის შვილად წოდებული, როდესაც, თუნდაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ დედის შთამომავლობით არის ნახსენები, როგორც მეორე დავითს რუსუდანის ძეს ეძახდნენ და თვით ეს მეფეც თავის თავს თავის სიგელშიაც ასე უწოდებს, იგი ველისციხელი კაცის ნაცოლარის შვილად ჰყავს ქართველ ჟამთააღმწერელს მოხსენებული.

ალასტანელ მეფეთა შესახებ ჩვენს მწერლობაში ორი აზრი იყო გამოთქმული. ერთი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ არის დაბეჭდილი, მეორე—ს. კ ა კ ა-

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მ-მ დფ-სი ქ-ცა, გვ. 622, შენ. 7.

ბ ა ძ ე ს ეკუთვნის. პირველი ავტორის საბოლოო დასკვნა ამგვარია: „ალასტანელ მეფეთა შორის ეხლა ცნობილია დავით მეფე და მელქისედეგ მეცამეტე საუკუნეში, ანდრონიკე—მეთოთხმეტე საუკუნეში და აგრეთვე ცნობილია მეფე გიორგი, რომლის დრო მეფობისა დანამდვილებით არ ვიცით. სინას მთის სულთა მატიანეში ის მოხსენებულია დავით აღმაშენებელის შემდეგ. შეიძლება ის იყოს პირველი ალასტანელი მეფე“-ო [1].

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს ეს საკითხი უფრო ვრცლად და მეტი ცნობების განხილვა-გათვალისწინებით აქვს შესწავლილი თავის პატარა გამოკვლევაში „მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი“, რომელიც 1914 წ. „წვრილ შტუდიებ“-ს კრებულში იყო მოქცეული. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს სულ სხვანაირად აქვს გარემოება წარმოდგენილი. მისი აზრით „პირველად ჯავახეთი და ალასტანი მიეცა სამფლობელოდ დავით დიმიტრის ძეს, რომელიც გარდაიცვალა 1312 წ. და რომელსაც დარჩა შვილი გიორგი“-ო (გვ. 21). ცნობა დავითისათვის ჯავახეთ-ალასტანის მიცემის შესახებ ავტორს „ძეგლითგან ერისთავთა“ აქვს ამოღებული [2]. გიორგი 1331 წ. გარდაიცვალაო, ხოლო მემკვიდრედ დარჩა ანდრონიკე, „რომელიც ფლობს როგორც ქართლის ერთ ნაწილს, ისევე ჯავახეთსაო“ [3]. მეფე ანდრონიკეს რამდენიმე შვილი ჰყავდაო, რომელთაგან „მეორე შვილს გიორგის ერგო ჯავახეთი, რომლის ცენტრალურ ადგილს ამ დროს წარმოადგენდა სოფელი ალასტანი. თავისი რეზიდენციის სახელიდან თვით გიორგის ეწოდა ალასტანელი. რომ მართლაც ჯავახეთის და ალასტანის გამოყოფა ანდრონიკეს შემდეგ მოხდა, ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ანდრონიკე ზემოთ ნაჩვენებ წყაროებში (სულთა მატიანეში) ალასტანელად არ არის ნაჩვენები. გიორგი განაგებდა ჯავახეთს 1355 — 1373 წლებში“ და ქართლშიაც დიდი ძალა ჰქონდაო. ხოლო „რაკი 1373 წ. სომხითში გიორგი ალასტანელი იბრძვის, ამიტომ საფიქრებელია, რომ ლორე მისი შესავალითურთ მას ეკუთვნოდა. მაშინ გამოდის, რომ გიორგი ალასტანელის სამფლობელო გარდა ჯავახეთისა შეიცავდა სომხითის სამხრეთს ნაწილსაც (ლორეს)“-ო [4].

ალასტანელ მეფეთა საზოგადო საკითხს რომ თავი დავანებოთ და მხოლოდ ალასტანელის შვილს, დავით მეფეს, დაეუბრუნდეთ, უნდა გათვალისწინებული იყოს ის გარემოება, რომ ეს მერმინდელი ცნობაა და მას, რასაკვირველია, ისეთი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, რა მნიშვნელობაც თანამედროვეთა, ან მახლობელი დროის მემატიანის ცნობას ექნებოდა. მაგრამ, ცხადია, ბარათაშვილისეული ქ˜ცის შემავსებელს იგი რაღაც სხვა უფრო ძველ წყაროთგან უნდა ჰქონდეს ამოღებული. შეუძლებელია აქ ის დიმიტრის ძე დავითი იგულისხმებოდეს, რომელიც 1312 წ. გარდაიცვალა და რომელსაც ალასტან-ჯავახეთი მიეცა. აღსანიშნავია, რომ ქ˜ცის შ ე მ ა ვ ს ე ბ ე ლ ი დ ა ვ ი თ ს ა რ ც უ წ ო დ ე ბ ს ა ლ ა ს ტ ა ნ ე ლ ს, ა რ ა მ ე დ დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ი ჰ ყ ა ვ ს მ ხ ო-

[1] ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საისტ. მასალანი II, 42 შენ. 1913 წ.
[2] ქ˜ცბი II. 6 და. წვრილი შტუდიები, 19.
[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე წვრილი შტუდ. 22.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 22—23

ლრდ „ალასტანელის შვილად“. ამ მხრივ სცდება ე. თაყაიშვილი, როდესაც დავით მეფეს ალასტანელ მეფედ სთვლის,—ეს ქრ. ცის შემავსებელს არცა აქვს ნათქვამი,—მისი სიტყვებითგან ნათლადა ჩანს, რომ მას ლაშა-გიორგის ძის დავითზე აქვს საუბარი.

მაგრამ მაინც გასაოცარია, რატომ იწოდება ის ალასტანელის შვილად. თუ ქ. ცის შემავსებელის ზემომოყვანილი ცნობა ძართლაც ძველ და სანდო წყაროთგან მომდინარეობს, მაშინ იქნებ ასეთი სახელი დავით ლაშას ძეს იმიტომ დაერქვა, რომ მის დედას სასახლითგან წაგვრის შემდგომ ალასტანი მისცეს საცხოვრებლად. ან იქნებ თითონ ალასტანელი ქალიშვილი იყო ჩამომავლობით და ველისციხეში ხხოლოდ გათხოვილი იყო. არც ჟამთააღმწერელსა აქვს ნათქვამი, რომ ლაშა-გიორგის მიერ მოტაცებული სხვის ცოლი, რომელიც შემდეგ ლაშა-გიორგის ძის დავითის დედად იქცა, თვით ველისციხელი იყო. იგი ამბობს: „სოფელსა... ველისციხესა იხილა ქალი“ ლამაზი, რომელიც ქმარს მოსტაცა. (* 728, გვ. 545). ან იქნებ თვით ლაშა-გიორგიმ თავის ცოლ-ყოფილსა და უკანონო შვილს ალასტანი მისცა და უანდერძა საკუთრებად და სარჩომად. ლაშა-გიორგის რომ თავის უკანონო შვილისა და იქნებ დედისთვისაც ანდერძით თავისი მამულის ერთი ნაწილი მაინც დაუტოვებია, ამას პლან კარპინის ცნობაც ადასტურებს.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ბარათაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ცნობა დავით ალასტანელის ძის შესახებ ლაშა-გიოგის ძეს დავითის მეფედ გამოყვანას ჰგულისხმობს და ამ ცნობითაც სამეფო ტახტის მემკვიდრის კანდიდატად იგი რუსუდანის სიკვდილის წელს არის დასახელებული. ეს თუმცა სრულ ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ თვით თარიღი სრულებით მცდარია. რაკი 1246 წ. პლ. ან კარპინს ლაშა-გიორგის ძე დავით უკვე მონღოლთა ყაენის ურდოში უნახავს და რუსუდანი 1243 წ. გარდაცვლილა, ამიტომ დავით ლაშას-ძე უნდა ანიმავე 1245 წ., ან 1246 წ. დამდეგს ყოფილიყო საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამოყვანილი. ლაშა-გიორგის ძის დავითის სამეფოდ განზრახვისა, მოძებნისა და მოყვანის ამბავი ქ. ლ ჟამთააღმწერელს კი რუსუდანის სიკვდილის კარგა ხნის შემდგომ აქვს მოთხრობილი, სახელდობრ კოხტას თავს მომხდარი შეთქმულების მერმე. ამ ამბავის თარიღი აღნიშნული არ არის. კირაკოზ განძაკელს 1249 წ. აქვს დასახელებული და ეს თარიღი უდგება იმ თარიღს, რომელიც ქ. ლ ჟამთააღმწერელს რუსუდანის სიკვდილისათვის შეცდომით აქვს ნაგულისხმევი. ამგვარად, გამოდის, რომ დავით ლაშა-გიორგის შვილი 1249 წ. შემდგომ უნდა ყოფილიყო ნაპოვნი და თბილისში მოყვანილი. მაგრამ ეს შეცდომაა, რათგან პლან კარპინს, როგორც დავრწმუნდით, ეს ბატონიშვილი უკვე 1246 წ. მონღოლთა ყაენის სატახტო ქალაქში უნახავს.

ტყვეობითგან საქართველოში მოყვანილსა და დაბრუნებულს ლაშა-გიორგის შვილსა „მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი: შანშა და ძე მისი ზაქარია ამირსპასალარი... ყუარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლი, ქართლის ერისთავი, ორბელი, გამრეკელი, შოთა კუპრი და

ყოველნი მთავარნი თვინიერ ეგარსლანისა»-ო (*801, გვ. 641). ეგარსლან ბაკურციხელი თვით იყო საქართველოს მესაჭედ დასახელებული და, რასაკვირველია, ლაშა-გიორგის უკანონო შვილის გამეფების წინააღმდეგი იქნებოდა. ამიტომაც იყო, რომ ის უფლისწულს არ დაჰხვედრია. დავით ლაშას ძეც საქართველოს მთავრებმა ნოინებთან მიიყვანეს, მაგრამ ისინი ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივად მოქცეულან: «მეფობა ვერ დაუმტკიცეს, არამედ წარავლინეს დიდსა ბათო ყანისასა და წარჰყუეს შანშას ძე ზაქარია, ვარამის ძე აღბუღა და სარგის თმოგველი» (*801, გვ. 641—642).

დავით ლაშას ძის საქართველოთგან მონღოლთა უზენაეს ყაენთან გამგზავრების თარიღის გამორკვევა ძალიან ადვილია, რათგან ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ 1246 წ. აგვისტოზე ადრე ის უკვე უზენაეს ყაენთან ყოფილა, ხოლო რათგან რუმითგან საქართველოში რუსუდან მეფის სიკვდილის შემდგომ ანუ 1245 წ. იყო მოყვანილი, მაშასადამე, 1245 წ. საქართველოში დაბრუნების უმალ, როგორც ეტყობა, სასწრაფოდ ყოფილა მონღოლთა ყაენთან საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად გასტუმრებული.

არც ბათო ყაენმა მოისურვა ამ საკითხის გადაწყვეტა, არამედ მანგუ ყაენთან გაისტუმრა, რომ მან «განბჭოს, რომელსაცა ორთაგან დავითს ხვდებოდეს მეფობა, მას დაუმტკიცოს»-ო (*801—802, გვ. 642). უზენაეს ყაენთან მისულთ «დახვდეს მანგუ ყანისა ნარინ დავით მეფე, ათაბაგი ავაგ, სურამელი, გამრეკელი, ამირეჯიბი ბეშქენ» (*802, გვ. 642).

([ბრძოლა დავით IV-ისა და დავით V-ის მომხრეთა შორის])

ყველა ზემოგამორკვეული ქრონოლოგიური ცნობები დავით რუსუდანის ძის თანამოსაყდრედ და შემდეგ მონღოლებთან წარვლენილობის შესახებ სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად, მეორე მხრით ლაშა-გიორგის ძის დავითის მონღოლებთან იმავე მიზნით გასტუმრების შესახებ გვაფიქრებინებენ, რომ საქმის ვითარება მრავალგვარი ზღაპრული და მედასეობითი დანართისდა მიუხედავად ქ[ლ ეამთააღმწერელს არსებითად სწორად უნდა ჰქონდეს გადმოცემული. ცხადი ხდება, რომ აზრი ლაშა-გიორგის ძის საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ დასახელების შესახებ სულ ბოლოს, მართლაც, დავით რუსუდანის ძის მონღოლებთან გასტუმრებისა და რუსუდან მეფის სიკვდილის შემდგომ უნდა დაბადებულიყო საქართველოს მმართველთა წრეში, როდესაც ჩვენი ქვეყანა ადგილობრივ უმეფოდ დარჩა რუსუდანის გარდაცვალების გამო და მისი შვილის დავით მეფის შესახებ თითქმის სამი წლის განმავლობაში აღარაფერი ისმოდა ისე, რომ ისიც გარდაცვლილად იყო საგონებელი.

მხოლოდ როდესაც დავით ლაშა-გიორგის ძე თავისი ამალითურთ მონღოლებთან მისულა, მაშინ გამორკვეულა საქმის ნამდვილი მდგომარეობა და უკვე ამ დროითგან, როცა შეცდომის წყალობით სამეფო ტახტის ორი მაძიებელი აღმოჩნდა, საქართველოს წარმომადგენელნი ორ ბანაკად დაყოფილან და თითოეულს თავისი კანდიდატის უფლების დაცვისა და მოწინააღმდეგე ჯგუფის საბუთიანობის დარღვევისათვის მიუყვიათ ხელი. საქმე მეტისმეტად

გაჭიანურდა და დასასრული არ უჩანდა: «ესრე მრავალჟამ იყოფებოდეს ხატაეთს და ყარაყურუმს» (* 802, გვ. 642) და უცდიდნენ გარჩევასა და განაჩენს: «იყოფვოდეს ორნი იგი დავით და დავით.... და ათაბაგი ავაგი ხატაეთს და ყარაყურუმს, დაყუნეს ვითარ ხუთისა წლისა ჟამი» (* 802, გვ. 643).

მაგრამ მოპირდაპირე მხარეები და ორივე ტახტის მაძიებელნი მათი მომხრეებითურთ ტყუილად და გულხელდაკრეფილები კი არა მსხდარან, არამედ ორივე თავის საქმის გაკეთებაზე ზრუნავდა და «იურვოდეს ორნივე მეფობასა» (* 807, გვ. 649). მოწინააღმდეგენი ყოველგვარი იარაღითა და საშუალებით ებრძოდნენ ერთიმეორეს, მათ შორის უპირველესად სახელმწიფო სამართლის დებულებათა საბუთიანობითაც. «თმოგველი სარგის ძლიერად წინააღუდგებოდა თჳთ ნარინ დავითს და რომელნი მის წინაშე იყუნეს თანაზრდილნი მისნი, რამეთუ იტყოდეს: „არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თჳთმპყრობელისა და მამაკაცისამან“. ხოლო იგინი მიუგებდეს, ვითარმედ „დაღათუ ნარინ დავით დედაკაცისა ნაშობი იყო, არამედ მეფეევე იყო გჳრგჳნოსანი რუსუდან ძმისა მისისა გიორგისგან დატოვებული და მეფისავე ძე არს ნარინ დავით“» და ამგვარად დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდა ცილობაო (* 807, გვ. 649).

ქართველ ჟამთააღმწერელს კარგად აღუნუსხავს ლაშა-გიორგის ძის დავითის მომხრეთა ჯგუფისგან რუსუდანის ძის დავითის წინააღმდეგ წამოყენებული საბუთიანობა, მაგრამ ამ უკანასკნელის მომხრენი კი ბოცილეთა იერიშებს როგორ იგერიებდნენ და რანაირი მოსაზრებით დავით ლაშა-გიორგის ძის გამეფების საწინააღმდეგოდ შეტევასაც კი აწარმოებდნენ, ამაზე ლაპარაკი თითქოს ავიწყდება. რომის პაპის დესპანისაგან ვიცით დანამდვილებით, რომ ჟამთააღმწერელის მიერ დასახელებულ საბუთის გარდა რუსუდანის ძის დავითის მომხრეებს სხვა, ქართული და საზოგადო სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გარემოება წამოუყენებიათ ლაშა-გიორგის შვილის გამეფების უკანონობის დასამტკიცებლად. ჩვენ უკვე ვიცით, რომ პლანკარპინს ნათქვამი აქვს და უეჭველია ასევთვით ქართველთაგან ექმნებოდა გაგონილი, რომ ლაშა-გიორგიმ თავის უკანონო შვილს თავისი მიწების ერთი წილი დაუტოვა მხოლოდ. ცხადია, რომ მეფობის უფლება მამას მისთვის არ გადაუცია და დავითისათვის ის ნაანდერძევი მიწები ან საუფლისწულო მამულად ანდა საცხოვრებელად დაუტოვებია. ამის უფლება ლაშა-გიორგის, რასაკვირველია, ჰქონდა. რომის პაპის დესპანმაც იცოდა, რომ მეფეს, რომელსაც უკანონო შვილი დარჩა, სამეფო ტახტის მემკვიდრედ ვაჟი კი არ მოჰყვა, არამედ ქალი, რომელსაც კანონიერი შვილი და მემკვიდრე ჰყავდა. ამასთანავე რომის პაპის დესპანმა ისიც კარგად იცოდა, რომ ლაშა-გიორგის ძეს მეფობის დამკვიდრების არავითარი, არც ანდერძობით მოპოვებული, არც მემკვიდრეობითი უფლება არა ჰქონდა. მისი მომხრენი და თითონ ისიც თავიანთ თხოვნას თურმე ლაშა-გიორგის ანდერძზე, ან ქართულ სახელმწიფო სამართალზე არც ამყარებდნენ. ლაშა-გიორგის რაიმე ყველასათვის სავალდებულო პოლიტიკური თვისების ანდერძი რომ ყოფილიყო, უეჭველია, ამ გატარებულ ბრძოლაში გამოყენებული იქნებოდა,

მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ამის თქმას ვერავინა ბედავდა. პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ი ს სიტყვითგან ჩანს, რომ როდესაც დავით რუსუდანის ძე ლაშა-გიორგის ძისათვის მამისაგან დატოვებულ წილის დამკვიდრებასაც კი მისი ნაბიჭვრობის გამო უარჰყოფდა, დავით ლაშა-გიორგის ძეს თავის უფლებათა დასაცავად სხვა ვერავითარი საბუთი ვერ მოუძებნია იმის გარდა, რომ მონღოლთა სამართალს ამოჰფარებია. მას განუცხადებია: მართალია, თუმცა საყვარლის შვილი ვარ, მაგრამ მაინც ვთხოულობ, რომ მომესაჯოს თათართა სამართლის მიხედვით, რომელიც კანონიერ და უკანონო ცოლთა შვილებს ერთიმეორისაგან არაფრით არჩევენო [1].

მაშასადამე, წყაროებითგან ირკვევა, რომ დავით რუსუდანის ძისა და დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრეთა ორთავე ჯგუფი ბრძოლას მოწინააღმდეგის დასამარცხებლად უფლებრივ ნიადაგზე აწარმოებდნენ. ყოველ სხვაგვარ მოსაზრებათა გარდა საკითხი იმის გარშემო ტრიალებდა, თუ რომელს ამ ორ დავითთაგან ჰქონდა კანონიერი უფლება საქართველოს მეფედ გაბხდარიყო. ქართული და სხვაგანაც მიღებული ჩვეულებრივი სახელმწიფო სამართლის დებულებათა მიხედვით სამეფო ტახტზე მდედრობითი სქესის შთამომავალს მხოლოდ მაშინ ენიჭებოდა ასვლის უფლება, როდესაც მამრობითი სქესის შთამომავალი აღარ იყო სამეფო საგვარეულოში, ან ოჯახში. სწორედ ამაზე დაუმყარებიათ თავდაპირველად იმედი ლაშა-გიორგის შვილის დავითის მომხრეებსრათგან ის ძე იყო „თჯთმპყრობელისა და მამაკაცისა“, ამიტომ ისინი ამტკიცებდნენ, რომ უკანონოა და «არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან», ე. ი. რუსუდანის ძემ დავითმა «დაიპყრას მეფობა»-ო. მაგრამ ამ შემთხვევაში იურიდიული საკითხი არც ისე მარტივი იყო, როგორც მას ლაშა-გიორგის ძის მომხრე ჯგუფი უეჭველია განზრახ ამარტივებდა. საქმეს ის გარემოება ართულებდა, რომ დავითი ლაშა-გიორგის უკანონო შვილი იყო და სამოქალაქო სამართლის მიხედვით უკანონო შვილს მაშინ არც მამის სამკვიდრებელის დამკვიდრების უფლება ჰქონდა და არც წოდებრივად შეეძლო თავისი ნახევარ-ძმების „კანონიერი“ შვილების თანასწორად ყოფილიყო ცნობილი. ქართული სახელმწიფო სამართლით ხომ უკანონო შვილი უფლისწულად არ ითვლებოდა და მეფობის დამკვიდრების უფლება მას არ ჰქონდა. რუსუდანის ძის მომხრეთა ჯგუფს და თვით დავითსაც სწორედ ამ გარემოებისათვის მიუქცევიათ ყურადღება და, როგორც პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ი ს ცნობითგან ჩანს, განუცხადებიათ კიდეც: არა, ლაშა-გიორგის შვილს დავითს მამის სამფლობელოს დამკვიდრების უფლება არა აქვს და არც შეუძლია, რათგან ის ხარჭის, საყვარელის ნაშობი და უკანონო შვილია, რუსუდანის შვილი კი, ნარინ-დავითი, თუმცა მართალია «დედაკაცისა ნაშობი იყო, არამედ მეფეევ იყო გჯრგჯნოსანი რუსუდან, ძმისა მისისა გიორგისაგან დატოვებული, და მეფისავე ძე არს ნარინ დავითი»-ო. რუსუდანის ძის მომხრეთა საბუთიანობა რომ

[1] „... legitimus filius... repetebat terram quam relinquerat pater filio suo Dauid, cum non deberet habere, quia adulterae filius erat. Ille vero respondit: licet sim filius concubinae, peto tamen, ut fiat mihi justitia secundum legem Tartarorum. qui nullam differentiam faciunt inter filios legitimae et ancilae“

თანამედროვე ენით გამოითქვას, საკითხი მდედრობითი სქესის შთამომავალის უუფლებობის შესახებ მათ საქმის გარემოების შეუფერებლად გამოუცხადებიათ, რათგან ამგვარი საკითხი შეიძლებოდა რუსუდანის გამეფების დროს წამოჭრილიყო და არა ამ შემთხვევაში. ხოლო, რაკი რუსუდანის მხრით საბეფო ტახტის დამკვიდრების კანონიერ უფლებაში თვით მის ძმას და დავითის მამას. ლაშა-გიორგის, არავითარი ეჭვი არ ჰქონია და თითონ მანვე დასტოვა რუსუდანი თავის მემკვიდრედ და მეფედ, ეხლა მისი შვილი ვითარცა „მეფის ძე“ საქართველოს კანონიერი მეფის ერთადერთი კანონიერი ტახტის-მემკვიდრე იყო.

როგორც რუსუდან მეფისა და ათაბაგის რომის პაპისადმი მიწერილი ეპისტოლითგან, ისევე დავით რუსუდანის ძის თანამოსაყდრედ დასმისა და მონღოლებთან მეფედ დასამტკიცებლად პირველად სწორედ მხოლოდ მისი გასტუმრებითგან, ცხადი ხდება, რომ თვით რუსუდანიც ერთადერთ კანონიერ მეფედ იყო მიჩნეული თავის ძმის სიკვდილის შემდგომ და მისი შვილი დავითიც სამეფო ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა. ეს გარემოება პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ მ ა ც კ ი იცის, ცხადია, იქ მყოფ ქართველებისგანვე. ეს კი იმის დამამტკიცებელია, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის კანონიერი უფლება მხოლოდ რუსუდანის ძეს ჰქონდა და ამის უარყოფა არც მის მოწინააღმდეგე ჯგუფსა და ბიძაშვილს შეეძლო.

პლან კარპინის სიტყვებითგან ჩანს, რომ რუსუდანის ძის მომხრეთა ჯგუფის საბუთიანობა ქართულ სახელმწიფო თვალსაზრისით მოწინააღმდეგე ჯგუფისათვის იმდენად შეურყეველი გამომდგარა, რომ ლაშა-გიორგის ძეს დავითს და მის მომხრეებს ამ ნიადაგზე ბრძოლისათვის თავი უნდა დაენებებინათ. მაგრამ ამ მხრივ დამარცხებულთაც დათმობა არ ჰსურდათ და თავისი წადილის გაყვანა მაინც ყოველგვარი საშუალების გამოყენებით უნდოდათ. რომის დესპანის ნაამბობი ამტკიცებს, რომ ლაშა-გიორგის ძეს დავითს და მის დასს მართლაც გამარჯვების მოსაპოვებლად ასეთი უკადრისი საშუალებისა და ხერხისათვის მიუმართავს, როგორიცაა უცხო, დამპყრობელი ერის სამართალზე დამყარება და ამ გზით საქართველოს სახელმწიფო სამართლის კატეგორიული მოთხოვნილების დარღვევა.

ლაშა-გიორგის ძეს დავითს, რომელსაც მონღოლებმა შემდეგ ულუ-დავითი უწოდეს, ყმაწვილობაში ბევრი სიმწარე უნახავს, „ჭირი“ და განსაცდელი მას თავს დასტრიალებდა. ეს გარემოება მის დროინდელ საეკლესიო კრებასაც აქვს აღნიშნული, რომელიც ამ ამბავს უკვე ხანში შესულ მეფეს აგონებს: საქართველოს არც ერთი მეფე თქუენთა ოდენთა ჭირთა, ღუაწლთა და განსაცდელთაგან არა ჴსნილა, ვითა ღმერთსა, თქუენსა მჴსნელსა თქუენ უჴსნიხართ»-ო [1].

ზევით ჩვენ უკვე განხილული გვქონდა კრიტიკულად ის ზღაპრული ცნობები, რომელიც ულუ-დავითის თავგადასავალის შესახებ XIII ს. დამლევისა და XIV ს. პირველი ნახევრის ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს თავიანთ

[1] იხ. გ. გ ო ბ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა: საისტ. მოამბე, 1925 წ. I., 221.

თხზულებებში შეუტანიათ, და იქ გამორკვეულია, თუ რამდენად დაშორებულია ამ ავტორთა ნაამბობი სიმართლეს. შეძლებისდაგვარად იქ აღნიშნულია ულუ-დავითის ნამდვილი თავგადასავალი, როგორც მისი გამორკვევა იმდროინდელი ცნობების მიხედვით შეიძლება. მაგრამ დავით ლაშას ძის თავგადასავალს ყველაფერი ზღაპრული რომ ჩამოვაშოროთ, მისი ბედი მცირეწლოვანობის დროს მაინც, რასაკვირველია, ტკბილი და სანატრელი არ იქნებოდა. მარტო ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მისი დედა სამეფო სასახლითგან განდევნილი იყო და უკანონო შვილი იყო, მისი ორჭოფული მდგომარეობის გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს. თუ ეხლა ამას ზედართულს ობლობას და მცირეწლოვანობას დაკუმატებთ, თანაც მის უცხოეთში გათხოვილ მამიდაშვილთან ერთად გატანებასა და იქ თავზე დამტყდარ უბედურებასაც გავიხსენებთ, მაშინ მისი მაშინდელი ბედი მართლაც საბრალოდ გვეჩვენება.

მაინც აღსანიშნავია, რომ პლან კარპინს არაფერი აქვს ნათქვამი არც რუსუდან მეფისგან ლაშა-გიორგის უკანონო შვილის დევნისა და მოსაკლავად განწირვის შესახებ, არც იმ ზღაპრული თავგადასავლის თაობაზე, რომელიც, ქართველ ჟამთააღმწერელისა და სომეხ ისტორიკოსთა ცნობით, ვითომც ლაშა-გიორგის ძეს რუსუდანის წყალობით უნდა თავს დასტყდომოდეს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ, რაკი პლან კარპინისათვის საქართველოს სამეფო ტახტის მაძიებელთა ბრძოლისა და მოპირდაპირეთა საბუთიანობა ასე დაწვრილებით უამბნიათ, მის მომხრე ჯგუფს ლაშა-გიორგის ძის საარაკო და განმაცვიფრებელი თავგადასავალი არ ეამბნა და მას ეს თავის აღწერილობაში არ შეეტანა. ამიტომ პლან კარპინის დუმილი ამის შესახებ ვგონებ იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ მას მაშინდელ ქართველთაგან ლაშა-გიორგის ძის ზღაპრული თავგადასავალისა არა გაუგონია რა. მაშასადამე, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ 1246 წ. ამგვარი თქმულება ჯერ კიდევ არ ყოფილა გავრცელებული და მხოლოდ შემდეგ უნდა იყოს იგი დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრეთა წრეებში შეთხზული. რათგან საქართველოში ამ ორი მეფის გარშემო და მათი მემკვიდრეების დროს შემდგომაც მეტოქეობა მთლად დამცხრალი არ იყო, საკითხი ამ ორი დავითის გამეფების კანონიერების შესახებ შემდეგშიაც მწვავე და საკამათო იქნებოდა. ამ მეტოქეობა-კამათში უნდა შეთხზულიყო თანდათანობით ლაშა-გიორგის ძის დავითის მომხრეთა წრეებში ის ზღაპრული თავგადასავალი და თქმულებები, რომელთა წყალობითაც მათ რუსუდანისა და მისი შვილის სახელი და მეფობის კანონიერება უნდა გაეტეხათ.

ქართველ ჟამთააღმწერელს, როგორც ეტყობა, ამის შესახებ ლაშა-გიორგის ძის დავითის მომხრე წრის აზრთა გამომხატველი ისტორიკოსის ცნობებით უსარგებლია და მისივე შეხედულება აქვს შეთვისებული. თვით ქართველთავე შეუთანხმებლობის წყალობით საქართველოს სამეფოს კანონიერი ხელმწიფის არჩევის საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა: რაკი «ცილობა იყო მეფეთა შორის და არა განეჩინეს ყღბილაყანს, თუ რომლისა იყო მეფობა», სწორედ ამიტომ ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით «ამისთჳს დაშ-

თეს მრავალთა წელთა ყარაყურუმს» და თითოეული მათგანი თავთავისათვის ცდილობდა. შემდეგ თვით ყაენსაც მოსწყენია ეს საქმე და მებრძოლი მხარენი თავითგან მოუშორებია: «ყანმან ყუბილამან წარმოავლინნა ორნივე მეფენი ძმასა მისსა ულოსა თანა და მიუმცნო ესრეთ, რათა უკეთუ სთნდეს, ორთავე მისცეს მეფობა». ამავე ავტორის ცნობით ამ უკანასკნელს სწორედ ასეც უქმნია და «ორთავე დაუმტკიცა და მისცა ყოველი სამეფო მათი» (* 308, გვ. 650—651).

ასე მოგვითხრობს ქართველი ჟამთაღმწერელი. მაგრამ ქართველი ისტორიკოსის ეს ცნობა მთლად არ მართლდება. პლანკარპინის სიტყვით 1247 წლისათვის ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი ყოფილა და-გუჯჭ ყაენს უპირატესობა ლაშა-გიორგის ძის დავითისათვის მიუნიჭებია. პ. კარპინს აღნიშნული აქვს კიდეც, რომ საქართველოს კანონიერმა მემკვიდრემ, დავით რუსუდანის ძემ, საქმეც წააგო და საჩუქრებმა და ძღვენმაც ტყუილად ჩაუარაო. მაინც უნდა ითქვას, რომ რომის პაპის დესპანის ცნობა იმდენად გარკვეული და მკაფიო არ არის, რომ ზოგიერთ ეჭვს არ იწვევდეს [1]. ლათინური ტექსტის მიხედვით ასე გამოდის: „რის გამოც განაჩენი კანონიერი შვილის წინააღმდეგ იქმნა დადებული, რომ ის დავითი, რომელიც უფროსი იყო, იყოს და ქვეყანაც, რომელიც მას მამამ მისცა, მყუდროებით და მშვიდობიანად ჰქონდესო: და ამგვარად მან (ე. ი. კანონიერმა მემკვიდრემ) ის ძღვენიც დაჰკარგა, რომელიც (ყაენს) მიართვა, და საჩივარიც, რომელსაც თავისი ძმის დავითის წინააღმდეგ აწარმოებდა, წააგო“ [2].

რადგან საჩივარი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსუდანის ძე დავითი თავის თავს, სამეფო ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედა სთვლიდა და თხოულობდა, რომ ლაშა-გიორგის ძეს დავითს ის საცხოვრებლად თუ საუფლისწულოდ მიცემული მიწებიც, რომელიც მას მამამ დაუტოვა, ჩამორთმეოდა, პლანკარპინის სიტყვებითგან თითქოს ისე გამოდის, რომ რუსუდანის ძეს მხოლოდ იმდენად უნდა წაეგო საქმე, რამდენადაც ის თავის უკანონო ბიძაშვილის მამისაგან ანდერძით დატოვებული მიწების დამკვიდრების უფლებას უარჰყოფდა. ამგვარად, თითქოს ისე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთსაც და მეორე დავითებს დაუმტკიცდათ უფლება, რუსუდანის ძეს საერთოდ სამეფოზე იმ გამონაკლისით, რაც ლაშა-გიორგიმ თავის ვაჟს უანდერძა საცხოვრებლად, რომელიც მონღოლებმა მის კანონიერ კუთვნილებად იცნეს. მაშასადამე, მონღოლები ისე მოქცეულან, როგორც ჩვეულებრივ თითონაც თავიანთ საკუთარ ქვეყანაში იქცეოდნენ ხოლმე, საბრძანებელი მემკვიდრეთა-

---

[1] Unde fuit data sententia contra filium legitimum, ut ille Dauid qui major erat subesset et terram haberet quiete et pacifice, quam dederat ei pater: et sic donaria quae dederat et causam qua contra fratrem suum Dauid habuerat, amisit“. ბერჟერონის ფრანგ. თარგმ. „Si bien qu'il fut jugé au praufit du bâtard, qui etait l'aîné et fut confirmé en sa possession et l'autre perdit ainsi sa cause, et tous les beaux presens qu'il avo it faits (Voyage du Plan Carpin, Bergeron-ის გამოც. I, 58.).

[2] ძველი ფრანგული თარგმანი არც სრულია და არც ზედმიწევნითი, არამედ აზრის მხოლოდ საზოგადოდ გადმომცემი, ამიტომ ვამოსადეგი არ არის.

შორის გაუყვიათ. საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა ამით მონღოლთა თვალსაზრისით არ ირღვეოდა იმგვარადვე, როგორც თვით მონღოლების უზარმაზარი საბრძანებელი ოთხად დაყოფისდა მიუხედავად ერთი უზენაესი ყაენის მქონებელი იყო და მთლიან სახელმწიფოდ ითვლებოდა.

აღსანიშნავია და ქვემოთ მოყვანილი და განხილულიც იქმნება, რომ უკვე XIII—XIV სს-ში ყოფილა ერთი ისტორიკოსი მაინც, რომელიც დარწმუნებული ყოფილა და ამტკიცებდა, რომ მონღოლებმა მეფობა ლაშა-გიორგის ძეს დავითს მისცეს მხოლოდ მისი უფროსობის გამოო და იმთავითვე რუსუდანის შვილი უკმაყოფილო დასავლეთ საქართველოში გაიპარა და იქ გამაგრდაო. ნაგრამ ქართველი ჟამთააღმწერელი სულ სხვას ამბობს და, როგორც უკვე მოყვანილი გვქონდა, მისი ცნობით საქართველოს მეფობა ტახტის ორთავე მაძიებელისათვის უნდა დაემტკიცებინოთ მონღოლთა ყაენებს.

ამ საკითხს სპარსელი ისტორიკოსის ჯუვეინის 1260 წ. ახლო ხანებში დაწერილი საისტორიო შრომა სწყვეტს უცილობლად. ჯუვეინის სიტყვით გუჯჭ ყაენმა داود دیگر کرد حکم داود دامحکوم پسر قیر ملك ქალი-ხელმწიფის შვილი დავითი მეორე დავითის ბრძანების ხელქვეშეთად გახადაო (ტარიხ-ი ჯეჰანქუშოჲ ٢١٢ ხოლო ერთ ხელნაწერში ყიზ-მელიქის შესახებ ასეთი განმარტება მოიპოვება قیر ملك زنی هرکه پادشاه تمامت گرج بود (იქვე, სქოლიოებში): ყიზ-მელიქ (ქალი-მეფე) ერთი ქალი იყო, რომელიც სრულიად საქართველოს (სწერია ქართველთა) მეფე იყოო.

ამგვარად, სპარსელი ისტორიკოსის ცნობის თანახმად გუჯჭ ყაენს რუსუდანის ძე დავითი ლაშა-გიორგის ძის დავითისათვის დაუქვემდებარებია, ე. ი. უფროს მეფედ დავით ლაშა-ვიორგის ძე უცვნიათ, ხოლო დავით რუსუდანის ძე უმცროს მეფედ გამხდარა ისევე, როგორც თვით მონღოლებს ოთხი ყაენი ჰყავდათ, რომელთაგან ერთი, უხუცესი უზენაეს უფლებებით იყო აღჭურვილი და დანარჩენებზე უფროსად ითვლებოდა. ამგვარად, საცილობელი საკითხი ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად კი არ გადაწყვეტილა, არამედ მონღოლთა სამართლისამებრ.

საქართველოში ამ ამბავმა სიხარული გამოიწვია, რათგან ამით უმეფობით დამყარებულ გამოურკვეველს და პოლიტიკურად სახიფათო მდგომარეობას ბოლო ეღებოდა. როგორც მონღოლებმა ორთავ დავითს მეფობა დაუმტკიცეს, ისევე ორივენი «მოვიდეს ტფილისს სიხარულითა და შეკრბეს კათალიკოზი და ყოველნი ეფისკოპოზნი და ყოველნი მთავარნი და ერისმთავარნი, დასხდეს ტახტსა მამათა მათთასა ტფილისს დავით და დავით ორნივე» (მ^ნმ დფსი ქცა * 809, გვ. 651).

ასე აქვს წარმოდგენილი ქართველ ჟამთააღმწერელს მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობა. თითონ იგი ამ ამბების არც თვითმხილველი და არც თანამედროვე არ ყოფილა. ამიტომ უეჭველია ეს ამბებიც მას წერილობითი და ნაწილობრივ ზეპირი წყაროების მიხედვით უნდა ჰქონდეს მოთხრობილი. მაგრამ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ ქართველმა ისტორიკოსმა კარგად იცოდა, რომ ამავე ამბების შესახებ სულ

სხვანაირი აღწერილობაც არსებობდა მის დროს. თვით ჟამთააღმწერელის სიტყვებითგანაც ჩანს, რომ მასზე უწინარეს უკვე ყოფილა საზოგადო ხასიათის საისტორიო თხზულება, თავის თვისებების გამო, ალბათ, სხვადასხვა წყაროებზე დამყარებული ნაშრომი, კომპილაცია, რომელშიაც ეს ხანა და ამბები თურმე უკვე აღწერილი იყო. მან კარგად იცის, რომ მის, ჟამთააღმწერელისაგან, დახატული სურათი და საქმეთა მიმდინარეობა ყველასგან შეწყნარებული არ იყო, არამედ მთელი ეს ამბები სულ სხვანაირად იყო მოთხრობილი. თავისი აზრის საწინააღმდეგო ნაამბობი თვით მასვე აღნუსხული და წყაროც მოხსენებული აქვს. ქართველი ჟამთააღმწერელი ამბობს: «მოწევნულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხვა ვინმე ყოველთააღმწერელი იტყჳს, ვითარმედ ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გუჯჳ ყანმა[1] ესრეთ გაბჭო, რომელ მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ. და ესრეთ წარმოაველინა და რუსუდანისა ძე დავით მაშინვე ლტოლვილ ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს»-ო (* 809, გვ. 651—652).

ვინ იყო ის ყოველთააღმწერელი, რომელსაც ორთავე დავითის შესახებ ზემომოყვანილი ცნობა მოეპოვებოდა, ქართველ ჟამთააღმწერელს აღნიშნული არა აქვს, მისი გამონათქვამი „სხვა ვინმე“ გვაფიქრებინებს თითქოს, რომ მას ამ ისტორიკოსის სახელი არ უნდა სცოდნოდეს. არც ისა ჩანს, ქართველი იყო იგი, თუ უცხოელი. ქართველ მეფეთა შესახები ცნობის შეტანილობა ყოველთააღმწერელის ქართველობის მაუწყებელ საბუთად თავისდათავად ვერ გამოდგება, რათგან ვითარცა ყოველთა მომთხრობელს სხვადასხვა წყაროები უნდა ჰქონოდა და ეს ცნობებიც, ალბათ, იქითგანვე უნდა მომდინარეობდეს. რაკი ამ დროს ერთადერთს სომეხ ისტორიკოსს ვარდანს, რომელსაც ე. წ. „მსოფლიო ისტორია“ (*Պատմութիւն Տիեզերական*) აქვს 1291 წ. დაწერილი, ქართველი ჟამთააღმწერელის მიერ ზემომოყვანილის მსგავსი ცნობა არ მოეპოვება, შეუძლებელია იგი იყოს ნაგულისხმევი. ხოლო ის გარემოება, რომ ყოველთააღმწერელს ასეთი დაწვრილებითი ცნობები ჰქონია ქართველ მეფეთა შესახებ, ავტორის ეროვნების, უფრო მისი ქართველობის დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ.

ქართველ ჟამთააღმწერელს ეს ცნობა შეუწყნარებლად მიაჩნდა: «მე არა შევიწყნარებ ამას»-ო, აცხადებს იგი გადაჭრით, შემდეგი მოსაზრებისა გამო: «პირველად უწყოდეთ, რომელ... მეფობა ორთავე მანგუ ყანის შვილმან ყუბილა-ყან მოსცა და ულო-ყანისა წარმოაველინა და მანცა ორთავე დაუმტკიცა მეფობა და ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იპოვების და თჳთ მეცა შინახავს, რომელ სიგლებისა თავსა სწერია „მეფენი ბაგრატოვანნი ნებითა ღ˝თისათა დავით და დავით“ და ჴელიცა ორთავესი რთავს „ჩემ დავითისაგან მტკიცეა“ და „ჩემ დავითისაგანცა მტკიცე არს“. ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ»-ო (* 809, გვ. 652).

---

[1] ნ˝მ დ˝ფს ქ˝ცა-ში „გვყუნა“, თეიმურაზისეულში „გუყუნა“, რომელნიც გადამწერთაგან უნდა იყოს დამახინჯებული „გუჯჳ ყანმა“. პლან კარპინის სიტყვით ორივე მაძიებელი მასსწორედ გუჯუქ ყაენთან უნახავს.

ამ მეფეთა საერთო სიგლებს, რომელნიც ქართველ ჟამთააღმწერელის დროს თურმე მრავლად ყოფილა საქართველოში შენახული, ჩვენამდის სამწუხაროდ არ მოუღწევიათ, ჯერჯერობით მაინც აღმოჩენილი არ არის. მხოლოდ შიომღ. მონასტრის 1250 წ. გრიგოლ მსახურთ-უხუცესისადმი მიცემული საბუთი მართლაც ორთავე მეფის, «პატრონთა საუფლოითა ჴელითა» არის დამტკიცებული და ერთი მათგანი თავის ხელრთვაში ამბობს „ქ. დამინიშნავს“-ო და მეორეც „ქ. დაგუინიშნავს“-ო [1], მაგრამ მეფეებს თავიანთი სახელი აღნიშნული არა აქვთ, თუმცა ცხადია ორივე დავითი უნდა ყოფილიყვნენ. რათგან ჟამთააღმწერელს გარკვევით აქვს ნათქვამი და თვით მისგან მოყვანილი ხელრთვის ნიმუშითგანაც ჩანს, რომ მას საბუთად ისეთი სიგელები მოჰყავს, რომელშიაც მეფეთა სახელი მოხსენებული იყო, ცხადია ის სხვა საბუთები ყოფილა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კათალიკოზ მიქაელის XIII ს. შუა რიცხვების მსახურთ-უხუცესის ვაჩე გვარამასძისადმი ნაბოძებს სიგელსაც „ღმრთისა სწორთა პატრონთაგან“ ჰქონია დამამტკიცებელი ხელრთვა. რათგან ამ საბუთის დედანი არა ჩანს, უცნობი პირისაგან XIX ს. გადმონაწერში კი მხოლოდ ერთი მეფის ხელრთულობაა „ჩუენ დავით მეფეს დამინიშნავს»-ო [2], თუმცა შეიძლება მეორე ხელრთულობა გადმომწერს გამორჩენოდეს, მაგრამ მაინც სათუოა და არ გამოდგება. მხოლოდ ქართველი ისტორიკოსი რომ მაინც მართალი იყო, როდესაც ლაშა-გიორგის ძისა და რუსუდანის შვილის იმთავითვე ცალცალკე მეფობის ცნობას არღვევდა და მათ საერთო მეფობას ამტკიცებდა, ამას აბელიის ეკლესიის იმდროინდელი წარწერაც ადასტურებს. ამ წარწერაში მანგლელი მთავარეპისკოპოსი არსენი შჯდაჲ ძე მართლაც ამ ორსავე დავით მეფეებს ერთად იხსენიებს და ამბობს: «ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დავით და დავით... რომელთა წყალობითა ღირს ვიქმენ აღშენებად ეკლესიისა ამის სამლოცველოდ მეფობისა მათისა»-ო [3]. არც ქართველ ჟამთააღმწერელსა და არც სხვა რომელსამე ისტორიკოსს აქვს აღნიშნული თარიღი, როდესაც ორ დავითს შორის ატეხილი ცილობა მონღოლებმა გადასწყვიტეს. მხოლოდ ჟამთააღმწერელის სიტყვითგან ჩანს, რომ ორთავე მოპირდაპირე მხარეს 5 წელიწადის განმავლობაში მოჰხდომიათ საქმის გათავებისათვის ცდა. შესაძლებელია აქ იმ დროითგან იყოს ნაანგარიშევი, როდესაც ლაშა-გიორგის ძე და რუსუდანის შვილი ერთიერთმანეთს მონღოლთა ყაენის კარზე შეხვდნენ და ბრძოლა გააჩაღეს. რათგან უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ ეს ამბავი 1246 წ. დამდეგს უნდა მომხდარიყო, ამიტომ ისე გამოდის, რომ საკითხი მათი საქართველოში მეფობის შესახებ 1251 წ. უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ შესაძლებელია აქ სუთი წელიწადი დავით რუსუდანის ძის მონღოლებთან გამგზავრებითგან იყოს ნაანგარიშევი. ნარინ-დავითი კი, როგორც დავრწმუნდით,

---

[1] ს. კაკაბაძე, სიგ. მსახურთუხ. გრიგოლ სურამელისა, 1250 წ. გვ. 6.

[2] ს. კაკაბაძე, XIII საუკ. პირველი ნახევრის კათალიკოზები, 6.

[3] იხ. ე. თაყაიშვილი, Арх. экскурсии II, 16.

1242—3 წ. უნდა წასულიყო ყაენთან. ამისდაგვარად ორი დავით უფლისწულის საქართველოს სამეფო ტახტის გამო ატეხილი დავა უნდა 1247—8 წ. ვიგულოთ დამთავრებულად.

მართლაც, როგორც აღნიშნული გვქონდა პლანკარპინის ცნობითაც ამ 1247 წ. გუჯჭ ყაენს დავა დავით ლაშას ძის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. თუ რომის პაპის დესპანის ნაამბობი სრული მკაფიოობით არ არის გამოთქმული, ჩვენ ამავე საკითხის შესახებ რაშიდ ედ დინის, თხზულებაში გარკვეული ცნობა გვაქვს შენახული, რომ გუჯჭ ყაენმა დავითი მეფე-ქალის ძე მეორე დავითს დაუმორჩილაო[1]. მაშასადამე, გუჯჭს ლაშა-გიორგის ძის, ულუ-დავითის, უფროსობა უცვნია და ნარინ-დავითი რუსუდანის ძე მასზე უმცროსად აღუარებია. ამ ალაგას, სადაც რაშიდ ედ დინს ორ დავითს შორის ატეხილი დავის გადაწყვეტაზე აქვს საუბარი, თარიღი დასახელებული არ არის, მაგრამ ცხადია გუჯჭის გაყაენების, ანუ 1246 წლის შემდგომ, ან და მის სიკვდილამდე (1248 წ.) უნდა მომხდარიყო, ალბათ, იმავე 1247 წ., როგორც პლანკარპინსა აქვს აღნიშნული. ამგვარად თანამედროვის, რომ ჭის პაპის დესპანის პლანკარპინისა, სპარსელ ისტორიკოსის რაშიდ ედ დინისა და უცნობი, ალბათ ქართველი, ყოველთაღმწერელის თანხმობრივი ცნობით ჟამთააღმწერელის აზრი ირღვევა და ყოველთაღმწერელის სიტყვები მართლდება, რომ დავა საქართველოს სამეფო ტახტის მაძიებელთა შორის სწორედ გუჯჭ ყაენმა გადასწყვიტა. ცილობა 1247 წ. დამთავრებულა.

მაგრამ როგორ? ყოველთაღმწერელის სიტყვით გუჯჭ ყაენს ვითომც მეფობა მხოლოდ ლაშა-გიორგის ძისათვის დაემტკიცებინოს. ნამდვილად ასე ჰქონდა მას ნათქვამი, თუ არა, არ ვიცით, ჟამთააღმწერელს კი ასე აქვს გადმოცემული. პლანკარპინის სიტყვით, თითქოს ულუ-დავითმა ძოიგო საჩივარი, რუსუდანის ძემ კი წაავო და რა მიწებიც მამამ ულუ-დავითს უანდერძა. ნარინ-დავითის წინააღმდეგობისდა მიუხედავად ყაენისაგანაც მიეკუთვნა. რათგან დანამდვილებით არ ვიცით, თუ ლაშა-გიორგიმ თავის უკანონო შვილს სახელდობრ რა მიწები უანდერძა, ამიტომ პლანკარპინის ცნობის შინაარსი ჩვენთვის პუნდოვანი და გაუგებარი ხდება. ერთი რამე მაინც ცხადია, რომ ულუ-დავითს საჩივარი მოუგია და ნარინ-დავითს თავისი ვერ გაუტანია. ჯუვეინისა და რაშიდ ედ დინის ცნობები ყველაზე გარკვეული და ყველაზე უფრო მართალიც უნდა იყოს. მათი სიტყვით გუჯჭ ყაენმა მეფე ნარინ-დავითი ლაშა-გიორგის ძეს ულუ-დავითს დაუქვემდებარა. ნარინ-დავითიც ამგვარად მეფედ დარჩა, მხოლოდ უპირატესობა ულუ-დავითს მიენიჭა. ამგვარი წესი ჰქონდათ თვით მონღოლებს და საქმე საქართველოშიაც თავისი. უფლებრივი რწმენისდა თანახმად მოუწყვია გუჯჭ ყაენს. მაშასადამე, ჟამთააღმწერელი მართალი იყო, როდესაც ორთავე დავითის მეფობის აზრს

---

[1] სპარსული ტექსტის გვ. ۲۶۷.

ოცავდა, მაგრამ სცდებოდა, როდესაც ამ დავის გადაწყვეტა გუჯჭის მაგიერ ყუბილაჲ ყაენს მიაკუთვნა და როცა ორთავე დავითის მეფური უფლება მათ შორის სრულებით სწორად განაწილებულად აღიარა: ერთგვარი უფროსობა მონღოლთა ყაენისაგან ლაშა-გიორგის ძესა ჰქონდა მიკუთვნილი. უნდა აღინიშნოს, რომ თავის შრომის მეორე ალაგას ამ გარემოებას არც თვით ჟამთაღმწერელი უარჰყოფს და მასაც ნათქვამი აქვს: «დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ... ხოლო უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა დავითს ეპყრა ლაშას-ძეობისათვის დაღაცათუ უხუცესობისათვის[ცა]» (* 809—810, გვ. 652—653). მაგრამ ეს ზეჯდომა და უპირატესობა ულუ-დავითს თავისდათავად კი არ მოუპოვებია, არამედ როგორც ჯუვეინისა და რაშიდ-ედინის სიტყვებითგან ირკვევა, მონღოლთა ყაენისაგან ჰქონია მონიჭებული. რაკი როგორც დავრწმუნდით საქართველოს სამეფო ტახტის გამო ცილობა ულუ და ნარინ დავითებს შორის 1247 წ. უკვე გადაწყვეტილი იყო, ორთავე მეფე თუ იმავე 1248 წ. არა, 1249 წ. მაინც საქართველოში დაბრუნებულად უნდა ვიგულისხმოთ.

[ᲙᲝᲮᲢᲐᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲦᲐᲦᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲝᲜᲑᲐ]

პლან-კარპინს 1247 წ. ქვეშე აღნიშნული აქვს, რომ მონღოლები შოშორებით მცხოვრებ ერებს, რომელნიც ამასთანავე მათ მაინცადამაინც არაფრად აგდებენ, რბილად ეპყრობიან და მარტო ხარკის აკრეფით კმაყოფილდებიან, როგორც მაგ., ისინი ქართველებს მოექცნენ, რომელთაგანაც მარტო ხარკსა ჰკრეფენ, მაგრამ მაინც შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ქართველები ლამის არის აჯანყდნენო[1]. ეს ცნობა ჩვენთვის ორი თვალსაზრისით არის საყურადღებო: იგი ჯერ ეს ერთი ამტკიცებს, რომ პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეული ქართველების უკმაყოფილების ამბავი თვით მონღოლთა ყაენის საჯდომს ქალაქშიც იცოდნენ. ხარკი მაინცადამაინც დიდი არა ჰქონიათ დადებული, მოპყრობითაც ქართველებს მონღოლები, რამდენადაც შეეძლოთ, რბილად და თავაზიანად ეპყრობოდნენ, მაგრამ მაინც საქართველო ასაჯანყებლად ძზად არისო. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოხტასთავის შეთქმულების გამომწვევ მიზეზად ალამუთის ლაშქრობა აუცილებლად საჭირო არ იქნებოდა, რათგან ნიადაგი მანამდე დიდი ხანია მზადა ყოფილა და ქართველებისათვის, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოს ძლიერების ხანა თავის თვალით ნანახი ჰქონდათ და არა ერთი ქვეყანა ჰყავდათ ყმადნაფიცად, მონღოლთა ბატონობის თუნდაც მსუბუქი უღელის ატანა, რასაკვირველია, არაფერი სასიამოვნო იქნებოდა და ისინი უეჭველია სულ მუდამ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ოცნებაში იქნებოდნენ და ყოფილან კიდეც.

---

[1] Obeses et Georgiens, dont ils tirrent... de tribut et toutefois nous avons depuis oui dire qu'ils sont sur le point de se revolter" (Voyage du Plan Carpin en Tartarie, ბერეეროვის გამ. გვ. 58), სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: აჯანყების წერტილამდე არიან მისულებიო.

ცხადია, რომ ცნობა ქართველთა სულიერი განწყობილებისა და აჯანყების გუნებაზე ყოფნის შესახებ პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ს ან თვით ყაენის კარზე მისულ ქართველთაგან ექნებოდა მიღებული, ან მონღოლთა მმართველ წრეებში ექნება გაგონილი. თავისდათავად იბადება საკითხი, ერთგვარ წინასწარმეტყველებასთანა გვაქვს საქმე, თუ ეს ცნობა საქართველოში უკვე მომხდარი შემთხვეულობის ამოძახილს წარმოადგენს და პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ი ს ეს სიტყვები აჯანყების მოსაწყობად კოხტასთავს განზრახული შეთქმულების გამომჟღავნებაზე იყო დამყარებული და ამ ამბავითვე იყო მხოლოდ გამოწვეული? საფიქრებელია, რომ კოხტასთავის შეთქმულება სწორედ უმეფობის დროს უნდა მომხდარიყო იმავე 1247 წ., როდესაც პ ლ ა ნ კ ა რ პ ი ნ ს საქართველოს აჯანყებისათვის მზადმყოფობაზე აქვს ცნობა მოყვანილი, ახლო მომდევნო დროს. კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს აღწერილობითაც ისე გამოდის, რომ საქართველოში მომხდარი შეთქმულება ავაგის სიკვდილამდე მომხდარა. ავაგი კი კ ი რ ა კ ო ზ ი ს სიტყვით 1249 წ. გარდაცვლილა[1]. თარიღი ერთგვარ ამოცანას წარმოადგენს, რათგან რკონის 1259 წ. სიგელს სხვათა შორის ავაგ-სარგისიც ხელს აწერს, მაგრამ ის თავისთავს ამირსპასალარად არ ასახელებს და იქნებ იგი შაჰანშაჰის ძე იყო[2] და არა ივანესი, რომელიც სომხურ წარწერებში 1247 წ. შემდეგ მართლაც აღარა გვხდება, და ამიტომ კირაკოზის თარიღი უნდა სწორი იყოს. ქართველი ჟამთააღმწერელის მთხრობით კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ კოხტასთავს შეთქმულება არამცთუ ავაგის სიკვდილამდე, არამედ მის ურდოთგან საქართველოში დაბრუნებამდე[3] უნდა მომხდარიყო, რაც, როგორც დავწმუნდებით, მხოლოდ 1246 წ. ან 1247 წ. არის საგულისხმებელი.

შეზობელთა გახშირებული იერიშებისა და „ამათ შეოთთა" დროს საქართველოს მმართველმა წრეებმა საქვეყნო საქმეზე მოსალაპარაკებლად ერთად შეყრა და მოლაპარაკება გადაწყვიტეს: «შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავს იმერნი და ამერნი ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპრი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელი გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი, ტაოელნი». ამ მოლაპარაკების დროს საერთო ჩივილი ყოფილა: «რაჲ ვყოთ? არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ვბრძოდეთ თათართა», ჩვენ კი შეთანხმებულსა და გაერთიანებული ძალით ბრძოლას არ ვაწარმოებთ და ერთმანეთისაგან „განდგომილ ვართ" და ამის წყალობით «ვერ წინააღდგებით თათართა». ისინი ჩვენი დაქსაქსულობით სარგებლობენ და «ბოროტად გუაჭირვებენ ესეოდენ, რომელ ყოველთა წელთა ალმუთს წარვალთ» თათრებთან ერთად ამ ციხის ასაღებად და ამ დაუსრულებელ ბრძოლაში «ჭირთა და ყოველთა ღვაწლთა შემთხვევად»-ო. მსჯელობის დროს საქართველოს მდგომარეობის ვამოსწორება შესაძლებლად იყო ცნობილი. მოთათბირეთ დაუდგე-

---

[1] სტ. ორბელიანის სიტყვით კი 1250 წ. იხ. ღუკასიანის გამ. გვ. 398 და 412.

[2] იხ. კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს ისტორია, 377.

[3] თუ ჟამთაღმწერელს აქ შეცდომა არ შეეპარა, რათგან მის წასვლაზე ნათქვამი არა აქვს, დაბრუნებას კი მოგვითხრობს.

ნიათ, რომ მაინც „არს ღონე“: თუმცა «უმეფო ვართ, არამედ შევკრბეთ ყოველნი და ვბრძოდეთ თათართა»-ო. ამგვარად «დაამტკიცეს ომი და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა და განიყარნეს», რომ საომრად მომზადებულიყვნენ. ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი სხვებივით „წარვიდეს კაზმად“, მაგრამ, როგორც საქართველოს ისტორიაში არა ერთხელ მომხდარა, აქაც საიდუმლოება გამომჟღავნებულა და «ესმა თათართა ერთგან შეკრება». მონღოლებს ეს ამბავი ისე სწრაფად შეუტყვიათ, რომ ცოტნე დადიანისა და რაჭის ერისთავის გარდა დანარჩენი შეთქმულთაგანი ჯერ კოხტასთავითგან წასული არ ყოფილან. ისტორიკოსის სიტყვით მონღოლები «მივიდეს კოხტას თავსა» თუ არა, იქ «დახვდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი», რომელნიც კი შეთქმულების მონაწილენი იყვნენ. რაკი «ლაშქარი გაყრილ იყო», ან უფრო რომ ჯერ შეყრილი არ ჰყავდათ, ამიტომ ბრძოლა შეუძლებელი იყო, მონღოლებს «ვეღარა წინააღუდგეს» და მათაც ყველანი დაჭერილები «წარასხეს ქვეყანასა ანისისასა, ადგილსა რომელსა ეწოდების შირაკავანი».

გამოძიება დაიწყო. მონღოლები ეკითხებოდნენ: «რა არს შეკრება თქვენი, არა იქმთ განდგომილებასა?» მაგრამ საქართველოს მთავრებს პირი შეკრული ჰქონდათ და ყველანი ერთნაირად უპასუხებდნენ, რომ ჩვენი შეკრებილობის მიზეზი იყო, «რათა განვაგოთ საქმე თქვენი და ხარკი განგიჩინოთო». მონღოლთა ნოინს ეს არ დაუჯერებია და, დაჭერილი დიდებულები რომ გამოეტეხნა, «ბრძანა განძარცვა ყოველთა მჭედართა, შეკრვა ყოველთა, სიცხესა შინა შიშველთა... ზედა დასხდომა და ყოველთა დღეთა ჰკითხვიდეს მიზეზსა შეკრებისასა და უკეთუ არა აღიარონ, სიკუდილსა მისცენ ყოველნი ესე ზემოხსენებულნი მთავარნი». მაგრამ შეთქმულების მონაწილენი ვერც ამით გამოტეხეს იმისდა მიუხედავად, რომ ასეთი სატანჯველი კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს, აჯანყებისათვის დანიშნული „პაემანი“, ვადაც დადგა და ცოტნე დადიანიც საომრად შეყრილ ლაშქრითურთ რკინის ჯვარში მოვიდა და აქ ცოტნე დადიანს «აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად» და ყველაფერი რაც მათ თავს გადახდათ. ისტორიკოსის სიტყვით ცოტნე დადიანი ამის გაგონებაზე «მწუხარე იქმნა უზომოდ და თჳსად სიკუდილად [და] სიცოცხვილად შერაცხა საქმე იგი». მან თავისი ჯარი შინ გაისტუმრა, თითონ კი «ორითა კაცითა წარვიდა დამდები სღლისა თჳსისა» და ანისში მივიდა თუ არა, «ესე წარჩინებულნი მოედანსა შინა დაკრულნი მკრითა შიშველნი მსხდომარე იყუნეს». ამ სანახაობას ცოტნე დადიანზე საშინელი შთაბეჭდილება მოუხდენია: «ვითარ იხილა ცოტნე წარჩინებულნი ესრეთ უპატიოდ და სიკუდილად განწირულნი, გარდაჴდა ჰუნისაგან და დააბნია სამოსელი თჳსი, განშიშვლდა და შეიკრა მკარი და დაჯდა წარჩინებულთა თანა». მონღოლებს ცოტნე დადიანის ქცევა გაჰკვირვებიათ და, მათ ნოინს რომ დაუბარებია და გამოუკითხავს, მას კოხტასთავზე შეკრებილობის მიზეზად იგივე დაუსახელებია, რაც დანარჩენ დიდებულებს, და თუ ამისთვის ასეთი სასჯელი დაგინიშნავთ, მეც მირჩევნია მათი ხვედრი გავიზიაროო. ამ პასუხმა და ქცევამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ნოინმა ცოტნე დადიანს დაუჯერა, დაჭერილნი უდანაშაულოდ აღიარა და ცოტნე დადიანს განუცხადა: «აწ ვინათგან

ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ, შენდა მონდობილ ვართ». და ამის შემდგომ «განუშვნეს ყოველნი ესე წარჩინებულნი»-ო (* 795—798, გვ. 633—638).

ამ მშვენიერი, გმირული თავგანწირულების მაგალითით შემკული ამბისათვის მონღოლთა-დროინდელს ქართველ ისტორიკოსს რაღაც წყარო ჰქონია, რომელსაც ასახელებს კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ სწორედ ეს სტრიქონი დამახინჯებულია და ამ წყაროს გამორკვევა ამის გამო ძნელდება. კოხტასთავის შეთქმულების აღწერილობას სათაურის სახით წითურად წინ უძღვის: „მართალ არს მოთხრობა ჟამთა". ასეა მარიამ დედოფლისეულისა და თეიმურაზისეულ ხელთნაწერებში [1]. უეჭველია, ამ წინადადების უკანასკნელ სიტყვას ბოლო აკლია. საფიქრებელია, რომ თვით წინადადებაც დაუმთავრებელია, მაგრამ აზრი მაინც ცხადია, რომ ჩვენ ისტორიკოსს უნდა მკითხველს აუწყოს, რომ კოხტასთავის შეთქმულების მოთხრობა, რომელიც ვიღაც ჟამთა[აღმწერელს] შეუტანია თავის თხზულებაში, მართალია. ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომლის ცნობითაც ჩვენ ავტორს უსარგებლია, არა ჩანს, რათგან XIII ს. თითქმის ყველა ქართული საისტორიო თხზულებები დაკარგულია, სომხურსა და სპარსულ საისტორიო მწერლობაში კი მთლად ამის მაგვარი მოთხრობა არა გვხვდება. ამიტომ ამ მოთხრობის შემოწმება ჯერჯერობით მაინც შეუძლებელია. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი დაუჯერებელი გარემოება: როგორ მოხდა, რომ ცოტნე დადიანმა კოხტასთავს ამოდენა ქართველი მთავრების დაჭერის ამბავი შრავალი დღის განმავლობაში, სანამ პაემანი არ დადგებოდა და შეიარაღებულ ჯარით კოხტასთავისაკენ არ გაეშურებოდა, ვერ გაიგო?! ეს დაუჯერებელი ამბავია და ასეთი შეთქმულების შესახები ცნობის მიღების შემდგომ გულხელდაკრეფილები უეჭველია არც მონღოლები ისხდებოდნენ და ამიტომაც შეიარაღებული ჯარით მესხეთში გადმოსვლის უფლებას არავის მისცემდნენ. ცოტნე დადიანი რომ კოხტასთავისაკენ ლაშქრის თანხლებით წასულიყო, ეს გარემოება მონღოლებს, რასაკვირველია, არ გამოეპარებოდათ და ასეთ პირს, რამდენიც არ უნდა ეფიცა, თქვენთვის მოსაცემი ხარკის გასანაწილებლად შევიყარენითო, არავინ დაუჯერებდა. ამიტომ, უეჭველია, ამ მოთხრობაში ზოგი რამ პოეტურად გადაჭარბებული და შეფერადებული უნდა იყოს.

კოხტასთავს განზრახული შეთქმულების მსგავსი ცნობა ქართველი ჟამთააღმწერელის გარდა სომეხთა ისტორიკოსებს მალაქიასა და კირაკოზ განძაკელსაც აქვთ მოთხრობილი, მაგრამ თუ ქართველი ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს, რომ ეს ამბავი უმეფობის ხანაში მოხდა და შეთქმულების მომწყობთა მწუხარებას მოგვითხრობს: „აღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნეს და ვბრძოდეთ თათართა", და მათ ნათესავსაც უმატებს: მართალია „უმეფო ვართ", მაგრამ შეერთებული ძალით ვძლიოთ მტერსაო,—მალაქია და კირაკოზი კი ამტკიცებენ, ვითომც შეთქმულება დავითის მეფობის დროს მომხდარიყოს [2]. კირაკოზ განძა-

---

[1] იხ. ე. თაყაიშვილის გამოც. გვ. 633.

[2] *Ibid.* 20 და 189—190. თბილისის გამ. 1910 წ. გვ. 303—305.

კელის სიტყვით ეს ამბავი 1249 წ. ახლო ხანს მომხდარა. ჟამთააღმწერელი ამბობს: შეთქმულების მომწყობნი განსაკუთრებით ალამუთის საწინააღმდეგო ბრძოლაში იძულებით მონაწილეობას უჩიოდნენ—«ყოველთა წელთა ალმუთს წარვალთ ჭირთა და ყოველთა ღვაწლთა შემთხვევად»-ო. თუ ეს უკანასკნელი ცნობა მართალია, ამ ამბავის თარიღის დაახლოვებით გამოანგარიშება შეგვეძლება. ალამუთი 1256 წ. იქმნა მონღოლთაგან აღებული. მის გარემოცვას და მის წინააღმდეგ ბრძოლას შვიდი წლის განმავლობაში გაუტანია (ჟამთააღ. * 788, გვ. 624). მაშასადამე, ალამუთის გარემოცვის დასაწყისი 1249 წ. უნდა ვიგულისხმოთ. საქართველოს დიდებულთა ზემომყვანილი ჩივილი კი გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ლაშქარი ამ ბრძოლაში „ყოველთა წელთა" მონაწილეობით უკვე თავმობეზრებული იყო. რაც უნდა გაზვიადებული იყოს სიტყვა, ერთი წელიწადი მაინც უნდა ვივარაუდოთ ბრძოლის დაწყების შემდგომ. მაშინ კოტტასთავს აჯანყების მოსაწყობად განზრახული შეთქმულების თარიღად დაახლოვებით 1249—1250 წ. უნდა ვიანგარიშოთ. ამგვარად, ეს თარიღი კირაკოზ განძაკელისას უახლოვდება, მაგრამ, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ამ გამოანგარიშებას მნიშვნელობა ეკარგება, რათგან ალამუთის წინააღმდეგ მონღოლთა სამხედრო მოქმედების დასაწყისი ამაზე რამდენიმე წლით ადრე უნდა ვიგულისხმოთ. ამ დროს ულუდავითი და დავით-ნარინი საქართველოში დაბრუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ ისე, რომ მაშინ უმეფობაზე ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლებოდა.

ამგვარად, თითქოს კირაკოზ განძაკელის სიტყვა უნდა სამართლიანად მივიჩნიოთ და კოტტასთავის შეთქმულება დავით მეფის დროის შემთხვეულებად აღვიაროთ. მთელი ამ ამბავისა და შეთქმულების ყოველივე გარემოება კი უფრო უმეფობის ხანას უდგება და ჟამთააღმწერელის მოთხრობა უფრო მართალსა ჰგავს. ამიტომ ბუნებრივად იბადება საკითხი, სწორია თუ არა ერთის მხრით ქართველი ისტორიკოსის ცნობა, რომ შეთქმულება აჯანყების მოსაწყობად მართლაც ალამუთის ლაშქრობის სიმძიმით იყო გამოწვეული, ან თუნდ საბაბად იყო გამოყენებული,—მეორე მხრით, სწორია, თუ არა, კირაკოზ განძაკელის მიერ ამ შემთხვეულებისათვის დასახელებული თარიღი? მეორე მხრით აღსანიშნავია, რომ კირაკოზ განძაკელის მიერ 1249 წ. ახლოხანს აღწერილ შეთქმულებას ჟამთააღმწერელისაგან ნაამბობს კოტტასთავის შეთქმულებასთან საერთო მხოლოდ ისა აქვს, რომ ორივე საქართველოში მომხდარა და ორივე ნაადრევი გამჟღავნების გამო ჩაიფუშა. სხვაფრივ კი მათ შორის არსებითი განსხვავებაა: ჯერ ერთი კირაკოზის სიტყვით შეთქმულების მონაწილენი დავით მეფესთან შეყრილან და არა უმეფობის დროს, თბილისში და არა კოტტასთავს. შემდეგ ჟამთააღმწერელი ავაგ ამირსპასალარს შეთქმულების მონაწილეთა შორის არ იხსენიებს, რათგან ის ამ დროს ყაენის ურდოში იყო ორივე დავითებთან ერთად და იქითგან საქართველოში ჯერ დაბრუნებული არ იქნებოდა. კირაკოზის სიტყვით კი ავაგი ამ შეთქმულების წინააღმდეგი ყოფილა და დიდებულებიც ავაგის კეთილისმყოფელის ჯაღატა ნოინის და არა ჩორმაღონისა, როგორც ჟამთააღმწერელი ამბობს, წყალობით გადარჩენილან სიკვდი-

ლისაგან, ცოტნე დადიანის შესახებ მას არაფერი აქვს ნათქვამი. დასასრულ, სომეხთა ისტორიკოსის სიტყვით ამ შეთქმულების შედეგად აქა-იქ საქართველოში აჯანყება მაინც მოხდარა და მის ჩაქრობას ბევრი მსხვერპლიც შეუწირავს [1].

ყველა ამ განსხვავებათა გათვალისწინების შემდგომ ბუნებრივად იბადება აზრი, რომ ყამთააღმწერელისა და სომეხთა ისტორიკოსის მოთხრობები ერთსა და იმავეს კი არა, არამედ სხვადასხვა ამბავს ეხება.

თუ კოხტასთავის შეთქმულების მოსაწყობად სულიერი განწყობილება საქართველოში შესაფერის ნიადაგს ჰქმნიდა, ალამუთის წინააღმდეგ ლაშქრობის ტვირთის სიმძიმეს ეს მონღოლთა ბატონობის უკმაყოფილების გრძნობა, რასაკვირველია, უნდა გაეძლიერებინა და მოთმინების ფიალა აევსო. სპარსელი ისტორიკოსის ჯუვეინის თხზულებითგანა ჩანს, რომ გუჯუქ ყაუნს ტახტზე ასვლის უმალ მოჰლიდების წინააღმდეგ სპარსეთითგან და მეზობელ მონღოლთა ყმადნაფიც სახელმწიფოებითგან ლაშქრის გაგზავნა უბრძანებია იმ ვარაუდით, რომ მონღოლთა ბატონიშვილები და არა მონღოლებიც ლაშქრად წარმავალს ათ კაცზე ორ კაცს გამოიყვანდნენ [2]. მაშასადამე, უკვე 1246 წლის შემოდგომითგან მოყოლებული სხვა ყმადნაფიც სახელმწიფოებთან ერთად საქართველოსაც მამაკაცთა 20 % უნდა ალამუთისა და მის სანახების მკვიდრთა, მოჰლიდთა წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქრობაში გაეგზავნა. ამდენი მამაკაცის საომრად გაყვანა იმდენად სამძიმოა, რომ ხალხის აღსაშფოთებლად საქართველოში შვიდი წელიწადი სრულებით საჭირო არ იყო და კოხტასთავის შეთქმულების უახლოეს საბაბად, როგორც ყამთააღმწერელის მოთხრობითგან ჩანს, შეიძლება მართლაც მოჰლიდთა წინააღმდეგ ლაშქრობის აუტანელობაც ყოფილიყო.

[ეგარსლან ბაკურციხელი]

ქართველი ყამთააღმწერელი თავისი თხზულების სხვადასხვა ადგილას უმეფობის დროს დუმნის მთავართაგან საქართველოში ყველაზე მეტად, როგორც აღნიშნული გვქონდა, ეგარსლან ბაკურციხელის დაწინაურებისა და განდიდების საკითხს უბრუნდება და აღნიშნული აქვს, რომ მას «ვითარცა მეფესა მორჩილებდეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი» (*804, გვ. 645). მისი დაწინაურება იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის «კნინღა სახელიცა მეფობისა ეპყრა»-ო (იქვე * 807, გვ. 650). სამწუხაროდ, ამ საყურადღებო და ძლიერი პიროვნების შესახებ სხვა წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება, რომ მისი უფრო სრულად დახასიათება შესაძლებელი გახდეს. ხელთნაწერების სრული აღწერილობა და „სულთა მატიანე-"ების ტექსტები რომ მოგვეპოვებოდეს, ეგების იქ ზოგი რაიმე საგულისხმო აღმოჩენილიყო, მაგრამ ამჟამად უნებლიეთ მხოლოდ ყამთააღმწერელის ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

---

[1] იხ. კირაკოზ განძაკელი, ისტორია, ღუკასიანის გამოცემის, გვ. 303—305.

[2] ტარიხ-ი ჯეჰან-ქუშაჲ II ٢١١—٢١٢ ეს ცნობა ჯუვეინითგან რაშიდ ედ-დინსაც აქვს მოყვანილი, იხ. ჯამი ატ-ტევარიხ II, ٢٤٧).

მართალია, რომ ეგარსლან ბაკურციხელს ასე დაწინაურება და საქართველოს სახელმწიფო საქმეებზე ესოდენი გავლენიანობის მოპოვება მხოლოდ მონღოლთა ბატონობის დროს შეეძლო, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა სამხედრო წრეებს მიენიჭათ და საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების თანახმად მეფის შემდგომ უზენაესი ხელისუფლებით მოსილის მწიგნობართ-უხუცესისა და ვაზირთა-უპირველესის უფლებები თანდათანობით დაიჩრდილა. მაგრამ ეგარსლან ბაკურციხელი ამის გამო მაინც მონღოლთა მომხრე და ფეხთამტვერი არ გამხდარა. პირიქით, მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილ კოხტასთავის შეთქმულებაში გარდმოცემის თანახმად მთავარ მონაწილეობას იღებს: მისი სახელი შეთქმულების მონაწილეთა შორის პირველად იხსენება და ისიც, სხვებთან ერთად ანისში წაყვანილი, მონღოლთაგან დადებულ წინასწარ სასჯელს ვერ ასცდენია. ეს გარემოება ეგარსლანის მამულიშვილური გრძნობებისა და მოქალაქობრივი შეგნების დამამტკიცებელია. ალბათ ამით, ჭკვა-გონებითა და გასაოცარი მჭევრმეტყველებით ჰქონდა მას დიდებულთა საერთო პატივისცემა დამსახურებული ისე, რომ ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით ეგარსლან ბაკურციხელის ბრძანებას ისე ემორჩილებოდნენ «ვითარცა მეფეს თ ვ ი თ დ ი დ ი და პ ა ტ ი ო ს ა ნ ი შ ა ნ შ ე მ ა ნ დ ა ტ უ რ თ ა - უ ხ უ ც ე ს ი და გაგელი ვარამ და ყოველნი მთავარნი».

მაგრამ ამ განდიდებასთან ერთად ეგარსლან ბაკურციხელს მედიდურობა და „განლაღება“ დასტყობია ისე, რომ საქართველოში თავისი ტოლი ადამიანი თურმე აღარავინ ეგულებოდა. უკვე დავით ლაშა-გიორგის ძის ტყვეობითგან საქართველოში შემოყვანის დროს ეგარსლანმა უფლისწულის და სამეფოდ განმზადებულის დახვედრა სხვა დიდებულებთან ერთად არ მოიწადინა და მას არ გაჰგებებია. ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით მისი უაღრესი გათამამება ავაგ ამირსპასალარის მონღოლთა ყაენის ურდოთგან საქართველოში დაბრუნების დროს გამომჟღავნებულა. ამ ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, როცა ორ დავითს შორის მონღოლთა ყაენის კარზე სამეფო ტახტის გამო ცილობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდათ და საკითხი გამოურკვეველი იყო, ავაგ ამირსპასალარი საქართველოში წამოსასვლელად გამოუშვეს. ავაგის სამშობლოში დაბრუნების ამბავის გაგონებაზე «წინამოეგებნეს ყოველნი მთავარნი და წარჩინებულნი, თვით შაჰანშა და ერგასლანი»-ც კი. მაგრამ, როცა ავაგი დასახვედრად გამოსულ დიდებულებს მიუახლოვდა, ეგონა, რომ რაინდობის ქართული წესის თანახმად ეგარსლანიც სხვებივით ცხენითგან ჩამოქვეითებული გადაჰკოცნიდა ავაგს. მეფის მსგავსად ეგარსლან ბაკურციხელმა ცხენითგან ჩამოხტომა არ მოისურვა. ამით ნაწყენმა და განრისხებულმა ავაგმა, ყამთაააღმწერელის სიტყვით, გალაღებულ დუმანის მთავარს ჯერ ზურგი შეაქცია, ხოლო შემდეგ «თავსა მათრაკითა უხეთქნა» და თავის ხელქვეითებს უბრძანა გათამამებული ეგარსლანი უპატიოების ნიშნად ცხენითგან ჩამოეღოთ, რაც აუსრულებიათ კიდეც. (* 807—808, გვ. 649—650).

ზემომოთხრობილ ამბავს ჩვეულებისამებრ თარიღი არა აქვს. მაგრამ, თუ ჩვენს ისტორიკოსს საქმის გარემოება სისწორით აქვს ნაამბობი, მისი დათარიღება ძნელი არ არის. მას ნათქვამი აქვს, რომ ავაგ ამირსპასალარი

მონღოლთა ყაენისაგან ისეთ დროს წამოსულა, როდესაც საკითხი იმის შესახებ თუ რომელს ორ უფლისწულთაგანს უნდა რგებოდა საქართველოს ტახტი, ყაენისაგან ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არა ყოფილა. ხოლო როგორც თავის ალაგას გამორკვეული გვაქვს, გუიუქ ყაენს ეს დავა 1247 წ. უკვე გადაჭრილი ჰქონია. მაშასადამე, ცხადია, რომ თუ ეგარსლანის დამხობის ამბავი მართლაც ავაგ ამირსპასალარის მონღოლეთითგან საქართველოში ჩამოსვლასთან იყო დაკავშირებული, ეს უნდა ან 1246, ან და 1247 წ. მომხდარიყო. მაგრამ სხვა ამბებთან (კოხტასთავის შეთქმულებასთან) როგორ შეთანხმდეს ეს თარიღი?

ეგარსლან ბაკურციხელის თავგადასავალისა და ბედიღბლის დასასრულს ამ ხანისათვის მეტად დამახასიათებელი ამბავი სამწუხაროდ სხვა წყაროების ცნობებით არ შეიძლება შემოწმებულ იქმნეს. თავისდათავად დაუჯერებელი აქ არაფერია. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ორი გარემოებაა მაინც დამაფიქრებელი. ჟამთააღმწერელის მოთხრობა ყველა ამ ამბებს უმეფობის ხანაში ასახელებს, თვით მოთხრობაში გაბნეული ცნობები კი გაცილებით უფრო მერმინდელია და ქრონოლოგიურად უმეფობის ხანას საგრძნობლად დაშორებულია. ამნაირად, მოთხრობა ანაქრონიზმებით არის სავსე, რაც იმის მომასწავებელია, რომ ეგარსლან ბაკურციხელის თავგადასავლის აღწერილობა თანამედროვის შედგენილ წყაროთგან არ უნდა ჰქონდეს ჟამთააღმწერელს ამოღებული. ამას გარდა გათამამებული დუმანის მთავრის უკეღმართი ბედიღბალი ჟამთააღმწერელის სიტყვით ავაგ ამირსპასალარის მონღოლთა ყაენის კარითგან საქართველოში დაბრუნების დროს უნდა იყოს მომხდარი. თვით ავაგის ყაენთან გამგზავრების ამბავი კი რამდენად მართალია, არა ჩანს, რათგან თვით ჟამთააღმწერელსაც ავაგი ურდოში გაძგზავრებულთა შორის პირველად დასახელებული არა ჰყავს და მხოლოდ შემდეგ მისი სახელიც გვხვდება. სომეხთა ისტორიკოსები კი, რომელთაც ავაგზე ბლომადა აქვთ ცნობები, მის მონღოლეთში გამგზავრებაზე არას ამბობენ. ამიტომ, რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს ჟამთააღმწერელის მოთხრობა ეგარსლან ბაკურციხელის შესახებ, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

თავი მეოთხე

ორმეფობა საქართველოში

ულუ-დავითის სახლობა

ლაშა-გიორგის ძეს ულუ-დავითს პირველ ცოლად დედოფალი ჯიგდა-ხათუნი ჰყავდა. ქართველ ჟამთააღმწერელს მოხსენებული არა აქვს, თუ როდის შეირთო დავითმა ჯიგდა, არც ისა ჩანს, თუ ვისი ქალი იყო, ან რა ეროვნებისა. როცა ულუ-დავითი ბათო ყაენთან მიდიოდა, ისტორიკოსის სიტყვით, საქართველოს გამგედ სწორედ დედოფალი ჯიგდა-ხათუნი და მესტუმრე ჯიქური დაუტოვებია (ჟამთააღ. * 813, გვ. 656). რათგან ბათო 1256 წ. გარდაიცვალა, ამიტომ ცხადია, ეს ამბავი 1256 წ-მდე უნდა ვიგულისხმოთ.

მაგრამ ამაზე გაცილებით ადრეც, უეჭველია, ჯიგდა-ხათუნი უკვე საქართველოს დედოფლად უნდა ყოფილიყო. ამას შემდეგი გარემოებაც ცხადჰყოფს: ულუ-დავითს მეორე ცოლისა ან საყვარელის ალთუნისაგან შვილი ჰყავდა, რომელსაც გიორგი ერქვა. ხოლო ეს უფლისწული, გიორგი დავით მეფის ძე, როგორც უკვე თ. ჟორდანიამ აღნიშნა და ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია[1], რკონის 1259 წ. სიგელს თავისი მამის შემდგომ აწერს ხელსა. იქ სახელდობრ ასეა დაწერილი: «ქ: მე დავით მეფესა დამიმტკიცებია. მე: ძესა მისსა გ˜ისცა (გიორგისცა) დამიმტკიცებია»[2]-ო.

მაშასადამე, 1259 წ. გიორგი ბატონიშვილი უკვე იმდენად მოზრდილი ყოფილა, რომ მას, თუ ანგარიშს არ უწევდნენ, წერა მაინც უკვე შესწავლილი ჰქონია და ხელრთვა შესძლებია. რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების ძეგლისწერითგანა ჩანს, რომ საქართველოში რვა წლის ყმაწვილის წიგნის მკითხველად დადგენა შეიძლებოდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მაშინ უკვე 6—7 წლის ბავშვს წერა-კითხვის სწავლებას აწყებინებდნენ. ამიტომ 1259 წ. გიოოგი უფლისწული სულ ცოტა 8 წლისად, ანუ 1251 წ. მაინც დაბადებულად უნდა ვიგულისხმოთ.

გიორგი ბატონიშვილის დაბადების თარიღი შეიძლება თითქმის სრული ზედმიწევნილობითაც კი იქნეს გამორკვეული. მას ხანგრძლივი სიცოცხლე არ ჰქონია და, როგორც შემდეგში გამოირკვევა, 1268 წ. მუცლის მოარულისაგან გარდაიცვალა. ჟამთააღმწერელის სიტყვით გიორგი უფლისწული მაშინ «ათრვამეტისა წლისა» ყოფილა (* 852, გვ. 697). თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ ცხადი ხდება, რომ გიორგი უნდა 1250 წ. დაბადებულიყო. ხოლო ქართველ ისტორიკოსს ხაზგასმით აღნიშნული აქვს, რომ გიორგი უფლისწულის

---

[1] თ. ჟორდანია, ქრ. II, 141 შენ. 23.

[2] ქრ. II, 141.

დედა ალთუნი ულუ-დავითმა ხასად მხოლოდ მაშინ შემოიყვანა სახლში, როდესაც მისი თანამეცხედრის უნაყოფოება ცხადი შეიქმნა და «მწუხარე იყვნეს წარჩინებულნი მეფისანი, რამეთუ ჯიგდამან არა შვა შვილი: ამისთვის ინება მეფემან მოყვანა შვილიერების ძალით ალთუნ ნათესავით ოსი მეუღლედ, აღმთქმელმან, უკეთუ მიეცეს ყრმა წული, არღარა შეიწყნარნეს, არამედ განუტეოს. და, ვითარ გამოჰვდა მცირე ჟამი, მუცლად იღო ალთუნ ძე და შვა და უწოდეს სახელი გიორგი, რომელი აღეთქვა და შეიწყნარა შვილად დედოფალმან ჯიგდა-ხათუნ. და შემდგომად მცირედისა მიუდგა და შვა ასული და უწოდა სახელი თამარ. და აქა შინა განიშორა საყვარელი თჳსი ალთუნ»-ი (ჟამთააღ. * 822, გვ. 667). ამ ცნობითგანა ჩანს, რომ ალთუნი სასახლეში ხასად მოყვანის შემდგომ მალე დაორსულებულა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ის ან იმავე 1250 წ. დამდეგს უნდა ყოფილიყო ულუ-დავითის საყვარლად აყვანილი, ან 1249 წ. დამლევს.

ამისდა მიხედვით დაახლოებით ჯიგდა-ხათუნის ცოლად შერთვის თარიღის განსაზღვრაც შეიძლება. როგორც აღნიშნული გვქონდა, ისტორიკოსის სიტყვით, ულუ-დავითს საყვარელი მხოლოდ მაშინ შეუყვანია სახლში, როდესაც ჯიგდა-ხათუნმა «არა შვა შვილი» და ამ გარემოებამ საქართველოს წარჩინებულნი დააფიქრიანა, რათგან უმეფობის ხანის გამოცდილება არაფერს სახეიროს არ უქადდა. ცხადია, რომ ჯიგდაზე ჯვარის დაწერისა და ალთუნის საყვარლად მოყვანის შორის ისეთი მანძილი უნდა ვიგულისხმოთ, რომელი ხნის განმავლობაშიაც დედოფლის უნაყოფოება სრულებით უეჭველ გარემოებად უნდა ქცეულიყო. მართალია, მაშინ ამაზე სხვანაირად მსჯელობდნენ ხოლმე, მაგრამ თამარ მეფის ისტორიკოსებისაგან ვიცით, რომ ქორწინების შემდგომ ორი წლის განმავლობაში უშვილობა უკვე მწუხარებაში აგდებდა ხოლმე ცოლქმარსაცა და მეტადრე მახლობლებსაც. ამ შემთხვევაშიაც საქმის ვითარება უნდა ამგვარადვე ვიგულისხმოთ და 1249—50 წ., როდესაც ულუ-დავითმა საყვარელი მოიყვანა, ჯიგდა-ხათუნი დაახლოებით უკვე 2—3 წლის განმავლობაში ულუ-დავითის თანამეცხედრე უნდა ყოფილიყო. ამნაირად, ჯიგდა-ხათუნი დავითს ასე 1247—48 წ. უნდა ჰყოლოდა ცოლად შერთული.

ზევით უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ 1247—48 წელს ულუ დანარინ დავითები ჯერ კიდევ ყაენთან უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ ულუ-დავითს ჯიგდა-ხათუნი თანამეცხედრედ ყაენის კარზე ყოფნის დროს შეერთოს ცოლად. თვით დედოფლის სახელიც შეიძლება მისი არა ქართველობისა და მონღოლთა უფლისწულობის გამომჟღავნებელი გარემოება იყოს კიდეც. საქართველოში სხვა ჯიგდა ამ დროს არა ჩანს, ეს სახელი იშვიათად გვხვდება. ისტორიული წყაროებითგან ცნობილია კიდევ დიმიტრი თავდადებულის ასული ჯიგდა-ხათუნ, რომელიც აგრეთვე თათრის ანუ მონღოლთა ასულისაგან ჰყავდა შეძენილი (ჟამთააღმ. გვ. 734, 743, 745).

თუ ეს აზრი გამართლდა, მაშინ შესაძლებელია, რომ ჯიგდა-ხათუნის შერთვა ერთგვარი პოლიტიკური ხერხისა და ანგარიშის შედეგი ყოფილიყოს. საქართველოს სამეფო ტახტის გამოატეხილი დავის მოსაგებად.

თუმცა ულუ-დავითს დადებული აღთქმისდა თანახმად ოსის ქალი ალთუნი უნდა გაეშვა, რა წამს იგი მეფეს „ყრმა წულს", ე. ი. მამრობითი სქესის შვილს შესძენდა, მაგრამ ყამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ მაინც «შემდგომად მცირედისა» ალთუნი კვლავ «მიუდგა და შვა ასული და უწოდა სახელი თამარ» (* 822, გვ. 667). რაკი თამარი გიორგი ბატონიშვილის დაბადების ცოტა ხნის შემდგომ გაჩენილა, ამიტომ საფიქრებელია, რომ თამარი, ან 1251 წ., ან ამის ახლო ხანებში შესძენოდა ულუ-დავითს. ისტორიკოსის სიტყვით ეხლა კი მეფეს თავისი სიტყვა აასრულა და «განიმორა საყვარელი თჳსი ალთუნ ნათესავით ოსი, რომელი ქმნულკეთილ იყო» (იქვე). მაშასადამე, 1251—52 წ. ალთუნისათვის დავითს უკვე თავი დანებებული ჰქონდა.

[«შემდგომად მცირედისა ჟამისა» დედოფალი ჯიგდა-ხათუნი გარდაიცვალა.] დაქვრივებულმა ულუ-დავითმა მეორე ცოლი შეირთო. ყამთააღმწერელის სიტყვით ეგვიპტეზე გალაშქრების წინ დაკით მეფემ «შემოიარა ქუეყანა ავაგ ათაბაგისა, ივანე ათაბაგის ძისა», რათგან «მას ჟამსა გარდაცვალებულ იყო ავაგ». სწორედ ამიტომ მეფე «მივიდა ბიჯნისს ტირილად» და სამძიჳრის სათქმელად. ამ დროს ულუ-დავითმა «იხილა ცოლი ავაგისი, კახაბერისძეთა რაჭის ერისთავთა ასული. სახელით გვანცა», სილამაზით გან-

---

[1] ყამთააღმწერელს თითქოს ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები აქვს ულუ-დავითის საყვარლის ალთუნისა და მისი შვილების შესახებ. მას ერთი ნახრით — ულო ყაენის ეგვიპტის სულტანზე გალაშქრების შემდგომ აქვს ნათქვამი: „ამათ ჟამთა შინა" საქართველოს წარჩინებულნი მწუხარე იყვნენ ჯიგდა-ხათუნის უნაყოფოებისათჳს და ულუ-დავითმა შვილიერებისათვის საყვარლად ალთუნი მოიყვანაო (* 820—822, გვ. 665—667). ასე გამოდის ვითომც ალთუნი 1259 წ. შემდგომ უნდა ყოფილიყო შემოყვანილი საყვარლად და გიორგი ბატონიშვილიც მაშინ 1260—1261 წ. უნდა ვიგულისხმოთ დაბადებულად. მეორე მხრით მას ნათქვამი აქვს, რომ ხოჯა-აზიზის გამო გადამდგარს ულუ-დავითს სახავო მოლაპარაკების დროს თავისი შვილი გიორგი შეუძლევია მონღოლებისათვის, ჩემ მაგიერ ის გაამეფეთ, და მონღოლთა თანხმობით გიორგი ბატონიშვილი ურდოში გაუგზავნია კიდეც, რომელსაც დიდი პატივისცემით დაუხვდნენ (* 833—834, გვ. 678—680). რათგან ხოჯა-აზიზი 1262 წ. 20 ნოემბერს სიკვდილით იქმნა დასჯილი, ეს ამბავი შესაძლებელია მხოლოდ 1261—62 წ. ნოემბრამდე მომხდარიყო. ამ დროს კი გიორგი ბატონიშვილი ზემოაღნიშნულ ცნობის მიხედვით ან ახალდაბადებულად, ან ერთი წლის ძუძუმწოვარა ბავშვად უნდა ვიგულისხმოთ, რაც მთელ ამბავს უაზროდ ხდის. ყამთააღმწერელის ცნობა ალთუნის 1259 წ. შემდგომ მოყვანის შესახებ რომ ცხადს შეცდომას წარმოადგენს, ამას 1259 წ. რკონის სიგელიც ცხად-ჰყოფს, რათგან მას გიორგი უფლისწულიც ხელს აწერს. ყამთააღმწერელის ზემომოყვანილი ცნობით კი ამ დროს გიორგი ბატონიშვილი დაბადებული არც კი უნდა ყოფილიყო. ასეთი ცხადი წინაუკმოობის გამო ჩვენ გამოახგარიშების დროს გიორგი ბატონიშვილის გარდაცვალების თარიღი და მისი მაშინდელი წლოვანება ავიღეთ საფუძვლად. რათგან ყამთააღმწერელი კომპილატორია, შესაძლებელია „ამათ ჟამთა შინა" დედნითგან იყოს შერჩენილი, საითგანაც ეს ნაწყვეტი ამოუღია და წინამავალ ეგვიპტის სულტანზე გალაშქრების ამბავთან არაფერი საერთო არც კი ჰქონდეს.

თქმული, «ქმნულ კეთილი, ეტრფიალა და შემდგომად მცირედისა მიიყვანა იგი ცოლად და დედოფლად და წარმოიყვანა სამეფოდ»-ო (* 822—823; გვ, 668). გვანცას შერთვის თარიღის გამორკვევის დროს აკად. მ. ბროსე მემატიანის ცნობას ემყარებოდა ეგვიპტეზე გალაშქრების შესახებ და ამისდა მიხედვით ფიქრობდა, რომ ულუ-დავითს გვანცა უნდა ან 1260 წ. ან ამის ახლო ხანში შეერთო. ამის გამო მას უკვირს, თუ საიდან უნდა ჰქონდეს ვახუშტს გვანცასაგან ნაშობი დიმიტრი თავდადებულის დაბადების თარიღად 1256 წ. ამოღებული[1]. მაგრამ ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან ჩანს, რომ ულუ-დავითს გვანცა მისი ქმრის გარდაცვალების შემდგომ უნდა შეერთოს: ის სამძიმრის სათქმელად და „ტირილად“ მისულა. ამიტომ ავაგი ამ დროს ახალ გარდაცვალებულად უნდა ვიგულისხმოთ. ავაგი კი, როგორც დავრწმუნდით, ან 1249 წ. ან და 1250 წ. უნდა გარდაცვლილიყო. ამნაირად გვანცასთან ულუ-დავითი „ტირილად“ უნდა ან იმავე 1249 ან 1250 წ. მისულიყო. რაკი ქართული წესით მიცვალებულის ოჯახი ერთი წლის განმავლობაში მგლოვიარე იყო ხოლმე, ამიტომ, თუმც მოტრფიალეს, მაგრამ ვითარცა „ტირილად“ მისულს, ულუ-დავითსაც ამ წესის დაცვა მოუხდებოდა. ამიტომ გვანცა მეფე დავითს შეიძლება 1250—1251 წ. შეერთო ცოლად.

ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან არა ჩანს, რომ ულუ-დავითს გვანცასაგან ვაჟიშვილი დიმიტრი ჯვარისწერის პირველსავე წლებში მისცემოდეს. პირიქით, მისი მოთხრობითგან ცხადი ხდება, რომ დიმიტრი, შემდეგში თავდადებულად წოდებული, გვანცა დედოფალს იმ დროს გასჩენია, როდესაც სადუნ მანკაბერდელმა აღზევება და განდიდება დაიწყო. ეს კი როგორც ჟამთააღმწერელისა (* 823, გვ. 668—669), ისევე შალაქიას (გვ. 34—39) სიტყვით ულო, ანუ ჰულაგუ ყაენის დროს მომხდარა, მაშასადამე, 1256 წ. უწინარეს არ შეიძლება ვიგულისხმოთ. მეორე მხრით, როგორც ქართული ისევე სომხური წყაროებითგან ვიცით, რომ ულუ-დავითის ჰულაგუ ყაენის წინააღმდეგ აჯანყების დროს მისი შვილი დიმიტრი ჯერ სულ პატარა ბავშვი იყო. ულუ-დავითი კი, როგორც სპარსელი ისტორიკოსის ცნობებითგან ირკვევა და თავის ადგილას დაწვრილებით აღნიშნული გვექნება, მონღოლებს 1259 წ. ენკენისთვის შემდგომ ახლო ხანებში განუდგა და აუჯანყდა. მაშასადამე, გვანცას შერთვის თარიღად მ. ბროსესა და სხვათაგან ჩვეულებრივად მიღებული 1260 წ. სრულებით შეუწყნარებელია, რათგან დიმიტრი, რომ 1260 წ. ახლო ხანებში დაბადებულიყო, ულუ-დავითს 1259 წ. თბილისითგან გახიზვნის დროს მისი აღმოსავლეთ საქართველოში დატოვება როგორღა შეეძლო? დიმიტრი თავდადებულის დაბადების თარიღის გამორკვევას კირაკოზ განძაკელის ცნობა გვიადვილებს, რომ ყაენის წინააღმდეგ აჯანყებულ ულუ-დავითს თბილისითგან წასვლის დროს თავის თანამეცხედრის, გვანცა დედოფლისა, და თავის ახალ დაბადებულ შვილის დემეტრეს (*ղնար ծնեալ որդի իւր զԴեմետրէ*) თან წაყვანა არ შეეძლო[2]. მაშასადამე, დიმიტრი უნდა 1259 წ. დამლევს იყოს დაბადებული.

[1] Brosset, H. de la G. I, 554 შენ. 2.

[2] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 373—374.

ულუ-დავითს შეოთხეჯერაც შეურთავს ცოლი. როცა გვანცა დედოფლის მონღოლთაგან მოკვლის შემდგომ «უცოლო იყო მეფე», მაშინ «იქორწინა ცოლი სახელით ესუქნ, დიდისა ჭორომაღო-ნოინისა და დიდისა სირმა-ნოინისა» და». ისტორიკოსის სიტყვით ულუ-დავითი «წარვიდა ტფილისს და ქმნა ქორწილი პატიოსანი» (* ჟამთააღმ. * 843, გვ. 688). როგორც სათანადო ადგილას გამორკვეული იქმნება, გვანცა მონღოლთაგან 1262 წ. მაისამდე უნდა ყოფილიყო მოკლული. ამიტომ ესუქნი ულუ-დავითს ამის შემდგომ უნდა შეერთო ცოლად. ვახუშტს თარიღად 483 ქრონიკონი, 1263 წ. აქვს დასახელებული[1].

დავით რუსუდანის ძე და მისი ოჯახობა

ქართველი ისტორიკოსის სიტყვით «რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერითა ჰაეროვან და მშვენიერ, და თმითა თხელ, ფერითა მალე, მონადირე რჩეული და კეთილად მსროლელი ნადირთა, ენა-ტკბილ და სიტყვიერ, უხვი და მდაბალი, ცხენსა ზედა მჯნე და ლაშქრობათა შინა გამგონე და სამართლისა მოქმედ და უმეტესობის მოყუარე და მოღუაწე» (ჟამთააღ. * 811, გვ. 654). დავით ნარინის სახლობის შესახებ ჟამთააღმწერელს შედარებით ცოტა ცნობები მოეპოვება. ერთგან, მხოლოდ შემთხვევითა და გაკვრით, გვხვდება ცნობა დედოფალზე, მაგრამ აქაც მისი სახელი მოხსენებული არ არის. მონღოლთა ნოინის თეგუდარის დავით ნარინთან სტუმრობის აღწერილობაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ «დედოფალმან, ასულმან მაღლისა ჭელმწიფისამან პალიალოღოს კოსტანტინეპოლის მეფის ასულმან, ამანცა ეგრეთვე პატივისცა» თეგუდარსაო (* 859, გვ. 703—704). თუ ჟამთააღმწერელს „პალიალოღის" სახელი მოხსენებული არა აქვს, ამ ნაკლს ბატონიშვილი ვახუშტი ავსებს, რომლის სიტყვითაც დედოფალი ყოფილა «ასული მიხაილ პოლოოლოღის კეისრისა»[2]. მართლაც, 1269—1270 წ. შორის მოთხრობილი და მომხდარი თეგუდარის სტუმრობის ახლო ხანებში 1261—1282 წ. ცნობილია მიხეილ VIII პალეოლოღოსი, ისე რომ ვახუშტის ცნობა უტყუარ საბუთზე უნდა იყოს დამყარებული.

დავით რუსუდანის ძის სხვა თანამეცხედრეებს ისტორიკოსი არ იხსენიებს. მაგრამ დავით ნარინის კიდევ ერთი თანამეცხედრისა და დედოფლის ორძა სიგელმაც კი მოაღწია ჩვენამდის და იქითგან ირკვევა, რომ მას თამარი რქმევია. ამ უთარიღო საბუთებში დედოფალი თავის თავზე შემდეგ ცნობებს გვაწვდის: კვახჭირის გელათისადმი შეწირულობის წიგნში მას ნათქვამი აქვს: «მას ჟამსა ოდეს ინება ღ(ვ)ნ და ღირს მყო ძლიერისა უძლეველისა მეფეთ-მეფისა რუსუდანის ძემან დავით მეფეთ-მეფემან ემენელასძისა (sic) ასულმა თამარ მათსა სახლსა შიგან მათად ცოლად და დედოფლად მომიყუანეს და ვითა საკორციელად მათ წინაშე ყოფამან საველოვან მყო», ასევე ეს შეწირულობა მოგართვეო[3]. იმავე მონასტრისათვის

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ღ. ბაქრაძის გამოც., გვ.247.
[2] იქვე, გვ. 250.
[3] ქკრბი, II, 160.

ჯიქეფონის შეწირულობის წიგნშიაც დედოფალი-ბრძანებს: „მე თამარ დედოფალმან სულკურთხეულისა და სანატრელისა მეფისა რუსუდანის ძისა ყოველთა მეფეთ-მეფისა დავითის ცოლმან. დ ემენელასა ძისა ასულმან ჯიქეფონი შემოგწირეო[1].

მ. ბროსეს აღნიშნული აქვს, რომ ლებოს ცნობით[2] მიხეილ პალეოლოღოსს 1267 წ. მართლაც მიუთხოვებია თავისი უკანონო ასული დავით საქართველოს მეფისათვის[3].

თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ ზემოშოყვანილი ორი სიგელის დედოფალი თამარ ემენელას ძის ასული და ყამთააღმწერელის მიხეილ პალეოლოღოსის ასული ერთი და იგივე პირია და ამისდა მიხედვით ათარიღებს კვახჭირის შეწირულობის წიგნს[4]. მაგრამ ამ აზრს არა ერთი დაბრკოლება ეღობება წინ. ჯერ ერთი არც კვახჭირის სიგელში და არც ჯიქეფონისაში დედოფალი თამარ თავის თავს «მაღლის ჭელმწიფის პალიალოღოსის კოსტანტინეპოლის მეფის ასულად» არ იხსენიებს, არამედ მარტო ემენელის ძის ასულად». ქართული დიპლომატიკის წესისაებრ ასეთი მოუხსენებლობა შეუძლებელი რამეა, თამარი რომ კეისრის თუნდაც, უკანონო ასული ყოფილიყო. თვით მამის სახელიც ან გვარი სულ სხვადასხვაა: ერთს შემთხვევაში მიხეილ პალეოლოღოსია, მეორე შემთხვევაში ემენელის ძის ასული. ემენელი რომ ბერძნულ სახელის დამახინჯებად მიიჩნიოთ, უნდა ორივე სიგელის თავდაპირველ ტექსტში „ემანუელის ძის ასული" ვიგულისხმოთ. მ ი ხ ე ი ლ პ ა ნ ა რ ე ტ ს 1284 წ. ქვეშე მოხსენებული ჰყავს დიდი კომნენიანოსი კირა-თეოდორა, დიდი კომნენიანოსის კირ-მანუელისა და რუსუდან ქართველის უფროსი ასული, რომელიც ტრაპიზონითგან 1284 წ. გაქცეულა[5]. რომ გვცოდნოდა, თუ სად გაიქცა, ან ის მაინც, რომ საქართველოში შეიხიზნა, როგორც შეცდომით აქვს ბროსეს გადმოცემული[6], მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თამარ ბერძნულ თეოდორას გადმოქართულება ყოფილიყოს, ხოლო „ემენელის ძის ასული" გადამწერებს მანუელის ასულისაგან დაემახინჯებინოთ.

მაგრამ იმის გარდა, რომ ამაზე არა ვიცით რა, მაინც ყამთააღმწერელისა და თამარ დედოფლის ორი სიგელისა და მ ი ხ ე ი ლ პ ა ნ ა რ ე ტ ი ს ცნობათა შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია: ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი დ ა ვ ი თ ნ ა რ ი ნ ი ს თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე ს პ ა ლ ე ო ლ ო ღ ო ს ი ს გ ვ ა რ ი ს უ ფ ლ ი ს წ უ ლ ა დ და კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ი ს მ ე ფ ი ს შ ვ ი ლ ა დ ა ს ა ხ ე ლ ებ ს, მ ი ხ ე ი ლ პ ა ნ ა რ ე ტ ი ს ს ი ტ ყ ვ ი თ კ ი თ ე ო დ ო რ ა კ ი რ - მ ა ნ უ ე ლ ი ს ა ს უ ლ ი კ ო მ ნ ე ნ ი ა ნ ო ს ი ი ყ ო გ ვ ა რ ა დ. ამას გარდა თვით თამარ დედოფლის სიტყვები სრული უეჭველობით ცხად-ჰყოფენ, რომ ის მაღალი, მაინცდამაინც მეფური შთამაშავლობისა არ უნდა ყოფილიყო. კვახჭირის

---

[1] ქკ ბი II, 162.

[2] Lébeau, Histoire du Bas Empire, XVIII, 152.

[3] Brosset, H. d. G. I, 519 შენ. 3.

[4] ქკ ბი II, 158.

[5] *Περι των της Τραπεζουντος βασιλεων*, ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, გვ. 2.

[6] Brosset, H. d. G. I, 579, შენ. 3.

სიგელში მას ნათქვამი აქვს: «ოდეს... ღირს მყო» დავით მეფეთ-მეფემ რუსუდანის ძემ და «ემენელას ძისა ასული თამარ მათსა სახლსა შიგან მათად ცოლად და დედოფლად შემომიყვანესო». დედოფალი იმასაც კი არ მალავს და არ უკადრისობს, მკითხველს ამცნოს «საკორციელოდ მათ წინაშე ყოფამან სახელოვან მყო»-ო. მართალია, კოსტანტინეპოლის მეფეცა და ტრაპიზონისაც უკვე ბიზანტიის წინანდელს ძლიერებასა და ბრწყინვალებას მოკლებული იყვნენ, მაგრამ გარეგნულად, სიტყვიერად და წოდებულებით მათი გვარისშვილი და ბატონიშვილი მაინც არას გზით თავს ისე არ დაიმდაბლებდა და დაიმცირებდა, რომ კვახჭირის სიგელში მოყვანილი წინადადების ოდნავად მაინც მსგავსი რაიმე დაეწერინებინა. ამის დაწერასაც ვერც ერთი მაშინდელი სამეფო კარის, მით უმეტეს ზარდახნის მწიგნობარი ვერ გაბედავდა. ყამთაააღმწერელის სიტყვებიც ნათლად ამტკიცებენ, რამდენად იცავდნენ მაშინ თვით დაუძლურებულ ბიზანტიის კეისართა წოდებულებას. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ცხადია, რომ ყამთაააღმწერელის ცნობაში დასახელებული დედოფალი და გელათის სიგლების მბოძებელი დედოფალი თამარ ემენელიძის ასული სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ.

მაშასადამე, საფიქრებელია, რომ დავით ნარინს უნდა ორი თანამეცხედრე ჰყოლიყო: ერთი მათგანი პირველი იქმნებოდა, შეორე შემდეგ ცოლად არის საგულისხმებელი. რომელი ამ ორთაგან კოსტანტინეპოლის ხელმწიფის მიხეილ პალეოლოღოსის ასული, თუ ემენელისძის ასული თამარ, უნდა პირველ ცოლად იყოს მიჩნეული, რომელი მეორედ, ამჟამად დანამდვილებით ამის გადაწყვეტა ძნელია. მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ მიხეილ პალეოლოღოსის ასული 1261—62 წ. იხსენიება დედოფლად. მეორე მხრით, საგულისხმოა, რომ ყამთაააღმწერელის სიტყვით, გარდაცვლილმა დავით ნარინმა «დაუტევა სამნი ძენი პირმშო ვიდრემე კოსტანტინე და მეორე მიქაელ და უმრწემესი ალექსანდრე, რომელი უშვა დიდისა პალიალოღოსის ასულმან კოსტანტინეპოლისა და საბერძნეთისა მპყრობელისამან» (№ 905, გვ. 747).

ამგვარად, ირკვევა, რომ მხოლოდ უმცროსი[1] შვილი ყოფილა საბერძნეთის მეფის ასულისაგან შობილი. ცხადია, რომ ვახტანგი, რომელიც მამაზე უწინარეს გარდაიცვალა, და კოსტანტინე მიქელ პალეოლოღოსის ასულის შვილები არა ყოფილან, არამედ დედად მათ სხვა უნდა ჰყოლოდათ, ბუნებრივად იბადება აზრი, რომ მათ დედად შეიძლება ზემოაღნიშნული ორი სიგელის მიმცემი „ემენელისძის ასული“ თამარ დედოფალი ყოფილიყო. მაინცდამაინც ცხადია, რომ, რაკი ბიზანტიის მეფის ასული დავით ნარინის მხოლოდ უმცროსი შვილის ალექსანდრეს დედა ყოფილა, პალეო-

---

[1] უცნაურია როგორ გადასთარგმნა მ. ბროსემ ფრანგულად (H. d. G. I. 610) „ყველანი“ პალეოლოღოსის ასულისაგან შობილნი (tous nés), როდესაც ბერძნის ტექსტში სწერია „რომელი“ და არა „რომელნი?

ლოღოსის ქალი დავით ნარინის მეორე თანამეცხედრე ყოფილა, თამარ დედოფალი კი პირველ ცოლად არის საგულისხმებელი.

მაშასადამე, ეხლა მხოლოდ თამარ დედოფალის ვინაობაღა გვაქვს გამოსარკვევი. რაკი უკვე ცხადი შეიქმნა, რომ თამარი მაღლის ხელმწიფის ასული არ უნდა ყოფილიყო, მისივე საკუთარი სიტყვები, რომ დავით ნარინის წინაშე «საჴორციელოდ ყოფამან სახელოვან-მყო»-ო, გვაფიქრებინებენ, რომ ის მეფური შთამომავლობისა არ იქმნებოდა, არამედ უფრო დაბლა მდგომი, ერთი დიდებულთაგანის ასული უნდა ყოფილიყო, რომლისათვის დედოფლობა და მეფის თანამეცხედრეობა დიდ პატივსა და „ღირს ყოფას“ ჴნიშნავდა და სახელოვან ჴყოფდა. აი, სწორედ ამის გამო იბადება აზრი, რომ ზემომოყვანილ საბუთებში, რომელთაგან ჩვენამდის მხოლოდ XVII ს. პირმა მოაღწია, გადამწერს ხომ შეცდომა არ მოუვიდა და დედანში დაწერილი თამარის ქალიშვილობის გვარი ხომ არ დაუმახინჯებია? ამნაირი ეჭვი იმიტომ იბადება, რომ თუ ამენელისძეთა საგვარეულო მაშინდელ საქართველოს ისტორიაში ცნობილი არ არის, კარგად ცნობილია დიდგვარიან აზნაურთა ერთი გავლენიანთაგანი ამანელისძენი, თუ ამუნელისძენი, რომელნიც თამარის მეფედ კურთხევის აღწერილობაშიც კი იხსენიებიან. იქმნებ ეს თამარ დედოფალი სწორედ ამ გავლენიან დიდგვაროვან აზნაურთა ამანელისძეთა ასული ყოფილიყოს. და მერმინდელს, საქართველოს წარსულის უკვე უცოდინარს გადამწერს „ამენელას ძის ასულად“ ეჭციოს. თუ ეს მომავალში გამართლდა, ამ გარემოებითგან, რომ დავით ნარინს პირველ ცოლად თავისივე ყმის ამენელისძის ასული მოუყვანია, მაშინდელი პოლიტიკური ვითარების დასახასიათებლად შესაფერისი დასკვნის გამოყვანა შეიძლება.

[დავით ნარინის აჯანყება და დასავლეთ საქართველოში გადასვლა]

ულუ და ნარინ დავითების თანაზიარი და თანამოსაყდრეობითი მეფობის შემდგომ ნარინ-დავითმა დასავლეთ საქართველოში გადასვლა და იქ დამკვიდრება ირჩია. ამის შესახებ როგორც ქართულსა, ისევე სომხურსა და სპარსულ საისტორიო წწერლობაში მოიპოვება ცნობები. აღსანიშნავია, რომ ჟამთააღმწერელი ნარინ-დავითის გაქცევისა და დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების მიზეზად მონღოლთათვის სამსედრო სამსახურის მძიმე პირობებსა და მოლაშქრეობის დაუსრულებლობას ერთის მხრით, მეორე მხრით თავის თავისადმი ყაენის მტრულ განწყობილებასა და მონღოლთაგან დავით მეფის შეპყრობას ასახელებს. სტ. ორბელიანის ცნობაც დავით ნარინის შეპყრობასა და ტყვეობითგან გამოქცევას მოგვითხრობს.

მართალია, ჯუვეინის ნარინ-დავითის გაქცევისა და გახიზნვის შესახებ ქართველ ისტორიკოსსავით დაწვრილებითი ცნობები არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ იმის მოთხრობითგანა ჩანს, რომ საქმე ისე მარტივი და ქვეყნისათვის უზიანო არ ყოფილა, როგორც ჟამთააღმწერელი გვისურათებს. მონღოლთა გადასახადების მძიმე სისტემისა და ტვირთის შეცვლისა და შემსუბუქების შესახებ მოთხრობის შემდგომ ჯუვეინის ნათქვამი აქვს, რომ არ-

ლუნ ამირი საქართველოში გაემგზავრა იმის გამო, რომ დავით მეფემ, ყიზ-მელიქის (ქალ-მეფის), ე. ი. რუსუდანის ძმ, ურჩობა გამოიჩინა და აჯანყდა. ჰულაგუ ყაენმა იქ მონღოლთა და მაჰმადიანთაგან შემდგარი დიდი ლაშქარი გაგზავნა. არღუნ ამირი თავისი საკუთარი და თბილისითგან მრავალი ხალხი-საგან შემდგარი ჯარითურთ იმ მხარეს გაემგზავრა, სადაც ნარინ-დავითი იყო. ორთავე მოპირდაპირენი ერთმანეთს ეკვეთნენ და ქართველთაგან ბევრნი და-ხოცილნი და ტყვედ წამოსხმულ იქმნენ. არღუნ ამირი უკან გაბრუნდა და 657 წელს ჰიჯრითგან რამაზანის თვის უკანასკნელ ათეულში ჰულაგუს შამში ანუ ასურეთში გალაშქრების ჟამს თავრეჟში ეახლა ყაენს და საქართველოში მყოფი მდგომარეობის ამბავი მოახსენა. ყაენმა ერაყის დუმანების შეყრა ბრძანა, ამავე საქმისათვის საქართველოში მყოფი ელიც დანიშნა და მთელი ეს ლაშქარი არღუნ ამირს ჩააბარა. ამის შემდგომ ისიც თბილისში დაბრუ-ნებულა, მაგრამ იქ მისულს საქართველოში უფრო გართულებული მდგომა-რეობა დაჰხვედრია[1].

თუმცა ჯუვეინის მოთხრობა მოკლეა და ამ აჯანყების შესახებ მას არა-ფერი აქვს ნათქვამი, სამაგიეროდ თვით აჯანყების თარიღისა და მონღოლთა და ქართველთა ამის გამო ატეხილი ბრძოლის შესახებ საყურადღებო ცნო-ებებს შეიცავს. მაგრამ მთელ ამ მოთხრობას ბოლო აკლია და არა ჩანს, თუ აჯანყება და ბრძოლა როგორ დამთავრდა. სამაგიეროდ ჟამთააღმწე-რელს დავით ნარინის განდგომისა და გახიზნვის ამბავი აქვს დაწვრილებით აღწერილი, მონღოლ-ქართველთა ბრძოლის შესახებ კი მის ნაშრომში არაფე-რია ნათქვამი. სტ. ორბელიანმაც ამ ამბავის მხოლოდ დასაწყისი იცის. ამგვარად, დავით ნარინის განდგომილების ყველა საფეხურების შესახები ცნო-ებების სისწორე გამოსარკვევია.

დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გაქცევის და დამკვიდრების გარემოების დროის შესახებ ჯერ კიდევ ძველ ქართულ საისტორიო მწერ-ლობაში ყოფილა კამათი. ჟამთააღმწერელსაც კი აღნიშნული აქვს, რომ მის დროს არსებობდა ერთი ყოველთაღმწერელის თხზულება, რომელშიაც ნათქვამი იყო, ვითომც მონღოლთა ყაენს საქართველოს სამეფო ტახტი მხოლოდ დავით ლაშასძისათვის დაემტკიცებინოს და ამგვარი განა-ჩენით გამოესტუმრებინოს ორივე ტახტის მაძიებელნი და ვითომც საქართ-ველოში მომავალი «რუსუდანისა ძე დავით მაშინვე ლტოლვილი ღამით გა-ნიპარა და წარვიდა აფხაზეთს» და იქ გამეფდა (* 809, გვ. 651—652).

ეს ცნობა რომ ჟამთააღმწერელის მოგონილი არ უნდა იყოს და ასეთი შეხედულებაც XII ს. მეორე ნახევარში მართლაც ყოფილა, ამას სო-მეხთა ისტორიკოსის კირაკოზ განძაკელის ნაშრომიც ცხად-ჰყოფს. მისი სიტყვითაც დავით ლაშას ძე მონღოლეთითგან საქართველოში დაბრუნების შემდგომ თბილისში გამეფდა, მეორე დავითი კი, ე. ი. რუსუდანის ძე, სვანეთში[2]. კირაკოზს ამით, ალბათ, უნდა ეთქვა დასავლეთ საქართველოშიო. ჟამთა-ღმწერელი ზემომოყვანილი ცნობის სიმართლეს გადაჭრით უარჰყოფს

[1] ტარიხ-ი ჯეჰანკუშაი II, ٢٦١—٢٦٢.

[2] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, გვ. 301.

და თავის მხრით ამტკიცებს, რომ ნარინ-დავითი მხოლოდ შემდეგში გაიხიზნა, როდესაც მეფე თავის მამიდაშვილთან ერთად იმით იყო თავმობეზრებული, რომ უნებლიეთ «უმრავლესსა ჟამსა ულოს ყანს წინაშე იყუნენ» და თანაც ყაენის მძულვარებით შეფიქრიანებული იძულებული იყო თავის გადარჩენაზეზრუნვას შესდგომოდა. რუსუდანის ძე მოსალოდნელ განსაცდელს კარგად ხედავდა და, ისტორიკოსის სიტყვით, თვით ყაენი «ულო ლაშას ძისა დავითისათჳს უმეტეს მოყუარულ იყო და რუსუდანის ძისა დავითისათჳის მოძულე». საქმე იქამდის მივიდა, რომ ნარინ-დავითი «ალატაღს ულოს წინაშე შეიპყრეს და წარმოავლინეს საზამთროსა ადგილსა ბარდავს». იქ რომ მოჰყავდათ, გზაში ნახჭევანთან მეფე დავითი «ორითა ოდენ კაცითა» გაქცეულა და დასავლეთ საქართველოში გადასვლას შესდგომია: ჯერ სუმბატ ორბელთან მისულა, «რომელმაც წარიყუანა სახლად თჳსად». აქ დავით ნარინი «ევედრა სუმბატს, რათა არა განაცხადოს და წარავლინოს აფხაზეთს, თვალიცა მისცა იგი სახელოვანი, რომელ წარმოეტანებინა დედასა მათსა რუსუდანს». სუმბატი სწორედ ასეც მოქცეულა და «წარმოავლინა უნდოთავე შესამოსლითა შიშისათჳს თათართასა». დავითი რომ სუმბატის დახმარებით ჯავახეთში გადასულა, თორში ლიპარიტ თორელსა საიდუმლო სტუმრად სწვევია ამ უკანასკნელს ლტოლვილი მეფე ქუთაისში გადაუყვანია, სადაც დასავლეთ საქართველოს დიდებულებს დიდი სიხარულით მიუღიათ (ჟამთააღმ. * 811—8'2, გვ. 654—656).

აღსანიშნავია, რომ სტ. ორბელიანს თავის საისტორიო თხზულებაში ერთი შემთხვეულება აქვს აღწერილი, რომელიც, უეჭველია, დავით ნარინის ზემომოთხრობილ ამბავისაკენ ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. სტეფანოსის სიტყვით, ამ დროს (თვით დრო ქრონოლოგიურად განსაზღვრული არ არის) მონღოლებს ერთი მხედართ-მთავარი ჰყავდათ ბაჩუ-ნოინი (*Ваучу-ноин*), რომელიც მეფეევით ყველაზე აღზევებული იყო და ჰაბანდის სანახებში ძაგეძორის თავს იმყოფებოდა. ძალით მოყვანილი იყო დავითი, მცირე მეფე სვანთა, რომელიც მათ ბანაკში დატყვევებული იმყოფებოდა. შემდეგ უზენაესი წყალობით მან ერთ ღამეს ტყვეობითგან თავის დაღწევა და სამი კაცის თანხლებით გაქცევა მოახერხა. თან მას ერთი ძვირფასი თვალი პატიოსანი ჰქონდა, რომელიც ღამე ოთახს ცეცხლივით ანათებდა, და ამის გარდა ჯვარი-პატიოსანის ნაწილიც. გზად მიმავალ დავით მეფეს სუმბატ ორბელის ბამულზე გაუვლია, სადაც სუმბატის ერთს, დავითის ვინაობის არმცოდნე ყმას მეფის შეპყრობა სდომებია. დავითს საჩუქრად პატარა ქისა მიუცია თვალი-პატიოსნითურთ და უთქვამს: „წადი და შენ პატრონს, სუმბატ ორბელიანს. მოახსენე: ეს ჩემი მეფობის ფასად იყოს, აიღე და შეინახე, თუ კვლავ მოვედი და ჩემ ქვეყანაზე მეფედ დავჯექი, მომიტანე და დამიბრუნე და სამაგიეროდ იმ ქვეყანასა და ქალაქს მოგცეძ, რომელსაც მთხოვ. ხოლო, თუ სვანეთითგან ველარ გადმოვედი, ეს შენი იყოსო. ამის შემდგომ დავით მეფე თვითონ სვანეთში გადასულა და იქითგან აღარ დაბრუნებულა, არამედ იქვე გარდაცვლილაო[1]. მერმე სტ. ორბელიანის ნაშრომში ამ დავით „სვანთა მეფის" შე-

[1] სტ. ორბელიანი, გვ. 405—7.

სახებ ყოველივე კვალი ქრება. ცხადია, მას ეს ცნობაც რომელიღაც წყაროთგან, უფრო კი ზეპირ გარდმოცემითგან, უნდა ჰქონდეს ამოღებული ისე კი, რომ თვით ამ მეფის ვინაობის შესახებ გარკვეული წარმოდგენა არ უნდა ჰქონოდა.

თუ კირაკოზ განძაკელის ზემომოყვანილ ცნობას გავიხსენებთ, ვითომც დავით ნარინი გუიუქ ყაენითგან დაბრუნებისთანავე სვანეთში დამკვიდრებულიყოს, მაშინ ჩვენთვის უეჭველი შეიქმნება, რომ სტ. ორბელიანის მოთხრობაშიაც დავით „სვანთა მცირე მეფედ“ სწორედ დავით ნარინი უნდა იგულისხმებოდეს. საფიქრებელია, რომ სტეფანოზის წყაროში „დავით მცირე“, ე. ი. უმცროსი იქმნებოდა მოხსენებული, უფროს დავითისაგან, ანუ დავით ლაშას ძისაგან დავით როუსუდანის ძის განსაჩევად. ცნობილია, რომ დავით როუსუდანის ძე მართლაც თავის ბიძაშვილზე უმცროსი იყო. სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინიც, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, დავით ლაშა-გიორგის ძეს დავით უფროსს უწოდებს. მაშასადამე, სტ. ორბელიანის ცნობით დავით ნარინი მონღოლთა ნოინს ბაჩუს ჰყოლია შეპყრობილი და დამწყვდეული, მაგრამ ღამით გამოჰქცევია, სუმბატ ორბელის მამულზე გადასულს „სვანეთში“ შეხიზნვა მოუხერხებია და სიკვდილამდე იქ დარჩენილა. ჯუვეინის თხზულებაში, რომელიც მონღოლთა ბატონობის ისტორიას და სხვათამორის დავით როუსუდანის ძის აჯანყების ამბავსაც შეიცავს, ბაჩუ-ნოინის ხსენება არ არის. ქართველი ყამთააღმწერელი ნარინ-დავითის ჰულაგუ ყაენის მიერ დაჭერაზე ლაპარაკობს, სტ. ორბელიანის მოთხრობა კი ყაენის სახელს არ იხსენიებს, მაგრამ შესაძლებელია, აქაც ჰულაგუ-ვე იგულისხმებოდეს. სხვაფრივ ყამთააღმწერელისა და სტეფანოზის მონათხრობს დიდი მსგავსება ემჩნევა. ორთავეში დავით-ნარინის დატყვევებაზე და ტყვეობითგან გამოქცევაზეა ლაპარაკი. შემდეგ ორთავეში დავით მეფე ორი თუ სამი კაცის თანხლებით ახერხებს გაქცევას, და გასაოცარ თვალ-პატიოსანზეა ლაპარაკი. დასავლეთ საქართველოშიც სუმბატ ორბელის სამფლობელოს გზით მიემგზავრება. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ყამთააღმწერელის სიტყვით სუმბატ ორბელთან დავით-ნარინი თითონ მისულა, ძვირფასი თვალიც პირადად თითონ მიუცია და მეფე მასვე გადაუყვანია ჯავახეთში, სტეფანოზის ცნობით კი სუმბატისათვის მეფეს საჩუქრად ძვირფასი თვალი გაუგზავნია და სუმბატის მერმინდელი საქციელიც არა საკადრისად არის დახასიათებული. ამას გარდა დასავლეთ საქართველოს მაგიერ სტეფანოს ორბელიანს სვანეთი აქვს დავით-ნარინის ხიზნობის ადგილად დასახელებული. მაგრამ XII ს. სომეხთა ისტორიკოსებს დასავლეთი საქართველო ხშირად აქვთ მხოლოდ აფხაზეთად და სვანეთად მოხსენებული. ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, რომ ყამთააღმწერელსა და სტ. ორბელიანს დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლის ზესახებ ხელთ თუმცა მსგავსი, მაგრამ მაინც სხვადასხვანაირად გადაკეთებული ცნობა ჰქონიათ.

დავით ნარინის მონღოლთაგან განდგომილების ამბავს ყამთააღმწერელის თხზულებაში ჩვეულებისაებრ არავითარი თარიღი არ ახლავს. თა-

რილი არც სტ. რობელიანს მოეპოვება. ვ ა ხ უ შ ტ ი ამ შემთხვეულობის თარიღად 1246 წ. სთვლიდა[1]. ბ რ ო ს ე, როგორც ეტყობა, ფიქრობდა, რომ მეცნიერ ბატონიშვილს აქაც ათწლოვანი შეცდომა უნდა მოსვლოდა და, რათგან ეს ალამუთის აღების შემდგომ უნდა მომხდარიყო, ამიტომ თარიღს ათი წლით უკანა სდებდა, დაახლოვებით 1258 წ[2]. ეს უკანასკნელი დაკვირვება მცდარი არ არის და მარტო ამისდა მიხედვით, რომ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ამაზე უწინარეს ალამუთის აღებაზე აქვს საუბარი, დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლა-დამკვიდრება მაინცდამაინც 1256 წ. შემდგომ უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი, ხოლო დანამდვილებით როდის, ამის თქმა მარტო ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ცნობების მიხედვით შეუძლებელია.

საბედნიეროდ სპარსელ ისტორიკოსს ჯუვეინის ამ ამბავის ნამდვილ გარემოების გამოსარკვევად საყურადღებო ცნობები და თვით თარიღიც კი მოეპოვება. ჯუვეინის პირდაპირ თუმცა ნარინ-დავითის აჯანყების მიზეზი დასაბელებული არა აქვს, მაგრამ მისი წინამავალი მოთხრობითგანა ჩანს, რომ მონღოლთა გადასახადები იმდენად აუტანელი ყოფილა, რომ ეს გარემოება მონღოლთათვისაც ცხადი გამხდარა და გადასახადების სისტემის შეცვლა და ტვირთის სიმძიმის შემსუბუქება მათ თითონაც აუცილებლად საჭიროდ დაუნახავთ. ამიტომ საფიქრებელია, რომ აჯანყების და განდგომის მიზეზი, ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა არ იყოს, მონღოლთა დაუსრულებელი მოლაშქრეობისა და გადასახადების სიმძიმის აუტანლობა უნდა ყოფილიყო.

რაკი ამ თანამედროვე სპარსელ ისტორიკოსს დავით ნარინის შეპყრობასა და ტყვეობითგან გაქცევაზე არაფერი აქვს ნათქვამი, ქართული და სომხური წყაროების ამ ცნობის სისწორე გამოურკვეველი გვრჩება. დამახასიათებელია მაინც, რომ ჯუვეინი ვარკვევით არაფერს ამბობს, თუ დავით ნარინის უოჩობა ან რით გამოიხატებოდა, ან სად და როგორ გამომჟღავნდა. იქნებ გაიგეს მონღოლებმა დავით ნარინის უკმაყოფილების ამბავი და ის საპატიო ტყვედ აქციეს ისე, რომ გარეგნულად ის დაჭერილად არ ითვლებოდა, მაგრამ საქართველოში დაბრუნების ნებართვას არ აძლევდნენ და მეფეც მოსალოდნელი ცუდი ბედის შიშით მონღოლებს გამოეპარათ. დავით ნარინი რომ ცხადად დაჭერილი ყოფილიყო, მაინცდამაინც საფიქრებელია, ჯუვეინი ამას ალუნიშნავს არ დასტოვებდა.

სპარსელი ისტორიკოსის სიტყვებითგანა ჩანს, რომ ნარინ-დავითი უბრალოველად არ გასცლია მონღოლებს და პირდაპირ დასავლეთ საქართველოში გადასვლით კი არ დაუმთავრებია საქმე, და ამით თითქოს მხოლოდ თავისი თავის უბრუნველყოფისათვის გარჯილა, როგორც ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს აქვს მოთხრობილი, არამედ მონღოლთა ყაენის ლაშქრისა და დავით ნარინის მეთაურობით მყოფ ჯარს შორის დიდი ბრძოლა ყოფილა. ამასთანავე, თუმცა მონღოლთა ყაენის მოხელე და ისტორიკოსი მხოლოდ ქართველთა მრავალ დახოცილებზე და დატყვევებულებზე ლაპარაკობს ისე, რომ მისი სიტყვით

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, ბაქ. 239.

[2] Brosset, H. de la G. 546 შენ. ქ.

თითქოს ისე გამოდის, რომ ქართველები ნარინ-დავითითურთ დამარცხებულები უნდა ყოფილიყვნენ, არღუნი კი მონღოლთა და მაჰმადიანთა ჯარითურთ ამ ბრძოლითგან გამარჯვებული უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ თვით არღუნის მთელი მოქმედება ამას სრულებით არ ამტკიცებს. რაკი ჯუვეინი ნარინ-დავითის არც დატყვევებაზე, არც დამარცხებასა, ანუ ნებაყოფლობით დამორჩილებაზე არაფერს ამბობს, ცხადია, არღუნს აჯანყების ჩაქრობა ვერ მოუხერხებია. მას რი ! ამ ცხარე ბრძოლის შემდგომ რაიმე საგრძნობი გამარჯვება მოეპოვა, ის ჰულაგუ ყაენთან არ წავიდოდა და იმისგან ნარინ-დავითის წინააღმდეგ ახალსა და უფრო მრავალრიცხოვან ლაშქარს არ წამოიყვანდა. ხოლო თუ ჰულაგუ ყაენმა არღუნის მოხსენების მოსმენის შემდგომ ერაყის ყველა დუმანის მოლაშქრენი, საქართველოში დაბანაკებული მონღოლთა ელები არღუნს მოაშველა, ეს არღუნის მეთაურობით ნარინ-დავითის დასამორჩილებლად მონღოლ-მუსულმანთა პირველად ვამოგზავნილი შეერთებული ლაშქრის დამარცხებისა და საგრძნობლად დაზარალების უცილობლად დამამტკიცებელ გარემოებად უნდა იქმნეს მიჩნეული. სპარსელ ისტორიკოსს, როგორც ეტყობა, ამის პირდაპირ თქმა მონღოლთა მოკრძალებით ეძნელებოდა.

ამგვარად, ჯუვეინის აღწერილობითვანაც ჩანს, რომ თუ ქართველთა ჯარს ნარინ-დავითის მეთაურობით დიდი ზარალი მოუვიდა, — ამაზე მეტად დაზარალებულად მონღოლთა შეერთებული ლაშქრობა უნდა ვიგულისხმოთ. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ მთავარი მიზანი, დავით ნარინის დამორჩილება, მიუღწეველი დარჩა, მაშინ ჩვენთვის ცხადი შეიქმნება, რომ არღუნი ამ პირველ ლაშქრობაში დამარცხებულა.

სამწუხაროდ, სპარსელ ისტორიკოსს ამ ბრძოლის ასპარეზი დასახელებული არა აქვს, მაგრამ უეჭველია აღმოსავლეთი საქართველოს თბილისის დასავლეთით მდებარე ნაწილი უნდა ვიგულისხმოთ. ამ გარემოებითგან ცხადი ხდება, რომ ნარინ-დავითს თავდაპირველად მიზნად დასავლეთ საქართველოში შეხიზნვა არა ჰქონია. მონღოლებს ის აღმოსავლეთ საქართველოში შებრძოლებია. აზრი ლიხთიმერეთში თავის შეფარების შესახებ დავით ნარინს შემდგომ და მაშინ უნდა მოსვლოდა, როდესაც ჰულაგუ ყაენისაგან ხელმეორედ მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოგზავნის ამბავს შეიტყობდა.

ჯუვეინის აღწერილობა იმ მხრივაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ დავით ნარინის აჯანყების თარიღსაც შეიცავს. 657 წ. ჰიჯრით რამაზან თვის უკანასკნელი ათეული 1259 წ. 11—21 ენკენისთვეს უდრის. მაშასადამე, მონღოლების წინააღმდეგ დავით ნარინის აჯანყების დასაწყისი 1259 წ. მარიამობისთვეს, ან რამდენიმე თვით უფრო ადრე უნდა ვიგულისხმოთ. 1259 წ. 11—21 ენკენისთვეს ჰულაგუ ყაენს დავით ნარინის წინააღმდეგ არღუნი გამოუგზავნია საქართველოში ჯარითურთ, რომელიც სასტიკი ბრძოლისა და ორთავე მხრით დიდი ზარალის შემდგომ დამარცხებული გაბრუნებულა უკან.

აღსანიშნავია, რომ დავით ნარინის განდგომილებისა და დასავლეთ საქართველოში გადასვლის ამბავში ულუ-დავითი არსადა ჩანს. ეს თითქოს არც არის გასაკვირველი: ვითარცა მონღოლთა ყაენისა და მათი სამართლის წყალობით გამეფებულ ულუ-დავითს, თავის მამიდაშვილთან ერთად შედარებით

მონღოლებისადმი მეტი ერთგულებაცა და ამტანებლობაც უნდა გამოეჩინა. მას უეჭველია ეხსომებოდა, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით რომ გადაწყვეტილიყო მისი გამეფების უფლების საკითხი, ის სახელმწიფო ტახტს, რასაკვირველია, ვერ ეღირსებოდა.

ყამთააღმწერელის სიტყვით საკვარისი იყო დავით ნარინი ქუთაისში მისულიყო, რომ დასავლეთ საქართველოს დიდებულნი «შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე ყუეს სრულიად ლიხთიმერელთა დავით აფხაზეთით ვიდრე ლიხთამდე», და ამავე ისტორიკოსის აზრით სწორედ ამ დროს «აქა შინა შეიქმნა სრულიადი საქართველო «ორ სამეფოდ». მაგრამ ამისდა მიუხედავად «ეგრეცა იყვნეს სიყუარულსა ზედა ერთანერთისასა დავით და დავით და დარჩა ლიხთს-აქათი ლაშას ძესა დავითს»-აო (* 812, გვ. 656).

ულუ-დავითის განდგომილება

ულუ-დავითი ყამთააღმწერელის სიტყვით აღმოსავლეთ საქართველოში კარგად მოეწყო, «მოიგო სიმდიდრე უზომო და წარმართა სახლი სამეუფო კეთილად და მონებდავე ყაანსა» (იქვე).

ამის შემდგომ ულუ-დავითი ყამთააღმწერელის სიტყვით ბათო ყაენის მიწვეულობით ბათოსთან წასულა. წასვლის წინ დავით მეფემ «დაუტევა განმგებელად სახლისა სამეუფოსა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ და მესტუმრე ჯიქურ» (* 813, გვ. 656). ბათო ყაენმა განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად ულუ-დავითს «მოსცა სუქური საჩრდილობელი, რომელი სხვასა [არაევის] აქვნდეს თუინიერ ყაენთა და ნათესავსა მათსა» და თანაც ბრძანება გასცა, რომ დავით მეფეს ურდოში ყოფნის დროს ულუსის ნოინის შემდგომ პირველი ადგილი მეფეს ჰქონოდა დათმობილი (* 814. გვ. 657—658). ბათოსაგან საქართველოში დაბრუნებულს ჰულაგუ-ყაენის ბრძანებით ულუ-დავითს თავისი ჯარითურთ ბაღდადის ასაღებად მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება მოუხდა, საითგანაც ბაღდადის აღების შემდგომ მეფე ქართული ჯარითურთ ალაფით სავსე საქართველოში დაბრუნებულა. ამის შემდგომ მონღოლთა ყაენის ბრძანებით ხალხისა და ქონების აღწერა დაიწყო და სხვათა შორის საქართველოს აღწერის დაკთრებიც შეუდგენიათო და დიდი გადასახადებიც შეუწერიათ, ლაშქარს წარმავალ საქართველოს მეომართა რიცხვიც განუსაზღვრავთ (* იქვე 818—820. გვ. 663—665). მერმე ჰულაგუ-ყაენის შუამდინარის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში ულუ-დავითმა ქართველთა ჯარითურთ მონაწილეობა მიიღო და იქითგან «მეფე დავით ფრიად პატივცემული მოიწია ტფილისს»-აო. (იქვე * 820—821, გვ. 665—667). დასასრულ, ჰულაგუ-ყაენმა ულუ-დავითი მისრეთის, ანუ ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ განზრახულ ლაშქრობაში აღმოს. საქართველოს ჯარითურთ მონაწილეობის მისაღებად დაიბარა, მაგრამ მონღოლთა მეტისმეტი მოხარკეობით მოთმინებითგან გამოსული ყაენთან წასვლის მაგიერ მონღოლებს აუჯანყდაო (იქვე, * 824—825, გვ. 670).

ამგვარად, ყამთააღმწერელის თანახმად დავით ნარინის განდგომილების და დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდგომ ულუ-დავითის

განდგომილებამდე ვითომც კარგა ხანს უნდა გაევლო და ამ დროის განმავლობაში არა ერთი მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ დავით ნარინის მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში ულუ-დავით არსადა ჩანს. ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ ულუ-დავითი ამ განდგომილების წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო და ქართველი ისტორიკოსის სიტყვით ის მემდეგშიც ყაენს ერთგულად ემორჩილებოდა.

მაგრამ საკმარისია ადამიანი ჩაუკვირდეს იმ თარიღს, რომელიც დავით ნარინის განდგომილებას ეხება, და შემდეგ ჟამთააღმწერელის მიერ ამის მერმე მომხდარი ამბების დროსაც მიაქციოს ყურადღება, რომ ცხადი შეიქმნეს, რამდენად ანაქრონიზმებით სავსეა ჩვენი მემატიანის თხზულების მთელი ეს ნაწილი. დავით-ნარინი, როგორც გამოირკვა, მონღოლებს 1259 წ. აგვისტო-ენკენისთვეში განუდგა, ბათო-ყაენი კი 1255 წ. გარდაიცვალა[1]. ცხადია, აქ ჟამთააღმწერელის თხზულებაში შეუსაბამობაა, რაც ჯერ კიდევ აკად. მ. ბროსემაც შენიშნა[2]. ამგვარადვე ბაღდადის აღებაც, ხალხისა და ქონების არღუნისაგან აღწერაც, როგორც დავიწმუნდით, 1259 წ-ზე უწინარეს მოხდა. შუამდინარეზე გალაშქრებაც დავით ნარინის განდგომილებას ქრონოლოგიურად წინ უსწრებს. მაშასადამე, ყველა ამ ამბების დროს დავით ნარინი აღმოსავლეთ საქართველოში იყო, და ულუ-დავითთან ერთად ან დედაქალაქში იმყოფებოდა, ან მონღოლთა ლაშქრობაში უნებლიეთ მონაწილეობას იღებდა.

ულუ-დავითის მონღოლების წინააღმდეგ განდგომილების მიზეზად ჟამთააღმწერელი არღუნისაგან მოწყობილ გადასახადებსა და აუტანელ მოხარკეობას ასახელებს. მისი სიტყვით «შეიწრებულ იყო მეფე და საბრძანებელი მისი არღუნის აღთვალვისაგან და რომელი იგი განეწესა, რაცა განისყიდებოდეს ტფილისს ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ დაიდებოდეს. ამას ზედა ხოჯა-აზიზ ვინმე ნათესავით და სჯულთა სპარსი განეჩინა და დაეტევა ტფილისს». ეს მოხელე თურმე «ესეოდენ უწესოებად მიიწია, რომელ თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედაცა ხარაჯა წაულიან, რომელსა იგი ტამღად უწოდდეს» (* 825, გვ. 670).

ამ გადასახადებისა და „ხარაჯობის“ აუტანელობით შეწუხებულმა ულუ-დავითმა რომ მისრეთში, ანუ ეგვიპტეში ლაშქრობისათვის მონაწილეობის მიღების მოწოდება მიიღო, საგონებელს მიეცა, წასულიყო მონგოლთა ლაშქრობაში, თუ პირიქით მათ განსდგომოდა: «შეიწრებული მეფე იგონებდ? უკეთუ წარვიდე ეგვიპტედ, ანუ თუ განუდგე ყაენს». ულუ-დავითს უეჭველია, მოსალოდნელი საფრთხის შიშით გარკვეული გადაწყვეტილების მიღება ეძნელებოდა და ყოყმანში იყო, „ვერას დაამტკიცებდა“. ბოლოს ისევ წასვლა ამჯობინა და „წარემართა ლაშქრად“. მაგრამ გზაზე ისევ ეჭვი შეეპარა და როცა მოიწია ქუეყნად ჯავახეთისად, დაამტკიცა განდგომა». თავისი გადაწყვეტილების საბოლოოდ დასადასტურებლად ულუ-დავითმა მაინც «მოუწოდა თანგამზრახთა მისთა» და შემდეგი განუცხადა: «უკეთუ ვისმე ნებავს და დაუტევებს მამულსა, წარმოვიდენ ჩემთანა, უკეთუ არა ნებავს, წარვიდენ მსახუ-

[1] Лэн-Пуль, Мусульм. династіи, пер. В. Бартольда, 1899 წ. გვ. 191 შენ. 1.
[2] H. de la G. I, 547, შენ. 1.

რებად ყაენისა მისრეთს, რათა დასწვას ქუეყანა მისი, — რამეთუ ნება კაცად-კაცადსა ზედა იყუნედ». პირადად კი «მე აღარა მნებავს მონება თათართა მძლავრებისათჳს ხოჯა აზიზისა, რომელი დაადგინა ჩემზედან არღუნ, რამეთუ ვერ თავს ვიდებ ესეოდენსა შეურაცხებასა»-ო (* 825, გვ. 67!).

ულუ-დავითის მთელი მოქმედება მისი ადამიანური პიროვნებისათვის მეტად დამახასიათებელია: ყოყმანში მისი კეთილშობილური გული და გრძნობა ჩოჩანს, მისთვის ძნელი ყოფილა თავისი პასუხისმგებლობის ტვირთის ზიდვა. რომელიც მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებას, თუ იგი დამარცხებული იქმნებოდა, საქართველოს აოხრებით მის სვინდისს დააწვებოდა. დავით ნარინის მაგალითიც საკმარისი იყო, რომ დარწმუნებულიყო, რაოდენი მსხვერპლი შესწირვოდა ასეთ განდგომილებას. უეჭველია, ამ მოსალოდნელი განსაცდელისა და დამარცხების შიშით იყო მისი ყოყმანი გამოწვეული.

დამახასიათებელია მისი ქცევა „თანაგამზრახთა“ წრესთან თათბირის დროსაც. მას ვითარცა უაღრესად გულწრფელსა და პირდაპირს ადამიანს დიდებულებისაგან არაფრის დამალვა არ შეეძლო, პირიქით, დამსწრეთ ის ყველაფერს გულახდილად უზიარებდა: მე პირადად მონღოლთა ბატონობის ატანა აღარ შემიძლია, თქვენ კი, როგორც ვის უნდოდეს, ისე მოიქეცით, ვისაც სურს ჩემთან ერთად მონღოლებს წინააღუდგეს, ვისაც არა, მონღოლთა ყაენს ემსახუროს.

მაგრამ ასეთი მსჯელობა კერძო პირისათვის და კერძო ცხოვრებაში ეგების კარგი და პატიოსანიც იყოს, სახელმწიფოს სათავეში მდგომს, თვით საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეს კი არ შეშვენის და არც ეპატიება. ულუ-დავითს ალბათ ეგონა, რომ მისი გულახდილობა ისეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ ყველა დამსწრე დიდებულები მას განუსაზღვრელ ერთგულებას და სიკვდილამდე ვანუყოელობას გამოუცხადებდნენ. მას არ ესმოდა, რომ თავის თანაგამზრახთ თავისი გეგმის უიმედობის გრძნობას თვითვე უნერგავდა გულში. მონღოლთა წინააღმდეგ განზრახული განდგომილებისა და აჯანყების მოწყობა კი მხოლოდ აღფრთოვანებითა და სასოებით შეიძლებოდა, მაგრამ როდესაც მეთაურს აღფრთოვანება არ ემჩნევა, მას თავისი ხელქვეითებისათვის გამარჯვების იმედის ჩანერგვა არ შეუძლია.

ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ულუ-დავითის ყოყმანი, გაუბედაობა და ბაბნეულობა თანაგამზრახთა წრესაც გადაედო. კრება ორ ბანაკად გაიყო: „წარჩინებულნი ამის სამეფოსანი რომელნიმე დაუმტკიცებდეს განდგომილების მიზანშეწონილობას, რომელნიმე არა». უმრავლესობა აჯანყების მოწინააღმდეგენი აღმოჩენილან. მას შემდგომ, რაც თვით მეფემ არჩევანის სრული თავისუფლება მიანიჭა და განდგომილების მოწინააღმდეგეთ ყაენთან სამსახურში წასვლის სრული უფლება წინდაწინვე მიანიჭა, ეს არც გასაკვირველი იყო. აჯანყების მოწინააღმდეგეთა ჯგუფში ისეთი ძლიერი და გავლენიანი პირები და მოხელეები იყვნენ, როგორც „შანშას ძე ივანე“, ვრიგოლ სურამელი ქართლის ერისთავთ-ერისთავი, კახა გამრეკელი-თორელი მეჭურჭლეთ-უხუცესი, „უმრავლესნი ჰერ-კახნი“ და ახალქალაქის „თავნი და პირნი ქუეყნისანი“ იყვნენ. ასეთ პირობებში სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს და უბრალო გონიე-

რებას დავით მეფისათვის განდგომილების გეგმისათვის თავის დანებება უნდა ეკარნახა, რათგან მისი განზრახვის მომხრედ გავლენიან წარჩინებულთაგან სარგის ჯაყელ-ციხისჯვარელის გარდა, როგორც ირკვევა, არავინ აღმოჩენილა და ეს გარემოება აჯანყებას სრულებით უიმედო და უგუნურ საქმედ ხდიდა. ამის მაგიერ ულუ-დავითმა «ეგრეთცა დაამტკიცა განდგომილება» (* 825—826, გვ. 670—671). მეფის მთელმა მოქმედებამ და ამ გადაწყვეტილებამ სრულებით არია საქმე და საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში სრული დეზორგანიზაციის მაგალითი შექმნა. მეფე დარბაზის წევრთა გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოქმედობს, მაგრამ თანაც მათ მოქმედებას სრულ თავისუფლებას ანიჭებს და მონღოლთა სამსახურის წინანდებურად ასრულების ნებას აძლევს. ცხადია, რომ ამით ულუ-დავითმა მონღოლებს საშუალება მისცა საქართველოს მეფისა და აჯანყების მომხრეთა წინააღმდეგ თვით საქართველოს ჯარისავე დახმარებით ეომნათ და ამნაირად აჯანყების ჩაქრობა ნამდვილად ქართველთა ურთიერთ ხოცვა-ჟლეტად ექციათ.

ულუ-დავითისაგან ასე არეულად დაწყებული განხრახული განდგომილება ასევე უწესრიგოდ მიმდინარეობდა. საქართველოს წარჩინებულთა უნრავლესობა ჰულაგუ ყაენს გაჰყვა ლაშქრობაში, ულუ-დავითი კი მესხეთის მთავრის იმედით-ღა დარჩა. სარგის ჯაყელმა მეფეს მხარი დაუჭირა: «წარმოიყუანა სამცხეს, სახლსა მისსა და ფრიადითა პატივითა განუსვენა უმეტეს წესისა მეფეთასა და აძლევდა ყოველთა ციხე-ქალაქთა და ქუეყანათა მისთა გამოსაზრდელად მეფისა და ლაშქრისა მისისაათჳს» (* 826, გვ. 671). ულუ-დავითმა ამოდენა სარჯის დაკისრება არ მოისურვა და სარგის ჯაყელთან «დაყო ზაფხული» იგი მცირე ერთგულითა, რომელნი დადგეს ერთგულობასა მისსა ზედა» (იქვე).

ულუ-დავითმა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების და თბილისითვან წასვლის წინ «დედოფალი გვანცა და ძე მცირე მისი დიმიტრი დაუტევა სახლსა ავაგისსა ბიჯნისსა» (ეამთააღ. * 826, გვ. 671). მეფეს, რასაკვირველია, უნდა კარგად სცოდნოდა, რომ მისი განდგომის შემდგომ მის სახლობას მონღოლები ხელის არ დააყრიდნენ. თუ ამისდა მიუხედავად ულუ-დავითმა გვანცა დედოფალი თან არ წაიყვანა, ამის მიზეზი ის გარემოება უნდა ყოფილიყო, რომ დიმიტრი, როგორც კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს სიტყვებითგანა ჩანს, ახალ დაბადებული იყო[1]. მეორე მხრით, ულუ-დავითი რომ თბილისითგან წავიდა, მაშინ ჯერ აჯანყება გადაწყვეტილი არა ჰქონდა, არამედ განდგომა მხოლოდ სამცხეში გადასწყვიტა. ამიტომ დედაშვილის ბიჯნისში გასტუმრების დროს მეფეს ჯერ ამ თავისი ნაბიჯის სახიფათო შედეგის შესაძლებლობის გათვალისწინება ნათლად არ შეეძლო. ჩვეულებისაებრ ჩვენს ისტორიკოსს თარიღი არც აქ მოეპოვება, მაგრამ მისი აღწერილობითგანა ჩანს, რომ ულუ-დავითის განდგომილების დასაწყისი მონღოლთა ეგვიპტეში გალაშქრების დროს უნდა მომხდარიყო.

სომეხ ისტორიკოსთაგან კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ს მოეპოვება ცნობები დავით ლაშას ძის განდგომილების შესახებ. მასაც აღნიშნული აქვს, რომ

---

[1] კ ი რ ა კ ო ზ კ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, ისტორია, 373—374.

მონღოლთა აუტანელი მოხარკეობით შეწუხებულმა და მოთმინებითგან გამოსულმა დავით მეფემ, ლაშას ძემ, მთელ თავის ქონებას თავი დაანება, სატახტო ქალაქი თბილისი მიატოვა და აფხაზეთში გაიქცა, სვანეთის სიმაგრეებში თავი შეაფარაო. თან მონღოლთა ბატონობისაგან ქონებრივად შევიწროებულ-გაღატაკებული მთავრები და ერისთავებიც გაჰყვნენო. თვით მეფე თბილისითგან ისე სასწრაფოდ გაიქცაო, რომ თავისი თანამეცხედრე გვანცა დედოფალი და ახლად დაბადებული შვილი დიმიტრი თან ვერც კი წაიყვანაო. გახიზნულ მეფეს მხოლოდ მისი უფროსი ვაჟიშვილი გიორგი გაჰყოლია თან[1].

თუმცა ამ მოთხრობას თარიღი არა აქვს, მაგრამ წინ 1260 წ. ერთი შემთხვეულობაა აღწერილი, ხოლო შემდეგ ამავე თავში ამ განდგომილებასთან დაკავშირებით დასჯილი ჰასან-ჯალალ ხაჩინელის სიკვდილის თარიღად 1261 წ-ია დასახელებული. ამიტომ ცხადი ხდება, რომ დავით ლაშა-გიორგის ძის თბილისითგან გაქცევის თარიღად კირაკოზ განძაკელს 1260, ანდა 1261 წ. უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი.

კირაკოზის მოთხრობა მოკლეა და გაკვრითაც არ ეხება იმ ბევრ საყურადღებო ცნობებს, რომელთაც ყამთაღმწერელის მოთხრობა, თანამედროვე მესხი აღმწერელის წყაროზე დამყარებული, შეიცავს. მეტად საყურადღებოა სპარსელ თანამედროვე ისტორიკოსის ჯუვეინის ცნობა, თუმცა არც მისი აღწერილობაა გრძელი და სრული. სამწუხაროდ, ამ ადგილას ხელთნაწერებში ამ ამბავის ბოლო ნაწილი უნდა დაკარგული იყოს ისე, რომ მოთხრობა ისტორიკოსს დაუმთავრებელი რჩება.

დავით-ნარინის განდგომილების შესახებ საუბრის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ, როდესაც არღუნი ჰულაგუ ყაენის ბრძანებით ერაყის დუმნების მოლაშქრეებითურთ თავრეჟითგან ისევ თბილისში დაბრუნდა და საქართველოში მყოფი მონღოლთა ელის მეომარნიც შემოიერთა, წინანდელთან შედარებით საქართველოში საქმის ვითარება სრულებით შეცვლილი დახვდა: წინათ თუ ულუ-დავითი მონღოლების ერთგული იყო, ეხლა უკვე, ჯუვეინის სიტყვით, დავითი უფროსი მეფე داود طادبز აგრეთვე შერჩენილი გადაუხდელი მალის მისგან მოთხოვნის გამო, აჯანყდა და შორჩილების უღელი მოიშორაო[2].

ამ ცნობითგანა ჩანს, რომ ულუ-დავითი მართლაც მონღოლთაგან დადებული გადასახადების სიდიდის აუტანელობის გამო აჯანყებულა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სპარსელ ისტორიკოსს ყამთაღმწერელივით „ტამღა“ კი არა აქვს აჯანყების საბაბად დასახელებული, არამედ „მალი“, რომელიც იმდენად დიდი ყოფილა, რომ საქართველოს მეფეს სრულად ვერ გადაუხდია.

რაკი ორივე მეფე, დავით ნარინიც და ულუ-დავითიც, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულები იყვნენ და საქართველოს დედაქალაქში და ლიხთ-ამერეთს მეფე აღარ იყო, ამიტომ არღუნს საქართველოს სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაც ქართველისათვის ველარ უნდვია და მწიგნობართ-

---

[1] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 373—374.

[2] თარიხ-ი ჯებან-ქუშაჲ გვ. 262.

უხუცესისა და ვაზირთ-უპირველესის მაგიერ, რომელსაც ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად მეფის შემდგომ უზენაესი უფლება ჰქონდა და რომელიც პირველი პირი იყო ქვეყანაში, დანიშნა «შადინი ვინმე ნათესავით „სომეხი“», რომელსაც «შეჰვედრა ტფილისი და თჳთ მეფობაცა» (ჟამთააღმწერელი * 834 გვ. 679).

ჯუვეინის, ჟამთააღმწერელისა და კირაკოზ განძაკელის ცნობების შედარება ულუ-დავითის აჯანყების თარიღის გამორკვევის საშუალებას ვვაძლევს. სპარსელი ისტორიკოსის მოთხრობითგან ცხადი ხდება, რომ არღუნი, დავით ნარინთან უშედეგოდ შებრძოლების შემდგომ, თავრეზში ჰულაგუ ყაენთან 1259 წ. ენკენისთვის დამლევს მისულა, უნდა ვიფიქროთ, რომ ერაყითგან ლაშქრის შეგროვებას საკმაო დრო დასჭირდებოდა ისე, რომ არღუნი ახალი ჯარითურთ სპარსეთითგან ვლავ საქართველოში ალბათ ან იმავე 1259 წლის დამლევს, ან, რათგან ზამთარში ცხენოსანი ლაშქრისათვის საქონლის გამოკვება და სამხედრო მოქმედება შედარებით უფრო ძნელი იყო, იქნებ 1260 წ. გაზაფხულზე უნდა იყოს მოსული. ზედმიწევნით დროის განსაზღვრას ჟამთააღმწერელის წყაროს ცნობა აძნელებს, რომლის მიხედვით დავით მეფეს მესხეთში, თითქოს არღუნის მოსვლამდე, ზაფხული გაეტარებინოს (* 826, გვ. 671). ხოლო არღუნის ლაშქარსა და ულუ-დავითის მომხრე სარგის ჯაყელის ჯარს შორის ახალდაბის ხიდთან მომხდარი ბრძოლა ზამთარში მომხდარა, სახელდობრ დეკემბერში (* 828, გვ. 673). ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ არღუნი ან იმავე 1259 წ. ზამთარში მოვიდა და ულუ-დავითს დეკემბერშივე შეებრძოლა, ან არა და 1260 წ. ზაფხულში მოსულა და, როცა ულუ-დავითის განდგომილება შეუტყვია, მარტო დავით-ნარინის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსულს, რაკი ულუ-დავითიც აჯანყებული დაჰხვედრია, შებმა მაშინვე ვერ გაუბედნია, არამედ მეტი ჯარის შეყრა უცვნია საჭიროდ და სამხედრო მოქმედება ზამთარში, მხოლოდ დეკემბერში დაუწყია. აღსანიშნავია, რომ ჟამთააღმწერელის ცნობით არღუნი საქართველოში ჰულაგუ ყაენს მაშინ გამოუგზავნია ლაშქრითურთ, როდესაც «მოვიდა ულო განმარჯვებული ბრძოლისაგან სულტნისა მეგჳპტელისა, რამეთუ სძლო მათ და აოტნაო-ო (* 826, გვ. 671). როგორც უკვე მ. ბროსემ აღნიშნა, მონღოლებს ეგვიპტეში არამც თუ არ გაუმარჯვნიათ, პირიქით, ისინი იქ დამარცხდნენ. ეს თვით მონღოლთა ყაენების კარის ისტორიკოსს რაშიდ ედინსაც აქვს გულახდილად მოთხრობილი[1]. ამიტომ ჟამთააღმწერელის ამ მცდარი ცნობის გამოყენება დასათარიღებლად ძნელია. მაგრამ შესაძლებელია ამ ისტორიკოსის ნაამბობში ط-ه მფლობელის სულტან სალეჰის, რომელსაც ეგვიპტის სულტანი ეხმარებოდა, 660 წ. ჰიჯრით 1260 დეკემბ.-1261 წ. დამარცხება ჰქონდეს ნაგულისხმევი[2].

არღუნს ჟამთააღმწერელის სიტყვით თან მაინცდამაინც ბევრი ჯარი არ მოჰყოლია, სულ 20000 მონღოლი და ერაყელი მოლაშქრე ჰყავს

---

[1] კატრმერის გამ. გვ. 556—558, იხ. აგრეთვე ჰამდალლაჰ ყაზვინის ტარიხ-ი გუზიდეჰ, გვ. 58.

[2] იხ. რაშიდ ედინის ჯამ-ი ატ-ტევარიხ; კატრმერის გამ. გვ. 368.

ქართველ ისტორიკოსს დასახელებული. ამას გარდა ჰულაგუ ყაენისაგან საქართველოს დიდებულებს, რომელნიც «ერჩდეს მას», ბრძანება მოსვლიათ, «რათა წარჰყვენ არღუნ ოირადსა» ულუ-დავითისა და მონღოლთაგან განდგომილ დანარჩენ ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად (* 826—827, გვ. 672). რათგან, როგორც დავრწმუნდით, თვით ულუ-დავითისავე გულუბრყვილობით საქართველოს დიდებულებს მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული და ქვეყანა ამის წყალობით ორ უთანასწორო ნაწილად გაიყო, რომლის უდიდესი ნაწილი მონღოლთა მორჩილი დარჩა, მეფე კი მცირე ნაწილითურთ მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებული იყო, საქმე ისე დატრიალდა, რომ, თუნდაც საქართველოს დიდებულებს არ სდომებოდათ, მაინც მონღოლებთან ერთად უნდა ეომნათ და ამნაირად მონღოლებს საშუალება მიეცათ საქართველოს აჯანყებული მეფისა და მესხეთის წინააღმდეგ თვით საქართველოს ჯარივე ებრძოლებინათ. მონღოლები სწორედ ასეც მოქცეულან და ყველა ის მთავრები, რომელთაც განდგომილება მიზანშეწონილად არ უცვნიათ და მონღოლთა ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღიათ, ეხლა ჰულაგუ ყაენს არღუნის განკარგულების ქვეშ დაუყენებია და დავით მეფის წინააღმდეგ მებრძოლ მონღოლთა ლაშქრისათვის მიუშველებია.

არღუნი თავისი შეერთებული ჯარითურთ და აღმ. საქართველოს მთავრები «წარმოემართნეს სამცხეს ბრძოლისა ქოფად მეფისა». ამის გაგონებაზე ულუ-დავითმა «მოუწოდა მესხთა, შავშთა, კლარჯთა და ვინცა დგომილიყო ერთგულობასა ზედა მისსა». მაინც მომხრეთა მცირერიცხოვანობის გამო, დიდი ჯარის შეყრა არ შეეძლო, არამედ «შეკრიბნა მცირედნი კაცნი მჭედარი რვა ათასი». რომელთათვის «აჩინა მჭედართმთავრად სარგის ჯაყელი, კაცი მანე და შემმართებელი და მრავალჯერ გამოცდილი და სახელოვან-ქმნილი წყობათა შინა» (ჟამთააღ. * 827, გვ. 672).

ჯერ კიდევ არღუნი ქართლში შემოსული არ იყო, რომ ულუ-დავითისაგან გაგზავნილი ჯარი სარგის ჯაყელის მეთაურობით მტკვრის ჭევთას დაიბანაკა. ამ არღუნმა თავის ლაშქრითა და თანამებრძოლებითურთ «შემოვლა ქართლი და დადგა სურამს», ხოლო 6000 მხედრისაგან შემდგარი წინამბრძოლთა რაზმი უფრო შორს წარავლინა. შემდეგ თვით არღუნი თავისი მთავარი ძალით „გორის შინდარას“ დაბანაკდა, წინამბრძოლნი კი ტაშისკარამდე წასწია. ასეთი ფრთხილი მოძრაობის შემდგომ არღუნი «დადგა სამდინაროსა მას ზედა, რომელ არს შოლა». თავის მხრით სარგის ჯაყელიც დაიბრა და 1500 რჩეული და გამოცდილი მხედარი წინამბრძოლად გაგზავნა. ამ რაზმის მოლაშქრეებმა თურმე «არა უწყოდეს მოახლება არღუნისი» და არხეინად წარემართნეს და განვლეს ჭიდი ახალდაბისა». ამ დროს «იყო ზამთარი და ყინული ვითარ წესი არს თვესა დეკემბრისასა». როდესაც სარგის ჯაყელის წინამავალნი „განვიდეს სივიწროისაგან“, თათართა წინამბრძოლი მოლაშქრეები ნახეს, მაშინვე «წინა განეწყვნეს ქართველნიცა და მყის ზედამიეტევნეს მესხნი» ისეთი გატაცებით და სიფიცხით, რომ პირველსა[ვე] შეკრებასა აოტნეს თათარნი და მოსწყვიდნეს მრავალნი სახელოვანნი [თათარნი]». მონღოლთა წინამბძოლთა რაზმთგან მცირედი ნაწილი-ღა გადარჩენილა, რომელსაც უკან

დახევა და გაქცევა უმჯობინებია. მათ ლტოლვით უშველეს თავს და «შეიხუეწნეს რაზმსა შინა არღუნისასა შინდარას გორისასა». ასეთი გამარჯვების შემდგომ უკან გაბრუნდნენ მხედართმთავრისათვის საქმის ვითარების მოსახსენებლად და როცა «შემოქცეულნი მრავალთა სახელოვანთა თათართა თავისა მქონებელნი» სარდლისა და ჯარის მთავარ სადგომს მიუახლოვდნენ, სარგის ჯაყელმა და დანარჩენმა ქართველმა მეომრებმა გაიგეს რა გამარჯვება(ც) წილად ხვდათ წინამბრძოლთა რაზნს (ჟამთააღ. * 826—829, გვ. 671—673).

მონღოლთა წინამავალი რაზმის გადარჩენილმა ნაწილმა არღუნს დამარცხების ამბავი მიუტანა. არღუნმა მაშინვე მონღოლთა ლაშქარი და ქართველთა მეშველი ჯარიც შეჰყარა. მაგრამ ამ დროს სარგის ჯაყელის მეთაურობით ულუ-დავითის ჯარის მოახლოვება გაიგო და უკვე გაქცევას აპირებდა, რომ ქართველ დიდებულებს არ შეეკავებინათ. ჟამთააღმწერელის სიტყვით «აყენებდეს ქართველნი წარჩინებულნი და არა უტევეს სივლტოლად, რომელთა უპირობდა თორელი კახა და ეტყოდა ვითარმედ «ქართველნი ვართ, ომისა მათისანი [ჩვენ უწყით], ჩვენ ებრძოდით თქვენ წილ», და ესრეთ ძალით არწმუნეს და დადგა ადგილსა ზედა»-ო (* 828—829, გვ. 674).

არღუნი თავისი შეერთებული ჯარითურთ საბრძოლველად დაირაზმა და ორთავე მოპირდაპირენი ერთმანეთს ეკვეთნენ. წინამავალი რაზმის დამარცხებით აღფრთოვანებულნი «ზედა მიეტევნეს მესხნი განლაღებულნი». თვით ნხედართმთავარი «სარგის ჯაყელი უპირველეს ყოველთასა მიუჯდა რაზმსა» და მონღოლთა საუკეთესო მებრძოლი «ბაადური ცხენისაგან ქვეყანად დასცა». გახურებული ბრძოლა გაჩაღდა და «მრავალნი მოისრვოდეს არღუნის სპისაგან და სივლტოლად მიდრკეს» ისე, რომ «პირველსავე მიჯრასა სძლევდეს სპანი მეფისანი». მაგრამ ამ დროს მონღოლებმა, ჟამთააღმწერელის სიტყვით, თავიანთ ნაცადს საშხედრო ხერხს მიჰმართეს: «ვითარ არს ჩვეულება თათართა ლტოლვა და გარე-უკუქცევა», — და ამ შემთხვევაშიც მონღოლები ჯერ გაიქცნენ; ულუ-დავითის ჯარს, როგორც ჩანს, მტრის დიდი ზარალის გამო, ეს მის ნამდვილ ლტოლვად და დამარცხებად მიუჩნევია. მაგრამ ამ დროს მონღოლები თურმე «ანასდად გარე-უკუნიქცეს» და ამ მოულოდნელმა შემოტევამ ბრძოლის მიმდინარეობა უკუღმა შეატრიალა, ისე რომ «სულმოკლე ქმნილნი სპანი მეფისანი ივლტოდეს მსწრაფლ». ეხლა უკვე მონღოლები სდევდნენ ულუ-დავითის გაქცეულ ჯარს, რომლის მხედარნი თავზარდაცემის გამო, «განწირული და მიმოდაბნეული თათართა მიერ მოისრვოდეს». მონღოლნი ჩვეულებისამებრ «უწყალოს ჰხოცდეს» ისე, რომ «მრავალნი სახელოვანნი მოსრნეს თათართა» და სარგის ჯაყელის ჯარითგან სიკვდილსა და ტყვეობას ცოტანი-ღა გადაურჩნენ: «მცირედნი-ღა ძლით განერნეს» სიკვდილსა; «ზოგნი ტყვედ წარყვანებულ იქმნეს» როგორც მაგ. «გურკელელი (sic) მურვან და სხვანი მრავალნი». ასე საშინლად დამარცხებულს ულუ-დავითის ჯარს მონღოლებმა «სდევნეს ახალდაბის ჯიდამდე გინა უმეტესცა» (* 829, გვ. 674).

თუ გავიხსენებთ, რომ ულუ-დავითს მხოლოდ 8000 მხედარი ჰყავდა, მონღოლთა მხრივ კი არღუნს 20000 ერაყელი მოლაშქრე მოჰყოლია, საქართველოშიაც ჰულაგუ ყაენის განკარგულების თანახმად ნებსით თუ უნებლიეთ

აღმოსავლეთ საქართველოს ჯარი გამდგარ მესხეთის გარდა უნდა მიშველებოდა, ქართველ მეშველ ჯარისკაცთა რიცხვი რომ მხოლოდ ერთი-ორად იმაზე მეტი ვივარაუდოთ, რაკ მესხეთში მოგროვდა და არღუნის განკარგულებაში ძალის რაოდენობა მარტო 36000 მხედრად ვიანგარიშოთ, გაშინაც მოპირდაპირეთა ძლიერების უთანასწორობა და მონღოლთა უპირატესობა სრულებით ცხადი შეიქმნება. ასეთ პირობებში სარგის ჯაყელის მხრით შეცდომა იყო, რომ იწროებითგან, სადაც შედარებით პატარა ძალით მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევაც ადვილი იყო და დამარცხებაც, გაშლილ ადგილას, გორის შინდარას გამოიყვანა და ამით მონღოლებს მთელი თავიანთი ჯარისა და სამხედრო ხერხის გამოყენების საშუალება მისცა, თავის მხედრებს კი ყველა ის უპირატესობა დაუკარგა, რომელიც ვიწრო და ძნელად მისავალ ხეობაში ყოფნით მოპოვებული ჰქონდა. ძალთა ასეთი უთანასწორობისა და სამხედრო მოქმედების ასპარეზის ულუ-დავითის ჯარისათვის სარგის ჯაყელის შეცდომის წყალობით გაუარესებისა და არა ხელსაყრელობის გამო დამარცხება ბოლოს და ბოლოს აუცილებელი იყო.

ჟამთააღმწერელის აღწერილობითგან ცხადი ხდება, რომ ახალდაბისა და გორის შინდარას ბრძოლა დეკემბერში მომხდარა.

თუ ულუ-დავითის აჯანყების ამბავის გამომჟღავნებისთანავე არა, მაინც-დამაინც მეფის წინააღმდეგ პირველი გალაშქრების უშედეგობის შემდგომ საფიქრებელია, რომ არღუნი განმდგარი მეფის სახლობას დაიჭერდა და მძევლად წაიყვანდა. ისტორიკოსსაც, თუმცა უალაგო ალაგას, აღნიშნული აქვს, რომ «დედოფალი გვანცა, ავაგის ცოლ-ყოფილი, და ძე თჳსი ყრმა მცირე დარჩეს ჴელთა ულოს, რომელნი ტყვედ წარასხნეს ურდოსა»-ო (ჟამთააღ. * 833, გვ. 678).

დამარცხებული ჯარის გადარჩენილი მცირე ნაწილი სარგის ჯაყელი-თურთ მივიდა დავით «მეფეს წინაშე აწყვერს მეყვისთათვის» მტირალი. აღსანიშნავია, რომ ასეთი გამარჯვების შემდგომაც არღუნმა მესხეთში შესვლა და მთავარი მიზნის განხორციელების, დავით მეფის ხელთგდების ცდა მაინცვერ გაბედა. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, თუ რამდენად ფრთხილობდა მონღოლთა ლაშქრის უფროსი და ესმოდა ის უპირატესობა, რომელიც ადგილობრივი პირობების წყალობით მეტადრე ზამთარში მესხეთში მყოფ ულუ-დავითის მცირერიცხოვან ჯარსა ჰქონდა. უკან დადევნებისა და დავალებული საქმის დამთავრების მაგიერ «შეიქცა არღუნ ყაენს ულოს წინაშე განმარჯვებული» (* 829, გვ. 674). როგორც ჩანს, არღუნის ლაშქარსაც საგრძნობი ზარალი უნდა მოსვლოდა და შევსება ესაჭიროებოდა.

ამგვარად, მთავარი მიზანი, განმდგარი ულუ-დავითის დამორჩილება, მონღოლებს ამ შემთხვევაშიაც განუხორციელებელი დარჩათ. მაგრამ შინდარას დამარცხებამ ულუ-დავითის მომხრეებს მაინც ბრძოლის წინანდელი აღფრთოვანება და წყურვილი შეუსუსტა. «დაყო მეფემან ზამთარი ნახევარი სამცხეს და გარდავიდა შავშეთს და კლარჯეთს და წარვიდა ნიგალისხევს» (* 830, გვ. 675). როგორც ჩანს, ულუ-დავითს მაინც სამცხეში ყოფნა თავისთვის უკვე სახიფათოდ მიაჩნდა.

მართლაც, ულუ-დავითის სიფრთხილე ზედმეტი არ აღმოჩნდა, რათგან «ვითარ მოიწია თვე მაისი და აღმოსცენდა მდელო, ყაენმან იგივე არღუნ დევნად და ძებნად წარმოავლინა». არღუნისაგან მოყვანილ მონღოლთა ლაშქართან ერთად «იყუნეს ქართველნიცა მიმდგომნი ყაენისანი» (* 830, გვ. 675). არღუნის ეს გამოლაშქრება, მაშასადამე, მაისში ყოფილა.

შინდარას დამარცხების ზნეობრივი შედეგი ამ დროისათვის უკვე სამცხესაც და ჯავახეთსაც დასტყობია; წინათ თუ საქართველოს ეს კუთხე განმდგარი მეფის ერთგულებას იჩენდა თავგამოდებით, ეხლა ყოყმანი და რყევა აქაც დაეტყო და, როდესაც არღუნი კვლავ მოვიდა, «მესხნი რომელნიმე მიეგებნეს არღუნს და რომელნიმე წარჰყუეს მეფესა» (* 830, გვ. 675). ულუ-დავითსა და მის ერთგულ წარჩინებულებს აქტიური ბრძოლის უნარი უკვე დაკარგული ჰქონიათ და გახიზნულნი იყვნენ. ასეთ პირობებში არღუნს სამცხეში თარეში არ გაუძნელდებოდა და დაუბრკოლებლივ «იწყო ოჴრებად და ტყვევნად სამცხეს» (* 830, გვ. 675). კირაკოზ განძაკელის სიტყვით მონღოლებს აწყური აუოხრებიათ და ხალხი უწყალოდ გაუჟლეტიათ[1]. ძთავარი ყურადღება მონღოლებს სარგის ჯაყელის საჯდომისათვის, ციხისჯვარისათვის მიუქცევიათ და იმას ბისდგომიან. მაგრამ ამ «ციხეს მყოფნი ძლიერად ბრძოდეს» მონღოლებს და «ძრავალი კაცი მოკლეს და დიდად ავნებდეს გარეთმყოფთა, დღისით და ღამით განვიდიან და ადგილადგილად ბოსწყჴდიან» (* 830, გვ. 675). ციხისჯვარელთა გულადობის წყალობით არღუნის ლაშქრის ყოველივე ცდა ამაო გამოდგა.

კირაკოზ განძაკელს ნათქვამი აქვს, რომ იმ დროს, როცა მონღოლები სამცხეში ხოცვა-ჟლეტით იყვნენ გართულნი, მოულოდნელად 400 მხედრისაგან შემდგარი რაზმი თავს დაესხა და დიდი გულადობა გამოიჩინა ისე, რომ ძრავალი მონღოლთაგანი გაწყვიტეს, თითონ კი უვნებლად უკან წავიდნენო. არღუნი ამის შემდგომ დარწმუნდა, რომ სამცხეში სამსედრო მოქმედება სახიფათო იყო და ისევ წასვლა ირჩია[2].

არღუნმაც ამის შემდგომ ციხეს თავი დაანება და მალე სამცხითგანაც წამოვიდა. ამნაირად არღუნს სამცხეში დიდხანს არ დაუყვია: «ოც დღე ძლით იყო არღუნ სამცხეს» (* 830, გვ. 675). მაშასადამე, ამავე წლის ივნისის დამლევს არღუნი უკვე სამცხითგან გასულა. მაგრამ ამ მცირე დროშიაც მონღოლებმა ქვეყანა დიდად დააზარალეს და, როცა მეფეს ისევ დაბრუნება შეეძლო, მან «იხილა სამცხე მოოჴრებული» (იქვე).

რაკი აჯანყებული ულუ-დავითის წინააღმდეგ გალაშქრებამ არღუნს მთავარ მიზანს, მეფის ან დამორჩილებას, ან შეპყრობას, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც ვერ მიაღწევინა, განრისხებულმა გვანცა დედოფალი, მისი ასული ხვაშაქი, დიდი მთავარი ზაქარია ძე შანშასი, ჰასან ჯალალი ხაჩინელი და ბევრი სხვებიც დააპატიმრა[3]. ამ შეპყრობილებს, რასაკვირველია, ბევრი არ

---

[1] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 374.
[2] იქვე.
[3] იქვე.

დაჰყრიათ. ჟამთააღმწერელის სიტყვით «გუანცა დედოფალი... მოკ-ლულ იქმნა თათართ შინა მყოფი»-ო (* 843, გვ. 688). აქვე ზეპირ გარდმოცემას უმატებს: «იტყჳან ვითა ასულსა მისსა ხუაშაგისა, რომელი იყო ცოლი საჰიბ დივანისა ხოჯა შამსადინისა, მისითა განზრახვითა მოიკლა»-ო (იქვე).

სტ. ორბელიანი გვანცა დედოფლის სიკვდილს ჰულაგუ ყაენის ბრძანების შედეგად სთვლის, თუმცა მისი სიტყვითაც ამ საქმეში სუმბატ ორბელიცა და სხვა მთავრებიც გარეული უნდა ყოფილიყვნენ. სტეფანოზს ნათქვამი აქვს, რომ სუმბატმა სხვა მთავრებთან შეთანხმებით ჰულაგუ ყაენის ბრძანებით გვანცა ზღვაში ჩაგდებით მოაკვლეინა. ამავე სუმბატს გვანცას ასული ხვაშაქი ხოჯა საჰიბ-დივანისათვის მიუთხოვებია[1].

არღუნისაგან შეპყრობილთა ბედ-იღბალი კირაკოზ განძაკელს სხვანაირად აქვს აღწერილი: მისი სიტყვით გვანცა დედოფალი, ხვაშაქი, ჰასან ჯალალი არღუნისაგან გადასახადების გადაუხდელობის მომიზეზებით იქმნენ შეპყრობილნი და განსაცდელისაგან თავი მხოლოდ დიდი ქრთამით გადაირჩინეს და განთავისუფლდნენ კიდეც ჰასან ჯალალს გარდა, რომელსაც იმდენს ხარკს სთხოვდნენ, რომ მას ამდენის გამოღების შეძლება არა ჰქონდა. ამის გამო არღუნმა კისერზე და ფეხებზე ბორკილები გაუკეთა და ყაზვინში გაგზავნა. ჰასან ხაჩინელს, ამას გარდა, მონღოლთა მაჰმადიანი მოხელეები მაჰმადიანთა მტრობასაც აბრალებდნენ. და ამიტომაც ჯავრის ამოყრას ცდილობდნენ. მათი გულმოდგინეობით ჰასან ჯალალი მართლაც სიკვდილად იქმნა დასჯილი და ასო-ასო ააკუწინეს 1261 წ.-ო[2].

ამავე ავტორის ცნობით, ზაქარია ამირსპასალარი, შანშეს ძე, არღუნისაგან იმის გამო იქმნა შეპყრობილი, რომ როდესაც არღუნი თავისი ლაშქრითურთ საქართველოში იყო, თან ზაქარიაცა ჰყავდა. არღუნისაგან საიდუმლოდ ზაქარია ამირსპასალარი თავისი ცოლის სანახავად წავიდა, რომელიც მაშინ თავის მამასთან, სარგის ჯაყელთან იმყოფებოდა. ხოლო სარგისი დავით ქართველთა მეფესთან ერთად აჯანყებული იყო[3]. არღუნმა რომ ეს შეიტყო, ჰულაგუ ყაენს აცნობა და ყაენმაც ზაქარია დაატყვევინა და თავისთან მიაყვანინა. იქ ზაქარია ყაენმა მოაკვლეინა, ასო-ასო ააკუწინა და ძაღლებს შეაჭმეინა. შვილის სიკვდილმა ისე იმოქმედა მის მამა შანშეზე, რომ ისიც მწუხარებისაგან მალე გარდაიცვალა[4].

ჟამთააღმწერელს კი გვანცა დედოფლის მოკვლის ამბავის უწინარეს ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის გარემოება ასე აქვს აღწერილი: «მას ჟამსა განუდგა ულოს ყაენს შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოვლითა სათნოებითა შემკული და საჩინო და ივლტოდა ქუთათისს ნარინ-დავითისსა, რამეთუ ბერქას ლაშქართ გამოსვლა მას მიაჩემეს». დავით ნარინმა

[1] სტეფანოზ ორბელიანი, ისტორია, 418.

[2] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 374.

[3] პროფ. პატკანიანი ამ ადგილს შეცდომით ასე სთარგმნიდა: «который не признавал власти грузинского царя Давида» (История монголов по армянским источникам II, 104). ასე რომ ყოფილიყო, ზაქარია ამირსპასალარს არ დაიპერდნენ, არამედ საქებურად ჩაუთვლიდნენ კიდეც. კირაკოზს ნახმარი აქვს ընդ და არა ընդդէմ.

[4] კირაკოზ განძაკელი, 377.

ზაქარია კარგად მიიღო, მაგრამ შემდეგ ჰულაგუ ყაენმა უვნებლობის ფიცის საშუალებით გამოიტყუა და «მოკლა ზაქარია ამირსპასალარი». როდესაც ეს ამბავი «ცნა დიდმან შანშა, მამამან მისმან, მწუხარებითა შეწუხებული იგიცა აღსრულდა»-ო (* 843, გვ. 688).

დასასრულ, ვ ა რ დ ა ნ ბ ა ა ძ რ ბ ე რ დ ე ლ ს ზაქარიან ამირსპასალარის დაპერისა და მოკვლის მიზეზის შესახებ ზემომოყვანილ წყაროებისაგან განსხვავებული ცნობა მოეპოვება. მისი სიტყვით სომეხთა წელთაღრიცხვის 710 წელს, ანუ 1261 წ. ქ. შ. ჰულაგუ ყაენის კარზე მოკლეს ქართველთა ამირსპასალარი ზაქარია, შანშას ძე. სხვადასხვა ბოალდების მომიზეზებით და მათ შორის იმიტომაც, რომ ვითომც ყაენის სახელმწიფო სალაროში დაწესებული ხარკის დროულს შესვლას აფერხებდა. მისი სიკვდილი უგლოვია მთელ საქართველოს სოშხეთითურთ. მისი სიკვდილისაგან შეწუხებული მამაც შანშა, ანისის პატრონი, ცოტა ხნის შემდგომ გარდაიცვალაო [1].

წყაროებისა და ცნობათა სიუხვისდა მიუხედავად საქმის ნამდვილი გარემოების გამორკვევას ამ წყაროთა შეუთანხმებლობა და უსრულობა აძნელებს. ყველა ზემოდასახელებულ ავტორებს აქვთ თავიანთი ცნობები სხვა წყაროებითგან ამოღებული და ზოგს მათგანს, როგორც მაგ., ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ა და კ ი რ ა კ ო ზ ს, უალაგო-ალაგასაც კი მოუთავსებიათ. ამასთანავე, ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ა და ს ტ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თარიღები არ მოეპოვებათ, მათი ცნობაც ზეპირი გარდმოცემით და ვგონებ ჭორებითაც კი არის შემღერებული. კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ს კიდევ ისე აქვს მოთხრობილი, თითქოს დაპერილთაგან, ჰასან-ჯალალ ხაჩინელსა და ზაქარია ამირსპასალარს გარდა. განსაცდელს ყველამ თავი დააღწია, მაშასადამე, მათ შორის გვანცა დედოფალმაც. რაც, რასაკვირველია, მართალი არ არის. ამგვარადვე ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ცნობით თუ ზაქარია ამირსპასალარი ბერქას გაჰოსვლის შემდგომ და აჯანყებისათვის გამოდის შეპყრობილად, კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს სიტყვით, სარგის ჯაყელთან მყოფი თავისი ცოლის საიდუმლოდ ნახვისათვის, ვ ა რ დ ა ნ ბ ა ა ძ რ ბ ე რ დ ე ლ ი ს თანახმად კი ხარკის ურდოში წარდგენის ხელოვნურად შეფერხებისათვის ღალუპულა. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ უკანასკნელ ავტორს კ ი რ ა კ ო ზ ს ა ე ი თ მხოლოდ ჰასან-ჯალალისა და ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილად დასჯის ამბავი აქვს მოთხრობილი, გვანცა დედოფალზე კი არაფერია ნათქვამი.

აღმოსავლეთ საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ გვანცა დედოფალი თავისი მცირეწლოვანი შვილითურთ ულუ-დავითის აჯანყების გამო იქმნა შეპყრობილი, რომ ამით მისი ქმრის დამორჩილება უფრო გაადვილებულიყო. გვანცა დედოფალი, ჰულაგუ ყაენისა და არღუნისაგან დასახული მიზნის არაერთგზისი ცდის უშედეგობის გამოვე, შურისძიებისა და გულმორეული ჯავრის ამოსაყრელად უნდა ყოფილიყო სიკვდილად დასჯილი. მისი ასულის ხვაშაქისა და სუმბატ ორბელის, ისევე როგორც სხვათა ამ უდანაშაულო სისხლის დათხევაში გარეულობის შესახები

---

[1] *Կատմ. տիեզերական*, მ. ემინის გამოცემა, 1861 წ. მოსკ., გვ. 200—201.

ცნობა, ვითარცა სიტყვიერ წყაროზე გარდმოცემული, ან ჭორი უნდა იყოს, ან სუმბატ ორბელისა და დანარჩენ დიდებულთა მონაწილეობას მთავარ ზემოდასახელებულ მიზეზთან შედარებით მაინცდამაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. გვანცა დედოფალი, უეჭველია, თავისი ქმრის მონღოლთა წინააღმდეგ განდგომილების მსხვერპლი უნდა ყოფილიყო.

ამგვარადვე ჰასან-ჯალალ ხაჩინელისა და ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილად დასჯაც ამავე საზოგადო მიზეზის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ულუ-დავითი მონღოლებს იმიტომ განსდგომია, რომ შერჩენილი ხარკის გადახდა მოუთხოვიათ და ამოდენი ქონებრივი ტვირთის ზიდვაზე უარი უთქვამს, ისევე ჰასან-ჯალალ ხაჩინელსაც მონღოლები, როგორც კირაკოზი მოგვითხრობს, იმოდენა ხარკის გამოღებას სთხოვდნენ, რომ ამოდენა ფულისა და ქონების გადახდა მას ვერ შესძლებია და ამიტომ დაუსჯიათ კიდეც. მაჰმადიანთა წინააღმდეგ მძულვარებისა და მტრობის ბრალდებას შეიძლება ჯალალის ბედი დაემძიმებინა, მაგრამ მონღოლთა წარმართი ყაენი ამისთვის მაინცდამაინც გულს დიდად არ შეიწუხებდა.

ზაქარია ამირსპასალარის დაღუპვაც ულუ-დავითის აჯანყებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ მხრივ კირაკოზ განძაკელის ცნობა სწორი უნდა იყოს და ყამთააღმწერელის მოთხრობა, ვითომც ბერქას გამოლაშქრება ზაქარია ამირსპასალარისათვის გადაებრალებინოთ, ძნელი დასაჯერებელია, რათგან, როგორც ვარდან ბარძრბერდელის სიტყვებითგანა ჩანს, ზაქარია 1261 წელს, ბერქას გამოლაშქრებამდე, იქმნა დასჯილი. შესაძლებელია, post factum ზაქარიას ბერქასთან კავშირიც გადააბრალეს, მაგრამ მისი შეპყრობის მთავარი მიზეზი კირაკოზ განძაკელს სწორადა აქვს დასახელებული. იმისდა მიუხედავად, რომ ზაქარია ამირსპასალარი, ალბათ მიზანშეუწონელობისა და სახიფათოობის თვალსაზრისით, მონღოლთა აჯანყების მომხრე არა ყოფილა და იმ დიდებულთა და ხელისუფალთა ჯგუფს მიმხრობია, რომელნიც მონღოლებს არ გადაუდგნენ, გულით და სულით, როგორც ჩანს, ის ამ აჯანყებას თანაუგრძნობდა და გამდგარი ულუ-დავითის მთავარ სარდალთან, რომლის სიძეც ყოფილა, საიდუმლო კავშირი ჰქონია. არღუნს ეს ღალატად მიუჩნევია იმგვარადვე, როგორც თვით ჰულაგუ ყაენსაც. ასევე უნდა ვავიგოთ ყამთააღმწერელის წყაროს ცნობაც ზაქარიას ჰულაგუ ყაენის წინააღმდეგ აჯანყების შესახებ. ბრალდება ამირსპასალარის ბიერ მონღოლთაგან დაწესებული ხარკის ყაენის ხაზინაში დროულად წარგზავნის შეფერხების შესახებ, საფიქრებელია, უკვე მისი შეპყრობის შემდგომ იქნებოდა წამოყენებული და მთავარ ბრალდებას მერმე მიემატებოდა იმ საერთო საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მონღოლთა ხარკის სრულად გადაუხდელობას ეხებოდა. რათგან ულუ-დავითის განდგომა სწორედ ამ ხარკის შეუგროვებელი და შერჩენილი ნაწილის ნოთხოვნით ყოფილა გამოწვეული, ზაქარია ამირსპასალარს, ვითარცა საქართველოს მთავრობის წევრსა და ამირსპასალარს, ხარკის დროზე გადაუხდელობის პასუხისმგებლობას ადვილად დააკისრებდნენ, მეტადრე მას შემდგომ, რაც მისი კავშირი განდგომილი მეფის მთავარსარდალთან გამომჟღავნებული იყო.

მ. ბროსეს აზრით გუანცა დედოფალი 1262, ან 1263 წ. უნდა იყოს მოკლული[1], მაგრამ უფრო ბუნებრივია გვეფიქრა, რომ დავით მეფის თანამეცხედრეს და დედოფალს გვანცას ასეთი მძიმე სასჯელი მაშინ დასტყომოდეს თავზე, როდესაც მისი ქმარი ჯერ კიდევ განდგომილი იყო და მონღოლებთან შეთანხმებას ვერ ბედავდა. ხოლო ყამთააღმწერელის სიტყვით ულუ-დავითი მონღოლებს ბერქას წინააღმდეგ მოწყობილ გალაშქრებამდე შეურიგდა. ამისდა მიხედვით, ცხადია, რომ გვანცა დედოფლის ჰულაგუ ყაენისაგან სიკვდილად დასჯა მაინცდამინც 1262 წ. 14 მაისამდე უნდა ეიგულისხმოთ.

მას შემდგომ რაც მესხეთის დიდებულთა შორისაც მონღოლთა წინააღმდეგობის გაწევის სულისკვეთება შესუსტდა და ამ წრეშიაც მონღოლებთან შერიგებისა და სამსახურის მომხრენი აღმოჩნდნენ, მეფე დავითისათვის მესხეთში დარჩენა უკვე სახიფათო უნდა ყოფილიყო. ამიტომ მარტო სამცხის აოხრების შემაძრწუნებლობით არ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი ულუ-დავითის გადაწყვეტილება, როდესაც მან «მოუწოდა თანამზრახავთა მისთა და ჰკითხა, თუ რა ყონ, რამეთუ ომი თათართა აღარ ეგებოდა». სარგის ჯაყელმა ამ თათბირზე მეფე დავითს მოახსენა, რომ რათგან «სამცხე მცირე აოს და აოა კეთილი სადგომი მეფეთა, აწ განგაზრახებ, რათა წარხვიდე ლიხთიმერით რუსუდანის ძისა დავითის თანა, რამეთუ სწორად ორთავე აოს სამეფო იგი» (ყამთააღ. * 830—831, გვ. 675—676). ზრდილობითა და გულის გასაკეთებლად სარგის ჯაყელს თუ განუცხადებია, რომ თავის თავსა და მთელ ქონებას მეფისათვის არ დაზოგავდა, მაგრამ ულუ-დავითისათვის მაინც ცხადი იყო, რომ მესხეთში დარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა. სარგის ჯაყელის რჩევა ყველასგან მოწონებულ იქმნა.

ულუ-დავითმა მართლაც თავის მამიდაშვილის მაგალითს მიჰბაძა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ქუთაისში მისულს ულუ-დავითს «წინა მიეგება დავით მეფე რუსუდანის ძე და კეთილად ისტუმრა» (ყამთააღმ. * 831, გვ. 676).

ურთიერთობა ულუ-დავითსა და ნარინ-დავითს შორის დასავლეთ საქართველოში

მეფე დავით რუსუდანის ძე, ვითარცა მშვიდობიანი და დინჯი ხასიათის პატრონი დასავლეთ საქართველოს, ვიდრე თბილისითგან ლტოლვილი და მესხეთითგან გადმოსული ლაშა-გიორგის ძე დავით მეფე არ ესტუმრებოდა, მყუდროებით განაგებდა, მაგრამ ისტორიკოსის სიტყვით უკვე ერთი წლის შემდგომ შუღლმა და აშლილობამ იჩინა თავი. ვითომც სარგის ჯაყელისაგან წინასწარ შემუშავებულ ვეგმისდა თანახმად ლაშა-გიორგის ძის მომხრე თანამყოლ დიდებულებმა იმერთა დიდებულებთან იდუმალი მოლაპარაკება გააბეს, დაუწყეს „საჭურჭლის“ გაცემა, რომ ფულით მოეპხროთ და თავიანთკენ გადმოებირებინათ. უეჭველია, მაი უნდოდათ, რომ დავით ლაშა-გიორგის ძე საქართველოს ერთადერთ მეფედ გაეხადათ და დავით რუსუდანის ძე ტახტითგან ჩამოეგდოთ. რასაკვირველია, აქ იგივე უფლებრივი საკითხი იქნებოდა წამოყენებული, რომელიც ამ ორივე დავითის ყარაყორუმში ყოფნის დროს

[1] ბროსე, H. de la G. I, 569.

გაცხარებული კამათის საგნად ქცეულა. «მაშინ ეზრახნეს კახაბერისძესა რაჟის ერისთავს კახაბერსა. ქუაბულისძეთა, ფარაჯანიანთა სარგის, რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ» (ჟამთააღ. * 831. გვ 676). დასავლეთ საქართველოს ზოგი დიდებულთაგანიც ამ გეგმის მონაწილენი გამოდგნენ და „ერჩდეს“, მაგრამ სხვები რუსუდანის ძის დავით მეფის მომხრენი აღმოჩნდნენ და დადგნენ «ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა». მათ შორის ყველაზე გავლენიანი „დადიანი ბედიანი (და?) ჯოანშერის ძე იყვნენ. ბედიანს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი როგორც მმართველსა და თავისი მაღალი ზნეობრივი თვისებებითაც. რათგან «იყო ესე ბედიანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა, უხვი უმეტეს ყოველთა კაცთა. სრული გონიერებითა. მან ამასთანავე მართვა-გამგეობის დიდი ნიჭიც გამოიჩინა და სამეგრელო ისე დააწყნარა, რომ იქ «მპარავი და ძვირის მოქმედი არა მოიპოებოდა» (ჟამთააღ. * 831—832, გვ. 676—677).

დავით ლაშა-გიორგის მომხრეთა დაწყებულმა საქმემ ქვეყანა არია, დიდებულნი „განიყვნეს ორად“ და ზოგნი ერთ დავითს რჩეობდნენ, ზოგნი მეორეს. «ორმელნიმე წარუდგეს ლაშას ძესა და ორმელნიმე რუსუდანის ძესა». ამ გარემოების გამო «იქმნა განდგომილება ლიხთიმერეთს» და საქართველოს იმ ნაწილშიაც. სადაც ადამიანს მონღოლთა მტარვალობისაგან თავის დაღწევა და მყუდროდ ცხოვრება შეეძლო, წყალი აიმღვრა და «იყო აშლილობა და შფოთი მრავალი» (იქვე). თვით მეფენი ორივე დავით, ისტორიკოსის სიტყვით, ამ ცილობაში ვითომც მონაწილეობას არ იღებდნენ, განზე იყვნენ გამდგარნი და უფრო მის ხელის შეშლას ცდილობდნენ, ვიდრე შეწყობას: «არას ავნებდეს ურთიერთას ორნივე დავით და დავით,—დაღაცათუ ლაშქართა არა ენებნა,— ამბისთჳს რომელ არა განსცემდა ორნივე მეფენი საჭურჭლესა ლაშქართა ზედა» (იქვე * 832. გვ. 677). თუმცა ლაშა-გიორგის ძის აჩქარებული ხასიათის და მალუმრწმენობის გამო ძნელი დასაჯერებელია, რომ მას ამ საქმეში სრულებით არაფერი წილი არა სდებოდეს, მაგრამ იქნებ მართლაც ასე იყო. საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ პირობებში, მონღოლთაგან მომდგარი განსაცდელის დროს ქვეყანაში და ხალხში ერთსულოვნებისა და სიმტკიცის გაძლიერების მაგიერ შინაური მტრობისა და შუღლის ჩამოგდება სწორედ რომ უგუნური საქციელი იყო.

ერთხელ კვლავ ატეხილმა კამათმა და აშლილობამ საქართველოს შინაური თანხმობა და მყუდროება ისე შეარყიეს, რომ მისი დაწყნარება უკვე ველარ მოეხერხებინათ და შფოთისათვის ყოველგვარი მიზეზის სამუდამოდ მოსასპობლად. კერძო საკუთრების მსგავსად საქართველოს ორად გაყოფაზე უკეთესი ვერაფერი მოუგონიათ და ამ ყოველად უსუსური და დამღუპველი აზრის განხორციელებას შესდგომიან (ჟამთააღ. * 832. გვ. 677). ისტორიკოსის აზრით, რათგან ვითომც სხვა «არღარა იყო ჯონე. დაამტკიცეს რათა განყონ სამეფო და საჭურჭლე ორად და აარჩევნეს თავადნი სამეფოსანი და განყვეს ორად. ტფილისი ორად, ქუთაისი ორად და თავადები და ერისთავნი ურთიერთას შეასწორნეს ნიკოფსით დარუბანდამდე და განყვეს სამეფო საჭურჭლენი ორად, გარნა ხვამლისა ქვაბსა, რომელი იდვა, მცირე გამოიღეს და

განყვეს და უფროსი ქვაბსავე დაუტევეს. ხოლო ჯაჭვი იგი სახელდებული სალმასური და თვალი იგი პატივცემული გრდემელი და მარგალიტი იგი დიდი, რომლისა სწორი არავის სადა უხილავს, ესე სამივე ოუსუდანის ძესა დაეთს ნიხუდა». ჟამთააღმწერელის აზრით «აჭა იქმნა განყოფა სამეფოსა და მეერითგან შეიქმნა ორთა საძეფოდ» აო (* 832, გვ. 677).

ჩვენი ისტორიკოსის ეს ცნობა მეტად უცნაურია: ვითომც რა უნდა მომხდარიყო მაშინ საქართველოში? ბატონიშვილ ვახუშტს ეს ანბავი საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფად მიუჩნევია და მერმინდელმა ნაკლებარებმაც შეითვისეს ეს აზრი. მაგრამ ჟამთააღმწერელის სიტყვებს რომ ჩაუკვირდეს ადამიანი, უცნაური სურათი იშლება თვალწინ: ორივე დავითებმა გადასწყვიტეს «განყონ სამეფო და საპურჭლე ორად»-ო. ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად «განყვეს ორად, ტფილისი ორად, ქუთაისი ორად» და ამგვარადვე, ალბათ, საქართველოს სახელმწიფოს სხვა ქალაქებიც-მიწა-წყლის გაყოფასთან ერთად «აირჩევნეს თავადნი სამეფოსანი და გაყვეს ორად», თანაც ამავე მიზნით «ერისთავნი ურთიერთას შეასწორნეს ნიკოფსით დარუბანდამდე» და, ალბათ, ასევე ორად გაჰყოფდნენ. სახელმწიფოს ორად გაყოფა ორი სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნას ჰგულისხმობს, რომელთაგან თითოეულს თავისი სახელმწიფოებრივ საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორია უნდა ჰქონდეს. ჟამთააღმწერელი კი ამბობს, თბილისი, ქუთაისი და სხვა ქალაქები ორად გაჰყვეს და მოსაზღვრობის მოწინავე წრეები ერთმანეთს შეუფარდეს და ისე გაიყვესო. ამგვარად, თბილისი ერთ დავითს, ხოლო ქუთაისი მეორეს კი არ აუღია, დასავლეთი საქართველო ნარინ-დავითს კი არა რგებია, აღმოსავლეთი კი ულუ-დავითს, არამედ ყველა ქალაქები ორად გაუყვიათ და თბილისშიც, ქუთაისშიც და სხვაგანაც ორთავეს წილი დაუდვიათ. საქართველოს თავადნი და ერისთავნიც ასევე საწილე გაყოფის წესით დაუსაკუთრებიათ. ცხადია, ამნაირი გაყოფის წესით ერთი სახელმწიფოსაგან ორი სამეფო ვერ წარმოსდგებოდა, რათგან არც ერთ მათგანს მისი საკუთარი საზღვრებით შემოფარგლული და ერთიმეორისაგან სრულებით განცალკევებული ტერიტორია არ ექნებოდა. ჟამთააღმწერელისაგან მოთხრობილი ამბავი მხოლოდ კერძო საგვარეულო მამულის გაყოფას მიაგავს და სახელმწიფოს ორად გაყოფასთან საერთო არაფერი აქვს. ასეთი საქციელითგან სრულიადი საქართველო ორ სამეფოდ ვერც გაიყოფებოდა და, მონღოლთა-დროინდელი ქართველი ისტორიკოსის ნაამბობი რომ მართალი გამოდგეს, ეს უეჭველია ორივე დავით მეფეებისა და საქართველოს მაშინდელ მმართველი წრეების სახელმწიფოებრივი აზროვნების სრული დაკნინებისა და დაქვეითების დამამტკიცებელი იქნებოდა.

ასეთი რამე საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში სხვა-არსად გვხვდება და ჟამთააღმწერელის მონათხრობი მხოლოდ გიორგი მერჩულის თხზულებაში აღწერილს გრიგოლ ხანძთელისაგან შატბერდის მონასტრის ძმობის გაყოფის ამბავს გვაგონებს. მაგრამ იხ მოთხრობა IX ს. ამბავსა და ამასთანავე სახელმწიფო ცხოვრების სურათს კი არა, არამედ კერძო მონასტრის თავგადასავალს გვიხატავს. ჟამთააღმწერელი კი ამგვარ საქციელს XIII ს.

სამოციან წლების საქართველოს სახელმწიფოს მესაჭეებს ახვევს თავზე. მართალია, მონღოლთა უკვე ოცდაათი წლის ბატონობამაც საქართველოს კულტურული დონე საგრძნობლად დააქვეითა, მაგრამ ჟამთააღმწერელის მონათხრობი ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და გონიერების ისეთი დაკნინების მომასწავებელია, რომ ამ ამბის დასაჯერებლად თანამედროვეთა ცნობებია საჭირო და მარტო ერთი მერმინდელი, ისიც XIV ს. შუა წლების. ისტორიკოსის ნათქვამი საკმარისი არ არის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფვის ამბავი არც ერთ ძველს კინკლოსშიც კი შეტანილი არ არის. მხოლოდ XIX ს. ერთს კინკლოსშია ნათქვამი: 1243 წ. «საქართველოს (sic) და იმერეთის მეფობა გაიყო. ჩსმგ»[1]. მაგრამ როგორც ქრისტესითი აღნიშნული თარიღი, ისევე ცნობის ენა ცხად ჰყოფს, რომ იგი XVIII—XIX ს. უნდა იყოს დაწერილი და ძველი წყაროთგან ამოღებული არ არის. ამგვარადვე საყურადღებოა, რომ არც ერთს სომეხთა ისტორიკოსს, მათ შორის XIII ს. მეორე ნახევრისა და დამლევის ისეთ მოღვაწეებს, როგორც მალაქია, კირაკოზ განძაკელი და სტ. ორბელიანი იყვნენ, რომელთაც საქართველოს შესახებ ბევრი ცნობები მოეპოვებათ, საქართველოს ამ ორ სამეფოდ გაყოფვის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი[2]. სრულიადი საქართველოს სახელმწიფოს უცნაური წესით, კერძო საკუთრების მსგავსად ორად გაყოფა ისეთი არაჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ამ გარემოებისათვის ჩვენ მეზობლებსა და საქართველოს მოქალაქე სომეხთა ისტორიკოსებს შეუძლებელია ყურადღება არ მიექციათ და თავიანთ ნაშრომებში ერთი წინადადებით მაინც არ აღენიშნათ. არაფერია ამის შესახებ მონღოლთა ბატონობის აღმწერელ თანამედროვე XIII ს. სპარსელი ისტორიკოსის ჯუვეინისა და XIII—XIV სს. ამბების მომთხრობელ სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებშიც. ამიტომ ჟამთააღმწერელის ცნობა, სანამ თანამედროვეთა უთუო ცნობა აღმოჩნდებოდეს, საეჭვოდ უნდა იქმნეს მიჩნეული.

ჟამთააღმწერელის სიტყვითვანა ჩანს, რომ საქართველოს ორ მეფეს შორის ესოდენ უცნაური, კერძო საკუთრებასავით გაყოფა ულუ-დავითის ჰულაგუ ყაენთან შერიგებამდე და ბერქას წინააღმდეგ გალაშქრებამდე უნდა მომხდარიყო, მაშასადამე, 1262 წ. 21 აგვისტოზე უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ. ამიტომ ბატონიშვილი ვახუშტის ცნობა, რომელიც მ. ბროსესაც მოჰყავს[3], ვითომც საქართველოს გაყოფა «ორ სამეფოდ წელსა 1259, ქართულსა 479» მომხდარიყოს[4], მცდარია.

რაკი ეხლა ზემოაღნიშნული ცნობის ერთადერთი დასაჯერებელი თარიღი უკვე გამორკვეული გვაქვს, ამის შემდგომ ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი მოთხრობის სიმართლე სხვა მხრივაც, არსებითადაც, საეჭვოდება: როგორ უნდა გაეყოთ ქუთაისში შეხიზნულ და მყოფ ორთავე დავითს

---

[1] იხ. ე. თაყაიშვილის Материалы для истории Грузии. თბილისი 1895 წ. გვ. 58.

[2] მხოლოდ კირაკოზის ცნობით დაღით ნარინი გიუქ-ყაენისაგან მოსვლისთანავე ყაენეთში გაიქცა, მაგრამ ეს სხვა ამბავია.

[3] H. de la G. I. 561, შენ. 21.

[4] ვახუშტი, ისტორია, ბაკრაძის გამოცემა, გვ. 245.

თბილისი და აღმოსავლეთი საქართველოს მიწაწყალი და მოსახლეობა ორად, როდესაც მონღოლთა შიშით მათ იქ გადასვლა და ცხოვრება არ შეეძლოთ, ან რა აზრი ექნებოდა მაშინ ამგვარ გაყოფას, როდესაც იმ დროს ამის განხორციელება შეუძლებელი იყო? შემდეგშიაც ხომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მონღოლთა ყაენის თანხმობის გარეშე, წარმოუდგენელი იყო, რათვან მათთვის საქართველოს ხარკის გადამხდელობის შესაძლებლობის თვალსაზრისით სახელმწიფოს აღმოსავლეთი ნაწილის, რომელიც მათ უცილობელ უზენაესობას შეადგენდა, ორად გაყოფა და დათმობა დავით ნარინისათვის, რომელიც მათ არ ემორჩილებოდა, შემოსავლის განახევრებას უდრიდა. მონღოლები კი ამაზე არას დროს არ დასთანხმდებოდნენ.

[დავით V-ის მონღოლებთან შეთანხმება და აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრება]

ბაკი სამხედრო მოქმედებით ულუ-დავითის დამორჩილება ვერ მოხერხდა და ამიერ-საქაროველოს წესიერი მართვა-გამგეობის არევ-დარევისა და უმეფობის წყალობით «დაიშალა ლაშქრობა და მსახურება თათართა» ქართველთა მხრივ, ამიტომ «ინება კვალად ყაენმან ზავი მეფისა» დავითთან. ჰულაგუმ «მოუწოდა არღუნს, რათა წარავლინოს მოციქული მეფეს წინაშე ზავის ყოფად და ფიცთა დაუმტკიცებდა უვნებელობისათა» (ჟამთააღ. * 832—833, გვ. 677—678).

არღუნისაგან გამოგზავნილი მოციქულის წინადადების საპასუხოდ ულუ-დავითს, ისტორიკოსის სიტყვით, ასე შეუთვლია: რათგან «ხოჯა-აზიზ იქმნა მიზეზი ჩემისა მიერ წამოსვლისა და სამეფოსა დატოვებისა, უკეთუ ნებავს ყაენს შეწყნარება ჩემი, პირმშოსა ძესა ჩემსა გიორგის წარმოვავლენ წინაშე მათსა და უბოძოს სამეფო ჩემი», ხოლო «დედოფალი გვანცა და ძე ჩემი დიმიტრი წარმოავლინოს ჩემდა და ხოჯა-აზიზ მომცეს, რათა სიკუდილითა მისითა შური ვიგო ნაქმართა მისთა, რომელნი ყვნა ჩემ ზედა»-ო (იქვე * 833, გვ. 678). ეს წინადადება მოწონებულ იქმნა და მეფეს თავისი შემკვიდრის გამოგზავნა სთხოვეს, თანაც «დაუმტკიცეს ფიცთა მიერ შესმითა ოქროსა საფიცრისათა, რათა უვნებელად დაიცვას ძე მეფისა»-ო (იქვე * 833—834, გვ. 678—679).

ულუ-დავითმაც თავისი პირმშო შვილი გიორგი გამოიმეტა და ყაენთან გაგზავნა. როდესაც დასავლეთ საქართველოთგან უფლისწული თბილისში მივიდა, «მუნ მიეგებნეს ყოველნი მთავარნი და ერისთავნი» და ის შადინიც, რომელსაც ულუ-დავითის აჯანყების შემდგომ არღუნმა თბილისი და სამეფო ჩააბარა. რამდენიმე დღის შემდგომ გიორგი უფლისწული თბილისითგან ყაენთან წაიყვანეს (იქვე * 834, გვ. 679), რომელთანაც ვითომც «დაყო წელიწადი ერთი». ყაენმა მას მთელი საქართველო დაულოცა, მაგრამ ულუ-დავითსაც თავისთან იბარებდაო. დავით მეფე კი «მიზეზობდა ხოჯა-აზიზის არ მიცემას» და ურდოში წასვლაზე უარს ამბობდა. ამ გარემოებით არღუნმა ისარგებლა და ყაენს ჩააგონა, რომ ულუ-დავითი მას ატყუებდა და განზრახ მიზეზ-მიზეზებს იგონებდა. თანაც უჩჩევდა უფლისწული მოეკვლევინებინა, ხოლო «წარმგზავნე მე ლაშქრად მეფესა ზედა და შეკრულსა მოვიყვან წინაშე თქვენსა»-ო. ყაენი უკვე მზად იყო არღუნის რჩევას აჰყოლოდა, რომ ენუქ არქუნმა დაუშალა, უვნებლობის ფიცი გაქვს მიცემული და ფიცის დარღვევა გამოვა და

«ესეცა უწყოდე, რომელ ძმა შენი დიდისა ყანისაგან ბათოს შვილი მრაკალსა მოციქულსა უგზავნის და დიდთა ნიჭთა აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და დასავლეთისა, რამეთუ ორივე ჴელთა შინა მისთა არს და ამასაცა განგაზრახებ ერთისა ბერისა სპარსისა ვაჭრისათჳს (ე. ი. ხოჯა-აზიზისა) რად დიდსა ჴელწიფესა გააძებ შენთა მტერთა ზედა, რამეთუ [უკეთუ] ბათოს ულოსი და მეფე შეიერთნეს, დიდნი შფოთნი აღდგებიან»-ო (იქვე * 836, გვ. 681). ამ პოლიტიკურმა ნოსაზრებამ ჰულაგუ-ყაენი დააჯერა, გვანცა დედოფლისა და ორივე შვილისა, გიორგისა და დიმიტრის, ულუ-დავითთან გაგზავნაზე დათანხმდა და ენუქ არქონს გაატანა იმ პირობით, რომ ულუ-დავითი ურდოში ყაენთან მიეყვანა (იქვე). მაგრამ შემდეგ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ თბილისში მისულ ენუქ არქონს ულუ-დავითის ორი შვილი მიუყვანია, გვანცა დედოფალი კი დასახელებული არ არის. ენუქ არქონმა მეფეს «მოართვა წიგნი ფიცისა» და ვითომც «მოგვარა ხოჯა-აზიზ», რომელსაც ულუ-დავითმა ნაშინვე თავი მოაკვეთინა, და «წარვზავნეს თავი ტფილისს და აღმართეს ძელი, დამოჰკიდეს თავი ხოჯა-აზიზისი»-ო. ამის შემდგომ კი მეფე ენუქ არქონს ურდოში გაჰყვა ყაენთანაო. (იქვე * 836—837, გვ. 682).

ცნობა ხოჯა-აზიზის, საქართველოში მონღოლთა მოხელის, სიკვდილის გარემოებისა და დროის შესახებ მონღოლთა ყაენის კარის ისტორიკოსს რაშიდ-ედინს მოეპოვება და მისი სიტყვით ბერქას გამოლაშქრების დროს შერეფ ედ-დინ ბიტექჩი (მწიგნობარი), რომელიც ყაენის პირადი ვაზირი იყო, ხოჯა-აზიზი საქართველოს მმართველი და ხოჯა მეჯიდ ედ-დინ ქერმანელი ინაკებისაგან (ყაენის სანდო კარის მსახურთაგან) დასმენილ იქმნენ. როგორც ეტყობა, მათ ბერქასთან საიდუმლო მოლაპარაკებას აბრალებდნენ. ეს ჰიჯრით 651 წელს, მუჰარრემის 6-ს, შაბათ დღეს მომხდარა. სამივე შეპყრობილი ყოფილან და, გასამართლების შემდგომ, შამახიის მახლობლად სიკვდილად იქმნენ დასჯილნი[1].

რაშიდ-ედინის ამ მოთხრობითგან ცხადი ხდება, რომ ქართველი ჟამთააღმწერელი შემცდარია და ხოჯა-აზიზის სიკვდილით დასჯას დავით მეფის საქმესთან უშუალო კავშირი არა ჰქონია, არამედ ის ყაენის მოწინააღმდეგე დასისაგან მოწყობილი შეთქმულების მონაწილედ ყოფილა ცნობილი და სწორედ ამისთვის ჰულაგუ ყაენს და არა ულუ-დავითს, შამახიის მახლობლად და არა თბილისში, 14 მაისს 1262 წ. და არა ოც ნოემბერს შეთქმულების დანარჩენ მონაწილეებთან ერთად მოუკვლეინებია.

ეს რომ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას თვით ჟამთააღმწერელის შემდეგი მოთხრობაც ააშკარავებს. მასაც აღნიშნული აქვს, რომ როდესაც ენუქ არქონის, ან არქვანის რჩევით დავით მეფე ჰულაგუ ყაენთან ურდოში გაემგზავრა, იქ ყაენმა მისი განდგომილების გამოძიება დაიწყო და საქმე ისე იყო დატრიალებული, რომ «არა უწყოდეს რა ეგულვების (ყაენს) ყოფად მათთვის» (* 837, გვ. 683). ხოჯა-აზიზი რომ მეფე დავითისათვის თვით ყაენს დასასჯელადა და მოსაკლავად მიეცა, ულუ-დავითს თავისი ბედ-იღბლის ამგვარი გაურკვეველობის შიში, რასაკვირველია, არ უნდა ჰქონოდა. გამოკით-

---

[1] ჯამიატ-ტევარიხ, კატრმერის გამ., გვ. 392 და 394.

ხვის მთელი გარემოებაც იმისავე მომასწავებელია, რომ დავით მეფის საქმე ვითომ ხოჯა-აზიზის სიკვდილით სრულებით მოსპობილი და დამთავრებული არა ყოფილა. მეფე რომ ყაენს წარუდგა და მონღოლური წესისდა თანახმად ‹ჯდა მეფე მუხლ-მოყრილი და მის თანა ყოველნი მთავარნი, ჰკითხა ყაენმან ვითარმედ: «რად ქმენ განდგომა ჩემი და ბრძანებასა ჩემსა რად ურჩ ექმენ და არღუნს შემოები»-ო (* 838, გვ. 683). როდესაც თავის გასამართლებლად მეფემ ვერაფერი უპასუხა და მხოლოდ იქვე მყოფ სარგის ჯაყელისაკენ უმწეოდ მიიხედა, სარგის ჯაყელმა ბრალი თავის თავზე მიიღო, «წარდგა ყაენს წინაშე განმწირველი თავისა თჳსისა მეფისათჳს, რათა მოიკლას მეფის წილ», (იქვე). სადუნ მანკაბერდელის თარჯიმანობით სარგის ჯაყელმა ყაენს გააგებინა, რომ დავით მეფეს განდგომა სწორედ მან გააბედინა იმიტომ, რომ არღუნმა და ხოჯა-აზიზმა ისე შეავიწროეს საქართველოს გვირგვინოსანი, «რამეთუ მან (ე. ი. ხოჯა-აზიზმა) მიიღო მეფობა დავითისი, ქალაქი და სოფელი, მან დაიჭირა ეკლესიანი და ციხენი ყოველნი დაარღვივნა»-ო. საქმის გამოსასწორებლად ამგვარი გზა იმიტომ ავირჩიეთო, უთხრა სამცხის მმართველმა, რომ «ბედნიერო ყაენო, არღარავინ გაგონებდა უსამართლობასა ამას» და ხოჯა-აზიზმა «შეკრა კარი თქვენი ქრთამითა, — ამის მიზეზისათვის მე წარვიყვანე მეფე, რათა ბედნიერმან ყაენმან გაიგონოს და იკითხოს საქმე ესე»-ო (* 839, გვ. 684). ყაენისათვის ეს საბუთიანობა რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, სარგის ჯაყელმა თურმე ქართველ-სპარსთა ძველინდელი უთანხმოება და მტრობაც კი გამოიყენა და თავისი მოხსენება შემდეგი სიტყვებით დააბოლოვა: «ესეცა უწყოდი, ყაენო, რომელ სპარსნი ძველითგან მტერნი არიან ჩვენ ქართველთანი, ამისთჳს არღუნს თანა ვყავ ბრძოლა და ომი, რამეთუ საქმე და უსაბარათლობა მეფისა მიმართ ხოჯა-აზიზისაგან ვერღარა დავსთმენ»-ო (იქვე). ფსიქოლოგიურად ეს მოსაზრება იმაზე იყო დამყარებული, რომ მონღოლებს თითონაც მაჰმადიანნი მაინცდამაინც არ უყვარდათ და მათდამი ქართველთა სიძულვილი ყაენისათვის ვითომც ადვილი გასაგები უნდა ყოფილიყო.

მაგრამ დავით მეფის ბედიღბალი სარგის ჯაყელისაგან წარმოთქმული სიტყვის შემდგომაც დიდს განსაცდელში ყოფილა და იმისდა მიუხედავად, რომ სადუნ მანკაბერდელი ცდილობდა ყაენისათვის ეს ნალაპარაკევი რაც შეიძლება უფრო მოხდენილად გადაეცა და დიდად გავლენიანი ენუქ არქუნიც მეფეს ყოველნაირად ეხმარებოდა, მაინც «ყოველნი მოელოდეს ბოროტის ყოფასა მეფისათჳს და სიკვდილსა სარგისისსა»-ო.

ჰულაგუ ყაენისაგან ულუ-დავითისა და სარგის ჯაყელის განდგომილების გამოსაძიებლად მოწყობილი სამსჯავროს მთელი ის აღწერილობა ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს რომელიღაც წყაროთგან აქვს ამოღებული და საქმის ნამდვილი ვითარების თითქმის შეუფერადებლივ გადმომცემი უნდა იყოს. და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შერიგებისა და დაზავების მცდელობა მარტო ჰულაგუ ყაენის თაოსნობის შედეგი კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ამას ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი მოგვითხრობს, არამედ და უფრო მეტადაც თვით ულუ-დავითსაც განდგომილების უნაყოფოდ დამთავრების შემდგომ ყაენთან შეთანხმების სურვილი უნდა დაჰბადებოდა. ყაენის წინაშე მუხლ-მოდრეკილნი

ულუ-დავითი და სარგის ჯაყელი უფრო მომნანიებელ დამნაშავეებს ჰგვანან, ვიდრე შეთანხმების პირობების მოკარნახეებს. საქმის ნამდვილი ვითარება უფრო რომ ასე უნდა წარმოვიდგინოთ და საქართველოს მაშინდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, როდესაც ლიხთამერეთში მონღოლებმა ქვეყნის გამგედ თვითვე, ქართველებთან შეუთანხმებლივ და თავის სურვილის თანახმად ვილაც შადინი აირჩიეს, საფიქრებელია, რომ სწორედ აქეთგან გამომდინარეობა და მოსალოდნელმა საფრთხემ ულუ-დავითი აიძულა სასწრაფოდ ყაენთან დაზავებაზე ეზრუნა.

[ოქროს ულუსსა და ერანის ილხანებს შორის აგებული ბრძოლა]

ორთავე ბრალდებულის უკუღმა მობრუნებული ჩარხი დარუბანდით მოსულმა მოულოდნელმა ამბავმა მოატრიალა. გზის მცველთაგან წარმოვლენილმა შიკრიკმა ჰულაგუ ყაენს ბერქა ყაენის ულუსის დაძვრა აცნობა, რომ ის უკვე დარუბანდის გზაზე იყო დამდგარი. ეს ამბავი 2 შევვალს 660 წ. ჰიჯრით, ანუ 21 აგვისტოს 1262 წ. მოხდა [1]. ბერქას გამოჩენა ქედს აქეთ ჰულაგუ ყაენისათვის იმდენად სახიფათო იყო, რომ ისიც დაუყოვნებლივ სამხედრო სამზადისსა და მტრის ღირსეულად შეგებებისათვის ზრუნვას უნდა შესდგომოდა.

ჟამთააღმწერელს უალაგო-ალაგას მოთხრობილი აქვს იმ გარემოების შესახებ, რომელმაც ჰულაგუ და ბერქა ყაენებს შორის დამოკიდებულება უაღრესად გაამწვავა ისე, რომ ძმათა შორის სისხლის ღვრამდის მიიყვანა კიდეეაც. ისტორიკოსის სიტყვით ჰულაგუ ყაენთან უმაღლეს ურდოთგან სამი ბატონიშვილი გაგზავნილ ნათ.

ამ მონღოლთა ბატონიშვილების სახელები დამახინჯებულია, როგორც ქართულსა, ისევე სპარსულსა და სომხურ წყაროებში და მათი მართლწერის აღდგენაა საჭირო. ჟამთააღმწერელის თხზულებაში «ხუთრყული და ბალალი იპყრნა ყაენმან და მოკლნა სამნივე» (* 844, გვ. 689). ბარათაშვილისეულ ქ-ცის ხელთნაწერში პირველი სახელი „ტუთრ ყული"-ს სახით არის წარმოდგენილი, სხვა ხელთნაწერებში კი „ტუთარ ყული" სწერია. ამავე ისტორიკოსის ნაწარმოებში იქ, სადაც ეს პირები პირველად იხსენიებიან, ნათქვამია: «მათვე ჟამთა წარმოავლინეს სხვათაცა ყაენთა შვილნი მათნი, რომელთა ქოინ (თეიმურაზისეულში — ქოუნ) უწოდიან, ბათო ვიდრემე ტურ (ქ-ცა — ტუთარ) და ჩაღატა ყაენის შვილმან უშან ყული და თულის ნათესავისაგან შლაღა (თეიმურაზისეულში—ბლალთა, ქ-ცა - ში — ბოლღა), რათა [ქ]ვეყანა მათი წილხდომილი ყაენის შვილთა [დაიპყრან] და [ხარ]აჯასა იგინი აიღებდეს»-ო (* 805, გვ. 647). კირაკოზ განძაკელის სიტყვით ბათოსა და ბერქას მხრითგან ჰულაგუ-ყაენთან იყვნენ დიდი მთავრები *Ղուլն, Բալախայն, Տուքար* და *Մեղան որդի Ղուլին* (ღულ, ბალახაჲ, ტუთარ და მეღა ღულის-ძე) [2]. მალაქია ბერს ამავე პირთა სახელები ასე უწერია: *Բալախայն, Տուքար, Միղանն որդի Խուլին* (ბალახაჲ, ტუთარ და მიღან ხულის ძე) [3]. მონღოლთა ყაენის კა-

---

[1] რაშიდ ედინის ჯამი ატ-ტევარიხ, გვ. 392.
[2] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 378.
[3] მალაქია, 29 და 30.

ორის ისტორიკოსს რაშიდედინს ამ ბატონიშვილების სახელები ასე აქვს გადმოცემული: ბალღა بلغا (ან ბალალა) შეიბანის ძე, ჯუჩის შვილიშვილი, ტუტარ (ან თუთარ) ოღულ توتار اوغول და قولى ყული[1]. მეორეჯერ ამ პირთა სახელები ხელთნაწერებში ცოტა დამახინჯებულია და ასე სწერია: توتار ტუ-ტარ, ანუ თუთარ და بلغا قلى ბალღა ყული[2].

პირველი სახელი ქართულად ხუთრ ყული, ტუთრ ყული და ტუთარ ყული-სა ან მარტო-ტუთარ-ის სახით არის აღბეჭდილი, სომხურად Տուխար ტუთარ-ად და სპარსულადაც توتار ტუტარ, ან თუთარ-ად და ერთხელ ტუ-ტარ-ოღულ-ად სწერია. ამ სახელის ქართული დაწერილობა „ხუთრყული“ ორი სახელის შეერთებას უნდა წარმოადგენდეს, რათგან იმ წინადადების მეორე ნაწილში, რომლის პირველ ნაწილშიაც „ხუთრყული და ბალალი“ არიან და-სახელებულნი, ნათქვამია, რომ „სამნივე მოკლნა“-ო, ხუთრყული და ბალალი კი ორი ადამიანის სახელი გამოდის. ამიტომ საფიქრებელია, რომ ორ ადამიანის სახელად მერმინდელ გადამწერთაგან არის ქცეული და პირველი სიტყვა ნამდვი-ლად ორი ადამიანის ყუთარ და ყული-ს სახელების შეცდომითს შეერთებას უნდა წარმოადგენდეს. შესაძლებელია, ამგვარ შეერთებას ხუთარ-ის ან ტუთარის ორნაგმა სახელმა ტუთარ-ოღულ-მა, როგორც რაშიდედინსა აქვს, ან ხუთარ-ოღულმა შეუწყო ხელი და ეგების ყამთააღმწერელს დედანში ეწერა ხუთარ (ან ტუთარ) ოღული, ყული და მესამე სახელიც ეწერა და გადმომწერელმა ოღული და ყული შეაერთა და ტუთარის სახელის მეორე ნაწილად აქცია.

გამოსარკვევია, ამ სახელის რომელი დაწერილობაა სწორი — ხუთარ, თუ ტუთარ. ქართულად პალეოგრაფიულად თუ ამ სახელს ხუცურად დაწერილს წარმოვიდგენთ, ხ და ტ ასოების შეცდომით ერთიმეორის მაგივრად წაკითხვა ადვილია ისე, რომ როგორც „ხუთარ“-ი შეიძლება გადამწერს შეცდობით „ტუ-თარ“-ად წაეკითხა, ისევე „ტუთარ“ შეიძლება „ხუთარ“-ად გადმოეწერა. სპარსული توتار ტუტარ, ან თუთარ და სომხური ტუთარ ამ უკანასკნელ და-წერილობას თითქოს უფრო სწორად ჰხდიან, მაგრამ ასურელი მწერლის ბარ-ჰებრეუსის ამ სახელის „კოტარ“-ად დაწერილობა[3] თითქოს ყამ-თააღმწერელის „ხუთარ“-ს ამართლებს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საკით-ხის გადაწყვეტას ართულებს.

მეორე ბატონიშვილის სახელი ამგვარად ყული ყოფილა, რაც სპარ-სულადაც قولى ყული-დ სწერია, სომხური „ღულ“ Ղուլ-ის „ღ“ ყ-რის მაგიერ არის ნახმარი, რათგან სომხურში „ყ“ ბგერა არ არსებობს. მალაქიას ეს ბგერა „ხ“ խ ასოთიც კი აქვს გადმოცემული. რაშიდედინის ტექსტის კატრმერის გამოცემის მეორე ადგილი ამიტომ უნდა შეივსოს კავშირი و-ითა და სახელის დაწერილობაც ასე შესწორდეს: توتار، بلغا و قولى

მესამე ბატონიშვილის სახელი ქართულად ბალალი, შლაღა, ბოლ-ღა, ბლალთა-დ სწერია. სომხურად Բալալայ ბალახაჲ და სპარსულად بلغا-

---

[1] ჯამიატ-ტევარიხ, კატრმერის გამ. გვ. 353 და 360.
[2] იქვე, გვ. 390.
[3] იხ. ჰამმერი, I, 216.

ბალღაჰ, ან ل ბალღა, რომელიც შეიძლება ბ ა ლ ა ღ ა-დაც იქმნეს წაკითხული. ამ სახელის ქართული დაწერილობაც თავდაპირველად იქნებოდა „ბალაღა“ და სხვანაირი მისი სახეები გრაფიკულ-ხედვითი შეცდომების ნიადაგზე (ბ-შ და ღ-ლ არევისაგან) არის უეჭველია წარმომდგარი. სპარსულადაც ამავე დახმოვნებით უნდა იქმნეს ეს სახელი, რაც ქართულისა და სომხური დაწერილობით მტკიცდება.

სახელების დაწერილობის გამორკვევის შემდგომ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს მოთხრობას რომ დავუბრუნდეთ, შემდეგ ამბავს შეიცავს: „ყაენთა შვილნი“ ჰულაგუ ყაენთან „წარგზავნილი ხ უ თ ა რ (ან ტუთარ), ყული და ბალაღა იპყრნა ყაენმან ულო და მოკლნა სამნივე და იპყრა ქუეყანა მათი და ყოველი სიმდიდრე მათი“. როდესაც ამ ბატონიშვილების მოკვლის ამბავი მათმა ელებმა გაიგეს, მათი მეთაური «ვინმე ალათემურ, კაცი სახელოვანი, აიყარა ბარგითა და დედაწულითა და ივლტოდა» სამცხისაკენ. მას კვალდაკვალ ჰულაგუ ყაენის მეომრები დაედევნენ, მაგრამ ალათემურმა მათ არაერთხელ ცუდი დღე დააყენა ისე, რომ «ვიდრე კოლის მთათა მოსლვამდე ათორმეტჯერ მოეწივნეს და ათორმეტჯერ შეებნეს და ათორმეტჯერ ალათემურ მოერია და გააქცივნა».

ასე გზადაგზა ბრძოლით «მოიწივნეს ქვეყანასა არტაანს, სოფელსა რომელსა ჰქვიან მგლინავი», სადაც მათ «მურვან გურკელი, მახუნჯაგის ძე, წინა შეემთხვია, ნადირობასა მიმავალი». ალათემურის ელის თათრებმა მურვანი შეიპყრეს და კინაღამ არ მოკლეს. მან «აღუთქვა ლიხთიმერით წარყუანება მათი და ეგრეთ ბერქას ყანს წინაშე წარსხმა». მონღოლები „მიენდვნეს“ მურვან გურკელს, მაგრამ მან მონღოლები მოატყუა «მოასხა სამცხეს, გურკელის ჭალას და ესრეთ განსცნა: წარავლინა კაცი და ამცნო სარგის თმოგველსა და შალვა ბოცოს ძესა და ყოველთა მესხთა და სარგის ჯაყელის ლაშქართა, რათა შეკრბენ ერთად და შეიპყრან ალათემურ და მიჰგვარონ ულო ყანს». ისინიც სწორედ ასე აპირებდნენ მოქცევას, რომ ამის შემტყობი «ალათემურ აიყარა ბარგითა და დედაწულითა და გამოვლო მტკვარი და მომართა ჯავახეთით კერძო, შემოიარა ელასის შემოღმართი და მივიდა ოშორას ქვეშეთ ადგილსა, რომელსა ჰქვიან ლერძავნი», სადაც თმოგველი იდგა გზის გადასაღობად.

ალათენურმა გზა იბრუნა და შებმას მოერიდა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა. სარგის და ბოცოს ძე თავის ჯარითურთ მონღოლებს გვერდით მისდევდნენ და მხოლოდ მურვან გურკლელი მიჰყვებოდა კვალდაკვალ. სარგისსა და ბოცოს ძეს მხოლოდ ქვეყნის მიმავალ მონღოლთაგან უვნებლობისათვის თვალყურის დევნება ჰსურდათ და მურვან გურკლელს არ მიჰშველებიან. მურვანი კი თავისას არ იშლიდა და ალათემურის შეუბმელად ხელითგან გაშვება არ უნდოდა. ბოლოს მურვან გურკლელი და ალათემური „შეიბნეს ძლიერად“, მაგრამ «სძლიეს თათართა და მრავალი ტაძრეული და აზნაური მოკლეს და ივლტოდა გურკლელი». ამის შემდგომ ალათემურმა და «თათართა განვლეს ჯავახეთი და თრიალეთი და რუსთავს მტკვარს გავიდეს». მართალია, მათ კიდევ «მრავალგან მიეწივნეს სომხითარნი ლაშქარნი», მაგრამ ყველგან «ალათემურ მძლე ექმნა».

ამგვარად «განვლეს კამბეჩანი, კახეთი და ჰერეთი ყოვლგან ომითა და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა» და იქითგან დაღისტანში გადავიდნენ. «შეევიდეს ღუნძეთს», სადაც თუმცა «წინა განეწყო მეფე ღუნძთა», მაგრამ ამ შემთხვევაშიაც «სძლეს თათართავე და გამარჯვებულნი მოვიდეს ყარ-ნს წინაშე ბერქას და ესრეთი საკვირველი საქმე ქმნეს»-ო. ჰულაგუ ყაენისაგან ჩადენილი მკვლელობითა და ალათემურის ელის დევნისათვის «განძვინებული ბერქა განემზადა გამოსვლად» ჰულაგუ ყაენის წინააღმდეგო (ეამთააღ. * 844—846, გვ. 689—691.

ქართველ ისტორიკოსს მთელი ეს მოთხრობა, როგორც ეტყობა, თანამედროვისაგან აღწერილ ქართულ საისტორიო ნაწარმოებითგან უნდა ჰქონდეს ამოღებული. ამ ამბის მომთხრობელი, როგორც ჩანს, ჯავახეთის, სახელდობრ ელასის მახლობლად მცხოვრები უნდა ყოფილიყო (— ამას გვაფიქრებინებს მისი გამონათქვამები «გამოვლო მტკვარი ჯავახეთით კერძო, შემოიარა ელასის ნემოღმართი და მივიდა ოშორას ქვეშეთ ადგილსა»), და ამ საქმის ვითარების კარგი მცოდნე. მისი აღწერილობითგანა ჩანს, რომ ის ალათემურის მომხრე იყო და მის წინააღმდეგ ბრძოლა ზოგ ქართველების მხრით შეცდომად მიაჩნდა, უეჭველია, იმდენად, რამდენაც ალათემური ჰულაგუ ყაენის მტერი იყო. ამ წყაროს ცნობა სწორი უნდა იყოს და სრულს სიმართლეს შეიცავდეს და რომ ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, როგორც ქართველ უცნობ მემატიანეს აქვს მოთხრობილი, და ჰულაგუ ყაენსა და ბერქას შორის მტრობა სწორედ ზემოდასახელებულ მონღოლთა ბატონიშვილების ჰულაგუსაგან დახოცვის გამო გამწვავებულა, ეს რაშიდ ედინის საისტორიო თხზულებითაც მტკიცდება. მონღოლთა ამ შესანიშნავ კარის ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: ჰულაგუ ყაენი ითმენდა მშვიდობიანად ბერქას მედიდურობასა და ბარძანებლობას, რათგან ის უფროსი იყო, მაგრამ چون خویشان توتار و بلغه قبی واقعه رسید کینه میان ایشان ظاهر گشت و روز بروز زیاد شد „როდესაც (ბერქას) ნათესავებს ხუთარს, ბალღას [და] ყულის უბედურება ეწიათ, შურისძიების (წყურვილი) მათ შორის გამოაშკარავდა და დღითი-დღე იზრდებოდა [1]“.

ამ ადგილას ყრუდ ნათქვაჰი ცნობის გაგება ამავე ისტორიკოსის წინათ ნაამბობითგან შეიძლება. ხოლო ეგვიპტის წინააღმდეგ გალაშქრების აღწერილობის ბოლოში მას ნათქვამი აქვს, რომ ამავე დროს ბატონიშვილი ბალღა, ჯუჩის შვილის შეიბანის ძე, ნადიმის დროს უეცრად მოკვდა. ამის შემდგომ ტუტარ ოღულს გრძნეულება და მტრობა დასწაშეს. ჰულაგუ ყაენმა ის გასასამართლებლად ბერქა ყაენს გაუგზავნა, მაგრამ მან მონღოლთა ჩინგიზხანისაგან დადებული კანონების მიხედვით ისევ ჰულაგუ ყაენთან დააბრუნა, რომელმაც რეფერი თვის 17-ს 658 წელს ჰიჯრით (=1260 წ. 3 თებერვალს) სიკვდილად დასაჯა. შემდეგ აგრეთვე ყულიც გარდაიცვალა. ამის შემდგომ, რაკი ეს ბატონიშვილები გარდაიცვალნენ, მათი მსახურნი გაიქცნენ და დარუბანდის გზით და გილანის (ე. ი. კასპიის) ზღვით ყიჩაყეთში მივიდნენო [2].

---

[1] ჯამიატ-ტევარიხ, კატრმერის გამოც. გვ. 390.

[2] იქვე, გვ. 358 და 360.

რაშიდ ედინისა და ჟამთააღმწერელის ნაამბობს შორის განსხვავებაა, მაგრამ მონღოლთა ყაენის კარის ისტორიკოსი, უეჭველია, სამი ბატონიშვილის სიკვდილს ისე მოგვითხრობს, როგორც ჰულაგუ ყაენის კარზე ოფიციურად ლაპარაკობდნენ: ჰულაგუ უდანაშაულო კრავად არის გამოყვანილი, ბალღა თუ ნადიმის დროს უეცრად გარდაიცვალა, — ხუთარიც, თუ ტუთარი გრძნეულების და მტრობისათვის დაისაჯა ჩინგიზ-ყაენის კანონების თანახმად. ყულიც თითონ გარდაიცვალა. ერთი სიტყვით ისე გამოდის, რომ ჰულაგუ ყაენი სრულებით უდანაშაულო იყო. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა, ეს ოფიციური მონათხრობი სინამდვილედ მიგვეჩნია. მაშინაც იმათ, რომელთაც სხვებზე უკეთესად უნდა სცოდნოდათ, დახოცილების მსახურთა და ელს, ასეთი ლაპარაკი არ დაუჯერებიათ: მთელი მათი და ჰულაგუს ქცევა ცხად-ჰყოფს, რომ ისინი ბატონიშვილების ნამდვილ მკვლელად ჰულაგუ ყაენსა სთვლიდნენ და, რომ მათ იგივე არ დაჰმართოდათ, რაც მათ ბატონებს მოუვიდათ, სპარსეთის საყაენოთგან გაქცევა ამჯობინეს. ჰულაგუსაგან მათ დასაჭერად მდევარი ლაშქრის გაგზავნა ამტკიცებს, რომ ალათემური არ შემცდარა, როდესაც ჰულაგუსაგან თავის მორიდება გადაუწყვეტია. ბერქა ყაენის მრისხანება ჰულაგუს წინააღმდეგ ამ სამი ბატონიშვილის სიკვდილის გამო და შურისძიების წყურვილიც უეჭველია იმის მაჩვენებელი იყო, რომ ისიც ამ სამი მისი ნათესავის სიკვდილის ბრალს სპარსეთის ილხანს სდებდა. ამ საიდუმლო საქმის ნამდვილ ვითარებას რომ ქართველი ისტორიკოსი მონღოლთა კარის ისტორიკოსზე უფრო სისწორით უნდა გვისურათებდეს, ამას კირაკოზ განძაკელის თხზულებაც ამტკიცებს: მისი სიტყვითაც ყული, ბალახა და ტუთარი, ბევრნი სხვებიც ჰულაგუ ყაენმა დაახოცინა იმიტომ, რომ ყაენის ხელისუფლებაში ერეოდნენო, და მხოლოდ მცირედმა ნაწილმა ლტოლვით თავს უშველა და ბერქასთან მისვლით სიკვდილის განსაცდელს თავი დააღწიაო[1].

მხოლოდ მალაქიას აქვს ამ ამბის ყველასგან განსხვავებული მოთხრობა, ვითომც ბალახა, ტუთარი და დანარჩენი ბატონიშვილების დახოცვა მანგუ ყაენისაგან გამოგზავნილ მსაჯულების ბრძანებით იქნნა საქართველოს მეფის მხედართა მიერ მანგუ ყაენის ბრძანებისათვის ჰულაგუს გაყაენების შესახებ ურჩობის გასაწევად[2]. მაგრამ ეს სრულებით დაუჯერებელი რამე არის და თვით მონღოლთა კარის ისტორიკოსის ოფიციურს ნაამბობსაც კიეწინააღმდეგება. ამასთანავე მალაქიას სიტყვით ისე გამოდის, თითქოს მონღოლთა ბატონიშვილების სიკვდილი ჰულაგუს ყაენად დასმის დროს, ანუ 1256 წ. უნდა მომხდარიყო და ბერქას გამოლაშქრება მას მიზეზად არა აქვს მოხსენებული. მალაქიას მოთხრობაში საყურადღებოა მხოლოდ დახოცილ ბატონიშვილთა ელის ლტოლვის ამბავი. მალაქიას სიტყვით ამ ელის ერთს მეთაურს ნუხა ქუუნ, მეორეს კი არადამურ-ი ერქვა. თან მათ მთელი განძეულობა, საუცხოვო ცხენები და ვითომც მხოლოდ 12 მხედარი წაუყვანიათ,

---

[1] კირაკოზ განძაკელი, ისტორია 378—379.
[2] მალაქია, 29—30.

მტკვარს გაღმა გასულან და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებულან[1]. უკვე პროფ. კ. პატკანიანმა აღნიშნა, რომ „ქოუნ“ ჰულაგუ ყაენთან წარმოგზავნილ ბატონიშვილების წოდებულების აღსანიშნავად ყამთააღმწერელსაც აქვს მოყვანილი ისე, რომ მალაქიას „ნუხა ქუუნ“-ის მეორე ნაწილი წოდებულებას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ლტოლვილთა მეორე მეთაურის სახელი არადამუ ყამთააღმწერელის ალადემურ-ს უდრის[2].

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ყამთააღმწერელის ზემომოყვანილი მოთხრობა სრულებით სწორი უნდა იყოს და ჯავახელ თანამედროვისაგან დაწერილი წყაროთგან იყოს ამოღებული. ეს ამბავი, როგორც რაშიდ-ედინის ცნობებითგან ჩანს, 1260 წ. 3 თებერვლის უწინარეს და შემდგომ მომხდარა, იქნებ ნაწილობრივ 1261 წ-საც. ამიტომ ცხადია, რომ ყამთა-ააღმწერელს შეცდომა მოსვლია, როდესაც რომელიღაც კარგი წყაროთგან ამოღებული თანამედროვისგან დაწერილი ეს ცნობა 1264 წ. ამბის მომთხ-რობელი ნაკვეთის შემდგომ, უალაგო ალაგას მოუთავსებია.

ბერქასთან ბრძოლამ დავით მეფის საქმე წვრილმან შემთხვეულობად აქცია. საფრთხის წინაშე მდგომ და სასტიკი ძმათა-შორისი სისხლის ღვრის მოლოდინში, ჰულაგუ ყაენისათვის საქართველოს მომხრეობას დიდი მნიშვნე-ლობა ჰქონდა და ასეთ პირობებში გასაკვირველიც არაფერია, რომ ჰულაგუს გამოძიებისათვის თავი მიენებებინოს, ოღონდ საქართველოს ლაშქარს მისთვის მხარი დაეჭირა და ბერქას წინააღმდეგ საომრად გაჰყოლოდა. ამგვარად, თვით ყამთააღმწერელის მოთხრობითგან, რომელიც უეჭველია მისი წყაროს ცნობებზე უნდა იყოს დამყარებული, ცხადი ხდება, რომ ხოჯა-აზიზის სიკვ-დილად დასჯას დავით მეფის საქმესთან და მის განდგომილებით წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან საერთო ან სრულებით არაფერი, ან ძალიან მცირე ჰქონია. ბერქას დაძვრის ამბავის მიღებისთანავე ჰულაგუ ყაენი სასწრაფოდ მთელ სპარსეთში ჯარის შეგროვებას შეუდგა და ალატაღითგან ბერქასთან საომრად დაიძრა. ჯარმაღუნის შვილი შირამუნი, სპარსეთის გამგე-ყოფილი, მოწინავე ჯარის უფროსად იყო დანიშნული. მისი მოწინავე ლაშქრის ნაწილები ოქტომბერში უკვე შამახიის წინ იდგნენ. ბერქას ლაშქარს კავკასიონის ქედი დარუბანდის გზით გადმოლახული ჰქონდა და მისი მეწინავე ჯარი კი უკვე შირვანში იყო შემოკრილი. მოულოდნელი თავდასხმით ბერქას ამ ჯარმა ში-რამუნი დაამარცხა, მაგრამ «იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი ველსა ზედა შა-ბურანისასა. ძლიერად ბრძოდა მეფე და სპანი მისნი, სადა იგი სარგის ჯაყელ-მან სახელოვანი ომი ყო წინაშე ულოსა, რომელ განკვირდა ყანი და განგრ-ძელდა ომი და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი» (ყამთააღ. * 841, გვ. 686), მაგრამ ჰულაგუ ყაენის ჯარის უფროსმა ამბატაჯმ ბერქა ყაენის სარდალი ნო-ღაჯ შაბურანთან უკუ აქცია და «ივლტოდა სპა ბერქასი და ღევნა უყუეს ძლიერად... სპასა ბერქასასა დარუბანდის კარამდი» (ყამთააღ. * 841—842, გვ. 686—687).

---

[1] იქვე, გვ. 30.

[2] იხ. История Монголов инока Магакии, გვ. 91—92, შენ. 58.

21 ნოემბერს 1262 წ. თვით ჰულაგუ ყაენიც შამახიითგან აიყარა და დარუბანდისაკენ გაემართა. აქ ყაენის ბრძანებით ხოჯა-აზიზი და ხოჯა მეჯდ ედ-დინ თავრეჟელი ვარსკვლავთმრიცხველ ჰუსამედდინთან ერთად ღალატისათვის შეპყრობილ იქმნენ და შაბურანში სიკვდილად იქმნენ დასჯილნი[1].

პარასკევს 23 მუჰარრემს 661 წ. ჰიჯრით, ანუ 8 დეკემბერს 1262 წ. კვლავ მთლად საბრძოლველად გამზადებული ჰულაგუ ყაენის ლაშქარიც უკვე დარუბანდთან იდგა[2].

როგორც აღნიშნული გვქონდა, ჰულაგუ ყაენი თავისი ჯარითურთ დარუბანდის წინაშე იდგა. სამი დღის ბრძოლის შემდგომ ზღუდე აღებულ იქმნა და რვა დღის შემდეგ ნოლად დამარცხდა. ამგვარად, ჰულაგუ ყაენის მეომრებმა „განვლეს დარუბანდიცა“ და ქართველი ეამთააღმწერელის სიტყვით ვითომც «სამსა დღესა სხვასა დევნა უყვეს», ხოლო შემდეგ უკვე «ესრეთ გამარჯვებულნი და სახელოვანნი მოვიდეს სადგურსა მათსა ბარდავს» (* 842, გვ. 687). მაგრამ საქმის მიმდინარეობა ნამდვილად მთლად ასეთი არ ყოფილა. ჰულაგუ ყაენმა თავის მებრძოლ ლაშქარს თავისი უფროსი შვილი აბაღა და კიდევ სხვა შვიდი ნოინი მიაშველა და თანაც უბრძანა, რომ ლტოლვილ მტერს დასწეოდნენ და მთელი მისი ბანაკი ქონებითურთ ხელში ჩაეგდოთ. ამ მიზნით ჰულაგუ ყაენის ჯარმა თერგი გადალახა კიდეც, მაგრამ ბერქას ლაშქარი გაქცეული დახვდა და მიტოვებულ ბანაკში, ქალებისა, ბავშვებისა და უთვალავი ქონების გარდა, აღარაფერი ბრძოლის მომასწავებელი უკვე აღარ იყო. მონღოლური წესისამებრ ჰულაგუ ყაენის ჯარმა გაქცეული მტრის ცოლშვილზე იყარა მხეცურად ჯავრი და თანამოძმე მონღოლების არც ნამუსი და არც ქონება არ დაინდო[3].

ჰულაგუ ყაენის ამ ველური თავშეუკავებლობით გართულ და დამთვრალ ლაშქარს უეცრად თავს ბერქას ჯარი დაესხა. მთელი დღის განმავლობაში თერგის პირას მოწინააღმდეგეთა შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა, რომელიც ჰულაგუ ყაენის ლაშქრის უკუქცევით დამთავრდა. შუა ზამთარი იყო, 13 იანვარს 1263 წ. გამარჯვების ნაადრევად გადამხდელი ჰულაგუ ყაენის უკან დამხვევი ჯარი იძულებული შეიქმნა ისევ თერგის მეორე ნაპირზე გადმოსულიყო. მაგრამ ახლად მოტანილი ყინული ჩაიმტვრა და დიდძალი მეომარი იმსხვერპლა. მართალია, ჰულაგუ ყაენის ძმამ აბაღამ განსაცდელს თავი დააღწია და შაბურანს მოვიდა, მაგრამ საგრძნობლად შემცირებულ და დაჯაბნულ ჯარს ბრძოლის უნარი უკვე დაკარგული ჰქონდა. ასეთ პირობებში ბერქას დარუბანდის კვლავ ხელში ჩაგდება არ გასჭირვებია. ჰულაგუ ყაენს სხვა არაფერი დარჩენოდა, რომ ბრძოლა დროებით მაინც დამთავრებულად ჩაეთვალა და ჯუმადის მეორე თვის 11-ს 661 წ. ჰიჯრით, ანუ 23 აპრილს 1263 წ. თავრეჟში დაბრუნებულიყო. აქ დამარცხებით გულმოსულმა ჩვეულებისაებრ ჯავრი უდანაშაულო ხალხზე იყარა და თავრეზში მყოფ ყივჩაყელ ვაჭრებს მთელი

---

[1] რაშიდ ედ-დინი, ჯამი ატ-ტევარიხ, კატრმერის გამოც. გვ. 392 და 394.

[2] იქვე, 394.

[3] იქვე, გვ. 394—398.

ქონებაც ჩამოართვა და თავებიც გააგდებინა. ბერქამაც სამაგიერო ამგვარადვე გადაუხადა და თავის ნხრივ ყივჩაყეთში მყოფი ყველა სპარსელი ვაჭრები ამოაკვლევინა[1].

1263 წ. ივნისში ჰულაგუ ყაენს, როგორც ეტყობა, ბერქასაგან მოყენებული დამარცხების უსიამოვნო გრძნობა გადაჰყრია და დიდი ყურულთაჲ, ანუ დარბაზობა მოუწყვია. ჩვეულებისაებრ ყმადნაფიცი ხელქვეშეთი სამეფოებისა და სამფლობელოების წარმომადგენლები, მეფეები, სულტნები და ამირებიც მიწვეულები ყოფილან. ამ ყურულთაჲს დამსწრეთა შორის საქართველოს მეფე დავითი, უეჭველია ლაშა-გიორგის ძე, კილიკიის სომხეთის მეფე ჰეთუმი, ანტიოქიის პრინცი და სხვებიც მრავალნი დასწრებიან[2]. ამრიგად, ულუ-დავითი, როგორც ჩანს, ნებსით თუ უნებლიეთ კვლავ ჰულაგუ-ყაენს დაახლოვებია.

მერმინდელ საქმეთა მიმდინარეობა ქართველს ჟამთააღმწერელს სხვა ყველა ისტორიკოსებისაგან განსხვავებულად აქვს მოთხრობილი. მისი თქმით: «ვითარ მოიწია სთველი წარვიდა ყაენ ქვეყანად შარვა[ნ]-შასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდიან ჩაღანუსუნი[3], ესე იგი არს თეთრი წყალი, და შეკრეს [ღ]ობითა წყლის პირი, რომელსა სიბად უწოდდეს, რამეთუ გონებდა გამოსლვასა ბერქა ყაენისასა. და ამათ ჟამთაგან იწყეს სიბასა ზედა დგომად თათართა და ქართველთა სთვლითგან გაზაფხულამდე და გაზაფხულ წარვიდიან საზაფხულო სადგურთა»-ო (* 844 გვ. 689).

არაფერი ამის მსგავსი არც რაშიდედინსა და არც სხვა ისტორიკოსს ნათქვამი არა აქვს. მაგრამ რაშიდედინის სიტყვებითგან ირკვევა, რომ ჰულაგუ ყაენი დამარცხების შემდგომ დიდ სამზადისში იყო ბერქასთან საომრად. მეორე წელიწადს მას მტრის მზადების შესახებ ამბავი მოუვიდა, რომ იგი დარუბანდითკან გამოსვლას აპირებდა. ამიტომ შეიხი შერიფ-თებრიზი ლეკეთის მთებზე გადაგზავნა, ქედს იქით ბერქას ყოველ მოძრაობაზე ცნობების შესაგროვებლად და შესატყობინებლად. სწორედ ამ პირმა უკან დაბრუნებისას აცნობა, რომ ბერქა შემოსევას მართლა აპირებდა, მაგრამ ყუბილაჲ ყაენის სიკვდილისა და არიყ-ბუღას ტახტზე აყვანისა და მისგან ჰულაგუ ყაენისათვის მონღოლთა 30000 რჩეული ცხენოსანი მეომრის მომზველიების ამბავმა ეს განზრახვა ჩაუშალა[4]. ჰულაგუ ყაენის სიკვდილამდე რაშიდედინს ბერქას წინააღმდეგ მოქმედებაზე, ან გინდ საომრად მზადებაზე აღარაფერი აქვს ნათქვამი.

არსებული სპარსულ-არაბული წყაროებისდა მიხედვით ბრძოლა ბერქასა და სპარსეთის ილხანებს შორის ვითომც მხოლოდ ჰულაგუ ყაენის შვილის აბაღა ყაენის დროს 1265 წ. განახლებულიყოს, როდესაც მონღოლთა ძმათა შორის სასტიკი ბრძოლა აყსუს, ან მონღოლურად ჩაღან-მურანის, ე. ი. თეთრი წყლის, პირას მოხდა და ვითომც სწორედ ამის შემდგომ მტკვრის გასწვრივ დელაჲ ნორითგან (Delai Nor) მოყოლებული ქურთთა უდაბნომდე გასამაგ-

---

[1] რაშიდედინი, კატრმერის გამ. გვ. 398.

[2] ვარდან ბარძბერდელის *Պատմ. տիեզերական*, ემინის გამ. გვ. 204—205.

[3] M ჩალანუსური < ჩაღანუსუნი.

[4] რაშიდედინი, კატრმ., 399—400.

რებლად და თავისი ჯარებისათვის და საზღვრების დასაცავად დიდი ჯებირი გაეკეთებინოს. დაახლოვებით ერთი წლის განმავლობაში 1266 წ-ისთვის ეს უზარმაზარი სანგარი უკვე გაკეთებული ყოფილა და მანგუ დემური, რომელსაც შენებულების მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონია, შინ გაუსტუმრებია[1].

ძნელი დასაჯერებელია, რომ აბაღა ყაენს სიბას გაკეთება 1266 წ. დაეწყოს მას შემდგომ, როდესაც ბერქა ყაენი უკვე მკვდარი იყო და, მაშასადამე, მტერი აღარ არსებობდა. მტკვრის გასწვრივ სანგრის გათხრაც თავისდათავად ასეთ პირობებში სრული უგუნურება იქმნებოდა, რათგან ეს ყივჩაყთა ურდოს ყაენის ქედს აქეთ გადმოსვლას დაკანონებას უდრიდა და ბრძოლასაც სანახევროდ წაგებულად ხდიდა. უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰულაგუ ყაენს დამარცხების შემდგომ თავის სამფლობელოს უზრუნველსაყოფად უმალ ყოველივე სამხედრო ღონე არ ეხმარა და იმდენად გულუბრყვილო ყოფილიყო, რომ შეიხი შერიფ-თებრიზის ნაამბობის შემდგომ საზღვრების დასაცავადაც კი არა გაეკეთებინოს რა და თავისი თავი და საბრძანებელი ბერქასაგან სამუდამოდ უზრუნველყოფილად მიეჩნია.

ყველა ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო ქართველი ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი ცნობა უფრო სწორი და უტყუარი უნდა იყოს. ჟამთააღმწერელს ეს ცნობა თავის წყაროთგან უნდა ჰქონდეს ამოღებული და იგი რამდენსამე საგულისხმო ზედმიწევნილობითს დათარიღებას შეიცავს, მდინარის სახელიც მონღოლურად არის ჩაწერილი და ქართული სწორი თარგმანიც თანდართული აქვს. მართლაც ჩაღან მონღოლურად (چغان) თეთრსა ჰნიშნავდა, უსუნ (اُسُون) წყალსა და ჩაღანუსუნ სწორედ თეთრი წყალია ქართულად (იხ. كتاب ترجمان فارسى وتركى ومغولى სპარსულ, თურქულ, მონღოლური სათარგიმანო წიგნი, პ. მელიორანსკის გამოც. ЗВОРАОб. т. XV, вып. II—III გვ. 132 და 122).

იმ ღობეს, რომელიც ჯარის საფრად იქმნა აგებული ჩაღანუსუნის პირას, ჟამთააღმწერელის სიტყვით „სიბა“-ს უწოდებდნენ. თუმცა ამგვარი სიტყვა პროფ. მელიორანსკის მიერ გამოცემულ მე-XIV—XV ს. სათარგიმანო წიგნში არ იხსენიება, მაგრამ იგი თურქულშია შენახული და მართლაც კედლით მოზღუდვილს ადგილსა ნიშნავს. თუ ეს ნამდვილი თურქული სიტყვაა და არა მონღოლური, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგიც სხვა მრავალ თურქულ სიტყვებთან ერთად მაშინდელ მონღოლურში იყო შესული.

ჟამთააღმწერელის ცნობას, რომ ბერქას პირველი შემოსევის შემდგომ ჰულაგუ ყაენი და შემდეგ მისი შვილი აბაღა ყაენი ყოველწლივ ჩრდილოეთის საზღვარს იცავდნენ, სომეხთა ისტორიკოსი კირაკოზ განძაკელიც ადასტურებს, რომლის სიტყვითაც ეს სიფრთხილისა და დაცვის საშუალება 5 წლის განმავლობაში 1261—1262 წლითგან 1266—67 წლამდე ყო-

---

[1] რაშიდ ედინი, ჯამი ატ-ტევარიხ, გვ. 398—400.

ველ ზამთრობით სწარმოებდა[1]. იგივე ისტორიკოსი ბერქას და აბაღას ლაშქრებისაგან მდინარის პირის სანგრითა და ღობით წინასწარ გამაგრებასაც იხსენიებს[2]. ჟამთააღმწერელის ძოთხრობის მიხედვით კი ჩაღანუსუნის პირის ღობით შეკვრა, ანუ სიბას აგება, როგორც ქვევით აღნიშნული იქნება, ცოტა უფრო გვიან უნდა დაეწყოთ.

მაშასადამე, ჰულაგუ ყაენს ბერქას მიერ მისი ჯარის დამარცხების შემდგომ ბერქას მოსალოდნელ შემოსევისაგან უზრუნველყოფისათვის თეთრწყალზე ანუ ჩაღანუსუნის პირას ღობის აგება დაუწყია, რომ მის საყაენოს ჯარს სანგრების მსგავსად იქ გამაგრება და მტრის შეჩერება შესძლებოდა. ამ ღობის, ანუ სიბას დასაცავად შემოდგომითგან გაზაფხულამდე საქართველოს და მონღოლთა ლამქარი ყოფილა ჩაყენებული. სიბას აგება 1263 წ. დაუწყიათ შემოდგომას «ვითარ მოიწია სთველი» და 1264 წ. გაზაფხულამდე იქ ყოფილან (ჟამთააღ. * 844, გვ. 689), რათგან სიბაში ჩაყენებული ჯარისნაწილები ჩვეულებრივ თურმე «მუნ იზამთრიან» (* 846, გვ. 691) ხოლმე. დავით მეფეც, როგორც ეტყობა, ამ დროს ჩაღანუსუნის ანუ თეთრი წყლის სიბაზე უნდა ყოფილიყო: «ვითარ მოიწია სთველი კუალად წარვიდა ყანი სიბასა ზედა და მეფეცა მის თანა» (იქვე * 846—847, გვ. 692). სიბაზე ეს მეორე გზისი წასვლა 1264 წ. შემოდგომას უნდა ვიგულისხმოთ. გაზაფხულამდე იქ დარჩენილან და რაკი «მოიწია გაზაფხული, წარწოვიდა ყანი» (იქვე). ამგვარად, 1265 წ. გაზაფხულამდის იქ ყოფილან. იყო თუ არა სიბაზე პირადად თვით ჰულაგუ ყაენი თუ მისი სარდალი, ეს სხვა, ჯერ კიდევ გამოსარკვევი საკითხია, მაგრამ ჟამთააღმწერელის სიტყვით მაშინვე ჰულაგუ ყაენიც გარდაცვლილა (* 847, გვ. 692). და, მართლაც, ჰულაგუ 8 თებერვალს 1265 წ. გარდაიცვალა, ამის შემდგომ დავით მეფეც 1265 წ. გაზაფხულზე საქართველოში დაბრუნებულა და «მოვიდა ტფილისსა და ყოველსა ქართლსა და სომხითსა და განაგნა საქმენი მანდაურნი» (იქვე).

მამის მაგიერ ნოინებმა საყაენო ტახტზე «მისი ძე უხუცესი სახელითა აბაღა» აიყვანეს (იქვე). 19 ივნისს 1265 წ. ის უკვე საყაენო ტახტზე იჯდა[3].

ბერქა ყაენს აბაღას სახელი თერგთან მომხდარი ძლევამოსილი ბრძოლის შემდგომ კარგად ახსოვდა იმგვარადვე, როგორც ბერქასაგან დამარცხებულს აბაღას მისი ამაწბილებელის სახელი არ დაავიწყდებოდა. გაუგია თუ არა ბერქას აბაღას გაყაენების ამბავი, ბერქას მაშინვე თავისი წინანდელი სამხედრო გეგმის განხორციელებაზე დაუწყია ფიქრი და საქმესაც შესდგომია. სწორედ «მას ჟამსა გამოვიდა დიდი ბერქა გზასა დარუბანდისასა აურაცხელითა ლაშქრითა შორის გებად». ამ ამბის გაგონებაზე აბაღა ყაენმა «მოუწოდა სპათა მისთა და მეფესა დავითს და წარემართა» (ჟამთააღ. * 848, გვ. 693). მართლაც, ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნობით სეფერი თვის 8 ს 664 წელს ჰიჯრითა, ანუ 20 ნოემბერს 1265 წ. ქ. შ. უკვე ბერქა და აბაღა ყაენების ლაშქრებს შორის შეტაკება და ბრძოლა დაიწყო[4].

---

[1] კირაკოზ განძაკელი, ისტორია, 330.
[2] იქვე, 352.
[3] ჰამდალლაჰ ყაზვინის ტარიხ-ი გუზიდეჰ ‹‹ და ჰამმერი I, 246.
[4] ტარიხ-ი გუზიდეჰ, იქვე.

ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვით, აბაღა ყაენმა რომ «აგრძნა ძლიერება და სიდიდე სპათა ბერქასთა, არღარა განვიდა მტკუარსა, არამედ შეიარნა პირნი და განსავალი ყოველი და აღიღო ზომი (?) ყოველგან და დააყენა ლაშქარნი სადა შეკრბებიან მტკუარი და რაჴსი» (* 849, გვ. 694). სპარსულ წყაროებში ომის დასაწყისი ხანის ამბავი სხვანაირად არის მოთხრობილი. პირველი ბრძოლა აყსუს, ანუ ჩაღანუსუნის პირას მომხდარა მეწინავე ნაწილებს შორის და აქ ბერქას ჯარის ერთი სარდალთაგანი ნოღაჲ თვალში დაქრილი შირვანისაკენ გაქცეულა. მაშინ აბაღა ყაენის სარდალმა იაშმუტმა მტკვარი გადალახა და შებრძოლება განიზრახა, რომ ბერქა ყაენის 300000 ჯარისკაცითურთ მოსვლის ამბავი შეიტყო. ამის გამო იაშმუტი სწრაფად გამოლმა გამოვიდა და ყველა ხიდები ჩაშალა. ბერქა 14 დღის განმავლობაში მტკვრის გადმოლახვას ამაოდ ცდილობდა და, რაკი ეს ვერ მოახერხა, თბილისისაკენ იბრუნა პირი, რომ იქ ხიდზე გასულიყო და აბაღას ჯარს ზურგითგან დასცემოდა. საქმეთა დანარჩენი მიმდინარეობა ქართველ-სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებში ერთნაირად არის მოთხრობილი. მტკვრისა და რახსის შესართავითგან ბერქა რომ დაიძრა, «მუნითგან ვიდრე მცხეთამდე ბერქამან მოაოჴრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე და მრავალი სული ქრისტიანი მოსწყუიტეს. ხოლო ბერქა ყაენი დადგა მთათა შინა გარეჯისათა. მაშინ მოხედნა ღ~თნ ქუეყანასა აბას წყალობითა და ყაენსა აბაღას, შეედვა სალმობა რამე ბერქას და მოკვდა. ვითარცა იხილეს სპათა მისთა სიკუდილი ყანისა მათისა, წარიღეს მკუდარი და განვლეს კარი დარუბანდისა. ესრეთ დამშვიდნა ქუეყანა»-ო[1]. ბერქა ყაენი მართლაც 1265 წ. გარდაიცვალა სწორედ თბილისზე მიმავალი.

[მოარული სვნის მოლება და დავით V-ის სიკვდილი]

სპარსეთის ილხანებს ბერქას სიკვდილის შემდგომაც ჩრდილოეთის ულუსის შემოსევის შიში მაინც ჰქონდათ და ამიტომ ჟამთააღმწერელის სიტყვით «ყოველთა სთველთა წარვიდიან სიბასა ზედა» (* 849, გვ. 694). იქ მთელი ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში ყოფნა ულუ-დავითსა და აღმ. საქართველოს ლაშქარს ბევრს დროს ტყუილად აკარგვინებდა: მეფე და ერის უჯანსაღესი ნაწილი თავის ქვეყანაში მშვიდობიან მუშაობის შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ. ხალხი შინ საქმესა სცდებოდა, მეფე სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობას ჯეროვნად თვალყურს ვეღარ ადევნებდა და ქვეყანას აუნაზღაურებელი ზარალი ჰქონდა.

ამას გარდა ნიადაგისა და ჰავის წყალობით მოლაშქრეთა ჯანმრთელობაც განსაცდელში იყო. ჩამოცხებოდა თუ არა, ამ ადგილას დარჩენა უკვე შეუძლებელი იყო: ეხლაც ერთ ადგილას ბევრი ხალხის, ჯარის დაგროვების დროს სათანადო სისუფთავის დაცვა ძნელდება და ჰიგიენის პირობების აუსრულებლობის გამო სხვადასხვა, უმთავრესად გადამდები და მეტადრე მუცლის ავადმყოფობა ჩნდება ხოლმე. ძველად, როდესაც ასეთ შემთხვევებში

[1] ჟამთააღმწ. * 849, გვ. 694: ჰამმერი, I, 255.

ლაშქრის ცხოვრების პირობები ეხლანდელზე გაცილებით უარესი იყო, რასაკვირველია, ყოველგვარი გადამდები ავადმყოფობის გავრცელებისათვის ნიადაგი მომზადებული იყო. როდესაც ომი ხანმოკლე იყო, მაშინ ამგვარი საშიშროება მცირდებოდა. მაგრამ მონღოლთა ბატონობა XIII ს-ში ხშირი ომებით საზრდოობდა. ვითარცა მკვიდრი ბინადრობის მიუჩვეველი ხალხი და ექსტენსიური მეურნეობის წარმომადგენელნი, მონღოლები ომიანობას ისე უყურებდნენ როგორც ხელობას და გატაცებით მისდევდნენ კიდეც. ამის წყალობით ისევე, როგორც თითონაც, ყმადნაფიც სახელმწიფოებსაც თითქმის გამუდმებით მოლაშქრეობაში ატარებინებდნენ დროს. ამგვარმა ყოფაცხოვრებამ ჯარში გადამდები ავადმყოფობის გაჩენას ხელი შეუწყო. მონღოლებთან ერთად სიბაზე მდგომ საქართველოს ჯარშიც მუცლის ავადმყოფობას უჩენია თავი. თუმცა ამ სნეულების ფართოდ გავრცელების შესახებ ისტორიკოსი არას ამბობს, მაგრამ ამ გარემოებას ისიც ცხად-ჰყოფს, რომ ნუცლის ავადმყოფობას თვით მეფეც და უფლისწულიც ვერ გადურჩნენ და ორივენი სწორედ ამ ავადმყოფობის მსხვერპლი შექმნილან. პირველად ავად გიორგი უფლისწული გამხდარა. მას ეს ავადმყოფობა საქართველოში გამოსჩენია: როდესაც მეფე «ჯერეთ არ წარსულიყო სიბასა, შეედვა სალმობა მუცლისა ძესა მისსა პირმშოსა გიორგის» (* 850, გვ. 695). ეს უნდა 1236 წ. შემოდგომას მომხდარიყო. ბატონიშვილი ნაძიზე ავადმყოფი ყოფილა. „გაგრძელდა სალმობა“ ისე, რომ «იდვა უჭ-ოდ, უძრავად, სულით აღმომფშვინველი», თითქმის რომ «კნინლა მკვდარ საგონებელ იყო». რათგან გიორგი უფლისწული იყო «სიკეთე აღმატებითა სავსე», ამიტომ «მწუხარებასა... მოეცვა მეფე და ყოველნი მკვდრნი საქართველოსანი». მერმე ტახტის მემკვიდრე გამოკეთებულა და მორჩენილა კიდეც. (* 850, გვ. 695).

შვილის განკურნების შემდგომ «კვალად წარვიდა მეფე სიბასა ზედა და მუნ ყოფასა მისსა ჟამსა წამოსვლისასა დასნეულდა მეფე დავით მით სალმობითა მუცლისათა» (* 850, გვ. 695). რაკი მონღოლები და მათ ყმადნაფიცთა ჯარი სიბაზე გაზაფხულის დამლევამდე რჩებოდა ხოლმე, ამიტომ ულუ-დავითი 1267 წ. გაზაფხულზე გამხდარა ავად ამ მუცლის გადამდები სნეულებით.

დაავადებული მეფე «ვერ განკურნეს მკურნალთა» და ამიტომ «წარვიდა ცხედრითა» ხატზე სალოცავად მარტყოფში და იქ განიკურნაო (* 850, გვ. 695—696).

ეს მუცლის სნეულებისაგან ვითომც სასწაულებრივი განკურნება დროებითი გამოკეთება ყოფილა მხოლოდ, რათგან «ვითარ მოიწია მზგეფსი სიბას წასვლისა», ე. ი. 1267 წ. შემოდგომა და როდესაც ულუ-დავითი სიბაზე გაემგზავრა, «მუნ ყოფასა მისსა დასნეულდა ძე მისი გიორგი». ეს მეორეგზისი დაავადებაც მუცლის სნეულება ყოფილა, რომელიც «სისხლის მდინარებით» ყოფილა დამახასიათებელი. გიორგი უფლისწული სწორედ «მისვე სისხლის მდინარებისაგან აღსრულდა» და ისტორიკოსის სიტყვით «დაუტევა მწუხარება მიუთხრობელი ყოველთა მკვდრთა სამეფოსათა დიდით მცირეთამდე, რამეთუ დიდი ნუგეშინის ცემა აქვნდა მეფესა და საბრძანებელსა მისსა»-ო (* 851—852, გვ. 696—697).

ტახტის მემკვიდრის გარდაცვალების თარიღის გამოსაანგარიშებლად უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ გიორგი ავად გამხდარა და გარდაცვლილა, როდესაც მისი მამა ჯერ კიდევ სიბაზე ყოფილა, მაგრამ ისეთ დროს, როდესაც სიბითგან წამოსვლის ვადა უკვე მოახლოვებული იყო, რათგან ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს «ვითარ მოეახლა ჟამი მოსვლისა და ვითარ წარჴდა ჟამი მცირედი, მოვიდა»-ო (* 852, გვ. 697). ხოლო რაკი «ჟამი წარმოსვლისა» სიბითგან გაზაფხულზე იყო, ისე რომ „მუნ იზამთრიან“ და „გაზაფხულ“ წამოვიდოდნენ ხოლმე (* 846, გვ. 691 და 692), ამიტომ ულუ-დავითი თბილისში უნდა 1268 წ. გაზაფხულზე დაბრუნებულიყო, სადაც გიორგი უფლისწული გარდაცვლილი დაჰხვედრია. მაშასადამე, გიორგი 1268 წ. გაზაფხულის დამდეგს გარდაცვლილა. ვახუშტიც ამავე თარიღსა სდებს, მაგრამ არა ჩანს თუ რა საბუთით[1]. ბროსეს მხოლოდ ვახუშტის თარიღი აქვს მოყვანილი[2].

მშობლისათვის «ათრვამეტისა წლისა მყოფისა» შვილის დაკარგვა, რომელსაც ამასთანავე ჰქონდა «სიტურფე აღმატებულობა», «სიმჴნე და სამჴედროთა ზნეთაგან განსრულება», ადვილი ასატანი არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ როცა გიორგი უფლისწული სიონის საყდარში დასვენებული იყო და თბილისში მოსულ ულუ-დავითს მგლოვიარობის ვამო «არავინ გაეგება წინა თჳნიერ მცირეთა მოქალაქეთასა», უბედურების ამბის მოლოდინში «ზარგანჴდილი მიისწრაფოდა პალატად», სადაც წესისაებრ მეფეს «დახვდეს სპანი და ვაზირნი დამალულნი და შავითა მოსილნი». გაუმჟღავნეს თუ არა მისი შვილის გიორგის გარდაცვალების ამბავი, «მყის, სმენასავე თანა, დაეცა» და «ესრეთ შეიღეს პალატად კელთა ზედა მჭონებელი და ძლით მოვიდა ცნობად». როცა უბედურმა ულუ-დავითმა «იხილა აღყვავებული, შვენიერი გვამი ძისა მისისა გიორგისი მკუდრად, უფერულად მდებარე», ძლიერი «სალმობიერითა გოდებითა გოდებდა» და სიკუდილსა აღირჩევდა თავისა თჳსისა». მიცვალებული, რომელსაც „იგლოვდა ერი“, მცხეთაში დაუმარხავთ (ჟამთააღ. * 852, გვ. 697).

უფროსი, მოსწრებული ძის სიკვდილის შემდგომ თითონაც ვეღარ გამოკეთებულა, ცალკე მწუხარება უკარგავდა მას ხალისს, ცალკე, როგორც ეტყობა, ჯანში გამდგარი ავადმყოფობა: «მიერითგან არღარა აქუნდა ლხინება და სენთაცა მრავალთა მოიცვეს და გუამითა უძლურებდა უმრავლესთა ჟამთა». ლაშქრობაში გამუდმებული სიარულისა და იქ უწესრიგო ცხოვრების პირობების წყალობით დაავადებულს მეფეს ნაადრევი სიბერისა და სნეულების უძლურების ნიშნები დასტყობია და თურმე ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ მონღოლთა ყაენების სამსახური მაინც უნდა აესრულებინა და «მონებდავე ყაენს აბაღას, არა იყო სხვა ღონე» (ჟამთააღ. * 853, გვ. 697—698).

ულუ-დავითს მუცლის სნეულება, როგორც ჩანს, ქრონიკულ დაავადებად ექცა და მხოლოდ დროგამოშვებით ისე გაუმწვავდებოდა ხოლმე, რომ ხელახალი ავადმყოფობის შთაბეჭდილებას ახდენდა. ორჯერ მწვავედ

---

[1] ვახუშტი, ისტორია, გვ. 249.

[2] ბროსე, H. de la G. I, 575, შენ. 1.

ავადმყოფობის დროს მეფე ისევ სიბითგან საქართველოში მომავალი მესამეჯერ ავად გამხდარა: «მგზავრ მომავალსა შეედვა სალმობა მუცლისა». როდესაც «მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად», ულუ-დავითი «ევედრა ხატსა მას შარტომყოფისასა და მივიდა ვითარ ჩვეული იყო», მაგრამ «არღარა პოვა ლხინება» და «მიიცვალა დავით» მეფე (ჟამთააღ. * 866—867, გვ. 711).

ჩვენ ისტორიკოსს ულუ-დავითის გარდაცვალების თარიღი არა აქვს ჩვეულებისაებრ აღნიშნული, მაგრამ ზოგიერთი ცნობების მიხედვით გამორკვევა შეიძლება, თუ როდის უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი. ვ ა ხ უ შ ტ ი დავით მეფის სიკვდილის თარიღად 1269 წ. სთვლის[1].

ულუ-დავითის გარდაცვალების თარიღის გამოსაანგარიშებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ჟანთააღმწერელის მოთხრობის მიხედვით მეფე თეგუდარის დამარცხებისა და შეპყრობის შემდგომ გარდაცვლილა (* 866—867, გვ. 710—711), მაშასადამე, 1270 წ. შემდეგ, მაგრამ ახლო ხანებში უნდა ვიგულისხმოთ, რათგან ამ ამბის შემდგომ აბაღა ყაენს მეფე მაინც სიბად წაუყვანია. მაშინ თურმე «იყო ჟამი ზამთრისა და რა ზაფხული მოიწია წარმოვიდეს» სიბითგან და იქითვან მომავალს გზაში მუცლის ავადმყოფობა გაუჩნდა, რომელმაც იმსხვერპლა კიდეც. აქეთგან უნდა დავასკვნათ, რომ ულუ-დავითი 1271 წ. ზაფხულის დამდეგს დასნეულებულა და გარდაცვლილა. ს ტ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ულუ-დავითის სიკვდილის თარიღად სომეხთა წელთაღრიცხვის 719-ს, ანუ 1270—71 წ. სდებს[2].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, 250.

[2] ს ტ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ისტორია, ღუკას. გამ. 424.

თავი მეხუთე

დავით რუსუდანის ძის მეფობა დასავლეთ საქართველოში

[დავით IV-ის საგარეო პოლიტიკის გეზი]

დასავლეთ საქართველოში თავშეფარებული და გამაგრებული დ ა ვ ი თ-ნ ა რ ი ნ ი თავისი პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას ცდილობდა. მარტო ლიხთიმერეთის ბუნებრივი პირობებისა და მტრისათვის ამ ქვეყნის საზღვრების გადალახვის სიძნელის იმედით არხეინად და უდარდელად ყოფნა არ შეიძლებოდა. დავით-ნარინიც მონღოლთა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან მეგობრობისა და კავშირის დამყარებას ცდილობდა. ასეთ სახელმწიფოთა შორის მახლობელ აღმოსავლეთსა და სამხრეთში პირველი ადგილი, რასაკვირველია, ეგვიპტის სულტნებს ეჭირათ. აქამდე ისინი მონღოლებს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ და ჩვეულებრივ ძლევამოსილებით გათამამებული მონღოლთა ლაშქარი დაუმარცხებიათ კიდეც. დავით რუსუდანის ძემ სწორედ ეგვიპტის სულტანთან სცადა მეგობრული დამოკიდებულების დამყარება. მ ა კ-რ ი ზ ი ს აღნიშნული აქვს, რომ 663 წ. ჰიჯრით ანუ 1264 წ. 24 ოკტომბრიდან—1265 წ. 14 სექტემბრამდე ეგვიპტის სულტანმა ბიბარსმა საქართველოს მეფისაგან საჩუქარი მიიღო [1]. რათგან ეგვიპტის სულტანსა და ჰულაგუ ყაენს შორის მტრული განწყობილება იყო და ამ დროს ულუ-დავითიც სპარსეთის იხანთან შერიგებული იყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ ზემომოყვანილ ცნობაში საუბარი დავით-ნარინზე უნდა იყოს.

სამი წლის შემდგომ, 666 წ. ჰიჯრით ჯუმადის მეორე თვეს, ანუ 1268 წ. 17 თებერვალსა და 17 მარტს შუა საქართველოთგან ეგვიპტის სულტანს წერილები მისვლია [2].

მეორე მხრით, დავით-ნარინი ყოველივე მარჯვე შემთხვევით სარგებლობდა, რომ მონღოლთა საყაენოს შინაური უთანხმოება და ბრძოლა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ყაენთა მოწინააღმდეგენი და აჯანყებულნი გაეძლიერებინა, ან და მათთვის მყუდრო თავშესაფარი მიეცა.

მონღოლთა უზარმაზარი საბრძანებელის შემქმნელის ჩინგისხანის ანდერძისდა მიუხედავად თანდათან ძმათაშორისმა უთანხმოებამ იჩინა თავი. ეს უთანხმოება სხვადასხვა მიზეზისა გამო და სხვადასხვა ნიადაგზე ატყდებოდა ხოლმე და პირველ ხანებში მონღოლთა სახელმწიფოს მთლიანობისათვის საშიში არ იყო. მაგრამ მაინც იმ მართვა-გამგეობის წესის წყალობით, რომელიც მონღოლთა სახელმწიფოში სუფევდა, ხელოვნურად და მხოლოდ სამხედრო ძალით შეკოწიწებული საბრძანებელის განუყოფელად ხანგრძლივ დაცვა შეუძ-

---

[1] მ ა კ რ ი ზ ი, Histoire des Mamel. trad. fr. livrais. II. 18. იხ. ბ რ ო ს ე, H. d. G. I 563.

[2] მ ა კ რ ი ზ ი, Histoire des Mamel. trad fr. livrais. II 51.

ლებელი იყო. დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივ მკვიდრებთან შედარებით მცირერიცხოვანნი, კულტურულად უბინადრო და მეტწილად წერაკითხვის უცოდინარი ხალხის დონეზე მყოფი მონღოლნი დაპყრობილ ხალხში უნდა გათქვეფილიყვნენ და თავიანთი ენის მაგიერ თანდათანობით დაპყრობილთა ენა შეეთვისებინათ. ოთხ საყაენოდ დაყოფილ სახელმწიფოს განკერძოებისადმი აუცილებელი მისწრაფების შეკავება მხოლოდ დიდი და უცილობელი ავტორიტეტით მოსილი ადამიანის ხელმძღვანელობით შეიძლებოდა. მონღოლთა საბრძანებელს კი ჩინგისხანის მაგიერი ამ მხრივ არ გააჩნდა და ქიშპობა და ურჩობა ამის გამო თანდათან გაძლიერდა.

მონღოლთა სამოქმედო ასპარეზსა და ბრძოლის სარბიელს გარეშე მდგომი და მათ ბატონობის უკუღმართობისაგან დაცული დასავლეთი საქართველო და დავით რუსუდანის ძეც კი იქმნა იმ მორევში ჩათრეული, რომელიც ასეთი სიმძაფრით ტრიალებდა და მონღოლთა ხელქვეშეთ ერთა კეთილდღეობას სპობდა. როგორც ეტყობა, ლიხთიმერეთში გამაგრებულს მეფეს თავის პოლიტიკის მიზნად მონღოლთა ყაენების ურჩი და წინააღმდგომი ნოინებისათვის მფარველობა და დახმარების გაწევა ჰქონია აღებული. რაც უფრო მეტად აიშლებოდნენ ერთიერთმანეთში მონღოლები და სპარსეთში მჯდომი ყაენები ურთერთთან ბრძოლით მოიქანცებოდნენ და დასუსტებოდნენ, საქართველოსათვის მით უფრო ხელსაყრელი და უკეთესი იყო.

[თეგუდარის ზეთქმულება აბაღა ყაენის წინააღმდეგ და მისი შეუარება დასავლეთ საქართველოში]

დავით-ნარინმა თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად აბაღა ყაენის დროს მომხდარი თეგუდარის განდგომილების გამოყენებაც კი სცადა. მეფის ამგვარი მისწრაფების მცოდნემ თეგუდარმაც განსაცდელის ჟამს ლიხთიმერეთს მიაშურა. ამგვარად, მონღოლთა შინაური ურთიერთშორისი ბრძოლა საქართველოს ისტორიის მოთხრობასაც ჩაექსოვა. ამდენად ამ ძმათა შორის სისხლის ღვრას ქართველი ერის თავგადასავალის შესწავლის დროსაც სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს.

თეგუდარის განდგომილების შესახებ ცნობები სპარსულ, ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებში მოიპოვება და, სანამ თვით ამბის მოთხრობას შევუდგებოდეთ, წინასწარ ამ წყაროთა ცნობების დახასიათებაა საჭირო.

უკვე მთავარი მოქმედი პირის სახელის დაწერილობაა საცილობელი, რათგან მონღოლთა განდგომილი ბატონიშვილის სახელის დაწერილობა ორნაირი სახით არის შენახული: ქართულ და სომხურ წყაროებში იგი „თაგუდარ“-ად ან „თეგუდარ“-ად, Թագուդար „თაგუდარ“-ად იხსენიება [1]. ჰამდალლაჰ ყაზვინი-ს „თარიხ-ი გუზიდაჰ“-ს ხელთნაწერებში تودار „ნიქუდარ“-ად არის ეს ბატონიშვილი დასახელებული [2]. რაშიდ ედინის თხზულების ორ ხელთნაწერში ეს სახელი უწერტილოდ სწერია ისე, რომ პირველი ასოს წაკითხულობა გამოურკვეველია, მაგრამ მესამე ხელთნაწერში تودار „თექუ-

[1] იხ. მალაქიას Պատմ. 49—51.

[2] Gebb-ის გამ. გვ. ٥٨٢.

დარ"-ად იკითხება. რაშიდ ედ დინის საისტორიო ნაშრომის გამომცემელი ე. ბლოშე კი ამტკიცებს, რომ ნამდვილად ბატონიშვილს უნდა „ნიგუდარ"-ი რქმეოდა და არა თეგუდარი, რათგან მონღოლურად „ნიგჰედუგჰერ" პირველსა ჰნიშნავს და მარკო პოლოც მას „ნუგოდარ"-ს უწოდებსო[1]. ერთი გარემოებაა აქ გასათვალისწინებელი. თანამედროვე პაპის დესპანის მარკო პოლოს ცნობას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს სპარსული წყაროების ცნობასთან შედარებით, რადგან სპარსულ დამწერლობაში „ნ"-არი „თ"-ანისაგან მხოლოდ ასოს ზეით წერტილთა რაოდენობით განირჩევა: პირველს თავზე ერთი წერტილი აქვს, მეორეს ორი. ამიტომ ამ ასოთა არევა წერისა და კითხვის დროს ძალიან ადვილია. მაგრამ ქართულსა და სომხურ დაწერლობაში „ნ" და „თ", ն და թ სრულებით ერთიმეორეს არა მიგვანან და მათი არევა შეუძლებელია. ამასთანავე თუ ჟამთააღმწერელის წყაროს დათარიღება ჯერ დანამდვილებით არ შეიძლება, ნალაქია მაინც თანამედროვე ისტორიკოსი იყო და მას მონღოლთა ბატონიშვილის სახელი და ამბავი სპარსულ წყაროებში ხომ არ ეჭნება ამოკითხული, რომ „ნ" შეცდომით „თ"-ანად წაეკითხა. თუ „ნიკუდარ" მართლაც ერთადერთი სწორი ფორმაა, ამიტომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ როგორ გაჩნდა ქართულსა და სომხურ საისტორიო მწერლობაში და თვით სპარსულს, რაშიდ ედ დინის მეორე ხელთნაწერშიაც კი „თეგუდარ",ან „თაგუდარ"?

ჟამთააღმწერელის ვრცელი მოთხრობის შინაარსი მოკლედ ასე შეიძლება წარმოგვიდგეს: აბაღა ყაენს განუდგა თაგუდარ, ბარახა ყაენის უმცროსი ძმა, რომელიც სწორედ ბარახას მიერ იყო განზრახ აბაღა ყაენთან წარმოვლენილი. ბარახას და თეგუდარს ერთმანეთთან საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდათ აბაღა ყაენის წინააღმდეგ შეერთებული ძალით გამოლაშქრების შესახებ. ამ მიზნის განსახორციელებლად თეგუდარი უნდა აბაღას ჩამოჰყოლოდა და ბარახასთან ერთად ემოქმედა. თეგუდარის და ბარახას გეგმა ერთი შეცდომის გამო ნაადრევად გამომჟღავნდა. თეგუდარი ბარახასთან შესაურთებლად საქართველოში გამოემგზავრა, რომ იქითგან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყო. აბაღა ყაენმა, თეგუდარის საქართველოში წასვლის ნამდვილი მიზეზის გაგების უმალ, მას ჯარი დაადევნა სირმონ ნოინის მეთაურობით, რომელმაც თეგუდარი დაამარცხა. დიდი ზარალისა და გაჭირვების გამოვლის შემდგომ თეგუდარმა ქუთაისს მიაღწია და დავით-ნარინს ეწვია. აბაღა ყაენის ლაშქარი უკან გაბრუნდა, ამ დროს, პირობისაებრ, ბარახა ყაენმაც აბაღა ყაენის წინააღმდეგ გამოილაშქრა, რის გამო აბაღამ შემომჩრელს თავისი ჯარი მიაგება და შეებრძოლა. ბარახას გამოსვლასთან ერთად ქუთაისში შეხიზნულმა თეგუდარმაც აბაღას წინააღმდეგ მტრული მოქმედება განაახლა. მაგრამ სპარსეთში შესვლის მაგიერ ის აბაღას ყმადნაფიც აღმოს. საქართველოში გადმოვიდა და აქ დაიწყო ცარცვა-გლეჯა. უკან დადევნებული მონღოლთა და ქართველთა ჯარი თეგუდარმა სამხედრო ეშმაკობის წყალობით დაამარცხა და თვით უკან დაბრუნდა. ამასობაში ბარახას ლაშქარი აბაღა

[1] Djami el tevarikh II, ١٥٨—١٥٢ შენ.

ყაენის ლაშქრის მიერ დამარცხებულ იქმნა და აბაღამ დაგზავნა სთხოვა თეგუდარის დახმარებისათვის თავი დაენებებინა, რის-თანხმობაც ილხანს მეფისაგან მიუღია კიდეც. მაშინ აბაღამ კვლავ სირმონ ნოინი გამოგზავნა მონღოლთა ჯარითურთ, რომელსაც აღმოს. საქართველოს მხედრობაც უნდა მიჰშველებოდა. ამ შეერთებულ ქართველ-მონღოლთა ლაშქარს თეგუდარი დაუხვდა თავისიანებითერთ, მაგრამ სასტიკ ბრძოლაში დამარცხებული თეგუდარი იძულებული იყო თავის შვილიანად სირმონ ნოინს დაჰნებებოდა. სირმონმა თეგუდარი აბაღას მიჰგვარა, რომელმაც დანაშაული აპატია, მაგრამ მცველებით შემორტყმული სპარსეთში დასტოვა, რომ სამშობლოში ვერ წასულიყო.

ჰამდალლაჰ ყაზვინის თავის „გამოკრებულ ისტორიაში“ თეგუდარის, თუ ნიგუდარის ამბავი მოკლედ ასე აქვს მოთხრობილი: 666 წ. ჰიჯრით მასგუდ-ბეკ ბენ მაჰმუდ ჯალაჯ ჯალატაჲს ულუსითგან ჯაშუშად მოვიდა ერანში და ყველა ამირებზე მაღლა იყო დაყენებული. როდესაც უკან გაბრუნდა, აბაყა ხანს მოახსენეს, რომ მან ნიკუდართან ამბავი მოიტანა, რომ შეთანხმებული ომისათვის მზად იყოს. აბაყამ მასგუდს ელჩები უკან დაადევნა, მაგრამ ის უკვე ველარსად იპოვეს. ამის გამო აბაყამ ამირა შირამუნი ბატონიშვილი ნიკუდარის წინააღმდეგ საომრად საქართველოში გაგზავნა და შევვალის თვეს 667 წ. ჰიჯრით ისინი შეიბნენ და ნიკუდარი დატყვევებულ იქმნა (გვ. ٥٨٢). უკანასკნელი თარიღი უდრის 1269 წ. 3 ივნისითგან—2 ივლისამდე.

რაშიდ ედდინს ნიკუდარის ამ ამბის შესახებ ორგანა აქვს ცნობა. პირველი მისი მოთხრობა მონღოლთა ყაენების ნათესაობის აღწერილობის შემცველ თავშია მოთავსებული და იქ მოკლედ არის ნათქვამი: ჯალატაჲ ხანის პირველი შვილის მუჩი-ს უფროსი შვილი ნიკუდარი იყო, რომელიც ჯალატაჲს ულუსითგან ლაშქრითურთ ჰულაგუ ხანთან ირანში გაგზავნეს და იქ იმყოფებოდა. აბაყა ხანის შეფობაში განდგა და საქართველოს მთებისაკენ გაემართა და იქ ტყეში დახეტიალებდა. აბაყა ხანის ამირები მას უკან დაედევნენ, ჩორმაღუნის შვილმა შირამუნმა ნიკუდარი დაიჭირა და აბაყა ხანს მიჰგვარა, რომელმაც ნიკუდარს აპატიაო [1].

მეორე ცნობა გაცილებით უფრო ვრცელია. აქ ნათქვამია, რომ აბაღა ყაენის წინააღმდეგ მოქმედების თაოსნობა თვით ბარახას ეკუთვნოდა. საიდუმლო ისრის (მონღ. „ტუღანე“) საშუალებით სწორედ მას უცნობებია თავისი განზრახვა.

ცნობა თეგუდარის განდგომილების შესახებ იმ ხანის თანამედროვე სომეხთა ისტორიკოს მალაქია ბერსაც აქვს. მისი სიტყვით თეგუდარი ერთი იმ შვიდ ყაენის შვილთაგანი იყო, რომელთაგან სამი მოკლეს, ერთი მლაშე ზღვის კუნძულზე საპყრობილეში ჩაგდეს და ორიც ყაენს დაემორჩილნენ. ერთი ამ უკანასკნელთაგანი იყო თაგუდარი, რომელიც ძალზე გამდიდრდა და ლაშქართმრავალი შეიქმნა. თაგუდარის მოლაშქრენი გზებზე ქარავნებს, სოფლებში ღამ-ღამეობით ხალხსა სცარცვავდნენ და ხოცდნენ, მონასტრებში მღვდელმონაზონებს თავდაყირა ჰკიდებდნენ და სტანჯავდნენ, რომ საჭმელ-სასმელი მიეტანათ მათთვის, და ლოთობდნენ. აღმოსავლეთის სავანეთა ასეთი მდგომარეობით

[1] ჯამი ატ-ტევარიხ II, ١٥٨—١٥٩.

აღშფოთებულმა სომეხმა და ქართველმა მთავრებმა აბაღა ყაენს განუცხადეს, რომ ან თაგუდარი თავის ლაშქრითურთ ხელთ მოგვეცი, ან შენ თვალებ წინ მოგვკალი, რათგან ასეთი თავხედობის ატანა ჩვენი ეკლესიებისადმი აღარ შეგვიძლიანო. მონღოლთა ჯარებიც ამგვარადვე უჩიოდნენ თაგუდარს ყაენის წინაშე და ვითომც თვით აბაღასაც სომეხთა და ქართველ მთავრებისთვისაც შეუჩივლია (sic), თაგუდარი მეტად განდიდდა და გამდიდრდა, ჩვენ არაფრად გვაკდებს და ქვეყანას გვიოხრებსო. აბაღა ყაენმა სირამუნს 100 000 მხედრობითურთ და სომეხთა და ქართველთა ჯარებსაც უბრძანა თაგუდარის წინააღმდეგ გაელაშქრათ, მისი ლაშქარი გაეწყვიტათ და თითონ დაჭერილი მიეყვანათ. ეს განკარგულება ამათაც სიხარულით აუსრულებიათ, თაგუდარს უეცრად დასცემიან და დამარცხების შემდგომ დაჭერილი ყაენისათვის მიუგვრიათ, რომელმაც თაგუდარი მასხარად აიგდო და ჰერისა და ზარავანდის შორის მდებარე მლაშე ტბის კუნძულზე ჩაამწყვდიაო [1].

მ ა ლ ა ქ ი ა ბ ე რ ი ს მოთხრობა დაუთარიღებელიც არის და თვალსაჩინოდაც განსხვავდება სპარსულ და ქართულ საისტორიო წყაროების მოთხრობისაგან. იქ თეგუდარის საქართველოში შეხიზნვის შესახებ ცნობა არ მოიპოვება და თვით თეგუდარის აბაღას წინააღმდეგ მოქმედებისა და ზრახვების პოლიტიკური ნიადაგის შესახებაც არაფერია ნათქვამი. მონღოლთა ბატონიშვილი უბრალო ავაზაკ-მცარცველთა ბრბოს მეთაურად არის წარმოდგენილი, რომელიც განურჩევლად ყველას სცარცვავდა: მონღოლებსაც, სპარსელებსაც, ქართველებსა და სომხებსაც. ამ საქმის ამნაირად წარმოდგენა სწორი არ არის და სრულებით ეწინააღმდეგება მარტო ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს მოთხრობას კი არა, არამედ თვით თეგუდარის მოწინააღმდეგე სპარსეთის ილხანების კარის ისტორიკოსების ნაამბობსაც. ხალხის ცარცვა-გლეჯის შესახებ ცნობა ადვილი დასაჯერებელია, რათგან ეს მონღოლთა შორის ძალზე გავრცელებული ყოფილა, მაგრამ თეგუდარის მოქმედება აბაღას წინააღმდეგ პოლიტიკური მიზეზებით იყო ნაკარნახევი და მისი ქცევის მარტო ავაზაკურ მიდრეკილებად მიჩნევა შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა. ამას გარდა თუმცა მ ა ლ ა ქ ი ა ბ ე რ ი თეგუ დარის საქართველოში შეხიზნვაზე და ლიხთიმერეთში თარეშზე არას ამბობს, მაგრამ მისი მოთხრობითგანაც ჩანს, რომ ქართველი და სომეხი ერისთავები და დიდებულნი, თეგუდარისაგან აღმოსავლეთის მონასტრების, რომლებსაც თავიანთ სავანებად სთვლიან, დაწიოკებით აღშფოთებული იყვნენ და ამიტომ აბაღა ყაენს თეგუდარის შეპყრობა მოსთხოვესო. ცხადია, მ ა ლ ა ქ ი ა ბ ე რ ი ს ეს ცნობა აღმოსავლეთის მღვდელმსახურთა და მონასტრების თეგუდარისაკან შევიწროებისა და აკლების შესახებ იმისდა მიუხედავად, რომ სომეხთა ისტორიკოსს ეს გარემოება თავის ნაამბობის პირველ, დასაწყის ნაწილში აქვს მოთავსებული, თეგუდარის აბაღას საწინააღმდეგო მოქმედების დასაწყისს კი არ უნდა გვისურათებდეს, არამედ ამიერ-საქართველოში მის ნავარდს უნდა ჰგულისხმობდეს და თეგუდარის სამხედრო-მოქმედების გარკვეულს საქართველოში შემოხიზნვის ხანას ეხება. ეს რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას მ ა ლ ა ქ ი ა ბ ე რ ი ს ცნობაც ამტკიცებს.

[1] მ ა ლ ა ქ ი ა, ისტორია, 50—51.

რომ ქართველ და სომეხ მთავრებს აბაღა ყაენის განკარგულება თაგუდარის წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ მეტად გახარებიათ, რათგან ეს თეგუდარის აწიოკებისაგან თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებად (*վասն ազատելոյ կիրկիրն ի բռնանալ 'ի չարչարանաց Թագուդարին*) მიუჩნევიათ [1].

ამგვარად, მალაქია ბერისათვის თეგუდარის ამ აჯანყების პოლიტიკური დედააზრიც გაუგებარი დარჩენილა და მთელი ბრძოლის მიმდინარეობაც უწესრიგოდ აქვს მოთხრობილი: ავტორმა ამ ბრძოლის მთავარი მომენტები არ იცის, მაგრამ სამაგიეროდ, ვითარცა თანამედროვეს, დეტალების დამახასიათებელი საყურადღებო ცნობები მოპოვება. ამის გამო მალაქია ბერის ნაამბობი სწორედ ამ უკანასკნელი მიზნით არის გამოსაყენებელი.

წყაროების კრიტიკული განხილვისა და შეფასების შემდგომ შესაძლებელია თვით განდგომილების სურათის აღდგენასაც შევუდგეთ.

მაშასადამე, თეგუდარის განდგომილების შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჟამთააღმწერელსა და სპარსელ ისტორიკოსს რაშიდედინს აქვთ, მოკლე ჰამდალლაჰ ყაზვინი-საც, დასასრულ სომეხთა ისტორიკოსს მალაქია ბერს (აბელა). ამ ავტორთა მონათხრობი სხვადასხვა თვისებისა და ღირსებისაა.

ჰამდალლაჰ ყაზვინი-ს, ვითარცა კომპილატორს, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც წინადროინდელი წყაროების დამცველია. მაგრამ მისი მოთხრობა მატიანისებური და მეტად მოკლეა. თუმცა რაშიდედინიც კომპილატორია, მაგრამ დიდი და ფართო თვალსაზრისის მქონებელი. მისი წყარო ამ ადგილას საქმის ვითარების კარგი მცოდნე ჩანს, მაგრამ როდესაც თეგუდარის მოქმედების ასპარეზად საქართველო ხდება, აქ მას უკვე დაწვრილებითი ცნობები აღარ გააჩნია.

ქართველი ისტორიკოსის მონათხრობის ღირსების დაფასების დროს უნდა აღინიშნოს, რომ ჟამთააღმწერელის სიტყვით «თაგუდარ ყანისა ბარახას ძმა უმრწემესი» იყო, ხოლო თვით ბარახა «ჩინგის ყანისა შვილისა ჩაღატას ნათესავი» და «ეპყრა ქვეყანა თურანისა და დიდი თურქეთი», თანაც «ყანი იყო თურანისა» (* 853, გვ. 698).

რაშიდედინის სიტყვით კი ნიკუდარი ანუ თაგუდარი ჯაღატა-ხანის პირველი შვილის მუჩიჯიბე-ს უფროსი შვილი ყოფილა [2]. ბორაყი კი, ანუ ბარახა, იმავე ავტორის ცნობით, მუატუკან-ის მესამე შვილის ჯუსუნ-ტუა-ს შვილი [3], ხოლო თვით მუატუკან-ი ჯაღატა-ხანის მეორე შვილი ყოფილა [4]. ბორაყმა მართლაც ყაენობა მიიღო. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ნიკუდარი, ანუ თეგუდარი ჯაღატას უფროსი შვილისშვილი ყოფილა, ბორაყი,

---

[1] მალაქია, ისტორია, 51.

[2] იხ. ჯამი ატ-ტევარიხ II, ١٥٨.

[3] იქვე II, ١٨٨,

[4] იქვე II, ١٦٣ და ١٦١.

ანუ ბარახა კი ჯაღატას მეორე შვილის შვილისშვილი; მაშასადამე, ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობა თეგუდარისა და ბორაყის შთამამავლობითი შტოის შესახებ, ვითომც ისინი ძმები ყოფილიყვნენ, ან მერმინდელი გადამწერისაგან უნდა იყოს დამახინჯებული, ან არა და შეცდომა თვით ჟამთააღმწერელს ან ეგების მის წყაროსაც შეჰპარვოდეს, რათგან ჩინგიზხანის შვილისა და შთამოზავლობის გასაოცარი მრავალრიცხოვანობის გამო მათი მრავალცოლიანობის წყალობით თანამედროვეც ადვილად ვერ გაერკვეოდა, ვინ ვისი შვილი, თუ ნათესავი იყო. ამას გარდა ჟამთააღმწერელს თეგუდარის საბოლოო დამარცხება და დატყვევება ბარახა ყაენის დამარცხების შემდგომ აქვს აღწერილი და ერთგვარი კავშირიც ეხატება მას ამ ორ მოვლენას შორის, მაგრამ ჰამდალლაჰ ყაზვინის მიხედვით, პირიქით, ბარახა აბაღა ყაენის მიერ ნიკუდარის დამარცხების შემდგომ აქვს მოხსენებული და ამ ორ შემთხვეულობას შორის ქრონოლოგიურადაც შუაში საკმაო მანძილი ჩანს. რაშიდ ედდინის მოთხრობითაც ჟამთააღმწერელის მიერ დახატულ საქმეთა ამნაირი თანამიმდევნობა არა მტკიცდება.

ჟამთააღმწერელის მოთხრობა ვრცელია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ნაწილი, სადაც თეგუდარის საქართველოში ჩადენილი მოქმედებაა დასურათებული. აქ ჟამთააღმწერელს ამ ამბების წყაროდ რომელიღაც თანამედროვის აღწერილობა უნდა ჰქონოდა ხელთ. მოთხრობა ამ ნაწილში თეგუდარის მოქმედების მიმდინარეობას ისე დაწვრილებით გვისურათებს, თითქოს მოამბე თეგუდარს კვალ და კვალ მისდევდეს. აღწერილობა ცოცხალია და მხატვრული ფერადოვნებით შემკული. ერთ ადგილას მომთხრობელისაგან ნახმარი გამონათქვამები: «გარდმოიარა არსიანი ექეთ სირმონ, ჩამოვლო მთა ყუელისა და მოვიდეს ორნივე თავსა ყუელისასა»-ო (* 857, გვ. 702), გვაფიქრებინებს, რომ ჟამთააღმწერელის ეს წყარო ჯავახელის, ან სამცხელის მიერ უნდა ყოფილიყო დაწერილი. მაგრამ ჟამთააღმწერელის მოთხრობას აქაც ჩვეულებრივი ნაკლი აქვს: ნაამბობის სრული უთარიღობა. რათგან ჟამთააღმწერელის წყაროს მოთხრობის უმთავრესი ამბების სისწორე რაშიდ ედდინის ისტორიით საუცხოოდ მტკიცდება, ამიტომ განსაკუთრებით სანდოდ უნდა იქმნეს მიჩნეული ის ნაწილი, რომელიც თეგუდარის მოქმედებას გვისურათებს საქართველოში. «იქმნა განდგომილება თათართა ურთიერთას, რამეთუ განუდგა ყანს აბაღას თაგუდარ». ამავე დროს «იყო... ჩინგის ყანისა შვილისა ჩაღატას ყანისა ნათესავი, რომელსა ეპყრა ქვეყანა თურანისა და დიდი თურქეთი. ესე ბარახა ყანი იყო თურანისა». ამ ბარახამ აბაღა ყაენის საბრძანებელის დაპატრონების სამზადისში „წარმოავლინა“ სპარსეთში „თეგუთარ“ ვითომც იმ მიზნით, «რათა ხარაჯა ქვეყანისა, რომელ მას წარეგდომოდა» და მისაღები ჰქონდა, მიეღო. ეს ბარახა ყაენის მოციქული თეგუთარ «ორისა ბევრისა ლაშქრის მქონებელი» აბაღა ყაენმა მიიღო და სანამ მასთან იქმნებოდა და დაკისრებულ მონდობილობას მორჩებოდა «უჩინა ზაფხულისა სადგურად ვიდრემე მთანი არარატისანი და საზამთროდ რავსისა პირი და ნახჭავანი» (ჟამთააღ. * 853—854, გვ. 698).

სპარსეთის ილხანის სამფლობელოში ყოფნის დროს თეგუდარს დიდი ქონება შეუძენია, როგორც ფულად, ოქროთი, ისევე სხვაგვარი განძეულობით. მ ა ლ ა ქ ი ა ბ ე რ ი ს სიტყვით მისი მოძრავი ქონების გადასატანად 300 აქლემი და 150 ურემი იყო საჭირო. ამ განძეულობისა და სარჩოს გარდა მას ცხენების დიდი ჯოგები და ცხვრის ფარები ჰყავდა. ამავე ავტორის ცნობით თეგუდარს ლაშქარიც იმდენად მრავალრიცხოვანი ჰყოლია, რომ 40 000 კარგს, გამოცდილსა და უშიშარს მებრძოლს შეიცავდა[1].

აბაღა ყაენთან მყოფმა თეგუდარმა, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ბარახა ყაენს აბაღას ყაენობისაგან ჩამოსაგდებლად თავისი შემუშავებული გეგმა შეატყობინა და მთელი ეს ამბავი ბარახას ფარულად და საიდუმლოდ შემდეგნაირად აცნობა: «მოიერაგა ესრეთ,—თავი შეშისა ისრისა აღმოთხარა და ძვლითა პილოსათა შეაწებნა სამნი ისარნი და მათ შინა შთადვა წიგნი ამად, რომელ ყოველგან გზისა მცველნი განჩენილ იყვნეს თათართაგან ძველითგან და განიკითხიან მგზავრი და მოციქული-ო (იქვე *854, გვ. 699). ამ საიდუმლო წერილის მიღებისთანავე ბარახა ყაენმა გადასწყვიტა, რომ ეს მარჯვე და ხელსაყრელი საბრძოლო გეგმა იყო. და თავისი მხრით თეგუდარს «მიუმცნო მანცა ეგრეთ, რათა პაემანსა შეკრბენ ერთად და დაამკვნან აბაღა ყანი და დაიპყრას ველმწიფება». პირობის შესაკრავად და გეგმის უცდომელად ასრულებისათვის ბარახამ «მოუწერა განჩინებული დრო პაემნისა». თუ როდის დაიძვრებოდა თვითონ თავისი ულუსითურთ აბაღა ყაენის წინააღმდეგ და, მაშასადამე, რა დროისათვის უნდა მზად ყოფილიყო თეგუდარი მასთან შესაერთებლად. თეგუდარის მსგავსად «შთადვა მანცა თავსა შინა ისრისასა წიგნი ესე» თავისი და მოციქული უკან გამოისტუმრა (იქვე). ეს საიდუმლო წერილი თეგუდარს მოციქულის ხელით «ნიგის ველსა» მოუვიდა (იქვე *854—855, გვ. 699). რათგან მოქმედების დაწყების ვადა ზოგიერთებული იყო, თეგუდარი საიდუმლოების გამოძიებლავნების შიშით სასწრაფოდ გახიზნვაზე ზრუნვას შეუდგა.

ჰ ა მ დ ა ლ ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი-ს ცნობით ჯალატაჲს ულუსისაგან აბაღა ყაენის კარზე საიდუმლო ამბების გასაგებადა და ნიკუდართან პირობის მოსტანად, რომ აბაღას წინააღმდეგ ომისათვის მზადებას შესდგომოდა, ჯაშუშად გამოგზავნილი მასგულ-ბეკ შაჰმუდ ალვაჯ-ი ყოფილა.

რ ა შ ი დ ე დ ი ნ ი ს სიტყვით კი, პირიქით, აბაღას ტახტითგან ჩამოგდების მიზნით მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების გეგმის თაოსნობა თვით ბარახასი უნდა ყოფილიყო: სწორედ მას უნდა ეცნობებინოს ნიკუდარ ბატონიშვილისათვის იმ საიდუმლო ისრის საშუალებით, რომელსაც მონღოლურად „ტუღანე“ ერქვა და რომელსაც ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ც იხსენიებს, თავისი წადილი და განზრახვა. მას ამასთანავე გაუფრთხილებია, რომ ნიკუდარი ამიერითგან აბაღა ყაენს, ვითარცა მოწინააღმდეგეს, ჩამოსცლოდა. მართლაც, როდესაც ერთხელ ნიკუდარი აბაღა ყაენმა სამხედრო თათბირზე მიიწვია, მან ამ საქმეს თავი მოარიდა და თავისი ჯურტითურთ საქართველოში წასვლის

---

[1] მ ა ლ ა ქ ი ა, ისტორია, 49.

ნებართვა ითხოვა. დარუბანდის გზით მას ქედს იქით გადასვლისა და ბარა-ხისთან შეყრის იმედი ჰქონდა [1].

თეგუდარს აბარგების სისწრაფის გამო, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, თან 10 500 მებრძოლი წაუსხამს «ბარგითა და დედაწულითა»-ო, ოჯახობით. საქართველოში ის სამხრეთ-დასავლეთის გზით მოსულა. აქ თეგუდარმა «მომართა მთათა ღადოსათა, კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შორის შავშეთისა და აჭარას და დადგა თავსა შავშეთისასა ფიქვთას». აქეთგან მონღოლთა ბატონიშვილი «ეზრახა სარგის ჯაყელს, რათა ძისცეს გზა, უკეთუ უნდეს წარსვლა აფხაზეთისა მეფესა დავითს წინაშე» (ჟამთააღ. * 855, გვ. 699—700).

ღადოს მთებში მდებარეობდა «ოპიზა უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა», განთქმული მონასტერი «საუნჯითა განმშვენებული» და მონაზონთა «კრებულითა აღსავსე». როცა თეგუდარმა შეიტყო და «ესმა სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემკობა მისი პატიოსნითა ხატითა და კანდელთა მიერ აღსავსეობა, ინება წარმოღება მისი». ამ თავისი განზრახვის ასასრულებლად მან 1000 მხედარი გაგზავნა მონასტრის გასაცარცვავად. მაგრამ, როდესაც ეს რაზმი დაადგა «მთის გზასა, რომელი მივალს კარჩხალთა კერძო», ნისლის გამო გზის გაგნება ვეღარ შესძლეს და ამიტომ «დადგეს მთისა მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი», რომელზედაც წ-ა გიორგის ეკლესია ყოფილა აშენებული ოპიზასა და მიჯნაძორს შუა. უეცრად ამოვარდნილმა სასტიკმა ქარმა, სეტყვამ და ძმაფრმა წვიმამ ნიაღვრით აავსო მთელი ხეობა: «აღდგეს ღელვანი, ვითარცა შუა ზღვასა და წარმოეცა წყალი მძაფრი და იქმნა მდინარე დიდი» ისე, რომ «განსწორდა ვიდრე წვერადმდე ძეგლისა»-ო. ჟამთააღმ. წერელი ამტკიცებს, რომ მაშინდელი ნიაღვრის კვალი მის დროსაც კი ჩანდა: «აწცა იხილვების დიდი იგი ნაღვარევი, რომელი შთავალს მართლ ზედა-ზედა წყალსა შავშურსა»-ო. ამ მოვარდნილმა წყალმა «წარიხუნა თათარნი სრულიად კაცი და ცხენი» ერთის გარდა, რომელმაც თეგუდარს ეს ამბავი მიუტანაო. თეგუდარი ამ დროს თურმე «იდგა არსიანის თავსა» (ჟამთააღმ. * 856—857, გვ. 700—702).

თეგუდარისა და მის თანაშეზრახებულთა საიდუმლოება გამომჟღავდა და აბალა ყაენმაც შეიტყო. ჰამდალლაჰ ყაზვინის სიტყვითგან საფიქრებელი ხდება, რომ ყაენისათვის ეს გარემოება ჯაშუშად მოსული მასგუდ-ბეკის წასვლის უმალ მოუხსენებიათ და მას მაშინვე ამ ჯაშუშის დასაჭერად მდევარნი დაუგზავნია, მაგრამ მისი ყოველივე კვალი დაკარგულა. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით კი თეგუდარ-ბარახას შეთანხმებული სამხედრო მოქმედების გეგმა მწიგნობრის შეცდომის წყალობით უნდა ჩაშლილიყო, რათგან საიდუმლო წერილის დაწერის დროს «შესცთა მწიგნობარი მისი და ორითა მთოვარითა [უწინარეს] დაწერა განდგომა თეგუდარისი, რამეთუ თთვენი მათნი მთოვარითა აღრაცხილ არიან»-ო. სწორედ ამ პაემანისდა თანახმად თეგუდარი სამხედრო სამზადისს შეუდგა

---

[1] ჯაში ატ-ტევარიხ; ჰამმერი, I, 266.

«და საქართველოსაკენ გაეშურაო (ჟამთააღმ. * 854—855, გვ. 699—700). მაგრამ რაშიდ ედინი მწიგნობრის შეცდომაზე არას ამბობს და ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნობა საიდუმლოების გამჟღავნების შესახებ ვგონებ უფრო სწორი უნდა იყოს.

საქმის ნამდვილი ვითარების გაგებისთანავე აბაღა ყაენმა «წარმოავლინა [ლაშქარი] დევნად თეგუდარისა და აჩინა მჴედართმთავრად სირმონ ნოინი შვილი ჩორმაღონისი» და მასთან ერთად «მრავალნი ნოინნი სხვანი» (ჟამთააღმ. * 855, გვ. 700). ეს აბაღა ყაენისაგან მდევრად გამოგზავნილი მოლაშქრენი მოიწინეს მთათა არარატისათა [1] და დაიბანაკეს» (იქვე). არსიანის თავს მდგომ თეგუდარს რომ ამბავი მიუტანეს: «მოვიდა ლაშქარი დიდი აბაღასი, დადგეს მთასა არტაანისასა და ხვალვე მოსლვად არიან აქა»-ო, მეორე დღესვე გათენებისას აჰყარა თავისი ოჯახი ბარგითურთ და «უკუ-აყენა მთასა მაგარსა კარისათა, რომელსა ერთ-კერძო შევალს გზა», ხოლო «თჳთ ლაშქრითა და მეომრითა გარდმოიარა არსიანი აქეთ»-ო. აბაღა ყაენის ჯარის უფროსმა «სირმონ [ის შვილმა ჩორმაღანმა?] ჩამოვლო მთა ყუელისა». მოპირდაპირენი ერთიმეორეს შეეჩეხნენ „თავსა ყუელისასა“ სადაც სასტიკი ბრძოლა მოხდა, «დიდად ძლიერი ომი გარდაიჴადეს და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი». ხანგრძლივი ბრძოლის 'შემდგომ «იძლია თეგუთარ და ივლტოდა... მთასა ღადოსასა, ჯნალის თავსა». სირამუნი უკან დაედევნა. თეგუდარი თავის მდევარს შეებრძოლა «სიმაგრესა მთისასა მინდობილი და კუალად იქმნა ომი ძლიერი ორ დღე», «აქაც გამარჯვება აბაღა ყაენის ლაშქარს ხვდა და გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი თეგუდარი თავისი ჯარითურთ გაიქცა: მათგან ზოგი საითკენ, ზოგი სად «რომელიმე აჭარით, რომელიმე ნიგალისჴეკით» ივლტოდა. დადევნებული მტრისაგან თავის საჩქაროდ დასაღწევად ისეთ გზებსაც კი არ მოერიდნენ, «რომელი ყოვლად უვალ იყო კაცთაგან და შემდგომად არა დასაჯერებელ არს კაცთაგან უკეთუ ვინმე იხილნეს მთანი იგი, რომელ წარვლნეს»-ო. ისტორიკოსის სიტყვით იქ «შესაძრწუნებელ არს სლვა კაცისა, არა თუ ცხენისა პირველ სიმძაფრითა და მერმე ტყისა სიხშირითა და შქერთა და ეკალთა, რომელსა ბურწუმილ ეწოდების, გართხმულთა ბრძოლუამლითა»-ო. თვით «ნადირთაგანცა უვალ იყო ადგილი რომელ შთავლეს»-ო (ჟამთააღმ.* 857—858, გვ. 702—703).

ასეთი აჩქარებული და წინდაუხედავი ლტოლვის დროს თეგუდარის ლაშქარს სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევა არ შეეძლო და ერთგან, როდესაც გაქცეულებმა «განვლეს ტყესა ერთსა, ქვეშე კლდიანსა და ზედათ მცირისა მიწისა მქონებელსა», რომელზედაც «მოშენებულ იყო ტყე, გაღმართ განმავალთ წარუსქდა მთა იგი, ვითარცა ზვავი თოვლისა, კაცსა ვითარ ათასსა დედაწულისა მქონებელსა და შთავიდა ჴევსა აჭარისასა და დაიპყრა ცხენი და კაცი და ყოვლად უჩინო ყო და ესრეთ საწყალობელად მოისრვოდეს»-ო (ჟამთააღ. * 858, გვ. 703). ჟამთააღმწერელი აქვე თავის მკითხველს მოუთხრობს: ეხლაც კი «ადგილსა მას სთხრიან მაჭარელნი და ჰპოვებენ სამკაულთა დედათასა ოქროსა და ვერცხლისასა»-ო (* 858, გვ. 703).

---

[1] [აქ ივ. ჯავახიშვილის ხელით ფანერითაა მიწერილი: ა რ ტ ა ა ნ ი ს ა თ ა? რედ.]

თეგუდარმა, მისმა გადარჩენილმა ლაშქარმა და სახლობამ ამგვარი გაჭირვებით როგორც იყო «ჩაიარეს აჭარა და ნიგალის ჭევი და მერმე შეიარეს გურია და მივიდეს ქუთათისს მეფესა დავითს წინაშე». ნარინ-დავითმა მონღოლთა ბატონიშვილს და მისიანებს „სერი დიდი“ გაუმართა და საჭმელად «ხუთასი ძროხა მოხარშული დაუდვა თჳნიერ ღორისა და ცხვრისა კიდე და ლაშქრისა გამოსაზრდელად მასვე დღესა ცხენი ექვსასი, ძროხა ათას ხუთასი, ცხვარი ორიათასი, ღორი ორი ათასი». ამდენი მხოლოდ პირველ დღეს მიურთმევია: «ესე მას დღესა მოიღო თეგუდარს წინაშე და მან განუყო ლაშქართა. რათგან ქართველს პურის ჭამა უღვინოდ ვერ წარმოედგინა, და მონღოლები საშინელი ლოთები იყვნენ, ამიტომ დავით-ნარინს ღვინოც დაუზოგავად მიურთმევია: «ღვინისა ამარი არა იყო, მოიღეს ურმითა და ჭურითა»-ო (ჟამთააღ. * 858—859, გვ. 703).

ამგვარად, დავით რუსუდანის ძემ თეგუდარს, უეჭველია, პოლიტიკურ-მოსაზრებით, დიდი მასპინძლობა გაუწია, რათგან თეგუდარი სპარსეთის ილ-ხანების მოწინააღმდეგე ჯგუფს ეკუთვნოდა და საქართველოსათვის მონღოლთა შინაური უთანხმოებითა და შფოთით დასუსტება ხელსაყრელი იყო. დავით მეფე «ვითარცა მონა დაუდგა სასამსახურ-ოდ თეგუდარს, ეგრეთვე დედოფალმან, ასულმან მაღლისა ჭელმწიფისამან პალაილოლოს კონსტანტინეპოლის მეფის ასულმან, ამანცა ეგრეთვე პატივსცა და გაუშინაურდეს ურთიერთას და მიენდვნეს და ზედასაზედა მივიდის დავით მეფე თეგუდარს წინა»-ო (ჟამთააღ.* 859, გვ. 703—704).

რაშიდედინი და ჰამდალლაჰ ყაზვინი თეგუდარის, ანუ ნიკუდარის საქართველოში შეხიზნვას და იქ ტყეებში ხეტიალს ადასტურებენ. პირველს ამ ისტორიკოსთაგანს ამას გარდა ისიც აქვს აღნიშნული, რომ თეგუდარი დავით მეფეს ეწვია და მისი დახმარებით თავისი საქმის გაოიგებას ცდილობდა. ამ მონღოლთა ბატონიშვილისთვის თითქოს დავით-ნარინს თავისი ასულიც კი მიეთხოვებიოს ცოლად, რომ გაჭირვების დროს ამ დასიძებით-თავისაგან თავი განსაცდელისაგან ეხსნა[1]. მაგრამ ქართველი ისტორიკოსი ამბობს მხოლოდ, რომ თეგუდარი და დავით რუსუდანის ძე «გაუშინაურდეს ურთიერთას»-ო. ამ გამონათქვამში დასიძების ამოცნობა ძნელია, მაგრამ ეგეც იგივეს გულისხმობდეს, რასაც სპარსელი ისტორიკოსი მოგვითხრობს, თუმცა ამას დავით-ნარინის თეგუდარისადმი მთელი შომდევნო მოპყრობა მეტად სათუოდ ხდის.

აბაღა ყაენის სარდალს თავისი ჯარითურთ დასავლეთ საქართველოში გადასვლა ვერ გაუბედნია და, როგორც ეტყობა, შირამუნ ნოინი ყაენთან გაბრუნებულა. ძალზე დაზარალებულ თეგუდარსა და მის ლაშქარს, რასაკვირველია, დასვენება სჭირდებოდა და სამხედრო მოქმედება უნდა დროებით მაინც შეეჩერებინა. შემდეგ კი შირამუნისაგან დამარცხებული თეგუდარი ნარინ-დავითთან მოსულიერებული დასავლეთ საქართველოთგან ისევე აბაღა ყაენის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩახლებას შეუდგა, მაგრამ რათგან ისიც თვით სპარ-

---

[1] ჯამი ატ-ტევარიხ; ჰამმერი I, 261.

სეთში შეჭრას ველარ ბედავდა, აბაღას მორჩილ აღმოსავლეთ საქართველოს დარბევას მიჰყო ხელი და იქ მდგომ მონღოლთა ჯარსაც ესხმოდა თავს.

თეგუდარმა სამი თავისი მხედართმთავარი გამოგზავნა სამცხის ღადოში, მთათა შესაყარსა დემოთში, რომელნიც ლომისთავში დაბანაკდნენ. აქეთგან ისინი «არბევდეს ჯავახეთსა ვიდრე ფარავანამდე». შემდეგ «თათართა ჩამოვლეს ეკერისკევი და განვლეს აწყურს ზედა ფონი მტკურისა და გავიდეს ჯავახეთს». აქ მონღოლთა ურდოებს «დახვდა ჯოგი კახა თორელისა, რომელსა აქუნდა პატივად მეჭურჭლეთ-უხუცესობა და ჯოგი ათასისა მჴედრისა თავადისა ალინაყისა შვილისა ყურუმჩისა», დაეცნენ და «წარმოიღეს და მომართეს სადგურსა მათსა ლომისთავსა». ამის გაგონებაზე ყურუმჩი ბაადურმა «მოუწოდა კახასა თორელსა და დევნა უყვეს». ჯოგების მომტაცებელნი და გამცარცველი «თეგუდარიანნი ვანსრულ იყუნეს მტკუარსა, სადა მოერეოვის წყალი გურკლისა». ხოლო კახა თორელის და ყურუმჩის მრავალრიცხოვანნი ქართველნი და თათარნი მდევარნი «მივიდეს პირსა მტკურისასა». მდევართა სიმრავლის გამო თეგუდარის ლაშქრის მეთაურმა თოლაქ-დემურმა ასეთი სამხედრო ღონეობით შეაცდინა მოწინააღმდეგე: თოლაქ-დემურმა «განვლო მტკვარი ოცდაათითა კაცითა უგრძნეულად და სხვანი დაუდგეს პირსა მტკურისასა. თოლაქ-დემურ ავლო მტკუარი და აღვიდა ქედსა და აღაბა ალამი რამე სხვა დროშისა და შემოუტია „ჴმითა მაღლითა". ამ სხვა დროშით შეცდენილს მონღოლ-ქართველთა შეერთებულ ჯარს ეგონა, რომ, თეგუდარის ლაშქრის გარდა, კიდევ სხვა მოკავშირე ჰყავდა თავისი მეომრებითურთ და ისე ეჩვენათ, თითქოს ორთავე მხრით მტერი მოქცეოდეს. როდესაც იხილა «ყურუმჩი-ბაადურ წინათ კერძო და უკანა კერძო ლაშქარი, ჰგონა სიმრავლე და შეშინებულ იქმნა და ივლტოდა მსწრაფლ შეშფოთებული». ამ თავზარდაცემულობისა და უწესრიგო ლტოლვის დროს ყურუმჩი-ბაადურის მონღოლთა და კახა თორელის ქართველ მეომართაგან «მოიკლა სიმრავლე კაცთა კეთილთა და ორთა კოხტელთა მიიღეს აღსასრული და სამძივარი ცხენ-მოკლული ცურვითა ივლტოდა და აწყურს შევიდა, მკედართმთავარი თათართა ყურუმჩი-ბაადურ მოიკლა და უწესოდ დაბნეულ[ნ]ი. გზისა მეოტისა ვერ დამპყრობელნი, შეივლტოდეს მთად რუგეთისა, აღმართსა ძნელ-სავალსა, სოფელსა, რომელსა ჰქუიან კჳრიაკე-წმინდა» (ჟ ა მ თ ა ა ღ მ. * 864—865, გვ. 708—709).

თეგუდარის გაგზავნილი მოლაშქრენი თავიანთ ბატონთან ამნაირად გამარჯვებულნი და ნადავლით დატვირთულნი დაბრუნდნენ. ამ გარემოების წყალობით «განლაღებული თეგუდარ გარდმოვიდა ქართლს და მოაოჴრებდა ყოველსა ქართლსა» (ჟ ა მ თ ა ა ღ. * 865. გვ. 709).

სწორედ ამ დროის ამბების აღწერილობას უნდა წარმოადგენდეს მ ა ლ ა ქ ი ა ბ ე რ ი ს ა გ ა ნ მოთხრობილი თეგუდარის ჩადენილი თავხედობა. უკვე ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა და მისი წყაროს მოთხრობითგან ჩანს, რომ საქართველოში შემოხეხნული თეგუდარის ჯარი არაუერს ზოგავდა, ოღონდ კი ხელში კარგი ნადავლი ჩაეგდო. ოპიზისა და კლარჯეთის მონასტრების გაცარცვის მცდელობა ცხად-ჰყოფს, რომ აღმოს. საქართველოში ეკლესია-მონასტრებსა და საგანძურებს ამ მონღოლთა ურდოებისაგან ხეირი არ უნდა დაპყროდა. მ ა ლ ა ქ ი ა ს

ნაბბობი აშას ადასტურებს. ისინი თურმე მონასტრებში შეიკრებოდნენ ხოლმე და ცარცვა-გლეჯის გარდა, საჭმელ-სასმელსა თხოულობდნენ იქვე გასაძღომადაც და თან წასაღებადაც. ლოთობას მიჩვეული მონღოლები რომ რომელსამე მონასტერში მათთვის საკმარის ღვინოსა და ხორცს ვერ მიიღებდნენ, ბერებსა და მღვდელთმსახურთ დასასჯელად ზოგს თავდაყირა ჰკიდებდნენ, ზოგს ცხვირში ჭკარტლ-ნარევ მარილს უსხამდნენ, ზოგს და ზოგან ძაღლის კუდებს უჩრიდნენ პირში, რომ პირში სჭეროდათ.

თეგუდარის მოლაშქრეების თავაშვებულობა და სიმხეცე, როგორც ჩანს, მარტო საკუთრივ ქართლს არ გამოუვლია, არამედ საქართველოს სინხეთის თემებსაც. ამას გარდა, ცხადია, ისინი მარტო მონასტრების ცარცვა-გლეჯით არ დაკმაყოფილდნენ, არამედ ყველგან, სადაც და ვისაც კი მოახელებდნენ, თუ შეეძლოთ, გაუცარცველს არ გაუშვებდნენ. ღამ-ღამობით ჩასაფრებულნი შარაგზებზე ქალაქითგან ქალაქში მიმავალ ქარვასლებს თავს ესხმოდნენ და სცარცვავდნენ. სოფლებსაც დაეცემოდნენ ხოლმე, ხალხს სარჩო-საბადებელსა და ოთხფეს საქონელსა სტაცებდნენ და ვინც გაუძალიანდებოდა, მოუკლავს არ გაუშვებდნენ ხოლმე. თავისდათავად ცხადია, რომ საქართველოში დაბანაკებულ აბაღა ყაენის მონღოლთა ურდოებსაც თეგუდარიანნი ხეირს არ დაარყოდნენ და ხშირ-ხშირად მოულოდნელად თავზე დაცემით სიცოცხლეს უმწარებდნენ ხოლმე [1].

თეგუდარის ლაშქრის თავაშვებულობამ და ცარცვა-გლეჯამ აღმოსავლეთ საქართველოს ბმართველი წრეები აღაშფოთა და მოთმინებითგან გამოსული ქართველი და სომეხი დიდებულები აბაღა ყაენთან მივიდნენ და თეგუდარის ალაგმა სთხოვეს. ამიერსაქართველოში მდგომ მონღოლთა ლაშქრის მეთაურებიც ამასვე მიემხრნენ. აბაღა ყაენმაც შირამუნს უბრძანა, რომ 100 000 ცხენოსანი ჯარისკაცითურთ საქართველოში გამგზავრებულიყო თეგუდარის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ საქართველოს ჯარსაც ნაბრძანები ჰქონდა, რომ მთლიანად შირამუნს მიჰშველებოდა. აბაღა ყაენისაგან შირამონს დავალებული ჰქონდა თეგუდარი დაემარცხებინა, მთელი ქონება ჩამოერთვა და თვით თეგუდარი დაჭერილი მიეგვარა. თეგუდარის წინდაუხედაობითა და პოლიტიკური სიბეცით საქმე ისე დატრიალდა, რომ საქართველოს დიდებულებმა სიხარულით მიიღეს მონაწილეობა, რომ თავიანთი ქვეყანა მონღოლთა ბატონიშვილის ამ თავზეხელაღებულ ურდოს ნავარდისაგან ეხსნათ [2].

რაკი წინათ პირდაპირი ბრძოლით თეგუდარის ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა და ქვეყანა კი თეგუდარიანთა ნავარდობისაგან ოხრდებოდა, ამიტომ გამარჯვების უზრუნველყოფისათვის «ევედრა ყანი აბაღა მეფესა დავითს რუსუდანის ძესა, რათა აღოაა შეეწიოს და არცა შეუშვას» თავის საბფლობელოში და ასეთი დახმარებისათვის აბაღა ყაენი დავით-ნარინს «ნიჭთა დიდთა აღუთქმიდა» (ჟამთააღ. * 865, გვ. 709).

დავით ნარინისათვის აბაღა ყაენს დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია, რათა-ცან თეგუდარსა და მის ყმებს დასავლეთ საქართველოშიაც კი წყლის ამღვ-

[1] მალაკია, ისტორია, 49—50.
[2] იქვე, გვ. 50—51.

რევა მოსდომებიათ და ეს გარემოება დავით რუსუდანის ძეს შეუტყვია. ჯერ მხოლოდ „იჭვისა მქონებელი“, ძემდეგ უკვე «ღალატისა თეგუდარის ყმათაგან განცხადებულად მცნობელი, თჳნიერ თეგუდარის კითხვისა, ერჩდა ძმაღლას და შეკრნა გზანი» დავით ნარინმა ისე, რომ «არღარა შეისვლებოდა ცხენითა». ეს გარემოება თეგუდარს არ სცოდნია. აბაღა ყაენმა კი, შეიტყო თუ არა, რომ თეგუდარს «არღარა შეეწევის მეფე დავით», მაშინვე «წარმოავლინა მჴედართ-მთავარი მისი სირმონ-ბაადური და სხვანი მთავარნი ნოინნი და სპისა სიმრავლე და მოვიდეს თრიალეთს». აღმ. საქართველოთგან, როგორც აღნიშნული გვქონდა, მათ მოწოდების თანახმად უნდა ულუ-დავითიც მოჰშველებოდა თავის საბრძანებელის ჯარითურთ.

მაგრამ ისტორიკოსის სიტყვით დავით «მეფე სნეულობდა მას ყამად» და თავის მაგიერ «წარმოავლინა ყოველნი მთავარნი მისნი სირმონთანა», რომელიც შეერთებული ჯარითურთ ქართლში ჩავიდა. ამის გაგების უმალ, თეგუდარი საომრად მოემზადა და მტერს დაუხვდა. «იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი», მაგრამ ამ დღეს ბედიღბალი გადაუწყვეტელი დარჩა, რათგან ნებრძოლთ «ესწრა ღამე და გაიყარნეს». მეორე დღეს დილითგანვე ბრძოლა წინანდებური გაშმაგებით განახლდა: «იქმნა ბრძოლა ძლიერი და სპა მეფისა წინამბრძოლობდა». როდესაც მოწინააღმდეგენი «აღერივნეს ურთიერთას, ივლტოდა სპა თეგუდარისი, მიმოდაიბნიეს, მოსრნეს და უჩინო იქმნეს» ისე, რომ «დარჩა თეგუდარ და ძე მისი მცირე» მარტოდ-მარტო. უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი, „ულონო იქმნა“ და რათგან სხვა გზა აღარა ჰქონდა, «მოვიდა სირმონს თანა და ევედრა, რათა ყანი აბაღა იხილოს მან და ძმანმისმან». შირამანმა ამაზე თანხმობა განუცხადა, მაგრამ მაინც «დააპატიჳრნა და აღიღო ტყუედ დედაწული მისი და ყოველი სიმდიდრე და ბარგი და საქონელი და ჯოგი» მისი და ისე აბაღა ყაენს მიჰგვარა. აბაღა ყაენმა თეგუდარს არა დაუშავა, მხოლოდ «წარგზავნა ქვეყანასა ერაყისასა და მისცა ათორბეტი კაცი მას და ძესა მისსა, საზრდელი და შესამოსელი უხვად, ქორ-შავარდენი და ავაზა» სანადიროდ, თანაც «განუჩინა სარჩომი, რომელ არა აკლდეს», მხოლოდ მაინც «მცველნი დაუდგინნა, რათა არღარა გაუშვას მამულსა თჳსსა» (ქამთაალ. * 865—866, გვ. 709—711).

რაშიდედინისა და ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნობითაც შირამუნისაგან დამარცხებული და შეპყრობილი ნიკუდარი საქართველოთგან აბაღა ყაენთან მიგვრილი, აბაღასგან შეწყალებული ყოფილა და, დანაშაულობის პატიების შემდგომ, საცხოვრებლად სპარსეთის ილხანის სამფლობელოში დაუტოვებიათ. ეს ამბავი ჰამდალლაჰ ყაზვინის სიტყვით 1269 წ. 3 ივნისსა და 2 ივლისს შუა უნდა მომხდარიყო, რაშიდედინს კი თარიღად 668 წ. აქვს ჰიჯრით დასახელებული, ე. ი. 1270 წელი.

ᲦᲐᲚᲦᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲡᲔᲑᲐ ᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲧᲐᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲤᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!

უეჭველია, ამავე პოლიტიკური მოსაზრებით დავით მეფეს რუსუდანის ძეს თეგუდარის შემდგომ ყაენის მეორე მოწინააღმდეგე ვინმე ღალღურ, თუ-

ღალღურისთვისაც დახმარება გაუწევია[1]. ამ ადამიანის შესახებ როგორც ეტყობა ამ წყაროში საითგანაც ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს თავისი ცნობები ამოუღია, დასავლეთ საქართველოს შესახებ საგანგებოდ ყოფილა საუბარი და საფიქრებელია იქ საქმის მთელი გარემოებაც იქძნებოდა მოთხრობილი, თუ როგორ მოხდა, რომ ღალღურ თუ იალღური დასავლეთ საქართველოში შეიხიზნა და თავი დავით რუსუდანის ძესთან შეაფარა. ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ამის შესახებ არავითარი ცნობები აო მოეპოვება და მისი მოთხრობა მარტო ამ იალღურის უკანასკნელ საქციელს გვისურათებს. მხოლოდ ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ამ ნაწყვეტის შესავალი სიტყვები «მაშინ ზემოხსენებულნი ღალღურ და რაჭის ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს» ცხად-ჰყოფენ, რომ მის წყაროში ღალღური ზემოთაც იხსენიებოდა. ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა გ ა ნ მოყვანილი ყაენის ნათქვამი ღალღურის პიროვნების გათვალისწინებას ცოტად მაინც გვიადვილებს. მას თავისი ერთგული ნოინისათვის შეუჩივლია: «მეფე დავით ესეოდენთა განდგომილებათა იქმს, მისსა არა კმა იყოფს, და ყოველთა განდგომილთა ჩვენთა თანა შეეწევის, ვითარ თეგუდარს და აწ ღალღურს (იალხურს). ხოლო მე ნიკნი დადნი და პატივნი წინა უყუენ თეგუთარისთჳს და აწ კუალად აღლურ (იალხურ) შეიწყნარა»-ო (* 868, გვ. 712).

ამგვარად, ღალღურ თუ იალხურ ყაენის განდგომილი მოწინააღმდეგე ყოფილა. რაკი ყაენს თეგუდარის შეწევნისათვის დავით მეფისაგან არამც თუ აოავითარი პასუხი არ მოუთხოვია და შური არ უძიებია, არამედ პირიქით ცდილა კიდეც მისი გული საჩუქრებითა და პატივისცემით მოეგო, რომ თავისთვის უვნებელეყო, ყაენს ამიერითგან თუ ერთგულებისა არა, მონღოლთა შინაურ ბრძოლაში მისი გაურეველობის იმედი მაინც ჰქონია. მაგრამ ეს მოლოდინიც არ გამართლებია და დავით მეფეს კვლავ ყაენის მტრისა და აჯანყებულისათვის თავშესაფარი და სახიზნარი მიუცია.

[რაჭის ერისთავის კახაბერიძის შინათგამცემლობა]

დასავლეთ საქართველოში მეფე დავით რუსუდანის ძესთან შეხიზნული ღალღურ შემდეგ ეგების რაჭის ერისთავის კახაბერის ძის კახაბერის ჩაგონებით და შეზრახებით მეფეს გადასდგომია და აბაღა ყაენთან წასვლა დაუპირებია. ამგვარად, გამდგარი ღალღური აბაღას უნდა შეჰრიგებოდა. ამისთვის წინასწარი საიზადისი იყო საჭირო და ამაზე თურმე ჯავახეთის მთებში მდგომ ყაენის სარდალს ალინაყს კიდეც მოელაპარაკნენ. ალინაყმა რომ ეს ამბავი აბაღა ყაენს აცნობა, მას რა თქმა უნდა ძალიან იამა და საჩუქრებიც აღუთქვა. ამის შემდგომ ღალღურს შეეძლო კახაბერ კახაბერისძეს უშიშრად წაჰყოლოდა, რომელსაც, ალბათ, ძველი ტტრული გრძნობა ექნებოდა გულში ჩარჩენილი მეფე დავით რუსუდანის ძის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ დავით ლაშა-გიორგის ძის მომბრეობის დროითგან მოყოლებული. ყაენის კარზეც მისი მოქმედება ცხადს ღალატს წარმოადგენდა. ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით, როდესაც კახა-

[1] M და სხვა ხელნაწერებს ეს სახელი სხვადასხვანაირად აქვთ სხვადასხვა ადგილას და ზეპირმოყვანილს დაწერილობას გარდა მოიპოვება აღ:ლარ, იალხურ, აღლურ. სახელი დამაჩინჯებული უნდა იყოს გადამწერისგან.

ბერისძემ გაიგო, რომ აბაღა ყაენს განდგომილი ნოინების თავშესაფარის მიცემისათვის დავით მეფის წინააღმდეგ შურისძიება ჰსურდა, ყაენის წინაშე წარსდგა და თქვა: უკეთუ ჰნებავს ყანს. შურის გებად დავით მეფისა ზედა, მე მისთჳს მოსრულ ვარ; ვიცნი გზანი შესავალნი და წარვასხამ ლაშქართა და ვჰგონებ რომელ მეფე ჴელთ ვიგდო»-ო. ამ თავისი შინათგამცემლობის შესაფერის მონაწილედ კახაბერს თავისი თანამზრახი, უმადური ღალღურ თუ ღალღურიც დაუსახელებია: იმანაც «იცის გზა და ძალი ქვეყანისა მათისა»-ო.

აბაღა ყაენმა სირმონ და ალინაყ ნოინები სხვების თანხლებითა და 30000 მოლაშქრითურთ მეფე დავით რუსუდახის ძის წინააღმდეგ გამოისტუმრა. მათ «გამოვლეს თრიალეთი და გარდავლეს მთა ლიხისა და ზედა დაესხნეს ქუთათისს აბანოსა შინა მყოფსა მეფესა», რომელიც «ბის გაძოძლით შეესწრა ცხენსა» და «ერთითა კაბითა მარტო ივლტოდა». მონღოლებმა ჩვეულებისამებრ მოაოხრეს ქვეყანა, დახოცეს და ტყვედ წაასხეს ვინც კი მოახელეს და ისე სწრაფად გაბრუნდნენ უკან, რომ დავით რუსუდანის ძემ შებმა ვერც კი მოასწრო.

ორი წლის შემდეგ, „მესამესა წელსა“ აბაღა ყაენმა სირმონ და ალინაყ ნოინები ხელმეორედ გამოგზავნა დავით მეფის შესაპყრობად, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში მიაღწიეს მიზანს, არამედ წინანდებურად ნავარდითა და თარეშით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ (ყამთაალმ. * 868—869, გვ. 712—713).

როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი; ყამთაალმწერელის თხზულებაში განსაზღვრული არ არის, ნათქვაძია მხოლოდ „მაშინა“-ო, მაგრამ რა ამბავს გულისხმობს ამ სიტყვით. არ ჩანს. ძნელი დასაჯერებელია, რომ თეგუდარის დამარცხების, ე. ი. 1270 წ. უმალ მოძხდარიყო, რათგან განსაცდელისაგან თავის დაღწევასა და აბაღა ყაენის საჩუქრებსა და პატივისცემას დავით რუსუდანის ძე, ალბათ, მშვიდობიანობის გუნებაზე უნდა დაეყენებინა. „მაშინ“ აქ, უეჭველია, წყაროს ტექსტს უნდა ეკუთვნოდეს და წინამავალ, ღალღურის ლიხთიმერეთში მოსვლის ამბავს უნდა ეხებოდეს. ამის გამო თარიღის ზედმიწევნით გამორკვევა ამჟამად შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ღალღურის სახელის გადამწერთაგან დამახინჯების გამო, სპარსული წყაროების მიხედვითაც ვერ ირკვევა, ვინ და რა შემთხვევა უნდა იყოს აქ ნაგულისხმევი. რათგან ეს შემთხვეულება აბაღა ყაენის დროს მომხდარა და თითქოს ეგვიპტეზე გალაშქრებამდე,—ეს ამბავი ზემოაღნიშნულს მისდევს,—ამიტომ საფიქრებელია, რომ 1270 წ. შემდგომ და 1277 წლამდე უნდა მომხდარიყო.

გადამდგარს რაჭის ერისთავს კახაბერ კახაბერისძეს მუდამ ყაენის კარზე ყოფნა არ შეეძლო და, რათგან მისი მოღალატური მოღვაწეობის მიზანი მიუღწეველი აღმოჩნდა, ისევ საქართველოში მოუხდა დაბრუნება. მაგრამ ლიხთიმერეთს მას მოსვლა, რასაკვირველია, აღარ შეეძლო და თავშესაფარი ამიერსაქართველოში უნდა ეძია. ამიტომ «რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლს და აქვნდა ქვეყანა ატენისა» და ყველასგან ათვალისწუნებული იყო: «არა პატივ ეპყრა არცა ყანისა და არცა დიმიტრი მეფისაგან ორგულობისთჳს მეფეთასა». ასეთ პირობებში, რასაკვირველია, გაჭირვებული და „შეიწრებული“ იქმნებოდა. სხვა გამოსავალი რომ აღარავითარი ჰქონდა

ისევ დავით რუსუდანის ძის წყალობისათვის უნდა მიემართა და შეევედრა კიდეც «მეფესა რათა შეიწყალოს და უბოძოს მამული მისი». დავით რუსუდანის ძე თავისი სათნო ხასიათისამებრ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მოღალატეს ერთხელ კიდევ ენდო და «შეიწყალა და შეუნდო ფიცითა მტკიცითა, რათა არა აბრალოს პირველი შეცოდება და ეგოს ერთგულობასა ზედა მისსა, მიუბოძა მამული მისი ყოველი და კუალად ეგო მამულსა მისსა რაჯას».

მაგრამ კახაბერმა ვერც ამის შემდგომ მოისვენა და თავის წინანდელ ხელობას, გამცემლობას, თავი არ დაანება და «ვითარ დაყო მცირედი ჟამი, იწყო მათვე კუალთა სვლად» და «დამვიწყებელმან ფიცთა საშინელთამან იწყო ღალატად მეფეთა და წარავლინა კაცი და წიგნი ალინაყს თანა ათასისთავსა», რომელიც თავის ლაშქრითურთ დაბანაკებული ყოფილა «თავსა მთათა ჯავახეთისათა და კოლისათა». ამ საიდუმლო წერილში ის ისევ ურჩევდა «პირველისავე-ებრ დაესხას მეფესა და ადვილად ჭელთ იგდოს მეფე» დავით რუსუდანის ძე. მაგრამ, როგორც ეტყობა, მეფე არც ისე გულუბრყვილო ყოფილა, რომ კახაბერი განუსაზღვრელი ნდობით აღეჭურვა, და, როგორც ჩანს, მისთვის საიდუმლოდ თვალყური უდევნებიათ. ალბათ, ამ გზით «საცნაურ იქმნა წიგნი» კახაბერისა ალინაყისადმი გაგზავნილი და ასეთი ხელმეორე ღალატისა და ფიცის გამტეხელობისათვის სასტიკად დაისაჯა: კახაბერი «შეიპყრა მეფემან და პირველ თვალი დასწვა და მერმე ერთი ჭელი და ერთი ფეჯი მოჭკუეთა და ორნი შვილნი მისნი მისცნა ექსორიად, კონსტანტინეპოლისს წარგზავნა». ასეთი სასჯელის შემდგომ კახაბერს დიდხანს აღარ უცოცხლია და «მოკუდა და მოისპო ყოველი ნათესავი მისი ბაღუაშთა კახაბერისძეთა და აღიჴოცა ნათესავი მისი და საკსენებელი მათი»-ო. (ქართლ. * 876—877, გვ. 720—721).

ეს ცნობაც დათარიღებული არ არის, არც ნათქვამია რომელი ყაენის დროს უნდა მომხდარიყო იგი, ამის გამო ერთადერთი დასაყრდნობი ალინაყის სახელია. 4 ივლისს 1284 წ. ალინაყი სიკვდილად იქმნა დასჯილი [1].

დავით IV ღონისძიება ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენის აღსადგენად

მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლას გარდა, დავით რუსუდანის ძე ცდილობდა საქართველოსათვის შეენარჩუნებინა პოლიტიკური გავლენის ის სფეროც, რომელიც მას XIII ს. დამდეგისათვის სამხრეთ-დასავლეთით მოპოებული ჰქონდა.

ცნობილია, რომ იმპერიად წოდებული ტრაპიზონის სამეფო საქართველოს წყალობით დაარსდა. თამარ მეფის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა მისი სახელმწიფოებრივობაც, რამდენადაც, საქართველოს ჯარისაგან ბიზანტიის სამხედრო ძალის დამარცხების შემდგომ, ბიზანტიისაგან შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროს წართმეულ ნაწილში კეისარიც თამარმა დასვა. ცხადია, რომ ისევე, როგორც ტრაპიზონის სამეფო საქართველოს წყალობით

[1] ქართლ., I, 356.

შეიქმნა, შემდეგშიც საქართველოს სამხედრო ძალის დახმარებას მისთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამიტომ ტრაპიზონის სამეფოს სახელმწიფო მართვა-გამგეობაშიც და სამხედრო ორგანიზაციაშიც ქართულ გავლენას უპირატესობა უნდა შერჩენოდა.

მონღოლთაგან აღმ. საქართველოს დაპყრობას, ყმადნაფიც სამეფოდ ქცევასა და ამასთან დაკავშირებულს საქართველოს სამხედრო ძლიერების შესუსტებას, რასაკვირველია, არ შეიძლება საქართველოს საგარეო გავლენიანობაზეც კვალი არ დაეჩინა. როგორც უკვე დავრწმუნდით, საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ყმადნაფიც სამფლობელოებში სწორედ ასეც მოხდა.

ბოლოს-დაბოლოს, საქართველოს ძლიერების დასუსტებას სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მის გავლენის ქვეშე მყოფს ტრაპიზონის იმპერიაშიც უნდა საგრძნობი შედეგი მოჰყოლოდა. მონღოლთა ძლევამოსილების ტალღამ უკვე ტრაპიზონის საზღვრამდე მიაღწია, როდესაც იკონიის სულტანი ღიასედინ ქაიხოსრო II ყველა თავის მოკავშირეებისაგან დაშარცხებულ იქმნა, ისე რომ ყველანი იძულებული გახდნენ მონღოლებისათვის ხარკის ძლევა ეკისრათ. მონღოლთა მეხარკეობა ვერც ამ სელჩუკიან სულტანის ერთმა მოკავშირეთაგანმა, ტრაპიზონის მეორე კეისარ მანუელ პირველმა, აიცდინა თავითგან და, დას. ევროპელ დეკანის 1253 წ. ცნობით, მანუელი მონღოლებს ხარკს უხდიდა კიდეც.

ამრიგად, დამყარებული პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფი ტრაპიზონის საკეისროსათვის მას სამხედრო დახმარება და მიშველება აღარ შეეძლო, რათგან თვით მისი მთელი აღმოსავლეთი ნაწილიც მონღოლთ ჩაუვარდათ ხელში. მართალია, ლიხთ-იმერეთში მონღოლებმა ვერც გაბატონება და ვერც გადასვლა ვერ მოახერხეს, დავით ნარინის მონღოლების წინააღმდეგ აჯანყების და დას. საქართველოში გამაგრების შემდეგომ ხომ საქართველოს ამ ნაწილმა სრული დამოუკიდებლობაც მოიპოვა, მაგრამ მისი სამხედრო ძალა იმდენად შემცირებული იყო, რომ სხვას ვეღარავის მიეშველებოდა.

რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებასთან ერთად, ტრაპიზონში მისი გავლენაც უნდა შემცირებულიყო. საქართველოს მეტოქე ბიზანტიური დასისათვის, ცხადია, ეს მეტად ხელსაყრელი გარემოება იყო, რომ ასეთი მარჯვე შემთხვევით არ ესარგებლა. ასეც მოხდა: ტრაპიზონის სამეფოს შინაურ პოლიტიკას ამ ხანაში დიდი ცვლილება დაეტყო. საქართველოს მომხრე ხელისუფლები თანდათანობით თავიანთ თანამდებობას ჩამოაშორეს და მათ მაგიერ ბიზანტიის მომხრე დასის წარმომადგენელნი იქმნენ დაწინაურებულნი. რა თქმა უნდა, ეს უბრძოლველად არ მომხდარა და საკმაოდ დიდი მსხვერპლიც შეეწირა, მაგრამ რაკი საქართველოს მომხრე დასს წინანდებურად არც ზურგი ჰქონდა გარეთკან გამაგრებული და არც მასთან კავშირის მნიშვნელობით შეიძლებოდა ოდინდელი უპირატესობის გამართლება, ამიტომ ეს დასი განადგურდა.

საქართველოს და ბიზანტიას შორის გაცხარებული ბრძოლა ტრაპიზონის საკეისროში პოლიტიკური გავლენის გამო

ბიზანტიის კეისარმა და მთავრობამ სცადეს ტრაპიზონის სამეფო ჯერ თავისი უშუალო გავლენის ქვეშ მოექციათ, რომ ამით იმპერიის ოდინდელ მთლიანობის აღდგენა დაეწყოთ. გულის მოსაგებად კოსტანტინეპოლის პატრიარქმა 1260 წ. ტრაპიზონის მიტროპოლიტს თავისი სამწყსოს სამღვდელოების ხელდასხმის უფლებაც კი დაუთმო. ბიზანტიასთან კავშირის განსამტკიცებლად ტრაპიზონის კეისარს მანუელ I-ს თითქოს ბიზანტიის კეისართან დამოყვრებაც კი უთხოვნია, მაგრამ მართლა ასე იყო, თუ ეს უფრო კოსტანტინეპოლის მთავრობის ნატვრას წარმოადგენდა, ძნელი სათქმელია, მანუელის იმ სამ თანამეცხედრეთაგან კი, რომელნიც ერთიმეორის შემდგომ შეუოთავს, არც ერთი კონსტანტინეპოლელი ფლისწული არ ყოფილა. მანამდე ტრაპიზონის კეისარი საქართველოს სამეფო საგვარეულოს ენათესავებოდა და, როგორც ჩანს, ბიზანტიის მომხრე დასის წადილი, მომავლისათვის ამნაირი კავშირის საშუალებით ქართული პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობა ჩაეშალა, იმ დროს განუხორციელებელი დარჩენილა.

კონსტანტინეპოლის გავლენას ტრაპიზონელები იმიტომ გაურბოდნენ, რომ ბიზანტიის კეისარსა და მთავრობას თავი მედიდურად ეჭირათ და ისინი ტრაპიზონის მეფის დაჯაბნასა და დამცირებას ყოველნაირად ცდილობდნენ: მათი წარმოდგენით, ტრაპიზონელებს უფლება არ ჰქონდათ თავიანთ თავისათვის არც კეისარი ეწოდებინათ, არც კეისრისათვის განკუთვნილი პორფირი და ტარსიკონის (წითელი ტყავის) ფეხსაცმელი ჩაეცვათ. კონსტანტინეპოლელი პოლიტიკოსები ტრაპიზონის კეისრებს დაცინვით ხან ლაზთა მფლობელს, ან მთავარს, ხან ტრაპიზონის მპყრობელს უწოდებდნენ. რასაკვირველია, ასეთს დამოკიდებულებას არ შეეძლო ტრაპიზონელთა მმართველი წრეების გული მოეგო და კონსტანტინეპოლელებთან დაახლოვების მხურვალე მომხრედ გაეხადა.

მანუელ I-ის მესამე თანამეცხედრეს რუსუდანი ერქვა და ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ მასაც საქართველოსთან კეთილმოყვრობა უმჯობინებია. სამხედრო დასს, რომელიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ჯერ კიდევ იმდენი ძალა ჰქონდა, რომ კონსტანტინეპოლის გაბატონებისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

პირველმა მარცხმა ბიზანტიის კეისარსა და მის კარისკაცებს გული ვერ გაუტეხა და შემდეგშიც, როდესაც ტრაპიზონის ტახტზე 1266 წ. იოანე II ავიდა, ბიზანტიის კეისარმა მიხეილ პალეოლოგოსმა ყოველი ღონე იხმარა, რომ ტრაპიზონის კეისარი თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცია. ჯერ იგი შეეცადა დესპანების ხშირხშირად გზავნით იოანე II სათვის ჩაეგონებინა, რომ მას უფლება არა აქვს, თავის თავს კეისარი უწოდოს, სამეფო ტანისამოსით შეიმოსოს და კეისრის ნიშნები იხმაროს, რომ კონსტანტინეპოლში მჯდომ მბრძანებელს გარდა კეისრობა არავის ეკუთვნის.

იოანე II უპასუხებდა, რომ არც ეს წოდებულება და არც სამეფო სამოსელ-ნიშნების ხმარება პირადად მას არ შემოუღია, არამედ მისი წინაპრები-

ნაგან იყო დაწესებული და ამიტომ თითონ მას არც შეუძლია და ამის უფლებას არც ქვეშევრდომები მისცემენ, რომ წინათ განმტკიცებული წესი დაარღვიოს.

როდესაც მიხეილ პალეოლოგოსი დარწმუნდა, რომ ამ გზით ვერაფერს გაიგებდა, თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებას მიჰმართა. იოანე II უკოლო ჭაბუკი იყო და ბიზანტიის კეისარმა გადასწყვიტა, რომ, რასაც დესპანების მეშვეობით ყველაფერი დარიგება-შთაგონებით ვერ ეღირსა, ის მისი გასიძებით მოეხეოხებინა. მან ტრაპიზონის კეისარს თავისი ქალიშვილი შესთავაზა თანამეცხედრედ, ამისთვის მიხეილ პალეოლოგოსი იოანე II-ეს კონსტანტინეპოლში ჰპატიჟობდა. თუმცა თვით ტრაპიზონის მბრძანებელი თანხმდებოდა, მაგრამ მისი დიდებულნი კონსტანტინეპოლში წასვლას იმასაც უშლიდნენ და არც თითონ უნდოდათ იქ გამგზავრება. მათ სამართლიანად სწორედ იმის შიში ჰქონდათ, რაც შემდეგში მოხდა კიდევაც.

ამ მეორე მარცხის მიუხედავად, ბიზანტიის კეისარმა მესამედაც სცადა დაერწმუნებინა, რომ, მისი სიძობის გარდა, სხვა არავითარი ბოროტი განზრახვა მას არა აქვს. მიხეილ კეისრის ხელახლად წარგზავნილმა დესპანმა და სამღვდელო პირმა იოანე II-ეს შეეფიცეს, რომ, კეისრის ასულზე ქორწინების დაწერის უძალ, მას დიდი პატივისცემით უკანვე გაიოსტუმრებდნენ. იოანე II-ეც დათანხმდა და კონსტანტინეპოლში გაეგზავნა. მაგრამ საკმარისი იყო ის ბიზანტიის სახელმწიფო საზღვარს მიახლოვებოდა, რომ ტრაპიზონის ჭაბუკი კეისარი დარწმუნებულიყო, რამდენად ბაკშვურად მოტყუვდა: მას გამოუცხადეს, რომ კეისრის წითელი წუღები გაეხადა და შავი ჩაეცვა, რომ კეისრისათვის განკუთვნილი შესამოსელ-ნიშნების ხმარებაც არ შეიძლებოდა. მაშინ კი იოანე II ეს თავისი მალემრწმენობა სანანურად გაუხდა, მაგრამ რაღას გააწყობდა: ბიზანტიის მოხელეებისა და კეისრის ხელში იყო მთლად. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე უნდა ყოფილიყო ასე სულელურად მოტყუებული ტრაპიზონის კეისარი, მაგრამ იძულებული იყო ყველაფერი აესრულებინა. მას ბიზანტიელი ქალიშვილი მაინც ცოლად შერთეს და უკან დაბრუნებითაც არ აუჩქაოებიათ.

ტრაპიზონის კეისრის ბიზანტიელთაგან ასე მოტყუებით ხელში ჩაგდებისა და დამცირების, მეტადრე დასიძების ამბავი საქართველოში ისევე კარგად ექმნებოდათ გაგებული, როგორც თვით ტრაპიზონშიც: ეს ბიზანტიის კეისრისაგან შავი ზღვის ამ სანაპიროზე კვლავ გაბატონების დასაწყისი იყო. ამის არავითარი სურვილი, არც ტოაპიზონელთა საქართველოს მომხრეთა დასსა და არც მით უმეტეს თვით საქართველოს მთავრობას არ შეიძლება ჰქონოდა, უკანასკნელისათვის საქმის ასე დატრიალება სამხრეთ-დასავლეთითაც მტრულად განწყობილი, შუღლის დამთესი ბიზანტიის დამეზობლებას მოასწავებდა. ამიტომ მას არ შეეძლო ტრაპიზონის სამეფოში პოლიტიკური ვითაობების ასეთი ცვლილების გულხელდაკრებილ გარეშე მაყურებლად დარჩენილიყო.

უბრძოლველად პოლიტიკური გავლენის ასეთ მნიშვნელოვანი სფეროს ბიზანტიისათვის დათმობა უგუნურება იქმნებოდა და, უეჭველია, სწორედ ამიტომ უნდა იყოს, რომ დავით-ნარინი 1282 წ. აპრილში ტრაპიზონის საკეის-

როში შეიჭრა და ქ. ტრაპიზონი გარემოიცვა, მაგრამ უშედეგოდ. „Μετὰ δὲ τὸ ϛφϙ (1282 p. Chr.) ἔτος, ἀπριλλίου μηνὸς ἦλθεν ὁ βασιλεὺς Ἰβηρίας Δαυὶδ καὶ ἐπεριώριζε τὴν Τραπεζοῦντα ἀλλὰ ἀπεστράφη κενός. [„6790 წლის შემდეგ, აპრილის თვეში, მოვიდა იბერიის მეფე დავითი და გარემოიცვა ტრაპიზონი; მაგრამ ხელცარიელი გაბრუნდა უკან“][1]. უკანასკნელი გამონათქვამი ტრაპიზონის აღებას ეხება მხოლოდ, ტრაპიზონამდე კი მიწაწყალი დავით-ნარინს დაპყრობილი ჰქონდა. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ იოანე II თავის თანამეცხედრითურთ ტრაპიზონში მხოლოდ 1284 წ. 25 აპრილს დაბრუნდა, შესაძლებელია ეჭვი დაიბადოს, რომ ასეთი განსაცდელის დროს, კონსტანტინეპოლში მისი ესოდენ ხანგრძლივი დაყოვნება მარტო ბიზანტიის მთავრობის ბრალი არ იყო, არამედ ამაზე უფრო მეტად ტრაპიზონის სამეფოში დატრიალებული ამბისაც, რათგან უკვე 1282 წ. ბიზანტიის ენერგიული კეისარი მიხაელ VIII პალეოლოგოსი გარდაიცვალა და მის მაგიერ მისი შვილი ანდრონიკე II გამეფდა, რომელიც მეტად სუსტი მმართველი და უბედო მეომარი გამოდგა.

რა გარემოებაში მოუხდა იოანე II-ს 24 აპრილს 1284 წელს თავის საკუთარ ქალაქს ტრაპიზონში დაბრუნება, დანამდვილებით ცნობილი არ არის, მაგრამ ამ შეძახვევაში მისი კეისრობა ხანგრძლივი აო გამოდგა: 1285 წ. იოანე II ის დამ თეოდორამ, რომელიც საქართველოში იყო გათხოვილი, შეჰყარა ჯარი, შეიჭრა ტრაპიზონის საკეისროში და, ტრაპიზონის აღების შემდეგ, თითონ დაჯდა ტახტზე. ცხადია, რომ მისი ჯარი მთლიანად საქართველოს ჯარი უნდა ყოფილიყო და თითონ თეოდორასაც იმავე დროს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკისა და ქართველთა მომხრე ტრაპიზონელ სამხედრო დასის წყალობით შეეძლო გაემარჯვა. სამწუხაროდ, საქმეთა მერმინდელ მიმდინარეობაზე წყაროებში ცნობები არ მოიპოვება და ამიტომ არა ჩანს, თუ როდის და როგორ მოახერხა 1297 წ. გარდაცვლილმა იოანე II-ემ თავისი ხელისუფლების დაბრუნება და კვლავ გაკეისრება. ამრიგად, ზემომოყვანილი ამბებითგან ნათლად ჩანს, რომ საქართველო XIII ს. მეორე ნახევრითგან მოყოლებული ტრაპიზონის საკეისროს, რომელიც მისი წყალობით იყო შექმნილი და რომლის მოსახლეობაც უმთავრესად ქართველთა მოძმე ტომის, ლაზების ანუ ჭანებისაგან, შესდგებოდა და ამიტომ მის ბედიღბალს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ფხიზლად ადევნებდა თვალყურს და იქ თავისი წინანდელი უპირატესი უფლების დაცვას ცდილობდა.

---

[1] Трапезундская хроника Михаила Панарета, ალ. ხახანაშვილს გამოც. 83. 2. Москва 1905. მიხეილ პანარეტის „ხახულებითგანა“ ჩანს, რომ დავით ნარინს 1282 წ. აპრილში ქ. ტრაპიზონი გარემოუცავს, მაგრამ შემდეგ ისევ უკან გაბრუნებულა (ქრონ. ა. ხახანაშვილის გამ. 2). ბიზანტიელ ისტორიკოსს სამწუხაროდ ამ გალაშქრების მიზეზის, თუ საბაბის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, და იმის გამო, რომ ამ ამბავს ყამთა ალმწერელი არც-კი იხსენიებს, საქმის ვითარება გამოურკვეველი რჩება.

თავი მეექვსე

მეფე დიმიტრი მეორე თავდადებულად წოდებული

(საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები დიმიტრი თავდადებულის დროს)

მონღოლთა ბატონობის დროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების გამოსარკვევად ჟამთააღმწერელის ერთს ცნობასა აქვს მნიშვნელობა. ორივე დავით მეფეებისაგან საქართველოს ვითომც ორად გაყოფის ამბავში მას სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ «განყვეს ორად, ტფილისი ორად, ქუთათისი ორად და თავადები და ერისთავნი ურთიერთს შეასწორნეს ნიკოფსით დარუბანდამდე და განყვეს სამეფო საპურჭლენი»-ო (* 832, გვ. 677). თუ ეს ცნობა ჟამთააღმწერელს თავის წყაროთგანა აქვს დაუმახინჯებლივ ამოღებული, და აქ ისტორიულ გამონათქვამთან კი არა, ცხოვრების უჟყუარ გამოხატულებასთან გვაქვს საქმე, მაშინ ცხადი ხდება, რომ 1261—62 წ. საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვარი აღმოსავლეთით წინანდებურად დარუბანდამდის ყოფილა გადაჭიმული.

ქართველს ჟამთააღმწერელს ერთგან, სადაც ბერქა და ჰულაგუ ყაენთა შორის ამტყდარი ბრძოლის აღწერილობაა, ნათქვამი აქვს, რომ ჰულაგუ ყაენმა თავისი ჯარისათვის დიდი საფარი გააკეთებინა 1263—64 წ. შირვანის ქვეყანაში «საზღვართა საქართველოსათა ადგილსა, რომელსა უწოდიან ჩალან-უსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი»-ო (* 844, გვ. 689). ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს უფრო ზედმიწევნით გამოვარკვიოთ, თუ სადამდის აღწევდა საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვარი მონღოლთა ბატონობის დროს, მაგ. 1263—64 წელს.

სპარსულ საისტორიო წყაროებშიც იხსენიება 1265 წ. ბერქა და ჰულაგუ ყაენის შვილის აბაღა ყაენის ლაშქართა შოოის ამ ადგილას მომხდარი ბრძოლა და ამ მდინარის ორი სახელია აღნიშნული: ერთი მონღოლური „ჩალან მურანი“, მეორე კი თურქული „აღსუ“. ორივე მართლაც თეთრ წყალსა ნიშნავს[1].

ამ ადგილის მდებარეობის გამორკვევას მდინარის სახელი გვიშველიდა, მაგრამ „აღსუ“-ს სახელის მატარებელი წყალი ამიერკავკასიაში სულ ცოტა ხუთი მაინც მოიძებნება: ერთი მათგანი ყაზახის თემშია და 5 ვერსიან რუკაზე 62°30 — 41°00, მეორე საინგილოშია 64°45 — 41°15, მესამე სამურისა და ნუხის თემებშია — 65°15, — 41°15, მეოთხე შუშის თემში 64°30 — 40°00 და მეხუთე ერევნის შარურ-დარალაგიოზის თემშია 63°15—40°00.

საკმარისია ადამიანმა რუკას დახედოს, რომ დარწმუნდეს, რამდენად შეუძლებელია საინგილოში მყოფი ქურმუხის წყლის პატარა შემდინარე აღ-სუ ამგვარ მნიშვნელოვან ადგილად ვიცნათ. ამგვარადვე ყაზახში მყოფი აღსტაფურას

---

[1] იხ. ჰამმერი, I, 254—255.

პატარა შემდინარე „ახსუც“ დაუჯერებელია, რომ ამ საძებნელ მდინარედ ეცნათ. ყველაზე მეტად დასაჯერებელია სწორედ ნუხა-სამურის თემში მყოფი „ახსუ“ მივიჩნიოთ იმ „აღსუ“-დ და ჩაღანუსუნად, ან ჩაღანმურანად, რომელთანაც საქართველოს მაშინდელი საზღვარი ყოფილა და მონღოლთა ყაენების გადამწყვეტი ბრძოლა მომხდარა. სწორედ აქ არის ამ წყლის აღმოსავლეთის ნაპირზე ეხლაც შენახული გეოგრაფიული სახელი „ჩაღან“, რომელიც ამ მდინარის იმდროინდელი მონღოლური სახელის ჩაღანუსუნის ნაშთი და პირველი ნახევარია, ხოლო დასავლეთით „მუღანლი“ მდებარეობს და აგრეთვე მონღოლთა აქ მყოფობის მომასწავებელი ერთი საბუთთაგანია. ამასთანავე ეს ადგილი, მართლაც, შირვანის მოსაზღვრეა, როგორც ეს ქართველ ყამთააღმწერელსაც აქვს ნათქვამი. ამ გარემოებით ცხადი ხდება, რომ საქართველოს მაშინდელ აღმოსავლეთის საზღვარი შამახიის თემამდის აღწევდა.

საქართველოს სამხრეთის საზღვრის გამორკვევას ერთის მხრით იმავე ყამთააღმწერელის კიდევ ერთი ცნობა გვიადვილებს, მეორე მხრით აბუსაადის ანისის წარწერა. ამ შემთხვევაშიც უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ორი საზღვარი არსებობდა: ერთი ქართველთა ტომობრივი მოსახლეობის შემომსაზღვრელი, მეორე კიდევ სახელმწიფოებრივი.

სტ. ორბელიანს ორი ცნობა მოეპოვება, რომელთა მიხედვითაც დიმიტრი II დროს აღმოს. საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების გამორკვევა შეიძლება. ყაენმა მისი სიტყვით დიმიტრი მეფეს, რომელიც მონღოლთა ილხანს უყვარდაო, მისცა მთელი სომხეთი, ავაგის სახლი, შაჰანშაჰის სახლი, გაგელი და ათაბაგ სადუნის შვილები-ო: *„ამა ნიმა ფამნიოს, ბეჩსოფნი Հայոց՝ զտունն Աւագեան և զտունն Շահանշահեան և զԳագկեցին և զորդին Սադուն աթաբէկին“*. ამავე ავტორის მომდევნო მოთხრობითგან ირკვევა, რომ ავაგის სახლს, ანუ ქვეყანას ადარატის თემი შეადგენდა: *„Երկիրն Աւագեան յԱդրատոս*[1]*“*.

სტეფანოზს აღნიშნული აქვს აგრეთვე, რომ ახლად გამეფებულმა დიმიტრიმ ტარსაიჭს ორბელს ათაბაგობა უბოძა მთელ თავის სამფლობელოში თბილისამდე, ანისამდე და კარამდეო: *„եւ ետուաւ ի վերայ ամենայն տէրութեան իւրոյ մինչեւ ի Տփղիս և յԱնի և ի Կարս*[2]*“*.

საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრის სამხრეთის ხაზის გეომოსარკვევად სომხური წარწერების ცნობების გამოყენებაც შეიძლება. 1285 წ. ავანის წარწერაში დიმიტრი თავდადებულის შვილს დავითს თავის წარწერა დიმიტრის მეფობით აქვს დათარიღებული და თვით დიმიტრი თავდადებული ქართველთა და სომეხთა მეფედ იწოდება: *„ի թագաւորութեան Վրաց և Հայոց Դիմիտրէի նա Դաւիթ որդի Դիմիտրէ թագաւորին“*.

„მეფობასა ქართველთა და სომეხთა (მეფისა) დიმიტრისათა მე დავითძემან დიმიტრი მეფისამან“ ეს და ეს წყალობა მოგანიჭეთო[3].

---

[1] სტ. ორბელიანი, ისტორია, 426.

[2] იქვე.

[3] *Շահխ. 435 (ք 160), Ալիշ. Այր. 293*; კოსტანიანი *Վ. Տ.* 127.

ეს ერთად-ერთი მაგალითი არ არის და სხვებში ამგვარი დათარიღება საქართველოს მეფის ძეს კი არ ეკუთვნის, რაც შესაძლებელია ადამიანს მხოლოდ წინანდელ პოლიტიკური მდგომარეობის მხოლოდ რეალურ მნიშვნელობას მოკლებულ ნაშთადღა ეჩვენოს, არამედ თვით სომხებსვე. გომავანქის 1283 წ. არუჭისა და მარძის 1285 წ. და სურბ-კირაკის 1286 წ. წარწერები ყველა დიმიტრი თავდადებულის მეფობით არიან დათარიღებული[1]: *„Թագաւորութեան Վրաց Դեմետրի Բագրատունւոյ“*, *և Թագաւորութեան Դեմետրէ“*, *ի Թագաւորութեան Դիմիտրի, որդւոյ Դաւթի“*.

აბუ საგიდ ბაჰადურ-ხანის ანისში ნაპოვნი XIII ს. დამდეგის ცნობილი სპარსულად დაწერილი იურლაყითგანაც ცხადადა ჩანს, რომ ქ. ანისი და სომხეთის დანარჩენი ნაწილი ამ დროსაც წინანდებურად საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა[2].

ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობილ გეოგრაფიულ შრომითგანაც ჩანს, რომ XIV ს. პირველ ნახევარშიაც ანისი და კარი, რომელიც უკვე ყარსად არის ამ თხზულებაში წოდებული, ისევ საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ. სომხითის ვილაიეტად ამ დროს ხლათისა, არჭეშისა, ვალაშკერდისა, ალატაღისა, მელასგერდისა და დვანის შემცველი ქვეყანა ითვლებოდა. ამ ვილაიეტის მმართველობა მაჰმადიანს მთავარს ჰქონდა ხელთ და მის მოადგილად ხლათი ითვლებოდა[3].

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲐ

1259 წ. დაბადებული დიმიტრი მისი დედის გვანცას ყაენისაგან სიკვდილად დასჯის შემდგომ 3 წლის ბავშვი იყო და ობლობაში ჰქონდა მას თავისი ნორჩი ასაკი გატარებული. რაკი დაქვრივებულმა ულუ-დავითმა გვანცას სიკვდილის შემდგომ, ისევ ცოლი შეირთო, მას ტარსაიჰ ორბელისათვის ჩაუბარებია ყრმა დიმიტრი გასაზრდელად და მასაც ობოლი უფლისწული თავის სახლში წაუყვანია. ამგვარად, დედის ალერსს მოკლებული დიმიტრი მამის სიყვარულსა და მზრუნველობასაც ჩამოშორებული ყოფილა. მამის, ულუ-დავითის, სიკვდილის დროს 11 — 12 წლის ყმაწვილი იქნებოდა. გიორგი უფლისწულის უდროო სიკვდილის შემდგომ დიმიტრი ტახტის მემკვიდრედ იქცა და, როდესაც ულუ-დავითი გარდაიცვალა, სამეფო ტახტზე მცირეწლოვანი დიმიტრი უნდა ასულიყო. ამისთვის ყაენის დასტურიც იყო საჭირო. «მაშინ შეკრბეს თავადნი და დიდებულნი ქართველნი და წარიყუანეს მეფისა ძე დიმიტრი ურდოსა და

---

[1] იხ. კოსტანიანის *Ч. S.* 124, 126 და 127.

[2] იხ. Бартольд-ის Персидская надпись на стене Анийской Мечети Мануче СПБ 1911 წ. Анийская серия № 5, გვ. 5 და 7, სადაც სპარსული ტექსტია და რუს. თარგმანი, და 23.

[3] იხ. Ch. Scheffer-ის Sifâset Nameh-ს Supplément. Paris 1897 წ. გვ. ۴۴۹—۴۶۰. და Dorn-ის Geographica Caucasica: Mémoires de l' Académie impér. des sciences de St. Petersbourg, VI me serie. Sciences politiques, histoire, philologie, t. VII p. 511—514

მივიდეს შანშას ძისა იოანეს თანა და მანდატურთ-უხუცესსა თანა და წარჰყუა ოგიცა ურდოსა და მიიყუანეს ყანს წინაშე და ააურვეს მეფობა. და ვითარ იხილა ყანმან დიმიტრი, შეიწყალა, რამეთუ იყო ქმნულ-კეთილი და შვენიერი ხილვად და მოსცა ყოველი სამეფო, თჳნიერ სარგის ჯაყელისა, და წარმოატანა თანა სადუნი, რომელსა უბოძა მეფემან დიმიტრი ათაბაგობა და მოვიდა ტფილისსა, დასვეს ტახტსა მამათა-პაპათასა და აღასრულეს წესი კურთხევისა კათალიკოზმან და ეპისკოპოზთა და ყოველთა მთავართა საქართველოსათა ერეთით, კახეთით, სომხითით, ქართლით და ჯავახეთით და ტაოთ რომელნი შეკრებულ იყუნეს»-ო (ყამთა

. * 869—870, გვ. 714).

ჩვეულებისაებრ ქართველ ყამთააღმწერელს არც ამ ცნობის თარიღი აქვს დასახელებული, მაგრამ მოთხრობის მიმდინარეობისდა მიხედვით 1271—2 წ. უნდა იყოს ნაგულისხმევი, იმიტომ რომ სიტყვები „მაშინ“ იმ დროს კი არ უნდა ეხებოდეს, რომელიც წინ უძღვის და დასავლეთი საქართველოს 1273 წ. თავგადასავალს მოგვითხრობს, არამედ იმ ხანას, როდესაც დიმიტრის მამა ულუ-დავითი გარდაიცვალა. თუმცა ეს უკანასკნელი ამბავი დასავლეთ საქართველოს ამბებზე უწინარეს არის მოთხრობილი, მაგრამ სიტყვა „მაშინ“ ყამთააღმწერელს კი არ უნდა ეკუთვნოდეს, არამედ მის წყაროს, რომელსაც დიმიტრის გამეფების ამბავი მამის სიკვდილის 1270—1 წ. უმალ ექმნებოდა აღნიშნული. სტეფანოს ორბელიანის სიტყვითაც მცირეწლოვანი ბატონიშვილი დიმიტრი სამეფო ტახტზე სომეხთა წელთაღრიცხვის 721, ან ქრისტესით 1272—3 წ. უნდა ყოფილიყო დასმული [1].

1259 წ. დაბადებული დიმიტრი სამეფო ტახტზე დასმის დროს 14 წლის ყმაწვილი უნდა ყოფილიყო. ცხადია ასეთ მცირეწლოვან მეფეს სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისათვის ძალა არ შესწევდა და უეჭველია მზრუნველი უნდა ჰყოლოდა. ასეთ ნებაყოფლობით, თუ ძალდატანებით მიჩენილ მზრუნველად უნდა ვიგულისხმოთ სადუნ მანკაბერდელი, რომელიც აბაღა ყაენს დიმიტრისათვის თან გამოუყოლებია. რასაკვირველია, სპარსეთის ილხანს ეს მცირეწლოვან მეფე დიმიტრისადმი მოჭარბებული სიყვარულით არ უქნია, არამედ სადუნ მანკაბერდელი, მზრუნველობასთან ერთად, ვითარცა ყაენის ერთგული, მონღოლთა ბრძანებელის კარგი მეთვალყურეც უნდა ყოფილიყო. ათაბაგადაც სადუნ მანკაბერდელი მარტო დიმიტრი მეფის პირადი თაოსნობით არ უნდა ყოფილიყო დანიშნული. თუმცა ისტორიკოსი ამბობს, რომ მას მეფე დიმიტრომ „უბოძა“ ათაბაგობაო, მაგრამ ის გარემოება, რომ მცირეწლოვან მეფეს სადუნისათვის ათაბაგობა ჯერ კიდევ საქართველოს დედაქალაქში დაბრუნებამდე მიუცია, მაშასადამე, სანამ ის ჯერ კიდევ ყაენის კარზე იყო, გვაფიქრებინებს, რომ სადუნის გაათაბაგება ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო.

«დაღათუ ჯერეთ ყრმა იყო» დიმიტრი მეფე, «არაჰედ ინებეს და წარავლინეს კაცი პონტოდ მეფისა ბერძენთასა კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავად დიდისა კონსტანტინესა და მოიყუანეს ასული კომნიანოსისა მეფისა ტრა-

[1] სტ. ორბელიანი, ისტორია, 425.

ბიზონელისა დიდებითა და საჭურჭლითა დიდითა და ქმნეს ქორწილი სამეფოსა წესისაებრ და შემდგომად მცირედისა ჟამისა მუცლად იღო დედოფალმან და შვა ძე და უწოდეს სახელად დავით, რომელ უკანასკნელ მეფე იქმნა ქართლსა» (ჟამთააღ. * 875, გვ. 719). დიმიტრი მეფის დაქორწინების თარიღიც ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს. წინამავალ მოთხრობას ეს ამბავი რომ ქრონოლოგიური წესით მისდევდეს, მაშინ დიმიტრი მეფის ჯვარის წერა უნდა ან 1278 წ. ან ამის შემდგომ ვიგულისხმოთ, რათგან წინ ქრონოლოგიურად მკაფიოდ განსაზღვრული შემთხვეულობა, ფარვანას სიკვდილია მოთხრობილი, რაც 1278 წ. მოხდა. მაგრამ ქორწინების თარიღად 1278 წ. რომ მივიღოთ, მაშინ ისტორიკოსის სიტყვები, თუმცა იმ დროს „ჯერეთ ყრმა იყო“-ო სრულებით შეუსაბამო იქმნებოდა იმიტომ, რომ 1259 წ. დაბადებული დიმიტრი პირველი ცოლის შერთვის ჟამს 19—20 წლის ჭაბუკი იქმნებოდა და არა ყრმა. ამ წლოვანობის ასაკს კი ცოლის შერთვისათვის იმ დროს მოსაბოდიშებელი არაფერი ჰქონდა, რათგან რუის-ურბნისის საეკლ. კრების ძეგლისწერის მიხედვითაც უკვე 16 წლის ვაჟიშვილის დაქორწინება შეიძლებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ თავის წყაროთგან ამოღებული ცნობა დიმიტრი მეფის ჯვარისწერის შესახებ ჟამთააღმწერელს გადაუსვამს და ამის გამო ისტორიულ შემთხვეულებათა თავდაპირველი წესრიგი და ქრონოლოგიური კავშირი დარღვეული უნდა იყოს. ჭეშმარიტებას ვგონებ უფრო უნდა უდგებოდეს, თუ ვიფიქრებთ, რომ ჟამთააღმწერელის წყაროში ყრმა დამიტრის დაქორწინების ამბავი მოთხრობის წესრიგით მის გაჭეფების ამბავს ან უშუალოდ მისდევდა, ან ცოტახნის შემდგომ. ქრონოლოგიურადაც ეს შემთხვეულობა ასევე უნდა ყოფილიყო ნეგულისხმევი და საქმეთა თანამიდევნილობა მხოლოდ ჟამთააღმწერელის მიერ ფანდაკდარ-ფარვანეს ამბავის შუაში ჩართვამ არია.

ამ გარემოების გათვალისწინების შემდგომ გასაგები და შესაფერისი იქმნება გამონათქვამი, თუმცა „ჯერეთ ყრმა იყო“-ო. 1272—3 წ. ან ამის ახლო ხანებში დიმიტრი მართლაც 14, ან 15 წლის ყმაწვილი იქმნებოდა და ასეთი ადრეული დაცოლიანების მობოდიშებაც ისტორიკოსის მხრივ სრულებით ბუნებრივი იქმნებოდა.

ამის გამო დიმიტრის დაქორწინებისათვის მიღებული ბატონიშვილ ვახუშტის[1] და ბროსეს[2] თარიღი 1277 წ. მცდარად უნდა იყოს. მიჩნეული მეტადრე, თუ ვახუშტს დავუჯერეთ და დიმიტრის დაბადების თარიღად 1256 წ. მივიღეთ, 1277 წ. დიმიტრი 21 წლის სრულჭასაკოვანი ჭაბუკი იქმნებოდა და არა მცირეწლოვანი ყმაწვილი, როგორც ისტორიკოსის სიტყვით ჯვარისწერის დროს ყოფილა. მაშასადამე, დაახლოვებით 1272—3 წ. მცირეწლოვანი დიმიტრი მეფე დაუქორწინებიათ.

ამისდა მიხედვით მეფე დიმიტრის პირმშო ძის დავითის დაბადება, რაკი ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ დედოფალი „შემდგომად მცირედისა“ დაორსულდა და შვილი ეყოლა, უნდა 1273—4 წ. ვივარაუდოთ. შენახულა ავანის

---

[1] ვახუშტი, ისტ. ბაქ. 253.
[2] H d. G. I, 591 შენ.

1285 წ. სომხური წარწერა, რომელშიაც დავით უფლისწული თავისი მამის, დიმიტრის, მეფობაში გადასახადისაგან ათავისუფლებს [1]. ამ წელს დავით მეფის ძე 14—15 წლისა იქმნებოდა და ამ წლოვანობაში ზემოაღნიშნულ შინაარსის ბრძანებისა თუ წყალობის წარწერა დავითისაგან, რომელიც სომხითში თავის საუფლისწულოში 1284 წ-ითგან მოყოლებული ცხოვრობდა, უფროადვილი გასაგებია, ვიდრე 6—7 წლის ბავშვისაგან, რა წლოვანობისაც ის 1285 წ. იქმნებოდა, დიმიტრის რომ პირველი ცოლი მართლა 1277 წ. შეერთო, როგორც ამას ვახუშტი და ბროსე ფიქრობდნენ.

ამ პირველი ცოლისაგან დიმიტრი II კიდევ ჰყავდა შვილი: «ამათ ჟამთა შინა კუალად მიუდგა დედოფალი და შვა ყრმა და უწოდა ვახტანგ» (ჟამთააღ. * 876, გვ. 720). ეს ცნობა მეორე ხალხის აღწერის ამბავს მისდევს, მაშასადამე, თითქოს 1278 წ. უნდა ვიგულისხმოთ, თუ აქაც ჟამთააღმწერელს თავისი წყაროს თხრობისა და ქრონოლოგიური წესი დარღვეული არა აქვს. ვახუშტსაც ეს წელიწადი აქვს თარიღად მიღებული [2].

დავითისა და ვახტანგის გარდა დიმიტრი II-ეს ტრაპიზონის კეისრის ასულისაგან კიდევ 3 სხვა შვილიც ჰყავდა. ისტორიკოსის სიტყვით «მეფესა დიმიტრის ესხნეს შვილნი დედოფალსა ტრაპიზონელისა ასულსა თანა პირმშო დავით, ვახტანგ, ლაშა და ნანოველ და ასული რუსუდანი» (ჟამთააღ. * 892—893, გვ. 734—* 902, გვ. 743—* 904, გვ. 745). თავისი უფროსი შვილი დავითი მამას გაუბარებია: ყაენი აჰმადის მოკვლის შემდგომ საქართველო მი დაბრუნებულმა დიმიტრი თავდადებულმა «წარავლინა ძე მისი დავით მცირე სახლსა ზედა ათაბაგისასა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქვნდეს საუფლისწულოდ» (ჟამთააღ. * 892, გვ. 734). აჰმადი 1234 წ. 10 აგვისტოს მოკლავთ, მაშასადამე, ამის შემდგომ და ახლო ხანებში აქვს შემატიანეს ეს ამბავი ნაგულისხმევი. ამ დროს დავითი 10 წლისა იქმნებოდა. ამავე გარეშოების შესახებ ოდნავ უფრო ვრცელი ცნობა სტ. ორბელიანსაცა აქვს: მისი სიტყვით დიმიტრი II-ემ ტარსაიჭ ორბლის ათაბაგობა უბოძა და თავისი შვილები დავითი და მანუელი აღსაზრდელად და მოსავლელად ჩააბარა [3].

დიმიტრი II-ემ თავისი ასული რუსუდანი მისცა ცოლად «შვილსა დიდისა ბუღასა». ამით ყოფილა «დიდად განრისხებული ნიკოლოზ კათალიკოზი» და მეფეს «ფრიად აბრალობდა და ღმრთისა სასჯელთა თვალუხრობასა იქადებდა» (ჟამთააღმ. * 886—887, გვ. 729).

როდის შეირთო დიმიტრი II-ემ მეორე და მესამე ცოლი, ჟამთააღმწერელს აღნიშნული არ აქვს. მისი მოთხრობის თანამიდევნილობის მიხედვითაც ამის გამორკვევა ძნელდება, რათგან ისტორიკოსი ამ ამბავს რამდენჯერმე უბრუნდება და არა ჩანს, რომელ შემთხვევაშია ქრონოლოგიური რიგი დაცული. პირველად ცნობა დიმიტრი თავდადებულის სამცოლიანობის შესახებ ჟამთააღმწერელს აბაღა ყაენის მონღოლთა და ქართველთა ჯარის

---

[1] Շահրս. 435 (μ 160). Ակիչ. Ակμ. 293: კოსტანიანის (Վ. Տ. 127).

[2] ვახუშტი, ისტორია დ. ბაქ. 258,

[3] სტ. ორბელიანი, ისტორია, 426.

სირმონის მეთაურობით გილანის დასაპყრობად გაგზავნისა და ამ ლაშქრობის უშედეგობის ამბის შემდეგ აქვს მოთავსებული (* 878, გვ. 722). ამ ლაშქრობის შესახებ კი ცნობები არ მოიპოვება. სპარსული წყაროების მიხედვით, 1270 წ. რომ აბაღა ყაენი ხვარასნითგან ბრუნდებოდა, გილანელნი დასცემიან და ყაენი მხოლოდ დიდი ლურისტანის ათაბაგს ჯუსუფ-შაჰს გადაურჩენია განსაცდელისაგან [1]. საფიქრებელია, რომ სწორედ ამის შემდგომ უნდა იგულისხმებოდეს გილანელების წინააღმდეგ ყაენისაგან მათ დასამორჩილებლად გაგზავნილი ლაშქრის უნაყოფო ცდა. მაგრამ 1270—1 წ. დიმიტრის არამცთუ სამი ცოლის, ერთი ცოლის შერთვაც არ შეეძლო, რათგან მაშინ ის ჯერ უფლისწული იყო მხოლოდ და თანაც სულ 11 წლისა იყო. ამიტომ ცხადია ეს ცნობა უალაგო ალაგას არის ჩართული და ამის მიხედვით დიმიტრის სამ-ცოლიანობის დათარიღება შეუძლებელია.

მაგრამ ამ გილანელთა წინააღმდეგ გალაშქრების ამბავს საქართველოს მეორეჯერი ხალხის აღწერის შესახები ცნობა უძღვის წინ (ჟამთაა.ღ. * 875, გვ. 719). მონღოლებმა ეს აღწერა 1278 წელს მოახდინეს. შესაძლებელია ამის მიხედვით გვიფიქრა, რომ სამცოლიანობის ამბავს ქართველი ისტორიკოსი ამ წლის ახლოხანს გულისხმობდეს. მაგრამ ჟამთააღმწერელს მეორეჯერაც აქვს დიმიტრი თავდადებულის სამცოლიანობის ამბავი და ამ შემთხვევაში ჩვენი ისტორიკოსი თითქოს ამ გარემოების დროის განსაზღვრასაც ცდილობს. მას აქვს ყაენისაგან თავისი ძმის ყონღარდას (ყონღურადაჲს) მოკვლეინების შემდგომ ნათქვამი აქვს: «აქამომდე მეფე დიმიტრი კეთილად მმართებელი სკიპტრათა სამეფოთა... სისრულისაგან მცირედ მიდრკა და აღერია წარმართთა და ისწავნა საქმენი მათნი უძღებებისა და სიძვისა გულისსიტყჳსა შედგომილმან მოიყუანნა სამნი ცოლნი: ერთი ბექას ასული და სხვა»-ც კიდევ (* 887, გვ. 729). როგორც ამ წინადადების პირველი სიტყვითგანა ჩანს, ჟამთააღმწერელს ჰსურდა თავის მკითხველისათვის ემცნო, რომ მანამდე, „აქამომდე“ დიმიტრი ერთცოლიანობას მტკიცედ იცავდა, ხოლო ამ დროითგან მოყოლებული კი სხვების მაგალითს აჰყვა და მეორე და მესამე ცოლიც მოიყვანა. რაკი აქმად ყაენმა თავისი ძმა ყონღურატაჲ 1284 წ. მოაკვლეინა, ამიტომ ისე გამოდის, რომ ჟამთააღმწერელს დიმიტრი II-ისაგან სამცოლიანობის შემოღების თარიღად 1284 წ. აქვს ნაგულისხმევი. აღსანიშნავია, რომ დიმიტრი თავდადებულს სწორედ ამავე 1284 წ. თავისი ორი ძე დავით და მანუელი ტარსაიჭ ორპელისათვის ჩაუბარებია აღსაზრდელად და მოსავლელად, თანაც საუფლისწულოდ მაშულიც მიუცია. შესაძლებელია, რომ მეფის ეს ნაბიჯი ახალი ცოლის შემოყვანით იყო გამოწვეული.

დიმიტრი თავდადებულის პირველი ცოლის ვინაობა ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, ის ტრაპიზონის კეისრის ასული იყო, ერთი სამცოლთაგანიც ბექა ჯაყელის ასული ნათელა იყო (ჟამთააღ. * 887, 893, 904, გვ. 729, 734 და 745). გამოსარკვევია მხოლოდ კიდევ ერთი ცოლის ვინაობა. თუ პირველი ცოლი ბერძენთა ბატონის ასული იყო და ნათელა

[1] ჰამმერი. I, 274.

ქართველი მთავარის ასული, მეორე ცოლი „თათრის ასული“ ყოფილა (იქვე *893, გვ. 734). სახელად მას „სოლღარი“ ჰქმევია. ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ დიმიტრი თავდადებულის სიკვდილის შემდგომ მისი ცოლი «ესოლ-ღარ» წარვიდა სახლსა მამისა მისისა თათარში» და მამასთან წასულ მეფის ცოლს «სოლღარს წარჰყუეს ორნი შვილნი» (იქვე *902, გვ. 743). ჟამთა-აღმწერელისაგან ვიცით, რომ დიმიტრი თავდადებულის პირველი ცოლი და მისი ნამდვილი თანამეცხედრე ტრაპიზონის კეისრის ასული იყო. ამავე ისტორიკოსს ამ სამი ცოლისაგან ნაშობ შვილების ჩამოთვლის დროს პირველად ტრაპიზონელი უფლისწულის შვილები ჰყავს დასახელებულნი, შემდეგ „თათრის ასულის“ და სულ ბოლოს ბექა ჯაყელის ასულის ნათელას ვაჟი-შვილი იხსენიება (*893, გვ. 734). უეჭველია, ჟამთააღმწერელს ამ შემთხვევაში დიმიტრი II-ის ცოლები შერთულობის რიგისდა მიხედვით უნდა ჰყავდეს დასახელებული და ამისდა გვარად თათრის ასული სოლღარ ხეფის მეორე ცოლი უნდა ყოფილიყო და ნათელა, ბექა ჯაყელის ასული, მესამე ცოლი.

დიმიტრი თაკდადებულს მეორე და მესამე ცოლთანაც ჰყავდა შვილები. სახელდობრ, სოლღარ „თათოისა ასულისა თანა“ მეფეს ჰყოლია «ძენი ორნი ბადურ და იადგარ და ასული ჯიგდა-ხათუნ» (ჟამთააღ: *893, გვ. 734). დედას შვილებისთვის მონღოლური სახელები დაურქმევია. მესამე ცოლმა ასულმა ბექასმან ნათელ უშვა ძე მხოლო გიორგი» (იქვე).

XIII-ს. საქართველოს ჯარის მონაწილეობა ყაენთა ყველა ლაშქრობაში

დიმიტრი II-ეს ტახტზე ასვლისთანავე სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა მცირეწლოვანობის გამო, რასაკვირველია, არ შეეძლო, არამედ მხოლოდ, როდესაც «აღიზარდა მეფე დიმიტრი», მაშინ თითონ «იწყო საურავთა საქმეთა კეთილად განგებად» (ჟამთააღ. *872, გვ. 716). ქართველ ისტორიკოსის ეს ცნობა საბერძნეთის სულტნის ფარვანას აბაღა ყაენის შიერ მოკვლის აძბავს მოსდევს და რათგან ეს ჰირი 23 ივლ. 1278 წ. იქმნა სიკვდილად დასჯილი, ამიტომ დიმიტრი თავდადებულის სახელმწიფო მართვა-გამგეობისათვის მოწიფებულობა ჟამთააღმწერელს ამ წელითგან აქვს ნაგულისხმევი. 1278 წ. დიმიტრი ცხრამეტის შესრულებული იქმნებოდა, ან მეცხრამეტეში იქმნებოდა გადამდგარი და სამოქალაქო სრულჰასაკოვანობამდე მართლაც მიღწეული იყო.

სრულწლოვანობის შემდგომაც სამეფოს მართვა-გამგეობაში დიმიტრი მეფე მაინც მთლად დამოუკიდებელი ვერ გახდა, არამედ მაინც «ჴელთა შინა სადუნისათა იყო, რაქეთუ ფრიად განადიდა სადუნი ყანმან» (ჟამთააღ. *872, გვ. 717). სრულწლოვანად ქცევის შემდგომ «ძეფემან დაიწყო სიბასა წარსვლად» (იქვე *873, გვ. 717) და ამნაირად მოლაშქოობის მონაწილედ გახდა. მაგრამ ჟამთააღწერელსავე ნათქვამი აქვს, რომ ამასიის (=ჰეძსის) ბრძოლაში «მეფე დიმიტრი დაღათუ ჯერეთ არა სრულ იყო დღეთა ბრძოლათათვს, ევედრა მანგუდემურს (მონღოლთა ჯარის მთავარსარდალს), რათა წინამბრძოლად განაჩინოს»-ო (*884, გვ. 727). ეს ბრძოლა კი 14 რე-

ჯებს 680 წ. ჰიჯრ., ანუ 30 ოქტომბერს 1281 წ. მოხდა[1]. ამ დროს დიმიტრი 21—22 წ. იქმნებოდა და ამ ხნის ჭაბუკს მეტადრე მაშინ ომში წასვლა შეეძლო, ამიტომაც უსრულჰასაკოვნად ვერ ჩაითვლებოდა. მაგრამ ჰამდალლაჰ ყაზვინის ამ ბრძოლის თარიღად 678 წ. ჰიჯრ. რეჯების თვე აქვს დახასიელებული (გვ. ٥٨٢), რაც 1279 წ. 7 ნოემბ.—7 დეკ. უდრის. ამ დროს დიმიტრი მართლაც ჯერ ოცი წლისა სრული იქნებ არც ყოფილიყო.

1277 წ. აბაღა ყაენმა ეგვიპტის სულტანის ყიჟაყის ფუნდუყდარ ბეიბარსის წინააღმდეგ გაილაშქრა და თან 3000 მეომრისაგან შემდგარი ქართველთა ჯარიც წაიყოლა. მაგრამ «მიუმცნო სულტანსა საბერძნეთისასა ფარვანას», რომ მასაც ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო. «უწინარეს ამის ყამისა», 1257 წ., «აღსრულებულ იყო სულტანი ყიასადინი და მონასა მისსა ფარვანას მიეტაცა სულტნობა და ცოლიცა მისი ასულის ასული რუსუდანისი გურჯი ხათუნ მიეყუანა ცოლად» (ყამთაა ღ. * 871, გვ. 715). მაგრამ ფარვანას, როგორც მონღოლებმა შემდეგ შესწამეს, პირიქით ეგვიპტის სულტანთან ჰქონია საიდუმლო კავშირი, რომელსაც მონღოლთა შეერთებული ჯარის მდგომარეობაც კი უცნობებია ჩუმად. ამის წყალობით 1277 წ. 16 აპრილს ფუნდუყდარ სულტანი ყაენის ჯარს «ზედა დაესხა ყამსა განთიადისასა» და იქმნა ძლიერი ბრძოლა, სადა იგი მჭნედ ბრძოლა უყუეს ქართველთა, რომელ თათარნი განკჳრდეს». ქართველებმა უკუქცევა თურმე იუკადრისეს და ამის გამო 3000 მეომრითგან სიკვდილს ცოტა ღა გადურჩა. ამ ვერაგობისათვის შეწამებული ფარვანა სასტიკად იქმნა დასჯილი და თუმცა «არა ენება აბაღას მოკვლა მისი, არამედ ნოინთა მოაკუდინეს ფარვანა და აღიღეს ყოველი სიმდიდრე მისი» (ყამთაა ღ. * 872, გვ. 716). ეს ამბავი 16 აპრილს 1277 წ. ნოტდა[2].

დიმიტრი მეფეს, დაჭაბუკების შეჰდგომ, მონღოლთა ყაენების ყველა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება უხდებოდა. პირველი დიდი ლაშქრობა, რომელშიაც საქართველოს ჯარითურთ დიმიტრი II-მაც მონაწილეობა მიიღო, ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ დაწყებული ომი იყო. ამ გალაშქრებაში, დიმიტრი მეფის გარდა, მონაწილეობა სამცხის მთავარმა ბექა ჯაყელმაც მიიღო მესხთა ჯარითურთ. რათგან ბექას ეშინოდა, რომ განდგომილებისათვის ყაენს ბექასთვის შური არ ეგო, ამიტომ მონღოლებთან წასვლამდე უვნებლობის ფიცი მოსთხოვა პირადად თავისთავისა და ქვეყნისათვისაც. ყაენის მთავარსარდალმა მანგუდემურმა ბექას სიხარულით «ოქროს წყლისა შესმითა შეჰფიცა და ყოველი სიმტკიცე აღუთქვა და მისცა ბეჭედი, რომელი ეცვა თითსა მისსა, რამეთუ ესე იყო მტკიცე საფიცარი»-ო (ყამთაა ღ. * 883, გვ. 726).

პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლა ქ. დარბუზაკ-თან მოხდა. ქართველი ჯარის რიცხვი 5000 მეომრისაგან შესდგებოდა, მონღოლების დანარჩენი ლაშქარი კი 25000 კაცს შეიცავდა[3]. დარბუზაკთან ბრძოლაში ბექა ჯაყელს, თა-

---

[1] ჰამმერი, I, 312.

[2] ჰამმერი, I, 295—299 და Ann. musl. T. V, p. 57. Makrisi, Histoire des Mameluks trad. par. Et. Quatremère II. 141. Brosset, H. d. G. I, 587. ჰამდალაჰ ყაზვინი-ს ტარიხ-ი გუზიდაჰ, გვ. ٥٨٢).

[3] ჰამმერი, I, 312.

ვიანებითურთ განსაკუთრებული გულმოდგინეობა და გულადობა გაიოუჩენია; «ბექამან და მისთა მყოლთა მესხთა ძლიერად იღუაწეს უფროს სხვათა ფალთართა და ქართველთა» (ეამთაალ. *883, გვ. 726), ალბათ მონღოლებისათვის თავიანთი ერთგულების დამტკიცება ჰსურდათ. მთავარსარდალმაც ამ ღვაწლისათვის «პატივი დიდი უყო ბექასა შესამოსლითა და ცხენთა საკვრველთა მინიშებითა, ეგრეთვე დიდებულთა და აზნაურთა ბექასთა» (იქვე *883—784, გვ. 726—727).

შეორე ბრძოლა ქ. ამასიის მახლობლად მოხდა 30 ოქტომბერს 1281 წ., რომელშიაც ერთის მხრით ეგვიპტის სულტან მანსურის ლაშქარი იბრძოდა ამასიის დასაცავად, მეორე მხრით მათ წინააღმდეგ იერიშში მონღოლთა ყაენის ლაშქარი იყო, რომელშიაც აღმ. საქართველოს ჯარიც იღებდა მონაწილეობას. პირადი სურვილისაებრ დიმიტრი მეფე საქართველოს ჯარითურთ წინამბრძოლად იყო დანიშნული. ეგვიპტის სულტანმა მონღოლთა საყაენოს ლაშქარს მთელი მებრძოლთა ძალის გარდა «რჩეული მჴედარი თორმეტი ათასი» დაუპირდაპირა, რომ «განძლიერებასა და შენივრებასა ბრძოლისასა უკანასკნელ მიმტეეებელთა სძლონ და აოტნენ ქართველნი». დაუზოგავი ბრძოლა გაჩაღდა და ორთავე მხრითგან დიდი მსხვერპლი იყო. დიმიტრი მეფისგან წინამბრძოლ რაზმად გამოყოფილ 200 მხედრისაგან მხოლოდ 4 მებრძოლი-ღა გადურჩა სიკვდილს, მათ შორის ერთი თვით მეფე იყო, რომელსაც ყარა-სონღულმა ცხენი მოუკლა. ისე რომ დიმიტრი დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი. უცხენოდ «რომ «ეხილა მეფე სიქანალიძემან აბაშმან, მყის აღსვა მეფე ჰუნესა თჳსსა». ეგვიპტელთა ლაშქრის მარცხენითი წვერი ამ სასტიკი ბრძოლის წყალობით უკუქცეულ იქმნა ქალაქის კარამდის. მაგრამ მანგუდემური მოულოდნელად დაჭრილი ივლტოდა და მასთან ერთად მონღოლთა ჯარიც გაიქცა. რაკი «თჳთ მანგუდემურ უკმოიქცა ლტოლვით ყოველთა თანა სპათა მისთა, მაშინ უღონო-ქმნილთა ქართველთა სივლტოლა ეჴმიეს». ამ უწესრიგო გაქცევის დროს, რასაკვირველია, ჯარი საშინლად დაზარალდა: მეფე ძლივს გადურჩა განსაცდელს, ჯარისკაცთაგან მეტი წილი დაიღუპა: «განგებითა ზეგარდამოთა მეფე დაცულ იქმნა, დაღაცათუ უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს»-ო. (ეამთაალ. *884—885, გვ. 727—728). მაშასადამე, საქართველოს 5000 მხედრითგან სულ ცოტა 3000—4000 მეომარი მაინც დახოცილად უნდა ვიგულისხმოთ.

დიმიტრი მეფეს მარტო მონღოლთა დამპყრობელობითი გეგმების განსახორციელებლად კი არ უხდებოდა აღმ. საქართველოს ჯარითურთ ომში წასვლა, არამედ უნებლიეთ მონღოლთა შინაური ბრძოლის მონაწილედაც ხდებოდა. როდესაც აბაღა ყაენი 1282 წ. 1 აპრილს გარდაიცვალა, «დასვეს ნოინთა ყანად ძმა აბაღასი აჰმადა, არარა ნიჭთა საჭელმწიფოთა მქონებელი» (ეამთაალ. 866, გვ. 729). ეს ამბავი ამავე წლის 6 მაისს მოხდა[1]. აჰმადმა, რომელიც გამაჰმადიანებული იყო, თავისი ქცევით ნოინთა საერთო სიძულვილი დაიმსახურა და, როცა «ეხილეს უწესობა აჰმადისი ნოინთა ხვარასანს მდგომთა, განდგეს

[1] ჯაბერი, I, 323.

და დასვეს ყანად ძე აბაღა ყაენისა, სახელით არღუნ». აჰმადმა მაშინვე «შეკრიბა სპა მისი და მოუწოდა მეფესა (დიმიტრის) და სპასა მისსა, რათა წარჰყუეს ხუარასანს ბრძოლად არღუნ ყანისა» წინააღმდეგ. იმასაც სხვა გზა არ ჰქონდა «წარვიდა მეფე და თანა წარიტანა ყოველი ძალი მისი და მანდატურთა-უხუცესის დიდისა შანშას ძე ივანე და სადუნის ძე ხუტლუბუღა ამირსპასალარი». საქართველოს ჯარმა ერაყი რომ გაიარა და არღუნის ბანაკს მიუახლოვდა, როდესაც არღუნმა მონღოლთა ყაენისაგან მოყვანილი «სიმრავლე ლაშქრისა იხილა, ვერ წინააღუდგა, არცმედ ივლტოდა ციხესა ქალაქად წოდებულსა». მაგრამ აჰმადმა ამ ციხესაც ალყა შემოარტყა და, როდესაც «ულონო იქმნა არღუნ, ეგედრა, რათა არა აბრალოს და შეუნდო» დანაშაულობა. აჰმადმა «მისცა ფიცი უვნებლობისა» და ამის შემდგომ «გამოვიდა არღუნ ციხით და მოვიდა ბიძასა მისსა (აჰმად ყაენის) წინაშე» (ყამთააღმ. * 890, გვ. 732).

ჰამდალლაჰ ყაზვინი-ს ცნობით აჯანყებული არღუნის წინააღმდეგ აჰმად ყაენს ალინაყი გაუგზავნია ლაშქრითურთ. ბრძოლა ყაზვინთან მომხდარა 683 წ. ჰიჯრით (=1284 წ. ქ.) და არღუნმა გაიმარჯვა (ვერ?) და ხორასანისაკენ გაბრუნდა. აჰმადმა ლაშქარი დაადევნა და არღუნი იძულებული იყო თავი ციხე ქელატ-ში შეეფარებინა და იქითგან ალინაყს სთხოვა აჰმადთან მიეყვანათ. აჰმადმა დაჭერილი არღუნი ალინაყს ჩააბარაო [1]. ეს იმავე წლის 29 ივნისს მომხდარა.

უკანმიმავალ საქართველოს ჯარს გზაში დასცემია „ქრებული ჯიმრთა", რომელიც შესაძლებელია არღუნის მომხრე ტომთაგანი იყო და «სადაცა პოებდეს ქართველსა ერთსა, გინა ორსა, მოკულიდიან». მათ ასალაგმავად «სურამელის ბეგას შვილმან რატი»-მ, თუმც ჯერ კიდევ ჭაბუკმა „ყრმა"-მ, თავი გამოიდო და «წარვიდა სამოცითა კაცითა და პოვნა მთასა რასამე მაგარსა შინა მყოფნი კაცი სამასი». ამ თავიანთ ყოველმხრივ უზრუნველმყოფელი ბინითგან რატი სურამელსა და მის პატარა რაზმს ჯიმრნი «ზედამიეტევნენ და იქმნა ბრძოლა ფიცხელი და პირველსავე შეკრებასა მეოტ იქმნა და უმრავლესი მათი მოსწყდა», ხოლო დანარჩენნი, «სხვანი მოიყვანნა წინაშე მეფისა» დიმიტრისა, რომელმაც ჭაბუკ მეომარს რატის «დიდად პატივსცა» და მრავალი «ნიჭი უბოძა». ამნაირი ბრძოლით საქართველოს მოლაშქრენი «მოიწინეს რეჰსა და ყაზმინსა», სადაც «აჰმად ყანმა დიდად დაუმადლა მეფესა თანახლება ხვარასანს და პატივიცა უყო დიდი და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი მოსცნა»-ო (ყამთააღ. * 891, გვ. 733).

აჰმად ყაენმა რომ «ძმისწული მისი არღუნ დაუტევა რეჰსა» და ჩააბარა, «დაჰვედრა ალიყანს და სხვათა ნოინთა, რათა მცირედნი დღენი დაყუნენ და მერმე მოაკუდინონ არღუნ», ამის მაგიერ „ქნეს განზრახვა" და შეთქმულება მოახდინეს «დიდმა ბუღა და იას[უ]-ბუღა ნათესავით ოირადთა მთავარმან, რათა აბაღას შვილი არღუნ ყანად დასვან და აჰმადა მოაკუდინონ». თავიანთი განზრახვა სასწრაფოდ აასრულეს კიდეც და ჯერ «მივიდეს ღამით და გამოიყუანეს ალინაყ კარავსა შინა მწოლი და მოაკუდინეს», ხოლო როცა «ეანთენდა,

[1] ტარიხ-ი გუზიდაჰ, გვ. ۵۸۴—۵۸۵

არღუნ ყანად ქადაგეს და წარმოვიდეს დევნად აჰმადისა». შეთქმულების მონწყობთ დიმიტრი თავდადებულისათვის შეუთვლიათ, რომ ის ამ ბრძოლაში აჰმად ყაენს არ მოჰშველებოდა: «მეფესა დიმიტრის პირველვე მიუმცნეს, რათა განეყენოს აჰმადას». მეფე ამ ბრძოლაში აღარ გარეულა და აჯანყებული ნოინები აჰმადას მის ურდოში «უეანს მოეწივნეს და საბლითა მოაშოვეს» (ქ ა მ თ ა ა ღ. 891—892, გვ. 733—734).

სპარსელ ისტორიკოსთა მონათხრობითაც საქმის საერთო ეითარება ამგვარადვე გვეხატება, მაგრამ წვრილმანებში განსხვავებაა. აჰმადი გაუსამართლებიათ და სასამართლოს დადგენილების თანახმად ხერხემლის დამსხვრევით მოუკლავთ 683 წ. ჰიჯრ. 26 ჯუმად. ახირ. ანუ 1284 წ. 10 აგვისტოს.

არღუნის გაყაენებისთანავე დიმიტრი მეფე «მოვიდა ყანს არღუნს წინაშე, რომელმაც თურმე «კეთილად შეიწყნარა და მოსცა ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელ აქვნდა ს[აჰი]ფდივანს, რამეთუ ყანი ქელთა შინა ბულასთა იყო და ბუღა მოყუარეცა იყო და მზახალი მეფისა» (ქ ა მ თ ა ა ღ. *892, გვ. 734). ამის შემდგომ დიმიტრი თავდადებული საქართველოში დაბრუნდა და «სახლი ავაგ ათაბაგისა» საუფლისწულოდ თავის უფროს შვილსა და ტახტის მემკვიდრეს დავითს მისცა (იქვე).

ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს სიტყვით «მაშინ განუდგეს ყანს დარუბანდელნი და წარვიდა ყანი დარუბანდს, მოუწოდა მეფეს დიმიტრის» და მეფეც მოთხოვნის თანახმად «წარჰყუა და შევიდეს დარუბანდს და ვერ წინააღუდგეს დარუბანდელნი და ივლტოდეს სიმაგრესა ციხისასა, რომელსა ანიყად (თუ „ანუად") უწოდდეს». ამ ციხის გარემოცვასაც შესდგომიან, მაგრამ „ვერა ავნეს"-ო. მაშინ არღუნ ყაენმა «უბრძანა მეფესა, რათა ებრძოლოს». დიმიტრი თავდადებულიც შეუდგა საქმეს და საქართველოს ჯარითურთ «გარე შეეხვივნეს და შეუკრეს ციხესა» და «ბევას შვილი რატი უპირველეს გავიდა ციხეში და მტერს «წარულეს ციხე და თავადნი მათნი დაჴოცეს და წარმოიღეს ტყუე და განძი და დედაწული მათი და ციხე დაწვეს»-ო (ქ ა მ თ ა ა ღ მ. *893—894).

ჰ ა მ დ ა ლ ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი-ს ამის შესახებ თუმცა მოკლე ცნობა აქვს, მაგრამ ქართველი ისტორიკოსის ნაამბობს ზოგიერთში ავსებს და თარიღსაც შეიცავს. მისი სიტყვით ხაზარეთის ველითგან ნოყაჲ ამირა ბერქას ამირათაგანი დიდი სპითურთ ერანისაკენ საომრად გამოემგზავრა. არღუნ ყაენმა ტაღაჯარ ამირა მრავალ სხვა ამირებთან ერთად მათთან საომრად გაგზავნა, თანაც ჩობან ამირა დაადევნა. რაბიგის თვის 688 წ. ჰიჯრით (=1289 წ. 24 აპრილსა და 23 მაისს შუას) ბრძოლა მოხდა და ჩობან ამირამ გულადობა (ჯომარდობა) გამოიჩინა და მტრის ლაშქარი დამარცხებულ იქმნა [1].

[სადუნ მანკაბერდელი მეფრეზე ქეყნისმპარველი]

«ამათ ჟამთა სადუნი მანკაბერდელი განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთა მთავართა მის ჟამისათა, რამეთუ შეიყუარა (M შეიპყრა) ყანმან აბაღა, და იწყო ურვად საქმეთა საქართველოსათა, რამეთუ ასული პატრონისა მისისა

[1] ტარიხ-ი გუზიდაჰ, გვ. ٥٨٨

ავაგ ათაბაგისა შეეედრა სადუნსა და ხვაშაგმან ეჯიბობაცა მისცა»-ო (ჟამთააღ. *869, გვ. 713—714)

სადუნი ჭკვიანი კაცი იყო და «ყანი აბაღა ისმენდა სიტყუათა მისთა და დიდი საჰიბ დივანი ავაგ ათაბაგისა ამას აქვნდა და [რომელსა?] ასული მისი-[სა პატრონისა?] ხვაშაქ მოეყუანა ცოლად. ესე საჰიბ დივანი განდიდებულ იყო ყანის ულოსაგან და სადუნიცა მისგან განდიდებულ იყო და ყოველი საბრძანებელი ყანისა მისთა ხელთა შინა იყო და ბრძანებათა მისთა მორჩილებდეს» (ჟამთააღ. 874, გვ. 718).

დიმიტრი თავდადებული «ესრეთ ჴელთა სადუნისათა იყო, რამეთუ ფრიად განადიდა სადუნი ყანმან და იპყრა მეფისა დიმიტრისაგან თელავი და ბელაქანი და მრავალნი ქვეყანანი» (ჟამთააღ. *872, გვ. 717), მოთხრობილი აქვს ქართველს ისტორიკოსს 1278 წ. ქვეშე. «ბრძანებასა მისსა მორჩილებდეს» ყველანი უნებლიეთ და თვით საქართველოსა ოაშქართა საქმე და განგება ჴელთ უდვა ყანმან“ (ჟამთააღ. *874, გვ. 718).

როგორც მოთხრობის მიმდინარეობითგან საფიქრებელი ხდება, 1278 წ. რომ დიმიტრი მეფე ურდოს წასულა, ურდოში «სთხოვეს საფასე ურიცხვი მეფესა განზრახვითა სადუნისითა. ჰრქუა მეფესა სადუნმან „უკუეთუ მომცე დმანისი, მე მივსცე საფასე ყანსა“. ისმინა მეფემან და უნებელად მისცა დმანისი და მიმდგომი მისი და უმეტეს განდიდნა სადუნი» (ჟამთააღ. *873, გვ. 717).

სადუნი «მსახურებდა მეფესა დიმიტრის. განდიდნა დიდად ლაშქრითა და სიმდიდრითა ოქროსა და ვეცხლისათა. ჯოგისა და ხვასტაგისა არა იყო რიცხვი... და იყიდნა მრავალნი ქვეყანანი და უბოძეს მეფეთა კარი და დაჯდა კარსა. და მისი მიმდგომი ქვეყანა მოიეერაგა ახალციხელთაგან და ასული ახალციხელისა ცოლად მოიყვანა» (ჟამთააღ. *873—874, გვ. 717 — 18).

«სადუნი კეთილად განაგებდა საქმეთა საქართველოსათა, რამეთუ დღეთა მისთა არა იქმნებოდა ძალი თათართაგან და უსამართლო არცა დიდთა ნოინთაგან და არცა ელჩთაგან და ესრეთ აღშენდა საქართველო»-ო (ჟამთააღმ. *873, გვ. 717).

სადუნს კარგად სცოდნია საეკლესიო წრეების გულის მოგება და მისგან სწორედ ამიტომ «იქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ, რამეთუ დღეთა ცხორებისა მისისათა მან მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა და განათავისუფლნა ქვეყანანი გარეჯისა[ნი]» (ჟამთააღ. *873, გვ. 717).

სადუნ მანკაბერდელს მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეც ჰყავდა. «ორნი ძმანი აბულეთის ძენი სადუნისაგან ლტოლვილნი» ოუმის მმართველად მყოფ მონღოლთა ბატონიშვილ ყონღურატაჲსთან შეიხიზნენ. როდესაც აჰმად ყაენმა «მომყუანებელმან ძმისა მისისა ყონღარდისამან საბერძნეთით მოაკუდინა», მასთან შეხიზნული «ორნი ძმანი აბულეთის ძენი»-ც გამოიყვანეს და „ყონღარდასთანა მოაკუდინეს“. ეს მკვლელობა უკვე ყაენის ბრალი არა ყოფილა, არამედ აბულეთის ძენი თურმე «ხუტლუბუღა ძემან სადუნისამან მოაკუდინა»-ო (ჟამთააღ. *887, გვ. 729). მამის მტრული გრძნობა შვილსაც

არ დაჰვიწყებია და· შურისძიების წყურვილი დროთა განმავლობასაც ვერ დაუცხრია.

სადუნ მანკაბერდელი ჟამთააღმწერელის სიტყვით მანგუდემურის სიკვდილის «მცირედისა შემდგომად მოკუდა» (* 886, გვ. 729). აქეთგან ცხადი ხდება, რომ სადუნ ათაბაგის მანკაბერდელის სიკვდილი ისტორიკოსს 1281 წ. ნოემბრის შემდგომ და მაინცდამაინც აბაღა ყაენის სიკვდილამდე, ე. ი. 1282 წ. 1 აპრილამდე აქვს ნაგულისხმევი. მართლაც, სომხურ წარწერებში სადუნი 1280 წ. შემდგომ ცოცხლად აღარ იხსენიება და ზემომოყვანილი ცნობა სწორი უნდა იყოს.

სადუნ მანკაბერდელის სიკვდილის შემდგომ «მიუბოძა მეფემან (დიმიტრი) ნამული მისი ძესა მისსა ხუტლუბუღასა და სპასპეტობისა პატივსა აღიყუანა»-ო (ჟამთააღ. * 886, გვ. 729).

ისტორიკოსის სიტყვით არღუნ ოირადს დიმიტრი II-ის და, თამარი, თავისი შვილისათვის ცოლად უთხოვია და თანაც საბუთად მისი მამის ულუდავითის შეპირება დაუსახელებია: «კეთილად მოჴსენებულმან მეფემან, მამამან შენმან, მომცა ასული მისი, და შენი, სძლად ჩემდა და ცოლად შვილისა ჩემისა გარნა იგი ვერ ესწრა» და ეხლა ამის ასრულებას შენა გთხოვო. მეფეს ეს თხოვნა ვერაფრად მოსწონებია: «დიდსა ჭმუნვასა ჩავარდა და სულითა ტკივნეულითა ეძიებდა ღონესა და სძაგდა წარმართისა ქორწინებად დაჲ მისი ქრისტეს აღმსარებელი, გარნა არა იყო ღონე, რამეთუ მამასა მისსა მიეცა. და მისცეს ცოლად შვილსა არღუნისასა და აღასრულეს წესი ქორწილისა». ქორწილის შემდგომ არღუნი ურდოში დაბრუნებულა, შვილი კი დიმიტრი მეფესთან დაუტოვებია (ჟამთააღ. * 876, გვ. 720). ეს ამბავი დიმიტრი II-ის შვილის ვახტანგის დაბადების წინ და მეორე აღწეოის შემდგომ, ე. ი. 1278 წელს უნდა მომხდარიყო.

არღუნის სიკვდილის შემდგომ მისი შვილი საქართველოთგან რომ წასულა, თავისი ცოლი თამარი, დიმიტრი მეფის და, თბილისში დაუტოვებია. მასაც ამით უსარგებლია და მთიულეთში გაქცეულა იმიტომ, რომ თავისი ქმარი «სძაგდა ვითარცა უსჯულო და წარმართი»-ო. სადუნ მანკაბერდელმა, შეიტყო თუ არა, რომ «არღარა ჰნებავს დასა მეფისასა ქმარი და შვილი არღუნისი», მაშინვე «დაეეაჭრა, რათა მიჰყიდოს და მეფისა და ევედრა ყაენს აბაღას [ძეს?], ხოლო იგი ერჩდა და მოჰყიდა და მეფემან მისცა დაჲ თჳსი სადუნსა»-ო (ჟამთააღ. * 881, გვ. 725).

ისტორიკოსის ნათქვამი ცოტა ბუნდოვანია და მკაფიოდ აღნიშნული არ არის, თუ ვინ მიჰყიდა მეფის და თამარი, მაგრამ ზემომოყვანილი წინადადების მიხედვით საფიქრებელია, რომ აქ ქმარზე უნდა იყოს საუბარი («რათა მიჰყიდოს და მეფისა»). ყაენი ალბათ სადუნს ეხმარებოდა, რომ არღუნის შვილი თანახმა გაეხადა და თავისი ცოლი მიეყიდა. ეს შემთხვევა საუკეთესო მაგალითია იმ დაქვეითებული, პირველყოფილი მსოფლმხედველობისა და შეგნების, რომელიც მონღოლებსა ჰქონდათ და თავიანთ საბატონოს კულტურულად მათზე გაცილებით მაღლა მდგომ და თვით დაწინაურებულ ქვეყნებშიაც მათი მძლავრების წყალობით ვრცელდებოდა. ისტორიკოსსაც კი, რომელ-

საც ეს ცნობა აქვს მოყვანილი, სადუნის საქციელი უწესოებად უკვე მხოლოდ ამდენად მიაჩნდა, რამდენადაც სადუნს სამცოლიანობა ედებოდა ბრალად. ის გარემოება კი, რომ სადუნი თავისს საცოლოს მონღოლ ქმრისაგან ყიდულობდა, მას უკვე აღარ აკვირვებდა. ჟამთააღმწერელმა იცოდა, რომ მონღოლებთან სხვანაირად ამ საქმის გარიგება არ შეიძლებოდა.

როდესაც «სამნი ცოლნი მოიყვანა სადუნ»-მა, ასეთი საქციელისათვის «განწყრა კათალიკოზი ნიკოლოზ, კაცი მოსუცებული და მართლმკვეთელი», მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა, რათგან ისტორიკოსის სიტყვით, «მძლავრებისაგან სადუნისა ვერ უძლო განყენებად, არამედ ფრიად შეაჩვენებდა» (ჟ ა მ თ ა ა ღ. * 881—882, გვ. 725).

[ბუღა ჩინგისანგის შემოქკულების გავრცელება და ლემეზრეს მეფობის ფრაგმენტული ნუსხანი]

ბუღა ჩინგისანგის ყოვლადშემძლებლობა არღუნის საყაენოში იმდენად განუსაზღვრელი იყო, რომ ქართველი ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ა არ იყოს, არღუნ «ყანი ჯელთა შინა ბუღასთა იყო». მისმა მედიდურმა ქცევამ ბევრი მტრები გაუჩინა ისე, რომ თანდათან ყაენს მასზე გული აუყარეს. ბატონობას მიჩვეულმა ბუღამ იგრძნო, რომ გავლენიანობას დაკარგავდა და ეს არღუნის მხრით, რომელიც მხოლოდ მისი წყალობით გაყაენდა, სრულ უმადურობად მიაჩნდა. ამიტომ სხვა ნოინებთან მოლაპარაკება დაიწყო არღუნის საყაენო ტახტითგან ჩამოგდების შესახებ. ყაენობა ბუღამ და მისმა თანამზრახებმა ბატონიშვილს ჯუშყაბს შესთავაზეს. ამან იგრძნო, რომ ბუღას მხოლოდ არღუნის ჩამოგდება სწადდა და რომ შემდეგ მასაც ისეკე მოეპყრობოდა, როგორც არღუნი ჰყავდა დაბრიყვებული, ამიტომ ბუღას შეუთვალა, ამისთანა საქმეში ზეპირ ნათქვამს ვერ ვენდობი და თუ მართლა არღუნის ჩამოგდება გსურთ და ჩემი გაყაენება გინდათ, შენ და შენმა თანამოაზრეებმა ამის ხელწერილი მომეცითო. ბუღამ იმოდენი გულუბრყვილობა გამოიჩინა, რომ ბატონიშვილს ხელწერილი მიართვა. მაგრამ ჯუშყაბმა ეს საბუთი არღუნს ჩაუგდო ხელში და ეს შეთქმულება ვასცა. აქ კი არღუნის მოთმინება და ნდობა გაქრა: მან სასწრაფოდ განკარგულება გასცა, რომ ბუღა დაჭერილი მასთან მიეგვარათ. მტკვრის პირას მუღანთან ბანაკად მდგომ ყაენს მანამდე ყოვლადშემძლებელი ბუღა შეპყრობილი მიუყვანეს. როდესაც არღუნისაგან წარვლენილი ნოინები «დაესხნეს ბუღას და შეიპყრეს», მაშინვე «აღიღეს ყოველი სიმდიდრე მისი» (ჟ ა მ თ ა ა ღ. * 895, გვ. 735—736).

ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, ვითომც არღუნ ყაენმა «ბრძანა განუკითხავად მოკლვა მისი და ძისა მისისა» (იქვე), მაგრამ, სპარსული საისტორიო წყაროების ცნობით, ბუღას შეთქმულების საქმე სასამართლოს გამოუძიებია და განუკითხავად ის მაინც დასჯილი არ ყოფილა. ვ ა ს ს ა ფ ი ს სიტყვით, მხოლოდ როდესაც ჯუშყაბმა ბუღასა და მის თანაშეზრახებულთაგან ხელმოწერილი საბუთი წარადგინა, მარტო მაშინ უკვე იძულებული იყო ბუღა ვამომტყდარიყო. შეთქმულების სრულყოფის დღედ ამ საბუთში მონღოლთა ახალი წლის ღამე იყო დანიშნული. ყაენის ბრძანებით ბუღას თავი მოჰკ-

ვეთეს. სიკვდილი და დასაჯეს აგრეთვე «ყოველნი ნათესავნი ბუღასნი» (ჟამთააღ. *895, გვ. 736)

ჟამთააღმწერელს ბუღას სიკვდილად დასჯის თარიღი აღნიშნული ჯერ აქვს, მაგრამ იქ, სადაც მის შეპყრობაზეა საუბარი, შემდეგი ცნობა მოიპოვება: «ვითარცა გარდაჴდეს ჟამნი მრავალნი და რა ჟამს წელიწდისა თავი მოიწევის, რომელსა ურდსინგად უწოდდეს ენითა მათითა, რომელ არს რომელი იქმნების მარტსა ათხუთმეტსა, მიავლინა ყანმან ნოინი» ბუღას შესაპყრობადო (*894, გვ. 735).

ცხადია, ეს წინადადება გადამწერთაგან სწორად არ უნდა იყოს დედნითგან გადმოღებული: რამდენსამე ადგილას აზრის მიმდინარეობას ნახტომები ემჩნევა და ამის გამო სტილისტიკურადაც აქა-იქ შეუსაბამობაა და შინაარსიც დამახინჯებულია. მაგ. უეჭველია „ვითარცა გარდაჴდეს ჟამნი მრავალნი“-ს შემდგომ უნდა მოთხრობილი ყოფილიყო ის გარემოება, რომელმაც ბუღას შეპყრობის განკარგულება გააკემინა აღლუნ ყაენს. მარიამ დედოფლისეული ქ˘ცის ხელთნაწერსა და სხვებშიაც კი ამაზე არაფერია ნათქვამი და ზემომოყვანილ სიტყვებს უშუალოდ მოსდევს ნაკვეთი «და რა ჟამს წელიწდისა თავი მოიწევის» და შემდეგი, რომელიც არც გრამატიკულად და არც აზრით წინადადების წინა ნაწილს არ უდგება. ამ გარემოებას, როგორც ეტყობა, თეიმურაზისეული და ვახტანგისეული ქ˘ცის გადამწერნიც კარგად გრძნობდნენ და ზმნის ფორმა „მოიწევის“ „მოიწია“-დ შეუსწორებიათ. მართალია, ასეთი შესწორებით წინადადების ამ ორი ნაწილის სტილისტიკურად დაკავშირება უფრო ადვილდება, მაგრამ შინაარსითგან მაინც ცხადი ხდება, რომ აქ შუაში ბევრი რამე უნდა აკლდეს, რათგან გამოურკვეველი რჩება, თუ რატომ არის წინამავალ გაურკვეველ დროის განსაზღვრულობის შემდგომ წელიწადის თავის მოწევა აღნიშნული. საქმე ის არის, რომ ვასსაფის მოთხრობის თანახმად ბუღასა და მის თანამოაზრეთა შეთქმულებით არღუნ ყაენის წინააღმდეგ უნდა სწორედ მონღოლთა წელიწდის თავის ღამეს დაეწყოთ აჯანყება[1]. ამიტომ საფიქრებელია, რომ ჟამთააღმწერელს ეს წელიწდის თავის ხსენება თავის მოთხრობის იმ ნაწილში უნდა ჰქონოდა, სადაც ბუღას შეთქმულების გარემოება მოკლედ მოთხრობილი ექმნებოდა. მაგრამ გადამწერთ ტექსტის გადმოწერის დროს რამდენსამე ადგილას ნახტომი მოსვლიათ და ამ მოთხრობითგან განზრახული აჯანყების თარიღი-ღა გადარჩენილა, რომელიც ამის წყალობით ეხლა თითქოს ბუღას შეპყრობისა და დასჯის ნაწილის შთაბეჭდილებას სტოვებს. ჟამთააღმწერელს საფიქრებელია ბუღას მოკვლის თარიღი არც ექმნებოდა, რათგან მას ბუღას ამბავი ეხოლოდ იმდენად აქვს მოთხრობილი, რამდენადაც დიმიტრი თავდადებულის ბედუკუღმართობის გასაგებად არის საჭირო.

ბუღა ჩინგსანგის მთელ ამბავთან ერთად სიკვდილად დასჯის თარიღი სპარსელ ისტორიკოსებს აქვთ აღნიშნული. ყველაზე მოკლე ცნობა, რასაკვირველია, ჰამდალლაჰ ყაზვინი-ს მოეპოვება. მისი სიტყვით, ბუღა-

[1] ჰამმერი, I, 380.

ჩინგსანგი, ხელისუფლების მოპოვებით დაბრმავებელი, არღუნ ყაენს გადაუდგა და ჭარმაღუნის ძის ჯუშქაბ ბატონიშვილის იარაღად გამოყენება სცადა. მას ამირთა სიმრავლე მიემხრო. ჯუშქაბ ბატონიშვილმა თავისი თავის ბედის შიშით ეს ამბავი არღუნს აცნობა და არღუნმა 687 წ. ჰიჯრით ზილიჰაჯე-ს თვეში (=1288 წ. დეკემბრის 27—1289 წ. იანვ. 26) ბუღა ჩინგსანგი მოჰკლა და მისი სახლეულნი ჩააგდო წყალში, შემდეგ ჯუშქაბ ბატონიშვილისა და დანარჩენ ამირების საქმეს მოერჩა [1].

რასაკვირველია, ასეთივე ბედი ეწია ბუღას ყველა მომხრეებსაც. «წარავლინეს ყოველგან კაცი, საბერძნეთს, შამს და ხვარასანს და მრავალნი დიდნი ნოინნი მოსწყჳდეს და ესრეთ შეიქმნა კულა და მოსრვა ნოინთა»-ო (ეამთა

მ. * 894, გვ. 736).

დიმიტრი მეფის მდგომარეობა ბუღა ჩინგსანგთან მჭიდრო კავშირის გამო, ბუღას შეთქმულების გამომჟღავნებისა და სიკვდილად დასჯის შემდგომ, მეტად სახიფათო შეიქმნა: ვითარცა ბუღას მომხრე, ის ბუნებრივად ამ შეთქმულების თანამგრძნობად და მონაწილედაც იქმნებოდა მიჩნეული. მართლაც «წარმოავლინა ელჩი მეფისა მჭმობელმან ყანმან და აწვია ურდოსა მეფე». დიმიტრი II მიხვდა, რაც მოელოდა, და ამიტომ «მოუწოდა კათალიკოზსა აბრამს და ეფისკოპოზთა და მონასტერთა და უდაბნოთა გარეჯისათა მოძღვართა და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა». როდესაც დარბაზის ერნი შეიყარნენ, დიმიტრი მეფემ თურმე შემდეგი სიტყვით მიჰმართა:

როდესაც გარდაიცვალა, «შეისვენა მამამან ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მძლავრობასა შინა თათართასა და ღ[ა]ი ყოვლისამპყრობელ[ა]ან და უფალმან ჩვენმან იესომ ქრისტემან და ყოვლად-წმიდამან ღ[ა]თისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგვეცა ჩვენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა და თანადგომითა [თქუენითა] წარვმართე მეფობა და აქამომდე მშვიდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყანი და ყოველნი მთავარნი მისნი მოუწყუედიან და აწ მე მიწოდს წინაშე ძისსა, ვჰგონებ ბოროტის ყოფასა. თუ არა წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა მინა და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს: იხილეთ, რაოდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოკრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსვრიან!... და უკეთუ წარვიდე, დასტურობით უწყი მომკლავს!—და აწ სიბრძნითა თქვენითა განაგეთ. მე ესრეთ ვჰგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე. დაუდგრომელ და წაომაკალ დღენი ჩვენნი, სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ და უნებელ და მსწრაფლ თანაგვაც წარსვლა სოფლისა ამისაგან. რა სარგებელ არს ცხოება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან? აწ მნებავს, რათა წარვიდე ყახს წინაშე და იყოს ნება ღ[ა]თისა!... უკეთუ მე მომკლან, ვჰგონებ რომე ქვეყანა უვნებელად დარჩეს!» (ეამთააღ. * 894—896, გვ. 735—737).

სახელმწიფო დარბაზის წევრნი განცვიფრებული უსმენდნენ მეფეს, აღტაცებული იყვნენ მისი თავგანწირულობის სულისკვეთებით, რომ ის მზად იყო თავისი სიცოცხლე შეეწირა „ერისა მისისათჳს“, მაგრამ მაინც მისი აზრის წინააღმდეგნი იყვნენ და თავის მხრით მოახსენეს: «არა არს ნაცვალი შენი

[1] ტარიხ-ი გუზიდაჰ, გვ. ۵۸۷

მეფეო! გაშორვოს ღ~თნ მოკლვა თათართაგან», მაგრამ ეს რომ მოხდეს, მაშინ «მოოჴრდეს ქვეყანა, შვილნი შენნი მიმოდაიბნევიან». ხოლო იმ შემთხვევაშიც «თუ ქვეყანაცა დაშთების, არ არის ნაცვალი შენი» და ამიტომ «აწ გეზრახებით, რათა წარხვიდე სიმაგრეთა მთიულეთისათა ანუ აფხაზთასა, ვითარ ქმნა მამამან შენმან». « არა საჭირო არს განწირვა თავისა შენისა შენგან», რათგან «ჩვენ ყოველნი მტკიცედ ვჰგიეთ ერგულობასა» შენდამიო (იქვე * 896, გვ. 737).

დიმიტრი მეფემ დარბაისელთ ამაზე უპასუხა: «თქუენ ერთგულობისა და სიყუარულისა ჩემისათვის იტყჳთ; გარნა მეწყალის უბრალო ერი», რომელიც «ვითარცა ცხოვარნი კლვად უღონო არიან და არასადა აქვნ ნუგეშინისცემა. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისთჳს ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წასვლას»-ო, განაცხადა მან გადაჭრით (იქვე * 896, გვ. 737—738).

აბრაამ კათალიკოზი კიდევ შეეცადა მეფე დაერწმუნებინა, რომ გახიზნვა და მონღოლთა ყაენისაგან თავის მოშორება საეუგოდ არ ჩაეთვლებოდა, რათგან ასე ბევრნი სხვებიც მოქცეულან: «არა არს საჭირო, მეფეო, განწირვა სულისა შენისა, რამეთუ მრავალთა მეფეთა მოურიდნია და დაუცავს თავი თჳსი»-ო, მაგრამ საქართველოს.....[1].

ბოლოს დარბაზის წევრნიც დათანხმდნენ, რომ მეფე ყაენთან გამგზავრებულიყო. ურდოში გამგზავრების წინ, დემეტრე II უკანასკნელი განკარგულებების გაცემასა და თავისი სახლობის წევრთა უზრუნველყოფას შეუდგა, რათგან, მონღოლური წესით, ყველაზე მეტი განსაცდელი მათ მოელოდათ: მან «განუჩინა შვილთა საყოფელი», ხოლო «ყოველთა მთავართა, რომელნი არა თანაწაჰყუეს, შეჰვედრნა შვილნი თჳსნი და წარგზავნნა რომელიმე მთიულეთს და რომელიმე კახეთს, ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხნის ციხესა ასპარაბეთს. ამათგან ვახტანგი მთიულეთში გაისტუმრა, ხოლო დემეტრე II-ის მეორე ცოლი მონღოლთა ასული სოლღარ თავის მამასთან გაემგზავრა და თან თავისი ორი შვილი, ბაადური და იედგარი, გაიყოლა.

ყველას დაბინავებაზე განკარგულების გაცემის შემდგომ, დემეტრე მეფე თითონაც გაუდგა გზას ურდოში წასასვლელად. იქ მიმავალმა მან მხოლოდ თავისი შვილი დავითი გაიყოლა თან, იმ მოსაზრებით და «იმისთჳს, რომელ უეჰველ იქმნას ყაენი და ჰგონოს ერთგულება მისი»-ო. მაგრამ უკვე იმ დროს, როდესაც დემეტრე II ურდოს უახლოვდებოდა, გზაზე ყაენის წარმოგზავნილი ნოინი შეხვდა, რომელმაც «მყის აღიღო ყოველი ბარგი და სიმდიდრე მისი და მეფე პყრობილ-ყო». არღუნ ყაენს წინაშე წარდგენის შემდეგაც, მეფე ისევე შეპყრობილი დასტოვეს.

მონღოლური სამართლის წარმოების თანახმად, დემეტრე II-ეს უთხრეს, რომ თითონვე აღნიშნოს და «აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა და ცხვარი და ყოველი საქონელი მისი». ეს

[1 ამ სიტყვით თავდება დედნის 454 გვერდი; მისი გაგრძელება ჯერ არ არის ნაპოვნი. ივ. ჯავახიშვილის არქივში. ამ თავს ვამთავრებთ იმ ტექსტით, რომელიც დაბეჭდილია „ქართველი ერის ისტორიის“ III წიგნის 1941 წლის გამოცემაში, გვ. 114—120. რედ.].

ცნობები მეჯის მთელი ქონების ჩამოსართმევად სჭირდებოდათ. დემეტრე II-ესაც რა შეეძლო, იძულებული იყო ბრძანება აესრულებინა და, რაკი «არ-ღარა იყო ღონე», ამიტომაც აღწერა, რაცა აქვნდა, სიმდიდრე ფრიადი».

ყველა საჭირო ცნობების მიღების შემდეგ, არღუნ ყაენმა საქართველოში უმალ „წარგზავნა კაცი“ და მონღოლებმა „წარიღეს ყოველი“ ისე, რომ მეფის ქონებითგან «არა რა დაშთა», იმიტომ რომაო, გვიხსნის ქართ. ჟამთააღმწერელი, «მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი და შინაგამცემელ იქმნეს» საიდუმლოებისაო.

მთელი სიმდიდრის ჩამორთმევისა და უკანასკნელი გასამართლების შემდეგ, დემეტრე II არღუნ ყაენის ბრძანებით 1289 წ. 12 მარტს მოვაკანში, მდ. მტკვრის პირას, სიკვდილად იქმნა დასჯილი.

ქართ. ჟამთააღმწერელის ცნობით, დემეტრე II-ის საქმის ასე საბედისწეროდ შებრუნების ბრალი თითქოს ორ პიროვნებას ედებოდა. მას ნათქვამი აქვს: «იტყჳან ამასცა: ხოჯა-აზიზის შვილი, რომლისა მამა მოეკლა მეფესა დავითს, ხუტლუბუღა და იგი, ორნივე მტერობად შეითქვნეს მეფისა» წინააღმდეგ და მის დაღუპვასაც მათ შეუწყეს ხელიო. ისტორიკოსის მოთხრობითგან ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში მას ხელთ წერილობითი წყარო არ ჰქონია, არამედ მხოლოდ ზეპირი („იტყჳან ამასცა“-ო). ზეპირსიტყვაობის დაღი ამ ცნობას მკაფიოდ აჩნევია კიდევაც. მართალია, დავით-ულუც ძალზე უკმაყოფილო იყო ხოჯა-აზიზის მცარცველობითი საგადასახადო საქმიანობით საქართველოში, მაგრამ მაინც იგი, როგორც დავრწმუნდით, ამ უკმაყოფილების მსხვერპლი კი არ შეიქმნა, არამედ ხოჯა-აზიზი ერანის თვით ილხანის ჰულაგუს ბრძანებით იქმნა მოკლული ბერქას ულუსთან საიდუმლო კავშირისათვის, ღალატისათვის, რომელიც მას დასწამეს. ამრიგად, ხოჯა-აზიზის შვილს შესაძლებელია დემეტრე თავდადებულისადმი მტრული განწყობილება ჰქონოდა, მაგრამ თავის მამის მოკვლის გამო კი არა, არამედ მხოლოდ ყაენის წინაშე მისი მოღვაწეობის პირშავად წარმოდგენისათვის.

თანამედროვეებს, შესაძლებელია, ხუტლუბუღაზე უფრო მეტი საფუძველი ჰქონოდათ, ეჭვი შეეტანათ, რათგან ყველამ იცოდა, თუ რამდენად ნაწყენი იყო ივი, როცა მამის, სადუნ მანკაბერდელის, სიკვდილის შემდეგ, ანაბაგობა დემეტრე II-ემ მას კია არა, როგორც ის მოელოდა, არამედ მის ერთ-ერთ მეტოქეთაგანს, ტარსაიჭ ორბელს, უწყალობა. ამასთანავე ხუტლუბუღას მტრობა და შურის მაძიებლობაც ყველამ კარგად იცოდა: ამისთვის საკმარისი იყო თუნდაც ძაგან აბულეთის ძის ორი ძმის ამბავიც, რომელნიც ხუტლუბუღას მამის, სადუნ მანკაბერდელის, შურისძიებას რუმის სასულტნოში გახიზვნით გაეჭცნენ, მაგრამ ბოლოს მაინც სწორედ მისი შვილის, ხუტლუბუღას, შურისმაძიებლობის მსხვერპლნი შეიქმნენ.

ხუტლუბუღა, რომ დემეტრე თავდადებულის ტრაგიკულს ბედში ასე თუ ისე მართლაც გარეული უნდა ყოფილიყო, ეს იქითგანაც ჩანს, რომ მისი მოკვლის გამო აღმ. საქართველოში მეფედ დასასმელად მონღოლთათვის სასურ-

ველი პირის მოძებნა არღუნ ყაენმა სწორედ მას დაავალა. ყამთააღმწერელი იმასაც კი ამტკიცებს, რომ, როდესაც თითონ არღუნს ვერ გადაეწყვიტა, დემეტრე II სიკვდილად დაესაჯა, თუ არა, რათგან მას ის გარემოება აშინებდა, მის მაგიერ საქართველოში სამეფოდ შესაფერისს ვერავის იშოვიდა, ხუტლუბუღამ მოახსენა არღუნ ყაენსა «ნუ იურვი (ე. ი. სწუხარ) მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისი, სახელით ვახტანგ და მას მიუბოძე მეფობა, რომელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა მორჩილებდეს»-ო. არღუნს ეს რჩევა ძალიან მოეწონა და ამან დემეტრე II-ის საქმესაც უკვე საბოლოოდ საბედისწერო მიმართულება მისცა.

რაკი დემეტრე თავდადებულის შემდეგ საქ. სამეფო ტახტზე მართლაც სწორედ დავით-ნარინის შვილი იქმნა დასმული, ამიტომ, ცხადია, რომ ეს გეგმა უკვე წინდაწინვე შემუშავებული და არღუნ ყაენთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო და, რათგან აღმ. საქართველოს დიდებულთაგან ილხანების კარზე ყველაზე გავლენიანი და თავისიანად მიჩნეული სწორედ ხუტლუბუღა იყო, ამიტომ, ცხადია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი, ხუტლუბუღას დაუკითხავად და აქტიური მონაწილეობის გარეშე, ვერ გადაწყდებოდა. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ყამთააღმწერელის ცნობა სინამდვილეს ძალიან დაშორებული არ უნდა იყოს.

დემეტრე II თავდადებულის პიროვნების ზოგადი დახასიათება

დემეტრე II-ის ზოგადი დახასიათება ადვილი არ არის, რათგან ცნობები მის შესახებ ორნაირი თვისებისა მოგვეპოვება. მისს თავგანწირულებას მონღოლთადროინდელს ყამთააღმწერელზე ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც საეკლესიო წრეებში დემეტრე II-ისადმი მანამდე სუფევდა მისი საეკლესიო უძრავი ქონების გაღარიბებულ ერისკაცთათვის გაცემისა და თავისი სამცოლიანობით ხალხისათვის ცუდი მაგალითის მიცემის გამო, თავის მოთხრობაში მას, როგორც ეტყობა, შერბილებული უნდა ჰქონდეს.

თუ თანამედროვე ისტორიკოსი მის პიროვნებას წარმოადგენს ისევე როგორც სინამდვილეში და თავის ყოველდღიურს საქმიანობა-მოღვაწეობაში მოჩანს, უნდა ითქვას, რომ დემეტრე II-ის დამოკიდებულება ქრისტიანული მოძღვრებისადმი ძალზე შერყეული ყოფილა. მის გულში ეკლესიისა და მისი, როგორც მწყემსმთავრისა, ისევე მოძღვართადმი, ოდნავი პატივისცემაც კი არ ჩანს. ამ მხრივ ის გიორგი-ლაშას მიაგავს.

აღსანიშნავია აგრეთვე დემეტრე II-ის მიერ დავით-ულუსა და ბასილ უჯარმელ-ჰყონდიდელის პოლიტიკის გაზიარებაცა და მისი შეუჩერებლივ განგრძობაც საეკლესიო შეწირული მამულების გამოსაყენებლად დიდი ეკონომიური კრიზისის შემსუბუქებისათვის. არ ეტყობა, რომ ამ შემთხვევაშიც მას ეკლესიის წყევლა-კრულვის რაიმე შიში ჰქონოდეს. აქ მას მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესით უხელმძღვანელია: ვაჭრობა ძლიერდებოდა, სხვა საშუალება კი ისევ ოდნავ მაინც შესანელებლად საქართველოს მაშინდელ მთავ-

რობას არ გააჩნდა, ამიტომ წინანდელი პოლიტიკის განგრძობა აუცილებელი იყო, და მასაც ეკლესიის წინაშე უკან არ დაუხევია.

დამახასიათებელია, რომ ეს გარემოება მაშინდელ და მომდევნო ხანის საეკლესიო წრეებს იმდენად არ ესმოდათ, ან ეგების არც კი უნდოდათ გაეგოთ, რომ ქართველი ჟამთააღმწერელი გულუბრყვილოდ ამტკიცებს კიდეც, ვითომც მეფე დემეტრე II-ემა და საქართველოს დიდებულებმა ქვეყნის დაწყნარებისა და მოსავლის უხვობის გავლენით, რაკი «მოიცალეს მცირედ ჭირთაგან და განისვენებდეს», ასეთს უწესო განცხრომასა და ძალმომრეობასაც იმიტომ მიჰყვეს ხელი, «მიდრკეს გზისაგან საღმრთოსა, იწყეს განდგომად»-ო.

თუ სამცოლიანობაზე ასე მსჯელობას, შესაძლებელია, კიდევ ასე თუ ისე რაიმე დამაჯერებლობა მაინც ჰქონოდა, ეს ხომ ყველამ კარგად იცოდა, რომ. არც ქვეყანასა და არც ხალხს, დემეტრე II-ის მეფობაში, თუნდაც მარტო მონღოლთა ხშირი ლაშქრობის გამო, დაწყნარება არ ჰღირსებია, სიღარიბე ხომ არამცთუ არ შემცირებულა, არამედ წინანდელზე უფრო მეტადაც კი გაძლიერდა. ცხადია, რომ მაშინდელი ყოფაცხოვრების აბობოქრებული ვითარებისა და სოციალური ბრძოლის მიზეზის ამნაირად ახსნა, სრული გულუბრყვილობა იყო.

დემეტრე II-ეს, საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, შემთხვევა ჰქონდა უფრო თავისი სამხედრო სიქველე და მამაცობა გამოეჩინა, ვიდრე სახელმწიფოებრივს მოღვაწეობაში. სამოქალაქო ასპარეზზე თავისი გამჭრიახობა გამოემჟღავნებინა. მონღოლთა მომხრეობით გათამამებული დიდებულისა და გადიდკაცებული მედროვე მოხელეების გარემოცვაში, აღმ. საქართველოს მეფეს გაბედული შინაური პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა სრულებით მოსპობილი ჰქონდა. ჟამთააღმწერელისაგან გაკვრით მოხსენებული ზოვიერთი ცნობებითგან მაინც საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს რომ, თუმცა ფარულად მას ასეთ მედროვეთა წინააღმდეგ ბრძოლა უცდია, მაგრამ არაერთხელ დასახული მიზნის მისაღწევად მას გადაულახავი დამოკოლება დაჰხვედრია.

იმდროინდელი მძიმე ეკონომიური პირობებისდა მიუხედავად, დემეტრე II ცდილობდა აგრეთვე მონღოლთა ბატონობის წყალობით დაზარალებულ-აოხრებული ქვეყანა გაეკაცრიელებინა, ამოწყვეტილისა და გაქცეული მოსახლეობის მაგივრ სხვების დასახლებით გაპარტახებული მიწები კვლავ დაემუშავებინა და ისტორიკოსიც მოგვითხრობს, რომ მეფემ „აღაშენნა ქვეყანანი მოოხრებულნი“-ო.

დემეტრე II-ეს ნაგებობათა მშენებლობაშიც შეუტანია წვლილი და თუმცა ეს ცნობა მეფის ზემოაღნიშნულ დამოკიდებულებას როგორღაც თითქოს ნაკლებ შეეფერება, მაგრამ, ისტორიკოსის სიტყვით, მანვე ააგო «პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღ~თისმშობელისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირნა სოფელნი და ზვარნი და განუჩინნა მონაზონთა საზრდელი და განაგო განგებითა კეთილითა»-ო (ჟამთააღ. *873, გვ. 717).

მართალია, მაშინდელ საეკლესიო წრეებს შეეძლოთ ეთქვათ, ეს ადამიანი თავისი მარჯვენით ეკლესიის კეთილდღეობას ანადგურებს და ძირს უთხრის, მის მოძღვრებას არ ემორჩილება, მთელი თავისი მოქმედებით მისი გავლენის გაქარწყლებას ხელს უწყობს და იმავე დროს მონასტერს აშენებსო! მაგრამ, როგორც ჩანს, დემეტრე II-ეს ეკლესიის მესვეურთათვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ, თუ ისინი მის საქმეებში არ ჩაერეოდნენ და თავიანთ ქერქში იქნებოდნენ, მასაც შეეძლო მათთვის რამე სამაგიერო გადაეხადა.

საფიქრებელია, რომ ჟამთააღმწერელს ზემომოყვანილს ცნობაში იმ ნაგებობაზე უნდა ჰქონდეს საუბარი, რომელიც „მეტეხის“ ხელოვნების მუზეუმს ეკუთვნის. ეს ძეგლი ამჟამად ჩვენთვისაც საყურადღებოა, მაგრამ უკვე მხოლოდ როგორც XIII ს. მეორე ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების მაღალი ღირსების უტყვი პირუთვნელი მოწმე. ამის დამამტკიცებელია დღევანდლამდე შერჩენილი მისი საუცხოოდ მოჩუქურთმებული კარიბჭე და გარეთგანაც, თუმცა ულმობელი დროისაგან ძალზე დაზიანებული, მაგრამ ამ სახითაც ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი აქა-იქ ჯერ კიდევ გადარჩენილი სამკაული. ასეთ საშინელ ხანაშიც კი ქართულ ხელოვნებას ასეთი მაღალხარისხოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლების შექმნის უნარი შეუნარჩუნებია და ეს გარემოება ქართველი ხალხის დიდი ნიჭისა და ენერგიის უცილობელი გამომჟღავნებელი არის.

ისტორიკოსს დემეტრე II-ის რაინდული თვისებები და გულშემატკივრობაც აქვს აღნიშნული. მას არ ავიწყდებოდა ის უბედური გაღატაკებულნი, რომელნიც იძულებულნი ყოფილან თბილისის ქუჩებში საჭათხოვროდ ხელი გაეშვირათ. დიმიტრი თავდადებულს «აქვნდა ჩვეულება: აღიღის საფასე და აღდგეს ღამე და მოვლის ქალაქი და იხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, თჳსითა კელითა ნისცემდეს და ყოველთა უწყოდის მოწყალება მეფისა და გლახაკნი ღამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან რათა შეემთხვივნენ მეფესა» (ჟამთააღმწ. *872, გვ. 716).

მაგრამ ამავე დროს ეტყობა, რომ დემეტრე მეფეს აც თავისი თავი ავიწყდებოდა. პირიქით, ქართ. ჟამთაღმწერელის ცნობითგან ჩანს, რომ დემეტრე II-ეს, თავისი მამის მსგავსად, პირადი ქონებრივი კეთილდღეობის მოპოვების დიდი უნარიც-კი ჰქონია. ისტორიკოსს ეს გარემოება ვარკვევით აქვს აღნიშნული: მეფემ «მოიგო სიმდიდრე დიდად-დიდი სიმდიდრესაცა ზედა, რომელ დაშთომოდა მამისა მისისაგან»-ო. სამწუხაროდ, ავტორს განმარტებული არა აქვს, თუ რა გზითა და როდის შესძლეს მამა-შვილმა, იმ საერთო გაჭირვების დროს, ესოდენ დიდი ქონების დაგროვება, მათი სიმდიდრის მთავარ წყაროდ სამხედრო ნადავლი უნდა ვიგულისხმოთ, თუ ეგების საქართველოში მყოფი მათი უძრავ-მოძრავი ქონების შემოსავალიც. ამრიგად, ალტრუისტულიც და წმინდა ეგოისტური სულის კვეთებაც მის ბუნებაში ერთსა და იმავე დროს მკაფიოდ მოჩანს. უკანასკნელი გარემოება, მისი განმაცვიფრებელი სიმდიდრე, მეტადრე იმდროინდელ საერთო საშინელ გაჭირვებას თუ გავიხსენებთ, უსიამოვნო შთაბეჭდილებას

ახდენს ეხლაც და ჟამთააღმწერელის ერთი ცნობისდა მიხედვით ირკვევა, რომ ამით არც მაშინ ყოფილან კმაყოფილნი, მოსახლეობის ზოგი ფენები მაინც. დემეტრე II კი იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ, ვითომც მონღოლთა ყაენსაც კი გაჰკვირვებოდეს. თუ ქართ. ჟამთააღმწერელს ამ შემთხვევაში ძალზე გადაჭარბებული არა აქვს და დაეჯერება, როდესაც აღუნს საქართველოთგან დემეტრე II-ის მთელი ჩამორთმეული განძეულობა და „საჭურჭლე მეფისა“ მიუვიდა, ისიც კი თურმე «განჰკვრდა სიმრავლისათჳს»-ო.

დამახასიათებელია, რომ ეგვიპტეში მონღოლთა ყაენის ჯალაშქრების დროს, ამასიის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში დიმიტრი II-ეს მონღოლებისადმი ისეთი გულმოდგინება გამოუჩენია, რომ ბრძოლის დაწყებამდე მთავარსარდლისათვის უთხოვია, «ეევდრა მანგუდემურს, რათა წინამბრძოლად განაჩინოს იგი და სპა მისი». მასაც რა ენაღვლებოდა, ეს სურვილი სიხარულით აუსრულებია. ამ ბრძოლას მრავალი მსხვერპლი შეეწირა, რათგან ორთავე მხარე ისეთი გაბმაგებით იბრძოდა, რომ ის „ორასი მხედარი“, რომელიც «წინამბრძოლად განეწესნეს მეფესა, სრულიად მოისრნეს მეფისა, სამთა კაცთასა და ცხენთასა თჳნიერ. ეგრეთვე მოიკლა ყარა-სონღულისა მიერ შუბითა ჰუნე მეფისა». (ჟამთააღ. * 885, გვ. 727). დიმიტრი თავდადებულს ამ მამაცობით ჭაბუკური გატაცების დროს ავიწყდებოდა, რომ ებრძოდა იმას, ვისაც მონღოლთა მონობისა და ბატონობის მძიმე უღლის დადება არ ჰსურდა, რომ მას, ვითარცა მონღოლთაგან დაპყრობილი საქართველოს მეფეს, ამ ბატონობის მთელი ველურობის სიმწარის კარგად მცოდნეს, ეგვიპტის სულტნის ამ თავგამოდებულის ბრძოლისადმი მონღოლების წინააღმდეგ გულში პატივისცემა და თანაგრძნობა უნდა ჰღვივებოდა, და თუ მას ამგვარი გრძნობის გამომჟღავნების საშუალება არ ჰქონდა და იძულებული იყო მონღოლთა ყაენის ყოველ ლაშქრობაში საქართველოს ჯარითურთ მონაწილეობა მიეღო, როცა წინანბრძოლობას მაინც არავინ სთხოვდა, გადაჭარბებული გულმოდგინების გამოჩენა მაინც საჭირო არ იყო. უეჭველია, ეს მისი პოლიტიკური სიბეცის ნაყოფია. თუ დავით-ნარინს მონღოლთა ბატონობისადმი სიძულვილი და პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა სწორედ ეგვიპტის სულტანთან შეგობრული დამოკიდებულების დამყარებას უკარნახებდა, დიმიტრი II-ეს თავდაჭერილობის გამოჩენა მაინც შეეძლო.

მაგრამ ადამიანის ნამდვილი სულიერი და ზნეობრივი თვისებები ყველაზე მკაფიოდ, უეჭველია, განსაცდელის დროს გამომჟღავნდება ხოლმე: სწორედ მაშინ ირკვევა უცილობლად, კაცის ბუნებაში პატიოსნება და გმირული თავგანწირულება სჭარბობს, თუ ცხოველურ მხეცური ნიდრეკილება მას, თავისთავის გარდა, ყველაფერს ავიწყებს და პირადი უშიშროება-სიმრთელის ვადასარჩენად მზად არის ყველა სხვები და ყველაფერი ინაცვალოს. ეს დაკვირვება საშუალებას აძლევს მკვლევარს დემეტრე II-ის პიროვნება საბოლოოდ უფრო შეუმცდარად შეაფასოს.

თუ ამ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, ცხადი გახდება, რომ დემეტრე II-ის ქცევამ იმ საბედისწერო შემთხვევაში, როდესაც მას უნდა

საბოლოოდ გადაეწყვიტა, თავისი პირადი სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნა და ამისთვის თუნდაც უდანაშაულო ქართველი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლეც კი მსხვერპლად შეეწირა, ოუ, პირიქით, სიკვდილის აუცილებელ სასჯელს არ შეჰშინებოდა და თავისი პირადი მოქმედებისათვის პასუხსაგებად, ხალხის გადარჩენის მიზნით, რაინდული სიმამაცით მტრის წინაშე წარმდგარიყო. დემეტრე II-ის პატიოსანი ბუნება და მაღალი ადამიანური თვისებები სრული სიცხადით გამოამჟღავნა. მის ნაბიჯს, უეჭველია, პირადი პასუხისმგებლობის ღრმა ზნეობრივი შეგნება და თავგანწირულების მომხიბლველობა ასხივოსნებს. მართალია, ის შედარება, რომლითაც დარბაზის ერს დემეტრე II-ის დარწმუნება მოუსურვებია, რომ მას, თავისი მამის დავით-ულუს მსგავსად, ყაენის მეისხანებისაგან გადასარჩენად უფლება ჰქონდა თავი სადმე შეეფარებინა, მთლად სწორი არ არის, რათგან დავით-ნარინი და დავით-ულუ მონღოლებს თვით საქართველოს აუტანელი მდგომარეობის გამო აუჯანყდნენ და ლიხთ-იმერეთში მხოლოდ აჯანყების ჩაშლის შემდეგ გადავიდნენ, დემეტრე II-ეს კი ერანის ილხანის წინააღმდეგ სხვა მონღოლ ხელისუფლებთან შეზრახებით მოწყობილს შეთქმულებაში მონაწილეობა, მაშასადამე, მხოლოდ პირადი დანაშაულება, ჰბრალდებოდა, მაგრამ, ამ შედარების მცდარობისდა მიუხედავად, განა მასაც არ შეეძლო თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ისე მოქცეულიყო, როგორც მას დარბაისელნი ურჩევდნენ, და, ერანის მრისხანე ყაენთან წასვლის მაგიერ, მართლაც მთიულეთში შეხიზნულიყო? ცნობილია, რომ ასე წინათაც არაერთი ქვეყნის მმართველი მოქცეულა და შემდეგშიც თვით დემეტრე II-ის საკუთარი შვილივე დავით მეფეც მოიქცა და საქართველო, როგორც მერმე დავრწმუნდებით, მტრებს ულმობელად გააოხრებინა. დემეტრე II-ემ კი თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ქართველი ერის უკიდურეს განსაცდელში ჩაგდება არ მოისურვა და ამით აუცილებელი განადგურება თავიდან ააშორა. ამიტომაც არის, რომ საქართველოში უკვე იმავე ხანაში დემეტრე II-ეს თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი ს სახელი მიეკუთვნა. შემდეგში, როდესაც მისი ძის, დავით VI-ის მეფობის ამბებზე გადავალთ, გამოირკვევა, რომ დემეტრე II-ის თავგანწირულების გმირობა ყველასთვის უფრო ცხადი და უცილობელი უნდა გამხდარიყო. ისტორიამაც ხალხის ამ მსჯავრს თავისი დასტური მისცა და ერთადერთს მეფეს საქართველოში თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი ს წოდებულება შეუნარჩუნა.

თავი მეშვიდე

[სრულიადი საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა]

[ვახტანგ II დავით ნარინისძე]

დიმიტრი თავდადებულის სიკვდილად დასჯის შემდგომ მის სახლობასაც საქართველოს დედაქალაქში დარჩენა თავისთვის საშიშრად მიუჩნევია და მიმოფანტულა, დედოფალი დაუმალავთ, მეორე ცოლი მონღოლთა ასული თავის მამის სახლში დაბრუნებულა, მესამე ცოლს ბიქას ასულსაც თავის მამის სახლში სამცხეში შეუფარებია თავი მცირეწლოვანი შვილით გიორგითურთ. ვახტანგ უფლისწული მთიულეთში იმალებოდა. აღმოსავლეთი საქართველო კვლავ უმეფოდ დარჩა. (ჟამთაააღ. *902, გვ. 742—743).

მონღოლებს არც ამ შემთხვევაში მოსვლიათ ფიქრად, რომ ამ უმეფობით ესარგებლათ და აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის სამუდამო მოსპობით ქვეყანას უშუალოდ თითონ დაჰპატრონებოდნენ. არამედ ქართველი ჟამთააღმწერელის სიტყვითვე, ყაენმა სადუნ მანკაბერდელის შვილს ხუტლუბუღას დაავალა ბატონიშვილი მოეყვანა. ყაენმა უთხრაო, როგორც დამპირდი, «აღმისრულე, რომელი აღმითქუი, მოიყუანე ძე აფხაზთა მეფისა და იყოს იგი მეფედ», ხოლო შენ, «მაშინ მოგეთვალოს საქართველო ყოველი და ვანაგებდი ვითარ გნებავს»-ო (*902, გვ. 743).

ამ სიტყვებითგან საფიქრებელი ხდება, რომ დიმიტრი თავდადებულის სიკვდილისთანავე ორად გაყოფილ საქართველოს მმართველთა წრეებში კამათი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის კანონიერების შესახებ კვლავ უნდა ამტყდარიყო. ცხადია, რომ ნარინ-დავითის სპარსეთის ყაენთან სამტრო პოლიტიკური გეზი და აჯანყებულ მონღოლთა ნოინების დაფარვა და მომხრეობა თვით მონღოლთა ყაენს დავით-ნარინის აღმოსავლეთ საქართველოშიაც გამეფების სასურველობას ვერ მოაფიქრებინებდა. ქართველი ჟამთააღმწერელიც გარკვევით ამბობს, რომ აზრი „აფხაზთა“ მეფის ძის აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე დასმის შესახებ თვით საქართველოს ერთ-ერთ გავლენიან დიდებულს ხუტლუბუღას ეკუთვნოდა. ქართველ დიდებულთა შორის, რასაკვირველია, მას არა ერთი მომხრე ეყოლებოდა, იმგვარადვე როგორც მოწინააღმდეგენიც.

დამახასიათებელია, რომ ამ „აფხაზთა“ მეფის შტოს, ანუ რუსუდანის შთამომავლობის მომხრეებსაც თვით ნარინ-დავითის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოყვანის შესახები აზრის გამოთქმა ვერ გაუბედავთ, რათგან მათ კარგად იცოდნენ, თუ რამდენად ძნელი იქმნებოდა ყაენთან ნარინ-დავითის,

სპარსეთის ილხანების ამ უკვე ცნობილი მოწინააღმდეგის, შერიგება. მის მაგიერ სამეფო ტახტზე ასაყვანად მისი შვილი დაუსახელებიათ. სამწუხაროდ, ისტორიკოსს არა აქვს აღნიშნული ვ ა ხ ტ ა ნ გ ი უფროსი ვაჟი იყო მეფისა, თუ არა? იქ, სადაც დავით-ნარინის შვილები არიან დასახელებულნი და სადაც ნათქვამია, რომ პირმშო კოსტანტინე იყო, თვით დავით მეფეცა და მით უმეტეს მის მამაზე უწინარეს გარდაცვლილი ვახტანგ უფლისწული მკვდრად არიან ნაგულისხმევნი, რათგან მამის შემდგომ ტახტის გამო ატეხილ დავაზეა საუბარი. ამის გამო ცნობა გადამწყვეტი არ არის და შესაძლებელია და უფრო საფიქრებელი, რომ კოსტანტინე მხოლოდ თავისი ძმის ვახტანგის სიკვდილის შემდგომ იქცა დავით მეფის უფროს შვილად, თავდაპირველად და წინათ კი სწორედ ვახტანგი ყოფილიყოს პირმშო ძედ და უფლისწულად. ამას ის გარეგნება გვაფიქრებინებს, რომ ჟამთააღმწერელის სიტყვით ვახტანგს ყაენმა მისცა «ყ ო ვ ე ლ ი საქართველო» (* 903, გვ. 744).

სანამ დავით-ნარინი ცოცხალი იყო, თუ მასთან წინასწარი შეთანხმება და მისი დასტური არ იყო, ამის ნამდვილად განხორციელება არ შეიძლებოდა. მაგრამ დავით-ნარინის სიკვდილის შემდგომაც ვახტანგი ყოველი ანუ სრულიადი საქართველოს მეფედ კანონიერი გზით მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცეოდა, თუ რომ ის დავით-ნარინის პირმშო ძე იყო და დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტიც მამის შემდგომ პირმშოობის ძალით მას უნდა დაემკვიდრებინა. თუ არა და იქ სამეფო ტახტზე მეფედ განსვენებულის უსუცესი შვილი დაჯდებოდა და ვახტანგი ვერასგზით „ყოველი საქართველოს“ მბრძანებლობას ვერ ეღირსებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ვახტანგ ბატონიშვილი დავით-ნარინის პირმშო ძე და ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ ხუტლუბუღასა და საქართველოს დანარჩენ დიდებულებს ამით მიზნად სახელმწიფოს წინანდელი მთლიანობისა და სრულიადობის აღდგენა უნდა ჰქონოდათ დასახული.

ხუტლუბუღა, როგორც ეტყობა, წინათაც, ჯერ კიდევ დიმიტრი თავდადებულის სიცოცხლის დროს, ნარინ-დავითის, ვითარცა საქართველოს სამეფო საგვარეულოს კანონიერი შთამომავლის, მომხრეობით უნდა ყოფილიყო ცნობილი. ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან საფიქრებელი ხდება, რომ დავით რუსუდანის ძესთან ხუტლუბუღას წინათაც კავშირი, მოლაპარაკება და შეთანხმებაც კი უნდა ჰქონოდეს. ალბათ ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ის მითქმა-მოთქმა, რომელიც ჟამთააღმწერელის სიტყვით დიმიტრი თავდადებულის სიკვდილის ბრალს ნაწილობრივ მაინც ხუტლუბუღასა ხდებდა.

ხუტლუბუღა დასავლეთ საქართველოში გამგზავრებულა დავით მეფესთან ამ საქმის მოსაგვარებლად. დავით-ნარინსაც თანხმობა განუცხადებია და ჯარის თანხლებით თავისი შვილი ვახტანგი ტაშის კართან, ქვიშხეთის მინდორზე მიუყვანია. აქ სამეფოდ გამზადებულს ბატონიშვილს ვახტანგსა და მის გვირგვინოსან მამას დაჰხვედრიან მონღოლთა ლაშქრის უფროსნი სირმონ ნოინის შვილი ყორჩიბა და ალინაყის შვილი ყურუმჩი და «ყოველნი დიდებულნი საქართველოსანი». როდესაც შემოკრებილმა დიდებულებმა «ყუეს ფიცი და სიმტკიცე ერთგულებისა», ამის შემდგომ მეფემ დავით რუსუდანის

ძემ «მისცა ძე მისი» ვახტანგი სამეფო ტახტზე დასასმელად და თან მრავალნი თავადნი მისნი თანა წარმოატანა ყაენთან წარსადგენად და დასამტკიცებლად. თვითონ კი «მეფე დავით შეიქცა ქუთათისს» (ჟამთაღ. * 903, გვ. 743).

ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიკოსის სიტყვით, «იყო ტანითა სრული, ბაღროვანი, ტკბილ მოწყალე, სამართლის მოქმედ, უხვ, მდაბალ, ენატკბილ, ვანმზრახი კეთილი, ყოვლისა საქმისა მცოდნე» (ჟამთაღ. * 903, გვ. 744), ერთი სიტყვით ყოველგვარ კარგი თვისებებით «სამღთო-საკაცობოთა სრული და შემკობილი». მისი ამგვარი ხასიათისა და ცოდნის აღმატებულების მიზეზად თანამედროვენი ბატონიშვილის განთქმულს მასწავლებელსა სთვლიდნენ: რაკი «აღმზრდელიცა კეთილი და მეცნიერი ესვა ფარსმანისშვილი», ამიტომაც იყო ასეთი ყოველგვაროი ღირსებით შემოსილიო (იქვე * 905, გვ. 746).

არღუნ ყაენმა მოიწონა ვახტანგ დავით-ნარინის ძე აღმოსავლეთ საქართველოში დასასმელად და «მოსცა მეფობა და ყოველი საქართველო და დაი თჳსი ოლჯათ ცოლად და წარმოგზავნა» თავის საბრძანებელში (ჟამთაღმ. * 903, გვ. 744).

ეს ამბავი უეჭველია იმავე 1289 წელს უნდა მომხდარიყო. საფიქრებელია უფრო მეორე ნახევარში. ვახუშტსაც ესევე წელიწადი აქვს თარიღად მიღებული[1]. მაგრამ რამდენად მართალია ჩვენი ისტორიკოსის ცნობა ვახტანგისათვის ოლჯათის ცოლად მიცემის შესახებ, ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რათგან არც ერთ სხვა წყაროში ამგვარი ცნობა არ მოიპოვება.

თბილისში მობრძანებულ ვახტანგის მეფედ კურთხევის წესის ასასრულებლად «შეკრბეს კათალიკოზი და ეფისკოპოზნი და მთავარნი და დაადგეს გჳრგჳნი მეფობისა და დასვეს ტახტსა სამეფოსა და აღასრულეს წესი კურთხევისა» (ჟამთაღ. * 903, გვ. 744). სად უნდა ყოფილიყო მეფედ ნაკურთხი ვახტანგი, ნათქვამი არ არის, მაგრამ ვგონებ ჟამთააღმწერელს აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი. საყურადღებოა, რომ მისი მამა დავითი კურთხევის წესის დამსწრეთა შორის არ იხსენიება. აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლას როგორც ეტყობა ის ამ შემთხვევაშიაც მოჰრიდებია. ვახტანგის გამეფება ყველას სრულიადი საქართველოს აღდგენის მომასწავებლად მიუჩნევია და ამიტომ «განიხარეს ყოველთა მკჳდრთა საქართველოსათა, რომელ მოეცა ნათესავი მეფეთა პატიოსანი, ღ~თის მოყუარე [ტკბილი და მოსამართლე, ახოვანი და მჴნე და სანჴედროთა ზნითა აღსავსე]» (ჟამთაღ. * 904, გვ. 744).

დავით ლაშა გიორგის ძისა და დიმიტრი თავდადებელისაგან საეკლესიო წესების დარღვევისა და მრავალცოლიანობის, ქონების მიმტაცებლობისა და სამართლის ტლანქად შელახვის შემდგომ ვახტანგ მეფის „პატიოსანი“ ხასიათი და ქცევა და მისი ღვთისმოყვარეობა ხალხის გულსა და შეგნებაში [აღიბეჭდებოდა] და ამ ახალი მეფის პიროვნება სამაგალითო გვირგვინოსნად ჩაისახებოდა. უეჭველია, ყველას ცნობიერებაში უნებლიედ უნდა დაპირისპირებულიყო ლაშა-გიორგის შთამომავლობის წესდამრღვევი ხასიათის თვისებები და რუსუდანის შთამო-

[1] ვახუშტი, ისტორია, ბაქრაძის გამ. 260.

მავლობის მშვიდობიანი წესიერებისა და რიგიანობის დამცველობა და ამ შე-
დარებითგან შესაფერისი დასკვნა გამოეყვანათ. ულუ-დავითისა და დიმიტრი
თავდადებულის თავაშვებულობას საქართველოში, უეჭველია, სულიერ-ზნეობ-
რივი რეაქცია უნდა გამოეწვია, რომელიც მაშინდელ ქვეყნის აოხრებას, სა-
შინელს ქონებრივ გაჭირვებას და ბოლოს ულუ-დავითის თავზე დამტყდარ-
უბედურებას მოსწრებული ტახტის მემკვიდრის უდროოდ სიკვდილი, მეტადრე
კი დიმიტრი თავდადებულის მეფური ღირსების დამამცირებელი სასჯელით
წუთისოფლის გამოსალმება ქართველ ხალხს მათი უწესოების გამო მოწეულ
ღვთის რისხვად შეეძლო მიეჩნია და მიუჩნევია კიდეც.

ჟამთაღმწერელის სიტყვით ვახტანგ მეფემ «დაიპყრა ყოველი საქართველო
ნიკოფსით დარუბანდამდე თჳნიერ ჯაყელ-ციხისჯურელისა ბექასი» (903, გვ.
744), რომელიც მეფე ულუ-დავითის უბედურ ქცევის წყალობით საქართვე-
ლოს გამოეყო და უშუალოდ ყაენის ურდოს დაექვემდებარა, ე. ი. ულუსიანი
შეიქმნა. მესხეთის მთავრის საბრძანებელი თითქმის ცალკე სამეფოს უდრიდა
და «ტასისკარითგან ვიდრე კარნუქალაქამდე» იყო გადაჭიმული (იქვე,
გვ. 752).

ჯერ კიდევ გამოსარკვევია საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვარი
მართლა დარუბანდამდე აღწევდა ამ დროსაც, თუ ისტორიკოსს აქ მხოლოდ
იქნებ უკვე რეალურ შინაარსს მოკლებული ჩვეულებრივი გამონათქვამი აქვს
გამოყენებული. ისაა გამოსარკვევი, თუ რა გზითა და საშუალებით უნდა გან-
ხორციელებულიყო ვახტანგის მეფობა ყოველს, ე. ი. ამიერ-იმიერ საქართვე-
ლოზე, იყო ეს უკვე მაშინ ცხოვრების ხორცშესხმული სინამდვილე, თუ უფრო,
და ან მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პროგრამა, რომლის განხორციე-
ლება შესაძლებელი იქნებოდა მარტო ვახტანგის მამის დავით-ნარინის სიკვ-
დილის შემდგომ.

ვახტანგ მეფემ ხუტლუბუღა იმ ღვაწლისათვის, რომელიც მის ტახტზე
აყვანისა და იმიერ-აღიერ საქართველოს გაერთიანებისათვის გასწია, «აღი-
ყუანა პატივსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა» და მას «მიუბოძა
ორივე ჴელი და განგება სამეფოთა» (ჟ ა მ თ ა ღ მ. 903, გვ. 744).

ორი წლის შემდგომ, 1291 წ. რომ არღუნ ყაენი დამბლად დაეცა, ხუტ-
ლუბუღა კი თურმე ვახტანგ მეფეს გადასდგომია და დიმიტრი თავდადებულის
ძის დავითის გამეფება მოუნდომებია: «ეცადა ნოინთა წინა, რათა წარუღონ
მეფობა ვახტანგს». დავით ბატონიშვილს შემწენი ჰყოლიან მეტადრე უც-
ხოელთაგან.

ბოლოს, ცილობის გადასაწყვეტად სასამართლოსაც კი მიმართეს და «ამის-
თჳს ს ა ბ რ ჭ ო თ ც ა წ ა რ ს დ გ ე ს, თ უ რ ო მ ე ლ ს ა მ ა რ თ ებ ს მ ე ფ ო ბ ა?
(ჟ ა მ თ ა ღ. * 904, გვ. 745).

ხუტლუბუღას საქციელის მომხრე საქართველოში ბევრი არ ყოფილა,
მაინცდამაინც «სხვათა მთავართა ქართველთა არა სთნდა მეფობა დავითისი,
რამეთუ მტკიცედ დგეს ერთგულობასა ზედა ვახტანგისსა. ამისთჳს არა მოს-
ცეს მეფობა დავითს», არამედ მხოლოდ სოფლები და მამული საცხოვრებლად
(ჟ ა მ თ ა ღ მ წ. * 904, გვ. 745).

1291 წ. 10 მარტს, განრღვეული არღუნ ყაენი ნოინებმა მოკლეს[1]. მონღოლური წესისდა თანასმად მოკლულ ყაენთან ერთად ნოინებმა განსვენებული არღუნის ყველა განმზრახნი და თანამოაზრენიც გაწყვიტეს დაუნდობლად. არღუნის მაგიერ ნოინებმა ყაენად 1291 წ. 23 ივლისს ქეიღათუ დასვეს[2].

არღუნ ყაენის სიკვდილმა ვახტანგ მეფის მდგომარეობა გააუარესა, რათგან «ნოინნი დავითისაკენ იყუნეს». ამის წყალობითვე დავით დიმიტრის ძის საქმე გამოკეთდა და «მიერითგან მოეცა ფლობა დავითს»-აც. მაგრამ მაინც, «მტკიცედ ეპყრა მეფობა ვახტანგს». ქეიღათუს გაყაენებამ ვახტანგ მეფის პოლიტიკურ ბედს გარკვეულობა მიანიჭა, რათგან მან «შეიყუარა კეთილად ვახტანგ», რომელიც ამის გამო წინანდელზე უფრო გამაგრდა. ქართველი ქამთააღმწერლის სიტყვით, ვახტანგის უცილობელ მეფობისათვის მხოლოდ ავადმყოფობას მოუღია ბოლო. მას თურმე «შეედვა მცირე რამე სენი», რომლისგანაც ვახტანგ მეფე ვერ განკურნებულა, არამედ მისგან მომკვდარა «ს ა ბ ნ წ ე ლ მ ე ფ ე ყ ო ფ ი ლ ი» (*905, გვ. 746). რათგან ვახტანგი 1289 წ. გამეფდა, აძიტომ მისი სიკვდილის თარიღად უნდა 1293 წ. იქნეს მიღებული. ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობას არ უდგება სპარსელი ისტორიკოსის რ ა შ ი დ ე დ ი ნ ი ს მოთხრობა[3], რომლის სიტყვითაც ქეიღათუ ყაენს 1295 წელს ვახტანგი თითქოს გადაეყენებინოს და მის მაგიერ სამეფო ტახტზე დიმიტრი თავდადებულის შვილი დავითი დაესვას სამეფო ტახტზე.

ქართველი ქამთააღმწერელის მოთხრობა აქაც მისი თხზულების კომპილაციური შედგენილობისა და თვისებების გამო არეულია და 1292 წ. და შემდეგი დროის ამბების მერმე ქეიღათუ ყაენის გამეფების უმალ მომხდარ შემთხვეულებას ეხება. ამ ადგილას მას საქართველოს შესახებაც ისეთი ცნობა მოეპოვება, რომელიც სრულებით არ უდგება და თითქმის ეწინააღმდეგება კიდეც წინა მუხლში მოყვანილს მონათხრობს, რომელშიაც ვახტანგ დავითნარინის ძის გარდაცვალებაა მოთხრობილი.

აი რა აქვს აქ ჩვენს ავტორს ნათქვამი: «დაჯდა რა ქეღათუ [ყანი] ტახტსა ზედა, განდგა ქალაქი საბერძნეთისა ტუნღუზალო. რა[მეთუ] საბერძნეთით მოსრულიყო ქეღათო, ჰგონეს უცალოება ყაენისა და განდგეს. მაშინ მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და მეფესა დიმიტრის ძე[სა] დავითსა [და] მთავართა ქართლისათა». მონღოლთა და ქართველთა მთავრების ნაწილი, მათ შორის ხუტლუბუღაც, მუღანში დასტოვა ჩრდილოეთის მონღოლთა უკდოსთვის გზის შესაკრავად, თითონ კი წარვიდა და «დავით ძე დიმიტრისი თანაწარიტანა». ტოღუზალო ქალაქის აღება ისე ადვილი არ ყოფილა და მისი გარემოცვა 4 თვეს გაგრძელებულა. მხოლოდ შეხუთე თვეს მოუხერხებია მონღოლთა შეერთებულ ლაშქარს ქალაქის აღება. დავით დიმიტრის ძეს იქ მყოფი ქრისტიანებისათვის მფარველობა გაუწევია და ქალაქის

---

[1] ჰ ა მ მ ე რ ი, I, 393, ყამთაღმწ. 904, გვ. 746.
[2] ჰ ა მ მ ე რ ი, II, 18, ყამთააღმწ. 905, გვ. 146.
[3] ჰ ა მ მ ე რ ი, II, 69,

აკლების დროს დაწიოკებისაგან გადაურჩენია. ამ ლაშქრობითგან შინ მობრუნებულმა ქელათუ ყაენმა მოუწოდა «დავითს და ჰრქვა: „ვინაითგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთჳს და სდგა ერთგულობასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენთჳს“. და წარმოგზავნა ტფილისს და დასვეს ტახტსა მამისა მათისასა და თანა წარმოატანა სპანი საქართველოსანი, შანშა და ხუტლუბუღა და ყოველნი დიდებულნი». სამშობლოში დაბრუნებული და თბილისში მოსული დავით დიმიტრი თავდადებულის ძე დასვეს «ტახტსა ზედა და აკურთხეს კათალიკოზმა აბრამ და ეფისკოპოზთა»-ო (* 906—908, გვ. 747—749).

ჩვეულებისამებრ მთელი ეს მოთხრობა დათარიღებული არ არის, მაგრამ ნათქვამია, რომ აღწერილი განდგომილება ქელათუ ყაენის ტახტზე ასვლის ცოტა ხნის შემდგომ მომხდარა. რაკი ქელათუ 1291 წ. ივლისს გაყაენდა, მაშასადამე, საბერძნეთის ქალაქის აჯანყება ამის შემდგომ და ახლო ხანებში უნდა ჰქონოდა ყამთააღმწერელს, თუ მის წყაროს ნაგულისხმევი. მართლაც, შენახულა ცნობა, რომ 1291 წ. 1 იანვრისთვეს ქელათუ ყაენმა გაილაშქრა რუმში იქ მომხდარ აჯანყების ჩასაქრობად [1]. როგორც აკად. ბროსემ აღნიშნა, უეჭველია აქ ქართველი ისტორიკოსის მიერ მოთხრობილი შემთხვეულება უნდა იხსენიებოდეს. ამგვარად, ჩვენ სრულებით ზედმიწევნითი თარიღი შეგვეძინება.

აკად. მ. ბროსე ფიქრობდა, რომ აქ ტულუზალო, ანუ ტონლუზო, როგორც მასა აქვს, ქალაქისა კი არა, არამედ მონღოლთა იმ ნოინის სახელი უნდა იყოს, რომელიც საბერძნეთს, ე. ი. რუმს განაგებდა და აჯანყდა. დ'ოსსონ-ის t. IV, 85-ის დამოწმებით, სადაც აღნინშულია, რომ ქეიღათუმ 1 ეკენისთვეს რუმში ამტყდარი აჯანყების ჩასაქრობად გაილაშქრა, ბროსე ფიქრობდა, რომ ეს სწორედ ქართველი ისტორიკოსისაგან ზემომოყვანილი ამბავი უნდა იყოს, ნაგრამ არც დ'ოსსონსა და არც ჰამმერს ამ ლაშქრობის შესახებ ზემოდასახელებულზე მეტი არა მოეპოვებათ რაო [2]. მართლაც, ტუღუზალო ბერძნულ არც ქალაქის არც ადამიანის სახელს სრულებით არ ჰვავს, ამიტომ ვ•ნსვენებული მეცნიერის მოსაზრება ჭკუასთან ახლოა და სწორი უნდა იყოს.

ამბავი „საბერძნეთში“, ე. ი. რუმში ქელათუ ყაენის წინააღმდეგ მომხდარს აჯანყებას ეხება და ამ დროს რუმში თაღაჯარ ნოინი იყო, რომელიც მართლაც ქელათუს გაყაენების წინააღმდეგი და ბაიდუს მომხრე იყო [3]. მოწინააღმდეგეთა დაძლევის შემდგომ, ქელათუ ყაენმა ყველა ისინი სამართალში მისცა და ზოგი მკაცრად დასაჯა, ზოგს კი დანაშაული აპატია, მათ შორის თაღაჯარ ნოინსაც [4], რომელიც მალევე ისევე რუმში დაბრუნდა, მაგრამ აჯანყების მოსაწყობად ისევე შეთქმულებაზე ზრუნვა-სამზადისს შეუდგა [5]. ამ დროს მას ქელათუ ყაენის მომხრე შიქტური დაესხა თავის ლაშ-

---

[1] D' Osson IV, 38.

[2] მ. ბროსე, H. d. G. I, 611, n. 2.

[3] ჰამმერი, I, 396.

[4] იქვე, I, 398.

[5] იქვე, I, 399.

ქრიმეთურთ და თალაჯარი მისი თანაგამზრახითურთ შეიპყრო და ასე დაჭერილი ჰყავდა, სანამ ქეღათუ ყაენი რუმში არ მივიდოდა[1].

ალატაღში მისული ქეღათუ მძიმედ გახდა ავად: მას მონღოლ ყაენთა შორის ყველაზე უფრო მეტი გულკეთილობა აქვს გამოჩენილი და, ალბათ, ამიტომვე თალაჯარისთვის კვლავ უპატიებია, რათგან 1294 წ. მეორე ნახევრიდან ის უკვე ქეღათუ ყაენის ცნობილი მეჭურჭლეთ-უხუცესის სადრედდინ ზენჯანისაგან ერანში, ჩინეთის მსგავსად, ღალდის ფულის შემოღება-გავრცელებაში მონაწილეობას იღებს[2]. ამისდა მიუხედავად თალაჯარს ქეღათუს წინააღმდეგ მოქმედება არც შემდეგში შეუწყვეტია[3].

საფიქრებელია, რომ ქართველი ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი ცნობა, „საბერძნეთში“ მომხდარი განდგომილების შესახებ ამ ტალაჯარის მტრული მოქმედების ერთ შემთხვევათაგანს უნდა გვისურათებდეს, რომელზედ სხვა ჯერეთ ცნობილ წყაროებში დაწვრილებით არაფერია მოთხრობილი. ამის გამო იბადება საკითხი ტუნღუზალო ხომ ტუღუზარ-ისაგან არ არის დამახინჯებით წარმომდგარი.

რათგან საბერძნეთის ანუ რუმის გამდგარი ქალაქის გარემოცვა ოთხ თვეს გაგრძელებულა და მხოლოდ მეხუთე თვეზე აუღიათ, ამიტომ ცხადია ტონღუზალოს აღება უნდა 1292 წ. იანვრის დამდეგს, ან განმავლობაში ვიგულისხმოთ. ამისდა მიხედვით დავით დიმიტრი თავდადებულის ძის მეფედ დასმა ქეღათუსაგან ამავე 1292 წელს და იანვრის შემდგომ ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო.

უცნაურია, რომ მთელს ამ ზემომოყვანილს მოთხრობაში ვახტანგ მეფე-დავით-ნარინის ძე, არც ერთხელ არ იხსენიება. თუ ამ ამბის დასასრულს 1292 წ. გარდაცვლილი ვახტანგის ჟამთააღმწერელისა თუ მისი წყაროსაგან მოუხსენებლობა შეიძლება ასე თუ ისე იმ გარემოებით ავხსნათ, რომ ისტორიკოსს ამ დროს იგი მკვდრად ჰყავდა ნაგულისხმევი, ვერავითარი გამამართლებელი მოსაზრება ვერ მოეძებნება ვახტანგ მეფის შესახებ ჟამთააღმწერლის დუმილს იქ, სადაც რუმის გამდგარი ქალაქის დასამორჩილებლად გალაშქრებაზე აქვს მას საუბარი. ამ დროს ჟამთააღმწერელის ცნობითაც ვახტანგი ცოცხალი უნდა ყოფილიყო და გაუგებარია, ან რატომ არ იხსენიებს, ან სად უნდა ყოფილიყო იგი ამ დროს, ან რა მიზეზი იყო, რომ საბერძნეთის აჯანყებული ქალაქის წინააღმდეგ გალაშქრებაში საქართველოთგან ვახტანგ მეფე კი არ იყო მოწოდებული და მისული, არამედ უფლისწული დავითი დიმიტრის ძე? იქნებ იმიტომ, რომ ვახტანგ მეფე 1292 წელს კი არა, უკვე 1291 წ. 1 ენკენისთვემდე გარდაცვლილიყოს. მაგრამ იქნებ სპარსელი ისტორიკოსი რაშიდედინი მართალი იყვეს და ქეღათუ ყაენს ვახტანგ მეფე გადაეყენებინოს და სწორედ ამიტომ არ იყოს იგი ზემომოყვანილს მოთხრობაში მოხსენებული? თუ ეს მდუმარება მართლაც ამ მიზეზით არის გამოწვეული, მა-

---

[1] ჟამთააღმ., I, 399.
[2] იქვე, I, 404.
[3] იქვე, I, 406—408.

აკლების დროს დაწიოკებისაგან გადაურჩენია. ამ ლაშქრობითგან შინ მობრუნებულმა ქეღათუ ყაენმა მოუწოდა «დავითს და ჰრქვა: „ვინათგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთჳს და სდგა ერთგულობასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენთჳს“. და წარმოგზავნა ტფილისს და დასვეს ტახტსა მამისა მათისასა და თანა წარმოატანა სპანი საქართველოსანი, შანშა და ხუტლუბუღა და ყოველნი დიდებულნი». სამშობლოში დაბრუნებული და თბილისში მოსული დავით დიმიტრი თავდადებულის ძე დასვეს «ტახტსა ზედა და აკურთხეს კათალიკოზმა აბრამ და ეფისკოპოზთა»-ო (* 906—908, გვ. 747—749).

ჩვეულებისამებრ მთელი ეს მოთხრობა დათარიღებული არ არის, მაგრამ ნათქვამია, რომ აღწერილი განდგომილება ქეღათუ ყაენის ტახტზე ასვლის ცოტა ხნის შემდგომ მომხდარა. რაკი ქეღათუ 1291 წ. ივლისს გაყაენდა, მაშასადამე, საბერძნეთის ქალაქის აჯანყება ამის შემდგომ და ახლო ხანებში უნდა ჰქონოდა ჟამთააღმწერელს, თუ მის წყაროს ნაგულისხმევი. მართლაც, შენახულა ცნობა, რომ 1291 წ. 1 იანვრისთვეს ქეღათუ ყაენმა გაილაშქრა რუმში იქ მომხდარ აჯანყების ჩასაქრობად [1]. როგორც აკად. ბროსემ აღნიშნა, უეჭველია აქ ქართველი ისტორიკოსის მიერ მოთხრობილი შემთხვეულება უნდა ისსენიებოდეს. ამგვარად, ჩვენ სრულებით ზედმიწევნითი თარიღი შეგვეძინება.

აკად. მ. ბროსე ფიქრობდა, რომ აქ **ტუღუზალო**, ანუ **ტონღუზო**, როგორც მასა აქვს, ქალაქისა კი არა, არამედ მონღოლთა იმ ნოინის სახელი უნდა იყოს, რომელიც საბერძნეთს, ე. ი. რუმს განაგებდა და აჯანყდა. დ'ოსსონ-ის t. IV, 85-ის დამოწმებით, სადაც აღნიშნულია, რომ ქეიღათუმ 1 ეკენისთვეს რუმში ამტყდარი აჯანყების ჩასაქრობად გაილაშქრა, ბროსე ფიქრობდა, რომ ეს სწორედ ქართველი ისტორიკოსისაგან ზემომოყვანილი ამბავი უნდა იყოს, მაგრამ არც დ'ოსსონსა და არც ჰამმერს ამ ლაშქრობის შესახებ ზემოდასახელებულზე მეტი არა მოეპოვებათ რაო [2]. მართლაც, ტუღუზალო ბერძნულ არც ქალაქის არც ადამიანის სახელს სრულებით არ ჰგავს, ამიტომ გონსვენებული მეცნიერის მოსაზრება ჭკუასთან ახლოა და სწორი უნდა იყოს.

ამბავი „საბერძნეთში“, ე. ი. რუმში ქეღათუ ყაენის წინააღმდეგ მომხდარს აჯანყებას ეხება და ამ დროს რუმში თაღაჯარ ნოინი იყო, რომელიც მართლაც ქეღათუს გაყაენების წინააღმდეგი და ბაიდუს მომხრე იყო [3]. მოწინააღმდეგეთა დაძლევის შემდგომ, ქეღათუ ყაენმა ყველა ისინი სამართალში მისცა და ზოგი მკაცრად დასაჯა, ზოგს კი დანაშაული აპატია, მათ შორის თაღაჯარ ნოინსაც [4], რომელიც მალევე ისევე რუმში დაბრუნდა, მაგრამ აჯანყების მოსაწყობად ისევე შეთქმულებაზე ზრუნვა-სამზადისს შეუდგა [5]. ამ დროს მას ქეღათუ ყაენის მომხრე შიქტური დაესხა თავის ლაშ-

---

[1] D' Osson IV, 38.

[2] მ. ბროსე, H. d. G. I, 611, n. 2.

[3] ჰამმერი, I, 396.

[4] იქვე, I, 398.

[5] იქვე, I, 399.

ქრისტურთ და თალაჯარი მისი თანაგამზრახითურთ შეიპყრო და ასე დაჭერილი ჰყავდა, სანამ ქეღათუ ყაენი რუმში არ მივიდოდა[1].

ალატაღში მისული ქეღათუ მძიმედ გახდა ავად: მას მონღოლ ყაენთა შორის ყველაზე უფრო მეტი გულკეთილობა აქვს გამოჩენილი და, ალბათ, ამიტომვე თალაჯარისთვის კვლავ უპატიებია, რათგან 1294 წ. მეორე ნახევრიდან ის უკვე ქეღათუ ყაენის ცნობილი მეჭურჭლეთ-უხუცესის სადრედდინ ზენჯანისაგან ერანში, ჩინეთის მსგავსად, ღალდის ფულის შემოღება-გავრცელებაში მონაწილეობას იღებს[2]. ამისდა მიუხედავად თალაჯარს ქეღათუს წინააღმდეგ მოქმედება არც შემდეგში შეუწყვეტია[3].

საფიქრებელია, რომ ქართველი ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი ცნობა, „საბერძნეთში“ მომხდარი განდგომილების შესახებ ამ ტალაჯარის მტრული მოქმედების ერთ შემთხვევათაგანს უნდა გვისურათებდეს, რომელზედ სხვა ჯერეთ ცნობილ წყაროებში დაწვრილებით არაფერია მოთხრობილი. ამის გამო იბადება საკითხი ტ უ ნ ღ უ ზ ა ლ ო ხომ ტ უ ღ უ ზ ა რ-ისაგან არ არის დამახინჯებით წარმომდგარი.

რათგან საბერძნეთის ანუ რუმის გამდგარი ქალაქის გარემოცვა ოთხ თვეს გაგრძელებულა და მხოლოდ მეხუთე თვეზე აუღიათ, ამიტომ ცხადია ტ ო ნ ღ უ ზ ა ლ ო ს აღება უნდა 1292 წ. იანვრის დამდეგს, ან განმავლობაში ეიგულისხმოთ. ამისდა მიხედვით დავით დიმიტრი თაკვადებულის ძის მეფედ დასმა ქეღათუსაგან ამავე 1292 წელს დ ი ა ნ ვ რ ი ს შემდგომ ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო.

უცნაურია, რომ მთელს ამ ზემომოყვანილს მოთხრობაში ვახტანგ მეფე, დავით-ნარინის ძე, არც ერთხელ არ იხსენიება. თუ ამ ამბის დასასრულს 1292 წ. გარდაცვლილი ვახტანგის ჟამთააღმწერელისა თუ მისი წყაროსაგან მოუხსენებლობა შეიძლება ასე. თუ ისე იმ გარემოებით ავხსნათ, რომ ისტორიკოსს ამ დროს იგი მკვდრად ჰყავდა ნაგულისხმევი, ვერავითარი გამამართლებელი მოსაზრება ვერ მოეძებნება ვახტანგ მეფის შესახებ ჟამთააღმწერლის დუმილს იქ, სადაც რუმის გამდგარი ქალაქის დასამორჩილებლად გალაშქრებაზე აქვს მას საუბარი. ამ დროს ჟამთააღმწერელის ცნობითაც ვახტანგი ცოცხალი უნდა ყოფილიყო და გაუგებარია, ან რატომ არ იხსენიებს, ან სად უნდა ყოფილიყო იგი ამ დროს, ან რა მიზეზი იყო, რომ საბერძნეთის აჯანყებული ქალაქის წინააღმდეგ გალაშქრებაში საქართველოთგან ვახტანგ მეფე კი არ იყო მოწოდებული და მისული, არამედ უფლისწული დავითი დიმიტრის ძე? იქნებ იმიტომ, რომ ვახტანგ მეფე 1292 წელს კი არა, უკვე 1291 წ. 1 ენკენისთვემდე გარდაცვლილიყოს. მაგრამ იქნებ სპაარსელი ისტორიკოსი რ ა შ ი დ ე დ ი ნ ი მართალი იყვეს და ქეღათუ ყაენს ვახტანგ მეფე გადაეყენებინოს და სწორედ ამიტომ არ იყოს იგი ზემომოყვანილს მოთხრობაში მოხსენებული? თუ ეს მდუმარება მართლაც ამ მიზეზით არის გამოწვეული, მა-

---

[1] ჰ ა მ მ ი რ ი, I, 399.
[2] ი ქ ვ ე, I, 404.
[3] ი ქ ვ ე, I, 406—408.

შინ ამ შემთხვევაში ჟამთააღმწერელს სხვა წყარო უნდა ჰქონოდა, წინამავალ ამბისათვის კი, სადაც სამი წლის მეფობის შემდგომ ვახტანგ მეფის გარდაცვალებაა აღნიშნული, სულ სხვა წყარო. ამ ორთაგან უკანასკნელი თუ მთლად შეცდომაზე არ არის დამყარებული და იქნებ ვახტანგი ადადაყენების წელსვე გარდაიცვალა, მაინც საქმის ნამდვილი ვითარების სისწორით გამომხატველი არ უნდა იყოს. მაინცდამაინც ძალდაუტანებლივ ამ ორი მოთხრობის ერთმანეთთან შეთანხმება შეუძლებელია და სხვადასხვა წყაროთგან უნდა ჰქონდეს ჟამთააღმწერელს ამოღებული.

ჟამთააღმწერელის ცნობით, ვახტანგ მეფის უდროო სიკვდილს მისი მოხუცებული მამა დიდს მწუხარებაში ჩაუგდია, «ვერღარა პოვა ლხინება»-ო. და ამის შემდგომ დიდხანს არც უცოცხლია, არამედ «მცირეთა წელთა შეისვენა შანცა პატიოსნითა სიბერითა აღსავსე» (*905, გვ. 747). რათგან ჩვენს ისტორიკოსს ვახტანგის სიკვდილი 1292 წელსა აქვს ნაგულისხმევი, ამიტომ დავით ნარინის გარდაცვალებაც ამის შემდგომ და ახლო ხანებში უნდა იყოს ნავარაუდევი. მაგრამ ამ თარიღის სისწორე ვახტანგის სიკვდილის თარიღის სისწორეზეა დამოკიდებული, ეს კი, როგორც უკვე დავრწმუნდით, ჯერჯეროობით საეჭვოა.

დავით-ნარინს სამი შვილი დარჩა: კონსტანტინე, მიქაელი და ალექსანდრე, რომელთაგან უკანასკნელი და სხვებზე უმცროსი საბერძნეთის კეისრის ასულისაგან იყო ნაშობი. «მიიღო მეფობა კოსტანტინე პირმშობისა ძალითა». მაგრამ კონსტანტინეს ასჯანყებია მისი მომდევნო ძმა მიქელი, რომელსაც რაჭა და არგვეთი დაუპყრია. ამ განდგომილების გამო «დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო». დროგამოშვებით ძმები შერიგდებოდნენ ხოლმე, «დაიზავნიან», მაგრამ შემდეგ ისევ შუღლი და მტრობა ჩამოვარდებოდა და «შეიშალნიან». ასე დაიოღვა შინაური მყუდროება დასავლეთ საქართველოში, რათგან მტრობით დაბრმავებულმა ძმებმა «არა ყუეს მშვიდობა ვიდრე არა მიიცვალნეს»-ო (ჟამთააღ. *906 გვ. 847).

[დავით VI დიმიტრი თავდადებულის ძე და კონსტანტინე დავით-ნარინის ძე]

საქართველოში გამოსტუმრებულს დავითს, დიმიტრი თავდადებულის ძეს ყაენმა «თან წარმოატანა სპანი საქართველოსანი, შანშა და ხუტლუბუღა და ყოველნი დიდებულნი». დავით მეფემ სამცხითგან ბექა ჯაყელი დაიბარა, მაგრამ «მან არა ინება მოსვლად», არამედ თავის მაგიერ თავის პირმშო შვილი სამცხის სპასალარი სარგისი აახლა და თან მთელი ის განძეულობა გამოატანა, რომელიც «აქვნდა მეფისა დიმიტრისაგან შეგვდრებული და სარტყელიცა იგი დიდფასისა» მოართვა დავითს. თვით ბექა ათაბაგი, ჟამთააღმწერელის სიტყვით, ისე იყო გადიდგულებული, რომ მეფესთან წარდგომა თავის ღირსების დამცირებად მიიჩნდა: «ფრიად განდიდებულიყო [და] თჳთ არღარა წარვიდის არცა ყანს წინაშე, არცა მეფესა თანა»-ო. (*907—908, გვ. 749).

კათალიკოზმა აბრამ ეპისკოპოზითურთ აკურთხეს დავითი მეფედ და სამეფო ტახტზე დასვეს წესისამებრ (იქვე). კურთხევის წესი როგორც ეტყობა, აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო [შესრულებული].

ჟამთააღმწერელის სიტყვით ქეღათუ ყაენს დავით დიმიტრის ძისათვის თავისი და «ოლჯათ, რომელიც ვახტანგს ცოლად ესვა», თანამეცხედრედ მიუცია (* 908, და 91 წ. გვ. 749). ოლჯათ, მართლაც, აბაყა ყაენის ასული, მაშასადამე ქეღათუს და იყო, მაგრამ სპარსული წყაროების ცნობებით ის ჯერ თუქალის, მერმე ,ყუთლუღის ცოლად ყოფილა, ხოლო ვახტანგ მეფეზე და დავითზე რომ გათხოვილიყოს, ამაზე იქ არაფერია ნათქვამი.

დავით დიმიტრი თავდადებულის ძის გამეფებისთანავე საქართველოს გაერთიანების დაწყებული გეგმა კვლავ ჩაიშალა, რათგან დავითმა «დაიპყრო ყოველი სამეფო მამისა მისისა დიძიტრისა თჳნიერ ბექას სამცხის მპყრობელისა» (* 908, გვ. 749—750), ე. ი. მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო, დ ა ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ში კ ი კ ონ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ე ფ ო ბ დ ა.

დავით მეფეს მონღოლთა წესისაებრ ყაენთან უხდებოდა ყოფნა და საქართველოს სახელმწიფო საქმეებისათვის მოცალეობა არ ჰქონდა. ასეთ პირობებში შინაური მდგომარეობა, რასაკვირველია, თანდათან აირეოდა, მეზობლები და ყმადნაფიცი სამეფოებიც გათამამდებოდნენ. უკვე დავით აღმაშენებლის დროითგან ოვსნი და ყივჩაყნი საქართველოს ყმადნაფიცნი იყვნენ. მონღოლთა ბატონობას უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოსა და ოვსთა მეფეთა შორის არ შეუცვლია და «ფარაჯან ოვსთა მთავარი მსახურებდა კეთილად მეფესა დავითს. მაგრამ საქართველოს აოხრებამ, ხვარაზმელების შემოსევამა და მონღოლთა ბატონობამ მოსახლეობა ბევრგან შეათხელა და ქვეყანა გააუკაცურა, უმთავრესად ბარად და ქვეყნის სახხრეთ აღმოსავლეთის სანაპიროებსა და შუაგულში. განთავისუფლებულ ადგილებზე მთებითგან ქართველი მთეულნი დასახლდნენ. ხოლო მათ მაგიერ თანდათანობით იმიერკავკასიითგან ოსები გადმოვიდნენ. თავის სამშობლოში ნავარდს მიჩვეულნი, საქართველოში ისინი თავიანთ ზნე-ჩვეულებას ვეო დაიშლიდნენ და ცარცვა-გლეჯას ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე ქართველთა და ოსთა შორის მტრობა ჩამოვარდა და ერთიმეორეს დაუნდობლად ეპყრობოდნენ: «აქვნდა[თ] მტერობა ქართველთა [და ოვსთა]. ესოდენ გარდაეკიდნიან ერთმანეთს [რომელ] რომელიცა მძლე ექმნის, მოკლის» (ჟ ა მ თ ა ა ღ. * 908, გვ. 750).

ქართლში ჩამოსული ოსები ისე გათამამებულან, რომ ქართლის ერისთავთ-ერისთავის ბეგა სურამელის შვილზეც რატზე თავდასხმა გაუბედნიათ იმ დროს, როდესაც ის «ნადირობასა შინა მყოფი» არხეინად იყო, «მცირითა კაცითა და უსაჭურველოდ» სდევდა ნადირს. რატი თავდამსხმელთა ორ ბელადს მამაცურად დაჰხვედრია: «აღიღო ფარი და დაუდგა სივიწროესა წყლის გასავალსა» და ჯერ ერთს «უხეთქნა მუზარადსა, გაუპო და ჩამოაგდო და მოკუდა», შემდეგ მეორეს ჰკრა «ჯაჭვიანსა მჴარსა, განუკვეთა მჴარი და ჩამოაგდო». ორივე ბელადის სიკვდილს შემდგომ თანმყოლმა ოსებმა გაქცევა ირჩიეს და გაიფანტნენ (* 908, გვ. 750).

ქეღათუ ყაენის მრისხანე და უგუნური მმართველობა მონღოლთა ნოიონებს მოსწყინდათ და ბაიდუს მეთაურობით მის მოსაკლავად შეთქმულება მოაწყეს. მაგრამ შეთქმულების ამბავი გამომჟღავნდა და ბევრი ამის მონაწილე ნოინთაგანი, მათ შორის თუქალიც, შეპყრობილ იქმნენ. დაჭერილი ამირები

მონღოლთა ჩვეულებისამებრ მოკლული კი არ იქმნენ, არამედ თავრეჟში წაასხეს, თუქალს გარდა, რომელიც საქართველოში გაისტუმრეს.

ბაიდუს წინააღმდეგ გაგზავნილმა ქეღათუ ყაენის ჯარმა პირველად გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ საქართველოში შეგროვებული ლაშქრითურთ ბაიდუს მომხრეებს მოეშველა. 24 მარტს 1295 წ. ქეღათუ ყაენი დატყვევებულ და მოკლულ იქნა. უკვე 26 მარტს ბაიდუ საყაენო ტახტზე იქმნა აყვანილი [1].

ბედმა ბაიდუს დიდიხნის ყაენობა არ არგუნა. მას წინააღუდგა ყაზანი, რომელმაც სპარსელების გულის მოსაგებად ნავროზ ნოინის ჩაგონებით ისლამის მიღება არჩია და 16 ივნისს 1295 წ. გამაჰმადიანდა კიდეც. მაჰმადიანობისადმი თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ყაზანმა 2 ნოემბერს 1297 წ. დოლბანდიც კი შემოიხვია [2].

გამაჰმადიანებამ ყაზანს სპარს-თურქთა შორის ბევრი მომხრე გაუჩინა. ყაზანმა ბაიდუს ჩამოგდება და თავისი თავის გაყაენება გადასწყვიტა. უკვე 4 ოქტომბერს 1295 წელს უჟანში ბაიდუ შეპყრობილ იქნა და ყაზანის ბრძანებით მოკლულ იქმნა [3]. ამგვარად, ბაიდუს საყაენო ტახტზე ჯდომა მხოლოდ 7 თვისა და 10 დღის განმავლობაში ხვდა.

მონღოლთა ამ შინაური ძმათაშორის ბრძოლაში თავითგანვე დავით მეფეს თუქალ ნოინთან ჰქონდა კავშირი შეკრული. იმ დროსვე, როდესაც თუქალი ქეღათუსაგან საქართველოში გამოსტუმრებული იყო და «იდგა მთათა არარატისათა», მეფე დავითმა და თუქალმა გადასწყვიტეს, «რომელ ფიცთა მიერ ქმნან ერთობა სიყუარულისა და დაამტკიცეს ერთობა». როდესაც ბაიდუსა და ყაზანს შორის ბრძოლა ატყდა, თუქალი ბაიდუს თავგამოდებული მომხრე იყო. ამის გამო ბაიდუს მოკვლისა და ყაზანის გაყაენების შემდგომ თუქალი განსაცდელში ჩავარდა. მას უკვე სპარსეთში დარჩენა აღარ შეეძლო, საქართველოში შემოიხიზნა და ბექა ჯაყელთან შეაფარა თავი. დავით მეფის მდგომარეობაც თუქალის მომხრეობისა და დადებული ხელშეკრულების გამო სახიფათო შეიქნა. მართალია ორჯერვე, როდესაც ბაიდუ—ყაზანის ლაშქარს შორის ბრძოლა მოხდა, დავით მეფეს მათს შეტაკებაში მონაწილეობა არ მიუღია, სანამ ის ჯარს შეჰყრიდა «ვერღარა მოიცადეს» და «მეფე აქაცა დაიცვალ-თნ», მაგრამ თუქალთან არსებული კავშირი ყაზანისათვისაც საიდუმლოებას არ შეადგენდა.

ყაზან ყაენმა დავით მეფესა და ბექა ჯაყელს თუქალისა და მისი შვილის გაცემა მოსთხოვა. ორგზისი მოთხოვნის შემდგომ, «არა მისცეს, არამედ იურვეს, რათა შეუნდოს». ყაენმაც, «მისცა პირი და ბეჭედი უვნებლობისა და მისცეს თუქალი და მისი შვილი. შეპირებისდა მიუხედავად ყაზანმა თუქალი მაინც მოაკვლეინა [4].

---

[1] ჰამდერი, I, 405—408.
[2] ჰამმერი, II. 29—29, 68.
[3] იქვე, II, 30.
[4] ეამთააღ. 909—911, გვ, 750—752 სტ. ორბელიანი, გვ. 472.

ნავროზის დახმარებით გაყაენებულს ყაზანს თავისი დიდი წყალობა ნავროზისათვის რა თქმა უნდა არ დაუშურავებია და ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეც მას ჩააბარა. ნავროზი ისე „განდიდნა“, რომ «თჳნიერ ყაენისა განაგებდა საქმეთა საურავთა». ვითარცა მაჰმადიანს, მას არ შეეძლო მარჯვე შემთხვევით არ ესარგებლა, რომ ქრისტიანებზე, მეტადრე ნესტორიანებზე, რომელთაც წარმართ მონღოლებზე დიდი გავლენა ჰქონდათ და მაჰმადიანნი ათვალწუნებულნი ჰაყვდათ, ჯავრი არ ეყარა.

რაკი ნავროზს «აქვნდა მტერობა ქრისტიანეთა, განემზადა სრულიად დაჴოცად და დაქცევად ეკლესიათა თავრეჟსა და ყოველთა ქალაქთა და მოიყუანა ეფისკოპოზი მარაღისა ქალაქისა ნათესავით და სარწმუნოებით ნასრანი, რომელი იყო კაცი მოწყალე და სახიერი და ფრიად სათნოებიანი, პირველთა ყაენთაგან პატივცემული და მამად სახელდებული. ესე პყრობილ ყო» და სტანჯა, რომ სარწმუნეობაზე უარი ეთქმევინა და გამაჰმადიანებულიყო, მაგრამ ამაოდ: «ამისთჳს ექსორიად დაისაჯა, რამეთუ იყო ფრიად მოხუცებული».

ამავე ნავროზმა გამოგზავნა ერთი თავისი ნათესავთაგანი, «რათა მოაოჴრნეს ეკლესიანი ყოველსა საქართველოსა». მას უნდოდა მეტადრე ვარძიის ხონასტრის ქონების ხელში ჩაგდება და შემდეგ, «ყოველსა საქართველოსა რაცა იპოვოს, წარმოიღოს», რათგან «ჰგონებდა უზომოსა სიმდიდრესა ოქროსა და ვეცხლსა, თვალთა პატიოსანთა და მარგალიტსა მრავალსა». ჯერ მოვიდა ნახჭავანს და «იწყო რბევად და რღვევად ეკლესიისა». სივნიეთშიაც უნდოდათ იგივე საქმე ჩაედინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. სტ. ორბელიანის სიტყვით მდ. არეზს აქვთ ნავროზის გეგმა ვერ განხორციელებულა. ქართველ ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს, ვითომც გამოგზავნილი ამირა «მეხდატეხილ იქმნა და განიგალა სრულიად და დაიწვა ძვალითურთ» და ასეთი ბედი ვარძიის ღვთისმშობლ.ს რისხვად მიაჩნია (* 911—212, გვ. 752—753).

მაგრამ ბოლოს ვერც ნავროზი გადურჩა თავ.ს მბრძანებელის რისხვას და ყაზანის ბრძანებით ხუტლუშა ნოინმა ხვარასანში გაქცეულს ნავროზს «დევნა უყო... მოეწია და მოაკუდინა იგი და შვილი მისი და ყოველი ნათესავი მისი მოსპო» 24 მაისს 1297 წელს[1].

[ურთიერთი უნდობლობა ყაზან ყაენსა და დავით VI-ს შორის]

ყაზან ყაენმა დავით მეფე დაიბარა. მას ყაენის ნდობა არ ჰქონდა და ურდოში წასვლის მაგიერ კახეთში გაემგზავრა და იქ შეჰყარა «ერ-კახნი დიდებულნი და აზნაურნი», მათ შორის იყო «ერისთავი სამადავლა კაცი ყოვლითა სამჴედროთა ხნითა შემკობილი და მოისარი რჩეული». თავმოყრილ დიდებულებს დაეკითხა, «ვანეზრახა ვაზირთა, უკეთუ წარვიდე ურდოსა? დაუმტკიცეს ვაზირთა წარსვლა». მაგრამ მეფემ ამ გადაწყვეტილებას ყურადღება არ მიაქცია და თავი მოარიდა: «შეიქცა გარე, რამეთუ აქვნდა შიში თათართა და ყანის ხილვისა». ამიტომ უდრო‍ში წასვლის მაგიერ დავით მეფე «მოვიდა მთიულეთს,

---

[1] ჟამთააღმ. * 912, გვ. 754 და ჰაბმერი, II, 42—44.

უკუდგა ჟინვანს, შეკრა სიბა და მცველნი დაუდგინა», თითონ კი მთიულეთში გამაგრდა. თავისი თავის უზრუნველსაყოფელად დავით მეფემ თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი «წარავლინა... ელჩად» ჩრდილოეთის ურდოს ყაენთან ყაზან ყაენის წინააღმდეგ შეერთებული ლაშქრობის მოსაწყობად. დავით მეფეს იქითგან დახმარების იმედი მოუვიდა» (ჟამთააღ. *912—913, გვ. 755). ამ ამბავის თარიღი ჩვენს ისტორიკოსს დასახელებული არა აქვს. მაგრამ ნავროზის სიკვდილის ანუ 1297 წ. 24 მაისის შემდგომ აქვს ნაგულისხმევი. მოთხრობის შიმდინარეობისდა მიხედვით და სპარსული წყაროებითაც დავით მეფის უკუდგომა მართლაც 7 ნოემბერს 1297 წ, მომხდარა[1].

დავითი რომ განუდგა ყაზან ყაენს, ეცადა. თავისი სამეფო და თავი სპარსეთის ყაენის მრისხანებისაგან ძლიერი მოკავშირის მომხრეობითა და დახმარებით უზრუნველ-ეყო. ამ მიზნით მან «წარავლინა ძმა თჳსი უმრწემესი ვახტანგ ელჩად დიდისა ბათოს შვილისა ყანისა და უქადა გზა გამოსლვად (ყაზან) ყანსა ზედა». ეს აზრი ჩრდილოეთის ურდოს ბატონს, ვითარცა სპარსეთის მონღოლ-ყაენთა მუდმივსა და დაუცხრომელ მოწინააღმდეგეს, ძალიან მოსწონებია. ამიტომ ვახტანგ ბატონიშვილი «მან კეთილად შეიწყნარა» და თანაც ქონებრივს დახმარებასაც დაჰპირებია, «საჭურჭლე მრავალი» (ჟამთააღ. *913, გვ. 755).

გაიგო თუ არა ყაზან-ყაენმა დავით მეფის უკუდგომის ამბავი, მაშინვე თავისი მხედართმთავარი ყუთლუშა დიდი ჯარითურთ გამოგზავნა. ის მოვიდა და თბილისში დადგა. აქეთგან მან დავით მეფეს მოციქული გაუგზავნა, რომლის პირითაც ყაენის მაგიერ დაზავებასა და მონდობას სთხოვდა. «ითხოეს კაცნი სარწმუნონი მისანდობელად და აძლევდეს ზავსა და სთხოვდეს ერთგულობასა ყაზანისასა», განსაკუთრებით კი, რომ დავით მეფე სპარსეთის ყაენების მტრებს ჩრდილოეთის ორდოს ყაენს არ მიმხრობოდა. დავით მეფეს ამ მოლაპარაკებაზე უარი არ უთქვამს, არამედ შესათანხმებლად, მისანდობლად, სარწმუნო კაცებად «კათალიკოზი აბრამ, ბურსელი ივანე და ტფილელი ყადი» წარმოუვლენია, მაგრამ თავის მხრივაც მას მონღოლებისათვის „მძევალნი“ და ფიცი მოუთხოვია. ხუტლუშას პირით მონღოლთა ყაენის წარმომადგენლებმა დავით მეფეს თურმე შეჰფიცეს «სჯულისაებრ მათისა და მისცეს მძევლად ხუტლუშაჰის შვილი სიბუჩი, ყურუმშის ძმა არფა და სხვათა ნოინთა შვილნი». ამის გარდა «მისცეს ბეჭედი ყანისა და სიმტკიცე უვნებლობისა». თავისი თავი რომ ასეთი სიფრთხილით უზრუნველჰყო, დავით მეფე მივიდა ყუთლუშაჰთან და მოლაპარაკების შემდგომ ყაზან ყაენის ერთგულებაზე დაეთანხმა. მოლაპარაკების დამთავრების შემდგომ დავით მეფე შინ დაბრუნდა და მრეველიც გამოისტუმრა (ჟამთააღ. *913—914, გვ. 755—756).

როცა გაზაფხული დადგა და დავით მეფე ურდოში მიიწვიეს, მან კვლავ წასვლა აღარ მოინდომა, რადგან მონღოლთა ფიცისა არ სჯეროდა და შუ-

---

[1] ჟამთააღმწ., გვ. 754—757; სტ. ორბელიანი, თბ. გამოც. გვ. 476—477; რაშიდ ედინი: ჰამმეი, II, 69. შეად. აგრეთვე ძეგლი ერისთავთა: ქრონიკები II, 5—7.

რისძიებისა ეშინოდა. ყაზან-ყაენმა ამის გამო დავით მეფის წინააღმდეგ იგივე ყუთლუშა გამოგზავნა. იგი დიდი ლაშქრითურთ სომხეთს მოვიდა და მეფეს ურდოში იწვევდა და «აღუთქმიდეს ნიჭთა დიდთა». მეფემ თავის მაგიერ ისევ კათალიკოზი აბრამი, იოვანე ბურსელი და თბილელი ყადი გაგზავნა მოსალაპარაკებლად და «აღუთქვა მისვლად». მაგრამ ეხლა მონღოლები უკვე გამოცდილი იყვნენ და «ცნეს თათართა, რამეთუ მიზეზობდა» მხოლოდ დავით მეფე და ნამდვილად მათი მოთხოვნილების ასრულებას არ აპირებდა. ამიტომ იოანე ბურსელი შეიპყრეს[1], ხოლო «კათალიკოზი აბრამ და ყადი ტფილელი განუტევეს უვნებელად». (ჟამთააღ. *914, გვ. 756).

ერთადერთ გამოსადეგ საშუალებად მეფე დავითის წინააღმდეგ მხოლოდ სამხედრო მოქმედება-ღა იყო ცნობილი და ამისთვის «მიმართეს მთიულეთს, მოაოვრეს სომხითი, ქართლი, თრიალეთი და ერწო» ხოლო ბრძოლის მოსაწყობად «დადგეს მუხრანს, ხერკს, ბაზალეთს, ერწოს და თიანეთს». ჯარის სიმრავლის გამო «ვერ ეტეოდეს სადგომად» და აქეთგან «არბევდეს ქართლსა და ზემოქსენებულთა ქუეყანათა». აღმოს. საქართველოს ამის გამო დიდი ზიანი მოუვიდა და დახოცილ-დატყვევებული ბევრი იყო. მაინც მონღოლთა მთავარი მიზანი, დავით მეფის დაჭერა, მიუღწეველი დარჩა. ამიტომ «კუალადცა ინებეს თათართა ზავის ყოფა და გაუგზავნეს მოციქული, რათა მეფემან შეჰფიცოს ურთგულებასა ზედა ყაზანისსა და არა მისცეს გზა ბათოს შვილის შვილსა დიდსა ყაენსა თოხთას». თუ დავით მეფე ამ პირობებს აასრულებდა, მას ხელუსლებლობას და ბრალუხსენებლობას ჰპირდებოდნენ. დავით მეფე ამ პირობებზე დათანხმდა და დაეზავა. «მისცეს სამეფო მისი და ყუეს ფიცი და აღთქმა ურთიერთას». და საბოლოო მოლაპარეკებისა და საქმის დამთავრებისათვის მონღოლებთან «წარგზავნა დედა თჳსი დედოფალი და ძმა მისი უმრწეესი მანოველ და კათალიკოზი აბრამ და დედოფალი ცოლი მეფისა. ურდოში მისულმა დედოფალმა ყუთლუშასთან საქმე გაარიგა და დავით მეფეს «მისცეს ტფილისი და სამეფო მისი». ამგვარად, საქართველოში დროებით მაინც კვლავ მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ეს ამბავი წარსულ 1297 წ. დასასრულსა და 1298 წ. დამდეგს უნდა მომხდარიყო (*914—915, გვ. 756—757). ბატონიშვილს ვახუშტს თარიღად 1298 წ. აქვს მოყვანილი[2].

რაკი 1299 წ. ზაფხულს გამოგზავნილმა ყაზან ყაენის გამომძიებელმა გამოარკვია, რომ დ. თ დიმიტრი II ძეს ყივჩაყთა ყაენის თოხთასთან (1290—1312 წ.) ილხანების საწინააღმდეგო ლაშქრობის მოსაწყობად მოლაპარაკება აქვს, ყაზანის ბრძანებით ყურშიბი და სხვები (შანშე მხარგრძელიც) გამოგზავნა და «მოუწოდა ძმასა დავითისასა მცირესა გიორგის», ბექა ჯაყელის ასულის შვილს და ბექამ, რომელთანაც ის იზრდებოდა, მცირეწლოვანობისდა მიუხედავად მისცა, რომ «მეფე ყონ ქართლსა (sic) დავითის წილ ძმისა მისისა» (ჟამთააღ. 757—8).

---

[1] ჟამთააღმწერელის ტექსტში აქ ნათქვამია კიდეც «და მოკლეს»-ო (*914, გვ. 756), მაგრამ, რადგან ბურსელის სიკვდილი ქვემოთ ხელმეორედ არის მოხსენებული (გვ. 764), ამიტომ უეჭველია პირველი შემთხვევაში რაიმე შეცდომა უნდა იყოს.

[2] ვახუშტი. ისტორია, გვ. 265.

ეს „ყრმა მცირე გიორგი“, შემდეგში ბრწყინვალედ წოდებული, იყო „მეფედ ტფილისისა“ (ჟამთააღ. გვ. 759).

ყაზან ყაენს გამდგარ დ´თ მეფის წინააღმდეგ კვლავ დამრბევი ლაშქარი გამოუგზავნია ხუტლუშას წინამძღოლობით, რომელსაც შალვა ქვენიფნეველიც მიმხრობია. ეს დაწყებულა „ჭითარ მოიწია გაზაფხულ (ჟამთააღ. 918, გვ. 759), ხოლო წინა თარიღი 1299 წ. ზაფხული იყო (იქვე, *915, გვ. 757), ამიტომ ცხადია, რომ ზემოაღნიშნული შემოსევა 1300 წ. გაზაფხულზე უნდა დაწყებულიყო. ასევე ანგარიშობს მ. ბროსეც[1].

ადვილი წარმოსადგენელია, თუ რა დაემართებოდა ამ მხარეს, მაგრამ, რაკი მონღოლებმა ამითაც თავიანთს მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, ამიტომ ისევ დავით VI-ესთან მოლაპარაკება დაიწყეს. მეფე ამ შემთხვევაშიც წინანდებურად მოიქცა და 1302 წლამდე ყოველ შემოდგომა-გაზაფხულზე ამის მსგავსი აბბავი მეორდებოდა. ასეთ პირობებში აღმ. საქართველოს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, თანდათან სულ უფრო და უფრო უხდა გაუარესებულიყო, რათგან დავით VI-ისაგან მიცემული სიტყვის დარღვევისათვის პასუხისმგებლად მონღოლები ხალხსა ხდიდნენ.

ამ დროს მეფის მთიულეთში შეხიზვნის გამო აოხრდა „ქართლი უბოროტესად“, მაგრამ ყაენის მრისხანება ყველა სხვა თემებზე მეტად სწორედ იმ ადგილებსა და ხეობებს დაატყდათ თავს, სადაც დავით VI იმალებოდა. თუმცა უთანასწოო ბრძოლის წარმოება ამ მწირი თემის მცხოვრებთათვის მეტად ძნელი იყო, მაგრამ შალვა ქვენიფნენელს რომ არ ეღალატა და მონღოლებთან მისულს არაგვის ხეობის გზებზე გაძღოლა არ ეკისრა, აქ თემის ბუნებრივი პირობების წყალობით, მთიულეთს წინააღმდეგობის გაწევა კიდევ დიდ ხანს შეეძლო.

მაინც, რაკი დიდებულთა უმრავლესობა მეფეს მხარს უჭერდა და «დადგეს ერთგულებასა მეფისასა სურამელი აჰმადა, ამირეჯიბი აბაზასძე ჭილა და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი», დავით VI-ემ ბრძოლის გაგრძელება მოახერხა და ცხავატში შესულ მონღოლებს დიდი ზიანიც კი მიაყენა: სწორედ ამ დროს «მოსწყდა თათარი», რომელნიც კი «შემოსრულ იყუნეს ვიწროსა გზასა კაცი მეომე ვითარ ხუთასი, რომელნი ვეღარ გამოესწრნეს გზისა სივიწროისაგან“ და ამის წყალობით „შეიპყრეს ხუთასივე“.

მაგრამ მონღოლთა ბანაკი მრავალრიცხოვანი ჯარისაგან შესდგებოდა, მათ ომის გაგრძელება დაუბრკოლებლივ შეეძლოთ: აქ ხომ მარტო მონღოლები არ იბრძოდნენ, მათ ჩვეულებრივ თვით საქართველოთგან გამოყვანილი ჯარის გამოყენებაც იცოდნენ. ხოლო ამ შემთხვევაში მონღოლებს «შემწედ ჰყავდა ივანესძე შანშა» მხარგრძელი და «მესხნი ლაშქარნი, რომელნი

---

[1] მ. ბროსე, H. d. G. 622.

ამ შემოსევისა და ქვენიფნეველ და დ´თ მეფის შორისი ბრძოლის აბბავი იხ. ჟამთააღ. 759—761, შეად. სტ. ორბელიანი 476—77, ძეგლი ერისთ. 5—6,

წარმოევლინნეს სამცხის მთავარსა ბექასა, — თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი».

დავით VI-სა და მის მომხრე ხემოაღნიშნულ დიდებულებსაც კარგი და გულადი მებრძოლნი ჰყავდათ. მათ შორის ყველაზე მამაცი და მარჯვე, რასაკვირველია, თვით არაგვის ხეობის მოსახლეობა იყო, რომელიც თავის კერას იცავდა, და რომელმაც ამ კუთხის ყოველივე ბილიკი ზედმიწევნით იცოდა. საერთოდ «მთიულნი იყუნენ ფერკითმალე» და ქვეითად ბრძოლაც ეხერხებოდათ, მონღოლებს კი უფრო ამხედრებულთ უყვარდათ ომის წარმოება. ბუნებრივი პირობების წყალობით, არაგვის ხეობის ვიწროებში ისე ადვილად «ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომრად» და ამიტომ აქ უნებლიეთ «ქუეითად იბრძოდეს თათარნი».

მაინც თავიანთ სიმრავლით დაიმედებულმა მონღოლებმა ყურუმში ნოინის მეთაურობით ცისკარზე იერიშის მიტანა გადასწყვიტეს, რათგან იცოდნენ რომ დავით VI სწორედ იქ იყო შეფარებული და „სპანი მეფისანი" იმდროს დაბანაკებულნი იყვნენ «კადის თავსა, გორასა რასმე, რომელ არს ცისკარეს პირისპირ».

დაიწყო ცხარე და უაღრესად სისხლისმღვრელი ბრძოლა, მაგრამ დავით VI-ის მეომარნი მტერს უშიშრად უხვდებოდნენ და «კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, კადით და კევით მოსულნი რჩეულნი» მოლაშქრენი და ამიტომაც «უმეტეს მოისრვოდეს თათარნი».

რაკი მონღოლთა ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა, მათმა მხედართმთავარმა «იხილა სიმაგრე ქვეყნისა და ცნა, რომელ არა ეგების შესვლა ცისკარეს». რახან დასახული ამოცანა განუხორციელებელი რჩებოდა, ამიტომ «აიყარა ღამით გზასა ლომისთავისასა» და გაჯავრებულ გულზე «დაესხა ქართლს». აქ, თუ სადმე გაუნადგურებელი გადარჩენოდათ, «მოაკრეს და წარვიდეს ყანს ყაზანს წინაშე» (ეამთააღ. გვ. 760—761).

უკვე 1299 წ., როდესაც ყაზან ყაენმა გაიგო, რომ დავით VI, ეროვნულების ფიცის შემდგომაც, ოქროს ულუსის ყაენ თოხთასთან მის წინააღმდეგ მოლაპარაკებას აწარმოებდა, განრისხებულმა გადასწყვიტა მის მაგიერ აღმ. საქართველოს სამეფო ტახტზე სხვა დაესვა. მისი არჩევანი ამ შემთხვევაში დავით VI-ის სულ უმცროსი ძმის გიორგიზე შეჩერდა, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო და მესხეთის მთავრის ბექა ციხისჯვარელ-ჯაყელის სახლში იზრდებოდა. მის მოსაყვანად ყაზან ყაენმა ალინაყის შვილი ყურუმში ნოინი, კიდევ ერთი თავისი შინაურთაგანი და შანშა მხარგრძელი წარგზავნა. ბექამ თანხმობა განაცხადა და გიორგი უფლისწული თავისი ჯარითურთ მათ გამოაყოლა. რასაკვირველია, ყაენს ეს უფრო მისი უფროსი ძმის მოსაგონიერებლად ჰქონდა ჩადენილი, თორემ სხვაფრივ მცირეწლოვან გიორგის თითონ მონღოლებისათვის რა სარგებლობის მოტანა შეეძლო? თუმცა იგი «დასვეს მეფედ ტფილისს», მაგრამ, რამდენადაც ქართლსა და მის მთელს ჩრდილოთიანეთის ნაწილში დავით VI მეფობდა და „სომხითარნიც" მას მხარს უჭერდნენ, „ურმა მცირე გიორგი" ნამდვილად იქცა მხოლოდ „მეფედ ტფილისისა". ამრიგად, ამითაც მონღოლებისათვის სახეირო არა სჩანდა რა-

1301 წ. გაზაფხულის დადგომისთანავე ხუტლუშა ნოინი რომ ყაზან ყაენის ბრძანებით „სპითა უძლიერესითა“ ისევე საქართველოში წამოვიდა, ჯერ «მოიწია ტფილისს და ეგულებოდა შესვლად მთიულეთს». მაშასადამე, ისევ სისხლის ღვრა და ქვეყნის აოხრება უნდა დაწყებულიყო. ამდენი ხნის განმავლობაში აღმ. საქართველოს ყოველწლივმა დაწიოკებამ ისინიც შეაფიქრიანა, რომელნიც აქამდე დავით VI-ეს უჭერდნენ მხარს და მასთან ერთად მონღოლთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. მათ უკვე საკმაო შემთხვევა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ, აღმ. საქართველოს ერთ პატარა თემში შემწყვდეულთ, თავიანთ თავისა და უფრო კი მეფის დაცვის გარდა, არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ასე მონღოლების დამარცხებაზე ფიქრი მხოლოდ თავისი თავის მოტყუება იქნებოდა. ამავე დროს ხალხი იწყვიტებოდა და ქვეყანაც განადგურდა.

მხოლოდ თავზე ხელაღებულ კაცს შეეძლო ამ საშინელი გარემოებისათვის ანგარიში არ გაეწია და ასეთი ბრძოლის აუცილებელს შედეგს არ შეეშინებინა. ჟამთააღმწერელიც ამბობს: როდესაც მონღოლთა ამოდენა ლაშქრის მოსვლა «ცნეს დიდებულთა ამის სამეფოსათა, განკრთეს და უძებდეს ღონესა, რათა განერნეს პირისაგან თათართასა» და ვინც კი ჯერ კიდევ მონღოლთა წინაწლების ჟლეტას გადურჩა «შეკრბეს მეფესა დავითს წინაშე და მოაკსენებდეს, რათა წარვიდეს ყაზანს წინაშე», ისე კი, რომ წინასწარ მისგან «ფიცი და სიმტკიცე აღიღოს უვნებლობისა».

უეჭველია, დავით VI-ეს ეს საუბარი ვერაფრად მოეწონებოდა, მაგრამ მაინც გარეგნულად ვითომც დათანხმდა: „ისმინა მეფემან“-ო. მან ყაზან ყაენს «სთხოვა ზავი და ფიცი». ერანის ილხანმაც «აღუთქვა უვნებლად ყოფა მეფისა და დაცვა ქვეყნისა». მაგრამ მხოლოდ იმ პირობით: «უკეთუ ოდენ იხილოს ყაენი». ამის შემდეგ მონღოლთა მბრძანებელი ჰპირდებოდა, რომ ისევ ისე «წარმოგზავნონ დაცული მშვიდობით».

შეთანხმებისა და ყაენისაგან უვნებლობის წიგნის მიხატანად მეფისაგან იგივე ივანე ბურსელი იყო წარგზავნილი და მანაც დავალებული საქმის ასრულება შესძლო: «აღიღო პირი მტკიცე და მოვიდა მეფესა წინაშე». ეს ამბავი, რასაკვირველია, ყველას გაეხარდა და ეხლა უკვე დავით VI-ეს დაჟინებით ურჩევდნენ წასულიყო, მით უმეტეს, რომ მონღოლებმა მძევლებიც კი შემოსთავაზეს. მაგრამ, როცა წასვლის დრო დადგა, მეფე კვლავ შიშმა შეიპყრო და წასვლა აღარ მოიწადინა. საქართველოში ყველას საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, თუ რამდენი განსხვავება იყო ხალხისა და ქვეყნის უვნებლად გადარჩენისათვის მზრუნველს დემეტრე II თავდადებულსა და მის შვილს დავით VI-ეს შორის, რომელმაც თავისი თავის გადარჩენას მრავალი ულანაშაულო ხალხის სიცოცხლე ანაცვალა და ქვეყანა მონღოლების გასანადგურებლად აქცია.

რასაკვირველია, ასეთ ქცევას შეუძლებელია მეფის ის მცირე გავლენაც არ გაექარწყლებინა ხალხში, რომელიც მას აქამდე შერჩენილი ჰქონდა, და

ქვეყნის დაშლისათვის უფრო მეტად არ შეეწყო ხელი. მონღოლები რომ კვლავ მოტყუებულნი დარჩნენ, ისევ ქვეყნის აოხრებას შეუდგნენ. ხოლო, რაკი „იხილეს დიდებულთა მოოკრება“ წინანდებურად იწყებაო, დავით VI-ეს მოახსენეს, რომ საქართველოს ასეთი განადგურების მოთმენა აღარ შეუძლიათ და ნებართვა სთხოვეს, რომ, ქვეყნის განადგურებისაგან გადასარჩენად, ერანის ილხანს დაჰმორჩილებოდნენ. დავით VI-ეს როგორ შეეძლო უარი ეთქა, ან რა გამოვიდოდა, თანხმობა რომ არ მიეცა, — სულერთია ეს უმისნებართვოდაც მოხდებოდა, — მანაც დასტური მისცა. ასეთი ფორმალურობა ნებართვის მიღების შემდეგ გამოირკვა, რომ დიდებულთაგან «უმრავლესნი წარვიდეს, კითხვითა მეფისათა, დაცვისათვის ქვეყანისა» ერანის ილხანის ლაშქრის მთავარსარდალთან და მანაც, რა თქმა უნდა, ყველანი სიხარულით მიიღო. ეს ხომ აღმ. საქართველოს მეფის ხელისუფლების სრული გაქრობისა და სახელმწიფოებრივობის დაშლის გამომჟღავნებელი იყო! მართალია, დავით VI მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში, მაგრამ მისი გავლენა უკვე გაქარწყლებული იყო და ის პირადად, ვითარცა უმრავლესობისაგან მიტოვებული, მონღოლებისათვის უკვე აღარავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. საქართველოთგან წასვლის წინ, მონღოლთა ძოლაშქრეებმა გულის მოსაფხანად და გაცარცვის მიზნით «კუალად მოოკრეს ქვეყანა ქართლისა ზემოხსენებული, თვინიერ მთიულეთისა», სადაც შესვლა ვეღარ გაბედეს და ამის შემდეგ «წარვიდეს ურდოსა».

მთიულეთში შეხიზნულმა და უმრავლესობისაგან მიტოვებულმა დავით VI-ემ შალვა ქვენიფნეველის მონღოლთა მიმხრობისათვის დასასჯელად იმაზე უკეთესი ვერ მოიგონარა, რომ იმავე 1301 წ. შემოდგომას «ჩამოდგა ცხრაზმისკენსა და აოკრებდა მამულსა შალვა ქვენიფნეველისასა ორგულობისათვის», თითქოს ის, რა ზიანიც ქვეყანას მონღოლთა აოხრებისაგან მოუვიდა, საკმარისი არ იყო! ამაზე მეტი უგუნურება რაღა შეიძლებოდა ყოფილიყო, როდესაც მეფე თავისი ერთი ხელისუფლის ურჩობისათვის ქსნის საერისთაოს მთელ მოსახლეობას ხდიდა პასუხისმგებლად და თავის სახელმწიფოს თემს თითონვე ანადგურებდა!

დავით VI-ის ასეთი მოქმედების გამო, გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა შალვა ქვენიფნეველმა შუამავლებს მიჰმართა და «ევედრა სურამელსა მსახურთუხუცესსა [და] ქართლის ერისთავსა ჰამადას», რომ მეფეს ქვეყნისა და ხალხის დაწიოკებისათვის თავი დაენებებინა და მისთვისაც დანაშაული შეენდო. ჰამად სურამელმა დავით VI დაითანხმა და, შალვა ქვენიფნეველის დაჭერის მაგივრ, გულუბრყვილოდ მხოლოდ ასეთი ძველი ხალხური სასჯელის დადებით დაკმაყოფილდა: მან მოსთხოვა, რომ ქვენიფნეველს საჯაროდ თავზე ნაცარი დაეყარა და თავისი დანაშაულება აღიარებინა. ისიც დათანხმდა თურმე და, ჟამთააღმწერლის სიტყვით, შალვა ქვენიფნეველმა «გარდაიყარა თავსა ნაცარი და იტყოდა: ესეცა არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასა»-ო!.. თავის განდგომილი ხელისუფლის ასე გაწბილებით დაკმაყოფილებულმა დავით VI-ემ შალვას აპატია.

მაგრამ სწორედ ამ დროს მეფეს უფრო უარესი საქმე დაემართა: მოსახლეობის უმრავლესობისაგან მიტოვებულს, მას აღარავის ნდობა აღარ ჰქონდა. ეჰვი მას თვით საკუთარი ძმის ვახტანგის შესახებაც კი შეეპარა და შეიპყრო. მაგრამ ვახტანგ ბატონიშვილი მისგან «დაპატიმრებული ციხესა ერნოვანისასა, გამოიპარა და მივიდა ივანე ბურსელისასა», რომელსაც, ვითარცა დავით VI-ისაგან განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ პირს, ასე შესჩივლა: თუმცა ჩემი ძმისათვის «აარარა ბოროტი მიქმნიეს», მაგრამ მან მაინც დამპატიმრებინა. ეხლაც გამოქცეული, როგორც ხედავ, «არ წაველ ურდოსა მტერთა მისთა თანა». ამიტომ ჩემს ძმას მეფეს, «ჩემი შენსა მოსვლა» აცნობე და მიშუამდგომლე, რომ «თუ ფიცით შემაჯერებს», რომ «არა მავნოს და არა შემიპყრას», ისევ მასთან მივალ და საცხოვრებლად «მცირე საჩომიცა მომცეს»-ო.

დავით VI ამაზე დათანხმდა, მიინდო, „ფიცით მოიმტკიცა“ და თავისთან მიიყვანა. მაგრამ მათ შორის თანხმობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ ბატონიშვილმა რომ დაქორწინება მოინდომა, «შაბურის ძის ასული შერთო ვახტანგ ცოლად», ამ დროითგან მოყოლებული, დავით VI-ის დამოკიდებულება ძმასთან ისევ გამწვავდა. დაიწყო ამის გამო ვახტანგ ბატონიშვილის კვლავ „უპატიოდ ყოფა“. ამას უკვე მან ვეღარ გაუძლო და ეხლა კი «წარვიდა ურდოს ყაზანის თანა».

ერანის ილხანს ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მეტად იამა: ვახტანგი კარგად მიიღო, „კეთილად შეიწყნარა“, და, რაკი დარწმუნდა, რომ დავით VI-სთან არც შეთანხმება შეიძლებოდა და ვერც მისი შეპყრობა მოხერხდა, ამიტომ გადასწყვიტა, მის მაგიერ ისევ მისი ძმა ვახტანგი დაესვა და აასრულა კიდეც: „მისცა მეფობა“-ო.

მაგრამ აღმ. საქართველოში მაშინ ისეთი მდგომარეობა იყო, რომ მარტო მეფობის მიცემა თითქმის აღარაფერსა ნიშნავდა: თბილისში მცირეწლოვანი გიორგი უფლისწული იჯდა, ხოლო მთელს ჩრდილო მთიანეთში დავით VI ბატონობდა. მეფედ დასაჯდომად სამხედრო ძალა იყო საჭირო და ყაზან ყაენმა ვახტანგ III-ეს «წარმოატანა ხუტლუშა ნოინი სპითა უძლიერესითა», რომლითაც ორივე თბილისში მოვიდნენ. საქართველოს დედაქალაქში ვახტანგ მეფის ყოფნამ მცირეწლოვანის გიორგის მეფობას ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგა და ამეირითგან მოყოლებული გარკვეულ დრომდე მისი სახელი აღარსადა გვხვდება.

ვახტანგ III-სა და ხუტლუშა ნოინთან «შემოიყარნეს ყოველნი თათარნი და ქართველნი», მათ შორის «სამცხის პატრონის ბექას შვილი სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგველნი»-ც და «სომხითარნი» მით უმეტეს, რომ «შანშა (მხარგრძელი) პირველვე იყო მუნ ტფილისში». ცხადია, რომ მესხეთის მთავრის შვილი და იქაური ჯარი თვით ყაზან ყაენის ბრძანებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ეხლა კი დავით VI დარწმუნდა, რომ ხუმრობა საქმე აღარ იყო და, როცა გაიგო, რომ მის ძმას «ვახტანგს მეფედ ჰყოფენ», ხუტლუშა ნოინთან მაშინვე «წარმოავლინა იგივე ბურსელი ზავისათვის», თანაც „ურდოს წასვლა“-ც იკისრა, თუ რომ მონღოლები უვნებლობის სიმტკიცის ფიცსა და ნძევალს მისცემდნენ. ერანის ილხანი და მისი მთავრობა, დავით VI-ის ჩრდილოეთის ულუსთან პოლიტიკური კავშირის გამო, მის უვნებლად ქცევას ისევე იმდენად მნიშვნელოვან ამოცანად სცნობდნენ, რომ, ამდენი მოტყუებისდა მიუხედავად, ხუტლუშა ნოინმა მას მოლაპარაკება დაუწყო და მისი ყველა პირობებიც მიიღო. დავით VI-ემ თავის მხრით «წარავლინა დედოფალი ოლჯათ და კათალიკოზი აბრამ და ყადი და ბურსელი» საქმის საბოლოოდ მოსაგვარებლად. მონღოლთა ნოინები „ბაზალეთს წინა მოვგებნეს ოლჯათს“, თითონ ხუტლუშა ნოინი კი მუხრანში იყო დაბანაკებული. მოსულთ დიდი პატივისცემით მიღებასთან ერთად, დავით VI-ეს გაუგზავნეს «პირი სიმტკიცისა და ბეჭედი ყაენისა და კელის მანდილი, რამეთუ ესე აქვნდა სიმტკიცე ფიცის მინდობისა» და ამასთანავე «აძლიეს ხუტლუშას შვილი სიბაუჩი მძევლად», მაგრამ ოლჯათ დედოფალი უკან აღარ გამოუშვეს, არამედ ხეოლოდ კათალიკოზი, ყადი და ბურსელი დააბრუნეს.

დავით VI-ემ ოლჯათ დედოფლის გამოუშვებლობა პირობის დარღვევად მიიჩნია და ბურსელის პირით ხუტლუშას დედოფლის გამოშვება მოსთხოვა. მაშინ მონღოლებმა იფიქრეს, რომ მეფე ამ შემთხვევაშიც მათ მოტყუებას უპირებდა, ამიტომ ხუტლუშა ნოინმა ბურსელი შეიპყრო და უთხრა; თქვენ მეფეს «მე ფიცითა მტკიცითა შევფიცე და არა მოვიდა, აწ მიიღე ტყუილისა ნაცვალი პატიჟი», სასჯელიო და «განრისხებულმან მოაკვდინა ბურსელი».

ამის შემდგომ კი დავით VI-ის ბედი საბოლოოდ გადაწყდა და მონღოლებმა ეხლა უკვე უყოყმანოდ „ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა“. დავითი ისევ გველეთში შეიხიზნა. მონღოლებმა სხვადასხვა გზით მთიულეთში ლაშქრით შესვლა სცადეს, მაგრამ ძალზე დაზარალებულნი ისევ უკუიქცნენ და «წარვიდეს ყაზანს წინაშე».

მართალია, ერანის ილხანების მთავრობისა და ლაშქრისათვის მეტად უსიამოვნო გარემოება იყო, რომ ვერას გზით ვერც აჯანყება ჩააქრეს და ვერც მისი მეთაური მეფე ჩაიგდეს ხელში, მაგრამ საქართველოს ამით მაინც ზიანის მეტი არა მოსვლია რა: რამდენი ხალხის სიცოცხლე და კეთილდღეობა შეეწირა მას მსხვერპლად!

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ, რაკი აღმ. საქართველოში «ხუთთა წელთა იყო ოკრება», ამიტომაც «ამათ შფოთთა შინა რა იყო ქვეყანა ქართლისა, არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე». ამას ბუნებრივ შედეგად 1301 წ. საშინელი სიმშილობა მოჰყვა. ნათესების უაღრესი შემცირების გამო, „იქმნა პურისა მოკლება“ იმდენად, რომ „ყოვლადვე არა იპოვებოდა ასყიდლად დიდითა ფასითა“-ც კი. და რაკი შიმშილობა დაიწყო,

«ესოდენ განძვინდა შიმშილი», რომ «მძორსა არაწმინდასა ურიდად ჭამდეს» და «სავსე იყუნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი და მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა»-ო.

ეს ამბავი უნდა 1297+5=1301—2 წ. მომხდარიყო. სპარსეთში, ეგვიპტეში და ასურეთშიაც 1299 წ. დიდი შიმშილობა და შემდეგ შავი ჭირიც ყოფილა[1], მაგრამ იქ სხვა მიზეზი იყო.

კიდევ კარგი, რომ საქართველოს ბეღელი, მესხეთი, ამ საშინელი აოხრებისაგან ხუთი წლის განმავლობაში არ დაზიანებულა და ამის გამო იქ, სამცხეში, „იპოვებოდა პური სასყიდლად“. ამან ოდნავ მაინც შეუმსუბუქა ხალხს თავს დამტყდარი უბედურება და ამიტომაც «უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს», სადაც დამშეულ ხალხს თვითბექა მანდატურთუხუცესის მეუღლე ვახახი ეხმარებოდა, რომელიც, ჟამთააღმწერელის მოწმობით, «იყო ყოვლითურთ შემკობილი» და 1301—2 წ. ქართლითგან სამცხეში გადმოხიზნულ დამშეულთა დახმარებისდროს «ფრიადსა და უზომოსა მოწყალებასა» იჩენდა თურმე (ჟამთააღ. *921, გვ. 766).

«ამათ ჟამთა (ე. ი. 1302 წ. ახლო ხანებში) უმეტეს განდიდნა მთავარი სამცხისა ბექა» (იქვე).

ბექა ჯაყელის სამფლობელოს საზღვრები: «ტაშისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღვამდე. [სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის კევი. ხოლო ჭანეთი] სრულად მოსცა ბერძენთა მეფემან კოძინოსმან კირ მიხაილ (ნამდ. ალექსი) და ასული ბექასი ცოლად მიიყუანა. ამისთჳსცა აქვნდა უმრავლესი ტაო, არტანი და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი და დიდებულნი აზნაურნი და მონასტერნი კლარჯეთისანი და დიდებულნი აზნაურნი და მონასტერნი ყოველნი მას აქვნდეს და ხარაჯასა მისცემდა ყაზანსა და ლაშქრითა შეეწეოდა» (ჟამთააღ. 758).

«ἐβασίλευσεν ὁ υἱὸς αὐτοῦ, ὁ κῦρ Ἀλέξιος, ὁ μεγας Κομνηνὸς καὶ ἤγαγε γυναῖκα αὐτῷ τὴν θυγατέρα τοῦ Πεκαῖ ἐξ Ἰβηρίας» (მიხ. პანარეტი, ხახანაშვილის გამ. 3).

აბატ-მოსეს მეთაურობით თურქნი «საბერძნეთს მყოფნი» 60 000 ჯარისკაცითურთ საქართველოს მოსაოხრებლად წამოსულან და ბასიანი და ტაო საშინლად გაუოხრებიათ და ხალხიც გაუწყვეტიათ (ჟამთააღ. 766—7).

ბრძოლა მის წინააღმდეგ და დამარცხება (იქვე, 767—772. მიხ. პანარეტის ცნობით XIII ს-ის). უკანასკნელ წლებში თურქეთი ხალიბთა ქვეყანაში, ჭანეთში შესეულან და ისე აუოხრებიათ და გაუკაცრიელებიათ, რომ ქვეყანა უშენი გამადარა (ხახანაშვილის გამ. 3 და 22—3. შდად. ბროსეს H. d. G. 626—7 п. 3).

პირველი ბრძოლა თურქ-ბერძენთა შორის, როდესაც ოსმალებმა ბერძნები დაამარცხეს ნიკომიდიაში და საბერძნეთში ფეხი მოიკიდეს, 1301 წ. მომხდარა (ჭამჭერი, Hist. de l' Emp. Ott. I, 35).

«ამათ ჟამთა გამოჩნდეს თურქნი საბერძნეთს მყოფნი», რაკი ეს სიტყვები წინამოთხრობილ 1301—2 წ. ამბებს მისდევს და რათგან თურქები მართლაც «ამა ჟამთა», ე. ი. 1301 წ. შემდგომ დამკვიდრდნენ საბერძნეთში, ამიტომ ეს ამბავი 1302 წ. შემდგომ ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო.

---

[1] ჭამჭარი, II, 100—101.

თავი მერვე

გიორგი მეხუთე ბრწყინვალე

გიორგი V-ის პიროვნება და გამეფების გარემოება

საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდგომ, არც ერთ მეფეს თანამედროვეთა შორის და შთამომავლობაში ისეთი სახელი არ მოუხვეჭია, როგორიც გიორგი V ბრწყინვალემ დაიმსახურა. მისი ქება თანასწორად გვხვდება, როგორც ქართულს, ისევე მეზობლების წყაროებშიც. მისი უარყოფა ვერ შესძლებიათ ისეთ პირებსაც, რომელთა პოლიტიკა მისას მთლიანად ეწინააღმდეგებოდა. მონღოლთადროინდელ ისტორიის მომთხრობელს ქართველ ჟამთააღმწერელს ხომ ისე არსად აქვს მისი სახელი მოხსენებული, რომ მის მოღვაწეობისადმი თავისი აღტაცება არ გამოემჟღავნოს. აი, მაგ., რა აქვს მას გიორგი ბრწყინვალის დაბადებასთან დაკავშირებით ნათქვამი: დემეტრე თავდადებულს მისმა ცოლმა, მანდატურთუხუცესის ასულმა ნათელამ, შესძინა მხოლოდშობილი ძე გიორგი, «რომელ უკანასკნელ (ე. ი. შემდგომად) ძმათა მისთა მეფე იქმნა და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა, რამეთუ მარტო იყო ძე დედისა. მარტო შვა დედამან, ვითარცა მარგალიტისათჳს თქმულ არს მარტოება უმჯობესისათჳს, ეგრეთვე გიორგი იპოვა უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ კელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა»-ო. მისი მამის სიკვდილად დასჯის შემდგომ რომ გიორგი V-ის ყველა ძმების აქეთ-იქით გაქცევა-გახიზვნაზეა საუბარი, იგივე ისტორიკოსი ამბობს: «უმრწემესი (ე. ი. უმცროსი) ძე მისი გიორგი, რომელი უშვა ასულმან ბექასმან, წარიყუანა პაპამან მისმან ბექამან და აღზარდა საკჳრველი და უმჯობესი ყოველთა კაცთა, ვითარცა ქვემორე სიტყუამან (ე. ი. მოთხრობამ) ცხადყოს»-ო (*904, გვ. 745).

XIII ს. დამლევს აღმ. საქართველოს პოლიტიკური დასუსტების გამო ჩრდილო კავკასიითგან ოსთა ქართლში შემოჭრისა და თარეშის გახშირებაზე მოთხრობილს ამბავს იგივე ავტორი შემდეგს ცნობას ურთავს: «მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან, სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა (იგივე) და აღფხურა»-ო (*907, გვ. 749).

იქაც, სადაც გიორგი V-ის მეფობისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის აღწერილობა იწყებოდა, შესავლის მსგავსად, ნათქვამია: «აქა დაიწყო აღმოცისკრებად მზემან მეფისამან გიორგი, რომელი აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექასა»-ო.

დასასრულ, შესაძლებელია კიდევ მხოლოდ იმ პირის, მესხეთის მთავრის აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის, სიტყვებიც მოვიყვანოთ, რომელიც, თავისი განკერძოებითი პოლიტიკის გამო, გიორგი ბრწყინვალის, საქართველოს მთლიანობის აღმადგენელის, გულწრფელი თანამგრძნობი არ შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ მასაც კი მისი განსაკუთრებული ღვაწლი ქართულ სახელმწიფოებრივობაში არ შეეძლო მაინც არ აღენიშნა: მესხეთის ხუთი თემისათვის შედგენილს სამართლის წიგნში ქონებრივ სასჯელად **«დიდისა, წარჩინებულისა მეფისა გიორგის** ჟამის თეთრი (ე. ი. ვერცხლის ფული) გავაჩინეთ»-ო.

სამწუხაროდ, გიორგი ბრწყინვალის მეფობის მომთხრობელი ნაწილი დროთა განმავლობაში ქართველი ჟამთააღმწერელის თხზულებაში დაიკარგა. უკვე XVII ს. დამლევს ეს ნაწილი აღარ ყოფილა და ვახტანგ მეფისაგან ახალი ქართლის ცხოვრების დასაწერად შეგროვილს საისტორიო ძეგლებს შორისაც ეს წყარო არ აღმოჩენილა. ამრიგად, მთავარი ძეგლი, რომლის მიხედვითაც გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის გაშუქება იყო შესაძლებელი, აღარ მოგვეპოვება. მართალია, ეს გარემოება მკვლევარს მეტად უძნელებს საქმეს, მაგრამ ამ ხანის ისტორიის ძირითადი საკითხების ზოგადად გაშუქება, როგორც დავრწმუნდებით, მაინც ხერხდება.

ვახუშტ ბატონიშვილს, როგორც ისტორიაში ისევე ქორონიკონებში, გიორგი ბრწყინვალის გამეფების თარიღად ქ^კნი: ვ: ანუ 1318 წ. აქვს აღნიშნული[1].

ბორჯომის ხეობაში სოფ. დაბის მახლობლად მდგომ თლილი ქვით ნაშენს ტაძარს ამგვარი ასომთავრული დამწერლობით გამოყვანილი წარწერა აქვს: «ინდიკტიონსა მეფეთ-მეფისა გ^გსსა ძისა დიმიტრისა მეცხრამეტესა... აღვაშენე ტაძარი ესე ჟამსა მეფეთ-მეფისა გიორგისსა მე მათმან მოლარეთ-უხუცესმან... ქ^კსა: კა»-ს[2]. თარიღითგან არა ჩანს, თუ ქ^კნი რომელი მოქცევისა იყო და ამის გამო საცილობლად იყო გამხდარი, თუ რომელს გიორგი მეფეს უნდა გულისხმობდეს ეს წარწერა: გიორგი III-ეს, თუ გიორგი ბრწყინვალეს?

დ. ბაქრაძეს გიორგი III-ისად მიაჩნდა. ის ამასთანავე ამტკიცებს, რომ ამ წარწერის პალეოგრაფიულად გადმოღებულს პირში „ქორონიკონი 21 არ არის სრულებით ნაჩვენები"-ო (იქვე). მაგრამ ეს საბუთად არ გამოდგება, რათგან ამგვარს საბუთს მხოლოდ მაშინ ექმნებოდა მნიშვნელობა, მას რომ ქ^კნის უქონლობა თვით წარწერაში დაემტკიცებინა. სანამ ეს გარემოება

---

[1] [ვახუშტი, ისტორია, ბაქრაძის გამოცემა 276; ჭიჭინაძის გამოცემა 361 («1318—ჱ. დაჯდა დიმიტრის თავდადებულის ძე გიორგი მეფედ და იწყო მეიებმან აღმობრწყინვება...»)].

[2] ბროსე, Voyage, rap. IV, 101—2 და დ. ბაქრაძე, ვახუშტის ისტ., 280 შ.ნ.

სინამდვილით დადასტურებული არ არის, ქორონიკონი 21 შეუძლებელია გიორგი III მიეკუთვნოს, რათგან ამ დროს მისი ხსენებაც კი წარმოუდგენელია. ამიტომ ეს წარწერა, თუ ქრონიკონი სწორად არის გადმოწერილი, 1333 წ. უნდა მიეკუთვნოს. რაკი 1333 წ. გიორგის მეფობის **მეცხრამეტე** ინდიკტიონი ყოფილა, აქეთგან ცხადი ხდება, როგორც თ. ჟორდანიამაც დაასკვნა[1], რომ გიორგი ბრწყინვალე 1314—15 წ. უნდა გამეფებულიყო და არა 1318 წ., როგორც ვახუშტს თავის ისტორიაში აქვს აღნიშნული. მაგრამ საქმე ის არის, რომ ბატონიშვილ ვახუშტს თავის ქორონიკონებშიც მოეპოვება გიორგი ბრწყინვალის 1318 წ. გამეფების დამამტკიცებელი ცნობა და აქ კი მას ცნობები კინკლოსებითგან ან სხვა საისტორიო წყაროებითგან აქვს ხოლმე ამოკრეფილი. ამიტომ საფიქრებელია, რომ ვახუშტს თავისი თარიღი წერილობით წყაროზე უნდა ჰქონდეს დამყარებული, და ეს გარემოება ერთგვარს სიფრთხილეს გვიკარნახებს მსჯელობის დროს. ეტყობა ამ სიძნელეს თ. ჟორდანიაც გრძნობდა, მაგრამ ის იმით იცილებს მას თავითგან, რომ 1318 წელი გიორგი ბრწყინვალის მეორედ გამეფების თარიღად მიაჩნია[2]. მაგრამ ჯერ კიდევ დასამტკიცებელია, გიორგი ბრწყინვალე იძულებული იყო თუ არა ორჯერ გამეფებულიყო და რა მიზეზს უნდა გამოეწვია ასეთი გარემოება.

[აღმ. საქართველოს მდგომარეობა გიორგი მეხუთის მეფობის ხანაში]

XIII ს. მეორე ნახევრითგან მძვინვარე დიდი ეკონომიური კრიზისისა და დავით VI-ის დროს აღმ. საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობისა და სახელმწიფოებრიობის სრული შერყევის გამო, ამასთანავე წლების განმავლობაში ქართლისა და მთიანეთის მონღოლთა ლაშქრისაგან დაწიოკება-ოხრების შედეგად, აღმ. საქართველო უკიდურეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. ქვეყანა აირია, წესიერი და მყუდრო ცხოვრების ხსენებაც კი აღარ იყო, ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის შემაკავებელი ხელისუფლება აღარსად ჩანდა. მონღოლების თარეშს, ყივჩაყთა და ოსების მეკობრეთა თავაშვებულობას საზღვარი არა ჰქონდა. ერთმანეთზე თავდასხმა და ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თვით ქართველ ტომთა შორისაც კი ქიშპობა და შუღლიანობა იმდენად გახშირდა და ურთიერთშორისი დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ უგუნური ძმათაშორისი ბრძოლა და სისხლისღვრა, სოფლებისა და ციხეკოშკების დაუნდობელი განადგურება გამარჯვებულ მხარეს საქებურად და საამაყოდაც კი მიაჩნდა: თითქოს გარეშე დამპყრობელისა და მტრებისაგან ქვეყნის ოხრება საკმარისი არ ყოფილიყოს, რომ ერთმანეთთან თავიანთი მხეცური ამ დამოკიდებულება-მოპყრობით ისედაც გაპარტახებულ საქართველოს საფუძველსაც კი ძირს უთხრიდნენ.

ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი სავალალო მდგომარეობა თვით ხალხის წარმომადგენლების მიერაც იყო გიორგი ბრწყინვალისაგან მოწვეულს საქართველოს სახელმწიფო დარბაზის საკანონმდებლო კრებაზე აღიარებული. აი,

---

[1] ქრონიკები II, 180.

[2] იქვე.

ნაგ., დარბაზის ერნი და თემის წარმომადგენელნი მთიანეთში წინათ არსებულ ვითარებაზე რას ამბობენ „ძეგლის დადების“ შესავალში: ჩვენს ქვეყანაში ყველგან «დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა ქმნილ იყო ერთმანერთსა ზედა და... ერთმანერთსა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი» ისე იყო მოდებული, რომ «ყოლა სამართალი არად იყო-ღა»-ო!

საქართველოს სახელმწიფო დარბაზის საგანგებო კრების ზემოყვანილი დახასიათება რომ სრულებით გაზვიადებული არ არის, არამედ იმდროინდელი აბობოქრებული ვნებათა ღელვისა და შუღლიანობის უტყუარ სურათს წარმოადგენს, ამის მრავალი დამადასტურებელი ცნობები იმ ისტორიულ ნაშრომში მოგვეპოვება, რომელიც სწორედ ამავე მთიანეთის ამბავს მოგვითხრობს და რომელსაც სახელად „ძეგლი ერისთავთა“ ეწოდება. იქ, მაგ., აღწერილია ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის დროს ცხაოტელთა თავდასხმა ჟამურელებზე. თავდამსხმელები სასტიკად იქმნენ დამარცხებულნი, ისე რომ ბრძოლისა და მათი დევნის დროს «მომკვდარ იყო გარეშე წვრილისა ერისთვრამეტი თავადი (ე. ი. მთავარი) კევისბერი ცხაოტელი»-ო.

სამხედრო სიქველის სახელის გამო ატეხილი მეტოქეობის წყალობით გორის გარემოცვის შემდგომ, როდესაც გიორგი მეფემ ქ. გორითგან ოსები განდევნა, ქსნისხეველნი და არაგვის მთიულნი ერთმანეთის წინააღმდეგ შებრძოლებისათვის მზადებას შეუდგნენ, რომ ვინც მათგანი მამაცი და ძლევამოსილი მებრძოლიც იყო გამორკვეულიყო.

ამ უგუნური ძმათაშორისი სისხლის ღვრის თავითგან ასაცდენად ამ ამბის შეტყობისთანავე «მოვიდა დავით ძე გიორგისი და არღარა აუშვნა საომრად, არამედ განყარა ყოველნი კევისთავნი და წარგზავნეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი». უფლისწულის ამ ბრძანებას ყველანი დაჰმორჩილებიან. კიდეც არაგვის მთიულთა სამ თემს გარდა, რომელთა შურით შეჯიბრებისათვის თავის დანებება მაინც არ უნდოდათ და ქსნისხეველთა უკან დადევნება დაიწყეს.

მოსალოდნელი უაზრო სისხლის მღვრელობის ასაცილებლად «დავით ძე მეფისა, მუკლთა დაუყრიდა, ლომისასა მყოფთა ხატთა დაუსვენებდეს და ევედრებოდენ, რათა არა სდევდენ, ხოლო მათ არა ისმინეს»-ო[1].

ტომობრივმა და თემობრივმა მეტოქეობამ და შუღლმა საშინელი სიმძლავრით იფეთქა და საზიზღარმა განხეცებამ იჩინა თავი. ვინც არაგვის მთიულებს გონიერებას ურჩევდა, დაჯერების მაგიერ მას «მრავლითა გინებითა მოსძახდეს». ხოლო შინ მიმავალი ქსნისხეველების სამტროდ ზემოთგან გზაზე «საგორავისა სიმრავლესა ჩამოყრიდეს»[2].

ქსნის ერისთავს ვირშელს პასუხის გაცემა არ უნდოდა, რათგან თავისი ჯარის მოშეტებული ნაწილი უკვე დათხოვნილი ჰყავდა და ასეთ პირობებში

---

[1] ქრონიკები II, 8—9.

[2] იქვე, 9: ძეგლი ერისთავთა.

შებმა სახიფათოდ მიაჩნდა. ამიტომ თავის მცირერიცხოვან მოლაშქრეებს მოთმინებას ურჩევდა, სანამ დანარჩენ ქსნისხველებსაც მოიწვევდა და თავს მოუყრიდა. მაგრამ თემობრივი თავმოყვარეობა და შურისძიების წყურვილი მათაც გონიერებას უხშავდა. ქსნისხველები გაიძახოდნენ: **«მამანი ჩუენნი მცირედნი მძლავრობდიან მამათა მათთა**, დიდთა და მრავალთა, და **უკუეთუ არა ვართ შვილნი მამათა ჩუენთანი, რაჲსთვის გვაქუს მამული მათი?»**-ო[1].

როგორც ეტყობა, ვერც გიორგი მეფის ძეს დავითსა და ვერც ვირშელს ვერა გაუწყვიათ რა და ტომობრივ-თემობრივმა თავშეუკავებლივმა შუღლმა მთის აზვირთებული ხევივით იხუვლა. არაგვის-ხეველთაგან ლომისის მთის ერთ ქედზე ცხავატელნი და „მიმდგომნი მათნი“ იდგნენ, ხოლო მეორე ქედზე „ხადელ-მოკევენი და მიმდგომნი მათნი“. ქსნისხველნიც ორად გაიყვნენ, «განიშიშვლეს ფეხები მათი», რომ მთაზე ასვლა უფრო გაადვილებოდათ ⁄ «წარიძღვანეს დროშა და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისასა». აღმა ამსვლელნი ქსნის-ხეველნი თავიანთ დასაცავად «დაბურულ იყვნეს ფარითა, ვითარცა სიპითა»[2].

არაგვისხეველთა საუკეთესო საბრძოლველ იარაღად ქვების ჩამოყრა ყოფილა და ისრების დაშენა: «ჩამოუყარნეს საგორავნი ურიცხვნი» და თანაც «დაასხეს ქვა და შუბი მსგავსი წვიმისა». მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ საგორავების დაჯახებისაგან ქსნისხეველთაგან არა ერთნი „გორვიდეს ჩამოღმა“, მაინც თავისას არ იშლიდნენ და უკან არ იხევდნენ. ამის გამო არაგვის-ხეველებმაც უფრო ვაშმაგებით იწყეს ბრძოლა და «მაშინ შეიქმნა სიმრავლე ისრისა, ვითარცა სეტყუა ხშირი» და, მომთხრობელის სიტყვით, «ფუცავდენ ღმერთსა, რომელ ქვემოთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჭვიანი კაცი გაჴარის და მიწასა ნახევრად დაესვის»-ო. ასეთი საშინელი წინააღმდეგობისდა მიუხედავად, ქსნისხველთ მაინც ქედს მიაღწიეს და არაგვისხეველნი გააქციეს. მომთხრობელის სიტყვით «იგი იყო უმჯობესი მათ შორის, რომელმან დაჰყარის აბჯარი და ტანისამოსი და შიშველი მირბოდის»-ო[3].

ბრაზმორეული ქსნისხეველნი [რომ ასე] დაუნდობლად ჰხოცდნენ უგუნურ დამარცხებულ არაგვისხეველთ, ერისთავმა ვირშელმა ჩარევა და ვნებათა-ღელვის ალაგმა მოახერხა: «იხილა რაჲ ესრეთ უღონოქმნილნი მებრძოლნი მისნი» არაგვისხეველნი, მაშინვე ძლევამოსილ ქსნისხეველთ «უბრძანა არა ჴოცად მათდა, არამედ პყრობად და დევნად». მართლაც, არაგვისხეველნი ლტოლვილ არაგვის მთიულებს «მიუდგეს უკანა და გაჰყვეს იქით არაგვისა»[4].

ამის შემდგომ ლომისს დაბრუნებულმა ვირშელ ერისთავმა «გაუშვნა ყოველნი, რომელნი კელთა დარჩომოდეს, და შესწირა ლომისას არა მცირედი»[5].

ვირშელი ერისთავის შვილის ქვენიფხეველ ერისთავის დროს **«ჩამოვიდ-ნეს ცხაოტელნი ჟამურს»** და დარბევა დაიწყეს. მაგრამ ქვენიფხეველის ძმა

---

[1] ძეგლი ერისთავთა: ქრონიკები II, 9.
[2] იქვე II, 9.
[3] ქრონიკები II, 9.
[4] ქრონიკები II, 9—10.
[5] ქრონიკები II, 10.

გიორგი მათ შეებრძოლა და გაიმარჯვა, ისე, რომ «გააქციენეს აღმა მთის სიმაღლესა». იმ დროს, როდესაც მდევარნი «აღვიდეს მთად, იდგეს წინა მამასახლისნი». ამიტომ იქით წასვლა აღარ მოისურვეს და «აღარ სდევნეს, რამეთუ სთქუეს: კმა არს ბრალი ესე»-ო, რათგან ამ ბრძოლისა და დევნის დროს «მომკვდარ იყო გარეშე წვრილისა ერისა თვრამეტი თავადი ჯვეისა ბერი ცხაოტელი»[1].

ერთი წლის შემდგომ, „მეორესა წელსა“ ჟამურს ისევ დაეცნენ, მაგრამ ეხლა უკვე «მოუხდეს ყოველნი დვალნი». თავდამსხმელთ წინააღმდეგობა გაუწიეს და «ბრძოლა უყვეს ჟამურელთა». ამავე დროს იქვე შემთხვევით «იყვნენ ბეგარის-მკრეფელნი ცხრა-ზმელნი» და ისინიც ჟამურელთ მიეშველნენ. რაკი «ესმა დვალთა მოსვლა ცხრაზმელთა, ზარი დაეცათ და გაჯქცნეს და შეჯხვეწნეს ციხეთა ქნოღოისთა». უკანდადევნებულმა ჟამურელებმა დვალთა გაცემა სთხოვეს ქნოღოელებსა, მაგრამ ქნოღოელებმა უარი შეუთვალეს. ჟამურელებმა ქნოღოელებს ქვენიფნეველ ერისთავთან დასდეს ბრალი. განრისხებულმა ერისთავმაც «ვანილაშქრა ქნოღოს» წინააღმდეგ და «დაარღვივნა ციხენი მათნი და მოსწვა ქუეყანა მათი»[2].

მაგრამ დვალთ არც ამის შემდგომ მოუშლიათ ხელობა და დვალნი ისევ დაეცნენ და «წაასხეს ხვასტაგი ჟამურით». ასეთი თავხედობით მობეზრებული ერისთავი ქვენიფნეველი ჯარითურთ ზოსხოს მივიდა, იქ თავის ლაშქარი ორად გაყო, ერთი ნაწილი ჩაასაფრა, მეორე ნაწილი კი მიადგა «სამსა მასსოფელსა და ციხესა ზემოსა». როდესაც ამის გამო «შეიქმნა ხმა და წარმოვიდეს ყოველნი მამანი ქუემოთა მათ მახლობელთა სოფელთანი» მოსაშველებლად, მაშინ ჩასაფრებულნიც გამოჩნდნენ და «მამულთა ლაშქართა» ზურგითგან შეუტიეს და იმავე დროს ზემოთ მყოფმა ლაშქარმაც ბრძოლა დაიწყო. ამნაირად ქვენიფნეველის მოლაშქრეებმა დვალნი «შეჯმწყვდივნეს შუა და ერთიცა მათგანი» არ ვადარჩენილა. ამის შემდგომ დვალთა დასასჯელად ერისთავმა «დაარღვივნა ციხენი მათნი და მოსწვა ქუეყანა მათი». დვალთა ასე სასტიკად დასჯის შემდგომ ქვენიფნეველის «ლაშქარნი ყოველნი ალაფითა» დატვირთულნი შინ დაბრუნდნენ. ერისთავი «წარმოვიდა დიდად გამარჯვებული» მით უმეტეს, რომ «ერთიცა ლაშკართა მისთაგანი არა მოჯწყალა»[3].

XIII ს. განმავლობაში საქართველოში ხალხის კულტურულად დაქვეითების გამო, ეროვნული თვითშემეცნება და ნათესაობის შეგნება ისე დაკნინდა, რომ თემთა და ტომთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად ზოგჯერ მათი თავმოყვარეობის მცირეოდენი შელახვაც კი საკმარისი იყო ხოლმე. თუ იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქართველოს სამეფოს საჭეთმპყრობელად ისეთი ენერგიული და ძლიერი მმართველი იყო, გიორგი ბრწყინვალე, შესაძლებელი ყოფილა ისეთი სამწუხარო შემთხვევა მომხდარიყო, რომ ორ მოძმე ქართველ ტომს შორის შურით გამოწვეული მტრობა დაიწყო და ერთმანეთის

---

[1] ძეგლი ერისთავთა: ქრონიკები II, 10.
[2] ქრონიკები II, 10.
[3] იქვე, 11.

დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტით დამთავრდა, ადვილი წარმოსადგენელია, თუ რა საშინელება უნდა ყოფილიყო იმაზე უწინარეს ხანაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება უძლური იყო და ქვეყნის აშლილობას ბოლო არ უჩანდა.

საუბედუროდ, ასეთი სავალალო მდგომარეობა მარტო ისეთს მიყრუებულ ადგილებში არ იყო, როგორიც ქსნისა და არაგვის მთიანეთია, არამედ სხვა თემებშიც. რამდენად დაქვეითებული იყო კულტურულად საქართველოს სხვა ნაწილებიც მონღოლთაგან შემოღებული ველური პირობების ვაელენით, ეს ქართული სამართლის ძეგლებითგანაც ჩანს მკაფიოდ. ეფთვიმე მთაწმიდელის „მცირე შჯულის კანონი“-თგან ჩანს, რომ უკვე XI ს. დამდეგისათვის ქართული სამართლის ზოგადი მოძღვრება, ნებსითსა და უნებლიეთს მკვლელობას ერთმანეთისაგან მკვეთრად არჩევდა, ხოლო შემთხვევით მომხდარს დანაშაულებადაც კი არ სთვლიდა. XIV ს. პირველ ნახევარში აღმ. საქართველოს მთიანეთისათვის შედგენილს „ძეგლის დადება“-ში კი მკვლელობა დანაშაულებრივ მოქმედებად არის უკვე მიჩნეული იმ შემთხვევაშიც, თუნდაც ასეთი საქმე ვისმე „უბრალოდ დაემართოს“, ე. ი. უნებლიეთ ჰქონდა ჩადენილი და მაშინაც კი, როცა მკვლელობა უცაბედად მოხდებოდა: ამგვარად იქ ფათერაკისათვისაც კი სასჯელია დაწესებული! ამავე თვალსაზრისით დამახასიათებელია, რომ ბექა მანდატურთუხუცესის დროს შედგენილს საკანონმდებლო ძეგლშიც მოკლული დიდებულის ოჯახის წევრთა მხრით დიდებულ მკვლელის წინააღმდეგ თვითნებური მტრობა და მისი ქონების გადაწვაც კი მართებულ და არადანაშაულებრივ მოქმედებად ითვლება. ვიდრე ქვეყნის უზენაესი გამგისაგან გამოგზავნილი სათანადო მოხელე და მაწყუერელისაგან წარმოვლენილი ხატი ჯერ ამ მკვლელობის საქმეში ჩარეული არ იყო, «მანამდის დაწუა დათურასაცა ემტეროს» მოკლულის ნათესაობა მკვლელს «იგი სისხლსაშიგან (ე. ი. დანაშაულებისათვის დაწესებულ სასჯელში) არა მიეფასოს»-ო. ამრიგად, სამართალი ადამიანის ვნებათა ღელვით გამოწვეული ძალადობისა და შურისძიების მთლიანად აღკვეთას უკვე მიზნად ველარ ისახავდა, არამედ მისი მხოლოდ შეძლებისამებრ შეზღუდვა და ალაგმვა-ღა სწადდა.

მონღოლთადროინდელს ქართველ ჟამთააღმწერელს მონღოლთა მართლმსაჯულების ასეთი ველური წესიც კი, როგორიც დანაშაულზე წასწრებულის გამოუძიებლივ და გაუსამართლებლივ იქვე მოკვლაა, უკვე მოსწონდა და საქებურადაც კი მიაჩნდა.

ადამიანთა შორის ურთიერთობაში დამოკიდებულება მესხეთშიც კი, სადაც შედარებით მაინც უკეთესი პირობები იყო, იმდენად გაუარესებული იყო, რომ კანონმდებელს საჭიროდ უცვნია საკმაოდ მკაცრი სასჯელი დაეწესებინა ისეთი დანაშაულისათვის, როდესაც ორი თანასწორი და ერთი წრის კაცი „ცოტასა სამდურავისა“-თვისაც კი მხეცობას იჩენდა: მომდურავი ათვალწუნებულს პირს თურმე თავისსავე მამულში მიუვარდებოდა, დაიჭერდა, შეჰკრავდა და აბჯრით, ანდა რითმე სხვით სცემდა, რამეს დაუზიანებდა, გაათრევდა და, შერცხვენა-გაწბილების მიზნით, სახლში დაამწყვდევდა კიდეც.

ხალხის კულტურული დაქვეითება და გაველურების ნიშანი იმაშიც მოჩანს, რომ საქართველოს იმავე თემში პირადი მტრობის მიზნითა და ჯავრის ამოსაყრელად ზოგნი თურმე მოწინააღმდეგის მიცვალებულებსაც კი აღარ ინდობდნენ: კანონმდებელნი იძულებულნი გამხდარან იმაზეც ემსჯელათ, რომ **«თუ სწორი სწორსა სასაფლაოსა ზედა დაესხას»** და მოწინააღმდეგის გარდაცვლილი ნათესავების «საფლავსა კელი მიეყოს», მსაჯულს სახელდობრ რა სასჯელი უნდა დაედო.

რა თქმა უნდა, მაშინდელი ცხოვრების პირობებსა და ამ დუხჭირ ხანაში, „ციხისა და საჯდომის ღალატი“ ვისგანმე უკვე გასაკვირველსა და არაჩვეულებრივს აღარაფერს წარმოადგენდა. სამაგიეროდ ფრიად საყურადღებოა ბექა მანდატურთუხუცესის-დროინდელი სამართლის წიგნის ის მუხლები, რომელნიც წოდებათა ურთიერთობას გვიხატავენ.

«თუ აზნაური გლეხმან, ანუ დიდებულმან გააუპატიოს და წაუღოს რაჲმე»-ო, ნათქვამია „კაცთა შეცოდების სამართლის წიგნში“. დიდებულნი ამ ხანაში იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ ცალკეულ აზნაურთა დაჩაგვრა მათ, თუ მოიწადინებდნენ, არ გაუძნელდებოდათ, მაგრამ მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ ხანაში თურმე ისეთი რამეც კი შესაძლებელი ყოფილა, როდესაც აზნაურს გლეხი მიუვარდებოდა და არამცთუ უპატივცემოდ მოეპყრობოდა, არამედ ქონებასაც კი **«წაუღებდა»** და წაართმევდა კიდეც რასმე. ცხადია, რომ ასეთი შესაძლებლობა უპირველესად სოციალური ბრძოლის ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული. აზნაურთა და გლეხთა შორის ურთიერთობა მესხეთში, როგორც ჩანს, ამ ხანაში საკმაოდ გამწვავებული ყოფილა.

დამოკიდებულებათა გაუარესების მთავარი მიზეზთაგანი ყმათა უფლებების შეზღუდვისა და მდგომარეობის გაუარესების შედეგი იყო. ჩვენ უკვე ვიცით, თუ ყაზან ყაენის კანონმდებლობამ გლეხობა რა უფლებრივ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორ მიამაგრა იგი მიწას და სხვაგან გადასახლება აუკრძალა. ქართული სამართლის იმდროინდელმა კანონმაც მიწის მესაკუთრე ყმასაც კი თავისს უძრავი ქონების პატრონის დაუკითხავად და ნებადაურთველად გაყიდვის უფლება წაართვა: «მამულისა განსყიდვა ცუდია (ე. ი. **„გაცუდებული“**, გაბათილებულია) ბატონისა დაუმოწმებლად»-ო. თუ ვინმე ასეთ პირობებში მესაკუთრე ყმის მამულს მაინც იყიდდა, საკანონმდებლო კრებას ეს იმას გარდა, რომ სირეგვნედ მიუჩნევია, ამნაირი მიწების გაყიდვაშეძენის ხალისის დასაკარგავად, სამართლის წიგნში ქონებრივი სასჯელიც კი დაუწესებია: თუ იმისდა მიუხედავად იყიდდა ვინმე, «ნახევარი ფასი მსყიდველსა სარეგუნოდ დაუშავდეს», წაერთვასო. მართალია, თითქოს ეს სამართლიანი არ უნდა იყოსო, „მაგრამ“ ასეთი სასჯელი იმიტომ შემოვიღეთ, რომ ყველამ იცოდეს და მომავალში ბატონის დაუმოწმებლად ყმის მამულს **«ნუვინ დაებმის სყიდვასა»**-ო.

მიწის მესაკუთრე პატრონის მადიანობასაც ამ ხანაში საგრძნობლად უმატნია: მას მოუწადინებია, რომ უკაცრიელი, ნაოხარი ადგილის მომშენებლისათვის კანონით კუთვნილი სამაგიეროს მიცემაც თავის სასარგებლოდ

გამოეყენებინა. წესად იყო მიღებული, რომ სხვის მიწაზე ბაღის, ანდა ვენახის, გამშენებელს გაშენებულის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა. თავისი ნახევრის მაგიერ მას, რასაკვირველია, მისი ღირებულების აღება ფულადაც შეეძლო, მაგრამ, თუ ის თვით გაშენებული ნახევრის მიღებას ირჩევდა, მიწის მესაკუთრეს მისი დაჭერა არ შეეძლო, უნდა უეჭველად მიეცა. ამ ხანაში გამშენებლის ეს უფლებაც საცილობლად გაუხდიათ. ამიტომ საკანონმდებლო კრებამ დაადგინა: «თუ კაცმან კაცისა მამული გააკაცრიელოს რგვითა, ანუ ნაგებითა», მამულის პატრონი გამშენებელს მისი კუთვნილის «დაჭირვას არას ემართლების: ნახევარის ფასი მისცეს»-ო. მაგრამ მეორე მხრით, თუ გამშენებელმა გაშენებული «ადგილი მემამულისა გამოითხოოს, არ ემართლების არცა სასყიდლად ბატონისაგან»-ო. ცხადი ხდება, რომ მამულის პატრონები, როდესაც მათთვის ხელსაყრელი იყო, რჩეობდნენ ფასის მიცემით გაშენებული მიწა მთლიანად თითონ ჩაეგდოთ ხელში, ხოლო, როდესაც მათთვის უმჯობესი იყო ნახევარი მიეცათ, მაშინ კი გამშენებლისათვის ფასის მიცემის უარზე იდგნენ. ამრიგად, მათ სდომებიათ, რომ სასყიდლის მიღების არჩევანი. რომელიც კანონით გამშენებელს ჰქონდა უპირატესობად მინიჭებული, წაერთვათ და ამ უპირატესობას თითონ დაჰპატრონებოდნენ.

დასასრულ, აგრარულ ნიადაგზე აღმოცენებულ ურთიერთ დამოკიდებულებათა გამწვავების ასეთი გამომჟღავნებული გარემოებაც გვაქვს იმდროინდელს კანონმდებლობაში აღბეჭდილი, როგორიცაა მტრობის მიზნით «ყანასა, ვენაკსა, ბოსტანსა პირუტყვის» მოსაძოვებლად განზრახ შეშვება.

ასეთს მდგომარეობაში ჩავარდნილი იყო საქართველო, რომელსაც პოლიტიკური მთლიანობაც უკვე კარგა ხანია დაკარგული ჰქონდა და დანაწილებული იყო, სახელმწიფო წესწყობილებაც გაბატონებული უცხო ხალხის ძალმომრეობისა და თვით ქართველ მთავართა და დიდგვარიან მოხელეთა თვითნებობის ურჩობისაგან ძალზე შეერყა, ქვეყანაც აუოხრდა და გაუკაცრიელდა. ამის გამო ეკონომიურადაც იგი იმდენად გაჭირვებული და გაღარიბებული იყო, რომ ურანის ილხანებს საქართველოთგან ხარკისა და ყოველგვარი გადასახადის სახით იმის მხოლოდ ერთი მეოთხედი ნაწილის აკრება-ღა შეეძლოთ, რასაც საქართველოს სახელმწიფო სალარო დამოუკიდებლობის ხანაში ყოველწლიურად იღებდა ხოლმე. ასეთ საშინელებაში მყოფ საქართველოს ფრთხილი და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკოსი, მხნე და შეუდრეკელი ნებისყოფის მქონებელი მმართველი თუ გამოიყვანდა განსაცდელითგან. ამრიგად, გიორგი V-ეს ძძიძე და მეტად პასუხისაგები მოვალეობა დააწვა, რათგან მემკვიდრეობა, რომელიც მას ბედმა არგუნა, უკიდურესად განადგურებული იყო.

გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკის ზოგადი გეზი

ამნაირ რთულ პირობებში ადვილი გადასაწყვეტი არ იყო, თუ გიორგი V-ეს თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა საითგან და რით დაეწყო: ჯერ შინაური მტრების, გამდგარი მთავრებისა და ურჩი დიდებული მოხელეების ალაგმვასა და დამორჩილებას შესდგომოდა და ამ გზით

ქვეყანა დაეწყნარებინა, საქართველოს მთლიანობა აღედგინა და ამით ძალა მოეკრიბა, ხოლო შემდეგ საქართველოს საგარეო მდგომარეობის გამოსწორებაზე დაეწყო ზრუნვა, თუ წინაუკმო მოქცეულიყო, უპირველესად დამპყრობელ მონღოლებთან დაეწყო ბრძოლა და საქართველო მათი ბატონობა-მტარვალობისაგან განეთავისუფლებინა.

გიორგი V-ეს, როგორც ჩანს, ბრძნულად გადაუწყვეტია, რომ დაქუცმაცებული და გაოხრებული საქართველოსთვის თუნდაც უკვე დასუსტებულ ერანის ილხანების საყაენოსთან ბრძოლის გაგრძელება, ანდა კვლავ ატეხა, არამც თუ მიზანშეწონილი პოლიტიკა არ იქნებოდა, არამედ რომ ასეთი სამოქმედო გეზის არჩევას შესაძლებელი იყო საბედისწერო შედეგიც კი მოჰყოლოდა. ამიტომ, მონღოლებთან ბრძოლას მან ფრთხილი და მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოება ამჯობინა.

როდესაც ჩობან ნოინმა ერანის ილხანად აბუსაიდი დასვა, ახალი მბრძანებელი იმდენად მცირეწლოვანი იყო (12 წლის), რომ თავისი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა პირადად, რასაკვირველია, არ შეეძლო. ამიტომ 1316 წ. ერანში გაყაენებულს აბუსაიდს მთავარ ვაზირადა და საყაენოს ნამდვილ მესაჭედ ჩობანი ჰყავდა. საქართველოს მეფეს გიორგი ბრწყინვალეს სწორედ ილხანების ამ ყოვლადშემძლე ხელისუფალ ჩობანთან დაახლოვებაზე დაუმყარებია თავისი პოლიტიკა: მათ დიდი მეგობრობაც ჰქონდათ ერთმანეთში. ინდროინდელი არაბული ცნობით, ჩობანი საქართველოს მეფის გულითადი მეგობარი იყო: იგიც გიორგი ბრწყინვალეს აფასებდა და ყოველთვის, როდესაც კი საჭირო იყო, მას მხარსაც უჭერდა და კიდევაც ეხმარებოდა ხოლმე.

მეორე მხრით, გიორგი ბრწყინვალეც თავის პოლიტიკურ მოქმედებაში ჩობანს უწევდა ანგარიშს, სახელმწიფო საქმეებზე ილხანის დიდ ვაზირს ეთათბირებოდა ხოლმე და დარწმუნებულიც იყო, რომ, როცა გაუჭირდებოდა, მისთვის ჩობანის დახმარება ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა, მართლაც, ჩობანს გიორგი ბრწყინვალის იმედი არასდროს არ გაუცრუებია და განსაცდელში მრავალჯერ დაჰხმარებია ხოლმე.

არც გიორგი ბრწყინვალისა და არც ჩობანის მხრით ის გულითადი მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც მათ შორის არსებობდა, მარტო პირადი გრძნობითა და განწყობილებით არ იყო გამოწვეული, არამედ კარგად შეგნებულს პოლიტიკურს ანგარიშზეც იყო დამყარებული. ჩობანი გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფოებრივს ნიჭსა და შორსგამჭვრეტელობას ძალიან აფასებდა, ამიტომაც იყო, რომ ერანის ყაენების საბრძანებლის საქმეებზე რჩევას მას ეკითხებოდა ხოლმე. ამრიგად, ჩობანისათვის საქართველოს მეფე მარტო როგორც პირადი მეგობარი კი არ იყო ძვირფასი, არამედ როგორც მისი საუკეთესო თანაგამზრახიც.

ამას გარდა, ერანის ილხანებმა საქართველოს ჯარის გულადობა და ბრძოლაში თავდაუზოგავობა კარგად იცოდნენ. XIV ს. დამდეგს, როდესაც პირადად მონღოლთა ძლიერებაც ძალზე შემცირდა და ისინი წინანდელი სიმამაცითაც უკვე ვეღარ ომობდნენ, თანაც, მათ წიაღში პოლიტიკურ შეთქმულებათა გახშირების გამო, მათი თანამოძმენი მათთვის სანდო მხედრობად

მისაჩნევიც კი აღარ იყვნენ, ქართველი ჯარი უკვე მარტო მეშველ ძალას კი აღარ წარმოადგენდა, როგორც ეს წინათ იყო, არამედ იგი მთავარ საყრდნობად იქცა, რომელსაც ისინი ენდობოდნენ და რომლის სიმამაცის იმედი მათ ჰქონდათ.

სწორედ საქართველოსთვის ასე ხელსაყრელად ქცეული ვითარებით ისარგებლა, როგორც ჩანს, გიორგი ბრწყინვალემ და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენა. ამრიგად, გიორგი ბრწყინვალის მეფობის პირველ ნახევარში საქართველოს სამეფო ისევ ერანის იმდროინდელს ილხანთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული და ყმადნაფიცობა მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა. ამიტომაც ი ე რ ლ ა ყ-ად წოდებული ყაენის ბრძანებანი საქართველოშიც მოდიოდა ხოლმე, მაგრამ, მაშინდელი არაბული ცნობით, მონღოლთა ყაენის ბრძანებათა ძალა და ხელისუფლება საქართველოზე უშუალოდ უკვე აღარ ვრცელდებოდა.

ერანის ილხანს ლაშქარიც მცირერიცხოვანი ეყენა და მთელ საქართველოს სამეფოში 10 000 მოლაშქრეზე მეტი არ იყო, ისიც თურმე მხოლოდ საქართველოს საზღვრების დასაცავად ჰყოლია განკუთვნილი.

სანამ დასახული პოლიტიკური და ეროვნული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო იყო, გიორგი ბრწყინვალეს ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა მონღოლებთან, მერმე, როდესაც მიზანი უკვე მიღწეული იყო, მათი მოშორება გაერთიანებული საქართველოს მეფემ ადვილად მოახერხა. ამ შემთხვევაში, გიორგი ბრწყინვალეს თვით ერანის ილხანის აბუსაიდის მოქმედებამაც გაუადვილა საქმე, რათგან საყაენოს ისედაც შერყეულ მდგომარეობას მალე უკანასკნელმა აღსასრულმაც მოუსწრო: საკმარისი იყო 1327 წ. სრულწლოვანად ქცეულს აბუსაიდს, თავისი მეურვისა და მზრუნველის ჩობან ნოინის თავითგან მოშორების მიზნით, ერანის მონღოლების ეს ერთადერთი ძლიერი და ქვეყნის შემკავებელი ხელისუფალი, თითონაც და მისი ორი ვაჟიშვილიც მოეკვლევინებინა, რომ მაშინვე საყაენოში არეულობა დაწყებულიყო და ილხანების საბრძანებელსაც ბოლო მოჰღებოდა. ამის შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს საქართველოში მყოფი მონღოლთა ლაშქრისა და ყველა მათი მოხელეების განდევნა-მოსპობა, რასაკვირველია, არ გაუძნელდებოდა.

გიორგი ბრწყინვალის შინაური პოლიტიკა

საქართველოში შინაური მყუდროების დასამყარებლად, ყველაზე საშურს ამოცანას მისი შუა თემის, ქართლის, უშიშროებისა და მშვიდობიანი საქმიანობის უზრუნველყოფა შეადგენდა. იმისდა მიუხედავად, რომ ოსთა თარეშს ქართლში არაერთხელ შეჰბრძოლებიან, მაინც მონღოლთა დახმარებითა და უფრო კი ქვეყნის სრული აშლილობის წყალობით, მათი მეკობრული თავდასხმა არც შემდეგში შეწყვეტილა. ისინი გორშიც კი მძლავრობდნენ წინანდებურად. ამიტომ გიორგი ბრწყინვალეს თავის უპირველეს მიზნად საქართველოს ოსთა თარეშისაგან განთავისუფლება დაისახა. ამისთვის ჯერ ქ. გორითგან მათი განდევნა იყო საჭირო, სადაც მათ უკვე საკმაოდ კარგად მოასწრეს გამაგრება. ამიტომაც, როდესაც გიორგი ბრწყინვალე «მ ო ა დ გ ა ო ვ ს თ ა

„ბორსა მყოფთა», მას იქითგან მთლიანად განსადევნად «სამ წელ» მოუხდა ბრძოლა.

ამ ბრძოლაში ქსნისა და არაგვის საერისთავოების ჯარიც იღებდა მონაწილეობას. მას შემდგომ, რაც ოსები ბორითგან უკვე განდევნილები იყვნენ, ქსნისა და არაგვისხეველთა შორის ცილობამ იჩინა თავი იმის გამო, თუ ამ ორი ხეობის მოსახლეობის რომელმა ჯარმა ბრძოლაში უფრო მეტი ქველობა გამოიჩინა. ეს ცილობა იმდენად გამწვავდა, რომ მტრობადაც კი გადაიქცა და ამით აღელვებული ამ ორი მოძმე ტომის წარმომადგენლები ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მზადებას შეუდგნენ.

ასეთი უგუნური ძმათაშორისი სისხლისღვრის შესაძლებლობის მოსასპობად «მოვიდა დავით, ძე გიორგისი და არღარა აუშვნა საომრად, არამედ განყარნა ყოველნი კევეხთავნი და წარგზავნეს ყოველნი აზნაურნი» ქართლელნი. გიორგი ბრწყინვალის შვილის ამ ბრძანებას, არაგვის ხეობის სამ თემს გარდა, ყველანი დაემორჩილნენ. ამ სამი ხეობის მებრძოლთ ეგონათ, რომ მათი ასეთი ვითომცდა დამცირების შერჩენა ქსნისხეველებისათვის არასგზით არ შეიძლებოდა, და ამიტომ ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის ჯარს უკან დაედევნენ.

ამ უაზრო სისხლისღვრის თავითგან ასაცილებლად, გიორგი ბრწყინვალის შვილმა ყოველი ღონე იხმარა და იმდენი ეცადა, რომ შურისძიებით გახელებულს არაგვის ხეობის ამ სამს თემს «დავით, ძე მეფისა, მუკლთა დაუყრიდა, ლომისასა ბყოფთა ხატთა დაუსვენებდეს და ეევედრებოდეს, რათა არა სდევდენ», მაგრამ მაინც „მათ არ ისმინეს“.

რაკი საქმე ასე დატრიალდა, მაშინ ქსნისხეველთაც პასუხის გაუცემლობა იუკადრისეს და საზიზღარი ძმათაშორისი ბრძოლა და ჟლეტა გაჩაღდა, რომელიც ბოლოს მაინც არაგვისხეველთა დამარცხებით დამთავრდა. რა თქმა უნდა, ამ უგუნურ ბრძოლას დიდი მსხვერპლი შეეწირა.

რაკი ოსები განდევნილები და თავიანთი კადნიერი თავაშვებულობისათვის მკაცრად დასჯილნი იქმნენ, გიორგი ბრწყინვალეს, რასაკვირველია, საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა შორის წესიერებისა და მყუდროების დამყარებაზეც ზრუნვა უნდა დაეწყო. ამას კი წინასწარი სამზადისი და მოფიქრებაც სჭირდებოდა და ეს თავისი მოვალეობაც მეფემ, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, პირნათლად აასრულა კიდეც.

საქართველოს ისტორიის XIII ს. ხანის სახელმწიფოებრივობის თავისებურებას მთავართა წოდებულების გაჩენა და მათი უაღრესი გაძლიერება შეადგენს. წინათ ამის მსგავსი ვითარება საქართველოში არ ყოფილა და ეს ცვლილება, უეჭველია, ბევრნაირად, ერთი მხრით საქართველოს პოლიტიკური დასუსტებისა და მეფის ხელისუფლების დაკნინების ბუნებრივი შედეგი უნდა ყოფილიყო, მეორე მხრით მონღოლთა სახელმწიფოებრივობისა და პოლიტიკის გავლენითაც უნდა აიხსნებოდეს. მეფეებს საქართველოში, ურჩი ხელისუფლების მონღოლთაგან მფარველობისა და მათი წაქეზების შიშით, მათი ალაგმვის საშუალება ხშირად სრულებით მოსპობილი ჰქონდათ.

რაკი საქვეყნოდ გამრიგე დიდი ხელისუფლები, მეტადრე კი მთავრები, ხშირად მონღოლთა მომხრეობას კადრულობდნენ და ამით საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, რთულდებოდა, ამიტომაც გიორგი ბრწყინვალეს კარგად ესმოდა, რომ ვერც დაშლილი სახელმწიფოებრივობის განმტკიცება და ვერც საქართველოს მთლიანობის აღდგენა ვერ მოხერხდებოდა, სანამ გათამამებული საქვეყნოდ გამრიგენი ისევ თავიანთ ქერქში არ იქნებოდნენ ჩაწყვდეულნი.

ამ სახელმწიფო ამოცანის განსახორციელებლად გიორგი ბრწყინვალემ, გარემოებისდა მიხედვით, სხვადასხვა საშუალებას მიჰმართა. უპირველესად მანერანის მონღოლთა შორის ატეხილი შინაური ბრძოლით ისარგებლა და, რაკი მათ საქართველოს საქმეებისათვის წინანდებურად აღარ ეცალათ, გიორგი ბრწვინვალემ გადასწყვიტა, რომ, დიდგვარიან ხელისუფალთა მტრული მოქმედების ყოველივე შესაძლებლობის საბოლოოდ მოსასპობად, მხოლოდ გადამწყვეტი საშუალება იქმნებოდა გამოსადეგი. ამიტომ მან «ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ (ე. ი. მონღოლებს) მიუდგნენ, კახეთს ცივზედ მოიწვია და ამოსწყვიტა».

გიორგი ბრწყინვალე საქართველოს გაერთიანების გეგმის განხორციელების დროს ცდილობდა უფრო ფრთხილად ემოქმედნა. მართალია, ის ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, რაც კი ლიხთ-იმერეთში ხდებოდა, მაგრამ საქმეში ნაადრევად ჩარევა მაინც მიზანშეწონილად არ მიუჩნევია.

როგორც უკვე ვიცით, დავით-ნარინის სიკვდილის შემდეგ გამეფებულს კოსტანტინეს მისივე ძმა მიქელი აუჯანყდა. ძმათა შორის ბრძოლა ხან შესწყდებოდა, ხან ზერიგების შემდეგ ისევ ატყდებოდა ხოლმე. 1327 წ. ვახუშტისაგან მოყვანილი ცნობის მიხედვით, კოსტანტინე მეფე გარდაიცვალა და მის მაგიერ მეფობას ბოლოს მიქელიც ეღირსა. მაგრამ მას ორ წელიწადს მეტს არ დასცლია და, იმავე წყაროს ცნობით, მიქელ მეფეც 1329 წ. გარდაცვლილა. მას მცირეწლოვანი ვაჟიშვილი ბაგრატი დარჩა. გიორგი ბრწყინვალემ ამით ისარგებლა, ლიხის მთა გადალახა, ქუთაისი აიღო და ბაგრატი თან წამოიყვანა. ამრიგად ორმეფობა მოისპო და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობაც აღდგენილ იქმნა.

იმავე დასახული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, გიორგი ბრწყინვალემ მესხეთის მთავარის სახლობის, როგორც თავის დედის კერისა და თავის აღმზრდელი ოჯახის, მიმართ სხვა საშუალება გამოიყენა. ძალის და ხელისუფლების ჩამორთმევის მაგიერ, 1334 წ., როდესაც მესხეთის მთავარი სარგისი გარდაიცვალა, მისი შვილი ყუარყუარე მეფემ უკვე თითონ დასვა. ამრიგად, საქართველოს სამეფოსაგან განცალკევებულს მესხეთის პოლიტიკურ არსებობასაც ბოლო მოეღო და საქართველოს სახელმწიფოებრივობას პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით ესოდენ მნიშვნელოვანი და ერმრავალი ნაწილიც კვლავ დაუბრუნდა. სრულიადი საქართველო ამიერითგან მთლიანად აღდგენილი იყო.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, გიორგი ბრწყინვალე მარტო სახელმწიფოს პოლიტიკური გაერთიანებითა და ქვეყანაში მყუდროების დამყარებით

არ დაკმაყოფილებულა, არამედ ამის შემდეგ სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარების თვით შერყეული საფუძვლის, მოსახლეობაში კანონიერების, ჩანერგვასაც შეუდგა. ამრიგად, მისი მოღვაწეობის ასპარეზი ქართული სამართლის სფეროსაც შეეხო. მომდევნო ხანაში, თემურ-ლენგის შემოსევის დროს მომხდარმა საქართველოს აოხრებამ, წინა და იმ საუკუნეების მრავალი ძეგლი იმსხვერპლა და ამიტომ XIV ს. ამბების ვასაშუქებლად მცირეოდენი, ისიც შემთხვევით გადარჩენილი, მასალა-ღა მოგვეპოვება. ამავე მიზეზის გამო გიორგი ბრწყინვალის ქართული სამართლის სფეროში მოღვაწეობის მთელი სისრულით გათვალისწინების საშუალება უკვე აღარა გვაქვს. ვახტანგ VI-ის სამართლის კოდიკომ მისი დროითგან მხოლოდ „ძეგლის დადება“ გადაგვირჩინა. ეს სამართლის წიგნი გიორგი ბრწყინვალისაგან მოწვეული სახელმწიფო დარბაზის საკანონმდებლო კრებისაგან არის შედგენილი და არაგვისა და ქსნის ხეობის მთიულთა თემისათვის იყო გაჩენილი.

ამ ძეგლის შესავალში აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით ირკვევა, რომ გიორგი ბრწყინვალე ამ საქმეს მაშინ შესდგომია, როდესაც საქართველოს პოლიტიკური სიმტკიცე უკვე მთლიანად განხორციელებული ყოფილა: «ყოველგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა» ვიმყოფებითო, ნათქვამი აქვს თვით გიორგი ბრწყინვალეს.

სანამ თბილისში სახელმწიფო დარბაზის საგანგებო კრებას მოიწვევდა, მეფეს ჯერ ორივე ზემოაღნიშნული ხეობა ადგილობრივ პირადად მოუვლია და მოსახლეობისაგან მოუსმენია, თუ რა შეადგენდა მისთვის ყველაზე საჭირბოროტო და დაუყოვნებლივ მოსაწესრიგებელ საქმეს. ამ მოგზაურობის დროს თბილისითგან ჯერ ჟინვანში, თავის სასახლეში, მისულა, იქითგან ხადასა და ცხაოტს ასულა, «მუნებურნი კევისბერნი და ჰეროვანნი» დაუბარებია და მათი მოხსენება მოუსმენია, ასე აღმა მოგზაურობით გიორგი ბრწყინვალეს დარიელამდის მიუღწევია. შემდეგ «დარიელით მობრუნებულთ» და ლომისაზე გავლით, მეფესა და მის ვაზირებს ცხრაზმის ხევიც დაუთვალიერებიათ და იქაურების გასაჭირიც მოუსმენიათ.

მუხრანზე გავლით გიორგი ბრწყინვალე თბილისში დაბრუნდა, მაგრამ, ამასთანავე აგრეთვე «თემისა და თემისა ერისთავნი და კევისთავნი და კევისბერნი და ჰეროვანნი»-ც თან ჩამოიყვანა. სახელმწიფო დარბაზის საკანონმდებლო კრებაში, ზემოდასახელებულთ საგანგებოდ მოწვეულებს გარდა, რასაკვირველია, ვაზირნი და მოურავნიც ერთი მხრით და ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელნიც იღებდნენ მონაწილეობას. დარბაზმა მთიულთათვის განკუთვნილი სამართლის წიგნი შეადგინა, რომელსაც „ძეგლის დადება“ ეწოდება.

ამ ძეგლის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება მთელი სამეფოსათვის შედგენილს კანონმდებლობას და ამ ძეგლის მიხედვითაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქართული სამართლის განვითარების იმდროინდელს დონეზე მსჯელობა, მაგრამ, რამდენადაც იგი საქართველოს ერთს თემში არსებულს უფლებრივს ვითარებას გვითვალისწინებს, ქართული სამართლისა და

სოციალური ისტორიისათვის მაინც საყურადღებო და ძვირფასი წყაროა. გიორგი ბრწყინვალეს მთელი იმ ღვაწლის შეფასება კი, რომელიც მას ზოგადს ქართულს სამართალში მიუძღვის, მხოლოდ მომავალში იქნება შესაძლებელი, ისიც მარტო იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ამისთვის გამოსადეგი ახალი მასალები და ძეგლები აღმოჩნდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისა და სახელმწიფოში მტკიცე წესწყობილებისა და კულტურული ყოფა-ცხოვრების აღდგენაზე მზრუნველს გიორგი ბრწყინვალეს, ცხადია, შეუძლებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაც არ ეღონნა. მის გამეფებამდე უკვე ყაზან ყაენის ფულის რეფორმას საქართველოსათვისაც ჰქონდა მნიშვნელობა და ყ ა ზ ა ნ ა უ რ ი თ ე თ რ ი, როგორც სამაგალითო და სრულფასიანი ვერცხლის ფულის ერთეული, საქართველოშიც გაბატონდა. ბექა მანდატურთუხუცესის დროის საკანონმდებლო ძეგლში, მაგ., ყოველგვარი ქონებრივი საზღაურის გადახდა ამ ფულის ერთეულით იყო ნავარაუდევი და სწორედ „ყ ა ზ ა ნ ა უ რ ი თ ე თ რ ი ი ყ ო“ დაწესებული.

მაგრამ ერანის ილხანების საყაენოს დასუსტებასა და შემდეგ სრულიად მოსპობასთან ერთად, ისეთი ჯანსაღი და სრულფასიანი ფულის ერთეულიც კი, როგორიც ყ ა ზ ა ნ ა უ რ ი თ ე თ რ ი ი ყ ო, სწრაფად გაქრა და უკვე აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის დროს «ყ ა ზ ა ნ ა უ რ ო ბ ა ჲ ა რ ღ ა რ ა ჲ ი ყ ო».

გიორგი V ბრწყინვალემ საქართველოს ფინანსებშიც თავის მხრით ცვლილება შეიტანა და ახალი ფული მოაჭრევინა, რომელიც სწრაფად გაბატონდა. მას შემდგომ ხანაშიც კი შერჩა ძალა. ამ დროითგან მოყოლებული ფულადი ანგარიში სწორედ ამით სწარმოებდა ხოლმე. აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარსაც კი, რომელიც თავისი სამთავროს საქართველოს მეფისაგან ადმინისტრაციულს დამოუკიდებლობას იცავდა, გულმოდგინედ არ შეეძლო მაინც თავის სამფლობელოში მყოფი ცხოვრების ეკონომიურ-ფინანსიური ვითარებისათვის ანგარიში არ გაეწია და ამიტომაც ისიც იძულებული იყო მის დროს შედგენილს საკანონმდებლო ძეგლში დანაშაულებათათვის დაწესებული ფულადი საზღაური გიორგი ბრწყინვალის თეთრის ერთეულით დაეკანონებინა, რათგან წინანდელი მონღოლური ყაზანაური თეთრის მაგიერ მესხეთშიც, თვით აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის მთავრობის ხანაშიც კი, სწორედ ეს ქართული ფული იყო ცხოვრებაში გაბატონებული. „კაცთა შეცოდების სამართლის წიგნის“ შესავალში მას თითონვე აქვს ეს გარემოება აღიარებული: «ა მ ა ჟ ა მ თ ა შ ი ნ ა ყ ა ზ ა ნ ა უ რ ო ბ ა ჲ ა რ ღ ა რ ა ჲ ი ყ ო» და ამიტომ «დ ი დ ი ს ა, წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ს ა მ ე ფ ი ს ა გ ი ო რ გ ი ს ჟ ა მ ი ს თ ე თ რ ი გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ».

ამრიგად, გიორგი ბრწყინვალის ბრძნული პოლიტიკის წყალობით, საქართველო მარტო პოლიტიკურად კი არ გაჯანსაღდა და სახელმწიფოებრივადაც გამაგრდა, არამედ ეკონომიურადაც მოღონიერება დაიწყო და ქონებრივადაც დოვლათიანობა დაეტყო. ეს გარემოება უკვე საქართველოს დედაქალაქსაც დასჩნევია.

რომის პაპის იოანე XXII-ის 1328 წ. და 1329 წ. დაწერილი ეპისტოლეებითგან ჩანს, რომ თბილისი იმ დროსაც საუკეთესო, ერმრავალი და მდი-

დარი, თანაც შესანიშნავი ქალაქი იყო. მის ასეთ თვისებათა მნიშვნელობის გამო, დას. ევროპის ქრისტიანეთა მწყემსმთავარმა და კარდინალების საბჭომ გადასწყვიტა, თავისი მოქადაგეობითი მოღვაწეობის ცენტრი ქ. სმირნითგან თბილისში გადმოეტანათ, რაც ასრულებულ იქმნა კიდეც[1]. მაგრამ გიორგი ბრწყინვალის დროინდელი საქართველოს ყოველმხრივი დიდი წარმატება და კულტურის მაღალი დონე, თვალსაჩინო ეკონომიური მოღონიერებაც, საკმაო სიცხადითა და სიძლიერით „ხელმწიფის კარის გარიგების“ შერჩენილი ნაწილითგანაც ჩანს.

გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა და საქართველოს დიდი ხვედრითი წონა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ცხოვრებაში

საქართველომ გიორგი ბრწყინვალის სამხედრო ნიჭითა და ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წყალობით თავისი პოლიტიკური ძლიერება XIV ს. მეორე მეოთხედისათვის უკვე იმდენად აღიდგინა და შინაურობაშიც სრული მშვიდობიანობის დამყარება შესძლო, რომ მისი ძლიერების ხმაგანთქმულობამ ეგვიპტემდისაც კი მიაღწია. იქაური იმდროინდელი არაბული წყაროების ცნობით, საქართველო მაშინ დიდ და ვრცელ ქვეყნად და ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა. რომის პაპსაც მოეხსენებოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოში ბევრი სხვა ხალხიც იყო. შორეულს ეგვიპტეში ისიც კარგად იცოდნენ, რომ მაშინდელს საქართველოში მტკიცე ხელისუფლება არსებობდა და მას თავისი საკუთარი მეფე ჰყავდა და რომ მის სატახტო ქალაქად თბილისი იყო.

---

[1] 1328 წ. პაპი იოანე XXII-ის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე. მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია („locus Thefelicensis in regni Jorglanorum meditullio constitutus insignior et populosior et bonorum temporalum ubertate fecundior esse dinoscitur“). ამიტომ ღვთის სახელის საქებ-სადიდებლად, საოწმუნოების პატივისათვის და გასავრცელებლად, ჩვენის ხსენებულის ძმების რჩევით და ჩვენის სრულის მოციქულებრივის ხელმწიფების ძალით სმირნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის ტფილისის ქალაქსა („predictam sedem Smirnensem ad eundem locum Thefelicensem ad divini nominis laudem et gloriam, honorem et dilatationem fidei memorate transferimus“ (თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტ. კათოლიკ. გვ. 32. და 560). თუ ამისა და თუ სხვა დიდად სასარგებლო მიზეზების გამო, ჩვენ გადავსწყვიტეთ და ჩვენის ხსენებულის სრულის უფლებით ტფილისი გავხადეთ საეპისკოპოსო ქალაქად და გვნებავს შემდეგშიაც დარჩეს ესრედ და ეწოდებოდეს მუდამ ტფილისიუ საეპისკოპოსო ქალაქი; არც მოაკლდეს მას საეკლესიო ღირსება, არამედ იგი უფრო აღემატოს და გავრცელდეს. უკრეთვე ძმათა რჩევით და ჩვენის სრულის უფლებით დაგვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ტაძარი, საეპისკოპოსო ეკლესია და ეწოდოს ტფილისის საეპისკოპოსო ეკლესია („predictum locum Thefelicensem... in civitatem eregimus... eumque civitatum Thefelicensem volumus perpetuis futuris temporibus nuncupari profecto... ut prefertur auctoritatis ecclesiastice decore non careat, sed potius et latius decoretur... decernimus in dicto loco iam civitate fore constituendam ecclesiam cathedralem eamque dignitatis episcopalis titulo decorandum ac eamdem ecclesiam cathedralem in civitate Thefelicensi constituimus prelatha“ (იქვე).

შეჰაბ ედდინ ელ-კალკაშ ანდის (გარდ. 1418 წ.) საქართველოს მდგომარეობის გასათვალისწინებლად XIV საუკუნეში თუმცა მოკლე, მაგრამ მაინც ფრიად საგულისხმო ცნობები მოეპოვება. მისი ნაწარმოები, რომელსაც صبح الاعشى في كتابة الانشاء ეწოდება და ვრცელ არაბულ ენციკლოპედიას წარმოადგენს, ერთი მხრით საქართველოს მეფეთა და ეგვიპტის მამლუკ-სულტანების დამოკიდებულებას, მეორე მხრით საქართველოს მეფისა და სპარსეთის ილხანების ურთიერთობას გვისურათებს.

ელ-კალკაშანდი-ს მოთხრობა დამყარებულია იბნ ფადლალლაჰ ელომარი-ს (გარდაიცვ. 1348 წ.) ნაშრომზე, რომელსაც التعريف في المصطلح الشريف ეწოდებოდა. ამგვარად, ეს ცნობები XIV ს. პირველი ნახევრის დროინდელ ავტორს ეკუთვნის და ჩობანისა (გარდ. 1327 წ.) და მისი შვილის შეიხ მაჰმუდის ხანას, ანუ აბუსაიდ-ის ყაენობას გვისურათებს.

ელ-კალკაშანდი-ს ნაშრომის ეს ნაწყვეტი არაბულად და რუსული თარგმანით და შენიშვნებითურთ გამოცემულია ვ. ტიზენჰაუზენ-ის მიერ[1].

საქართველო XIV ს. პირველ ნახევარში დიდ ქვეყნად და ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა (هي بلاد جليلة ومملكة مفخمة), რომელშიაც მტკიცე ხელისუფლება სუფევდა და ყოველთვის მეფე ჰყავდა, მის სატახტო ქალაქად თბილისი იყო (لها ملك قائم وبها ملك دائم و امها مدينة تفليس).

საქართველოს ვრცელი ქვეყნის სახელი ჰქონდა და ხალხი კი ვითომც მომთაბარე იყო, რომელიც ერთი ადგილითგან მეორეში გადადიოდა ხოლმე (გვ. 209=210—211).

საქართველოს ჯარი მამაცი და ახოვანი მეომრებისაგან შესდგებოდა, ქრისტიანობას მტკიცედ იცავდა[2].

საქართველოს სამეფო მაშინ ერანის სახელმწიფოში გაბატონებულ ჰულაგუს სახლის შთამომავალ სულტანს ემორჩილებოდა. ამ ყაენის იარლაყები (ბრძანება) საქართველოშიაც მოდიოდა, მაგრამ მისი ხელისუფლება უშუალოდ საქართველოზე არ ვრცელდებოდა და მისი მბედარნიც საომრად საქართველოში არ შედიოდნენ[3]. ამგვარად, ყაენის იარლაყები ნამდვილად საქართველოს არ ეხებოდა.

სპარსეთის მონღოლთა ილხანს საქართველოში მხოლოდ ერთი დუმანი, ანუ 10 000, ჯარისკაცი ჰყავდა საქართველოს საზღვრების დასაცავად და განსამართავად. انما له بها تومان اتّخذ سداداً لثغرها و قياماً بامرها[4].

საქართველოს ჯარის სიმამაცეს სპარსეთის ილხანებისათვის დიდი სამსახური გაუწევია და მათ ლაშქრისთვის ქართველთა ჯარი დასაყრდნობსა და მეშველს წარმოადგენდა. ამიტომ მონღოლთა მოლაშქრენი ქართველებს ენდობოდნენ და ემყარებოდნენ[5].

---

[1] იხ. მისი „Заметки Элькалькашанди о Грузинах“: ЗВОРАОб. 1886 г., Том I, вып. I, стр. 208—216.

[2] ელ-კალკალშანდი, 209—211.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

საქართველოს მეფეს, ელ ომარი-ს სიტყვით, ჩობანთან დიდი მეგობრობა ჰქონდა. ამ მეფის სახელი დამახინჯებული ჩანს დროთა განმავლობაში. ეხლა ხელთნაწერებში „ბრტლმა“ (ﺑﺮﻃﻠﻢ) იკითხება, რომელიც ბართლომე-ს უფრო მიაგავს, მაგრამ რაკი საქართველოს არც ერთ მეფეს ასეთი სახელი არ ჰრქმევია და ჩობანი აბუსაიდ-ის ვაზირი იყო და ამ დროს საქართველოში გიორგი ბრწყინვალე მეფობდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ, როგორც ტიბენჰაუზენსაც ეგონა, გიორგის ეპითეტი „ბრწყინვალე“ უნდა იყოს დამახინჯებული [1].

ჩობანი საქართველოს შეფის გულითადი მეგობარი იყო და მეფეს ყოველთვის დიდად ეხმარებოდა კიდეც: ჩობანი მას მუდამ მხარს უჭერდა (209=211).

გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკაც ჩობანთან მჭიდრო და გულითად დამოკიდებულებაზე იყო დამყარებული. დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების განხილვის დროს მეფე ჩობანს რჩევას ეკითხებოდა და გაჭირვების დროს მას დახმარებას სთხოვდა ხოლმე. ელ-კალკაშანდის წყაროს ცნობით ჩობანს იმდენი დახმარება გაუწევია საქართველოს მეფისათვის, რომ ის ჩობანს თავისი სამხედრო ძალის საყრდნობად და განსაცდელთა გამაქარწყლებლად სთვლიდა (209=211—212).

მაგრამ ამავე დროს გიორგი ბრწყინვალეც მონღოლთა ყაენის ვაზირისა და თავისი მეგობრის ჩობანის მრჩეველი და თანაგამზრახი ყოფილა. ის თურმე ყაენს დამპყრობელობითი პოლიტიკის წარმოებას ურჩევდა და დიდ გამარჯვებულობა-დავლასაც უქადდა თურმე [2].

ელ ომარის აღნიშნული აქვს ის მიმართვისა და შესხმის წესი, რომლითაც ეგვიპტის სულტნები საქართველოს მეფეს სწერდნენ ხოლმე თავიანთ ეპისტოლეებს. მათი წერილები თურმე ყოველთვის ასე იწყებოდა ხოლმე: „დღეგრძელ-ჰყოს ალაჰმა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირგინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფლობელისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენთა (იგულისხმება: მართლმადიდებელ) მეფეთა შორის საუკეთესოსა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოების განძისა, რაინდთა დამცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამმკვიდრებელისა, რუმისა და ერანის ქვეყნების დამცველისა, იონთა (ე. ი. ძველ საბერძნეთის მეფეთა) შემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა..., საყდროსანთა და გვირგვინოსანთა შორის უჩრეულესისა, ქრისტიანთა განმადიდებელისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, ქრისტიან გმირთა ცხებულისა, თვის ბრძანებით წმინდა ადგილთა (ე. ი. იერუსალემის) განმადიდებლისა, ნათელღებულთა მისაყრდნობისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა“ [3].

---

[1] ელ-კალკაშანდი: 209 და 211 შენ. 7.

[2] იქვე: 209=213 და შენ. 3.

[3] ტიზენჰაუზენის ელ-კალკაშანდი 209=213—214.

ელ-მუჰიბბის ცნობით საქართველოს მეფის სადღეგრძელო ასე უნდა ყოფილიყო წარმოთქმული: „დაცვულ იქმნეს მეფობა მისი არა მისითა ლაშქრითა, არამედ სიყვარულით მისდამი, ხელშეკრულებათადმი ერთგულებითა და არა სპითა და ლეგეონებითა მისითა, ჩვენდამი კეთილმოქმედებისადმი მიდრეკილებით და არა მის საშუალებათა და გულმოდგინეობით, რაოდენადაც კარგად არ იყოს ისინი მოფიქრებული“[1].

ელომარის (გარდ. 1348 წ.) ნაშრომის დანამატში, რომელიც ელ-მუჰიბბის დაწერილია, უკვე ნათქვამია: ქართველებს ორი მეფე ჰყავთ, ერთს, რომელსაც დავითი ერქვა (داود) თბილისი ეკუთვნის (صاحب تفليس), მეორე კი ყირიმის (ე. ი. შავი) ზღვის სანახრეთ სანაპიროზე მდებარე ორ ქალაქს, სოხუმსა და აბხაზს, განაგებს الثاني الحاكم بسخوم وابخاس وهما مدينتان على بحر القرم) და დადიანად (دياذان) იწოდება და ორივეს წოდებულება იყო „ქართველთა მეფე“ (ملك الكرج). თითოეულ მათგანს ეპისტოლეს ნახევარ თაბახზე შემდეგნაირად სწერენ ხოლმე: ალლაჰმა დღეგრძელ-ყოს მისი უდიდებულესობის სიცოცხლე, სახელოვანი ხელმწიფისა, სულგრძელისა, სახელგანთქმულისა, ახოვანისა, გულადისა, წმინდისა, სულიერისა, (სახელდებით) ქრისტიანე ერის დიდებისა, ჯვაროსანი ეროვნების განძეულისა, ქრისტიანეთა სარწმუნოების სიამაყისა, აბხაზთა და ქართველთა და ჯურჯანთა მეფისა (ملك ابخاز والكرج و الجرجان), მეფეთა და სულტანების მევობრისა“[2].

ელომარის მოწმობით ზოგიერთი მცირეოდენი ცვლილება მიწერ-მოწერის დროს მიღებულ მიმართვაში შეუტანიათ, მაგრამ ელ-მუჰიბბი ამტკიცებს, რომ არსებითად მის დრომდის მიმართვის შინაარსი წინანდებური სახით იწერებოდა, შაჰაბ ედდინ ელ-კალკაშანდი (გარდ. 1418 წ.) კი თავის მხრით ამბობს, რომ ეშშიხაბი იბნ-ფადლალაჰ ელომარი-ს დროს (გარდ. 1348 წ.) საქართველოს მეფეს მონღოლთა მხრით მათდამი კეთილი განწყობილებისა და ჩობანთან მეგობრობის გამო წინანდებურად პატივისცემა ჰქონდა და ამის წყალობით მასთან მიწერ-მოწერის დროს უფრო სახელოვანსა და საპატიო წოდებულებასა ხმარობდნენ ხოლმე. მაგრამ, მას შემდგომ რაც მონღოლთა მეფობა სპარსეთში მოისპო და მათი ძლიერებაც გაქრა, მაშინ ეგვიპტის სულტნების საქართველოს მეფესთან მიწერ-მოწერის წესი წინანდელთან შედარებით ჩამომცრობილ იქმნა[3].

თავის სახელმწიფოში პოლიტიკურად კარგად განმტკიცების შემდეგ, გიორგი ბრწყინვალე საქართველოს საგარეო და საერთაშორისო მდგომარეობის, რომელიც XIII ს. განმავლობაში თითქმის სრულებით შერყეული იყო, გამოსწორებასაც შეუდგა. მას მიზნად დასახული ჰქონდა საქართველოსათვის საერთაშორისო სფეროში კვლავ დაებრუნებინა ის გავლენიანობა, რომელიც მას წინათ ძლიერების ხანაში, XII ს., მოპოვებული ჰქონდა.

---

[1] ტიზენჰაუზენის ელ-კალკაშანდი, 209 = 214 და შენ. 3.
[2] იქვე, 210 = 214.
[3] იქვე, 210 = 214 — 215.

წარსულში ქრისტიანეთა მთავარ სალოცავ ადგილებში ქართველებს ყველგან საპატიო ადგილი ეკავათ და თავიანთი ეკლესია-მონასტრები ჰქონდათ. უკვე XII ს. ქართველებმა, პროხორეს თაოსნობით, ჯვარის მონასტერი ააგეს. დავით აღმაშენებელმა სინას მთის ის მწვერვალიც დაიკავა, სადაც, ებრაელთა გადმოცემით, ვითომც ღმერთი მოსე წინასწარმეტყველს ესაუბრებოდა და ათი მცნება მისცა. სინას ნახევარკუნძულის ამ ყველაზე უმაღლეს მწვერვალზე მანაუცხოვო ქართული ეკლესია ააგებინა და ქართული წირვა-ლოცვითურთ მოაწყო. ყველა ამას და ამის მსგავსს, რა თქმა უნდა, მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არამედ ამავე დროს ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს.

საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევისთანავე, ქართველების მდგომარეობა პალესტინაშიც ძალზე გაუარესდა. ქრისტიანეთათვის ისეთი მნიშვნელოვანი სალოცავი, როგორადაც მაშინ ჯვარის მონასტერი იყო მიჩნეული, ჩამოართვეს. ქართველების გულის მოსაკლავადა და თავმოყვარეობის შესალახავად, ჩამორთმეული მიზგითადაც კი აქციეს.

გიორგი ბრწყინვალემ ყოველი ღონისძიება გამოიყენა, რომ ქართველთათვის ჩამორთმეული ჯვარის მონასტერი და მიზგითად ქცეული ისევ საქართველოსათვის დაებრუნებინა. ამისთვის მან, ელომარისა, მაკრიზისა (გარდ. 1442 წ.) და ელაჯნის სიტყვით, თავისი დესპანები გაუგზავნა ეგვიპტის სულტანს. მათ ეტყობა დავალებული ჰქონდათ, რომ ჯერ კონსტანტინეპოლში მისულიყვნენ და საქართველოს მეფის წადილი ეცნობებინათ. რაკი დესპანობის მიზნად ქრისტიანთა მძიმე მდგომარეობის იერუსალემში გაუმჯობესება იყო დასახული, ამიტომ, შესაძლებელია, საქართველოს მეფეს ჰსურდა, რომ ბიზანტიის კეისარსაც თავის მხრით მონაწილეობა მიეღო. ასე იყო, თუ ისე, ბიზანტიის კეისარს ლასკარისს, ანდრონიკე II-ეს, ეს ამბავი შეუტყვია, თითონაც თავისი დესპანი ქართველ დესპანებისათვის გაუყოლებია.

საქართველოს და ბიზანტიის დესპანები ჯერ ზღვით ალექსანდრიაში მისულან, ხოლო იქითგან ქაიროში. ქართველ დესპანებს ეგვიპტის მთავრობისათვის თავიანთი მეფის წერილი მიურთმევიათ, რომელშიაც ის უკანონოდ ჩამორთმეული და მიზგითად გადაკეთებული ჯვარის მონასტრის კვლავ ქართველებისათვის უკან დაბრუნებას თხოულობდა. ეს თხოვნა ეგვიპტის სულტანმა საქართველოს მეფეს აუსრულა იმისდა მიუხედავად, რომ მიზგითად ქცეული ეკლესიის დაბრუნებამ და ისევ ეკლესიადვე გადაკეთებამ მაჰმადიანთა კეთილმორწმუნე მწიგნობარნი და სჯულის მეცნიერნი ძალიან შეაწუხა. მაგრამ, ელომარის სიტყვით, სულტანს ეს თავისი განკარგულება მოუფიქრებლივ არ გამოუცია. მაკრიზისა და მუჯირედდინის (გარდ. 1521 წ.) წყაროების მოწმობით საქართველოს მეფისა და მისი დესპანების თხოვნის დაკმაყოფილებისათვის [ერთ] გარემოებასაც შეუწყვია ხელი. სხვათა შორის, ქართველებს სულტანისათვის თავიანთი დახმარებაც აღუთქვამთ, როდესაც კი მას ასეთი მიშველიება დასჭირდებოდა. უეჭველია, ამ შეპირებასაც თხოვნის დაკმაყოფილების დროს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

წართმეული ეკლესიის ქართველთათვის დაბრუნების გარდა ქრისტიანებს ნებართვა მისცეს, რომ მათაც მაჰმადიანთა მსგავსად ცხენ-სახედრებზე ორივე ფეხ-ჩამოშვებულთ ჯდომის უფლება ჰქონოდათ. მანამდე, ალბათ ეკლესიის წართმევისთანავე, ასეთი ცხენოსნობის უფლება აკრძალული ჰქონიათ და მხოლოდ გვერდზე, ერთი მხრისაკენ ორივე ფეხის ჩამოშვებით შეეძლოთ მგზავრობა. უეჭველია, ასეთი განკარგულება ქრისტიანთა დასამცირებლად იყო გაცემული და ბუნებრივია, რომ ისინი ცხენზე ჯდომის ასეთი დამამცირებელი წესის მოსპობას ცდილობდნენ. საქართველოს მეფის დესპანებს ესეც მოუხერხებიათ.

ქართველთა ამ დესპანობისა და დიპლომატიური გამარჯვების თარიღი არც ელომარის, არც მაკრიზის, და არც ელ-კალკაშანდის აღნიშნული არა აქვთ. ელაჲნის ორი თარიღი მოეპოვება: ერთხელ 705 წ. აქვს ჰიჯრით დასახელებული, რაც ქრისტესით 1305 წ. უდრის; მეორეჯერ კი 710 ჰიჯრით, ანუ 1310—1311 წ. ქრისტესით[1].

ამავე ამბავს „ძეგლი ერისთავთა"-ც მოგვითხრობს, მაგრამ უფრო სხვანაირად. იქ ნათქვამია: «ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო, და დიდად შესწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსა ერქვა პიპა, გზასა კმელთასა მრავლითა ძღვნითა წინაშე მისრელისა. და წარყუა თანა ბადანდას (თუ ბანდას) ძე დეკანოზი იოანე. და მოვიდა პიპა წინაშე მისრელისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღვენი იგი და მისცნა კლიტენი ერუსალიმისანი. მივიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვია, ჟამი აწირვინა, ეზიარა. და დეკანოზი იოანე აკურთხეს მოძღვართ-მოძღვრად... ხოლო პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი და შეკრიბნა ნაწილნი წმიდანი და ხატნი შვენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ხმელეთით. და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაყი შეწყალებისა და აღსრულება ყოვლისა სათხოველისა მისისა. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მიეცნეს კლიტენი ქართველთა»-ო[2].

ამრიგად, საქართველომ თავისი საერთაშორისო გავლენის აღდგენა ამ მხრივ მოახერხა და როგორც დანარჩენ ქრისტიან ერთა სწორუფლებიანობაზეც მზრუნველმა სახელმწიფომ, თავისი უფრო ფართო პოლიტიკური გეგმაც საყოველთაოდ გამოამჟღავნა. ქართველებმა, წართმეული ჯვარის მონასტრის დაბრუნებასთან ერთად, ჩაიბარეს აგრეთვე „კლიტენი იერუსალემისანი" და საქართველოს გამარჯვებული დესპანები მივიდნენ „საფლავსა ქრისტესსა". ქართველ მემატიანეს გამონათქვამი აქ, რა თქმა უნდა, გადაჭარბებული აქვს, რათგან, როგორც ეს დასავლეთ ევროპის იმდროინდელი ლათინური წყაროებითგან ირკვევა, ქართველებს კლიტე-გასაღები მართლაც

---

[1] იხ. ტიზენჰაუზენის ელ-კალკაშანდი, 209=212—213 და შენ. 3.

[2] ქრონიკები II, 8: [იგივე ამბავი ლათინურ წყაროში ასეა გადმოცემული:] „Ierusalem civitas sancta: Nemo etiam putat quod de Sepulcro aliquis valeat auferre... cuius etiam claves Georgiani habent qui Sepulcrum ita diligunt, quod pro multo auro non venderunt unum granum de Sepulcro". De itinere Terrae Sanctae, თამარაშვილი, 437.

მიუღიათ, მაგრამ მთელი იერუსალემის კი არა, არამედ მხოლოდ იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავისა. ეს პალესტინის ერთ ძველს აღწერილობაშიც არის აღნიშნული: ამ საფლავის კლიტე-გასაღები ქართველებს აქვთ და ისინი ამ საფლავს ისე იცავენ, რომ იქითგან დიდძალი ოქროს საფასურადაც კი ერთ მარცვალსაც არავის დაანებებენო.

ცხადია, რომ ამ ორ დიპლომატიურს გამარჯვებას საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველობისათვის მთელს მაშინდელ საქრისტიანო ქვეყნებში, აღმოსავლეთსაცა და დასავლეთშიც, დიდი სახელი უნდა მოეხვეჭა. ამიტომაც სრულებით ბუნებრივია, რომ, როდესაც მისმა დესპანებმა მეფის დავალების ასრულების შესახებ მოახსენეს, «ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მიეცეს კლიტენი ქართველთა».

[ბრძოლა საქართველოს და ბიზანტიას შორის ტრაპიზონის საკეისროში პოლიტიკური გავლენის გამო]

საქართველოს პოლიტიკური მონაწილეობის ისტორიისათვის ტრაპიზონის სამეფოში საყურადღებოა, რომ ალექსი კომნენის ასულსა და ვასილი I-ის დას ანას, ანა-ხუტლუ-დ წოდებულს, რომელიც შემონაზონებული იყო, 1341 წ. 4 ივლისს რომ ტრაპიზონის სამეფოს ამიდითგან თურქები შეჰსევიან, თვით დედაქალაქი გადაუწვავთ და გაუნადგურებიათ, დიდძალი ხალხი, ქალი, კაცი და ბავშვებიც ცეცხლში დაღუპულა, — ამ ანა-ხუტლუს მოლოზნის ჩოხა გაუხდია, „ლაზიკაში“ გახიზნულა და იქ გამაგრებულა: ἡ κυρὰ Ἄννα, ἡ λεγομένη Ἀναχουτλοῦ, τὴν μοναχικὴν ἀποβαλομένη στολήν, ἀπῆλθεν εἰς τὴν Λαζίαν καὶ ἐκράτησεν αὐτήν[1].

აკად. თ. უსპენსკი არ უნდა სცდებოდეს, როდესაც ტრაპიზონელი ჟამთააღმწერლისაგან დასახელებული „ლაზიკა“ საქართველოდ მიაჩნია, რათგან ნამდვილი ლაზიკა ანუ ჭანეთი თვით იმ ტრაპიზონის სამეფოს ეკუთვნოდა, რომელიც თურქთა შესევის სათარეშოდ ქცეულა. უეჭველია, მ. პანერეტს ლაზიკა თავის ნაშრომის ამ ცნობაში ძველი მნიშვნელობით აქვს ნახმარი ისევე, როგორც IV—VII საუკუნეებში ხმარობდნენ ხოლმე, და იმ დროის მსგავსადვე ლაზიკა დასავლეთ საქართველოდ აქვს ნაგულისხმევი.

ტრაპიზონელი მემატიანის ზემომოყვანილი მოკლე და მშრალი ცნობა ანა-ხუტლუს მოქმედების ნამდვილ მიზეზსა და მიზანს ჰფარავს. შემონაზონებული ანა რომ, რასაკვირველია, მარტო თურქთა შემოსევის გამო არ უნდა შემოხიზნულიყო საქართველოში, ამ გარემოებას მისი საქციელიც ცხადჰყოფს. მარტო ის გარემოებაც, რომ ანას მოლოზნის ჩოხა გაუხდია, მის პოლიტიკურ ზრახვას ამჟღავნებს. მონასტრითგან გამოსვლა და სწორედ საქართველოში გამგზავრება ამტკიცებს, რომ ეს გეგმა წინასწარ უნდა ყოფილიყო მოფიქრებული: მას, ალბათ, გარკვეული მიზანი ჰქონდა, რომ მოლოზნობისათვის თავის დანებება საჭიროდ უცვნია, და რაიმე საფუძველი უნდ-

[1] მ. პანარეტის მატიანე, § 10.

ჰქონოდა, რომ საქართველოთგან ის ზურგ-გამაგრებული დაბრუნდებოდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ანა-ხუტლუს თურქთა ტრაპიზონის სახელმწიფოში შესევა და თარეში მხოლოდ მარჯვე და ხელსაყრელ შემთხვევად უნდა ჰქონდეს მიჩნეული თავისი და მისი მომხრე დასის, იმგვარადვე როგორც დამხმარე პოლიტიკური ძალის, გეგმის განსახორციელებლად და შესაძლებელია უამ-თურქთა-შესევოდაც მომხდარიყო.

ანა-ხუტლუს მოქმედება რომ მაინცადამაინც თურქთა წინააღმდეგ შებრძოლების წყურვილით არ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ანა-ხუტლუ სწორედ თურქთა ტრაპიზონის სამეფოთგან წასვლის შემდგომ დაბრუნებულა თავის სამშობლოში საქართველოს ჯარი-თურთ. რაკი თურქები იქ აღარ იყვნენ, საქართველოთგან ლაშქრის მოყვანა, ცხადია, საჭირო აღარ იქმნებოდა, ანა-ხუტლუს რომ სამხედრო ძალა სხვა მიზნით არ ჰყოლოდა თან-გამოყოლებული.

ნამოლოზნარ უფლისასულს საქართველოში ბევრი ხანი არ დაუყვია. ამავე 1341 წლის ივლისის პირველ ნახევარშივე ის უკვე საქართველოთგან დაბრუნებულა, მ. პ ა ნ ა რ ე ტ ი ს სიტყვით, „ლაზთა“, ე. ი. ქართველთა ჯარი-თურთ და, სხვათა შორის, მისი დახმარებითაც 17 ივლისს უკვე მეფობა ხელში ჩაიგდო („μετὰ δὲ τὸ γενέσθαι τὸν ἐμπρησμὸν καὶ τὴν ἐπιδρομήν, ἦλθεν ἡ Αναχουτλοῦ καὶ παρέλαβε τὴν βασιλείαν, ἔχουσα καὶ φωσάτα Λάζικα, μηνὶ Ἰουλίῳ ιζ', ἡμέρᾳ γ', τῷ αὐτῷ ἔτει“: § 10). მაშასადამე, სამშობლოთგან საქართველოში წასვლის შემდგომ სრული ორი კვირა არც კი ყოფილა გასული, რომ თავისი და მომხრე დასის, ისევე როგორც დამხმარე სახელმწიფოს, პოლიტიკური მიზნისათვის მიუღწევია. მართალია, ტრაპიზონი საქართველოს მოსაზღვრე სამეფო იყო და მიმოსვლისათვის დიდი დრო არ სჭირდება ადამიანს, მაგრამ თუ აქეთ-იქით წასვლა-წამოსვლისათვის და ჯარის შეყრისათვისაც დროს ვივარაუდებთ, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ ნამოლოზნარ უფლისასულ ანა-ხუტლუსა და მის მომხრე ძალას ეს საქმე გასაოცარი სისწრაფით მოუწყვია. სწორედ ეს გარემოება ამყოფებს, რომ ამ პოლიტიკური ცვლილებისათვის წინასწარი სამზადისი უნდა ყოფილიყო და ანა-ხუტლუს მონასტრითგან გაქცევა, მოლოზნობის აღთქმის დარღვევა და საქართველოში შეხიზნვა წინდაწინვე მოფიქრებული გეგმის მხოლოდ უკანასკნელი მოქმედებაღა ყოფილა.

მთელი ეს შეთქმულება მოწყობილი იყო ტრაპიზონის კეისრის ბასილის თანამეცხედრის, ბიზანტიის კეისრის ასულის ირინე პალეოლოგისა და ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის წინააღმდეგ. საქართველოს ჯარმა და მისმა მომხრე ტრაპიზონის სახელმწიფოს დასმა ქვრივი დედოფალი ირინე პალეოლოგი ტახტითგან ჩამოაგდო და ანა-ხატლუ გაამეფა[1].

თუ გავიხსენებთ, რომ 1341 წ. საქართველოს მეფედ გიორგი ბრწყინვალე იჯდა, ცხადი გახდება, რომ საქართველოს აქტიური ჩარევა ტრაპიზონის სამეფოს შინაურ საქმეებში და ბიზანტიის კეისრის ასულის, ტრაპიზონის

---

[1] მ. პ ა ნ ა რ ე ტ ი ს მატიანე, § 10.

დაქვრივებული დედოფლის ირინეს ტრაპიზონის სამეფო ტახტითგან ჩამოგდება და მის მაგიერად ქართული ჯარის დახმარებით ანა-ხუტლუს დასმა გიორგი ბრწყინვალის თანხმობით უნდა მომხდარიყო.

აღსანიშნავია, რომ ანა-ხუტლუს ტრაპიზონის სამეფო ტახტზე დასმის შემდგომაც საქართველოთგან მოყვანილი სამხედრო ძალა მთლიანად უკან აღარ დაბრუნებულა. ეს გარემოება მ. პ ა ნ ა რ ე ტ ს თუმცა აღნიშნული არა აქვს, მაგრამ მისივე მომდევნო მოთხრობითგან ირკვევა. როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ბიზანტიითგან მოსულ გემებს სწორედ „ლაზები“ შეჰბრძოლებიან და ეს გარემოება ცხადად-ჰყოს, რომ ქართველი ჯარი თუ მთლად არა, მისი ნაწილი მაინც უნდა ტრაპიზონში დარჩენილიყო.

იმ ბრძოლის გამო, როშელიც საქართველოსა და ბიზანტიას შორის არსებობდა ტრაპიზონის სახელმწიფოში პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად, კონსტანტინეპოლის კეისარსა და ბიზანტიის პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, შეუძლებელია მათი ასეთი მარცხი არ სწყენოდათ და არ ცდილიყვნენ საქმე თავიანთი პოლიტიკური ინტერესებისდა მიხედვით კვლავ გამოესწორებინათ. მართლაც, სწორედ ორი კვირის შემდგომ, იკლისის 30-ს, ტრაპიზონს კონსტანტინეპოლითგან მოსული სამი გემი მოადგა. ერთ მათგანზე განსვენებული ტრაპიზონის კეისრის ბასილის ძმა მიხეილ კომნენი იყო ნიკიტა სხოლარისა და გრიგოლ მიძომატის თანხლებით[1].

ნიკიტა სხოლარი და გრიგოლ მიძომატი ბიზანტიის მომხრე დასის ტრაპიზონში დამარცხების შემდგომ კონსტანტინეპოლში იყვნენ გაქცეულ-შეხიზნულნი და ეხლა გახარებული იქმნებოდნენ, რომ კვლავ-დაბრუნება და ჯავრის ამოყრა შეეძლებოდათ. სამსავე გემზე, რა თქმა უნდა, ბიზანტიის გავლენის აღსადგენად საჭირო სამხედრო ძალაც იქმნებოდა.

ტრაპიზონელ პოლიტიკოსებს, როგორც ეტყობა, სამხედრო ხერხისათვის მიუმართავთ და ბიზანტიის დედაქალაქითგან მოსული უფლისწულისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. პირიქით, ტრაპიზონის მიტროპოლიტი და სხვები დაჰხვედრიან მიხეილს, ვითარცა საკუთარ მფლობელს. მაგრამ იმავე ღამეს გამოირკვა, რომ ეს ან თვალთმაქცობა უნდა ყოფილიყო, ან განზრახ დაგებული მახე, მეორე დღეს დილითვე ხალხმა ბიზანტიის დახმარებით გასამეფებლად ჩამოსული მიხეილი ტახტითგან ჩამოაგდო. მ. პ ა ნ ა რ ე ტ ი ამბობს, არ ვიცი, როგორ მოხდა ეს ამბავიო (§ 11: τῷ δὲ πρωϊ, οὐκ οἶδα, ὁ λαὸς πῶς αὐτὸν ἐπεριώρισαν), მაგრამ მისივე მომდევნო ცნობითგან ადვილი მისახვედრია, თუ დაახლოვებით როგორ უნდა მომხდარიყო კონსტანტინეპოლელ პოლიტიკოსებისათვის ეს მოულოდნელი შემთხვევა.

მ. პ ა ნ ა რ ე ტ ს ნათქვამი აქვს, რომ იმ დროსვე, როდესაც ხალხმა მიხეილი ტახტითგან ჩამოაბრძანა, მის მომყვანელ სამხედრო გემებს, „კატარღებს“, თურმე „ლაზებმა“ მშვილდისარი დაუშინეს, ბევრი აქ მყოფი დახოცეს და თვით გემები ხელში ჩაიგდეს (§ 11: τὰ δὲ κάτεργα ἥρπαξαν οἱ Λαζοὶ καὶ πολλοὺς διὰ βελῶν ἀπέκτειναν). მაშასადამე, თუ მიხეილის ჩამოგდებაში ასე

---

[1] მ. პ ა ნ ა რ ე ტ ი, § 11.

თუ ისე ხალხს მიუღია უმთავრესად მონაწილეობა, მაინც საბოლოოდ აქაც საქართველოს ჯარს გადაუწყვეტია ბიზანტიის კანდიდატის ბედიღბალი. მაგრამ თავისდათავად ცხადია, რომ მთელი ეს ამბავი წინასწარ შემუშავებული სამხედრო გეგმის განხორციელება უნდა იყოს: მიხეილის გემითგან უბრძოლველად ტრაპიზონში შემოშვებით საქართველოს მეშველ ჯარსა და საქართველოს მომხრე ადგილობრივ პოლიტიკურ დასს ბიზანტიითგან მოსული სამხედრო ძალის მხოლოდ განცალკევება-დანაწილება და მისი სიფხიზლის მიყუჩება სდომებია. რაკი გემებზე მყოფი ჯარი იმავე დღეს ნაპირზე გადმოსვლას ვერ მოასწრებდა, ამიტომ ახლად გამეფებული მიხეილი იმ ღამეს უმწეო მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. იმ მცირერიცხოვან ამალას, რომელიც მას თან ეახლებოდა, მისი დაცვა, რასაკვირველია, არ შეეძლო და ამიტომაც იყო, რომ ბიზანტიის კანდიდატი ასე ადვილად და სწრაფად იქმნა დამხობილი.

ტახტითგან ჩამოგდებული მიხეილ კომნენი 7 აგვისტოს ჯერ ოდნაონში ექსორია უქმნიათ, ხოლო მერე ლიმნიაში, სამი დღის შემდეგ, 10 აგვისტოს, გადაყენებული ქვრივი დედოფალი ირინე პალეოლოგიც „ფრანგულ“ კატარღით თავის სამშობლოში, კონსტანტინეპოლში, გაუსტუმრებიათ[1].

---

[1] მ. პანარეტი, § 11.

თავი მეცხრე

ბაგრატ მეხუთე, დავითისძე

(ბაგრატის გამეფება)

ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში ბაგრატის გამეფების თარიღი და გარემოება აღნიშნული არ არის. ეტყობა „სწავლულ კაცთა“ ხელთ მყოფ წყაროთა შორის არც ერთი ბაგრატ მეფის საბუთთაგანი არ ყოფილა, რომ მისი მეფობის ინდიქტიონის მიხედვით გამეფების თარიღი მაინც გამოერკვიათ.

ვახუშტის კი მოთხრობილი აქვს ბაგრატის მეფობის ღირსშესანიშნავი ამბები პირველი წლითგანვე მოყოლებული.

ბაგრატ მეფე ვახუშტის დავით მეფის ძედ ყავს დასახელებული და გამეფების წელიწადად 1360 წ. სთვლის. მისივე სიტყვით ბაგრატ მეფე «იყო მხნე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, შვენიერებითა ჰაეროვანი, უცთური მოისარი, სამხედროთა სრული, სამღვდელოთა პატივისმცემელი, მშვიდი, მოწყალე, შემმართებელი ძლიერი»[1]. სახელოვან მეცხრეიერს, უეჭველია, რაიმე წყარო უნდა ჰქონოდა, როდესაც ბაგრატს ასე აქებ-ადიდებდა. მაინცდამაინც ცნობა ბაგრატ მეფის სამხედრო ახოვნება-სისრულეზე მცდარი არ არის და სრულ სიმართლეს უნდა წარმოადგენდეს. ამას ბაგრატის თანამედროვისა და პირადად მცნობელი ტრაპიზონელი ბერძენი ისტორიკოსის დახასიათებაც [ადასტურებს]. მ. პანარეტიც ბაგრატ მეფეს „უსახელოვანეს მხედართმთავარს“ უწოდებს. „τὸν βασιλέα Παγράτιν, τὸν στρατηγικώτατον“: § 53).

ვახუშტის ცნობით, ბაგრატი კათალიკოზ-ეპისკოპოსთა, დიდებულთა და წარჩინებულთა თანადასწრებითა და მონაწილეობით მეფედ ქუთაისში უკურთხებიათ: „აკურთხეს ქუთაისს“.ა[2]. ბაგრამ ქუთაისში მისი მეფედ ცხება სრულებით იმის მომასწავებელი არ არის, თითქოს მისი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს საზღვრებით ყოფილიყოს შემოზღუდული. ვახუშტსაც გაოკვევით აქვს აღნიშნული, რომ ახლად გამეფებულმა ბაგრატმა «დაიპყრო ყოველი ივერია საბრძანებელსა შინა თვისსა»[3] და მ. პანარეტიც უკვე 1367 წ. ქვეშე ბაგრატს „ქართველთა და აფხაზთა“, ე. ი. სრულიად საქართველოს მეფეს უწოდებს („Τῷ βασιλεῖ τῶν Ἰβήρων καὶ Ἀβασγῶν κὺρ Παγκρατίῳ τῷ Παγκρατιανῷ: § 39).

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამ. გვ. 281.

[2] ვახუშტი, საქართ. ისტორია, 281

[3] ვახუშტი, იქვე.

[საქართველოს საზღვრები ბაგრატის დროს]

ბაგრატის სამეფოს საზღვრების ყველა კიდეების ზედმიწევნით აღნიშვნის საშუალება, წყაროთა უქონლობის გამო, ამჟამად არ მოგვეპოვება, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მაინც შეიძლება.

აკად. თ. უსპენსკის რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, რომ ტრაპიზონის სამეფოს სანაპირო ზოლი თერმოდონიოთგან მოყოლებული თითქმის ფაზისამდე, ანუ რიონამდე ყოფილიყოს გადმოჭიმული[1]. ამგვარად, თითქოს მთელი კლარჯეთი, შავშეთი, და აჭარაც კი ტრაპიზონის სამეფოს ხელთ ყოფილიყოს. ამ დებულების სიმართლის გამოსარკვევად მ. პანარეტის ორი-სამი ცნობის გამოყენება შეიძლება. ერთი ბაგრატ მეფის ქორწინების გარემოებას მოგვითხრობს. პანარეტს ნათქვამი აქვს: „ლაზიკაში გავემგზავრეთ ხმელეთისა და საზღვაო ძალითურთ კეისართან ერთად, მის დედა დედუფალთან და მეფის ასულთან, დიდ კომნენ კჳრ-ანნასთან ერთად, რომელიც იბერთა და აფხაზთა (ე. ი. სრულიად საქართველოს) მეფეს კურ-ბაგრატს პანკრატოანს მისთხოვდა. თანამეცხედრედ მაკრიალის სანახებში. უკან მიმავალი კი ხელმწიფე იძულებული იყო ლარახონითგან პარხალში ლიმნის გზით მისულიყო და ხალდიამდე მიელწია“-ო (§ 39). ამ მოთხრობითგან ჩანს, რომ ქორწილი ტრაპიზონის სამეფოში კი არ მომხდარა, არამედ „ლაზიკა“-ში, ე. ი. საქართველოში. იმ სანახების სახელი, სადაც ქორწილი მოუწყვიათ, ბერძენ მემატიანეს ასე უწერია: „ἐν τῇ χώρᾳ μακροῦ Αἰγιαλοῦ“. „მაკრუ-ეგიალუ“, უეჭველია, ეხლანდელს „მაკრიალ“-ს თუ „მახრიალ“-ს უდრის, რომელიც გონიასა და თვით სარფის სამხრეთითაც კი მდებარეობს. ამჟამადაც აოსებობს ამავე სახელის მატარებელი ადგილი, ხეობა და ადგილი. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ სრულებით შეუძლებელია ტრაპიზონის სამეფოს საზღვარი არამც თუ ფაზისამდე, ანუ რიონამდე ყოფილიყო გადმოჭიმული, არამედ შავშეთი და კლარჯეთი მთლიანად წინანდებურად საქართველოს სახელმწიფოს ჰკუთვნებია. ტრაპიზონის სახელმწიფოს კი კლარჯეთის სამხრეთით ადგებარე პარხალი სჭერია.

მეორე ცნობაც ქორწინებას ეხება. ეხლა უკვე ტრაპიზონის კეისრის შვილს, კურ-მანუელ კომნენს უნდა შეერთო ცოლად საქართველოს მეფის ასული გულ-ქან-ხათუნი.

მ. პანარეტს მოთხრობილი აქვს: შეთანხმების შემდგომ „კეისარი და ჩვენ 10 მაისს... 6885 (1377) წელს ტრაპიზონითგან ვავემგზავრეთ და ლაზიკაში მივედით, სადაც მაკრეგიალის სანახებში („ἀπελθόντες ἐν τῇ Λαζικῇ... ἐκεῖ κατὰ τὸ χωρίον Μακραιγιαλούς...“) მთელ ზაფხულს, 15 აგვისტომდე დავრჩით. ამ დროს გონიითგან მაკრეგიალში ისიც (ე. ი. ქართველი უფლის ასული) მოვიდა და მეორე დღესვე ჩვენ გავემგზავრეთ და კვირას, 30 აგვისტოს, უკვე ტრაპიზონში გავბრუნდითო (§ 48).

ამ მოთხრობითგანაც ჩანს, რომ საქართველოთგან უფლის ასულის წამოსაყვანად ტრაპიზონელნი უნდა უეჭველად „ლაზიკა“-ში მისულიყვნენ. იქ, სწო-

---

[1] Ф. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, გვ. 31, 32.

რედ გონიის სამხრეთით მაკრეგიალი, ანუ ეხლანდელი მაკრიალი მდებარეობდა. ცხადია, რომ გონიაცა და მაკრიალიც მაშინ საქართველოს სახელმწიფოს ჰკუთვნებია.

მესამეჯერ 1372 წ. ქვეშე მ. პ ა ნ ა რ ე ტ ს ვ ე მოთხრობილი აქვს, რომ ტრაპიზონის კეისართან ერთად ბაგრატ მეფის სანახავად „ლაზიკა"-ში გამგზავრებულან („ἀπήλθαμεν ἐν τῇ Λαζικῇ καὶ... ἐσμίγαμεν τὸν βασιλέα, τὸν Παγκράτιν": § 44). მაშასადამე, ბაგრატ მეფის სანახავად ტრაპიზონის მეფე უნდა „ლაზიკა"-ში მისულიყო. ცხადია, რომ „ლაზიკა" საქართველოს სახელმწიფოს ჰკუთვნებია. ბაგრატთან დარბაზობის შემდგომ ტრაპიზონის კეისარი თავისი ამალით ბათუმში მოსულა (εἰς τὸ Βαθῆν). აქ მას მოლაპარაკება ჰქონია გურიელთან, რომელიც კეისართან მოსულა თაყვანისსაცემლად („ὁμιλήσαντες καὶ τῷ Γουρῇλῃ ἐλθόντι εἰς προσκύνησιν τοῦ βασιλέως": § 44)[1]. ამ ცნობითგან ირკვევა, რომ ბათუმი და აჭარა ამ დროს გურიელის სახელისუფლოს ეკუთვნოდა.

ბაგრატ მეფის ოჯახი

ვახუშტის სიტყვით, იმ დროს, როდესაც საქართველოში სრული ჰშვიდობიანობა სუფევდა «იქმნა მომსრველი ჟამი, სვრა და სიკვდილი ძლიერი და მოისპნენ სულნი ურიცხვნი და მოკვდა ცოლი მეფისა ბაგრატისა დედოფალი ელენე და დაუტევნა ძენი გიორგი და დავით წელსა 1366, ქართულსა 54» საო[2]. საითგან არის ეს ცნობა ამოღებული, არა ჩანს.

გასაოცარია, რომ არც ვახუშტს და არც სხვა ქართულ წყაროებს ბაგრატის თანამეცხედრის ანა დედოფლის შესახებ, სახელდობრ. მის შერთვაზე არავითარი ცნობა არ მოეპოვებათ. მხოლოდ თბილისის თემურლენგისაგან აღების აღწერილობაში ვ ა ხ უ შ ტ ი ს ნათქვამი აქვს: თბილისის გარემოცვის «მცირესა ხანსა შინა გამოიყვანეს მეფე ბაგრატ დედოფლით თავისით ანნათი წელსა 1387, ქართულისა 75» საო[3]. საფიქრებელია, რომ ეს ცნობა თემურლენგის შემოსევის რომელიმე აღწერილობითგან უნდა იყოს ამოღებული და სხვა რაიმე დამოუკიდებელი წყარო, როგორც ეტყობა, ვახუშტს არ ჰქონია.

სამაგიეროდ ანა დედოფლის ბაგრატისაგან თანამეცხედრედ მოყვანაზე ცნობა მ. პ ა ნ ა რ ე ტ ს აქვს თავის მატიანეში შეტანილი. მისი სიტყვით 1367 წელს ივნისში ტრაპიზონის კეისარი, თავისი დედისა და ასულის ანნათურთ ხმელეთისა და საზღვაო ჯარის თანხლებით საქართველოში, მაკრიალში, მისულა და თავისი ქალიშვილი სრულიად საქართველოს მეფე ბაგრატზე გაუთხოვია (§ 39).

---

[1] ალ. ხახანაშვილს *προσκυνησις* ერთგულების გამოცხადებად გაუგია („принесть выразить императору преданность": 39), მაგრამ ეს ტერმინი დარბაზობის დროს პატივისცემის ნიშნად თაყვანისცემასაც ჰნიშნავდა და სწორედ ამ. სვე ჰნიშნავს ამ შემთხვევაშიც.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ. 282.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ. 284—285.

ეს ცნობა ვახუშტის ზემოყვანილ ცნობას, რომ 1366 წ. ბაგრატ მეფეს შავი ჭირისაგან თანამეცხედრე, ელენე დედოფალი, მოუკვდა, უდგება იმ მხრივ, რომ ერთი წლის გლოვის წესის ასრულების შემდგომ, 1367 წ. ბაგრატს მეორე ცოლი მოუყვანია. მაგრამ ვახუშტის სიტყვით ამ პირველი ცოლისაგან ბაგრატს ორი ვაჟი, გიორგი და დავითი დარჩენია. მ. პანარეტის 1386 წ. შესახები ცნობითგან კი ისე გამოდის, რომ დავითი ბაგრატისა და სწორედ ანას შვილი უნდა ყოფილიყო. „Ἄννην καὶ τὸν υἱὸν αὐτῆς Δαβίδ“: § 53). ამასვე ის გარემოებაც ადასტურებს, რომ გიორგი უფლისწულის მომდევნო ბაგრატის შვილი კოსტანტინე უნდა ყოფილიყო, რომელიც მამის შემდგომ გამეფებულისა და მტერთან ომში მოკლული გიორგის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ჯიდევაც. დავითი კი ბაგრატის შვილთა შორის და ძმათაგან ყველაზე უმცროსი ჩანს. ამიტომვეა, რომ ვითარცა უმცროსი და დაახლოვებით 18 წლის ყმაწვილი კაცი, თბილისის გარემოცვის დროს ის დედმამასთან ერთად ყოფილა. ყველა ამ მოსაზრებისა და მ. პანარეტის გარკვეული ცნობის გამო ვახუშტის ზემომოყვანილი დებულება, თითქოს დავითი ბაგრატ მეფის პირველი ცოლის, ელენეს, შვილი ყოფილიყოს, მცდარად უნდა ვიცნათ: დავითი ანა დედოფლისაგან ჰყოლია ბაგრატ მეფეს.

ბაგრატ მეფეს, ზემოდასახელებულ სამ ვაჟს გარდა, ასულიც ჰყოლია, რომელიც ამირეჯიბ კახაბერ ჩიჯავაძეზე ყოფილა გათხოვილი, ვაჟიშვილი საზუერელი ყოლია და ქმრის სიკვდილის შემდგომ მონასტერში მოლოზნად აღკვეცილა ულუმპიას სახელით. ეს მისი შემდეგი შეწირულების წიგნითგან ჩანს: «ესე დაწერილი... [გ]კადრე... სუეტსა ღᲜთივ-აღმართებულსა... მე... დიდისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისა ასულმან და ყოველთა მეფეთა უწარჩინებულესისა ნეფეთ-მეფისა გიორგის დამან ულუმპიამ და ჩემმა შვილმა საზუერელმან... შეჰოგწირეთ ჩიჯავაძის ამირეჯიბისა სულისა საალაპოდ ხუედურეთს ბუკისძისეული მამული... და [თუ] თქვენ ᲜᲜ ქართლისა კათალიკოზმან ელიოზ კაცი დაასახლოთ ამას ბუკისძისეულსა მამულსა ზედა, არავინ იყოს შემცილე, მეუნებლე, მავნებელი და ყოვლისა საჩუენოსა საქმისა და საქუეყნოსა სათხოვარისაგან გამოსრული და განთავისულებული იყოს»-ო. ხოლო თქვენ განსაზღვრულ დღეს «ამირეჯიბისა კახაბერისათვის შეიმოსებოდეთ» საწირავადაო. საბუთს ბოლოში ასეთი ხელრთვა ჰქონია: « მე დედაბერსა ულუმპიას და ჩემს შვილს საზუერელს ჩემითა ნდომითა» შემოგვიწირავსო [1].

თემურ-ლენგის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა და საქართველოში მისი პირველი შემოსევის მიზეზი და გარემოება

XIV—XV სს. ქართული საისტორიო ძეგლების მთლიანად დაღუპვამ საქართველოს ისტორიის ამ ხანის მკვლევარი ისეთ უცნაურ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ საქართველოს მაშინდელი ამბებისა და საერთო ვითარების გამოსარკვევად უცხო, თანაც სწორედ მტრისაგან დაწერილი, წყაროს გამოყენე-

[1] ქრონიკები II, 213.

ბის გარდა, თითქმის აღარავითარი სხვა საშუალება აღარ მოეპოვება. როგორც „ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვა“-ში გამორკვეული მაქვს, არც ვახტანგ მეფის დროს ეგნატაშვილის ბერის მეთაურობით შედგენილს „ახალ ქართლის ცხოვრება“-ში და არც ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებაში იმ ხანის ამბების მოთხრობა დამოუკიდებელ ძველ ქართულ წყაროებზე არ არის დამყარებული. „ერისთავთა ძეგლში“ შეტანილი ცნობები კი მეტად მოკლე და ზოგადად არის გამოთქმული, ამიტომაც მხოლოდ მათი გამოყენება არ შეიძლება. ასეთ პირობებში მკვლევარს, ან უნდა საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის გაშუქებაზე სრულებით უარი ეთქვა, ანდა უცხო წყაროები გამოეყენებინა და, რასაკვირველია, მათი კრიტიკულად განხილვით, მაშინდელი სინამდვილის გამორკვევა ეცადნა. წინამდებარე წიგნში სწორედ ეს ამოცანაა დასახული და საშუალებაც ასეთივეა გამოყენებული.

თემურ-ლენგის ხანის საისტორიო თხზულებებითგან, რომელნიც მახლობელ აღმოსავლეთს ეხება, ჯერჯერობით მხოლოდ შერეფ ედდინ ალი იეზდის ნაშრომია გამოცემული სპარსულად და სომხურად კიდევ თომა მეწობელის „ლანგ-თემურის ისტორია“.

თემურ-ლენგის ისტორიკოსის თხზულება დაწერილია მისი მბრძანებელის გარდაცვალების 15 წლის შემდეგ, მაგრამ იგი დამყარებულია თანამედროვე ჩანაწერებზე, სომეხთა ისტორიკოსის ნაწარმოები კი 1441 წ. ახ. ხანს. ამრიგად, თემურის ხანის შესახებ პირველის ცნობები მეორისას ღირსებით სჯობია.

კონკრეტული ისტორიული ცნობების უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს გამოვარკვიოთ, რაც ბაგრატ V-ის მეფობის პირველი ორნახევარი ათეული წლის განმავლობაში მოხდა და რამაც მას ძლევამოსილების სახელიც კი მოუხვეჭა. ამიტომ მკვლევარი იძულებულია საქართველოს პოლიტიკური თავგადასავალის განხილვა პირდაპირ იმ ხანით დაიწყოს, როდესაც იგი უკვე თემურის შემოსევის მსხვერპლად იქცა.

ფარსადან გორგიჯანიძისაგან შედგენილ საქართველოს ისტორიაში, რომელიც, როგორც ცნობილია[1], სპარსულ წყაროებზე არის დამყარებული, თემურ-ლენგის საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების მიზეზად ქართველთა ჯარის თავდასხმაა დასახელებული ნახჭავანზე, ალინჯის ციხის აღება და მთელი არეზს-გამოღმართი მხარის დაპყრობა. ფ. გორგიჯანიძეს ნათქვამი აქვს სახელდობრ: «ქართველთაგან თავრიზს მჯდომს თემურს ანბავი მოუვიდა: ქართველნი მოუხდენენო ნახჩვანსა, სულთან მაჰმადის შვილს, სულთან თაჰირს, ალინჯის ციხე წაართვესო და არაზს-გაღმართი სულ დაიჭირესო. ამ ანბავზედ თემურ კელმწიფე ნამეტნავად გაჯავრდა და ასრე ბრძანა: სამის, ოთხის დღის სავალის გზას ზედანო რადგან ამ-რიგი გაბედულობა აქვთო, დიდი შეუპოვრობაც ექნებისო. სრულ თავის ლაშქარს უბრძანა, ათმან ცხენოსანმან სამი კაცი გამოარჩივეთო, ცხენ-კაციან კარგი და

[1] იხ. ჩემი „ქართული საისტ. მწერლობა“: ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, —თბ. 1916 წ., გვ. 234—251.

შემძლე და კელ-გამამაგალი, ძალით ძრიელი და წლით ახალი ვაჟკაცი იყოსო და ათის დღის საგძალი აიღონო» (გვ. 93).

არაფერი ამის მსგავსი ეგნატაშვილ ბერისაგან შედგენილ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში ნათქვამი არ არის იმისდა მიუხედავად, რომ ამ ნაშრომის ეს ნაწილიც, ფ. გორგიჯანიძის მსგავსად, აგრეთვე სპარსულ წყაროზეა დამყარებული. არაფერი აქვს ქართველთა შესევის შესახებ ნახჭავანსა და არეზს-გაღმართის დაპყრობაზე თომა მეწობელსაც.

თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსს შერეფ ედდინ ალი იეზდი-საც არსად ნათქვამი არა აქვს, რომ ქართველები ნახჭავანს თავს დასხმოდნენ და თემურ-ლენგის საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრება სწორედ ამ ქართველთა იერიშსა და არეზის გამოღმა ქვეყნის დაპყრობას გამოეწვიოს. საქართველოს დაპყრობის მიზეზად და მიზნად თემურის კარის ისტორიკოსს ყაენის სარწმუნოებრივი გულმოდგინეობა აქვს დასახელებული. თემურ-ლენგის მთელი მოღვაწეობის მიზანს მუჰამმედის კურანის მოძღვრების თანახმად ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენდა და თბილისის წინააღმდეგ გალაშქრებით მან თავისი ეს გულისწადილი განახორციელაო („ზაფარ ნამე“ I, ф. 1).

მაგრამ რატომ სწორედ ამ დროს მოუვიდა ფიქრად თემურს ამ თავისი გულისნადების განხორციელება, მისი კარის ისტორიკოსის სიტყვებითგან მაინც არა ჩანს. მან რომ სწორედ საქართველოს წინააღმდეგ იბრუნა პირი მაჰმადიანობის მცნების ასასრულებლად, ადვილი გასაგებია, რადგან ამ დროს სპარსეთის მეზობლად საქრისტიანო სამეფო საქართველოს გარდა სხვა არ იყო, მაგრამ მაინც რაიმე მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომელმაც თემურს ამ ზეგმის სწორედ ამ დროს განხორციელება მოაფიქრებინა. აკად. მ. ბროსეს აც არ სჯერა შერეფ ედდინ ალი იეზდის განმარტება, თითქოს თემურ-ლენგს საქართველოზე გამოლაშქრების დროს მხოლოდ სარწმუნოებრივი გრძნობით ეხელმძღვანელოს. ის ფიქრობს, რომ მონღოლთა ყაენი ამ შემთხვევაში პოლიტიკური მიზნებითა და მოსაზრებითაც ხელმძღვანელობდა, რათგან საქართველო, დასუსტებისდა მიუხედავად, მაინც საკმაოდ დიდ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა და ირანისა, ყარაბაღისა და ლეკეთის მაჰმადიან მთავრების ჰეგემონიაც ხელთ ჰქონდა[1].

შერეფ ედდინ ალი იეზდის მოთხრობილი აქვს, რომ 787 წელს ჰიჯრით, ანუ 1385 წ. ქ. მაზანდერანის და რეის დაპყრობის შემდგომ თემური თავის სატახტო ქალაქს სამარყანდში დაბრუნდა, სადაც შემოდგომას და ზენჯირ სარაჯში ზამთარსაც დაჰყო. სწორედ ამ ზამთრის დროს თოხთამიშ-ხანმა, ცხრა დუმანი ლაშქრითურთ, ე. ი. 90 000 ჯარისკაცითურთ, მომეტებულ წილად ურწმუნოთაგან შემდგარისა და მოძალადის ჯუჩის შთამომავალ თორმეტი ბატონიშვილის თანხლებით, რომელთა სათავეში ბეგ-ფოლად-ი იდგა, ხოლო ამირათაგან ისა ზეგი და ჯაღი ბეჯ ყაზანჩი და სხვა ნოინები დარუბანდის გზით თავრეზში გაგზავნა გასალაშქრებლად. ამ ჩრდილოეთ

[1] მ. ბროსე, Additions et éclaircissements: add. XXII, გვ. 386.

ულუსის ყაენის ლაშქარმა, ამავე ისტორიკოსის ცნობით, დარუბანდითგან შირვანზე გაიარა და შემდეგ ადარბაგანს შეესია (იქვე, გვ. ۴۹۴).

ამ ლაშქრობას თომა მეწობელიც იხსენიებს და თარიღად სომეხთა ქრონიკონის 835 წელსა ასახელებს და თოხთამიშს ჩრდილოეთის მეფედ სთვლის, რუსთა და აზახის (*Աղախի* ყაზახიის?) მბრძანებლად მიაჩნია და ყირიმში სარაჯ-ს მახლობლად მჯდომად. მისი სიტყვით თოხთამიშის ლაშქრის მეთაურად ჯანიბეგი ყოფილა და ამიერკავკასიაში დარიალანის და დარუბანდის კარით გადმოსულა (*դրամբ Ալանայց և Դարբանդի եկեալ*)[1].

თემურის კარის ისტორიკოსის სიტყვით, თავრეჟის მთავარმა თავდაცვის უნარი ვერ გამოიჩინა და ამიტომ თვით მცხოვრებლებმა ამირ ველისა, რომელიც დამარცხების შემდგომ აქ იყო შეხიზნული, და მახმუდ ხილხალელის ხელმძღვანელობით თავრეჟისა და მისი ბიდამოების გამაგრება დაიწყეს და იმოდენი გულადობა გამოიჩინეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში თოხთამიშის ჯარს წინააღმდეგობას უწევდნენ. მაგრამ შემდეგ მრავალრიცხოვანობის წყალობით გარემოდგმულმა ლაშქარმა თავრეჟის აღება შესძლო. წინასწარ ველი და მაჰმუდ ხილხალელი ხილხალში გაქცეულან. თოხთამიშის ლაშქარმა გაცარცვა ქალაქი და მცხოვრებნი. სიტყვით აუწერელი სიმკაცრისა და ულმობელობის გარდა ათი დღის განმავლობაში განადგურებული, გატაცებული და განიავებულ იქმნა მთელი ის სიმდიდრე და განძეულობა, რომელიც კი ასეთ მნიშვნელოვან ქალაქში მრავალი წლის განმავლობაში დაუნჯებელი იყო (იქვე, გვ. ۴۹۲—۴۹۴).

თომა მეწობელს, რომელსაც თავრეჟის სულტნად აჰმად-ი ჰყავს დასახელებული, აღნიშნული აქვს, რომ აჰმადი თოხთამიშის ჯარის მოახლოვებისთანავე ბაღდადში გაიქცა და რომ ჩრდილოეთის ულუსის ლაშქარმა მართლაც ერთი კვირის ბრძოლის შემდგომ თავრეჟი აიღო და გაცარცვა (გვ. 14).

შერეფ ედდინ ალი იეზდის სიტყვით თოხთამიშის ჯარი თითქოს მაშინვე ძვირფასი ნატყვენავით უხვად დატვირთული სასწრაფოდ უკან გაბრუნებულიყოს (გვ. ۴۹۴), მაგრამ თომა მეწობელის ცნობით თოხთამიშის ლაშქარი ნახჭევანსაც მისდგომია და მისი მთელი სანახები სივნიეთის თორმეტივე თემი აუოხრებია (გვ. 14).

თემურს თავრეჟის აღებისა და ასეთი საშინელი განადგურების აღბავი, ვითარცა მუსლემინთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალმომრეობა და მტარვალობა, ძალზე სწყენია, მაგრამ გადაუწყვეტია, რომ სანამ მთელ სპარსეთს არ დაიპყრობდა და იქ მტკიცე ხელისუფლებასა და წესიერებას არ დაამყარებდა, მტრისათვის პასუხი არ გაეცა (გვ. ۴۹۴). კარის ისტორიკოსის ამ ცნობითგან ჩანს, რომ თემურს კარგად შეუგნია, თუ რამდენად ძნელი და შეუძლებელი იქნებოდა მისთვის ჩრდილოეთის წინააღმდეგ ბრძოლა, როდესაც ზურგთ უკან ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი სპარსეთი ექმნებოდა.

თუ თომა მეწობელის ცნობა თოხთამიშის ლაშქრის დარიალანის და დარუბანდის გზით გადმოსვლისა და სპარსეთში შესევის შესახებ სწო-

---

[1] თომა მეწობელი, პარიზის 1860 წ. გამოცემა, გვ. 13—14.

რია, მაშინ ცხადი ხდება, რომ ჩრდილოეთის ულუსის თემურ-ლენგის წინააღმდეგ ეს პირველი გამოლაშქრება საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლივ ძნელი დასაჯერებელია რომ მომხდარიყო. ხოლო რაკი თომა მეწობელის სიტყვითაც თოხთამიშის ლაშქარს ნახჭავანი აუღია, შესაძლებელია ფ. გორგიჯანიძის მოთხრობა რომელსამე ალი იეზდისაგან განსხვავებულ სპარსულ წყაროთგან იყოს ამოღებული.

ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, თემურ-ლენგს საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების დროს «ამირ შიხ იბრეიმ შირვანის ბატონი გვერც ახლდა». ამავე ავტორს თემურის მოძრაობის გზა ასე აქვს დასახული: ყაენი თავის ჯარითურთ «თავრიზით ბილაღანს მივიდა. და იქიდამ შირვანის ბატონი გაისტუმრა და თვითონ ლაშქრით უწინ მივიდა შაქისს. ხიმშია კახეთისა და შაქისის ლაშქრით საომრად მიეგება თემურ კელმწიფესა. შეიქმნა მათში ძლიერი ომი თურქთა და ქართველთ შუა» (გვ. 93).

თ. მეწობელის მოთხრობის თანახმად თემურ-ლენგის სამხედრო მოქმედება სპარსეთში 1387 წ. ხორასნის აღებით მტკიცდება. სომეხთა ისტორიკოსის სიტყვით, მონღოლთა მბრძანებელს ამისთვის 8 წელიწადი დასჭირებია. თითქოს ამის შემდგომ თემურს თავრეჟი აეღოს და იქითგან სიენიეთში წამოსულიყოს. აქ მას ჯერ ერჯაკის ციხე აუღია, მერმე ქ. სურმალი დაუპყრია და მისი ზღუდე მიწასთან გაუსწორებია, ხოლო ქალაქისა და მახლობელი სოფლების მცხოვრებნი ტყვედ წაუსხამს [1].

შემდეგ ამავე ისტორიკოსის ცნობით ბარდოღის მთას მისდგომია, რომელსაც სხვა ტომები თურმე „თაკალთუ"-ს უწოდებდნენ [2].

ამ ბარდოღის, ანუ თაქალთუს მთაზე თურმე მონღოლებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს: მრავალგზისი ცდისდა მიუხედავად თემურ-ლენგის ლაშქარს ამ მთისა და გარდასავლის აღება ვერ მოუხერხებია [3].

აქეთგან თემურმა თავისი ჯარითურთ კარბისა და კოტაჯკის ქვეყნებისაკენ გაილაშქრაო, ციხე ბიჯნისი აიღო და ხმლით თუ შიმშილითა და ტყვეებით მრავალი სული იმსხვერპლა სომხეთშიო [4].

ამის შემდგომ თემურ-ლენგი დიდი ლაშქრით ქ. თბილისის წინააღმდეგ ამხედრებულა, აუღია, მრავალი ხალხი დაუხოცია და დაუტყვევებია, მათ შორის ბაგრატ მეფეც [5].

თ. მეწობელს თბილისის აღების თარიღი საგანგებოდ აღნიშნული არა აქვს, მაგრამ რაკი ეს ამბავი ხორასნისა და თავრეჟის 1387 წ. აღების შემდეგ აროის მომხდარი, ამიტომ ისე გამოდის, თითქოს თბილისი თემურ-

---

[1] *Պատմութիւն Լանգ-Թամուրայ և յաջորդ անցեալոց սարակալ Թուխմաս վարդապետի ՔէՖրեցւոյ*, შაჰხაზარიანის პარიზის 1860 წ. გამოცემის გვ. 17.

[2] «*Էր լեռան Բարդղ, որ կոչի յայլոց տղգաց ԹակալէՒս*»: იქვე, 18.

[3] თ. მეწობელი, გვ. 18.

[4] იქვე, გვ. 18—19.

[5] იქვე, 19.

ლენგს 1387 წ. ან მის ახლო ხანებში უნდა აეღო. ალბათ ამიტომაა, რომ ჩამჩიანს ამ ამბის თარიღად 1388 წ. აქვს მიჩნეული[1].

ეგნატაშვილი ბერი თემურ-ლენგის შემოსევას სომხეთის აოხრების ამბავით იწყებს. ერთი წინადადებით აქვს მას ეს გარემოება აღნიშნული და თანაც „სომეხთა ცხორება"-ს იმოწმებს, რომელშიც მისი განცხადებით სომხეთზე თავდამტყდარი მთელი უბედურება «ვრცელად წერილ არს». სომხეთითგან თემური და მისი ჯარი «მიიწივნეს კარსა», რომელიც აუღია კიდევაც. ყარსის აღების შემდეგ თემურ-ლენგმა ვითომც «დაიბანაკა და დაიზამთრა მუნვე და იყო ზამთარი ფიცხელი». მონღოლთა ძლევამოსილ ხელმწიფეს «ამას ჟამსა შინა მიერთო ათაბაგიცა და პატივ-სცა დიდად ათაბაგსა. და შემდგომად ზამთრისა წარმოემართა ქართლსა ზედა» თემურ-ლენგი მთელი თავისი ლაშქრითაო. «გადმოვლო აბოცი და მოაოხრა და იავარ ყო ყოველივე», შემდეგ «ჩამოვლო თრიალეთი», რომლის მოსახლეობამაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მონღოლთა მბრძანებელმა ჩვეულებისამებრ «მოსრნა... მკვიდრნი მის ადგილისანი და შემუსრნა სიმაგრენი და ციხენი მის ადგილისანი».

ყველა ამის გაგონებისთანავე, ბაგრატ მეფე გამაგრდა ციხესა ტფილისისასა». ხოლო «რა ესმა საქმე ესე ლანგ-თემურს, უფროსად განძვინდა და უმძიმდა წინააღმდეგობა მეფისა ბაგრატისა, წარვიდა და მოადგა ციხესა ტფილისისასა». თემურის განკარგულებისამებრ მისმა ლაშქარმა იერიში დაიწყო თბილისის ციხის წინააღმდეგ, მაგრამ «ვამოვიდა მეფე ბაგრატ და სრულიად ქართველნი» და «იქმნა იმიერ და ამიერ ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგნითვე სიმრავლე კაცთა ფრიადი», მაგრამ მაინც «უფროსად მისწყდეს სპანი თემურისანი და ველარა აღიღეს ციხე ტფილისისაო».

რაკი საქართველოს დედაქალაქის აღება გაუძნელდათ, იერიშის მიტანისაგან აუცილებელი დიდი მსხვერპლის შესამცირებლად, «მოიპოვა ლანგ-თემურ ღონე ესევითარი და ქმნეს ჩელტები რკინისა, დაიფარეს სპათა მისთა და სიმრავლისაგან ლაშქართასა მიეტევნეს ციხესა და მძლავრებით შემუსრეს და აღიღეს ციხე და შეიყარა მეფე ბაგრატ და ყოველივე მყოფი ციხესა მას შინა და თვით დაიპყრა ციხე და ტყუეყო მეფე ბაგრატ»-ი[2]. თბილისი ამ ძეგლის ცნობით თითქოს 1393 წ. აეღოს თემურ-ლენგს.

ვახუშტი ამ შემთხვევის აღწერილობაში თარიღს გარდა, რომელიც შეცვლილი აქვს 1387 წლად, არსებითად ეგნატაშვილი ბერის მოთხრობას მისდევს. ვახუშტის მხოლოდ კარის ციხის წინააღმდეგ გალაშქრების დრო აქვს ზედმიწევნით განსაზღვრული: «ნოემბერსა შინა მოადგა კარს, შემუსრა იგი»[3]. მისი ცნობითაც, თემურ-ლენგი თავისი ჯარითურთ თითქოს «დაადგრა მუნ ზამთარსა მას, რამეთუ იყო მკსინვარება ძლიერი და ყოველი

---

[1] იხ. ბროსეს H. d. la G. 652, n. 2.

[2] მ. ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 19—20.

[3] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 283.

„დიდ-ფრიად". ამავე მიზეზით საქართველოს მეფემაც მტრის სანაპირო ხაზზე დახვედრა ვერ მოახერხა: «მეფემან ბაგრატ შკსინვარეებითა ჰაერისათა და სიმრავლისათვის სპათა თემურისათა ვერღარა იკადრა გარე საზღვართა ბრძოლა. გარნა ამაგრებდა ქვეყანათა და სიზნვიდა თემთა და თემთა გაზაფხულ ბრძოლისათვის მზა-მყოფელი»-ო[1].

ეგნატაშვილი ბერივით, ვახუშტი მესხეთის ათაბაგს თავისი ქვეყნისა და სახელმწიფოს ღალატში ბრალს სდებს. თანაც მას სახელდობრივაც იხსენიებს: «ათაბაგმან ბექა იხილა რა ძლიერება თემურისა, შეუშინდა, უარ-ჰყო მეფე თვისი და მივიდა წინაშე თემურისა», რომელსაც ეს ამბავი ძალიან იამაო. ამიტომ პატივისცემით მიიღო და დასაჩუქრებული გაისტუმრა შინ, რომ «არღარა მიერთნენ მესხნი ბაგრატ მეფესა»[2].

თუ აქამდე ვახუშტის ნოთხრობა არსებითად ეგნატაშვილი ბერისაა მისდევს, შემდეგი ცნობა უკვე მხოლოდ მას მოეპოვება. მისი სიტყვით, ბაგრატ მეფე ათაბაგის საქციელმა ძალიან შეაწუხა და მაშინვე თადარიგს შესდგომია: «წარავლინა ძე თვისი გიორგი იმერეთს, რათა არა იქმნეს მუნცა განდგომილება»-ო[3].

ბაგრატი დედაქალაქის მაგრებასაც შესდგომია და ამ მიზნით «შემოკრიბნა სპანი იმერთა, ჰერ-კახთა და რომელთამე მესხთაცა, განამაგრა. და განამტკიცა ტფილისი და განავსნა სპითა და დაადგრა მათ შინა»-ო[4].

ეგნატაშვილი ბერის მსგავსად, ვახუშტსაც აღნიშნული აქვს, რომ, ბაგრატ მეფის მზადებამ თემურ-ლენგი განარისხა და რომ ამიტომ სასწრაფოდ გამოილაშქრაო. დანარჩენი ყველაფერი მასაც ისევე აქვს მოთხრობილი, როგორც „ქართლის ცხოვრების" გაგრძელებაშია იმ განსხვავებით, რომ თემურ-ლენგის ყარსითგან თბილისისაკენ გამოლაშქრების დრო აქვს ზედმიწევნით განსაზღვრული, «წარმოემართა გაზაფხულს»-აო და აბოცის გზით თბილისს მოადგაო. ვახუშტს საქართველოს დედაქალაქის წინააღმდეგ თემურისაგან ნაწარმოები ბრძოლის ხანგრძლივობაც აქვს ზედმიწევნით აღნიშნული: «იყვის ბრძოლანი თვეთა ექვსთა დღე ყოველ»-ო[5].

დასასრულ, ვახუშტს ნათქვამი აქვს, რომ თბილისის აღებისა და თემურის ლაშქრის შეჭრის დროს ქართველთა ჯარითგან «სპანი როშელნიმე ივლტოდენ, ვითარცა განივლტო ალექსანდრე ერისთავი იმერთა»-ო, ხოლო დატყვევებულთა შორის თბილისის ციხითგან «გამოიყვანეს მეფე ბაგრატ დედოფლით თვისით ანნათი, წელსა 1387, ქართულსა 75». ვახუშტის სიტყვით, თემურ-ლენგს ბაგრატ მეფესთან თითქოს ნისი თანამეცხედრე დედოფალი ელენეც დაეტყვევებინოს[6].

---

[1] იქვე 283—284.
[2] იქვე გვ. 284.
[3] იქვე 284.
[4] იქვე 284.
[5] იქვე 283.
[6] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 284—285.

„ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელება არსებითად ეგნატაშვილი ბერისა და ზოგან ვახუშტის ნაშრომებს იმეორებს, ოღონდ მისი შინაარსი გავრცელებული და გაზვიადებული აქვს და მის შემდგენელს „ერისთავთა ძეგლითგან“ აქა-იქ ზოგიერთი ცნობებიც ჩაურთავს, თანაც საკუთარი თუ საითგანმე ამოკრეფილი მცდარი შენათხზიც დაუმატებია. გიორგი უფლისწული, მაგალითად, იქ მეფედ არის ქცეული და ნათქვამია: ბაგრატი რომ თემურის შემოსევის დროს თბილისში გამაგრდა, «მაშინ გიორგი მეფე წარვიდა და მივიდა სამწევრისს და, ოდეს ესმა მოსლვა ტფილისს თემურისა, მაშინ აღიყარა "მეფე გიორგი ლიხთიმერეთით»-ო[1]. თბილისის თემურ-ლენგისაგან აღების ამბავში კი ახალი არაფერია.

ფ. გორგიჯანიძეს თემურ-ლენგის საქართველოში პირველ შემოსევაზე სხვა ყველა წყაროებისაგან განსხვავებული მოთხრობა მოეპოვება. მისი ცნობით თემური თავრიზითგან ჯერ «ბილაღანს მივიდა», შემდეგ «გავიდა-შაქისს», სადაც მას «ხიმშია კახეთისა და შაქისის ლაშქრით საომრად მიეგება თემურ ხელმწიფესა»-ო. კახეთის ერისთავისა და კახეთის ჯარის დამარცხების შემდგომ, თემურ-ლენგი «ზაზთრის სიძლიერემ შეაწუხა და აიყარა და ყარაბაღში მივიდა და იქ იზამთრა». აქ მდგომს მონღოლთა მბრძანებელს «გაზაფხულისას ამბავი მოუვიდა, რომ ბაგრატ მეფეო ულაშქროთ თბილის-ქალაქში არისო. შეუტყობლათ თემურ ხელმწიფემ ყარაბაღით ილღარი ქმნა, ქალაქს მიუვლდა და მეფემ ბაგრატ ციხე-ქალაქი გაამაგრა»-ო (გვ. 93).

თვით თბილისის წინააღმდეგ მოწყობილი ბრძოლის აღწერილობაც ფ. გორგიჯანიძეს სხვანაირი აქვს. მისი სიტყვით თბილისის «ქალაქის ციხის სიახლოეს მაღალნი მთები არიან, რომ იქიდამ თოფნი და ზარბაზნები ესროლების»-ო. ვითომც სწორედ «იმ მთის თავებს ზედან თურქთ კოშკები აუგეს და ზარბაზნები აიტანეს, ციხესა და ქალაქს შიგან დაუშინეს»-ო. ქალაქის ზღუდის განადგურებამდე «დღეში ორჯელ-სამჯერ ქართველნი გამოვიდიან და წაუშენდიან თურქთა. შეიქმნება ომი და ცემა. მრავალს ნავნებს უზამდეს თურქთა და ისევე ქალაქში შევიდიან»-ო. მაგრამ ზარბაზნებით ქალაქის დაზიანების შემდეგ ბაგრატ «მეფე თავისი ჯარით ციხეში ავიდა და იქიდამ იბრძოდეს»-ო. «მაგრამ იქიც თაბორის წვერიდამენ ზარბაზნით შეაჯერეს» და ქართველთა ჯარს ბრძოლა აღარ შეეძლო. ამიტომ თემურ-ლენგისაგან «უნებლობის ფიცი და პირი გამოითხოვეს» და მეციხოვნე ჯარიცა «და მეფეც თემურთან მოვიდა და ციხეც მისცეს»-ო. გამარჯვებულ მონღოლთა მბრძანებელი ბაგრატ «მეფეს კარგად დახვდა, მრავალი პატივი სცა», მაგრამ, როდესაც თემური თბილისითგან წავიდა, «ბაგრატ მეფე თან წაიყვანა»-ო (გვ. 93—94).

წყაროთა ზემომოყვანილი მონათხრობი იმოდენა სახელდობრივსა და ნიშანდობლივ ცნობებს აწვდის მკითხველს, რომ თავისი სიუხვით და დაწ-

---

[1] მარიამ დედოფლის ქ. ცხ., ე. თაყაიშვილის გამოცემა, დამატება გვ. 858.

ვრილებითი გარემოების აღწერილობით უნებლიეთ ხიბლავს ადამიანს. ეს თვისება ნაწილობრივ თ. მეწობელსაც ემჩნევა, მაგრამ მეტადრე ქართულ წყაროებს. ამიტომაც არის, რომ დ. ბაქრაძეს, ქართული წყაროების ამ დაწვრილებითი ნიშანდობლივი ცნობებით მოხიბლულს, ნათქვამი აქვს: „ქართლის ცხოვრების ცნობა საქართველოს აოხრებაზე თემურისაგან ისეთ გვარად არის ნაამბობი და იმგვარის დაწვრილებით, რომ ცხადად ჰხედავთ მოამბის კალამში თანა-მედროჲს კალამს“-ო. განსვენებულ ისტორიკოსს ამასთანავე ეგონა, რომ თვით თომა მეწობელსაც კი თავისი ისტორიისათვის წყაროდ ქართული, თვითმხილველისაგან დაწერილი, თხზულება უნდა ჰქონოდა[1].

მაგრამ ამ ცნობის გულდასმითი კრიტიკული განხილვა ზემოაღნიშნულ პირველ შთაბეჭდილებას სრულებით არ ამართლებს. კარგა ხანია უკვე აღნიშნული მაქვს, რომ ეგნატაშვილ ბერსა და შევსებულ-შესწორებული „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ავტორს სწორედ თ. მეწობელის ნაშრომი ჰქონდა გამოყენებული ერთ-ერთ წყაროდ. სომხური საისტორიო თხზულება რომ მათ ხელთა ჰქონიათ, ეს გარემოება ზემოდასახელებულ ავტორებს თითონაც აქვთ აღნიშნული, ხოლო ამავე ისტორიკოსებსა და ფ. გორგიჯანიძეს თემურ-ლენგის ლაშქრობის ამბების მოთხრობისათვის სპარსული საისტორიო წყაროები, უმთავრესად თემურის კარის ისტორიკოსის შერეფ ედდინ ალი ჲეზდის ნაშრომი, აქვთ გამოყენებული[2].

რაკი არც თ. მ ე წ ო ბ ე ლ ი და მით უმეტეს არც ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, არც ვ ა ხ უ შ ტ ი და ქართლის ცხოვრების შევსებ.-გადაკეთ. გაგრძელების ავტორი ამ ამბების თანამედროვენი არ ყოფილან და ოთხ უკანასკნელს სომხურ-სპარსული წყაროების ცნობებზე აქვთ თავიანთი მოთხრობა დამყარებული, ამიტომ მათ შესაძლებელია მხოლოდ მეორეხარისხოვანი, დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდეთ. მაგრამ იმ ცნობებს გარდა, რომელიც სომეხ და ქართველ ისტორიკოსებს თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსის მონათხრობის თანახმად აქვთ ნაამბობი, მათ ბლომად მოეპოვებათ ისეთი ცნობებიც, რომელთა მსგავსი, შერეფ ედდინ ალი ჲეზდის არაფერი აქვს. ცხადია, რომ ასეთი ცნობები, რომელთა უმთავრესი ნაწილი ზემოთ უკვე მოყვანილი გვქონდა, რაიმე სხვა წყაროებითგან უნდა მომდინარეობდეს. ხოლო რაკი სწორედ აქ მოიპოვება საქართველოს შესახებ დაწვრილებითი ცნობები, თავისდათავად იბადება საკითხი, სომხურ-სპარსული წყაროების გარდა, რაიმე ძველი დაწვრილებითი ცნობების შემცველი, ქართული წყარო ხომ არ არსებობდა, რომელიც ზემო დასახელებულ ავტორებს ეგების სწორედ ასეთ შემთხვევაში ჰქონდეთ გამოყენებული?

მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს გათვალისწინებული უნდა გვქონდეს ამ განსხვავებული ცნობების სანდოობა და სისწორეც. ყველაფერი,

---

[1] იხ. ვახუშტის საქართველოს ისტორია განმარტებული... დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ გვ. 283 შენ. 2

[2] იხ. ჩემი ისტორიის [მიხანი, წყაროები და მეთოდები. წიგნი I; ძველი ქართულ საისტორიო მწერლობა. თბ. 1916 გვ. 245].

რაც დაწვრილებითა და ნიშანდობლივ არის მოთხრობილი, ყოველთვის უმ-
ჯველად თანამედროვის მოთხრობილად და ჭეშმარიტად არ შეიძლება მიჩ-
ნეულ იქმნეს.

უკვე თემურ-ლენგის საქართველოსაკენ და საქართველოში შემოსევის გზის-
შესახებ წყაროებს შორის თანხმობა არ სუფევს. თ ო მ ა მ ე წ ო ბ ე ლ ს, რო-
გორც XV-ს. შუა წლების მწერალსა და სომეხს, თუმცა მაშინდელი ადგი-
ლობრივი გეოგრაფიული გეზისა და სახელების აღბეჭდვა უფრო სისწორითა
და ზედმიწევნილობით უნდა შესძლებოდა, ვიდრე სპარსელ ისტორიკოს შე-
რ ე ფ ე ד დ ი ნ ა ლ ი ჯ ე ზ დ ი ს, რომლისათვისაც ყველა ჩვენებური სახელები
უცხო და ახალი იყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სხვას ყველაფერსაც რომ
თავი დავანებოთ, მისი ცნობის სათუობის დასამტკიცებლად ისიც საკმარისია,
რომ მას ყარსის აღებაზე არაფერი აქვს ნათქვამი, და, თუ მას დავუჯერებთ,
სურმალის აღების შემდგომ, თემური თითქოს ბარდუზის გარდმოსავლის გად-
მოლახვის უნაყოფო ცდის შემდგომ კარპისა და ბიჯნისის ასაღებად გამგზავ-
რებულიყოს და მათი ხელში ჩაგდებისა და განადგურების მერმე პირდაპირ
თბილისზე წამოსულიყვეს. თ. მ ე წ ო ბ ე ლ ი ს ამ ცნობის თანახმად თემურ-
ლენგი რატომღაც ოლთისის ოლქში, ამასთანავე ქედს იქით უნდა გადასუ-
ლიყო, ე. ი. ბარდუზის გარდმოსავლის მსგავსი ადგილის აღებით თავისთვის
ტყუილ-უბრალოდ უგნურად საქმე გაეძნელებინა, შემდგომ დიდ მანძილზე
უკან დახვია, რომ ერევნის გზით ჩრდილოეთისაკენ, კარპზე და ბიჯნისზე
თბილისის ასაღებად წამოსულიყო. ამის მაგიერ თემურ-ლენგის კარის ისტო-
რიკოსს მონღოლთა მბრძანებლის ლაშქრობის ამაზე გაცილებით უფრო სწო-
რი და გონივრულად მოფიქრებული სამხედრო მოქმედების მიმართულება
აქვს დასახელებული, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით.

ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს ხომ, რომელსაც ბევრი სახელდობრივი ცნობები
მოეპოვება, თემურის პირველი შემოსევის გზა და კვალი სრულებით არეული
აქვს: მისი მოთხრობით სამხედრო მოქმედება თემურს საქართველოს წინააღ-
მდეგ თითქოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრითგან დაეწყოს: თავრიზითგან ჯერ
ბაღლაქანში, შემდეგ შაქში მოსულიყოს და იქითგან კახეთს შემოჰსეოდეს,
საითგანაც მერმე თბილისის ასაღებად წამოსულიყოს. კახეთის სანაპიროს
ნმართველის ხიმშიას სახელი და თვით კახეთში ბრძოლის ზოგიერთი გარე-
მოება, როგორც შემდეგში თავის ადგილას დავრწმუნდებით, საშუალებას გვაძ-
ლევს გამოვარკვიოთ, რომ ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს თემურ-ლენგის შემოსევის
ამბავი პირველი შემოსევის გარემოებათა აღწერილობად მიუჩნევია და ამის
წყალობით ლაშქრობის მიმართულების შესახებ ცნობები აჰრევია კიდევაც.
საფიქრებელია, ფ. გორგიჯანიძეს შერეფ ედდინის ნაწრომის ტექსტში ფურ-
ცლები ასე არეული უნდა ჰქონოდა და იქითგან უნდა იყოს მთელი ეს მცდა-
რი სურათი წარმოდგენილი.

თემურ-ლენგის საქართველოზე პირველი გაბოლაშქრების შესახებ წყა-
როთა ქრონოლოგიური ცნობებიც ერთმანეთს არ უდგება. თ. მ ე წ ო ბ ე ლ ს
თარიღად 1387 ან 1388 წ. აქვს ნაგულისხმევი. ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ბ ე რ ს ა და
„ქართლის ცხოვრების“ შევს. - გადაკ. გაგრძელების ავტორს სრულებით მცდარი

თარიღი, 1393 წ. აქვთ დასახელებული. ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს წელიწადი აღნიშნული არა აქვს, ვ ა ხ უ შ ტ ი ს კი თარიღად 1387 წ. აქვს მიღებული. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, არც ერთი ამ თარიღთაგანი თანამედროვე ისტორიკოსთა ცნობას არ უდგება.

ქართულ საისტორიო წყაროებში, ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს გარდა, ზედმიწევნით არის ამ პირველი შემთხვევის წელიწადის დროც განსაზღვრული: ყველა ერთხმივ თემურის ყარსზე გალაშქრების დროდ ზამთარს ასახელებს. ვ ა ხ უ შ ტ ი თვესაც კი, ნოემბერს, ასახელებს. ყველას აღნიშნული აქვს, რომ ზამთრის დიდი ყინვებისა და თოვლის გამო მონღოლთა მბრძანებელმა თბილისზე მაშინვე გამოლაშქრება ვერ მოახერხა, არამედ ყარსში დაიზამთრაო. ვ ა ხ უ შ ტ ი ს სიტყვით, ამავე მკაცრი ყინვების გამო ბაგრატ მეფეც მტერს საზღვარზე ვერ დაუხვდა წინააღმდეგობის გასაწევადო.

ქართული წყაროების ცნობით თემური ამ ზამთრის შემდგომ უნდა დაძრულიყო თბილისის წინააღმდეგ, ვ ა ხ უ შ ტ ს კი პირდაპირ გაზაფხული აქვს დასახელებული.

რამდენ ხანს გაგრძელდა თბილისის გარემოცვა, სხვა წყაროებს აღნიშნული არა აქვთ, მაგრამ ეტყობა, რომ საკმაო დრო დასჭირვებია. ვ ა ხ უ შ ტ ს კი ბრძოლის ხანგრძლივობა 6 თვემდე აქვს დასახელებული. ამგვარად, ისე გამოდის, რომ ვახუშტის ცნობით თბილისი თემურს სექტემბერს, ან ოქტომბერში უნდა ჰქონოდა აღებული.

ქართული წყაროების არც ერთი ზემომოყვანილი ქრონოლოგიური ცნობა ზედმიწევნილობისა და ნიშანდობლიობისდა მიუხედავად, თანამედროვეთა უცილობელი მოწმობით არ მართლდება. ეს გარემოება ქვემოთ გვეჩვენება გამორკვეული.

უკანასკნელად საითგან და რა მიმართულებით გამოემართა თემურლენგი თბილისის ასაღებად, ამაზეც სხვადასხვანაირი ცნობები მოიპოვება. თ. მ ე წ ო ბ ე ლ ი ს სიტყვით კარპითგან და ბიჯნისითგან, ე. ი. სამხრეთითგან პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ, მაშასადამე, შემოსევა ბაბმაკისა და დებადას ხეობით უნდა ვიგულისხმოთ. ქართულ წყაროებში, ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს გარდა, რომლის ცნობა, როგორც დავრწმუნდით, ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი არ არის, ნათქვამია, რომ თემურმა კარითგან, ანუ ყ ა რ ს ი თ გ ა ნ ა ბ ო ც ი ს გ ზ ი თ გამოილაშქრა. ამგვარად, აქ სამხრეთ-დასავლეთით მოსდგომია საქართველოს დედაქალაქს. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ თ. მ ე წ ო ბ ე ლ ი ს ცნობა მცდარია, ქართულ წყაროებს კი მიმართულება ზოგადად სწორად აქვთ აღნიშნული.

ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ბ ე რ ს ა და ვ ა ხ უ შ ტ ს ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრების“ შევს.-გადაკ. გაგრძელების ავტორს ნათქვამი აქვთ, რომ კარის აღებისა და საქართველოს დედაქალაქის წინააღმდეგ გამოლაშქრების შემდგომ ათაბაგი ძლევამოსილ თემურ-ლენგს მიეგებრო. პირველსა და მესამეს ამ ისტორიკოსთაგან ამ ათაბაგის სახელი აღნიშნული არა აქვთ, ვ ა ხ უ შ ტ ი კი ამ მოღალატეობას ბექა ათაბაგს აბრალებს. ამ უკანასკნელის სიტყვით, ბაგრატ მეფეს თითქოს ამის მსგავსივე ლიხთიმერეთში მოსალოდნელი საქციელის ში-

შითა და თავითგან ასაცილებლად თავისი პირმშო ძე გიორგი თბილისითგან დასავლეთ საქართველოში გაეგზავნოს.

ეს უკანასკნელი გარემოება რომ თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსს მოხსენებული არა აქვს, რა თქმა უნდა, თავისდათავად ვახუშტის ამ ცნობის უარსაყოფად ვერ გამოდგება. მაგრამ ამ სპარსელ ისტორიკოსს, არც თ. მ ე ნ ო ბ ე ლ ს, ათაბაგის თემურისათვის მიმხრობაზეც კრინტი არ აქვთ დაძრული და ეს გარემოება კი, უეჭველია, საყურადღებოა, რათგან ქართული წყაროების ცნობას ათაბაგის მტრის მხარეზე გადასვლის შესახებ სრულებით საეჭვოდა ჰხდის. დაუჯერებელია, რომ შერეფ ედდინს ისეთი მნიშვნელოვანი ამბავი, როგორიც მესხეთის მთავრის მიმხრობაა, რომ ამნაირი რამე მართლაც მომხდარიყო, არ აღენიშნა, როდესაც სხვა ამის მსგავსი, გაცილებით უფრო წვრილმანი, ამბის აღნიშვნა არ ავიწყდება ხოლმე. ასეთი გარემოება ხომ საქართველოს მთელი მესამედი, სამხედრო თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესი, ნაწილის მორჩილებასა ჰნიშნავდა და თემურისათვის ამისთანა სასიამოვნო ამბავს მისი კარის ისტორიკოსი, უეჭველია, აღუნიშნავს არ დასტოვებდა. ამიტომ რაკი შ ე რ ე ფ ე დ დ ი ნ ი მესხეთის მთავრის დამორჩილებასა და მომხრობაზე არას ამბობს, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ცნობა მცდარი უნდა იყოს. ამას უნდა ის მოსაზრებაც დაერთოს, რომ ბექა ათაბაგი ამ დროს არც ჩანს და სპარსელ ისტორიკოსს, როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, სხვა პირი ჰყავს მესხეთის მმართველად ნაგულისხმევი.

ვ ა ხ უ შ ტ ი ს ცნობა, რომ ბაგრატმა გიორგი უფლისწული ლიხთიმერეთში გაგზავნა, ეგების მართალიც იყოს, რათგან თბილისის აღების დროს ტყვედ ჩავარდნილი ბაგრატის გვერდით, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, დასახელებული არ არის. მაშასადამე, ის მართლაც ამ დროს დედაქალაქში არ ყოფილა. მაგრამ ტახტის მემკვიდრის იქ უმყოფლობის ნამდვილი მიზეზის გამორკვევა ძნელია, რათგან ვახუშტის ამ ცნობის სადაურობა არა ჩანს, ის გარემოება კი, რომ სახელოვანი ისტორიკოსი მიზეზად ვითომცდა ბექა ათაბაგის ღალატით გამოწვეულ ბაგრატის შიშს ასახელებს, ვახუშტის ამ ცნობასაც საეჭვოდა ჰხდის.

თვით თბილისის თემურისაგან გარემოცვა და ქართველთაგან თავის დაცვა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ქართულ წყაროებში გაცილებით უფრო ვრცლად არის მოთხრობილი, ვიდრე სომეხსა და სპარსელ ისტორიკოსებსა აქვთ, მაგრამ ყველაზე ვრცლად აღწერილობა ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს მოეპოვება, რომელსაც თოფ-ზარბაზნებიც კი მიუცია თემურის ლაშქრისათვის და გულდასმით აღუნიშნავს კიდევაც ეს ზარბაზნები სად ყოფილა დადგმული და რა ზიანი მიუყენებიათ ქალაქისათვის. ამ ცნობის სრული ანაქრონიზმი მის მერმინდელ შენათხზობას ანჟღავნებს. ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი ს ა და ვ ა ხ უ შ ტ ი ს მონათხრობებს ასეთი ტლანქი შეცდომა არ ახლავს, მაგრამ ბრძოლის ისეთი ხანგრძლიობა როგორც მათ, მეტადრე ვახუშტს, აქვთ დასახელებული, არ მართლდება და, როგორც ჩანს, ქართველთა დამარცხების საბოდიშებლად უნდა იყოს მომდევნო თაობათა მიერ ზეპირგადმოცემით შეთხზული.

ამ გრძნობას ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს, ეტყობა, ისე გაუტაცია, რომ ის თბილისის თემურისაგან ბრძოლით აღებასაც კი უარყოფს, არამედ, მისი სიტყვით, თითქოს ბაგრატ მეფეს უვნებლობის ფიცი აეღოს მონღოლთა მბრძანებლისაგან და საქართველოს დედაქალაქი თემურისათვის თავისი ნებით დაეთმოს: თანამედროვეთა მონათხრობი ამას არ ადასტურებს.

დამახასიათებელია, რომ ასეთი დაწვრილებითი სახელდობრივი ცნობების სიუხვესთან ერთად, არც ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ს ბ ე რ ს ა და არც ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს არ სცოდნიათ, რომ თბილისის აღების დროს თემურს ტყვედ მეფე ბაგრატთან ერთად მისი თანამეცხედრე, ანა დედოფალიც, ჩაუვარდა. მართალია, ეს გარემოება ვახუშტმა იცოდა და თავის ნაშრომში აღნიშნა კიდევაც, მაგრამ მასაც არ სცოდნია, რომ, ანას გარდა, ტყვედ უფლისწული დავითიც ჩაჰვარდნია თემურს ხელში[1]. ერთი სიტყვით, თითქოს არც ერთი გარემოება არ მოიპოვება, რომელიც გვაფიქრებინებდეს, რომ თემურის პირველი შემოსევის შესახებ თანამედროვეთა რაიმე სანდო ქართული წყარო ჰქონოდეთ. ყველა ამ მოსაზრებათა და გარემოებათა გამო ერთ-ერთ წყაროდ, რომელზედაც, ვითარცა თანამედროვისაგან დაწერილზე, დამყარება შეიძლება, ისევ თვით თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსის შერეფ ედდინ ალი ჲეზდის თხზულებაა.

სრულებით მცდარი ქრონოლოგია მოეპოვება ეგნატაშვილ ბერსა და შევსებულ-გადაკეთებულ „ქართლის ცხოვრების" გაგრძელებებს, რომელთაც თბილისის თემურისაგან აღების წელიწადად 1393 აქვთ დასახელებული.

ეგნატაშვილ ბერსა და შევსებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვრების" გაგრძელების ავტორს თემურ-ლენგის შემოსევის დასაწყისი ამბებისათვის წყაროდ თ. მ ე წ ო ბ ე ლ ი ს საისტორიო ნაშრომი გამოუყენებიათ, შემდეგ კი უკვე კარისა და თბილისის აღების აღწერილობისათვის სპარსული წყაროების ცნობებია თავისუფლად დამუშავებული.

შერეფ ედდინის სიტყვით საქართველოს დედაქალაქის აღებით მოპოვებული სახელოვანი გამარჯვების გამო თემურ-ლენგმა ჯერგით დიდი ნადირობის მოწყობა მოიწადინა. თბილისიდან წასული ივი ნადირობით კარვა სიამოვნების შემდგომ ისევ საქმეებს შეუდგა. სად ჰქონდა ჯერგა და ნადირობა მოწყობილი, კარის ისტორიკოსს დასახელებული არა აქვს. მხოლოდ მისი ლაშქრის შესახებ აქვს ნათქვამი, რომ შაქში იდგა. ნადირობა, როგორც ჩანს, საქართველოში უნდა ყოფილიყო და საფიქრებელია, რომ ყარაადაში. აქედან დაძრულს თემურსა და მის ჯარს გზაზე და ამ სანახების მიდამოებში ბევრი ციხე აუღიათ, რომელიც ურწმუნოებს, ე. ი. ქართველებს ჰკუთვნებიათ. ამ ქვეყნის დაპყრობის შემდგომ ყველა ეს ადგილები გაუძარცვავთ და მცხოვრებთა ქონება და განუსაზღვრელი დავლა ხელში ჩაუგდიათ. მხოლოდ ამის

---

[1] მიხ. პანარეტი ამის შესახებ წერს 1386 წ. 21 ნოემბრის ქვეშე:

Ὁ δὲ Ἰταρις, Ταμουρλάνης ὧν τὸ ὄνομα, παρέλαβε τὴν πᾶσαν Περσίαν. Εἶτα εἰσελθὼν καὶ ἐν τοῖς ἀκρωρίοις Ἰβήρων, παρέλασε πολέμου νόμῳ τῷ θαυμασίῳ Τυφλισίῳ ζωγρήσας καὶ τὸν βασιλέα Παγκράτιν, τὸν στρατηγικώτατον,

შემდგომ არის ნათქვამი, რომ თემურის ლაშქრის სადგომად შაქი იყო (I, ۴۰۴) და ამის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ დაპყრობილ სანახებად ყარაადაგან შაქამდის გზა-გზა მდებარე ადგილები უნდა ვიგულისხმოთ.

შერეფ ედდინ ალი ეზიდის-ჯან დასახელებული „ტენკლუტ"-ის სანახები, ანუ თემი საქართველოს აღმოსავლეთით და შაქის მარჯულთის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის საგულისხმებელი. ამიტომ შესაძლებელია სპარსელ ისტორიკოსს დაახლოებით ის ადგილი ჰქონდა დასახელებული, რომელსაც ხუთ-ვერსიან რუკაზე „ტანგიატ"-ი ეწოდება და რომელიც ყოფილ ბაქოს გუბერნიის „ყუბის მაზრაში ცდებარეობს (66°, 15—41°, 15).

„ყუბის თემის (ؤبه تيمي) მდებარეობის გამოსარკვევად უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე არეშია საგულისხმებელი და, მოთხრობისდა ძიხედვით, ტანგუტისა, თუ ტანგიატის მახლობლად ყოფილი „ყუბის" გუბერნიის შუშის მაზრაში მაოთლაც ეზლაც არსებობს ადგილი, რომელსაც „აღყაბედა" ეწოდება (ხუთ-ვერსიან რუკაზე იხ. ۶۵°—00, 40°—15).

ყარაბალში მისვლისთანავე თემურ ლენგმა დატყვევებულ-შეპყრობილი ბაგრატ მეფე თავისთან დაიბარა და მოსთხოვა, რომ გამაჰმადიანებულიყო. ისტორიკოსის შერეფ ედდინის სიტყვით, თემურის მქადაგებლობითს ნეკერმეტყველებასა და საბუთიანობას ბაგრატ V ვითომც და ისე დაერწმუნებინოს, რომ ბოლოს გამაჰმადიანებაზე თანხმობა მიუცია და გამაჰმადიანებულა. ამასთანავე მონღოლთა მბრძანებლისათვის მას ძვირფასი საჩუქრებიც შეურთშევია, მათ შორის ერთი ჯაჭვის კვართიც, რომელიც ვითომც თვით დავით ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის სახელოსნოში ყოფილიყოს შეზადებული. თემურ-ლენგს ეს საჩუქრები ისე მოსწონებია, რომ თავის მხრივაც უხვად დასაჩუქრებული ბაგრატ V ისევ საქართველოში დაუბრუნებია, სადაც მისი გავლენით ვითომც ხალხის უმრავლესობაც გამაჰმადიანებულიყოს.

თომა მეწობელს კი ნათქვამი აქვს, რომ ბაგრატ მეფემ მაჰმადიანობა თითონაც მოჩვენებით მიიღო და ხალხის საქართველოში გამაჰმადიანებასაც იგი განზრახ შეჰპირდა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ თემურ-ლენგის ხელითგან გამოსხლტომა მოეხერხებინა და თავის სამეფოში დაბრუნება შესძლებოდა. რასაკვირველია, ეს სრული ტყუილია. ამიტომ სპარსელი ისტორიკოსის ცნობა, ვითომც საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობას მაჰმადიანობა მიეღოს, მლიქვნელობითს შენათხზს წარმოადგენს. ეს თვით მისივე შემდეგი მოთხრობითგანაც ჩანს, რათგან, როგორც დავრწმუნდებით, თვით მასვე მერმე აღნიშნული აქვს, რომ თემურ-ლენგს მაჰმადიანობის საქართველოში გასავრცელებლად მეორეჯერ და მესამედაც კი მოუხდა გამოლაშქრება.

ისევე, როგორც თანამედროვე სპარსელ ისტორიკოსს განზრახ შეთხზული ზემომოყვანილი ტენდენციური ცნობა აქვს თავის თხზულებაში ჩართული, ასევე უცილობლად ტენდენციურივე და მთლიანად შეთხზული ამბავია თომა მეწობელის საისტორიო ნაშრომში მოყვანილი შემდეგი ცნობა, ვითომცდა ბაგრატ V-ისაგან გამოყენებული ცბიერების შესახებაც: მისს აქ გამეორებას არც

καὶ τὴν ὁμόζυγον αὐτοῦ, τὴν θυγατέρα τοῦ ἡμετέρου βασιλέως, τὴν ὡραιοτάτην κυρὰν Ἄννην, καὶ τὸν υἱὸν αὐτῆς Δαβίδ (ხახანაშვილის გამოც. გვ. 17—18).

კი ეჭნებოდა ნნიშვნელობა, იგი რომ ამ უმცროსი თანამედროვის მიერ არ იყოს დაწერილი და ამის მსგავსივე ცნობა ქართულ საისტორიო მწერლობაში, სახელდობრ, ეგნატაშვილის ბერის „ახალს ქართლის ცხოვრებაშიც", არ გვხვდებოდეს და საქართველოს ისტორიაშიც დღევანდლამდე სრულ ჭეშმარიტებად არ ითვლებოდეს.

თომა მეწობელი ამბობს: «როდესაც თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფეს გამაჰმადიანება მოსთხოვა, სულის წმინდით აღსავსე ქართველთა მეფემ გააბრიყვა იგი და ასე უთხრა (თემურს): „მომეცი მრავალნი ლაშქარნი, რომ საქართველოში შევიდე, მთელი ქვეყანა ავიღო და თქვენ სარწმუნოებაზე მოვაქციო, — რათგან ეს ერი ხუთი ტომისაგან (სომხურად ნათქვამია „ენისაგან") შესდგება, — ყველა მათ დაგიმორჩილებ და თქვენ მორწმუნედ ვაქცევ"-ო. ეს (ტომები) არიან: ოვალი, ოსეთი, იმერელი, მეგრელი, აფხაზი, სვანი, ქართველი, მესხი. მას (ე. ი. თემურ-ლენგს) გაეხარდა, (ბაგრატს) დიდი საჩუქრებით პატივი სცა და ბევრი ჯარიც მისცა. იგიც აიყარა და ურიცხვი ლაშქროთურთ საქართველოში შევიდა. ხოლო ამავე ბაგრატმა თავის შვილებს, გიორგის, კოსტანტინესა და დავითს საიდუმლოდ შემოუთვალა, ნშობელს საშველად მოჰგებებოდნენ, რომ მათ (ე. ი. მტრების) ხელითგან გამოსხლტომა შეეძლოს. თითონ მანკი (ბაგრატმა) ჯალათაელთა ლაშქარი ვიწროებსა და გაუვალ ადგილებში მიიყვანა. მეფის შვილებმაც გასავალი გზა დაიკავეს, ხმლები იშიშვლეს და ბევრი მათგანი, როგორც ამბობენ, 12 000-ზე მეტი, გაწყვიტეს. (ამის შემდეგ) თავიანთი ნამა წაიყვანეს და თავიანთ სამკვიდრებელში დაბრუნდნენ. ხოლო ბილწმა მტარვალმა თემურშა გაზაფხულზე თავისი ლაშქარი წაასხა და ფარულად ყარა-მაჰმად თურქმანის წინააღმდეგ გაემართა»-ო. დაახლოებით ასევეა არსებითად ეგნატაშვილი ბერის თხზულებაშიც[1].

იმისდა მიუხედავად, რომ თომა მეწობელი ბაგრატ V-ის უმცროსი-თანამედროვე იყო, მაინც მთელი ზემომოთხრობილი ამბავი თავითგან ბოლომდე შეთხზულია და არაფერი აქის მსგავსი არც შეიძლება მომხდარიყო და არც მომხდარა. თემურ-ლენგი ისეთი ცბიერი და იქვიანი კაცი იყო, რომ მისი ასე სულელურად მოტყუება არავის შეეძლო. სრულებით დაუჯერებელია მით უმეტეს, რომ ბაგრატ V-ისათვის, ამ გუშინდელი მოწინააღმდეგისთვის, თავისი-მრავალრიცხოვანი ლაშქარი მიეცა და სარდლობაც მისთვისვე ჩაებარებინა.. ამას გარდა თემურ-ლენგს თავის ბანაკში, როგორც მისი სამხედრო მოქმედებითგანაც ცხადად ჩანს, საქართველოს გზების კარგი მცოდნენი საკმაოდ ჰყოლია და თავის ლაშქარს რომელსამე მათგანს, რა თქმა უნდა, მაინც გააყოლებდა. ასეთ პირობებში, ცხადია, ბაგრატ V-ეს მონღოლთა მბრძანებელის ლაშქრის მისი ნებით ვიწროებსა და გაუვალ ადგილებში შეწყვეტის არც უფლებას და არც საშუალებას არავინ მისცემდა.

---

[1] თ. მეწობელი 20; „ქართლის ცხოვრების" ვაგრძელება, გვ. 865—866; ეგნატაშვილი ბერი, 21—29 [„ახალი ქართლის ცხოვრება" თბ. 1940, გვ. 12—14]; ვახუშტი, გვ. 285—289.

არაფერი ამის მსგავსის კვალიც კი შერეფ ედდინის თხზულებაში არ მოიპოვება. რასაკვირველია, მარტო ეს თავისდათავად თომა მეწობელის ცნობის უსაფუძვლობის დამამტკიცებელ საბუთად ვერ გამოდგება, რათგან ეს სპარსელი ისტორიკოსი თემურის მაქებელ-მადიდებელია და სხვაგანაც არაერთგან ყველაფერი ისე არა აქვს აწერილ-გაშუქებული, როგორც ნამდვილად მომხდარა, ზოგი რამე სრულებით მოხსენებულიც კი არ არის. ამიტომ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ აქაც შერეფ ედდინმა, უსიამოვნო ამბავის მოთხრობას, დადუმება არჩია. მაგრამ მაინც თომა მეწობელის მონათხრობი რომ დაუჯერებელია, ამას თვით თემურ-ლენგის მოქმედებაც ცხადჰყოფს: 1387 წ. შემდეგ, როდესაც მან ბაგრატ V განათავისუფლა და ისევე საქართველოში დაბრუნების საშუალება მისცა, 1393 წლამდე მას საქართველოს წინააღმდეგ ალარ უომნია, განა დასაჯერებელია, რომ თემურ-ლენგს, რომლის მრისხანე ხასიათი და შურისმაძიებლობა კარგად არის ცნობილი, ან ბაგრატ V-ისა და მისი შვილებისათვის, ანდა თვით საქართველოსთვის თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის ასე ვერაგულად გაწყვეტა ეპატიებინოს და ამის ოდნავ მაინც მაგვარი თავისი მარცხი ქართველებისათვის შეენარჩუნებინოს? [1].

თემურ-ლენგი კი, როგორც ცნობილია, საქართველოთგან სხვაგან მიდის საომრად, შვიდი წლის განმავლობაში ყველგან ომობს, არავის ინდობს, თვით თავისიანებსაც, მონღოლებსაც კი, ისე გამოდის, რომ ქართველებს გარდა. ცხადია, რომ მარტო ეს გარემოებაც საკმარისია იმის დასარწმუნებლად, თუ რამდენად დაუჯერებელი უნდა იყოს თომა მეწობელის მონათხრობი. ბაგრატ V-ესა და ქართველებს რომ ამის მსგავსი რამე ჩაედინათ, თემურ-ლენგი, უეჭველია, უმალ მრისხანებით სავსე თავის ჩვეულებრივს შურისძიებას შეუდგებოდა და არასგზით საქართველოთგან ისე არ წავიდოდა, რომ სამაგიეროს გადახდა არ ეცადნა მაინც. ამიტომ თომა მეწობელის მონათხრობი ნახევარი საუკუნის შემდეგ სახელოვანი მებრძოლის ბაგრატ V-ის მოულოდნელი, ხალხისათვის ძნელად დასაჯერებელი და თავმოყვარეობისთვისაც უსიამოვნო მარცხის შესაფერადებლად გაჩენილი თქმულებაა.

იმ დროს, როდესაც ეს ამბავი ვითომცდა უნდა იყოს მომხდარი, თომა მეწობელი 11 წლის ბავშვი თუ იქნებოდა, ამიტომ, თემურ-ლენგის ამბების

---

[1] ამიტომაც ეგნატაშვილი ბერის „ახალ ქართლის ცხოვრება"ში ისე არის მოთხრობილი, ვითომც, ბაგრატისაგან ზემოთხრობილი ამბის ჩადენის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ, განრისხებული თემურ-ლენგი, ყარაბაღშივე დარჩა, რათგან ზამთარი იყო და გაზაფხულის პირას შემოესია საქართველოს და ბაგრატ მეფე და მისი ჯარი სასტიკად დაამარცხა და ქვეყანა გაანადგურა. მართლაც ასე რომ მომხდარიყო, ამის მიხედვით კიდევ შესაძლებელი იყო, თომა მეწობელის ცნობა სიმართლედ გვეცნა. მაგრამ არც შერეფ ედდინი და არც თვით თომა მეწობელი თემურისა და ბაგრატის ასეთი ვითომც მომხდარი მეორე ბრძოლის შესახებ არაფერს არ ამბობენ. საერთოდ ასეთი საშინელი მარცხისა და დამცირების შემდეგ ბაგრატ V-ის სახელი საისტორიო თხზულებებში ჰქრება და, როგორც ჩანს, თავისივე ნაბიჯით შეძრწუნებულს ბაგრატ V-ეს პოლიტიკური მოღვაწეობისათვის თავი დაუნებებია და გადამდგარა. „ახალ ქართლის ცხოვრება"-ში მოთხრობილი თემურის მეორე შემოსევა ნამდვილად მერმინდელ ამბავს წარმოადგენს. აკად. მ. ბროსეს სჯეროდა თომას ცნობა, მაგრამ ის ამ ამბავს 1393 წ. შემოსევას უკავშირებდა, რაც აგრეთვე სწორი არ არის.

ნახევარი საუკუნის შემდეგ აღწერის დროს, მას ზემომოთხრობილი შემთხვევა, უეჭველია, ზეპირი გარდმოცემით ექმნებოდა გაგონილი. ამ მონათხრობს ზეპირსიტყვაობის კვალი ემჩნევა კიდეც, თუნდაც იქ, სადაც ქართველებისაგან თემურის 12 000 მოლაშქრის ვითომცდა გაწყვეტაზე აქვს საუბარი. იქ ხომ თვით ავტორსვე აქვს დამატებული: „როგორც იტყვიან“, ამბობენო. ამრიგად, ზოგჯერ თვით უმცროს თანამედროვეთა ზეპირი გარდმოცემაც კი ისტორიკოსისათვის ასე საფრთხილოა ხოლმე!

[ბაგრატ მეფის მარლაცვალება]

ეგნატაშვილ ბერს ბაგრატ მეფის სიკვდილის წელიწადი აღნიშნული არა აქვს, მაგრამ, რაკი ეს ამბავი მეორე შემოსევის შემდგომ არის მოთხრობილი, ამიტომ ავტორს 1394 წლის მერმე აქვს ნაგულისხმევი[1].

ვახუტშსაც ასევე ჰგონებია და მისი სიტყვით «გარდაიცვალა დიდი მეფე ბაგრატ წელსა 1395, ქართულსა 83»-სა[2].

„ქართლის ცხოვრების“ შევს.-გადაკეთებულ გაგრძელებაშიც ბაგრატის სიკვდილის თარიღი არ მოიპოვება[3], მაგრამ იმავე დროს და წელს არის ნაგულისხმევი, როდესაც ეგნატაშვილი ბერი ფიქრობდა.

ცნობათა აღრეულობისთვის მეტად დამახასიათებელია, რომ, თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული გუგუნა მაყაშვილისადმი გიორგი მეფის მიერ 1377 წ. ბოძებული სიგელის მიხედვით, გიორგი თითქოს 1366 წელს უნდა გამეფებულიყო, რათგან ამ საბუთში ნათქვამია: «დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა: ი. თ: (19) ქრონიკონსა ჲე (65)»-აო[4]. თუმცა თ. ჟორდანიასვე სიტყვით არც 1377 წელს ნიკოლოზ კათალიკოზი „და არც გიორგი მეფე ამ დროს ცნობილნი არ არიან“, მაგრამ ამის მიზეზად ის მხოლოდ იმ გარემოებასა სთვლიდა, რომ „ამ დროის მატიანე ქ. ცხ-ბა მეტად მოკლეა და ნაკლულევანი ცნობებით“-აო. ჟანსუენებული მეცნიერის „აზრით ეს გიორგი მეფე უნდა იყოს ბაგრატ დიდის შვილი და თუმცა იგი გამეფდა 1395 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ალბათ ის მეფის სახელით ერთად მამასთან (sic) განაგებდა რონელსამე ნაწილს საქართველოსას (წინეთ კახეთს 1377 წ. და შემდეგ იმერეთს 1384—1395 წ.). შესანიშნავია ის, რომ გიორგი მეფედვე წოდებულია მამისვე სიცოცხლეში 1393 წელს (იხ. 1393 წ. ქვეშე და ჩემი „საბუთები შიომღვიმისა ლავრისა გვ. 45)“. ამ მოსაზრებისა და საბუთის გარდა[5], ამავე მკვლევარს მეორე საბუთიც აქვს გამოქვეყნებული. სახელდობრ, თ. ჟორდანიას 1393 წლის ქვეშე დაბეჭდილი აქვს მეფეთ-მეფის გიორგისაგან „ქკსა ჰა“:

---

[1] იხ. გვ. 22—23 [„ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ. 1940, გვ. 15].
[2] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 289.
[3] დამატება, გვ. 871.
[4] ქრონიკები II, 191.
[5] ქრონიკები II, 190.

(81)-სა ნაბოძები სიგელი, როდესაც მისი მეფობის 24-ე ინდიქტიონი ყოფილა[1]. ამ ცნობის მიხედვით გიორგი უნდა 1369 წელს გამეფებულიყო.

თ. ჟორდანიას ნათქვამი აქვს: 1393 „წელს გიორგი მართლა განაგებდა საბეფოს მეფის სახელობით, რადგან ბაგრატ დიდი ტყვედ იყო თამერლანთან, — შესანიშნავია, რომ ეს სიგელი აღნიშნავს გიორგის გამეფებას (1393—24) 1369 წელს: შეიძლება ამ წელს იგი გაემეფებინა მამას იმერეთს ან კახეთში". მაგრამ მისივე სიტყვით „ეს კითხვა საძიებელია, მით უმეტეს, რომ სხვა ამგვაროი საბუთებიც მრავალს კითხვას ჰბადებენ ამ გარემოების შესახებ"-ია[2].

თ. ჟორდანიას 1395 წ. ქვეშე ორი (ჩხეიძისეული და თავისი ისტორიულის) კინკლოსური ცნობა აქვს მოყვანილი ვახუშტის ქრონიკონის გარდა, რომლებშიაც ამ წელს ბაგრატ დიდის გარდაცვალებაა აღნიშნული[3].

ვახუშტს გაძოთქმული აქვს თავისი მოსაზრება, თუ რატომ უნდა სწოდებოდა ბაგრატ მეფეს „დიდის" სახელი. ეს საკითხი, როგორც ეტყობა სხვებსაც აინტერესებდათ, რათგან ერთ-ერთი აზრთაგანი მას სხვათა მიერ წარმოთქმულად აქვს დასახელებული: „კვალად იტყვიანო"[4].

ვახუშტი პირადად ფიქრობდა, რომ ბაგრატს «დიდი მეფე იმისთვის ეწოდა, რამეთუ იყო მძლეველი და გამარჯვებული, თვინიერ თემურისა, ყოველთა წინააღმდგომთა თვისთა ზედა, რამეთუ ორასითა მხედრითა არა ჭრიდებდა ათასთა და უმეტესთაცა და მოსწყვეედდა სრულიად. კვალად არა დაბორჩილდა ძლავრსა და იღვაწა ქვეყანისა თვისისათვის, არა განხეთქა საბეფო თვისი, გარნა, თუცა მცირედ იკადრეს, არამედ შიშითა მისითა ეგნენვე მორჩილებასა ქვეშე მისსა»-ო. მაგრამ ამ განმარტების გარდა მაშინ თურმე სხვაგვარი, თანაც უფრო მარტივი, აზრიც არსებულა: «კვალად იტყვიან, ვინადგან ბაგრატ მიხაილ მეფის ძე იგიცა მეფეთა ჩამომავალი იყო, ამის გამო ეწოდაო დიდი ბაგრატ მეფე ამას»-ია[5].

[თემურ-ლენგის მეორე შემოსევა]

შერეფ ედდინი თემურ-ლენგის საქართველოში მეორე შემოსევის მიზეზს არ ასახელებს. მისი სიტყვით მონღოლთა მბრძანებელს ამ შემთხვევაშიც ვითომც სარწმუნოებრივი გულმოდგინება ამოძრავებდა და თითქოს მხოლოდ ურწმუნოთა შორის მაჰმადიანობის [გავრცელების] წადილით იყო გატაცებული (I, ٧٠٤—٧٠٦). უკვე აკად. მ. ბროსე სომხური და ქართული საისტორიო თხზულებების მიხედვით ფიქრობდა, რომ თემურის კარის ისტორიკოსს თავის თხზულებაში განზრახ აქვს ბაგრატ მეფისაგან მონღოლთა ლაშქრის გაწყვეტის ამბავი გამოტოვებული. ამგვარად, ისე გამოდის, რომ

---

[1] ქრონიკები II. 201.
[2] ქრონიკები II. 200.
[3] ქრონიკები II, 201.
[4] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 289.
[5] იქვე.

თემურის შემოსევის ნამდვილ მიზეზად განსვენებულ დაუვიწყარ მეცნიერს საქართველოს მეფის ეს ნამოქმედარი მიაჩნდა[1]. ამგვარად, ფრანგი მეცნიერი ამ შემთხვევაში ქართულ-სომხურ გარდმოცემას და თეორიას მისდევს. რამდენადაც ქართული ჰიპოთეზა ბაგრატის დატყვევების თარიღად 1393 წელსა სთვლიდა, იმდენადაც მეორე შემოსევა ქრონოლოგიურად უშუალოდ ბაგრატისაგან თემურის ლაშქრის საძხედრო ცბიერებით გაწყვეტასთან არის დაკავშირებული. ამ ქართველთა მოქმედებას თემურ-ლენგის შურისძიების წყურვილით ნაკარნახევი მეორე შემოსევა მოსდევს. ლოგიკურად აქ მოვლენათა სრულებით სწორი კავშირია წარმოდგენილი, მაგრამ ქრონოლოგიური სინამდვილე და პირველი და მეორე შემოსევის ნამდვილი თარიღები ისე არიან ერთმანეთზე დაშორებული, რომ ტყვეობითგან 1386-7 წ. განთავისუფლებული ბაგრატ მეფის მოქმედების შედეგად თემურ-ლენგის საქართველოში 1393 წ. შემოსევის მიჩნევა არც ლოგიკურად და არც ქრონოლოგიურად არ შეიძლება.

ამ ორი მოვლენის, ბაგრატის ტყვეობითგან დაბრუნებისა და თემურის ჯარის ქართველთაგან გაწყვეტისა და მონღოლთა მბრძანებლის მეორე შემოსევის, ერთმანეთთან დასაკავშირებლად ვ ა ხ უ შ ტ ს ბაგრატ მეფე 1393 წლამდე თემურთან ტყვეობაში ეგულქბა. გამოდის, რომ 1387 წლითგან მოყოლებული (ნამდვილად 1386 წლითგან) ბაგრატ მეფე 6—7 წლის განმავლობაში თავისთან ტყვედ ჰყავდა და მხოლოდ ასეთი ხანგრძლივი ტყვეობის შემდგომ განთავისუფლა და გამაჰმადიანებულს თავის სამეფოში დაბრუნების ნება დართო. ეს შ ე რ ე ფ ე დ დ ი ნ ი ს მკაფიო ცნობას ეწინააღმდეგება.

თუ ქართველმა მეისტორიკოსებმა თემურის მეორე, 1393 წლის, შემოსევას ნამდვილი მიზეზი ვერ მოუძებნეს, ეს, რასაკვირველია, მხოლოდ იმ გარემოებით აიხსნება, რომ თემურის კარის ისტორიკოსი ამაზე არაფერს ამბობდა, რათგან თემურის სარწმუნოებრივი გულმოდგინეობა დამაჯერებელ მიზეზად არ მიაჩნდათ.

საკმარისია ადამიანი შ ე რ ე ფ ე დ დ ი ნ ი ს სიტყვებსა და მონათხრობს ჩაუკვირდეს, რომ დარწმუნდეს, რამდენად სარწმუნოებრივი მოშურნეობით კარის ისტორიკოსის ნაშრომი ბევრ რამეზე დუმილს ჰრჩეობს და ნამდვილი გარემოების აღწერის მაგიერ ჭეშმარიტებას განხრახ რიტორიკულ-სარწმუნოებრივი ბურუსით ჰფარავს.

მართლაც, ვისაც შ ე რ ე ფ ე დ დ ი ნ ი ს ზემომოყვანილი ცნობა, რომ ბაგრატ მეფის გამაჰმადიანებასთან ერთად ვითომც საქართველოს მცხოვრებთა მოძეტებული ნაწილიც გამაჰმადიანებულიყოს, კარგად ახსოვს, მას საქართველოს წინააღმდეგ თემურ-ლენგის ხელმეორედ გამოლაშქრების ამბავი ისევე ვითომც მაჰმადიანობის გასავრცელებლად, რა თქმა უნდა, ძალიან გააკვირვებს. ამასთანავე ის გარემოება, რომ აჰ შემთხვევაშიც თემურ-ლენგმა მარტო თავისი ოთხი სარდლის დიდი ლაშქრითურთ გამოგზავნა არ იკმარა და თითონაც პირადად სხვა გზით საქართველოში შემოსევა მაინც საჭიროდ სცნო,

[1] იხ. Additions et éclaircissements, გვ. 387.

უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ საქართველოში ისეთი რამე მომხდარა, რასაც მონღოლთა მბრძანებელი შეუწუხებია და განურისხებია. ერთგან, სადაც სამხედრო მოქმედების შედეგზეა საუბარი, კარის ისტორიკოს ნათქვამი აქვს კიდევაც

جماعتی که در ان نواحی یاغی بودند همه رابغا رتیدند

„ამ სანახებში მყოფი სიმრავლე, რომელიც აჯანყებული (ან მტრად ქცეული) იყვნენ, განადგურებული იყო“ (I, ٨٠٩), ამ გაკვრით ნახმარი გამონათქვამითგან ირკვევა, რომ თემურ-ლენგის მეორე შემოსევის მიზეზი საქართველოში მომხდარი აჯანყება ყოფილა.

კარის ისტორიკოსის სიტყვით, თემურ-ლენგს რომ თავისი ოთხივე სარდალი დიდი ლაშქრითურთ საქართველოს წინააღმდეგ გამოუგზავნია, ეს სამხედრო ძალა მას თურმე ახალციხისაკენ გამოუსტუმრებია. بالشکر گران بجانب گرجستان سوی اقسقا فرستاد (I, ٧٠٩) აქეთგან საფიქრებელია, რომ მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება, თუ მტრული მოქმედება მესხეთში უნდა მომხდარიყო. თვით თემურ-ლენგი ალატაღის ტყიანეთის გზით წამოსულა საქართველოს წინააღმდეგ (I, ٧٠٩).

საქართველოში გამოგზავნილ სარდლებსა და მრავალრიცხოვან ლაშქარს კარის ისტორიკოსის სიტყვით ბევრი აჯანყებული გაუნადგურებია, მაგრამ, სად სახელდობრ, ნათქვამი არ არის (იქვე).

შემდეგ ჩვეულებისამებრ თემურს იმავე ველზე ნადირობა გაუმართავს (იქვე). რაკი სამხედრო მოქმედება, შ ე რ ე ფ ე დ დ ი ნ ი ს ცნობით, ახალციხის მიმართულებით უნდა ყოფილიყო და მესხეთში ფართო სანადირო ველები უფრო ჯავახეთში იყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ნადირობა სწორედ ჯავახეთში უნდა ყოფილიყო.

კარის ისტორიკოსის სიტყვით თემური გზადაგზა ჩერდებოდა, მისი ლაშქარი კი, სადაც კი ურწმუნოებს, ე. ი. ქრისტიან ქართველებს შეეჩეხებოდა, ყველას ხოცავდა და ანადგურებდა (I, ٧٠٨). გასაოცარია, რომ სპარსელ ავტორს არც მონღოლთა მბრძანებლის, არც მისი ჯარის მოძრაობის მიმართულება და არც იმ ადგილის სახელი, სადაც სამხედრო მოქმედება წარმოებდა, აღნიშნული არა აქვს. ამასთანავე, კარის ისტორიკოსის სიტყვით, თითქოს თემურის მეორე-გზისი საქართველოში შემოსევის მიზანი მაჰმადიანობის გავრცელება უნდა ყოფილიყო, ნამდვილად კი, როგორც დავრწმუნდით, აჯანყების ჩაქრობა და დამორჩილება. შ ე რ ე ფ ე დ დ ი ნ ი არას ამბობს, რომ, გზადაგზა ხალხის ამოჟლეტის გარდა, ამ გამოლაშქრებას რაიმე გარკვეული პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი შედეგი მოჰყოლოდეს და ერთი მიზანთაგანი მაინც მიღწეული ყოფილიყოს. კონკრეტული ცნობების მოუხსენებლობა და დასახული მიზნის მიღწეულობაზე სრული დუმილი, უეჭველია, იმის გამომჟღავნებელი უნდა იყოს, რომ ლაშქრობა არსებითად უშედეგოდ გამოდგა და მიზანი მიუღწეველი დარჩენილა.

ამ გარემოებასვე ისიც ამტკიცებს, რომ მესხეთითგან, სადაც სამხედრო მოქმედებისათვის მრავალრიცხოვანი ლაშქარითურთ შეპრილი იყო, თემურ-ლენგმა ყარსის ციხექალაქისაკენ გამგზავრება ირჩია.

ფრიად დამახასიათებელია ამასთანავე, რომ მონღოლთა მბრძანებელმა ქალაქს გარეთ დაბანაკება ამჯობინა (იქვე I,٧٠٥). მესხეთითგან ყარსისაკენ გზის არჩევა, რა თქმა უნდა, არსებითად საქართველოთგან უკან დახევას უდრიდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თემურ-ლენგის ამ მეორე შემოსევის დასაწყისი არც ისე ბრწყინვალე აღმოჩენილა, როგორც მის კარის ისტორიკოსს მისთვის ჩვეულებრივი ქება-დიდებით ზოგადი გამონათქვამებით გაზვიადებული აქვს.

რაკი ვახუშტსაც, ეგნატაშვილი ბერის მსგავსად, გიორგის გამეფების თარიღად 1395 წ. აქვს მიჩნეული, ამიტომ მისი სიტყვით თემურ-ლენგის საქართველოში ამ წელს შემოსევა თითქოს იმ გარემოებით ყოფილიყოს გამოწვეული. რომ გიორგი თემურის დაუკითხავად და უცნობელად გამეფებულიყო და მის ყმადნაფიცობაზედაც უარი შეეთვალოს[1] სპარსელ კარის ისტორიკოსს ამის მსგავსი არაფერი აქვს. შერეფ ედდინის ცნობით, ყარსის ველზე მდგომი თემურ-ლენგი აყრილა და ერთ მინდორზე დაუბანაკია, რომლის სახელი სპარსელი ისტორიკოსის ნაშრომში დროთა განმავლობაში დამახინჯებული უნდა იყოს. სპარსულ ხელთნაწერებში ეს ამბავი ასეა ნათქვამი: (I. ١٢٠) ازمرغزار قارمر ... روان شد وبدشت منيك كول نزول فرمود უკვე XVII—XVIII-ს. ს. საქართველოს ისტორიკოსებისათვის გაუგებარი ყოფილა, თუ რა გეოგრაფიული ადგილია აქ დასახელებული, თუმცა ზემომოყვანილი ცნობის შესატყვისი ქართულ წყაროებში არ მოიპოვება, მაგრამ თემურის მომდევნო შემოსევის აღწერილობაში ეს გეოგრაფიული სახელი კიდევ იხსენიება და ამ ადგილის შესატყვისად სპარსული كول منيك „მნიკ კულ“ ეგნატაშვილ ბერს მანგლისად მიუჩნეია[2].

ასევე წარმოუდგენიათ საქმის ვითარება ვახუშტსა და „ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-შესწორებული გაგრძელების ავტორსაც[3].

ფარსადან გორგიჯანიძეს „მანგული“ უწერია: „მანგულის მივიდნეს“-ო (გვ. 95), ორს თვეს ცხენები ბალახზე გაუშვეს **მანგულის მინდვრებშია**, იქიდამ აიყარა“-ო (იქვე).

ფრანგ ორიენტალისტს, Tetis de la Croix-ს, გადმოთარგმნილი აქვს „la plaine Minecgheul“ და შენიშვნაში განმარტების სახით ნათქვამია: Minecgheul. Village près le Mont Yondi en Géorgie (Livre III chapitre XLVIII, გვ. 323). საითგან აქვთ ფრანგ მეცნიერებს ეს ცნობა-განმარტება ამოღებული, ან რომელი მთა იგულისხმება საქართველოში, [არა ჩანს].

საკმარისია ადამიანი შერეფ ედდინის მოთხრობას ჩაუკვირდეს და თემურის მოძრაობის მიმართულება გაითვალისწინოს, რომ მენიკ-კულის მანგლისად, ან მანგულად ჰიჩნევის სრული მცდარობა ცხადი შეიქმნეს. უკვე აკბროსეს სრულებით სამართლიანად ჰქონდა აღნიშნული, რომ ამ ადგილის სახელი მანგლისს არ უდგება, არამედ შერეფ ედდინის აღწერილობითგან ცხა-

---

[1] ვახუშტი, საქ. ისტ. 290—291.

[2] «ჩამოდგა მანგლისს»: გვ. 27. ახალი ქ. ცხ. გვ. 20.

[3] ვახუშტი, საქ. ისტ. 292 და 293 და დამატ. 878.

დად ჩანს, რომ „მენგულ“-ი ყარსის მახლობლად უნდა ყოფილიყო[1]. მაგრამ სახელდობრ რომელი და საითკენ მდებარე ადგილი უნდა ჰქონდეს სპარსელ ისტორიკოსს ნაგულისხმევი, განსვენებულ აკადემიკოსს ეს ნათქვამი არა აქვს.

შერეფ ედდინის ზემომოყვანილი ცნობითვან მართლაც უცილობელი ხდება, რომ „მენიკ-კულ“-ო ყარსის ციხის მახლობლად მდებარე მინდორის სახელი უნდა ყოფილიყო. სპარსელ ისტორიკოსს გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ეს ადგილი სოფელს კი არა, არამედ სწორედ მინდორს (دشت) წარმოადგენდა. ამიტომ „მენიკ-კულ“-ში უნდა ამ მინდვრის სახელი ვეძიოთ. თუ გავიხსენებთ, რომ შერეფ ედდინის აღწერილობით ეს ადგილი ყარსის მახლობლად და ყარსზე უფრო დაბლობ მინდორს წარმოადგენდა, მაშინ შესაძლებელია თითქმის დანამდვილებით ითქვას, რომ ორნაწილედი „მენიკ-კულ“-ითგან მეორე ნაწილი „კულ“, ან „კოლ“ უნდა ამ მინდვრის გეოგრაფიულ სახელს წარმოადგენდეს. უეჭველია, აქ კოლას მინდორზე უნდა ჰქონდეს თემურის კარის ისტორიკოსს საუბარი. ასეთი გეოგრაფიული სახელი ამჟამადაც არსებობს, მხოლოდ თურქული გამოთქმის მიხედვით არის ეხლა იგი ოდნავ შეცვლილი და რუსულ 5-ვერსიან რუკაზე გიოლის მინდვრად (Долина Гёль) იწოდება. ყარსისაგან ეს მინდორი ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს (იხ. 60° 15—40° 45 შუა). ყარსითგან ამ მინდვრისაკენ შარა გზა არსებობს, თანამედროვე სამხედრო სტრატეგიული მიმოხილვის თანახმადაც საქართველოს დედაქალაქის წინააღმდეგ და შუაგულში შემოსაჭრელად ამ კოლის მინდორს ყარსის შემდგომ დიდი მნიშვნელობა აქვს და ძვირფასია თავისი მდიდარი და ფართო საძოვრებითა და უხვი წყლით. კოლას მინდორი (Гёльская котловина) მოძრაობისათვის უმთავრესად ზაფხულში და ზამთარშია კარგი[2].

გამოსარკვევია მხოლოდ ორნაწილედი „მენიკ-კოლ“-ის პირველ ნაწილის „მენიკ“-ის ეხლანდელი შესატყვისობა. ამ თემის ძველი გეოგრაფიული სახელების დროთა განმავლობაში შეცვლისა და გათურქების გამო ამ საკითხის სისწორით გადაწყვეტა ძნელია, მაგრამ კოლის ველის სამხრეთის კიდეზე „მერდენეკ“-ი ადებარეობს და უნებლიეთ იბადება აზრი ეს სახელი „მენიკ“-ისა, თუ მისი ნამდვილი სახეობის ანარეკლს ხომ არ წარმოადგენს?

თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსს დასახელებული არა აქვს საქართველოს იმ თემის სახელი, სადაც მონღოლ-თურქთა ლაშქარს ციხე-მაღაროებში შეხიზნულ ქართველთა წინააღმდეგ იმდენად გააფთრებული ბრძოლა უწარმოებია, რომ მაღაროებში მყოფ ქართველ მეომართა ამოსახოცად ჯაჭვ-თოკებით კიდობნები ჩამოუშვებინებია და ისე უბრძოლებია. ფ. გორგიჯანიძეს, რომელსაც შერეფ ედდინ ალი იეზდის ცნობებიც მოეპოვება, გიორგი მეფე იმერეთის მეფედ უქცევია. მისი მოთხრობის თანახმად, მთელი ეს ამბავიც თითქოს იმერეთშივე უნდა მომხდარიყოს. იმერეთში, მაგ. ყვირილის ხეობაში

---

[1] იხ. Additions et éclaircissements, add. XXII, გვ. 293, შენ. 2, 394, შენ. 3 და 395 შენ. 1.

[2] იხ. Суровцев, Военно-стратегический обзор Кавказ. воен. округа, თბილისი, 1894 წ. გვ. 9, 12, 13, 82, 87—88 და სხვ.

მართლაც ბევრი მიუვალი გამოქვაბულებია, სადაც ქართველ მეომრებს შეხიზვნა შეეძლოთ. მაგრამ თემურ-ლენგის ისტორიკოსის მთელი მოთხრობა ცხადჰყოფს, რომ სამხედრო მოქმედება იმერეთში კი არა, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში წარმოებდა. თემურ-ლენგის ჯარი ყარაბაღითგან წამოსულა, ჯერ ბარდავის ველზე საქართველოს საზღვრებს შემოსევია. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით თემურ-ლენგის ლაშქარი გამოგზავნილი ყოფილა بغزو اهل شرك و ضلال و ურწმუნო ქრისტიანთა დასაპყრობად, რომელ თემში სახელდობრ, აღნიშნული არ არის, მაგრამ რაკი შერეფ ედდინ ალი ჯეზდის სიტყვით ციხე-მაღაროებში შეხიზნულ ქართველთა ამოხოცვის შემდგომ თავისი ლაშქრის რჩეული ნაწილი თბილისისაკენ გაგზავნა და ამ მიზნით ჯარს მუხრანის ველზე ჩასვლა ებრძანა (درمود فوج از لشکر بمغان دشت) ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ციხე-მაღაროებში შეხიზნულთა წინააღმდეგ ბრძოლა მუხრანის ველის მახლობლად და მიდამოებში უნდა ყოფილიყო. რაკი ამ სანახებში გამოქვაბულთა სიმრავლე უფრო შიომღვიმის მონასტრის არეში არსებობდა, ამიტომ იბადება საკითხი სამხედრო მოქმედების ასპარეზად აქ ხომ სწორედ ეს ადგილი არ უნდა ვიგულისხმოთ.

ლარგვისის მონასტრის ეტრატის პარაკლიტონში სწერია: «მეფობასა შინა მეფეთ-მეფისა გიორგი, ბაგრატის ძისასა, და ერისთაობასა შინა ერისთავთ-ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისასა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდეს მოქცევასა: იდ: ქკს: ᲠᲘ, მაიხს Თ. მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი სამარყანელი და გამოიტანნა ყაანი სინიჩარისაჲ, ჩინეთისაჲ, ქომანეთისაჲ, ხვარაზმისაჲ, ქამანისიჲ, ნაჰროეთისაჲ, სიყალბისაჲ, (?), ჩალანისაჲ, ალაბისაჲ, სინდეთისაჲ, ხატავეთისაჲ, ერაყისაჲ, თურქისტანისაჲ. და სიმრავლისა მათისა არა იყო რიცხჳ. და მოვლეს ყოველი ქვეყანაჲ და წარტყვენეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუნეს ყოველნი ციხენი და გამოასხეს, ტყვე-ჰყვეს და მოაოხრეს ყოველი ქვეყანაჲ დასავლეთამდის, მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ხელთაგან მათთა, და შემდგომად მცირედისა ჟამისაჲ დაგრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ შინდას ძესა ავგაროზისშვილი. დაწესაგან მოოკრებული აღვაშენე ხუთი სახლი. ამისსა შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მომიხვნა ექვსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი, დედით მათითურთ. მაშინ ულირსმან შევიმოსე სახე მონაზონისაჲ»[1].

თეძმის ხეობაში მდებარე რკონის მონასტრის პატარა ეკლესიის კარის მარჯვენა მხრის კედელზე შემდეგი ასომთავრული დამწერლობით ამოჭრილი წარწერა იყო, რომელიც ჩემი ერთ-ერთი მოგზაურობის დროს გადმოვწერე: «ქ აქა მოვიდა ლნგდემორ (=ლანგდემურ-ს) ....// და დაქცივნ[ა] ეკლესიან[ი] და მ[ონასტერი რკ] ნიცა დაქცია ქნი იყ ᲠᲘ », 88, ე. ი. 1400 წ. ქ. შ.

---

[1] იხ. Brosset, Voyage, sixième rap. 77—78.

თავი მეათე

(დასკვნითი მიმოხილვა)

ხშირად ადამიანი ეხლა გაიგონებს, რომ ამა თუ იმ ერის წარმომადგენელი თავის ერს უძველეს ერად სთვლის და აცხადებს ხოლმე. ეს წინადადება ამჟამად თითქმის მომაბეზრებელ ჰიპერბოლად იქცა, რომელსაც მსმენელნი უფრო მეტევრმეტყველების სამკაულადა სთვლიან, ვიდრე სინამდვილედ. მაინც თანამედროვე ერთა შორის იშვიათია ისეთი ერი, რომელსაც ქართველსავით უფლება ჰქონდეს თავის თანამოძმეების შესახებ ზემოაღნიშნული აზრი წარმოსთქვას. ქართველი ერის ისტორიული არსებობა, და სახელმწიფოებრივი ცხოვრება უკვე XII—XI ს. ს.-ითგან ქ. წ. არის ცნობილი ასურული წყაროების წყალობით. მუსკეებისა (=ბერძ. მოსხოჲ და ჯ მესხოჲ, ქართ. მესხი), ტუბალ = ტაბალების (=ბერძნ. ტიბარენოჲ, იბეროჲ, ქართ. იბერი) და კასკების (=ბერძნ. კოლხოჲ, ქართ. კაჰხი და ჯ კოლხი) სახელით მოხსენებულნი ისინი ძლიერი ასურეთის მეზობლებად და ღირსეულ მოპირდაპირედ ითვლებოდნენ, დაწინაურებული სახელმწიფოებრივი ყოფა-ცხოვრება ჰქონდათ და ლითონის დახელოვნებული დამუშავებით იყვნენ განთქმულნი. თვით დაბადებაშიაც შენახულა ძველის-ძველი ამგვარი გარდმოცემა, და ლითონის დამუშავების მამამთავრადა და მოთავედ, რომლისაგან დანარჩენმა კაცობრიობამ ეს ხელოვნება შეითვისა, სწორედ ტუბალ-კაინია დასახელებული, ის ტუბალ-კაინი, რომელიც ქართველი ერის, ჰანების ტომის ერთ-ერთ ჯგუფს ეკუთვნოდა. გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის სიტყვებითგან ჩანს, რომ ჯერ კიდევ VI ს-ში ჰანების ერთს მოდგმას „ოკაენელი", ანუ „კაენელი" ეწოდებოდა. ცნობილია, რომ თვით ძველი საბერძნეთის ყველა მწერლების თხზულებებში აღნიშნულია ქართველ ტომთა ხალკბებისა და მოსსკნიკების მადნეულობის დახელოვნებული დამუშავების ცოდნა და მათი უაღრესი მნიშვნელობა ამ მხრივ. სპილენძისა და ფოლადის საუკეთესო იარაღი და ნივთები თურმე ამ ტომთა ქვეყნითგან შედიოდა საბერძნეთში. ამ კულტურული ღვაწლის და გავლენის მეტევრმეტყველი კვალი თვით ბერძნული და სხვა ენების ლითონის შესახებს ტერმინოლოგიაშიც არის შენახული.

კიმმერიელთა შემოსევამ VII ს-ში მცირე აზიაში და სტიქიურმა ბრძოლამ ქართველ ტომთა ტუბალებისა და მოსხების აქაურ მოსახლეობას ბოლო მოუღო: ისინი იძულებული შეიქმნენ ჩრდილოეთისაკენ დაძრულიყვნენ და სამუდამოდ ამიერკავკასიაში დაშენებულიყვნენ, სადაც ზოგიერთ ქართველ ტომებს ამაზე დიდი ხნით უწინარესაც უკვე ბინადრობა ჰქონდათ მოპოვებული.

სტიქიურ აყრასა და გადასახლებას, რასაკვირველია, თავისი უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა ხალხზე და მართლაც წინანდელთან შედარებით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირას მცხოვრები ქართველი ტომები VI ს-ში ქ. წ. ყოველ მხრივ დაქვეითებული მოჩანან. ამიერკავკასიაში საქართველო ორ დიდ სახელმწიფოებრივ ერთეულად იყოფებოდა, რომელთაგან დასავლეთი, ანუ იმერი საქართველო კ ო ლ ხ ე თ ა დ წოდებული შავი ზღვითგან იწყებოდა და აღმოსავლეთით შორაპნის და სკანდის ციხეებამდის აღწევდა. ჩრდილოეთის საზღვარს კავკასიონის მთის მთავარი უღელტეხილი შეადგენდა. სამხრეთით მას ლაზეთი ანუ ჭანეთი ჰსაზღვრავდა, რომელიც თავის დასავლეთს კუთხეში ქ. ტრაპიზონის მთელს სანახებსაც შეიცავდა. ჭანეთი რამდენადმე პატარა სახელმწიფოებრივ ერთეულად იყო დაყოფილი. აღმოსავლეთს საქართველოს ი ბ ე რ ი ა ეწოდებოდა. დასავლეთით მას კოლხეთი ჰსაზღვრავდა, აღმოსავლეთით — ალბანეთი მტკვრისა და ალაზნის შესართავთან. ჩრდილოეთით საქართველოს იგივე კავკასიონის ქედი უდარაჯებდა, სამხრეთით კი სომხეთი იყო. გუგარეთი, ანუ ქვენა ქართლი მთლად იბერიას ეკუთვნოდა. მაშასადამე, ფამბაკის ხეობამდე მთელი მიწაწყალი ქართველი ერის მოსახლეობას სჭერია.

პირველ საუკუნეში ქ. წ. და შ. იბერიაცა და კოლხეთიც სამეფოები იყვნენ. საგვარეულო წესწყობილება ჰსუფევდა როგორც სახელმწიფო ისე საზოგადოებრივ დაწესებულებებში: უძრავი ქონება საგვარეულო კუთვნილებას შეადგენდა და კერძო საკუთრება მაშინ არ არსებობდა. მთელი ამ საგვარეულოს ქონებას ევარის უფროსი მამასახლისი განაგებდა. თვით სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი სამეფო ოჯახის პირდაპირს შთამომავლობაზე კი არ იყო დამყარებული, არამედ წლოვანობითს უფროსობაზე სამეფო საგვარეულოში.

ბერძენთა გამოჩენილი გეოგრაფის სტრაბონის სიტყვით იბერიაცა და კოლხეთიც კულტურული და განვითარებული ქვეყნები ყოფილან. საქართველოზე გადიოდა ის განთქმული სავაჭრო გზაც, რომელიც ჰირკანიის ზღვით, შემდეგ ალბანიით, მერმე იბერიაში მტკვრით და კოლხეთში იმ დროს ფაზისად წოდებული რიონით შავს ზღვაზე მდებარე ქ. ფოთის ნავსადგურთან თავდებოდა, რომ აქეთგან უკვე ზღვით წაეღოთ საქონელი. ინდოეთის სავაჭრო ნაწარმოები საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში სწორედ ამ გზით გამოჰქონდათ ხოლმე. რიონზე მაშინ შორაპანამდის ნავები დადიოდა. მტკვარშიაც და ალაზანშიც ნავოსნობა იყო. თვით მდ. რიონზეც 120 ხიდი ყოფილა გადებული.

აღმოსავლეთი საქართველო ანუ იბერია მჭიდროდ იყო დასახლებული: სოფლებითა და ქალაქებით მოფენილი ყოფილა. სახლებს თურმე ხუროთმოძღვრების რიგზე აშენებდნენ. საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის განსაკუთრებული შენობები ჰქონიათ აგებული და სხვადასხვა ადგილას სავაჭრო ერის კრებებიც სცოდნიათ. ყველაფერი მაშინდელ საქართველოში ძველი კულტურულობის მომასწავებელი იყო: თუმცა ქართველ ერს წინანდელი პოლიტიკური ძალა აღარა ჰქონდა, მაგრამ სამამაპაპეულო დაწინაურებული ყოფაცხოვრების შნო და უნარი მაინც შენარჩუნებული ჰქონიათ. მნათობთა თაყვანისცემა იყო ქართველი ერის უუძველესი და ეროვნული სარწმუნოება. ქარ-

თულ წარმართობის პანთეონში და ღვთაებათა სასუფეველში პირველი ადგილი მთვარის ღვთაებას ეკუთვნოდა, რომელიც მამაკაცად ჰყავდათ მიჩნეული.

მითრიდატის წინააღმდეგ ატეხილმა ბრძოლამ რომაელები ამიერკავკასიაში მოიყვანა, სომხეთში, იბერიაში და კოლხეთშიც გააბატონა. 65 წ. ქ. წ. პომპეუსმა იბერიის მეფე არტაგი დაამარცხა და აიძულა, რომ რომაელებთან ზავი შეეკრა. კოლხეთმაც რომაელებს მორჩილება განუცხადა. ამ დროითგან მოყოლებული დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოც რომაელების მფარველობის ქვეშ მოექცნენ. თუმცა იბერია მაინც რამდენჯერმე აუჯანყდა რომაელ[ებ]ს, განსაკუთრებით როცა ან შინაურ უწესოებათა, ანდა მოუცლელობის გამო მათ აღმოსავლეთამდის ხელი ვეღარ ეიუწვდებოდათ ხოლმე. მაგრამ წინანდელი დამოკიდებულება შემდეგში კვლავ აღდგენილ იქნა. მერმე ქართველებსა და რომაელებს შორის მეგობრული განწყობილება გამეფდა. ამას ერთი მხრით კეისარ ბესპასიანეს ბრძანებით მცხეთის 75 წ. ქ. შ. ბერძნულად ამოკვრილი წარწერაც მოწმობს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იმპერატორის განკარგულებით „კეისრის მეგობარსა და რომაელების მოსიყვარულე ერს“ მცხეთის ზღუდე გაუმაგრესო, მეორე მხრით—სხვათა შორის ის საგულისხმიერო გარემოებაც, რომ ადრიანე კეისარმა იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟკაცური სიქველითა და სამხედრო ასპარეზობით აღტაცებულმა მარსის ველზე ფარსმან მეფის ცხენიანი ქანდაკება დაადგმევინა. უფლებრივად დამოკიდებულება რომსა და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს შორის მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ ტახტზე ამავალს მეფეს რომის კეისრები სამეფო ნიშნებს უგზავნიდნენ. სხვაფრით საქართველო სრულიად თავისუფალი იყო და რომს თავისი ჯარიც კი არ ეყენა საქართველოში.

მესამე საუკუნის დასაწყისში სპარსეთის სამეფო ტახტზე სასანიანთა საგვარეულო გაბატონდა თუ არა, თავის ქვეყანაში მტკიცედ ფეხის მოკიდებისუმალ რომაელებს ომი აუტეხა. ამ დროითგან მოყოლებული ჯერ რომის საელმწიფოს, შემდეგ მის მემკვიდრეს ბიზანტიას ძლიერი მოწინააღმდეგე გაუჩნდა, სპარსეთი მუდამ სულ იმის ცდაში იყო, რომ რომაელები და ბერძნები საქართველოთგან და სომხეთითგან განედევნა და თვით გაეწია ამ ქვეყნებში რომისა და ბიზანტიის მაგიერობა. რაკი ამ უკანასკნელ სახელმწიფოთა ბატონობისათვის აღმოსავლეთში საქართველოსა და სომხეთს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, ამიტომ მათ შორის ატეხილი ბრძოლა მეტად ხანგრძლივი და გამწარებული იყო.

უკვე მეორე საუკუნის დასაწყისითგან მოყოლებული საქართველოში ქრისტიანობამ ისე მოიმაგრა ფესვები, რომ IV ს-ის პირველ ნახევარში აღმოსაქართველოში, ანუ იბერიაში მთავრობამ იგი სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა. ამიერითგან სულიერი კავშირი საქართველოს ბიზანტიასთან უფრო უნდა ჰქონოდა, ვიდრე სპარსეთთან. ერანში სახელმწიფო სარწმუნოებად მაზდეიანობა იყო. მისი ქურუმნი, მოგვები, სწორედ რომ მძულვარე ეროვნულობით იყვნენ გაჟღენთილნი. სპარსეთის მთავრობა ქართველთა და ბიზანტიელთა სარწმუნოებრივი ერთობის უაღრეს პოლიტიკურს მნიშვნელობას გრძნობდა და ამიტომაც სულ იმის ცდაში იყო, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის

ქრისტიანები, მათ შორის ქართველებიც სარწმუნოებრივად დაეშორებინა. ამ გარემოებამ უფრო გაართულა ისედაც მძიმე პოლიტიკური საკითხი და არა ერთხელ იმ ბრძოლას სარწმუნოებრივი ელფერიც კი მიანიჭა.

სპარსელებმა მაინც იმდენი შესძლეს, რომ აღმოსავლეთ იბერიაში გაიმარჯვეს და რომაელების პოლიტიკური გავლენა მოსპეს. 358 წ. იბერია ამის გამო ორად გაიყო: აღმოსავლეთს ნაწილში სპარსთა მფარველობის ქვეშე მყოფი მეფე იჯდა სამეფო ტახტზე, დასავლეთს იბერიაში რომაელთა მფარველობის სფერო იყო და მათივე მონაბრე მეფე განაგებდა ქვეყანას. IV საუკუნის დასასრულს იბერია კვლავ გაერთიანდა, მაგრამ ამასთანავე სპარსთა გავლენაც უფრო გაძლიერდა. იმდროინდელ ისტორიულ წყაროებითგან ჩანს, რომ საქართველო მაინც-და-მაინც არც ერთი ამ ორ მოქიშპე სახელმწიფოს გაბატონების მოტრფიალე არ ყოფილა არამედ ორთავესაგან თავის დაღწევა ჰსურდა და სრულ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა. მხოლოდ რაკი ამ ორ ბუმპერაზ სახელმწიფოსთან მარტოდ-მარტო ბრძოლა მას არ შეეძლო, აღმ. საქართველო, იბერია, უფრო შორეული მეზობლის პოლიტიკურ დახმარების იმედით იყო ხოლმე სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დასავლეთი საქართველო კი ამ დროს უკვე ღაზიკად წოდებული, სპარსთა დახმარებით ცდილობდა თავის დაღწევას ბიზანტიელთა მეგობრობის და მფარველობის მძიმე ტვირთისაგან.

არც ერთი მხარის დახმარებისაგან საქართველოს მაინც-და-მაინც ხეირი არ დაჰყრია. როცა ბიზანტიის დაპირებით წაქეზებულმა იბერიის მეფემ გურგენმა სპარსთა წინააღმდეგ აჯანყება მოახდინა, დაიმედებისდა მიუხედავად უმწეოდ დატოვებული იბერია სპარსელებმა დაიმორჩილეს, განრისხებულებმა 532 წ. მეფობა მოსპეს და თავის მონაპირე-გამგეს, მარზპანს დაუმორჩილეს. ამ მხრივ ბიზანტიის მფარველობა, საქმე რომ ცუდ და ანგარ მოხელეებს არ ეფუჭებინათ, მაინც უფრო ხელსაყრელი იყო: დასავლეთმა საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, სპარსეთის მფარველობის ქვეშ მყოფმა იბერიამ კი დაჰკარგა.

ქრისტიანობამ საქართველოში ქართული საეკლესიო მწერლობა შეჰქმნა. საამისოდ გამოყენებულ იქმნა უკვე წარმართობის დროს არსებული საზოგადო სახელმწიფოებრივი და სამწერლობო ენა. V ს-ში უკვე საღმრთო წერილის ქართული თარგმანიც არსებობდა, მსოფლიო ეკლესიის მარტვილობანიც ნათარგმნი ყოფილა და თავის საისტორიო და სალიტერატურო ღირსებით საგულისხმო ქართული ორიგინალური მარტიროლოგიური ნაწარმოებიც გაჩენილა. ერთმა ამგვარმა საუკეთესო ცხოველი სურათებით და წრფელი გრძნობით აღსავსე ძეგლმა, იაკობ ხუცესის ნაწარმოებმა, ჩვენამდისაც კი მოაღწია; ამ დროითგან მოყოლებული ქართული საეკლესიო, ხოლო შემდეგში სამოქალაქო საისტორიო მწერლობა შეუჩერებლივ წარმატებაში იყო.

ჯერჯერობით გამოურკვეველი საზოგადო მიზეზების გამო აღმოსავლეთსა და დასავლეთს საქართველოშიაც პოლიტიკურ-კულტურული ცენტრო უფრო აღმოსავლეთისაკენ იქმნა გადატანილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია იბერიის მეფის ვახტანგ გურგასალის დიდი ღვაწლი, რომელმაც აღმოს. საქართველოს დედაქალაქად მის მიერვე დაარსებული თბილისი აირჩია. ვითარცა

აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის მთავარ გზათაშესაყარს ადგილს, თბილისს, როგორც შემდეგდროინდელმა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამაც დაამტკიცა, უუდიდესი ეკონომიურიცა და პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა და შემდეგში სრულიად საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ცენტროდაც იქცა.

V ს-ის მეორე ნახევარში ქართულ ეკლესიას უკვე საკუთარი კათოლიკოზად წოდებული მწყემსთმთავარი ჰყავდა და თვით ქრისტიანობაც საქართველოში იმდენად ძლიერი და ნაყოფიერი შეიქმნა, რომ იერუსალიმში ქართველებს უკვე ორი მონასტერი ჰქონდათ; ერთი იბერებისა და ერთიც ლაზებისა. V ს-ში ქართველობამ ქრისტიანობას შესძინა გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი, განთქმული მაიუმელი ეპისკოპოსი, რომელიც შთამომავლობით ქართველი ბატონიშვილი იყო.

რაკი VI ს-ში სომხების გავლენიანი წრეები აღმოსავლეთის ქრისტიანობას და მონოფიზიტობას მიემხრნენ, ქართველებმა კი დასავლეთის ქრისტიანობასა და ქალკიდონის კრებას დაუჭირეს მხარი, ქართველ და სომეხ სამღვდელობასა და სამწყსოს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რომელიც 607 წელს სრული განხეთქილებით დამთავრდა. ამავე დროითგან ქართული ეკლესიისა და წმიდათა თაყვანისცემის გაეროვნულება იწყება. მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ შემდეგში გაძლიერდა და იმდენად გამტკიცდა, რომ ქართულ ეკლესიას თავისი განსაკუთრებული სახე და ელფერი მისცა.

არაბების შემოსევამ სპარსეთში სასანიანთა სახელმწიფოს არსებობას ბოლო მოუღო და ამავე დროს თავისთავად აღმოსავლეთ საქართველოში სპარსთა ბატონობაც გაქრა. სპარსეთის დამხობის შემდგომ არაბთა სარდლები და ჯარი 643 — 645 წ. სომხეთსა და საქართველოსაც ეწვივნენ. ქართველებსა და არაბებს შორის ხელშეკრულება დაიდვა, რომელშიაც ორთავე მხარის... [ფურცელს აკლია სამი გვერდი. რედ.]

საქართველოს ნიადაგზე თბილისის საამირო აღმოცენდა. თბილისის ამირას ურჩობა ხალიფასადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი რამდენჯერმე იძულებული შეიქმნა მის დასამორჩილებლად ლაშქარიც კი გამოეგზავნა. ამავე მიზეზის გამო ხალიფას არაერთხელ ქართველ მთავრებთან პირი შეუკრავს კიდეც და მათი დახმარებით თავისისავე თანამეტომის წინააღმდეგ უბრძოლია. ამგვარმა ბრძოლამ იმდენად დააუძლურა თვით ხალიფაც და თბილისის ამირაც, რომ ორივენი ხედავდნენ როგორ მაგრდებოდნენ ქართული სამთავროები და სამეფოები, მაგრამ აღარაფრის გაწყობა არ შეეძლოთ.

ამის წყალობით საქართველოში რამდენიმე სახელმწიფოებრივი ერთეული გაჩნდა. ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ მყოფი დასავლეთი საქართველო წინათაც თავისუფალი იყო და ეხლაც ხომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეენიჯა. რაკი სამეფო საგვარეულო ამ დროს აქ აფხაზური იყო, თვით სამეფოსაც სახელი შეეცვალა და წინანდელი სახელების, კოლხეთისა და ლაზიკის, მაგიერ აფხაზთა სამეფოს ეძახდნენ. ჯერ ტაო-კლარჯეთში, ხოლო შემდეგ მთელ მესხეთში და ქართლში აღორძინდა ქართლის საერისთავთ-ერისთავო, რომელიც 888 წელს სამეფოდ იქცა. აქ ქვეყნის სათავეში ბაგრა-

ტიონთა საგვარეულო იდგა. კახეთში და ჰერეთში კი კახთა ქორეპისკოპოსები ბატონობდნენ, ხოლო თბილისის საამიროს თვით საქართველოს დედაქალაქი და ქვემო ქართლი ეჭირა.

უკვე VIII ს-ის დასასრულითგან მოყოლებული თითოეული ზემოდასახელებული ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულთაგანი საქართველოს გაერთიანებისათვის ცდილობდა, ორი საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა ეს ბრძოლა, სანამ იგი მთელი საქართველოს ვაერთიანებით არ დამთავრდა. უკვე X ს-ის დამდეგითგან გამარჯვება ცხადად დასავლეთ საქართველოს მეფეებისაკენ გადიხარა, რაოგან ქართლიც მათ შეიერთეს. მაგრამ საქართველოს სრული გაერთიანება ბაგრატ III მეფობის დროს მოხდა. რაკი აფხაზთა სამეფო საგვარეულოში მამრობითი სქესის ტახტის მემკვიდრე აღარ იყო, ამიტომ ბაგრატ მეფემ, ვითარცა გიორგი აფხაზთა მეფის დისწულმა, 977-8 წ. აფხაზთა სამეფო ტახტი დაიპყრა, ხოლო თავის მამის გურგენის 1008 წ. გარდაცვალების შემდგომ იგი ტაო-კლარჯეთისა და საზოგადოდ მთელი მესხეთის ერთადერთ ბატონ-პატრონადაც იქცა. 1010 წ. ბაგრატ III-ემ კახეთიც შემოიერთა და ამის შემდგომ თბილისის საამიროს მოსპობა-ღა იყო მხოლოდ საჭირო, რომ სრულიად საქართველოს სახელმწიფოს მთელი ქართული მიწა-წყალი გაეერთებინა. ეს პროცესი ბაგრატ III-ის მემკვიდრეებმა დაამთავრეს, განსაკუთრებით ბაგრატ IV-ემ და საბოლოოდ დავით აღმაშენებელმა, რომელმაც თბილისის საამიროს სამუდამო მოსპობით და 1122 წ. თბილისის მაჰმადიანთა მფლობელობისაგან განთავისუფლებით ჩვენი ქვეყნის გაერთიანება ბრწყინვალედ დააგვირგვინა.

საქართველოს გაერთიანების პროცესი და სრულიად საქართველოს შექმნა მარტო პოლიტიკურ და სამხედრო ძალის შედეგი არა ყოფილა. საფუძვლად მას დიდი წინასწარი და თანადროული საკულტურო მუშაობა და შემოქმედება უდევს. მაშინაც, როცა საქართველო პოლიტიკურად ჯერ გაერთიანებული არ იყო და რამდენადმე ცალკე ერთეულად ითვლებოდა, საეკლესიო ჰიერარქიისა და წესწყობილების მხრივ საერთო-საეკლესიო დედაენით და მწერლობით ქართველთა მომავალი პოლიტიკური ერთობის ნიადაგი საკმაოდ იყო მომზადებული. ქართული ეკლესიის მწყემსთ-მთავარი, კათოლიკოზი, მაშინ ქართველი ერის ერთობის გაპიროვნებული გამოხატულება იყო.

საქართველოს პოლიტიკურს აღორძინებას წინ უძღოდა და თან სდევდა ძლიერი სამონასტრო აღმაშენებლობითი მოძრაობა და სამწერლობო მოღვაწეობის თვალსაჩინო გაცხოველება. სპარს-ბიზანტიელთა ომებით აოხრებულ და გაუდაბურებულ ქვეყნებში, ტაო-შავშეთ-კლარჯეთ-სამცხეში გამოჩენილ ქართველ საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელისა (760 — 861 წ.) და მის მიდევართა თაოსნობითა და წინამძღოლობით ამ მოძრაობამ საუკუნეთა განმავლობაში ქართული ხელოვნების მშვენიერი ძეგლები შეჰქმნა. მისი წყალობით უღრან ტყეებში ადამიანის ხმა გაისმა და მოსახლეობა გაჩნდა. მაგრამ მარტო საქართველოში კი არა, არამედ უცხოეთშიაც გადატანილ იქნა ქართული სამონასტრო მოღვაწეობა. წინათ თუ იერუსალიმში ქართველებს მხოლოდ ორი მონასტერი ჰქონდათ, ეხლა მათი რიცხვი პალესტინაში და საბერძნეთში უკვე ათობით

უნდა დათვლილიყო. შავს მთაზე ანტიოქიის მახლობლად და ათონის მთაზეც აგებული იყო ქართული მონასტრები. მრავალმხრივი იყო მათი მოღვაწეობა, მაგრამ განსაკუთრებით სამწერლობო-სამეცნიერო და სახელოვნებო შემოქმედებასა ჰქონდა უაღრესი მნიშვნელობა. უცხოეთში მყოფ ქართული მონასტრების საშუალებით სამშობლოში უცხო ენების ცოდნა და კულტურული ცხოვრების შემოქმედება შემოდიოდა. რაკი ქართველებს საბერძნეთის სწავლა-განათლებისა და საღვთისმეტყველო-საეკლესიო მშენებლობის ყველა უმთავრეს ცენტრებში თავიანთი მონასტრები ჰქონდათ, ამის წყალობით მათ საშუალება მიეცათ მაშინდელი განათლებული კაცობრიობის წარმატებისათვის თვალყური ედევნებინათ და კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ. ამიტომაც არის, რომ ქართულ მწერლობას თითქმის ყველა გამოჩენილი საეკლესიო მწერლების ძეგლების საუცხოო თარგმანები მოეპოვება, რომელთაც დედნის დაღუპვის გამო ეხლა მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სწრაფი ნაბიჯით დაწინაურდა ქართული საისტორიო მწერლობაც. გიორგი მერჩულისა (951 წ.). ბასილ ზარზმელისა (X-ს ის მეორე ნახ.) და განსაკუთრებით გ. მთაწმიდელის (გარდ. 1065 წ.) და გ. ხუცესმონაზონის (1066—1068 წ.) ოხზულებები იმდენად მაღალხარისხოვანი ღირსებებით არიან შემკულნი, რომ ყოველი განათლებული ერის მწერლობისათვისაც საუკეთესო სამკაულად გამოდგებოდნენ.

საყურადღებო იყო აგრეთვე ის საზოგადოებრივი მიმართულება, რომლის მოთავედ საქართველოში ცნობილი საეკლესიო მწერალი, გამოჩენილი ისტორიკოსი და დიდებული საეკლესიო რეფორმატორი გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი იყო. XI ს-ში იგი წოდებრივი უპირატესობის მნიშვნელობას საეკლესიო ჰიერარქიაში უარყოფდა და სრული თანასწორობის მქადაგებელი იყო. თავისი შეხედულება მან განახორციელა კიდეც და ამ მხრივ გიორგი მთაწმიდელი საქართველოს იმ სოციალური ბრძოლის წინამორბედად იქცა, რომელიც საქართველოში დიდგვარიან აზნაურთა წინააღმდეგ სწარმოებდა.

ქართულ საეკლესიო კედლებზე და წიგნებში შენახული მხატვრობა, ვერცხლითა და ოქროთი მოჭედილი ხატები და ნივთები, დასასრულ მშვენიერი ეკლესიები ცხადჰყოფენ, რაოდენად დაწინაურებული იყო მაშინ ქართული ხელოვნება საზოგადოდ, განსაკუთრებით კი ოქრომჭედლობა და ხუროთმოძღვრება. ამ ორს დარგში, მეტადრე უკანასკნელში, ქართველობამ შემოქმედების ისეთი თავისებურება გამოიჩინა, რომელიც მხოლოდ ქართული ხუროთმოძღვრებისათვის არის დამახასიათებელი და ამიტომაც მეცნიერებაში მას ქართული ხუროთმოძღვრება და სამხატვრო რიგი ეწოდება. მუსიკაშიაც ამ ხანში ფრიად დიდი ღირებულება იყო შექმნილი: გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო გალობის მცოდნემ და მუსიკოსმა ი ო ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ მ ა თავი შეუყარა ყველა საეკლესიო საგალობლებს და სამუსიკო ნიშნებით შემკული საგალობლების სრული კრებული შეადგინა, რომელიც ოთხასზე მეტს გვერდს შეიცავს (in folio).

დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ განამტკიცა და თბილისის არაბთ საამიროს არსებობა შოსპო. მუდმივი ჯარის დაარსე-

ბით მან საქართველოს ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა. ამ ჯარის რაოდენობა 50000 მეომარს უდრიდა. ამის წყალობით დავით აღმაშენებელმა (1089—1125 წ.) საქართველოს უძლეველი სახელმწიფოს სახელი მოუხვეჭა და ყველა გარეშე მტრებს, რომელნიც წინათ ჩვენს ქვე... [ედანს აკლია ორი გვერდი. რედ.]

... მოქმედებამ და მრავალრიცხოვანმა ლაშქარმაც ამაზე უწინარეს ვერ შესძლო საქართველოს ძლევამოსილი ჯარის წინსვლის შეჩერება: მაჰმადიანთა ლაშქარი ორჯერვე ჯერ შანქორის 1195 წ. ომში და შემდეგ რუქნადდინის საწინააღმდეგო 1206 წ. ბრძოლაში საქართველოს ჯარმა საშინლად დაამარცხა და თვით ხალიფას მიერ დასალოცავად გამოგზავნილი დროშაც კი მტერს წაართვა. ამ ორმა გამარჯვებამ და სპარსეთის ლაშქრობამ საქართველოს უუძლიერეს და პირველხარისხოვან სახელმწიფოს სახელი მოუხვეჭეს როგორც აზიაში, ისევე დასავლეთ ევროპაში. მას არც სპარსეთში, არც მთელს მცირეაზიაში თანასწორი მოწინააღმდეგე არ მოეპოვებოდა... [ედანს აკლია ერთი გვერდი. რედ.]

უკვე ბაგრატ III-მ (978 წ. 980—1014 წ.) შეიგნო, რომ საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება მტკიცე არ იქნებოდა, თუ რომ სახელმწიფო მოხელეობა წოდებრივ უპირატესობაზე იქმნებოდა დამოკიდებული. მან გადასწყვიტა, რომ აზნაურ ხელისუფალთა ურჩობისა და თვითნებობის დამღუპველი გავლენა მხოლოდ მაშინ გაჰქრებოდა, როცა მოხელეობისათვის მაღალი წოდებრივობა კი არ იქმნებოდა საჭირო, არამედ განსაკუთრებით პირადი ნიჭი და საქმისა და სახელმწიფოსადმი ერთგულება. ამ თავის გეგმის განხორციელებას მეფე ბაგრატ III შეუდგა და მიზანს მიაღწია კიდეც. დიდგვარიან მოხელეებს თავიანთი ჩვეულებრივი უპირატესობა, რასაკვირველია, არ დაუთმიათ მეფისათვის უბრძოლველად და ამ დროითგან მოყოლებული საქართველოში გაჩაღდა სოციალურ-სახელმწიფო უფლებრივი ბრძოლა, რომლის ბედი და მიმდინარეობა დავით აღმაშენებლამდის ცვალებადი იყო. ამ უკანასკნელმა დიდგვარიან ხელისუფალთა საწინააღმდეგო ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და მის დასამთავრებლად საჰხედრო ძალა, სხვათა შორის საამისოდ ახლად შექმნილი მუდმივი ჯარიც კი, მოიხმარა. მან გაბედული ნაბიჯის საშუალებით 1103 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დახმარებით დიდებული ქართველი რეფორმატორის გიორგი მთაწმიდელის აზრი განახორციელა და საეკლესიო წესწყობილებაში წოდებრივობის უპირატესობა მოსპო. შემდეგ დავით აღმაშენებელმა იგივე პრინციპი სახელმწიფო წესწყობილებაშიც განახორციელა. ამის წყალობით საქართველოში განსაკუთრებით გიორგი III (1156—1184 წ.) მეფობაში შეიქმნა სახელმწიფო ხელისუფალთა მთელი წრე, რომელიც შთამომავლობით დაბალ წოდებას ეკუთვნოდა და მხოლოდ პირადი ღირსებისა და დამსახურების გამო თვით მინისტრებად დაწინაურდა. ბაგრატ III და დავით აღმაშენებლითგან მოყოლებული თითქმის განუწყვეტლივ ხან ჩუმი, ხან ცხადი ბრძოლა სწარმოებდა უფლების გამო ერთის მხრით ამ წრისა და აზნაურთა შორის, მეორე მხრით მეფე-დიდგვარიანებს შორის.

როდესაც გიორგი III გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო ტახტზე მისი ერთადერთი მემკვიდრე ასული თამარი ავიდა. დიდგვარიანმა აზნაურებმა გადასწყვიტეს, რომ ეხლა კი მათთვის მარჯვე და ხელსაყრელი დრო დადგა და 1184—1186 წ. პოლიტიკური გაფიცვა მოახდინეს და თანაც თამარ მეფეს გადაჭრით მოსთხოვეს უგვარო ვაზირების ანუ მინისტრების გადაყენება და დამცირება. ამ მოულოდნელმა ამბავმა თამარი ისეთ გასაჭირში ჩააგდო, რომ იგი იძულებული იყო გაფიცულთა უმთავრესი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა. მაგრამ ეს ბრძოლა დამთავრებული არ იყო, რომ მეორე პოლიტიკურმა მოძრაობამ იჩინა თავი, რომელმაც პირველსავით წოდებრივი უპირატესობის მოთხოვნილება კი არ წამოაყენა, არამედ ისეთი საზოგადო სახელმწიფო-უფლებრივი საკითხი, როგორც საქართველოს მეფის უფლების შეზღუდვაა. ამ პოლიტიკური ჯგუფის აზრით საქართველოს დედაქალაქში განსაკუთრებული დაწესებულება უნდა შექმნილიყო, რომლის წევრთ სახელმწიფო და საერთლის უზენაესი საკითხები ჯერ სრულებით დამოუკიდებლად უნდა გაერჩიათ და ვადაეწყვიტათ, ხოლო შემდეგ თავიანთი გადაწყვეტილება მეფისათვის უნდა ეცნობებინათ ასასრულებლად. მაშასადამე, პარლამენტის მსგავს სახელმწიფო დარბაზს მეფის ხელისუფლება ისე უნდა შეეზღუდა, რომ მას მხოლოდ აღმასრულებლობითი ხელისუფლება რჩებოდა. თამარ მეფემ ეს იუკადრისა და ამიტომ ამ დასის მეთაურის დაჭერა ბრძანა. ამ განკარგულების ასრულებამ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ისე, რომ ეს დასი უკვე საბჭედრო მოქმედების წინააღმდეგიც არ იყო, ოღონდ მას მეთაური განეთავისუფლებინა და თავისი პოლიტიკური იდეალი განეხორციელებინა. ამგვარ გარემოებაში რომ საქმე ძმათა შორის სისხლისღვრით არ დამთავრებულიყო, თამარ მეფემ მთელი ამ მოძრაობის მოსპობა მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოინდომა. საგულისხმოა, რომ ასეთი რთული პოლიტიკური მინდობილობის აღსრულება მან ორ პატივცემულ მანდილოსანს ხვაშაქ ცოქალს და კრავა ჯაყელს დაავალა. ეს საქმე მათ მართლაც მშვიდობიანად მოაწყვეს. ამიერითგან უმაღლესი ხელისუფლების და ზავისა და ომის საკითხისა, სხვა მთავარი სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის დროსაც თამარ მეფე სახელმწიფო დარბაზის წევრთა „თანადგომითა და ერთნებობით“ ხელმძღვანელობდა. მაშასადამე, აღმასრულებლობითი ხელისუფლების მაგიერ თამარ მეფემ დამტკიცების უფლება შეინარჩუნა.

სახელმწიფო წესწყობილების ახრივაც საქართველომ ამ ხანაში თვალსაჩინო იურიდიული შემოქმედება გამოიჩინა. სამეფოს სათავეში თუმცა მეფე იდგა, მაგრამ მთავრობაც, მინისტრთა საბჭო და სახელმწიფო დარბაზიც არსებობდა, რომელნიც მეფის ხელისუფლების თანამოზიარენი იყვნენ ვითარცა მისი თანაგამზრახნი და თანამშრომელნი. მინისტრთა ყოველთა უპირველესს, რომელიც იმავე დროს მწიგნობართა უხუცესადაც იყო და ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსადაც ითვლებოდა, ისეთი ნიშვნელობა ჰქონდათ, რომ იმის დაუკითხავად საქართველოს მეფეს არაფრის გადაწყვეტა არ შეეძლო. მინისტრთა უპიოველესი მთელი სახელმწიფოს საქმეების საზოგადო ხელმძღვანელი იყო. მას სახელმწიფო საკონტროლო დაწესებულება და სახელმწიფო მდივან-მწიგნობრო ემორჩილებოდა, როგორც მეფეს მის დაუკითხავად არც ერთი

პასუხსაგები ნაბიჯი არ უნდა გადაედგა, ისევ მწიგნობართა-უხუცეს და ვაზირთა-ყოვლისა უპირველესს რთულ საკითხებში მეფის დასტური უნდა მიეღო.

საქართველოს სახელმწიფოში თავდაპირველად ოთხი ვაზირი იყო: მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა-უპირველესი, ამირსპასალარი ანუ სამხედრო მინისტრი, ფინანსთა მინისტრი ანუ მეჭურჭლეთ-უხუცესი და მანდატურთ უხუცესი (ობერცერემონიმაგისტერი და სასახლის მინისტრი). შემდეგ კიდევ ერთი მინისტრი იყო შეყვანილი თამარ მეფის მიერ მინისტრთა საბჭოში და XII-ის შუაგულში მეექვსე მინისტრიც, მსახურთ-უხუცესი, მიემატა. მინისტრთა საბჭოს, „სავაზიროს“, გარდა საქართველოში სახელმწიფო დარბაზიც არსებობდა, რომლის წევრებადაც იყვნენ ყველა მინისტრები, ერისთავთ-ერისთავები. თბილისის ამირთ-ამირა, კათოლიკოზი და ეპისკოპოსები, დასასრულ, დიდ საგვარეულოების და დიდ ვაჭრების წარმომადგენელნიც.

ქართველმა ერმა XII საუკუნეში თავისი ყოფა-ცხოვრებაც დიდად დააწინაურა. მის წარმატებულ ადამიანურ საზოგადოებრივობას ამშვენებდა დიდებული თამარ მეფის უფაქიზესი უფლებრივ-ზნეობრივი შემეცნება, რომლის საუკეთესო გამოხატულებად ერთის მხრით სიკვდილით დასჯისა და ყველა დამასახიჩრებელი სასჯელების ამოკვეთა უნდა ჩაითვალოს, მეორე მხრით ღარიბ-ღატაკთა შესახებ სახელმწიფოს მზრუნველობა და ქონებრივი დახმარება, რისთვისაც საქართველოში სამეფოს მთელი შემოსავლის 10% იყო ხოლმე ყოველწლიურად გადადებული.

ამავე ხანში უხვად გაიფურჩქნა ქართული სამეცნიერო, საისტორიო და მხატვრული მწერლობაც. მეცნიერთა და ფილოსოფოსთა შორის მაშინ ისეთი გამოჩენილი პირები ბრწყინავდნენ, როგორიც იყვნენ ნეოპლატონურობის მქადაგებელი იოანე პეტრიწი, მეცნიერი ფილოლოგოსი, კომენტატორი და სამაგალითო მკვლევარი ისტორიკოსი ეფრემ მცირე (მოღვაწეობს XI საუკ. მესამე მეოთხედში) და არსენი იყალთოელი. ამ დროს შეიქმნა ქართული ორიგინალური საფილოსოფიო მწერლობაც. საისტორიო დარგში ისეთი შესანიშნავი თხზულებები იყო დაწერილი, როგორიც ნიკოლოზ კათალიკოზის, დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის ისტორიკოსების ნაწარმოებებია.

აღსანიშნავია განსაკუთრებით ხელოვნების უაღრესი განვითარება, რომელმაც ისეთ საფეხურებამდის მიაღწია მუსიკაში, რომ სამუსიკო შემოქმედება ცალკე, საგანგებო დარგადაც კი იქცა. სიტყვების შეთხზვა და ჰანგის დაწერა ამ დროს უკვე ორი ერთიმეორისაგან განცალკევებული შემოქმედების დარგები იყო და, როდესაც ჰსურდათ რომ სიტყვებისთვის საკალობელი ჰანგიც ყოფილიყო შეთხზული და დაწერილი, მაშინ ამაში დახელოვნებული, ცნობილი პირებისათვის უნდა მიემართათ. XII ს-ში სასულიერო მუსიკის კომპოზიტორთა შორის იოანე კათალიკოზი ყოფილა განთქმული.

აღმოსავლეთის ქრისტიან ერთა შორის მხოლოდ ქართველებმა შესძლეს ასე ადრეულ საშუალო საუკუნეებში მხატვრული ნწერლობის და საერო პოეზიის შექმნა: არც ბიზანტიელებს, არც სომხებს, არც ასურელებს მაშინ არაფერი ამის მსგავსი არ ჰქონიათ. XI საუკუნითგან ქართველები სადარბაზო შესხმების და ისტორიული პოემების შეთხზვას შეუდგნენ. თამარ მეფის დროს საქართვე-

ლოში მხატვრული პოეზიის სხვადასხვა დარგი არსებობდა და თითოეულ მათგანს ცალცალკე წარმომადგენლებიც ჰყავდა. იმდროინდელი საზოგადოების მაღალი გონებრივი განვითარებისა და ფაქიზი გემოვნების წარმოსადგენად საკმარისია ადამიანმა გადაიკითხოს თუნდა გამოჩენილი ვერსიფიკატორისა და მეხოტბის ჩახრუხაძის თხზულებები, მაგრამ ქართული მხატვრული შემოქმედების მშვენება გენიოსი შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი ს განთქმული პოემა „ვეფხისტყაოსანი“-ა, რომელშიაც ქართული რაინდულ-პლატონური სიყვარულისა და თაყვანისცემის აღფრთოვანებული ქადაგებაა ჩაქსოვილი. გასაოცარი შემოქმედებითი აღმაფრენით გამოქმული, იგი ამავე დროს ადამიანისა და ცხოვრების დაკვირვების ისეთს ბრძნულ სიღრმეს შეიცავს, რომ შოთა რუსთაველის მარგალიტივით ასხმულ მრავალს ლექსებში გაბნეული აზრები შემდეგში საუკეთესო ხალხურ ანდაზებადაც კი იქცნენ. „ვეფხისტყაოსანი“-ს ავტორი ქართული სიტყვისა და ლექსის სწორუპოვარი ხელოვანი იყო: მისი ლექსი აზრების იმდენად სრული, ძლიერი და მომხიბლავი გამოხატულებაა, რომ მთელი ნაწარმოები შთამომავლობისათვის ქართული პოეზიის სამაგალითო, მაგრამ მაინც მიუწდომელ ძეგლად იქცა.

აზიისა და ევროპის საზღვარზე მყოფმა ქართველმა ერმა იმოდენი სულიერი და გონებრივი სიღრმე-სიფართოვე გამოიჩინა, რომ ამდროინდელი აღმოსავლეთის კულტურის საუკეთესო გამოხატულობის სპარსულ-მაჰმადიანური მხატვრული მწერლების შეყვარება და შეთვისებაც შესძლო, უაღრესად ქრისტესმოსავი ქართველობა ისევე სტკბებოდა სპარსულ-ისლამური და აზერბაიჯანული ხელოვნების მშვენიერი შემოქმედებით, როგორც თვით მკვიდრი მაჰმადიანი. დასავლეთი თგან ამავე დროს ბიზანტიური რენესანსიის ცხოველმყოფელმა სიომ დაჰბერა, ძველ ბერძნულ-საისტორიო მხატვრული და საფილოსოფოსო ძეგლების შესწავლა დაიწყო და ამ ნიადაგზე საქართველოში ელინურობა აღმოცენდა. ბიზანტიის ეს უმშვენიერესი მონაბერი ქართველმა ერმა არამცთუ შეითვისა, არამედ თავისი საუკეთესო შვილების პირით თვით ბიზანტიაშიც ამ მოძრაობის ნაყოფიერ მონაწილედ იქცა. თავის სამშობლოში კი მას აღმოსავლეთის გონებრივ საუნჯის ნაკადული შეუერთა და ამით გააპოხიერა და გაამრავალფერადა. ამის წყალობით საბერძნეთითგან მან შეითვისა ის, რაც არც ერთს მაშინდელ აღმოსავლეთის მაჰმადიანს ერს შეთვისებული არ ჰქონდა, და შეძენილი ჰქონდა აღმოსავლეთისაგან ის, რაც მაშინდელს ბიზანტიას აკლდა: აღმოსავლეთის მშვენიერი მრავალფერადი ხელოვნებისა და კულტურის განძეულობა. მაშინდელი განათლებული საბერძნეთი ისეთი დაუკხრომელი ბრმა და მედიდური მძულვარებით იყო გამსჭვალული მაჰმადიანობისადმი, რომ მისი თვალი აღმოსავლეთის ისლამურს კულტურასა და ფერადოვანს ხელოვნებას ვერ ხედავდა და მისი მომხიბლავი, მდიდარი პოეზიისათვისაც ყურები დახშული ჰქონდა. [ეედანს აკლია ორი გვერდი. რედ.]

ყველაფერი მოჰაეალში საქართველოს უფრო მეტს გაძლიერებასა და დაწინაურებას უქადდა: საქართველოს სახელმწიფოს ძლევამოსილებისა და ბრწყინვალების ხმამ დასავლეთ ევროპამდისაც მიაღწია. რომის პაპმა საქართველოს მეფეს, დიდებული თამარ მეფის შვილს ლ ა შ ა - გ ი ო რ გ ი ს, ეპისტოლე გა-

შოუგზავნა, რომელშიაც სთხოვდა საქართველოს სახელოვანი ჯარითურთ ჯვაროსანთა ომში მონაწილეობა მიეღო. ჭაბუკი მეფის რაინდულს სულს დიდი ხანია თავისთავადაც ეს აზრი იზიდავდა და, როცა მას პაპისაგანაც წერილი მოუვიდა, მაშინ მან თავისი დასტური და თანხმობა შეუთვალა და ჯვაროსანთა ომში მონაწილეობის მიღებისათვის სამზადისს შეუდგა. ამ აზრით გატაცებული ლაშა-გიორგი გაცხარებულ სამზადისში იყო, რომ ერთმა სრულებით მოულოდნელმა გარემოებამ მთელი ეს გეგმა დაამსხვრია და საქართველო უდიდეს განსაცდელში ჩააგდო.

დასავლეთ ევროპასთან შედარებით აღმოსავლეთი მით იყო უბედური, რომ იმ დროს როდესაც ევროპას ხალხთა დიდ გადმოსახლების შემდგომ უკვე ადამიანთა მოძრაობის სტიქიური ძალა აღარ უნახავს და მისი მყუდრო ცხოვრება და კულტურული განვითარება ამგვარი შემოსევის ტალღებს აღარ წაულეკავს, აღმოსავლეთი, განსაკუთრებით სპარსეთი, მცირე აზია და კავკასია საუკუნეთა განმავლობაში ამგვარი გამანადგურებელი სტიქიონის მსხვერპლი ყოფილა მრავალჯერ. ამის გამო მისი სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების ბუნებრივი მიმდინარეობა არა ერთხელ შეწყვეტილა.

1221 წ. მოულოდნელად საქართველოს სრულებით უცნობი ხალხის ლაშქარი შემოესია. ორგზისი ბრძოლის შემდგომ იგი უკან გაბრუნდა. ეს მონღოლთა პირველი შემოსევა იყო საქართველოში, რომელსაც ათი წლის შემდეგ უკვე მეორე შემოსევა მოჰყვა. ამჟამად კი მონღოლებმა საქართველოს მაგრად მოჰკიდეს ხელი და მისი აღმოსავლეთი ნაწილი მთლად ლიხის მთამდის დაიპყრეს. ვითარცა გაუნათლებელი ხალხი, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ საკუთარი ანბანიც კი არ ჰქონდა, უბინადრო და საგვარეულო წესწყობილების პირველ საფეხურზე მდგომი, მონღოლები მაშინდელ განათლებულ აღმოსავლეთს და საქართველოსაც მხოლოდ მოუხეშავ, გამანადგურებელ და დამაქვეითებელ ძალად მოევლინენ.

საქართველოში სამეფო ტახტზე მაშინ ლაშა-გიორგის დაჲ, რ უ ს უ დ ა ნ ი, იჯდა. მონღოლების შემოსვლისთანავე იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქ შეაფარა თავი. მონღოლებმა ყოველწლიურ ხარკად 50000 ოქრო იკმარეს ქართველებისაგან და ლაშქრის მიშველება ყველგან, სადაც მონღოლებს დასჭირდებოდათ. რუსუდან მეფე მონღოლებს მაინც არ ენდობოდა და სატახტო ქალაქში დაბრუნებას ვერ ბედავდა. თავის მხრივ ვაზირები და სხვა დიდი ხელისუფლები დასავლეთ საქართველოში მეფესთან გადასვლას ვერ ახერხებდნენ. ამის გამო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და საქმეები აიწეწა. ასეთს პირობებში რუსუდანმა სამეფო ტახტზე თავის შვილის დასმა არჩია და 1243 წ. თბილისში გამოგზავნა. მონღოლებმა ტახტის მემკვიდრე პატივისცემით მიიღეს და თავიანთ წესისაებრ ყაენთან გაგზავნეს ყარაყორუმში სადარბაზოდ და დასამტკიცებლად. რაკი ის დიდი ხნის განმავლობაში არც თიოონ დაბრუნებულა საქართველოში, არც რაიმე ამბავი მოსულა, ამიტომ საქართველოს მთავრობამ იფიქრა, რომ ტახტის მემკვიდრეს რამე ხიფათი შეემთხვა და მოკვდა. აიღეს და ეხლა მეფე ლაშა-გიორგის უკანონო შვილი დ ა ვ ი თ ი აირჩიეს მეფედ. მონღოლებმა იგიც შესაფერისი პატივისცემით 1246 წ. ყაენთან გაისტუმრეს ყა-

რაყორუმში. დიდხანს არც ამის შესახებ ის მოდა რამე. მეფე რუსუდანიც 1249 წ. დარდისა და მწუხარებისაგან გარდაიცვალა. საქართველო უმეფოდ დარჩა. ქვეყნის ისედაც რთული მდგომარეობა უფრო გაუარესდა. რაკი მონღოლებს მრავალცოლიანობა ჰქონდათ ადათად, ამიტომ მათთვის კანონიერი და უკანონო შვილი ერთიდაიგივე იყო. ამასთანავე მონღოლთა სახელმწიფო სამართალი კერძო მეურნეობითს თვალსაზრისს ჯერ არ გასცილებოდა და საყაენო ტახტზე ოდენი მოსაყდრე ადიოდა, რამდენი შვილიც დარჩებოდა განსვენებულს ყაენს. ისინი იყოფდნენ ხოლმე საყაენოს თავის ოაოდენობისდა შესატყვისად საუფლისწულოების მსგავსად. ამიტომ როდესაც მონღოლთა ყაენმა თავის ურდოში საქართველოს სახელმწიფოს ორი ტახტის მემკვიდრე იხილა, მან უდავიდარაბოდ ორივე მეფედ დაამტკიცა და დაახლოებით 1250 წ. საქართველოში გამოისტუმრა. თუ წინათ საქართველო სრულებით უმეფოდ იყო დარჩენილი, ეხლა ერთის მაგიერ სამეფო ტახტზე ორი იჯდა და ორთავეს დავითი ერქვა.

თანდათან, როცა მონღოლებმა მცირე აზიასა, სპარსეთში და საქართველოში ფეხი მოიმაგრეს, პირველი შეთანხმებისდა მიუხედავად ქვეყნის შინაურ საქმეებშიც ჩარევა დაიწყეს და ხარკიც საშინლად გაადიდეს. რომ უფრო დანამდვილებით სცოდნოდათ, თუ რამდენი მეომრის გამოწვევა შეეძლო ამა თუ იმ სახელმწიფოთაგან მეშველად და რამდენი ხარკის მოკრება მოხერხდებოდა იმის გარდა, რასაც ისინი იღებდნენ, მონღოლებმა მთელს თავისს უზარმაზარს საბრძანებელში ხალხისა და უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა მოახდინეს, რასაკვირველია მათი ბატონობის ქვეშე მოქცეული თითოეული სახელმწიფოს მოხელეების საშუალებით. ამ 1254 წ. აღწერის შემდგომ მონღოლებმა საქართველოს მარტო ლაშქრობაში მეშველად ყოველწლიურად 90000 მეომარი მოსთხოვეს. წინათ გადაკვეთილი ხარკის მაგიერ მათ მრავალი სხვადასხვა ახალი გადასახადი და სავაჭროზეც ბაჟი შემოიღეს. ამას გარდა თავიანთი მოხელეების სასარგებლოდაც ხარკი დააწესეს და მონღოლთა შიკრიკებისა და მალემსრბოლთათვის ქართველებს ცხენების მიცემაც დააკისრეს.

დავითმა, რუსუდანის ძემ, ითავითვე მონღოლთა ბატონობისა და თვითნებობის ტვირთი ვერ აიტანა, მალე უჩუმრივ საქართველოს დიდაქალაქითგან დასავლეთ საქართველოში გადავიდა და სამუდამოდ ქუთაისში დამკვიდრდა. რაკი მონღოლებმა ლიხთიმერეთის დაპყრობა ვერ მოახერხეს, დასავლეთმა საქართველომ მონღოლთა მონობას თავი დაახწია. იქ ამის წყალობით მყუდროება სუფევდა და ხალხსაც მშვიდობიანი ცხოვრება შეეძლო. ჯერ კიდევ უმეფობის დროს მონღოლთა კირთება საქართველოსთვის იმდენად მძიმე და შემაძრწუნებელი შეიქნა, რომ საქართველოს მმართველი წრეები 1249 წ. აჯანყების მოწყობის მზადებას შეუდგნენ. მაგრამ მონღოლებმა ეს გარემოება შეიტყეს, შეთქმულების ყველა მოთავეები შეიპყრეს და საპმე ჩაიფუშა ამის გამო.

ახალი წესებისა და გადასახადების შემოღების შემდგომ ხომ უფრო გაჭირდა აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრება. 90 000 ქართველი ჯარისკაცის მონღოლთა დაუსრულებელ სამეჯრო მოქმედებაში მონაწილეობის მიღება სწორედ რომ გამანადგურებელი შეიქმნა ჩვენი სამშობლოსა და ერისათვის, რად-

გან ქართველებს ხან სპარსეთში, ხან მცირე აზიაში, ხან ბაღდადის ასაღებად, ხან ეგვიპტეშიაც კი უხდებოდათ ბრძოლა და თავის განწირვა. თვით მეფეც ამის გამო იძულებული იყო მომეტებულ წილად საქართველოს გარეშე ყოფილიყო ხოლმე და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მიეტოვებინა. ამის წყალობით საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება შეირყა და დაირღვა, განსაკუთრებით რაკი მონღოლთა ნოინები და ხანები ზოგჯერ შინაურ საქმეებშიც კი ერეოდნენ ხოლმე.

მონღოლთა მიერ უძრავ ქონებაზე დაწესებული გადასახადები იმდენად მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას, რომ მამული მას ვერ ასდიოდა და დიდი მემამულეებისათვის ხომ იმდენად საზარალო შეიქნა, რომ თითქმის ხარჯებს ვერ ჰფარავდა. მრავალგვარი გადასახადების საშუალებით მონღოლებმა დიდ-ძალი ფული გამოსწოვეს საქართველოს. ამის გამო ჩვენ ქვეყანაში ფული ძალზე შემცირდა და ძნელი საშოვარი გახდა. ფული გაძვირდა, მიწას კი ფასი დაეკარგა და ამოძრავდა: ვალებით დატვირთული იგი ხელითგან ხელში გადადიოდა. ამის გამო მიწისმფლობელნი, მეტადრე რასაკვირველია მსხვილი მესაკუთრენი, მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ და გაღარიბდნენ. საქართველო დიდს ეკონომიურს განსაცდელში იყო. ხალხმა ვეღარ გაუძლო ხარკების სიმძიმეს და აუტანელი მდგომარეობითგან თავის დაღწევაზე დაიწყო ფიქრი: მონღოლთა ოფიციალური ცნობების მიხედვითაც მცხოვრებნი თვით საქართველოს ქალაქებითგანაც კი იყრებოდნენ და გარბოდნენ. რამდენად გაკადნიერებული უნდა ყოფილიყვნენ მონღოლები და როგორი სიმკაცრით მოქმედებდნენ ისინი ჩვენს ქვეყანაში, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ თვით მეფესაც კი სავაჭრო ბაჟს ახდეინებდნენ.

ამოდენი შევიწროება და შეურაცხყოფა ვეღარც მეფე დავითმა, ლაშა-გიორგის ძემ, აიტანა და 1259 წ. მონღოლებს ჯერ აუჯანყდა, ხოლო როდესაც დარწმუნდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა, ისიც აიყარა, და 1260 წ. დასავლეთ საქართველოში თავის მამიდაშვილთან ქუთაისში შეიხიზნა. ამას 1261 წ. ატეხილ შინაურ ბრძოლის გამო მალე სამეფოს გამგეობისა და სახელმწიფო საშურველის ორად გაყოფაც მოჰყვა, იმისდა მიუხედავად რომ მეფე დავით ლაშას ძე მონღოლებს შეურიგდა და 1262 წ, ისევ თბილისში დაბრუნდა. ეს თუმცა თვით საქართველოს სახელმწიფო მთლიანობას არ ეხებოდა იმიტომ, რომ ქვეყანა კვლავინდებურად განუყოფელი რჩებოდა, მაგრამ უკვე მარტო ის გარემოება, რომ საქართველოში ორი მეფე იჯდა, რომელთაგან ერთი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა გამუდმებით და თბილისში არ მოდიოდა, მეორეს კი იმ აღმოსავლეთ საქართველოში ჰქონდა მუდმივი საჯდომი, რომელიც მონღოლთა ბატონობის წყალობით პოლიტიკურად ლიხთიმერეთისაგან განსხვავდებოდა, ჩვენი ქვეყნის და ერის მთლიანობისათვის დიდს საფრთხეს წარმოადგენდა. ხოლო რაკი ორთავე მეფეს თავისი შთამომავლობა ჰყავდა, რომელიც ამ ორ-მეფიანობის მდგომარეობას აგრძელებდა, ცხადი იყო, რომ შემდეგში ცოტაოდნად მაინც ხელშეწყობ პირობებში ორ-მეფიანობა საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულისა და ერთობის სამარედ უნდა ქცეულიყო.

ამასთანავე მონღოლებმა ისეთნაირად ფეხქვეშ გათელეს საქართველოს მეფის ღირსება, რომ როდესაც მათს ყაენს ეჭვი შეეპარა, ვითომც მეფე დიმიტრი II მისი მოწინააღმდეგე ნოინების თანამოაზრე და შეთქმულების მონაწილე ყოფილიყოს, მან დიმიტრი თავისთან დაიბარა განსაკითხავად. საქართველოს მეფეს შეეძლო თავისთვის ეშველა, ყაენს არ მიჰნებებოდა და მიუვალ მთებში შეხიზნულიყო; მაგრამ, რაკი მან იცოდა, რომ ყაენი ამისთვის შურს იძიებდა, საქართველოს მაგიერს გადაუხდიდა და უდანაშაულო ხალხს დახოცავდა, დიმიტრი II-ემ ისევ თავისი თავის განსაცდელში ჩაგდება ირჩია და ყაენთან წავიდა. მეფის ეჭვი სრულიად გამართლდა: თავის ნებით ურდოში მოსულს დიმიტრი II-ს ყაენის ბრძანებით 1289 წ. თავი მოჰკვეთეს. ამ შეგნებული თავგანწირულობით მეფემ ქართველი ერი და საქართველო აუცილებელი განადგურებისაგან იხსნა და ამის გამო ქართველმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა, თვით ერმა და შუამამავლობამ კი მოწიწებით მას „დიმიტრი თავდადებული“ უწოდა.

ამგვარად, მონღოლთა ბატონობამ საქართველოს მთლიანობის დარღვევას ნიადაგი მოუმზადა, სახელმწიფო წესწყობილება და ეკონომიური კეთილდღეობა შეარყია, იმდენად შეამცირა მოსახლეობა, რომ XIII ს-ის დასასრულს ზოგ ადგილას მცხოვრებნი სრულებით აღარ იყვნენ და ქვეყანა გაუკაცრიელდა. აღსანიშნავია, რომ ხალხის კულტურული ვითარება მაშინ ისე დაქვეითებულა, რომ მონღოლთა მიმბაძველობით საქართველოს უმაღლეს წრეებში ორ- და სამცოლიანობამაც კი იჩინა თავი. ასეთს განსაცდელში მყოფს ქართველ ერს სულითა და ზნეობით ძლიერნი პიროვნებანიც ჰყავდა, რომელნიც ნიკოლოზ კათალიკოზისა და აბრაამივით გაბედულად ებრძოდნენ ამგვარს ზნეობადაცემულობას, და ისეთი განთქმული მქადაგებელი როგორც პიმენ გარეჯელი იყო, დალესტანში ქრისტიანობა რომ გაავრცელა და ლეკები გააქრისტიანა.

XIV ს-ის დამდეგს მონღოლთა უზარმაზარმა სახელმწიფომ თავისი დღენი დალია: ნოინთა ურთიერთშორისმა ქიშპობამ და ბრძოლამ ძალა გამოაცალა მას და დააშლა. საბედნიეროდ საქართველოშიც მაშინ სამეფო ტახტზე ისეთი ძლიერი ხელმწიფე და შესანიშნავი მოღვაწე იჯდა, როგორიც გიორგი V ბრწყინვალე იყო, რომელსაც პირად მამაცობასა და სამხედრო ნიჭთან ერთად დიდი პოლიტიკური შორსგამსჭვრეტელობა და სახელმწიფოებრივი შემოქმედების ნიჭი ჰქონდა, მან მონღოლთა დაქსაქსულობით ისარგებლა, დაამარცხა და სრულებით განდევნა ისინი აღმოსავლეთ საქართველოთგან. ამასთანავე კავკასიის ზოგიერთ მთიელთა ქურდული თავდასხმა მან ძირიან-ფესვიანად მოსპო, დასასრულ, მეფემ მონღოლთა ბატონობის დროს გალაღებული და ურჩობაშიჩვეული მაუალი მოხელეებიც ალაგმა და თავის ქერქში ჩააყენა. მაგრამ გიორგი ბრწყინვალის უდიდესი ღვაწლი იმაში მდგომარეობდა, რომ მონღოლთა წყალობით დარღვეული საქართველოს ერთობა წინანდებურად აღადგინა და სახელმწიფოს საზღვარი აღმოსავლეთით კვლავ კასპიის ზღვამდე მიიყვანა.

როდესაც საქართველოს აღდგენას და გაძლიერებას მორჩა, გიორგი ბრწყინვალე შინაურ აღმაშენებლობას შეუდგა. ქართველ მთიელთა სოციალური

და უფლებრივი ვითარების გასაუმჯობესებლად მან საგანგებო საკანონმდებლო კრება მოიწვია და მათ ცხოვრების შესაფერისი სამართლის წიგნი შეადგენინა. მონღოლთაგან დაშლილი სახელმწიფო წესწყობილების აღსადგენადაც შესატყვისი ძეგლი შეიქმნა. ამ ხანში გონებრივადაც ქართველობას აღორძინება დაეტყო და ქართულ მწერლობას სხვათა შორის ისეთი შესანიშნავი საისტორიო ძეგლი შეეძინა, როგორიც ქართველი ჯამთააღმწერელის დიდი თხზულებაა.

საქართველოს დამშვიდებული ცხოვრება არც ამ შემთხვევაში ყოფილა ხანგრძლივი. XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ჩვენს ქვეყანას, იმგვარადვე როგორც დანარჩენს მაშინდელს აღმოსავლეთს, მრისხანე თემურ-ლენგის მეთაურობით კვლავ მონღოლები ეწვივნენ, მაგრამ წინანდელად უკვე წარმართნი კი არა, არამედ გამაჰმადიანებულნი. თუ წინათ მონღოლთათვის სარწმუნოებრივს განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და თავიანთ სარწმუნოების გავრცელება ფიქრადაც არ მოსვლიათ, ეხლა ისინი, როგორც ახლადმოქცეულს შეეფერება, მებრძოლ მოშურნეობას იჩენდნენ და ხმლითა და იძულებით ცდილობდნენ დამორჩილებულ ერთა შორის ისლამის გავრცელებას. ამგვარად, იმ საშინელს ხოცვა-ჟლეტას და ქვეყნის აოხრებას, რომელიც მონღოლთა პირველ შემოსევასა და ბატონობის ხანას თანსდევდა, ეხლა სარწმუნოებრივი მძულვარებაც და დევნულობაც დაერთო ზედ. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად წინანდელზე უფრო საშინელი და გამანადგურებელი უნდა ყოფილიყო თემურ-ლენგის შემოსევა.

როცა თემურმა სპარსეთიც ხელში ჩაიგდო და დაიმორჩილა, ეხლა საქართველოს დაპყრობისათვის სამზადისს შეუდგა. 1386 წ. იგი რჩეული ნაცადი ჯარითურთ უეცრივ ყარაბაღითგან საქართველოს დედაქალაქს თბილისს მოადგა, სადაც თვით მეფე ბაგრატიც იმყოფებოდა. ქართველთა მედგარი და თაკვანწირული ბრძოლისდა მიუხედავად თემურ-ლენგმა ისე შეაწუხა თბილისის ციხეში მყოფი მეომარნი და თვით მეფეც, რომ გამარჯვების სასოება წარეკვეთათ. ამიტომ ბაგრატ მეფე იძულებული შეიქმნა მონღოლთაგან თავისთვის უვნებლობის ფიცი ეთხოვა და თბილისის ციხე და ქალაქი მათთვის დაენებებინა. თემურმა მეფე ბაგრატი ჯერ დიდის პატივისცემით მიიღო, მაგრამ, როცა აიყარა და ყარაბაღში დაბრუნდა, ისიც თან წაიყვანა. შემდეგ თემურ-ლენგმა თავისი ჯარი კახეთის ასაოხრებლად გაგზავნა. საქართველოს მეფე ყაენს დატყვევებულივით ჰყავდა და ძალას ატანდა, რომ ქრისტიანობა უარეყო და გამაჰმადიანებულიყო. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ თემურ-ლენგმა მაინც მეფე აიძულა მაჰმადიანად ქცეულიყო. ამის შემდგომ ყაენმა ბაგრატი დიდი საჩუქრებით დატვირთული საქართველოში გამოისტუმრა.

თემურ-ლენგი თავრიზში იყო, რომ 1398 წ. ამბავი მოუტანეს, ქართველები თავის ჯარითურთ ნახჭავანს მოუხდნენ და ციხე აიღეს და მთელი არეზის გაღმართი დაიჭირესო. ყაენმა ეს მოქმედება საქართველოს ისეთ კადნიერებად ჩამოართვა, რომელიც მის უშიშროებასა და ქედმოუხრელობას მოასწავებდა. ამიტომ მან განრისხებულმა ქართველთა მკაცრი დასჯა გადასწყვიტა. საგანგებოდ შერჩეული ‘ლაშქრითურთ ის 1399 წ. საქართველოს მეორედ, ხოლო 1401 წ. მესამედ შეესია. სამხედრო მოქმედებას თემური 1401 და 1402

წელშიაც აწარმოებდა. ქვემო ქართლი, მესხეთი, დასავლეთი საქართველო აფ-ხაზეთითურთ უკიდურეს ჩრდილოეთის საზღვრამდის მონღოლთა თარეშისა და სამხედრო მოქმედების ასპარეზად იქცა. თავგამოდებული მამაცური ბრძოლა იყო ორთავეს მხრით. დაუნდობელნი იყვნენ მონღოლნი ყოველთვის, როდესაც მათ მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ. ქართველები იძულებული გახდნენ გელაქუნი, ანისი და სხვა ციხე-ქალაქები დაეცალათ. ვერავითარი სიმაგრე, თვით მიუდგომელად მიჩნეულიც კი, მონღოლთა ლაშქარს ხანგრძლივ წინააღმეგობას ვერ უწევდა; ყოველგვარი საბრძოლველი მანქანებითა და იარაღებით ცდილობდნენ ისინი თავიანთი მიზნის მიღწევას, ამისათვის თემურ-ლენგი არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა. როდესაც ქართველები მრავალრიცხოვანს გულადს მტერს უკვე ციხეებში ვეღარ უმაგრდებოდნენ, გამოქვაბულებში შეეფარნენ და იქითგან განაგრძობდნენ თავგანწირულს ბრძოლას. მაშინ ყაენმა კლდეზე ზევითგან საბლებით კალათები ჩამოაშვებინა და შიგ თავის ჯარისკაცები ჩასხა. ქართველი და მონღოლთა მეომარნი ასეთ პირობებშიაც განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს. ქართველები ხმლებით სჭრიდნენ საბლებს. კალათები მონღოლთა ჯარისკაცებითურთ უფსკრულში ცვიოდნენ და იღუპებოდნენ. თავის მხრივ მონღოლები ისრების წვერზე ძველ ჩვრებს ახვევდნენ, შემდეგ ნავთს ასხამდნენ და ცეცხლმოკიდებულს გამოქვაბულებში ესროდნენ ქართველებს, რომ ან მათთვის ცეცხლი მოედოთ და დაეწვათ, ან არადა კვამლით დაეხრჩოთ. სწორედ ასეც მოხდა. შეუბრალებელნი იყვნენ თემურ-ლენგის ჯარისკაცნი. და მაშინაც კი, როდესაც ღონემიხდილი მოპირდაპირე იარაღსა ჰყრიდა და თავისით ჰნებდებოდა, დანდობა არ იცოდნენ და ყველას ხოცავდნენ ხოლმე. აოხრდა და განადგურდა მთელი საქართველო: სხვაფრივ ნაწილობრივ დაზიანების გარდა 700 სოფელი და ქალაქი მთლად მიწასთან იყო გასწორებული. არ დარჩენილა არც ერთი შესანიშნავი ქართული ეკლესია საქართველოს შუაგულში, რომ თემურს არ დაენგრიოს. თვით დიდებული სვეტიცხოველი, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის კათალიკოს-პატრიარქის საყდარიც, ვერ გადურჩა ამ ხვედრს. ადვილი წარმოსადგენია, რამოდენი ხალხი უნდა დაეკარგა ქართველობას ამ საშინელს, უსწორო ბრძოლაში.

მაშინ გიორგი მეფემ დესპანის პირით თემურ ლენგს მორჩილება გაუცხადა და ქვეყნის დაწყნარება სთხოვა აკლებისაგან, მაგრამ ის ამით არ კმაყოფილდებოდა და თვით მეფისაგან პირადს დარბაზობას თხოულობდა, მხოლოდ როდესაც მეფემ ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა ყაენს და სხვათა შორის 1000 ცხენი, 1000 თემურის სახელით შემკული ოქროს ფული, მრავალი მშვენიერი და ძვირფასი ქსოვილი, ბროლისა, ოქროსი, ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი და ერთი ბადახშანის ლალი, რომელიც 18 მისხალს იწონიდა და ფასდაუდებელი იყო, თემურის კარის ისტორიკოსის შერეფ ედდინ ალი იეზდის სიტყვით, მისი გული მომლბალა და მრისხანება დაცხრა. ყაენმა სამაგიერო საჩუქრები გამოუგზავნა გიორგი მეფეს და საქართველოთგან წავიდა.

ს ა ძ ი ებ ლ ე ბ ი*

I. პირთა და ტომთა სახელები

ა

აბაზასძე ბილა ამირეჯიბი 250.
აბატაჲ (ჰულაგუ ყაენის ჯარის უფროსი) 183.
აბაღა ყაენი, აბაღა ხანი, აბაღა (ჰულაგუ ყაენის უფროსი შვილი) 184, 186—188, 190, 191, 193—208, 213, 216, 218—222, 225, 226, 245.
აბაში სიქანალიძე («იხილა მეფე სიქანალიძემან აბაშმან») 222.
აბელა მალაქია. მალაქია ბერი, მალაქია (სომეხი მემატიანე) 8, 9, 12—16, 18, 19, 75, 84, 102, 104, 124, 140, 148, 174, 178, 182, 183, 193—197, 199, 203, 204.
აბრაამ კათალიკოზი, აბრამ (დიმიტრი II თავდადებულის დროს) 229, 230, 242, 244, 248, 249, 255, 322.
აბუ ბილი იბნ-სინა, ავიცენა (განთქმული არაბი მეცნიერი, მკურნალი, ფილოსოფოსი და პოეტი, 980—1037) 28.
აბულახტარის ძე მგელა ნ. მგელა აბულახტარის ძე.
აბულეთის ძენი 225.
აბულეთის ძე ძაგან 231.
აბულფარაჯი (ასურელი ისტორიკოსი) 102—106.
აბულფედა (არაბი ისტორიკოსი, გარდ. 1331 წ.) 34—37, 64.
აბუ საგიდ პასან ბასრელი (გარდ. 728 წელს ჩვ. წ. ა.) 27.
აბუსაიდი (ერანის ყაენი) 266, 267, 273.
აბუ ჰაგიდ ბაჰადურ-ხანი 215.
აბუ-საგიდ ბენ-აბულხაირ (სპარსელი პოეტი) 28.
აბუსერიძე ტბელი (XIII საუკ.) 72.
აბხაზი ნ. აფხაზი.
ადრიანე კეისარი 310.
ავაგ მხარგრძელი (ათაბაგი და ამირსპასალარი, ძე ივანე ათაბაგისა) 51, 62, 67, 72, 95, 97—99, 101, 111—113, 121, 123, 127, 128, 138, 141, 143, 144, 147, 148, 161, 166, 214, 224, 225.
ავარები 68.
ავართა ყივჩაყნი 68 ნ. აგრ. ყივჩაყნი.
ავგაროზისშვილი ნ. გრიგოლ შინდას ძე ავგაროზისშვილი.
ავიცენა ნ. აბუ ბილი იბნ-სინა.
აზატ-მოსე (რუმის თურქმანთა მეთაური) 256.
აიდარბაგნელნი 49.
ალათემურ, ალადემურ, არადამუ, არადამური 180—183.
ალამუთი 142.
ალანნი 52, 67.
ალ-ასირი (არაბთა ისტორიკოსი) ნ. იბნ ალ-ასირი.
ალასტანელი: გიორგი მეფე (ანდრონიკეს ძე, ალასტანელი) 125; ალასტანელისა შვილი დავით ნ. დავით V.
ალ-აშრაფი, აშრაფი, მელიქ ალ-აშრაფი (ხლათის მფლობელი, ძმა ჰასან ჯელაირისა) 39, 61.
ალექსანდრე (დავით VI-ის ძე) 151, 244.
ალექსანდრე (ერისთავი იმერთა თემურ-ლენგის შემოსევის დროს) 291.
ალექსი კომნენი (ამისი ასულია ანა-ხუტლუ) 256, 278.
ალთუნი (ულუ-დავითის მეორე ცოლი ან საყვარელი) 145—147.
ალთუხანი 122.
ალი ელაშრაფი 66.

* შედგენილია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის აპირანტის გიგა მიქაძის მიერ.

ალი იეზდი ნ. შერეფ ედდინ ალი იეზდი.
ალინაყი (აჰმად ყაენის სარდალი, ამისი ძეა ყურუმჩი-ბაადურ) 203, 206 — 208, 223, 251.
ალინჯა 307.
ალიყანი 223, 238.
ამანელისძენი, ამუნელისძენი 152.
ამენელას ძის ასული ნ. თამარი (დედოფალი, დავით IV-ის ცოლი).
ამირეჯიბი: ნ. ბეშქენ ამირეჯიბი; ჭილა აბაზაძე ამირეჯიბი; კახაბერ ჩიჯავაძე.
ამირ ველი, ველი 193, 288.
ამირ შიხ იბრეიმ ნ. შიხ იბრეიმ.
ამუნელისძენი, ამანელისძენი 152.
ანა დედოფალი (კახთა მეფის ალექსანდრე I-ის (1476 — 1511) ცოლი, ამისი ბრძანებითაა გადაწერილი ე. წ. „ანასეული ქართლის ცხოვრება“, 1.
ანა კომნენოსი, ანა, კჳრ-ანნა, კომნენი (ტრაპიზონის კეისრის ასული, ბაგრატ V-ის მეორე ცოლი) 283 — 285, 291, 297.
ანა-ხუტლუ, ანა (ალექსი კომნენოსის ასული, ვასილ I-ის და) 278 — 280.
ანდრონიკე II, ლასკარისი (მიხეილ VIII პალეოლოგოსის შვილი, ბიზანტიის კეისარი) 212, 276.
ანდრონიკე (ამისი ძეა გიორგი მეფე, ალასტანელი) 125.
ანდრონიკე (XIV საუკუნე) 125.
არაბები, არაბნი 1, 27, 312, 314.
არაგვის მთიულნი 260, 261 ნ. აგრ. მთიულნი.
არაგვისხეველნი 261, 268.
არადამური, არადამუ ნ. ალათემური.
არაყ-ბული 185.
არსენი იყალთოელი (ქართველი მეცნიერი; დაახლ. 1050 — 1125) 317.
არსენი შვიდაგან ძე (მანგლელი მთავარეპისკოპოსი) 135.
არსენი ეყონდიდელი (რუსუდან მეფის თანამედროვე, ვაზირთა-უპირველესი და მწიგნობართ-უხუცესი) 114.
არტაგი (იბერიის მეფე) 310.
არფა 248.
არქუნი, არქვანი, არქონი, ნ. ენუქ არქუნი.
არღუნი, არღუნ ამირი 89, 153, 157, 159, 160, 162 — 167, 170, 175, 177.
არღუნ ყაენი, არღუნ ოირადი (ძე აბაღა ყაენისა) 223, 224, 226 — 232, 235, 239 — 241.
ასურეთის თურქნი 121.
ასურელები 317.
აფხაზი, აბხაზი 2, 60, 67, 68, 101, 232, 237, 282, 283, 299, 312, 313.
აღალარ ნ. ღალბური.
აღბული (ათაბაგი და ამირსპასალარი) 258.
აღბული (ვარამ გაგელის ძე) 93, 100, 113, 127.
აღლურ ნ. ღალბური.
აშრაფი ნ. ალ-აშრაფი.
ახალციხელი: ნ. ივანე ახალციხელი, შალვა ახალციხელი.
ახალციხელნი 48, 225.
აჰმადა ნ. აჰმად ყაენი.
აჰმადა სურამელი, ჰამადა სურამელი (მსახურთუხუცესი და ქართლის ერისთავი, ბეგა სურამელის შვილი) 250, 253.
აჰმადი (თავრეყის სულტანი) 288.
აჰმად ყაენი, აჰმადა (აბაღა ყაენის ძმა) 218, 219, 222, 223, 225.

ბ

ბაადური, ბადური (დემეტრე II-ის ძე) 220, 230.
ბაადური (მონგოლთა მებრძოლი) ნ. ყურუმჩი.
ბაგრატ III (ძე გურგენისი, 975 — 1014) 257, 313, 315.
ბაგრატ IV (ძე გიორგი I-ისა, 1027 — 1072) 313.
ბაგრატ V, ბაგრატ პანკრატიანი (სრულიად საქართველოს მეფე, დავით IX-ის ძე, 1360 — 1393) 282 — 286, 289 — 292, 295 — 303, 307, 323.
ბაგრატი (ძე მიქელისა, დავით IV-ის შვილისა) 269, 302.
ბაგრატოვანნი 134.
ბაგრატ პანკრატიანი ნ. ბაგრატ V.
ბადანდას ძე ნ. იოანე დეკანოზი.
ბათო ყაენი 80, 86, 89, 113 — 118, 127, 145, 158, 159, 178, 248, 249.
ბაიდუ, ბაიდუ (მონგოლთა ბატონიშვილი) 242, 245, 246.

ბაკურციხელი: ეგარსლან ბაკურციხელი 123, 124, 127, 138, 142—144.
ბალალი 178, 179.
ბალახა ნ. ბალღა შეიბანის ძე.
ბალღა შეიბანის ძე. ბალაღი, ბალახა, ბალღა (ჯუჩის შვილიშვილი) 178—182.
ბანდას ძე ნ. იოანე დეკანოზი.
ბაადუ, ბაიდუ (მონგოლთა ბატონიშვილი) 242, 245, 246.
ბარათაშვილი: ბარათაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ 19, 20, 124, 125, 178.
ბარახა, ბორაყი (ყაენი, ადუსუნ-ტუა-ს ძე, თაგუდარის მამა) 60, 194, 195, 197—200.
ბართლომე 274.
ბარტოლდი ვ. ვ. 8, 13, 58, 75, 76, 79, 83, 87—91, 159, 215.
ბარძრბერდელი: ნ. ვარდანი (სომეხთა ისტორიკოსი).
ბარ-ჰებრეუსი (ასურელი მწერალი) 179.
ბასილ ზარზმელი (ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, ავტ. „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“-სა, დაწერ. X საუკ. პირველ ნახევარში) 314.
ბასილი (ტრაპიზონის კეისარი, ძე ტრაპიზონის კეისრის ალექსი II-ისა) 279.
ბასილი ეზოს-მოძღვარი (თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი, ავტ. „ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი“-სა, დაწერ. XIII საუკ. პირველ მეოთხედში. ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი ეს ძეგლი გამოცემულია 1944 წელს) 146, 317.
ბასილი უჯარმელ-ქუონდიდელი (მწიგნობართუხუცესი) 232.
ბასრელი: აბუ სიგიდ ჰასან ბასრელი (გარდ. 728 წელს ჩ. წ. ა.) 27; ოაბიდეი-ი გადავიდაე ბასრელი (გარდ. 801 წელს ჩ. წ. ა.) 28.
ბატუტა (იბნ ბატუტა) 90.
ბაქრაძე დ. (ისტორიკოსი, 1827—1890) 34, 149, 174, 239, 258, 282, 293.
ბაჩუ (მონგოლთა ნოინი 113, 154, 155.
ბაჰადური საბადა 7.
ბეგა სურამელი, ბეგაი (ქართლის ერისთავი, გრიგოლ სურამელის ძე, რატის მამა) 117, 223, 245.
ბეგ-ფოლადი 287.
ბედიანი 2, 172 ნ. აგრ. დადიანი ბედიანი.
ბედიანი: ცოტნე დადიანი ბედიანი 111, 123, 138—140, 142, 167.
ბეილაქანელები 39.
ბეჟბარსი ნ. ფანდუყდარ ბეჟბარსი.
ბერეზინი ი., პროფ. 76—80, 86, 88, 90, 92.
ბერეუერონი ა. (გამომცემელი) 32, 75, 76, 107, 108, 112, 116, 118, 132, 137.
ბერქა ყაენი, ბერქა (ოქროს ულუსის მბრძანებელი, გარდ. 1265 წ.) 168—171, 174, 176, 178, 180—188, 213, 224, 231.
ბერძენნი, ბერძნები 216, 219, 256, 274, 309, 310.
ბექას ასული ნ. ნათელა (ბექა ჯაყელის ასული).
ბექა ჯაყელი, ბექა ციხისჯვარელი-ჯაყელი, ბექა ათაბაგი (მეპურპლეთუხუცესის ყვარყვარეს ძე, მანდატურთუხუცესი, სამცხის მთავარი) 7, 17, 219—222, 237, 240, 244—246, 249, 251, 256—258, 263, 264, 271, 291, 295, 296.
ბეშქენ ამირეჯიბი 117, 127.
ბიბარსი (ეგვიპტის სულტანი) 192.
ბიზანტიელები, ბიზანტიელნი 310—312, 317.
ბიჩოი (ნოინი) 71.
ბიჯნისელები 70.
ბლალთა ნ. ბალღა.
ბლოშე ე. (გამომცემელი) 68, 194.
ბოლღა ნ. ბალღა.
ბორაყი, ბარახა (ყაენი, ადუსუნ-ტუუას-ს ძე, თაგუდარის მამა) 60, 194, 195, 197—200.
ბორღარნი 83.
ბოცო (ჯაყელი, მამა მეშნასი და ბოცოსი) 3, 53, 54.
ბოცოს ძე მეშნა ნ. მეშნა ჯაყელი.
ბოცოს ძე შალვა ნ. შალვა ბოცოს ძე.
ბოცო ჯაყელი, ბოცო ბოცოს ძე (მეშნას ძმა) 3, 53, 54, 56, 57.
ბროსე მ. (აკად., Brosset M., 1802—1880) 5, 16, 34, 37, 102, 103, 148, 150, 151, 156, 159, 163, 174, 190, 192, 217, 218, 221, 242, 250, 256, 258, 287, 290, 300, 302, 305.
ბუკისძე: ბუკისძისეული მამული 285.
ბურსელი ივანე ნ. ივანე ბურსელი.
ბუღა, ბუღა ჩინგსანგი (არღუნ ყაენის ვაზირი, ამისი შვილის მეუღლე იყო დიმიტრი თაედადებულის ასული რუსუდანი) 218, 223, 224, 227—229.
ბუღა თურქი („თურქი მონაჲ“, გამოილაშქრა საქართველოზე 853 წელს) 58, 59.

გ

გაგელი 72, 214.

გაგელი: ნ. ვარამ გაგელი.

გალსტუნსკი კ., პროფ. 87.

გამრეკელი 117, 126, 127.

გამრეკელი თორელი 123, 124, 138 ნ. აგრ. თორელი გამრეკელი.

გამრეკელი თორელი: ნ. კახა გამრეკელი თორელი, სარგის გამრეკელი თორელი.

განძაკელი: ნ. კირაკოზ განძაკელი.

განძელნი, განძელები 2, 3, 37, 40.

გარდაბანელნი 93.

გარესჯელი: ნ. პიმენ გარესჯელი.

Gebb 193.

გვანცა, გუანცა დედოფალი («კახაბერისძეთა, რაჭის ერისთავთა ასული», ავაგ ათაბაგის ცოლ-ყოფილი, შემდეგ ცოლი დავით V-ისა, რომელთანაც შეეძინა დიმიტრი თავდადებული) 147 — 149, 161, 162, 166 — 171, 175, 215.

გვარამაძე ვაჩე (მსახურთუხუცესი) 135.

გილანელნი 219.

გიორგი III (დემეტრე I-ის უმცროსი ძე, თამარ მეფის მამა, 1156 — 1184) 101, 258, 259, 315, 316.

გიორგი IV, გიორგი-ლაშა, ლაშა-გიორგი, ლაშა (თამარ მეფის ძე, 1213 — 1222) 1 — 8, 16 — 18, 20 — 27, 31 — 34, 37, 44, 80, 81, 85, 86, 102 — 108, 112, 113, 115 — 119, 123, 124, 126 — 136, 143, 145, 153 — 155, 158, 161, 162, 171, 172, 185, 207, 232, 239, 319, 321.

გიორგი V, გიორგი ბრწყინვალე (სრულიად საქართველოს მეფე, დემეტრე II თავდაფებულის ძე, 1299, 1314 — 1346) 220, 230, 237, 249 — 251, 254, 257 — 259, 262, 266 — 272, 274 — 278, 280, 322, 324.

გიორგი (სრულიად საქართველოს მეფე, გიორგი VII, ბაგრატ V-ის ძე, 1393 — 1407) 284, 285, 291, 292, 296, 299, 301, 302, 305 — 307.

გიორგი (აფხაზთა მეფე) 313.

გიორგი (ვირშელ ერისთავის ძე, ქვენიფნელი ერისთავის ძმა) 262.

გიორგი, გიორგი ბ. ტონიშვილი, გ[illegible] (დავით VII-ის უმფროსი შვილი მეორე ცოლის — ალთუნისაგან) 81, 145, 146, 162, 175, 176, 189, 190.

გიორგი ბრწყინვალე ნ. გიორგი V.

გიორგი მერჩული 173, 314.

გიორგი მეფე (ანდრონიკეს ძე, ალასტანელი) 125.

გიორგი მთაწმინდელი (ცნობილი ქართველი საეკლესიო მწერალი, გამოჩენილი ისტორიკოსი და დიდებული საეკლესიო რეფორმატორი, იგივე გიორგი ათონელი, 1009 — 1065) 314 — 316.

გიორგი ხუცესმონაზონი (გიორგი მთაწმინდელის მოწაფე, 1066 — 1068 წლებში დაწერა «ცხოვრებაჲ გიორგი ათონელისაჲ») 314.

გიუჴ ყაენი (მონღოლთა დიდი ყაენი) ნ. გუიუჴ.

გოზალიშვილი გ. 130.

გორგიჯანიძე ფარსადან ნ. ფარსადან გორგიჯანიძე

გრიგოლ IX (რომის პაპი) 108, 109.

გრიგოლი (სახლთუხუცესი, ავაგ ამირ სპასალარის წარმომადგენელი მონგოლთა ხანთან) 98.

გრიგოლ მიძოშატი 280.

გრიგოლ სურამელი (ქართლის ერისთავთა-ერისთავი, მსახურთუხუცესი, ამისი ძეა ბეგა) 117, 123, 124, 126, 135, 160.

გრიგოლ შინდას ძე ავგაროზისშვილი 307.

გრიგოლ ხანძთელი (ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების დამწყები, ააშენა რამდენიმე მონასტერი, მათ შორის ხანძთის სავანე, საიდანაც მიიღო სახელწოდება ხანძთელი, 759 — 861. გრ. ხანძთელის ცხოვრება 951 წელს აღწერა გიორგი მერჩულმა) 173, 313.

Григорьев В. 76.

გუანცა დედოფალი ნ. გვანცა დედოფალი.

გუგუნა მაყაშვილი ნ. მაყაშვილი გუგუნა.

გუიუჴ, გიუჴ, გუჴუჴი, გუჴჯჴ ყაენი (მონგოლთა დიდი ყაენი) 113, 117, 132 — 134, 136, 137, 142, 144, 155, 174.

გულქან-ხათუნ (საქართველოს მეფის ასული) 283.

გუჴუჴი ნ. გუიუჴ.

გურგასალი ვახტანგ (იბერიის მეფე, ვახტანგ გორგასალი, მირდატის ძე) 311.

ბურგენი (მეფეთა-მეფე, ბაგრატ II-ის ძე, ბაგრატ III-ის მამა, გარდ. 1008 წ.) 311, 313.
ბურიელი 111, 284.

დ

დადიან-ბედიანნი, დადიანი ბედიანი 101, 172 ნ. აგრ. ბედიანი.
დადიანი 2, 275.
დადიანი: დადიანისეული «ქართლის ცხოვრება» 20.
დადიანი ნ. ცოტნე დადიანი ბედიანი.
დავით IV, დავით-ნარინი. დავით მეფე (დავით VI, რუსუდან მეფის ძე, 1245—1293) 35, 101, 103—105, 107, 108, 111—115, 117—119, 121, 123, 124, 127—130, 132—137, 141, 146, 150—159, 162, 163, 168, 171—175, 195, 202, 204—209, 211, 212, 232, 235—241, 244, 269, 320.
დავით V, ულუ-დავითი, ლაშას ძე (ლაშა-გიორგის უკანონო შვილი, დავით VII, 1247—1270) 24, 31, 32, 80, 81, 85, 86, 90, 102, 103, 105—108, 112, 113, 115, 117—119, 123, 124, 126—137, 141, 143—149, 153, 155, 157—167, 172, 174, 175, 177, 178, 185, 188—192, 205, 206, 215, 216, 226, 231, 232, 236, 239, 240, 319—321.
დავით VI, დავით მეფე, დ'თ (დავით VIII, დემეტრე II თავდადებულის ძე, 1293—1311) 125, 214, 217—219, 224, 230, 236, 240—255, 259.
დავით აღმაშენებელი (დავით IV აღმაშენებელი, გიორგი II-ის ძე, 1089—1125) 15, 21, 22, 58, 59, 125, 245, 257, 276, 313—315, 317.
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ავტ. «ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი», ივ. ჯავახიშვილით—არსენ ბერი, კორნ. კეკელიძით—არსენ საღირისძე. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით დაწერილია 1123—1126 წწ.
დავითი (ებრაელთა მეფე და წინასწარმეტყველი) 298.
დავითი (კავკასიის მეფე) 200, 232.
დავითი (ბაგრატ V-ის ძე) 284, 285, 297, 299.
დავითი (დავით IX, გიორგი V ბრწყინვალის ძე, 1346—1360) 260, 261, 268.
დავით-ნარინი ნ. დავით IV.
დავით-ულუ ნ. დავით V.
დარუბანდელი, დარუბანდელნი 7, 8, 224.
დემეტრე II, დიმიტრი თავდადებული, დიმიტრი მეფე (დავით VII-ისა და გვანცა დედოფლის ძე, გიორგი V ბრწყინვალის მამა, 1271—1289) 125, 146, 148, 161, 162, 175, 176, 207, 213—221, 223—229, 231—240, 242—245, 249, 252, 257, 258, 322.
დეფერემერი (Defrémery M.) 37, 42—44, 48, 65 48, 65.
დვალი, დვალნი 262, 299.
დიმიტრი. I (დემეტრე I, დავით IV აღმაშენებელის ძე, გიორგი III-ის მამა, 1125—1156) 22.
დიმიტრი თავდადებული ნ. დემეტრე II.
Dorn B. 8, 215.
ღ'ოსსონი 242.
დურძუკნი 67.
დუღდა, იტუღატა ნოინი 97.

ე

ებრაელნი 276.
ეგარსლან ბაკურციხელი 123, 124, 127, 138, 142—144.
ეგვიპტელნი 222.
ეგნატაშვილი ბერი (ავტ. «ახალი ქართლის ცხოვრებისა», XVIII საუკ. დამდ. ძველი გამოცემულია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ 1940 წ.) 282, 286, 287, 290—301, 305.
ევროპელნი 110.
ეთე ჰერმანი (პროფ.) 28.
ელადნი 276, 277.
ელაშრაფი ალი 66.
ელები 157, 180—182.
ელენე (ბაგრატ V-ის პირველი ცოლი) 284, 285, 291.
ელიოზი (ქართლისა კათალიკოზი) 285.

ელ-კალკამანდი ნ. შეჰაბ ედდინ ელ-კალკამანდი.
ელმულკი ნ. შერეფ ელმულკი.
ელ-მუჰიბბი 275.
ელომარი ნ. იბნ ფადლალლაჰ ელომარი.
ელპუსაკნი ნ. ყარამალიქ თაჯედინ ელპუსაკნი.
ემენელას ძის ასული, ემანუელის ძის ასული ნ. თამარი (დავით VI-ის ცოლი).
ემინი (გამომცემელი) 13, 20, 169, 185.
ენ ნესევი ნ. ნესევი.
ენუქ არქუნი, არქონი, არქვანი 175 — 177.
ერანის მონღოლები 267, 269.
ერაყელი 163, 165.
ერ-კახნი ნ. ჰერ-კახნი.
ესუქნი (ედედოფალი, «დიდისა ჭორომაღონოინისა და დიდისა სირმა-ნოინისა და», დავით VII-ის მეოთხე ცოლი) 149.
ეფთვიმე მთაწმინდელი (ექვთიმე ათონელი, 955 — 1020) 263.

ვ

ვარლამ გაგელი, ვაჰრამი (ზაქარია გაგელის ძე) 7, 15, 16, 18, 42, 67, 69, 70, 92, 95. 100, 101, 111 — 113, 123, 124, 127, 138, 143.
ვარდანი, ვარდან ბარძრბერდელი (სომეხთა ისტორიკოსი ვარდან აღმოსავლელი ანუ დიდი, XIII საუკ., ავტ. „მსოფლიო ისტორიისა“ და „გეოგრაფიისა“. ამ წიგნებში მოცემულია ცნობები საქართველოს შესახებ) 4, 5, 13, 20, 37, 41, 44, 52, 75, 92, 97, 104, 137, 169, 170.
ვასილი I (ალექსი კომნენის ძე, ანა-ხუტლუს ძმა) 278.
ვასსაფი 227, 228.
ვაჩე გვარამაძე (მსახურთუხუცესი) 135.
ვახანი (ბექა ჯაყელის მეუღლე) 256.
ვახტანგ II, ვახტანგ მეფე (დავით VI-ის ნარინის ძე, 1289 — 1292) 151, 232, 237 — 241, 243 — 245.
ვახტანგ III, ვახტანგი (დემეტრე II თავდადებულის ძე, 1302 — 1308) 218, 226, 230, 237, 248, 254, 255.
ვახტანგ VI, ვახტანგი (ქართლის მეფე, ლევანის ძე, მეფობდა სხვადასხვა დროს, 1703 — 1724) 258, 270, 286.
ვახტანგ გურგასალი (იბერიის მეფე, ვახტანგ გორგასალი, მირდატის ძე) 311.
ვახუშტი, ვახუშტი ბატონიშვილი (ქართველ მეცნიერი, ძე ვახტანგ VI-ისა) 16, 34, 119, 149, 156, 173, 174, 190, 191, 217, 218, 239, 249, 258, 259, 269, 282, 284, 285, 290 — 293, 295, 296, 299, 301 — 303, 305.
ვაჰრამი ნ. ვარამ გაგელი.
ვაჰრამი (ბლუ ზაქარიას ძე) 9.
ველი (ამირ ველი) ნ. ამირ ველი.
ველიხციხელი 124, 126.
ველიხციხელი ქალი (ლაშა-გიორგის ამისაგან ყოლა დავით VII) 24, 25, 31.
ვესპასიანე კეისარი 310.
ვირშელი (ქსნის ერისთავი) 260, 261.

ზ

ზარზმელი: ბასილ ზარზმელი (ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, ავტ. „ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“-სა, დაწერ. X საუკ. პირველ ნახევარში) 314.
ზაქარია (ამისი ძეა ვარამ გაგელი) 9, 100.
ზაქარია (შანშას ძე, მხარგრძელი, ამირ-სპასალარი) 126, 127, 167 — 170.
ზაქარია მხარგრძელი, ზაქარია (მანდატურთ-უხუცესი, ამისი ძეა შანშე მანდატურთ-უხუცესი) 7, 22, 100.
ზაქარიას ძე 113.
ზენჯანი ნ. სადრედდინ ზენჯანი.

თ

თაგუდარი (მონღოლთა ნოინი) ნ. თეგუდარი.
თავრეჟელი: ხოჯა მეჯდ ედ-დინ თავრეჟელი 184.
თავრეჟელნი 71.
თათრები, თათარნი (=მონღოლები) 7 — 9, 11, 16 — 19, 43, 60, 71, 74, 75, 77 —

80, 82, 83, 85, 86, 92, 93, 96 — 100, 106, 109 — 111, 113, 115, 116, 118, 119, 124, 129, 138 — 140, 146, 154, 160, 164, 165, 168, 171, 175, 180, 181, 185, 198 — 200, 203, 220, 221, 225, 229, 230, 247, 249, 251, 252, 254, ნ. აგრ. მონღოლები.

თალაჯარი, თალაჯარი (ნოინი) 242, 243.

თამარაშვილი მ. 6, 11, 17, 19, 33, 108, 110, 272, 277.

თამარი (დიდი, მეფეთა-მეფე, გიორგი III-ის ასული, ლაშა-გიორგის დედა, 1184 — 1213) 1, 2, 4, 22, 23, 32, 34, 94, 101, 208, 258, 316 — 318.

თამარი (რუსუდან მეფის ასული) 35, 102 — 104, 106.

თამარი, ემენელას ძის ასული, ემანუელის ძის ასული (დავით VI-ის ცოლი, დედოფალი) 149 — 152.

თამარი (დავით VII-ის ასული, შეეძინა ალთუნისაგან) 146, 147, 226.

თამარ მეფის ისტორიკოსები: ნ. თამარ მეფის ისტორიკოსი (პირველი ისტორიკოსი) და ბასილი ეზოს-მოძღვარი (მეორე ისტორიკოსი).

თამარ მეფის ისტორიკოსი (თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი, ავტ. «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი»-სა; თ. ჟორდანია თი ანტონ ჭყონდიდელია, პ. ინგოროყვა თი—სარგის I თმოგველი, ს. კაკაბაძეთ — ჭიაბერ მანდატურთუხუცესი, კორნ. კეკელიძეთ—არსენ იმნელი. თხზ. დაწერილია 1213 წ. შემდეგ, უკანასკნელად გამოცემულია აკად. კორნ. კეკელიძის მიერ 1941 წ.) 15, 146, 317.

თამერლანი 302. ნ. თემურ-ლენგი.

თამთა (ივანე ათაბაგის ასული) 70.

თალაჯარი, თალაჯარი (ნოინი) 242, 243.

თაყაიშვილი ე. 119, 123 — 126, 135, 140, 174, 292.

თაჯედინ ელჰუსაინი ნ. ყარამალიქ თაჯედინ ელჰუსაინი.

თაჯედინი ქილიჯი 61.

თაჰირი (სულთან მაჰმადის შვილი) 286.

თბილელი სპარსელები 53 — 55 ნ. აგრ. სპარსელები.

თბილელი ყადი, ყადი ტფილელი 248, 249, 255, 292.

თეგუდარი, თექუდარ, თაგუდარ, ნიკუდარ, ნუკუდარ, ნიქუდარ, ნიგუდარ (მონგოლთა ნოინი, ბარახა ყაენის უმცროსი ძმა) 149, 191, 193—207.

თეგუდარიანნი 203, 204.

თეიმურაზი: თეიმურაზისეული «ქართლის ცხოვრება» 134, 140, 178, 228.

თემურ-ბეგი ნ. თემურ-ლენგი.

თემურ-ლენგი, თემურ-ბეგი, ლენგდემორ, ლანგდემური 270, 284 — 287, 289 — 300, 302 — 307, 323, 324.

თემური 82.

თენგრი (მონღოლების ღვთაება) 75, 76.

თეოდორა, კვრა-თეოდორა (ტრაპიზონის კესარის იოანე II-ის და) 150, 212.

თექუდარი (მონღოლთა ნოინი) ნ. თეგუდარი.

თმოგველი: ხ. სარგის თმოგველი.

თმოგველნი 251, 254.

თოლაქ-დემური (თეგუდარის ლაშქრის შეთაური) 203.

თომა მეწობელი (ბომეხთა ისტორიკოსი, მოძღვარი, 1376/1379 — 1446 წწ., ავტ. „ლანგ-თემურისა და მის მემკვიდრეთა ისტორიისა“. ძეგლში მოცემულია ცნობები XIV — XV სს. საქ-ის შესახებ) 286 — 289, 293 — 296, 298 — 300.

თორელი: ნ. მალვა თორელი, კახა გამრეკელი თორელი, ლიპარიტ თორელი, სარგის გამრეკელი თორელი.

თორელი გამრეკელი 138 ნ. აგრ. გამრეკელი თორელი.

თორელნი 2, 46, 101, 251, 254.

თორლაი 138.

თოხთა (ოქროს ულუსის ყაენი, 1290—1312) 249, 251.

თოხთამიში, თოხთამიშ-ხანი (ოქროს ულუსის მბრძანებელი თემურ-ლენგის დროს) 249, 287, 288.

თული (ჩინგიზხანის ძე) 84, 178.

თურქ-ბერძენნი 256 ნ. აგრ. ბერძენები.

თურქები, თურქნი 82, 256, 278, 279, 289, 292.

თუკალი (ნოინი) 245, 246.

ი

ადგარი, ედგარი (დემეტრე II-ის ძე) 220, 230.

აკობ ბუცესი (იაკობ ცურტაველი, ქართველი მწერალი V საუკ. დამლევისა, ავტ. „წამებაჲ წმ. შუშანიკისი დედოფლისაჲ“-სა. აკად. კორნ. კეკელიძის შეხედულებით თხზ. დაწერილია 476—483 წწ.) 331.

ალლურ ნ. ღალხური.

ალაშა (ჩინგიზხანის მიერ საქართველოში წარმოვლენილი თავადი) 7.

ალ[ფ]-ბუღა 223.

ალშუტი (ალიღა ყაენის სარდალი) 188.

ამერი, ამერნი 283, 308, 312.

ანნ ალ-ასირი (არაბთა ისტორიკოსი) 37—41, 43, 44, 46, 48—55, 59, 61—65.

ანნ ბატუტა ნ. ბატუტა.

ანნ ფადლალლაჰ ელომარი (არაბი მწერალი, ვარდ. 1348 წ.) 273—277.

ანბრეიმ შიხი ნ. შიხ იბრეიმ.

ადგარი, იადგარი (დემეტრე II-ის ძე) 220, 230.

ეუზდი ნ. შერეფ ედდინ ალი იეზდი.

ივანე ნ. იოვანე.

ივანე (ამისი ძეა შანშა მხარგრძელი) 250.

ივანე ათაბაგი (ივანე ამირსპასალარი, ამისი ძეა აგვა ამირსპასალარი) 5, 7, 8, 9, 11, 12, 16—20, 22, 33, 38, 42, 44—47, 49, 51, 52, 61, 66, 70, 98, 112, 138, 147.

ივანე ახალციხელი (შალვა ახალციხელის ძმა) 45, 46, 48.

ივანე ბურსელი, იოვანე ბურსელი 248, 249, 252, 254, 255.

ივანე მხარგრძელი 59.

ივანე ციხისჯვარელი ჯაყელი (იგივე ყუარ-ყუარე, «მთავარი ქუეყანისა სამცხისა») 100.

იმერელი 299.

იმერნი 7, 32, 45, 67, 138, 171, 291.

ინოკენტი IV (რომის პაპი) 110.

იოანე II (ტრაპიზონის კეისარი) 210—212.

იოანე XXII (რომის პაპი) 271, 272.

იოანე, ივანე (მანდატურთუხუცესის დიდისა შანშას ძე) 160, 216, 223.

იოანე დეკანოზი (ბადანდას ძე) 277.

იოანე კათალიკოზი (XII საუკ.-ში) 317.

იოანე მტბევარი ნ. მტბევარი.

იოანე პეტრიწი (ქართველი მეცნიერი, ნეოპლატონურობის მქადაგებელი, დაახლ. 1055—1130) 317.

ოვანე ბურსელი ნ. ივანე ბურსელი.

ოსური (ნოინი) 71.

ირინე პალეოლოგი (ასული ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე III-ისა, თანამეცხედრე ტრაპიზონის კეისრის ბასილისა) 279—281.

ისა ზეგი (ამირა) 287.

იტუღატა ნოინი, დუღადა 97.

იყალთოელი: არსენი იყალთოელი (ქართველი მეცნიერი, დაახლ. 1050—1125) 317.

კ

კაბუდჯამე ნ. ხუსრეტ ედინ მუჰამმედის ძე კაბუდჯამე.

კაენელი, კაენელები, ოკაენელი (ქანებაის ერთი მოდგმა) 98, 308.

კავკახიის მთიულნი 322.

კაკაბაძე ს. 114, 125, 135.

კალკაშანდი ნ. შაჰაბ ედდინ ალ-კალკაშანდი.

კარნუკალაქელი 5.

კარპინი პლან (მოგზაური, რომის პაპის დესპანი) 32, 75, 77, 78, 81—85, 107, 108, 112, 116—120, 126, 128, 130—132, 136—138.

კასკები, კოლხოდ, კაპხი, კოლხი 308.

კატრმერი (ფრანგი მეცნიერი) 90, 163, 176, 179, 184, 185.

კახაბერისძე, კახაბერისძენი (რაჭის ერისთავი) 147, 172.

კახაბერ კახაბერის ძე (რაჭის ერისთავი), 206—208.

კახაბერ ჩიჯავაძე (ამირეჯიბი) 285.

კახა გამრეკელი თორელი, კახა თორელი (მეჭურჭლეთუხუცესი) 160, 165, 203.

კახა თორელი ნ. კახა გამრეკელი თორელი.

კახნი 2, 121, 213.

კეკბანი ნ. ეუჯ აბეკ კეკბანი.

კილიჯ-არსლანი (ტოღრილ შაჰის მაჰა) 34.
კირაკოზ განძაკელი, კირაკოსი (სომეხთა ისტორიკოსი, კირაკოს განძაკეცი, მოძღვარი, 1201/3—1272 წწ. ავტ. „სომხეთის ისტორიისა“, რომელიც დაწერილია 1265—1772 წწ. წიგნში შიგადაშიგ მოიპოვება ცნობები საქართველოს შესახებ) 7, 8, 11, 13—17, 19, 37, 38, 41, 43, 44, 47, 55, 57, 58, 66, 69, 75—78, 87, 92—95, 97—100, 102—105, 107, 111—114, 126, 138, 140—142, 148, 153, 155, 161—163, 167—170, 174, 178, 182, 186, 187.
კლარჯნი 101, 164.
კომმერიელნი 308.
კომნენი: ნ. ალექსი კომნენი; ანა-ბუტლუ; ანა კომნენოსი; მიხეილ კომნენი, მანუელი (ტრაპიზონის კეისარი).
კონსტანტინე, კოსტანტინე (დავით VI ნარინის ძე) 151, 238, 244, 245, 269.
კოსტანიანი 214, 215, 218.
კოსტანტინე (კონსტანტინე I, სრულიად საქართველოს მეფე, ბაგრატ V-ის ძე, 1407—1411) 285, 299.
კოხტელნი 203.
კრავა ჯაყელი 316.

ლ

ლაზნი, ლაზები 210, 212, 279, 280, 312.
ლანგ-თემური ნ. თემურ-ლენგი.
ლაშა (დემეტრე II თავდადებულის ძე) 218.
ლაშა, ლაშა-გიორგი ნ. გიორგი IV.
ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (უცნობი პირია, XIII ს. აღწერილი აქვს დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის ცხოვრება. თხზულ. დაწერილია ლაშა-გიორგის გარდაცვალებისა და რუსუდანის გამეფების შემდეგ, ე. ი. 1223 წ. შემდეგ. 1, 2, 4—6, 11, 14, 15, 18—25, 32, 33, 36.
ლაშას ძე ნ. დავით V.
ლებო (Lébeau) 150.
ლეკები, ლეკნი 38, 52, 67, 68, 322.
Лэп-Пуль 159.
ლეონტი მროველი (რუსის მთავარ-ეპისკოპოსი, ქართველი ისტორიკოსი, XI ს. ავტ. «ცხორება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა». 16.
ლინდნერი თ. (Lindner, Th) 73.
ლიპარიტ თორელი 154.
ლიხთიმერელნი 111, 158.
ლორელები 69, 94.

მ

მაკრიზი (Makrisi, გარდ. 1442 წ.) 192, 221, 276, 277.
მალაქია (სომეხი მემატიანე) ნ. აბელა მალაქია.
მანგუდემური (მონგოლთა ჯარის მთავარსარდალი) 186, 220—222, 226, 235.
მანგუ ყანი (ამისი ძეა ყუბილა-ყანი) 117, 127, 134, 182.
მანკაბერდელი: ნ. სადუნ მანკაბერდელი.
მანოველი ნ. მანუელი (დემეტრე II-ის ძე).
მანსური (ეგვიპტის სულტანი) 222.
მანუელ I (ტრაპიზონის იმპერიის კეისარი) 209, 210.
მანუელი, მანოველი (დემეტრე II თავდადებულის ძე) 218, 219, 249.
მანუელი, კურ-მანუელ კომნენი, კარ-მანუელი (ტრაპიზონის იმპერიის კეისარი) 150, 283.
მარიამ დედოფალი („ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ნუსხა მოყვანილია XIV საუკუნემდე, გადაწერილია XVII ს-ში. გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ 1906 წ.) 20, 123, 124, 134, 140, 228, 292.
მარი ნ. (აკად. 1864—1935) 3, 76.
მარკო პოლო 58, 83, 110, 194.

«მარტენი სენ ნ. სენ მარტენი.
Marquart J. 63.
მასგუდ-ბეკ ბენ მაჰმუდ ალვაჯ ჯალაბაჯ ჩალატა, ჩალათა, ჯალატა-ბახი 71, 83, 94. 100, 141. 178, 195, 197—200.
მაუაშვილი გუგუნა 301.
მახმუდ, მაჰმუდ ხილხალელი 288.
მახუნჯაგი (ამისი ძეა მურვან გურკელი) 100.
მახუნჯაგის ძე ნ. მურვან გურკელი.
მახუნჯაგის ძე საგურკელელი 117.
მაჰმადი, (სულთანი, ამისი ძეა თაჰირი) 286.
მაჰმუდ, მახმუდ ხილხალელი 288.
მგელა ასფალახტარის ძე 114.
მეგრელი 299.
მეგვპტელი (=ეგვიპტელი) 163 ნ. აგრ. ეგვიპტელნი.
მელიტინელი პ., პროფ. 186.
მელიქ ალი-აშრაფი ნ. ალ-აშრაფი.
მელიქი (სულტანი) 20.
მელქისედეკი (XIII საუკუნე) 125.
მენა ჯაყელი, მენა ბოცოს ძე 3, 53, 56.
მენ-ხანი 76, 79.
მერჩული გიორგი ნ. გიორგი მერჩული.
მესხნი 3, 67, 100, 122, 138, 164, 165, 167, 180, 221, 222, 250, 291, 299, 308 ნ. აგრ. მუსკები.
მელა ღულის ძე, მელან ხულის ძე 178.
მეწყობელი თომა ნ. თომა მეწყობელი.
მთაწმინდელი: ნ. გიორგი მთაწმინდელი; ეფთვიმე მთაწმინდელი (ექვთიმე ათონელი, 955—1020) 263.
მთიულნი 67, 245.
მთიელნი 322.
მთიულნი 251, 270.
მითრიდატი 310.
მინაევი ი. ვ. 58, 88, 110.
მსხრელი 277.
მიჭაელი (დავით VI ნარინის ძე) 151, 244, 269.
მიქაელ კათალიკოზი (XIII ს.) 135.
მიქელ ზულის ძე, მელა ღულის ძე 178.
მიკომატი გრიგოლ 280.
მიხაილ («ბაგრატ მიხაილ შეფის ძეა») 302.
მიხეილ კომნენი, კირ-მიხაილ კომნინოსი (ძე ტრაპიზონის კესარის ალექსი II-ისა, ძმა ბასილი ყისრისა) 256, 280 281.
მიხეილ VIII პალეოლოგოსი, მიხაილ პალეოლოგოსი, პალიალოღოს (ბიზანტიის კესარი) 149, 150, 210—212.
მიხეილ პანარეტი (ბიზანტიელი მემატიანე) 150, 242, 256, 278—285, 297.
მონღოლები, მონღოლნი 6—20, 38, 39, 43, 66, 67, 71—90, 92—104, 107, 108, 110—121, 123, 124, 126, 127, 129, 130, 132, 133, 135, 137—144, 146—149, 152, 153, 155—167, 170—172, 174—178, 180, 182, 187, 189, 190, 192—196, 200—204, 206—209, 213, 214, 216, 218, 219, 221—223, 225—231, 233, 235—238, 241, 245—253, 255, 259, 263, 266—269, 273—275, 287, 290, 292, 295, 297, 300, 303—305, 319—324.
მრწლოლ-თურქნი 306.
მოსე წინასწარმეტყველი 276.
მოსხეანიკები (ქართველი ტომი) 308.
მოღის ედ-დინი ნ. მუღის ედინი.
მოკევენი ნ. ხადელ-მოკევენი.
მოჰამედ ენ ნესევი ნ. ნესევი.
მოჰამმედი ხვარაზმშა, მუჰამედი (ამისი ძეა სულტანი ჯალალედინი) 9, 12.
მოჰლიდები, ზოპლიდნი 142.
მროველი ნ. ლეონტი მროველი.
მტბევარი (ტბეთის ეპისკოპოზი): იოანე მტბევარი (X საუკ. დამლევის ქართველი მოღვაწე, ცნობილი ჰიმნოგრაფი) 314.
მოატუკანი 197.
მურვან გურკელი, მურვან გურკლელი, მურვან გურკელელი (მახუნჯაგის ძე) 165, 180.
მუხკები, მოსხოდ, მესხოდ, მესხი 308.
მუღის ედინი, მუღის ედ-დინი, მოღის ედ-დინი (რუმის სულტანის, არზრუმის მფლობელის ტოღრილ შაჰის ძე) 34, 35, 42, 64.
მუსი, მუჰიდიბე (ჯალატა ხანის პირველი შვილი) 195, 197.
მუხას ძე (თბილისის მეციხოვნე ჯარის უფროსი) 93—95.
მუჯირ ედდინ ომარ ბენ სად ხვარამზელი 42.
მუჯირედდინი (გარდ. 1521 წ.) 276.
მუჰამმედი (მაჰმადიანობის შემომღები) 27, 287.
მუჰამმედი, მოჰამმედი ხვარიზმშა (ამისი ძეა სულტანი ჯალალედინი) 9, 12.

მუჰამმედის ძე ნ. ნუსრეტ ედინ მუჰამმედის ძე კაბუდჯამე.
მცირე აზიის თურქები 122.
მხარგრძელი, მხარგრძელნი 2, 5, 95.
მხარგრძელი ავაგ ნ. ავაგ მხარგრძელი.
მხარგრძელი ზაქარია, ზაქარია (მანდატურთ-უხუცესი, ამისი ძეა შანშე მანდატურთ-უხუცესი) 7, 22, 100.
მხარგრძელი ივანე 59.
მხარგრძელი შანშე ნ. შანშე მხარგრძელი.
მკარგრძელი ნ. მხარგრძელი.

ნ

ნავროზი (ნოინი) 246—248.
ნათელა, ბექას ასული (ბექა ჯაყელის ასული, დემეტრე II თავდადებულის მეუღლე) 219, 220, 237, 257.
ნარინ-დავითი ნ. დავით IV.
ნახჭევნელნი 49.
ნესევი, მოჰამედ ენ ნესევი (ჯალალედინის ისტორიკოსი) 33, 35, 37, 41—46, 48—56, 58, 60, 61, 63—72, 102, 103.
ნიგუდარი (მონღოლთა ნოინი) ნ. თეგუდარი.
ნიკიტა ხბოლარი 280.
ნიკოლოზ კათალიკოზი (დემეტრე II თავდადებულის დროს) 218, 227, 301, 317, 322.
ნიკუდარი, ნიქუდარი (მონღოლთა ნოინი) ნ. თეგუდარი.
ნოღაჲ, ნოყაჲ (ბერქა ყაენის სარდალი) 183, 184, 188, 224.
ნუგუდარი ნ. თეგუდარი.
ნუსრეტ ედინ მუჰამმედის ძე კაბუდჯამე 61.
ნუხა ქუუნ, ქოინ. ქოუნ 184, 183.

ჲ

ჲამა (ჩინგისხანის სარდალი) ნ. ჯებე.
ჲალი ბეჲ ყაზანჩი (ამირა) 287.
ჲუსუნ-ტუა 197.
ჲუხუუ-შაჰი (დიდი ლეონისტანის ამიბაგენ) 219.

ო

ოირადი: ნ. არღუნ ყაენი; ოირადნი 223.
ოკაენელი, კაენელი, კაენელები (ჩანების ერთი მოდგმა) 98, 308.
ოლჯათ დედოფალი. (ცოლი დავით VIII დემეტრე II თავდადებულის ძისა) 255.
ოლჯათი (დავით-ნარინის ძის—ვახტანგ II-ის ცოლი, არღუნ ყაენის და) 239.
ომარ ხაჲჲამ ნ. ღიჲას-უდდინ აბულფას ომარ ბენ იბრაჰიმ ალხაჲჲამ.
ონხანი 122.
ოჲსაონი 281.
ორბელი 126.
ორბელიანი საბა (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკოგრაფი, 1658—1725) 53, 82.
ორბელიანი სტეფანოს (სომეხთა ისტორიკოსი, გარდ. 1305 წ., ავტ. „სივნიეთის ისტორიისა". თხზ. მოცემულია ცნობები საქართველოს შესახებ. ძეგლის მეცირე ნაწილი გამოც. მ. ჯანაშვილის მიერ: „Описание"..., წ. III, 1908 წ., გვ. 91—107) 4, 49, 51, 138, 152—156, 168, 169, 174, 191, 214, 216, 218, 246—248, 250.
Орбели ч. А. 66.
ორბელი სუმბატ 154, 155, 168—170.
ორბელი ტარსაიჯ (ძაბაგი, გამზრდელი დემეტრე II თავდადებულისა) 214, 215, 218, 219, 231.
ორბელნი 124.
ორტუკი, ორტული ნ. ტოლრილი.
ორხანი (ემირი) 45, 50, 60, 61.

ოსი, ოვსნი, ოსები 67, 146, 147, 245, 257, 259, 267, 268.
ოსმალები 256.
ოქოთა (ჩინგისხანის ძე) 84.

პ

პანარეტი ნ. მიხეილ პანარეტი. 168, 183.
Патканов К.) 76, 87, 104, 106. 166, 183.
Pauthier 76
პეტრიწი ნ. იოანე პეტრიწი.
პიმენ გარესჯელი (განთქმული მქადაგებელი, დაღესტანში ქრისტიანობა გაავრცელა და ლეკები გააქრისტიანა) 322.
პიპა (შალვა ერისთავის ძე) 277.
პლან კარპინი (რომის პაპის დესპანი) ნ. კარპენი პლან.
პოლო მარკო ნ. მარკო პოლო.
პომპეუსი 310.
პროკოპი კესარიელი (გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსი) 308.
პრობორე (პალესტინაში ქართველთა ჯვარის მონასტრის მაშენებელი) 276.

უ

უამთააღმწერელი (XIV ს. პირველი ნახევრის დამლეველ მცხოვრები ქართველი ისტორიკოსი, აგვიწერს საქ-ის ისტორიას ლაშა-გიორგის მეფობიდან მოკიდებული გიორგი ბრწყინვალის მეფობამდე ჩათვლით. ძეგლ. იხ.: „ქართლის ცხოვრება". შარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., 1906, გვ. 536—785) 2, 3, 6, 7, 9, 12—19, 21,—27, 31—35, 37, 41—44, 46, 47, 50—53, 55, 57, 58, 60, 64, 65, 68, 69, 71, 72, 74—77, 79—81, 83, 84, 86, 87, 89—91, 95, 97—99, 101—108, 111, 112, 114, 115, 117—119, 121—123, 126—128, 131—135, 137, 138, 140—156, 158, 159, 162—163, 165, 166, 168—171, 173, 174, 176—180, 182—188, 190, 191, 194, 196—203, 205—207, 212—214, 216—229, 231—235, 237—253, 255—258, 263, 323.
უამურელები 260, 262.
ეორდანია თ. 119, 145, 150, 259, 301, 302.
ეუკოვსკი ვალ. (პროფ.) 29.

რ

რაბაგე-ი-გადავიდეე ბასრელი (გარდ. 801 წელს ჩ. წ. ა.) 28.
რამუზიო (გამომცემელი) 58.
რატი (ქართლის ერისთავთ-ერისთავის ბეგი ხურაშელის შვილი) 223, 224, 245.
რაუსატ ეს-საფა 8.
რაშიდედინი (სპარსელი ისტორიკოსი) 9, 10, 12—15, 17, 19, 20, 41, 44, 67, 68, 81, 83, 86, 88, 90, 91, 117, 136, 137, 142, 163, 176, 178, 179, 181—186, 193—195, 197—199, 201, 202, 205, 241, 243, 248.
Розен В. П. (პროფ. არაბისტი, 1849—1908) 29.
რომაელები 310, 311.
რუბრიკვისი (მოგზაური) 75, 77, 79, 81, 82, 85, 86.
რუმი ნ. ჯალალ ალ-დინ რუმი.
რუსთაველი: შოთა რუსთაველი 318.
რუსნი 288.
რუსუდანი (მეფე, თამარ მეფის ახულ-

დედა დავით VI ნარინგსა, 1222—1245) 3, 6, 8, 9, 11, 12, 17—20, 31—37, 43, 44, 51, 53, 56, 64, 67, 68, 74, 93, 94, 96, 100—121, 124, 126, 127—135, 149, 151, 153—155, 171—173, 192, 193, 202, 204—208, 237—239, 319—321.

რუსუდანი (დემეტრე II ბაგრატიონის ასული) 218.

რუსუდანი (ტრაპიზონის კეისრის მანუელ I-ის მესამე ცოლი) 210.

რუქნადინი, რუქნედინი (რუმის სულტანი) 59, 102, 315.

ს

საბადა ბაჰადური 7.

საბა ორბელიანი (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკოგრაფი, 1658—1725) 53, 82.

საბერძნეთის თურქნი 122 ნ. აგრ. თურქნი.

საგურკლელი მახუჯაგის ძე 117.

სადრუდინ ზენგანი (ქეღათუ ყაენის ცნობილი მეჭურჭლეთუხუცესი) 243.

სადუნის ძე ხუტლუბულა ნ. ხუტლუბული.

სადუნ მანკაბერდელი (ათაბაგი) 89, 148, 178, 214, 216, 220, 224—227, 231, 237.

საზუერელი (ძე ქახაბერ ჩიჯავაძისა და ბაგრატ V-ის ასულის ულუმპიასი) 283.

სალეჰი (სულტანი) 163.

სამადავლა ერისთავი 247.

სამარყანელი 307.

სამცხელი 198.

სანპიანა (ჩინგიზხანის მიერ საქართველოში წარმოვლენილი თავადი) 7.

სარგის გამრეკელი თორელი 106.

სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი (სამცხის სპასალარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, შემდეგ სამცხის მთავარი) 7, 17, 80, 85, 163—169, 171, 177, 178, 180, 183, 200, 216.

სარგიხ ბექას ძე (სამცხის სპასალარი, შემდეგ მესხეთის მთავარი) 244, 254, 269.

სარგის თმოგველი 122, 124, 127, 128, 138, 180.

სარგის (ფარაჯანიანი) 172.

სარკინოზნი (=არაბნი) 5, 109.

საფი ედინი 66.

საჭიბ დივანი, ხოჯა შამსადინი (ჰულაგუ ყაენისა და აბაღას ვაზირი, ამისი ცოლია გვანცა დედოფლის ასული ხვაშაქი) 168, 224, 225.

სებაჲ ნ. სუბადაჲ.

სენ მარტენი (M. Saint-Martin) 42, 102, 103.

სერბნი 83.

სვანეთი, სვანნი 67, 68, 154, 155, 299.

სიბაუჩი, სიბუჩი (ხუტლუშა ნოინის შვილი) 248, 255.

სირმონ ნოინი, სირამუნი, სირმა-ნოინი, სირმონ-ბაადურ (აბაღა ყაენის ლაშქრის უფროსი) 149, 194—196, 198, 201, 205, 207, 219, 238.

სიქანდალიძე ამაში („ციხილა მეფე სიქანალიძემან ამაშმან") 222.

სოლღარ (დემეტრე II-ის მეორე ცოლი, მონღოლთა ასული) 220, 230.

სომეხი, სომხები 55, 56, 68, 104, 163, 169, 191, 196, 204, 214, 215, 312, 317.

სომხითარნი 2, 67, 101, 180, 250, 251, 254.

სპარსეთის მონღოლნი 114, 118, 123 ნ. აგრ. მონღოლნი.

სპარსელი, სპარსი, სპარსნი, სპარსელები 28, 53, 79, 159, 177, 185, 196, 246, 277, 311.

სპარს-თურქნი 246.

სპარსნი ტფილელნი ნ. თბილელი სპარსელები.

Scheffer Ch. 215.

სტეფანოს ორბელიანი ნ. ორბელიანი სტეფანოს.

სტრაბონი (ელინისტური ეპოქის თვალსაჩინო გეოგრაფოსი და ისტორიკოსი, 64 ძ. წ. ა.—23 ჩ. წ. ა.) 309.

სუბადაჲ, სებაჲ (ჩინგიზხანის მხედართმთავარი) 7, 9, 10, 12, 13, 17—19.

სუმბატ ორბელი 154, 155, 168—170.

სურამელი 127.

სურამელი: ნ. აჰმად (ჰამად), ბეგა, გრიგოლ, რატი სურამელი.

სურმარელნი 39.

Суровцев 36.

ტ

ტაოელნი 67, 101, 138, 251, 254.

ტარსაიჭ ორბელი (ათაბაგი, გამზრდელი დემეტრე II თავდადებულისა) 214, 215, 218, 219, 231.

ტალაჯარი (ამირა) 224.

ტაშატუნი 79.

ტბელი: აბუსეირიძე ტბელი (XIII საუკ.) 72.

ტიზენჰაუზენი გ. 273—275, 277.

ტოღრილი, ტუღრული, ტოღრილ შაჰი, ორტუღლი, ორტუკი (კილიჯ-არსლანის ძე, რუმის სულტანი, არზრუმის მბრძანებელი) 34—37, 64, 102, 104.

ტოღრილის ძე (რუსუდან მეფის ქმარი) 104.

ტრაპიზონელები, ტრაპიზონელნი 210, 211, 217, 218, 220, 278, 283.

ტუბალ, ტიბარენოდ, იბეროდ, იბერი 308.

ტუთარ, ტუთარ ყული, ტურ, ტუთრ ყული, ტუტარ ოღული, ხუთარ, ხუთრ ყული 178, 181, 182.

ტულიხანი (ჩინგისხანის ძე) 9.

ტუნღუზალო.* ტუღუზარ, ტონღუზალო 241—243.

ტურ ნ. ტუთარ.

ტურღული ნ. ტოღრილი.

ტუღუზალო ნ. ტუნღუზალო.

ტფილელი ყადი, თბილელი ყადი 248, 249, 255, 292.

უ

უზბეგი (ადარბაგანის ათაბაგი) 10, 40, 41.

უიღურნი, უიღურები, უღურნი 75, 76, 79.

ულმულკი შერეფ ნ. შერეფ ულმულკი.

ულო ყაენი ნ. ჰულაგუ ყაენი.

ულუ-დავითი ნ. დავით V.

ულუმპია (ბაგრატ V-ის ასული, კახაბერ ჩიჯავაძის მეუღლე, საერო სახელი უცნობია, მოლოზნად აღიკვეცა ულუმპიას სახელით) 285.

უსპენსკი თ. (აკად. Успенский Ф. И., 1845—1928) 278, 283.

უქათა 80.

უღურნი ნ. უიღურნი.

უშან ყული (ჩაღატა ყაენის შვილი) 178.

უჯარმელი: ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელი (მწიგნობართუხუცესი) 232.

ფ

ფანდაკტარ-ფარვანე ნ. ფარვანა.

ფარაჯანი (ოვსთა მთავარი) 245.

ფარაჯანიანნი 172.

ფარვანა, ფანდაკტარ-ფარვანე (საბერძნეთის სულტანი) 217, 220, 221.

ფარსადან გორგიჯანიძე (ისტორიკოსი, ავტ. „ოსმანთა მეფეთა ცხოვრება"-სი, ძეგლი გამოც. მ. ჯანაშვილის მიერ 1896 წ., 1626—1696) 1, 286, 287, 289, 292, 293, 295—297, 305, 306.

ფარსმანი (იბერიის მეფე, ამ ფარსმანის ვაჟკაცური სიქველითა და სამხედრო ასპარეზობით აღტაცებულმა ადრიანე კეისარმა მარსის ველზე მისი ცხენიანი ქანდაკება დაადგმევინა) 310.

ფარსმანიშვილი (დავით-ნარინის ძის—ვახტანგ II-ის აღმზრდელი) 239.

ფუნდუყდარ ბეიბარსი (ეგვიპტის სულტანი, ყივჩაყი) 221.

ქ

ქაიხოსრო II ნ. ღიასედინი.

ქართველი, ქართველნი 2—4, 7, 9—11, 14—20, 33—35, 37—43, 45—49, 52, 54—56, 59— 69, 74, 75, 82, 85, 92, 96, 97, 100—103, 109, 110, 113, 120, 122, 123, 128, 130, 131, 137, 138, 140, 153, 156, 157, 161, 164, 165, 167, 169, 175, 177, 178, 181, 185, 193, 194, 196, 203, 204, 212, 214, 215, 218, 221, 222, 236, 240, 241, 245, 250, 254,

*) ნ. ჯეოგრაფიული სახელების საძიებელში.

260, 267, 272—280, 282, 286, 287, 289—292, 296, 297, 299—301, 303, 304, 306—313, 318, 320, 321, 324.
ქართველი ერი ნ. ქართველი.
ქართველი მთეულნი 245.
ქართველი ჟამთააღმწერელი ნ. ჟამთააღმწერელი.
ქართველობა 33, 312, 314, 318, 323, 324.
ქართლელნი 100, 268.
ქეიღათუ ყაენი (არღუნ ყაენის ძმა) 241—243, 245, 246.
ქერმანელი: ხოჯა მეჯიდ ედ-დინ ქერმანელი 176.
ქვენიფნეველი: ქვენიფნეველი ვირშელ (ერისთავთერისთავი) 307; შალვა ქვენიფნეველი 250, 253; ქვენიფნეველი ერისთავი (ვირშელ ერისთავის შვილი) 260—262, 268.
ქნოღოელები 262.
ქსნისხეველნი, ქსნისხეველები 260, 261, 268.
ქუაბულისძენი 172.
Quatremère M. 80—83, 85.
ქურთი (ჯალალედინის მკვლელი) 71.
ქურთნი 185.
ქუშხარა (განძის ამირა) 38.
ქუჯ აბეკ კეკხანი (ჯალალედინის მხედართმთავარი) 66.

ღ

ღალბური, ღალღურ, იალღურ, იალბურ, აღლურ, აღალარ 205—207.
ღიასედინი, ღიასადინი, ყიასადინ ქაიხოსრო II, ყიასადინი (რუქნადინის ძე, ჯალალედინის ძმა, რუსუდან მეფის ასულის—თამარის ქმარი, რუმის სულტანი, 1236—1245) 45, 54, 60, 102—106, 111, 113, 209, 221.
ღიეას-უდდინ აბულფას ომარ ბენ იბრაჰიმ ალხაჯჯამ, ომარ ხაჯამ (ვარსკვლავთმრიცხველი და მათემატიკოსი, სპარსეთის ერთ-ერთი საუკეთესო მგოსანი) 28—30.
ღუკასიანი (გამომცემელი) 4, 113, 138, 142, 191.
ღულის ძე მეღა, ბიღან ხულის ძე 178.
ღუნძნი 181.

ყ

ყაზან ყაენი 246—252, 254—256, 264, 271.
ყაზანჩი ალი ბეგ (ამირა) 287.
ყაზვინი ჰამდალლაჰ (ჰამდალლაჰ მუსტოუფი ყაზვინი, სპარსელი ისტორიკოსი, ავტ. «ტარიხ-ი გუზედეჰ»-ისა) 163 168, 187, 193, 195, 197—202, 205, 215, 221, 223, 224, 228.
ყარაბაჰადური 97.
ყარამალიქ თაჯედინ ელჰუსაინი 61, 65.
ყარა-მაჰმადი 299.
ყარა-სონღული 222, 235.
ყარახანი 82, 121.
ყვარყვარე ნ. ივანე ციხისჯვარელი ჯაყელი.
ყვარყვარე, ყუარყუარე (ძე სარგის სამცხის სპასალარისა) 269.
ყვარყვარე (მეჭურჭლეთუხუცესი, ამისი ძეა ბექა) 7, 17.
ყვარყვარე ციხისჯვარელი ჯაყელი, ყუარყუარე ჯაყელი 122, 124, 126, 138.
ყიასადინ ქაიხოსრო II (რუმის სულტანი) ნ. ღიასედინი.
ყივჩაყნი, ყივჩაყები 37, 38, 52, 186, 245, 249, 259.
ყონღურატაგ, ყონღურადაგ, ყონღარდ, ყონღადი (რუმის მმართველი) 219, 225.
ყორჩიბა (მონღოლთა ლაშქრის უფროსის სირმონ ნოინის შვილი) 238.
ყუარყუარე ნ. ყვარყვარე.
ყუბილაგ, ყუბილა, ყუბილაყანი (მანგუ ყაენის ძე, ჩინგიზხანის მხედართმთავარი) 131, 132, 134, 137, 185.
ყუთლუშა, ყუთლუღი ნ. ხუტლუშა.
ყული 180—182.
ყურუმჩი, ყურუმჩი-ბაადური, ყურუმში ნოინი (ალინაყის ძე, მონგოლთა მხედართმთავარი) 165, 203, 238, 248, 251.
ყურშიბი 249.

შ

შაბურის ძე 254.

შადინი („შადინი ვინმე ნათესავი „სომეხი“,) 163, 175, 178.

შავშნი 101, 164.

შალვა ახალციხელი (დვინის მმართველი, ძმა იოანე ახალციხელისა) 39, 45—50.

შალვა ბოცოს ძე (ჯაყელი) 180.

შალვა ერისთავი 277.

შალვა თორელი 5.

შალვა ქვენიფნეველი 250, 253.

შამსადინი ნ. საჰიბ დიზანი.

შანქორულნი 93.

შანშე მხარგრძელი მანდატურთ უფუცესი [ზა-, ქარიას-ძე] 67, 72, 94, 95, 97, 99—101, 111, 121, 123, 124, 126, 127, 143, 160 167—169, 216, 223.

შანშე მხარგრძელი ივანეს-ძე 242, 244, 249—251, 254.

შანშეს ძე ნ. ზაქარია (შანშეს ძე).

შაჰაბ ედდინ ელ-კალკაშანდი (გარდ. 1418 წ.) ნ. შეჰაბ ედდინ ელ-კალკაშანდი.

შაჰარმენი (შაჰ-არმენი იბნ სუკმან ალხოტბი, ხლათის მმართველი) 67.

შაჰნაზარიანი 289.

შეიბანის ძე ნ. ბალღა შეიბანის ძე.

შეიხ მაჰმუდი 273.

შერეფ ედდინ ალი იეზდი, ეეზდი, ეზდი, შერეფ ედდინი (თემურ-ლენგის ისტორიკოსი) 286—289, 293, 294, 296—298, 300, 302, 303, 305—307, 324.

შერეფ ედდინ ბიტექჩი (მწიგნობარი) 176.

შერეფ ელმულკი, შერეფ ულმულკი 49, 60, 65, 66, 70.

შერიფ-თებრიზი (შეიხი) 185, 186.

შეჰაბ ედდინ ელ-კალკაშანდი, ელ-კალკაშანდი (გარდ. 1418 წ.) 273—275, 277.

შვიდაგს ძე არსენი ნ. არსენი შვიდაგს ძე.

შიბილა, ბიბილა (ყვარყვარე ჯაყელის ძე) 3.

შინდას ძე გრიგოლ ნ. გრიგოლ შინდას ძე ავგაროზიშვილი.

შირამუნი, შირამონ ნოინი (ჰულაგუ ყაენის ლაშქარის მეთაური) 183, 195, 202, 204.

შირვანელები, შირვანელნი 38—40.

შირვანის დარუბანდელნი 59.

შიქტური 242.

შიხ იბრეიმ (შეიხ იბრაჰიმი, შირვანის მმართველი, შეილი სეიდ ალი შაქისელისა) 289.

შლაღა, ბლალთა, ბოლღა 178.

შოთა კუპრი 111, 126, 138.

შოთა რუსთველი 318.

ჩ

ჩამჩიანი 290.

ჩანჩუნი 83.

ჩალატა, ჩალათა ნოინი ნ. მასგუდ-ბეკ ბენ მაჰმუდ ალვაჯ ჯალატაგ.

ჩახრუხაძე 318.

ჩინგიზნი (=მონგოლები) 269.

ჩინგიზხანი, ჩინგიზ ყაენი (ცნობილი მონგოლელი დამპყრობი, 1155—1227) 7—10, 12, 13, 78—80, 83, 89, 91, 181, 182, 192, 193, 197, 198.

ჩანელნი 79.

ჩხნმაჩინი 117.

ჩიჯავაძე კახაბერ ნ. კახაბერ ჩიჯავაძე.

ჩობან ნოინი, ჩობანი აბუსაიდი (გარდ. 1327) 224, 266, 267, 273—275.

ჩორომაღონი, ჩორმაღანი, ჭარმაღუნი, ჩორმაღუნი, ჩორომაღო (ნოინი) 71, 97, 141, 149, 183, 195, 201.

ჩხეიძე 302.

ც

ცაგარელი ალ. (პროფ., 1844—1929) 73.

ციხისჯვარელი: ნ. ბექა ჯაყელი ციხისჯვარელნ; ყვარყვარე ციხისჯვარელი ჯაყელნ; ივანე-ყუარყუარე ციხისჯვარელ ჯაყელი. სარგის ბექას ძე.

ციხისჯვარელნი 167.

ცოტნე დადიანი ბედიანი, ცოტნე დადიანი 111, 123, 138—140, 142, 167.

ცოქალი ხვაშაქ 316.

ცხაოტელი, ცხავატელნი, ცხავატელნი 260—262.

ცხრაზმელნი 262.

ძ

ძაგან აბულეთის ძე 231.

ჭ

ჭანები 212, 308.
ჭარმაღუნი ნ. ჩორმაღონი.
ჭარმაღუნის ძე ჯუშქაბ, ჯუშყაბი 227, 229.
ჭილა აბაზაძე ამირეჯიბი 250.
ჭიჭინაძე ზ. (1854—1933) 258.
ჭორომაღო ნოინი ნ. ჩორმაღონი.
ჭყონდიდელი: არსენი ჭყონდიდელი (რუსუდან მეფის თანამედროვე, ვაზირთა-უპირველესი და მწიგნობართუხუცესი) 114; ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელი 232.

ხ

ხადელ-მოკევენი 261.
ხალუბები (ქართველი ტომი) 308.
ხამუშ ათაბაგი 10.
ხანძთელი: ნ. გრიგოლ ხანძთელი.
ხაჩინელი: ნ. ჯალალ ხაჩინელი; ჰასან ჯალალ ხაჩინელი.
ხახანაშვილი ალ. 150, 212, 256, 284, 298.
ხვარაზმელნი, ხუარაზმელნი, ხვარაზმელები 42—45, 47, 48, 52—56, 58—61, 63—70, 73, 93, 101, 103, 245.
ხვარაზმშა მოჰამმედი, მუჰამმედი (ამისი ძეა სულტანი ჯალალედინი) 9, 12.
ხვარამზელი: მუჯირ ედდინ ომარ ბენ სად ხვარამზელი (გარდ. 1521 წ.) 42, 276.
ხვაშაქი, ხუაშაგი (გვანცა დედოფლის ასულ. ცოლი საჰიბ დივანისა) 167—169, 225.
ხვაშაქ ცოქალი 316.
ხილხალელი: მაჰმუდ (მახმუდ) ხილხალელი 288.
ხიმშია (კახეთის სანაპიროს მმართველი) 282, 289, 292, 294.
ხლათელები, ხლათელნი 5, 59, 61, 63.
ხოშყარა 66.
ხოჯა-აზიზი (გადასახადების ამკრეფ მოხელეთა უფროსი, სიკვდილით იქნა დასჯილი 1262 წ. 20 ნოემბერს) 147, 159, 160, 175—177, 183, 184, 231.
ხოჯა მეჯდ ედ-დინ თავრეჟელი 184.
ხოჯა მეჯიდ ედ-დინ ქერმანელი 176.
ხოჯა შამსადინი ნ. საჰიბ დივანი.
ხუარაზმელნი ნ. ხვარაზმელნი.
ხუაშაგი ნ. ხვაშაქი.
ხუთარ, ხუთრ ყული ნ. ტუთარ.
ხულის ძე მიღან, მეღა ღულის ძე 178.
ხუტლუბუღა (ამირსპასალარი, ძე საღუნ მანკაბერდელისა) 223, 225, 226, 231, 232, 237, 238, 240—242, 244.
ხუტლუშა, ყუთლუშა, ყუთლუღი (ყაზან ყაენის მხედართმთავარი) 245, 247—250, 252, 254, 255.

ჯ

ჯავახელი 198.
ჯავახიშვილი ივ. (აკად., 1876—1940) 91, 201, 230.
ჯავახნი 67.
ჯალალ ალ-დინ რუმი 29.
ჯალალედინი, ჯალალ ედდოველა(მუჰამედ ხვარაზმშაჰის ძე) 6, 9, 10, 12, 13, 34, 37, 41—45, 47—65, 67—73, 89, 93, 101—104.
ჯალალ ხაჩინელი ნ. ჰასან ჯალალ ხაჩინელი.
ჯანაშვილი ზ. 16, 290.
ჯანიბეგი (ოქროს ულუსის მბრძანებლის თოხთამიშის ლაშქრის მეთაური) 288.
ჯაღათაელნი 299.
ჯაღატაჲ ხანი ნ. მასგუდ-ბეკ ბენ მაჰმუდ ალვაჯ ჯაღატაჲ.
ჯაყელი: ნ. ბექა ჯაყელი; კრავა ჯაყელი; მემნა ჯაყელი; ბოცო ჯაყელი (ბოცოს ძე); ბოცო ჯაყელი (მამა მემნასი და ბოცოსი); შალვა ბოცოს ძე; ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელი ჯაყელი; ყვარყვარე ციხისჯვარელი ჯაყელი; სარგის ჯაყელი; სარგისი (სამცხის სპასალარი).

ჯაყელნი 80.
ჯებე, ადამ (ჩინგისხანის სარდალი) 7, 9, 10, 12, 13, 17—19.
ჯეჰანფაპლავანი (ამისი ძეა უზბეგი) 10.
ჯიგდა-ხათუნი, ჯიგდა, დედოფალ ჯიგდა-ხათუნი (ულუ-დავითის პირველი ცოლი) 145, 147, 158.
ჯიგდა-ხათუნი, ჯიგდა (დემეტრე II თავდადებულის ასული) 146, 220.
ჯიქნი 67.
ჯიქური (მესტუმრე) 145, 158.
ჯოანშერის ძე 172.
ჯუვეინი (სპარსელი ისტორიკოსი, ავტ. «ტარიხ-ი ჯეჰან ქუშოა»-სა, გარდაიცვ. 1283 წ.) 10, 13, 83, 117, 133, 136, 137, 142, 152, 153, 155—157, 162, 163, 174.
ჯურჯანნი 275.
ჯუშქაბ ჭარმაღუნის ძე, ჯუშყაბი 227, 229.
ჯუჩი (ყაენი, ამისი შვილია შეიბანი) 80, 178, 181, 287.

ჰ

ჰამადა სურამელი, ამმადა სურამელი (მსახურთუხუცესი და ქართლის ერისთავი) 250, 253.
ჰამდალლაჰ ყაზვინი ნ. ყაზვინი.
ჰამიდულა (მანასგომის პატრონი) 9, 18.
ჰამმერი (Hammer) 90, 91, 104, 179, 187, 188, 200, 202, 208, 213, 219, 221, 222, 228, 241—243, 246—248, 256.
ჰასან ჯალალი ხაჩინელი, ჰასან ხაჩინელი, ჯალალი, ჰასან ჯალალი (ხაჩინელი მთავარი) 66, 100, 162, 167—170.
ჰაფიზი (გამოჩენილი სპარსელი მგოსანი) 27, 29.
ჰეთუმი (კილიკიის სომხეთის მეფე) 185.
ჰელაგუ ყაენი ნ. ჰულაგუ ყაენი.
ჰერ-კანნი, ერ-კანნი 67, 100, 138, 160, 247, 269, 291.
ჰერნი 2, 101.
ჰონორიუსი, ჰონორი (რომის პაპი) 13, 18, 19, 33.
ჰუდა 42.
ჰულაგუ ყაენი, ჰელაგუ ყაენი, ულო (ერანის ყაენი, გარდ. 1265 წ.) 81, 86—89, 90, 92, 132, 134, 147, 148, 153—155, 157, 158, 161—166, 168—170, 174—177, 180—187, 192, 195, 213, 231, 273.
ჰუსამედდინი, ჰუსამ ედინ-ალი (ვარსკვლავთმრიცხველი) 62, 184.

II. გეოგრაფიული სახელები.

ა

აბელიის ეკლესია 135.
აბოცი 290.
აბოცის გზა 291, 295.
აბუსაადი: აბუსაადის ანისის წარწერა 214.
აბხაზეთი ნ. აფხაზეთი.
აგარანი 6.
ადარბაგანი, აიდარბაგანი 7, 9, 12, 13, 41—43, 49, 59, 62, 63, 66, 67, 71—73, 288 ნ. აგრ. ადერბეიჯანი.
ადერბეიჯანი, ადერბაიჯანი 40—42.
ავანი: ავანის წარწერა 214, 217, 218.
ავნის ვაკე 122.
აზახია ნ. ყაზახია.
აზია 11, 73, 101, 314, 315, 318.
ათორმეტნი უდაბნონი გარეჯისანი 225.
ათორმეტნი უდაბნონი კლარჯეთისანი 256.
აიდარბაგანი ნ. ადარბაგანი.
ალაბი 307.
ალაზანი 30.
ალამუთი, ალმუთი, ალმოთი 71, 83, 118, 119, 137, 138, 141, 156.
ალასტანი 125, 126.
ალატალი 81, 154, 183, 215, 243.
ალატალის ტყიანეთის გზა 304.
ალბანეთი 12, 309.
ალექსანდრია 276.
ალვანეთი 6
ალიაბადის ციხე 70.
ალინჯის ციხე 286
ალმოთი ნ. ალამუთი.
ალმუთი ნ. ალამუთი.
ამასია (ქალ. ჰემსი) 220, 222, 235.
ამერეთი 115 ნ. აგრ. ლიხთ-ამერეთი.
ამერი საქართველო («მკუიდრნი საქართვე-

ლოსანი ამერმსანი») 96, 124 ნ. აგრ. ამიერ-საქართველო.
ამიდი 71.
ამიერკავკასია 58, 62, 72, 73, 77, 213, 288, 308, 310, 312 ნ. აგრ. კავკასია.
ამიერ-საქართველო 46, 175, 196, 204, 207 ნ. აგრ. საქართველო.
ანისი (ქალაქი) 60, 61, 63, 72, 97—99, 101, 121, 139, 143, 169, 214, 215, 324.
ანიყი, ანუა (ციხე) 224.
ანტიოქია 185, 314.
ანუა, ანიყი (ციხე) 224.
ადრარატის თემი 214.
არარატი 261.
არაგვი მთიანეთი 263.
არაგვის ხეობა 250, 251, 268.
არაგვის ხეობის მთიულთა თემი 270.
არანი (ქვეყანა) 9.
არარატის მთა 111, 198, 201, 246.
არგვეთი 244.
არდაველი, არდავლი (ქალაქი) 10, 71.
არეზი (მდინარე) 8, 50, 247, 286, 287, 323.
არზრუმი 34, 35, 37, 59, 63.
არსიანი 60, 198, 200, 201.
არტაანი, არტანი 60, 180, 201, 256.
არუჭი: არუჭის წარწერა 215.
არჭეში 215.
ასპარაბეთი 230.
ასურეთი 109, 121, 153, 256, 274, 308 ნ. აგრ. შამი.
ატენი 207.
აუჯანი, უჯანი 42.
აფხაზეთი, აბხაზი (=აფხაზეთი), აბხაზეთი 101, 113, 134, 153—155, 158, 162, 200, 230, 275, 324.
აღმოსავლეთი საქართველო 72, 92, 95, 100—102, 110, 111, 115, 117, 118, 123, 148, 157, 159, 164, 166, 169, 173, 175, 188, 194, 195, 203—205, 209, 214, 220, 222, 231—233, 237. 239, 244, 245, 249—255, 257, 259, 307, 309—311, 320—322 ნ. აგრ. საქართველო.
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი 263.
აღმოსავლეთ სვანეთი 195 ნ. აგრ. სვანეთი.
აღსტაფურა (მდინარეა ყაზახის თემში) 213.
აღსუ ნ. თეთრი წყალი.
აღჯაბედა ნ. აყჯაბის თემი.
აყსუ ნ. თეთრი წყალი.
აყჯაბის თემი, აღჯაბედა 298.
აწყური, აწყვერი 102, 166, 167, 203.
აჭარა 94, 95, 200—202, 256, 283, 284.
აჭარის კეგი 201.
ახალდაბა 163—166.
ახალქალაქი 160.
ახალციხე 304.
ახსუ (მდ.) ნ. აღსუ.

ბ

ბაბმაკის ხეობა 295.
ბაგავანი 20.
ბაზალეთი 249, 255.
ბათუმი 284.
ბაილაქანი (ქალ.) ნ. ბელაქანი.
ბალასწყალი ნ. ბალაჩაკ.
ბალაჩაკ, ბალასწყალი 15.
ბალთაყურის ციხე 122.
ბალის-წყალი 6, 14, 15.
ბანა 122.
ბაკლაქანი (ქალ.) ნ. ბელაქანი.
ბარდა 92.
ბარდავი, ბერდ (ქალაქი, მდებარეობდა მტკვრისა და მდ. ტერტერის შესართავის მახლობლად) 8, 16, 38, 100, 115, 154, 184.
ბარდავის ველი 6, 14, 307.
ბარდოღის მთა, თაქალთუს მთა, თაკალთუ 289.
ბარდუზის გადმოსავალი 294.
ბასიანი 5, 71, 256.
ბაქო 298.
ბალდადი (ქალაქი) 86, 158, 159, 288, 321.
ბეილაქანი (ქალ.) ნ. ბელაქანი.
ბელამეჯი (ქალაქი) ნ. ბელაქანი.
ბელამეჯი (მდინარე) 15.
ბელაქანი, ბაილაქანი, ბეილაქანი, ბაკლაქანი, ბელამეჯი (ქალ. ზაქათალის ოლქში, მტკვრისა და არეზის შესართავთან ახლოს მდებარეობდა) 8, 10, 15, 16, 38, 225, 294.
ბელაქნის გზა 181.
ბენაჯი (ტბა) 67 ნ. აგრ. ბეტახი.
ბერდ ნ. ბარდავი.
ბერდუჯი (მდ.) 7, 16.
ბეტახი (ტბა) 67 ნ. აგრ. ბენაჯი.
ბიზანტია 151, 208—212, 276, 278—281, 310, 318.

ბილალანი 289, 292.
ბიჯნისი 49, 51, 70, 72, 101, 147, 161, 289, 294, 295.
ბოლნისის ხევი 68.
ბორჯომის ხეობა 258.
ბუხარა 83.

გ

გაგი (ქვეყანა) 7, 9, 14, 15, 52, 60, 93.
გაგის მინდორი 52.
გაგის ციხე 15.
განძა (ქალაქი) 2—4, 7, 9, 15, 22, 36—38, 40, 50, 60, 70, 71, 92 ნ. აგრ. განჯა.
განძის კარი 53.
განძის სანახები 4, 69, 92.
განჯა (რანის უმთავრესი ქალაქი) 10, 65, 298 ნ. აგრ. განძა.
გარდაბანი 16, 93.
გარეჯი 225.
გარეჯის მთები 188.
გარეჯის უდაბნონი 229 ნ. აგრ. ათორმეტნი უდაბნონი გარეჯისანი.
გარნისი 42—49, 51, 52, 72.
გარნისის კლდე («გარნისისა კლდესა შეოტოლვილ...») 48.
გაჩიანი (ქალაქი) 16.
გელათი (მონასტერი) 119, 151.
გელაქუნი 81, 111, 324.
გელაქუნის ტბა (გოგჩის ტბა) 98.
გველეთი 255.
გილანი 219.
გილანის ზღვა (კასპიის ზღვა) 181 ნ. აგრ. კასპიის ზღვა.
გიოლის მინდორი 306.
გონია 283, 284.
გორი 260, 267, 268
გორის შინდარა 164—166 ნ. აგრ. შინდარა.
გოშავანქი: გოშავანქის წარწერა 215.
გუგარეთი, ქვენა ქართლი 309.
გურია 202.
გურკელის ჭალა 180.
გურკლისა წყალი 203.

დ

დაბა (სოფ. ბორჯომის ხეობაში) 258.
დამაცია 5.
დარალაგიოზის თემი ნ. შარურ-დარალაგიოზის თემი.
დარბუზაკი (ქალ.) 221.
დარიალანი 67, 176, 288.
დარიელი 270.
დარუბანდი 11, 32, 41, 113, 172, 173, 178, 184, 185, 213, 224, 288.
დარუბანდის გზა 6—8, 13, 14, 18, 20, 37, 178, 181, 183, 187, 200, 287, 288.
დარუბანდის კარი 7, 183, 188, 288.
დასავლეთი ევროპა 1, 5, 19, 28, 33, 108, 110, 272, 277, 315, 318, 319 ნ. აგრ. ევროპა.
დასავლეთი საქართველო 101, 103, 110, 112, 115, 116, 133, 152—158, 171—173, 175, 192, 193, 202, 204, 206, 209, 216, 238, 244, 245, 278, 282, 296, 310, 311, 319—321, 324 ნ. აგრ. საქართველო.
დაღესტანი, დაღისტანი 181, 322.
დებადას ხეობა 295.
დელაჯ ნორი 185.
დემოთი 203.
დვანი 215.
დვინი (ქალაქი) 39, 43, 49, 60.
დვინის სანახები 42.
დმანისი 93—95, 97, 225.

ე

ეგვიპტე, ეგვიპტე 20, 147, 148, 158, 159, 161, 163, 181, 192, 207, 221, 222, 235, 256, 272—276, 321 ნ. აგრ. მისრეთი.
ევროპა 73, 101, 319 ნ. აგრ. დასავლეთი ევროპა.
ეკერის ხევი 203.
ელასი 181.
ემილისა ქუეყანა 83, 84.
ერანი, ირანი 195, 205, 224, 231, 236, 243, 252—255, 265—267, 271, 273, 274, 287, 310.
ერაყი 9, 12, 60, 61, 66, 69, 71, 153, 157, 162, 163, 205, 223, 307.

ერგევანქი 93.
ერევნის გზა 294.
ერევნის თემი 213.
ერეთი ნ. ჰერეთი.
ერზინკი 122.
ერუსალიმი ნ. იერუსალიმი.
ერწო 249.
ერჯაკის ციხე 289.
ესპანია 109.
ეჯანი 81.

ვ

ვალაშკერტი, ვალაშკერდი (ქალაქი) 73, 121, 215.
ველისციხე 23, 126.
ვოროტნი ნ. ოროტო.
ვარძიის მონასტერი 247.

ზ

ზაბული 9, 12.
ზანგანი, ზენჯანი 71.
ზარავანდი 196.
ზაქათალის ოლქი 8.
ზენჯანი, ზანგანი 71.
ზენჯირ სარაჯ 287.

თ

თაბაღრეს წვერი 292.
თავრეჟი, თავრიზი 10, 42, 49, 50, 66, 67, 71, 73, 92, 153, 162, 163, 184, 246, 247, 286—289, 292, 294, 323.
თავრიზი ნ. თავრეჟი.
თათარი (=თათრეთი) 220.
თაკალთუ ნ. ბარდოღის მთა.
თაქალთუს მთა ნ. ბარდოღის მთა.
თბილისი, ტფილისი, საქართველოს დედაქალაქი 7, 8, 40, 42, 49—56, 58—61, 63—65, 67—69, 72, 81, 93—95, 111—113, 118, 123, 133, 141, 148, 153, 157—159, 161, 162, 163, 171—173, 175, 176, 187, 188, 190, 213, 214, 216, 226, 234, 239, 248—254, 270—273, 275, 284, 287, 289—292, 294—296, 307, 311—314, 321, 323.
თეთრი წყალი, აყსუ, აღსუ, ახსუ, ჩაღან-მურანი, ჩაღან-უსუნი, მუღანლი, ჩაღანი, ჩალანუსური (მდინარე) 185—188, 213, 214, 307.
თელავი 223.
თერგი 184, 187.
თერმოდონი 283.
თეიმის ხეობა 307.
თიანეთი 249.
თორი 154.
თრიალეთი 60, 180, 205, 207, 249, 290.
თურანი 197, 198.
თურქეთი 197, 198, 256.
თურქისტანი 307.

ი

იბერია 212, 309—311.
იერუსალიმი, ერუსალიმი, იერუსალემი 73, 274, 276—278, 312, 313.
ილი 83.
იმერეთი 174, 291, 301, 302, 306, 307.
იმერი (=იმერეთი) 67 ნ. აგრ. იმერეთი.
იმერი ნ. ლიხთა იმერი.
იმიერკავკასია 1, 37, 245 ნ. აგრ. კავკასია.
იმიერ საქართველო 116, 117, 309 ნ. აგრ. საქართველო.
ინდოეთი 309.
ირი (მდინარე) 60, 188.
ირანი ნ. ერანი.
ირტიშის სანახები 83.
ისანი 54, 93, 95.
ისნის ციხე 56, 57.
ისპაჰანი 67.
იტალია 109.
იშსნის ციხე 230.

კ

კაბალაჰი (ქალ.) 37.
კაბული 9, 12.
კაენი 98.
კაენის ციხე 95, 97.
კავკასია (მხარეა) 13, 95, 100, 319.
კავკასია, კავკასი (მთა) 83, 96 ნ. აგრ კავკასიონი.
კავკასიონი, კავკასიონის ქედი 8, 183, 309.
კაკის ციხე 70.
კალმახი 122.
კამბეჩიანი, კამბეჩანი 60, 123, 181.
კარბის ქვეყანა 289.
კარი (ქალ. ყარსი) 3, 4, 61, 63, 97, 214, 215, 222, 225, 290, 295, 297 ნ. აგრ. ყარსი.
კარის (ყარსის) მთა 200, 201.
კარის (ყარსის) ციხე 290 ნ. აგრ. ყარსის ციხე.
კარნიფორი 60.
კარნუ-ქალაქი 6, 123, 240.
კარპი 294, 295.
კარჩხალნი (მთაა?) 200.
კასპიის ზღვა 1, 181, 322 ნ. აგრ გილანის ზღვა.
კაწარეთი 93.
კახეთი 123, 181, 188, 216, 230, 247, 269, 289, 292, 294, 302, 313, 323
კეჩროლი 5.
კვახვირი 149 — 151.
კილიკიის სომხეთი 185 ნ. აგრ. სომხეთი.
კლარჯეთი 166, 256, 283.
კლარჯეთის მონასტერი 203, 256 ნ. აგრ. ათორმეტნი უდაბნონი კლარჯეთისანი.
კოლას მინდორი 306.
კოლის მთა 180, 208.
კოლხეთი 309, 310, 312.
კონსტანტინეპოლი, კოსტანტინეპოლი 149 — 151, 202, 208, 210 — 212, 276, 280, 281.
კოტაჯკის ქვეყანა 289.
კოტმანის მინდორი, კოტმანის ველი (მდებარეობს ტერუნაკანის ციხესთან) 8, 9, 15.
კოხტასთავი (სამცხეშია) 126, 137 — 144.
კვრიაკე-წმინდა (სოფელი) 203.

ლ

ლაზიკა, ლაზეთი 278, 284, 309, 311, 312.
ლაზიკა (=საქართველო) 283.
ლარაბონი 283.
ლარგვისის მონასტერი 307.
ლეკეთი 287.
ლეკეთის მთები 185.
ლენქორანის მაზრა 15.
ლერძავნი 180.
ლიმნია 281.
ლიმნის გზა 283.
ლიხთ-ამერეთი 162, 178.
ლიხთ-იმერეთი 157, 172, 192, 193, 196, 207, 209, 236, 269, 292, 295, 296, 320, 321.
ლიხთ-იმერი, ლიხთა იმერი 72, 171, 180 ნ. აგრ. ლიხთ-იმერეთი.
ლიხი 96, 158.
ლიხის მთა 110, 111, 207, 269, 319.
ლომთა-გორი 6.
ლომისა 260, 261, 268, 270.
ლომისთავი 203.
ლომისთავის გზა 251.
ლომისის მთა 261.
ლორე (ციხე-ქალაქი) 66, 69, 94, 97, 125.
ლორის სანახები 68.
ლურისტანი 219.

მ

მაზანდერანი (ქალ.) 287.
მაკრეგიალი, მაკრიალი 284.
მაკრეგიალის სანახები, მაკრიალის სანახები, მაკრუ-ეგიალუ, მახრიალ, 283.
მალი 225.
მანასგომი (სომხითის ციხე) 9, 18.
მანასკერტი, მელაზკერდ, მელასგერდი (ქალაქი) 62, 215.
მანგლისი 305.
მანგული 305.
მანგულის მინდვრები 305.
მარაღა 10, 42, 247.

მარმეთი: მარმეთის წარწერა 1.
მარსის ველი 310.
მარტყოფი 189.
მარძი: მარძის წარწერა 215.
მაწნაბერდი 93.
მახლობელი აღმოსავლეთი 1, 27, 192, 272, 276, 286.
მახრიალ ნ. მაკრეგიალის სანახები.
მგლინავი («ქვეყანასა არტაანს, სოფელსა რომელსა ჰქვიან მგლინავი») 180.
მელაზკერდ (ქალაქი) ნ. მანასკერტი.
მელასგერდი ნ. მანასკერტი.
მენგული 306.
მენიკ-კული 305, 306.
მერდენეკ 306.
მესხეთი 140, 161, 163, 164, 166, 171, 240. 251, 254, 256, 258, 263, 264, 269, 271, 291, 296, 304, 305, 312, 313, 324.
მეტეხი 233, 234.
მთიანეთი 259, 260.
მთიულეთი 95, 226, 230, 236, 237, 247—250, 252, 253, 255.
მისრეთი (ეგვიპტე) 158—160 ნ. ეგვიპტე.
მივნაძორი 200.
მლაშე ტბა (მდებარეობს ჰერსა და ზარვანდს შორის) 196.
მონღოლეთი 10, 116, 118, 144.
მოსკოვი 5, 212.
მტკვარი, მტკუარი 3, 8, 16, 56, 100, 180, 181, 183, 185, 188, 203, 227, 309.
მტკვრის ციხე ნ. ხუნანი.
მტკვრის ხევი 164.
მუღანი 66, 68, 71, 81, 227, 241.
მუღანლი, ჩაღან 214.
მუხრანი 249, 255, 270.
მუხრანის ველი 307.
მცირე აზია 1, 11, 20, 59, 62, 122, 303, 315, 319—321.
მცხეთა 113, 188, 190, 310.

ნ

ნაპარმაგევი 68.
ნახჭევანი, ნახჭავანი, ნახჩვანი 4, 10, 49, 61, 70, 154, 198, 247, 286—289, 323.
ნაპროეთი 307.
ნიგალის ხევი 166, 201, 202, 256.
ნიგის ველი 199.
ნიკომიდია 256.
ნიკოფსი 32, 172, 173, 213, 240.
ნიშაბური 10.
ნორბერდი 93.
ნუხა-სამურის თემი 214.
ნუხის თემი 213.

ო

ოლთისის ოლქი 294.
ოლთისნი 122.
ოპიზა (მონასტერი) 200, 203.
ოროტო, ოროტნი, ეოროტნი 4, 5.
ოსეთი 83, 113, 299.
ოქროს ულუსი 251.
ოშორა 180, 181.

პ

პალესტინა 276, 278, 313.
პარიზი 288, 289.
პარხალი 283.
პეტერბურგი 8.
პონტო 216.

უ

უამური 261, 262.
უინვანი 248, 270.
უინოვანის ციხე 254.

რ

რზნი 10, 12, 14, 38, 40, 41, 66.
რაჭა 101, 111, 123, 139, 147, 172, 206—208, 244.
რახსი, რაკსი 71, 121, 188, 198.
რეი, რეჭი 223, 287.

რითონი 283, 309 ნ. აგრ. ფაზისი.
რკინის ჯვარი 139.
რკონი 138, 147, 307.
რომი 5, 6, 11, 13, 18, 19, 33, 43, 108 — 110, 118, 119, 128, 130, 132, 136, 271, 272, 274, 310, 318.
რუგეთის მთა 203.
რუის-ურბნისი 105, 145, 217, 315.
რუმი 36, 42, 67, 102, 105, 106, 111 — 113, 127, 225, 231, 242, 243, 274.
რუსეთი 83, 113.
რუსთავი 180.

ს

საბერძნეთი 71, 103, 122, 151, 220, 221, 225, 229, 242 — 244, 256, 274, 308, 309, 313, 318.
საგამას მინდორი, საგამეს მინდორი, საგრას მინდორი, საგარას მინდორი (მდებარეობდა გაგის მახლობლად) 9, 14, 16, 18.
საგარას მინდორი ნ. საგამას მინდორი.
საგამი, საგამი (ადგილი) 7, 18.
საითარეთი 84.
საინგილო 213.
სამარყანდი, სამარყანი 83, 287.
სამეგრელო 172.
სამურის თემი 213.
სამშვილდე 7, 18.
სამშვილდე (ციხე) 95.
სამცხე 7, 17, 60, 72, 100, 122 — 124, 161, 164, 166, 167, 171, 177, 180, 203, 221, 237, 244, 245, 251, 254, 256.
სამწევრისი 292.
სარფი 283.
საქართველო 1 — 17, 19, 20, 22 — 24, 26, 31 — 51, 54, 55, 58, 60, 61, 63, 66 — 69, 72 — 74, 77, 81, 86 — 90, 92 — 97, 99, 101, 103, 104, 106 — 112, 114 — 118, 120 — 124, 127, 129 — 133, 135 — 139, 141 — 147, 150, 152, 157, 158, 160 — 164, 167 — 178, 182, 183, 185, 187, 189, 191 — 205, 207 — 213, 215, 216, 218, 219, 221 — 226, 230 — 236, 238, 240 — 246, 249, 250, 252, 253, 255 — 260, 262 — 272, 274 — 281, 283, 284, 286, 287, 289, 291 — 295, 297 — 301, 303 — 306, 309 — 324.
საქართველოს დედაქალაქი ნ. თბილისი.
საქართველოს მთები 50, 193.
საქართველოს მთიანეთი 268.
საქართველოს საზღვრები 11, 13 — 15, 22, 50, 185, 213, 214, 240, 267, 273, 283, 307.
საქრისტიანო ქვეყნები 278.
სერაბი 10.
სვანეთი 112, 113, 153 — 155, 162, 174.
სვეტიცხოველი 324.
სიბა 220, 248.
სივნიეთი 247, 288, 289.
სინას მთა (პალესტინაში) 125, 126.
სინას ნახევარკუნძული 276.
სინდეთი 307.
სინიჩარი 307.
სიონის საყდარი (თბილისში) 57, 190.
სირია 121.
სკანდის ციხე 309.
სმირნა (ქალ.) 272.
სომხეთი 43, 116, 169, 214, 215, 249, 289, 290, 309, 310, 312.
სომხითი 6, 14, 15, 52, 60, 68, 123, 125, 187, 215, 216, 218, 248, 269.
სომხითის მთები 16.
სოქმანაბადი 71.
სოხუმი 275.
სპარსეთი 4, 5, 20, 28, 42, 72, 81, 118, 123, 142, 163, 182, 183, 185, 188, 192 — 196, 198 — 200, 202, 203, 205, 237, 238, 246, 248, 256, 275, 287 — 289, 310, 312, 315, 319 — 321, 323.
სპერი 256.
სრულიადი საქართველო 158, 173, 174, 237 — 239, 269, 282 — 284, 312, 313.
სურამი 164.
სურბ-კირაკი: სურბ-კირაკის წარწერა 215.
სურმალი (ქალ.) 289, 294.
სურმანი, სურმანდი 54, 121.
სურმარი (ქალაქი) 39.

ტ

ტანგუტ, ტანგუტი, ტენკიუტი 298.
ტაო 60, 122, 216, 230, 256, 261.
ტაო-კლარჯეთი 312, 313.
ტასისკარი ნ. ტაშისკარი.
ტაუში 93.
ტაშისკარი, ტასისკარი 164, 238, 240, 256.

ტენკლუტი ნ. ტანგლატ.
ტერტერა (მდინარე) 8.
ტერუნაკანი 93.
ტერუნაკანის ციხე, ტურუნაკანის ციხე. 8, 15.
ტრაპიზონი 150, 151, 208 — 212, 218—220, 278 — 281, 284, 309.
ტრაპიზონის საზღვარი 209.
ტრაპიზონის სამეფო 278 — 280, 283.
ტუნღუზალო, ტოღუზალო, ტუღუზალო, ტონღუზო (ქალაქი საბერძნეთისა ბონ-ღოლთა დროინდელი ქართველ-თააღმწერლის მიხედვით)* 241, 242.
ტურუნაკანის ციხე ნ. ტერუნაკანის ციხე.
ტფილისი ნ. თბილისი.

უ

უჟანი 224, 246.
ურბნისი ნ. რუის-ურბნისი.
ულურთა ქუეყანა 88.
უჯანი, აუჯანი 42.

ფ

ფაზისი, ფასისი (=რიონი) 283, 309 ნ. აგრ. რიონი.
ფამბაკის ხეობა 309.
ფარავანი 203.
ფიქვთა («დადგა თავსა შაჰვშეთისასა ფიქვ-თასა») 200.
ფოთი (ქალ.) 309.

ქ

ქაირო 276.
ქალაქი, ქელატ (ციხე) 223.
ქალკიდონი: ქალკიდონის კრება 312.
ქამანისი 307.
ქართლი 16, 20, 60, 117, 123 — 126, 139, 164, 187, 203 — 205, 207, 216, 217, 241, 245, 249 — 251, 253, 255, 256, 257, 259, 267, 285, 290, 312, 313.
ქარპერძი (ციხე) 9.
ქეილკუნი 60, 61.
ქელატი, ქალაქი (ციხე) 223.
ქერმანი 60, 61.
ქვემო ქართლი 313, 324.
ქვენა ქართლი ნ. გუგარეთი.
ქვიშხეთის მინდორი 238.
ქნოლოს ციხე 262.
ქომანეთი 307.
ქსანი 260.
ქსნის მთიანეთი 263.
ქსნის საერისთაო 253, 268.
ქსნის ხეობის მთიულთა თემი 270.
ქუთაისი, ქუთათისი 53, 64, 93 — 95, 100, 103, 111, 154, 158, 168, 171 — 173, 194, 204, 207, 213, 239, 269, 282, 320, 321.
ქურმუხის წყალი 213.
ქცია (მდ.) 16.

ღ

ღადოს მთა 200, 201.
ღაზნა, ღაზნინი 9, 10, 12, 13.
ღარჯისტანი 9, 12.
ღუნძეთი 181.

ყ

ყაბალა (ქალ. შირვანში) 65.
ყაზახია, აზახია 288.
ყაზახის თემი 213.
ყაზვინი, ყაზმინი 223.
ყაზმინი 223.
ყაზმინის ციხე 41.
ყალანი 225.
ყარაბაღი 81, 287, 292, 298, 300, 307, 323.

---

*) აკად. ბროსესა და აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით პიროვნებაა და არა გეოგრაფიული პუნქტი.

ყარაღა 297, 298.
ყარაყურუმი, ყარაყორუმი 84, 117, 119, 128, 132, 134, 171, 319, 320.
ყარსი 215, 291, 294, 304—306 ნ. აგრ. კარი.
ყარსის ველი 305.
ყარსის ციხე 306 ნ. აგრ. კარის ციხე.
ყვარელის ციხე, ყუარინ 70.
ყვირილის ხეობა 306.
ყივჩაყეთი 7, 10, 83, 181, 185.
ყივჩაყეთის გზა 10.
ყიზ-ყალა (ციხე) ნ ხუნანი.
ყირიმი 288.
ყირიმის ზღვა (=შავი ზღვა) 275 ნ. აგრ. შავი ზღვა.
ყობაყის ქუეყანა ნ. ყუთაყისა ქუეყანა.
ყოველი ივერია 282.
ყოველი საქართველო 239, 240, 247.
ყუარინ ნ. ყვარელის ციხე.
ყუბის მაზრა (ბაქოს გუბერნიაში) 298.
ყუელის მთა 198, 201.
ყუთაყისა ქუეყანა, ყუბაყისა ქუეყანა, ყობაყის ქუეყანა 83, 84.

შ

შაბურანი (ქალაქი) 183, 184.
შაბურანის ველი 183.
შავი ზღვა 1, 208, 211, 275, 309 ნ. აგრ. ყირიმის ზღვა.
შავი მთა (მდებარეობს ანტიოქიის მახლობლად) 314.
შავშეთი 166, 200, 256, 283.
შავშური წყალი 200.
შამახია 176, 183, 184, 214.
შამახიის მთა 123.
შამი (ასურეთი) 42, 67, 121, 153, 229 ნ. აგრ. ასურეთი.
შანქორი, შანქური 4, 60, 69, 92, 93, 97 315.
შარვანი 20.
შარურ-დარალაგიოზის თემი 213.
შატბერდის მონასტერი 173.
შაქი (ქალ. შირვანში) 8, 65, 289, 292, 294, 297, 298.
შაქის მთიულეთი 298.
შექანი (ციხე) 70.
შინდარა 165 — 167 ნ. აგრ. გორის შინდარა.
«შიბირ»-ის ქვეყანა 83.
შიომღვიმის მონასტერი 135, 307.
შირაკავანი 139.
შირვანი 9, 12, 13, 33, 38, 40, 41, 65, 183, 188, 213, 214, 288, 289.
შირვანის დარუბანდი 10.
შოლა 164.
შორაპნის ციხე 309.
შუამდინარე, შუამდინარეთი 27, 121, 158, 159.
შუშის თემი 213, 298.

ჩ

ჩალანუსური ნ. თეთრი წყალი.
ჩაღანმურანი ნ. თეთრი წყალი.
ჩაღანუსუნი ნ. თეთრი წყალი.
ჩინეთი 74, 243, 307.
ჩინ-მაჩინი 84.
ჩორმაღონი 98.
ჩრდილოეთის ულუსი 188, 255, 288, 298.
ჩრდილოეთ კავკასია 194, 257 ნ აგრ. კავკასია.
ჩრდილოეთ სპარსეთი 1.
ჩრდილო თიანეთი 251.
ჩრდილო მთიანეთი 254.

ც

ცივი (მთა) 269.
ცისკარე (მთა) 251.
ციხისჯვარი 167.
ცხაოტი, ცხავატი 250, 270.
ცხრაზმის ხევი 253, 270.

ძ

ძაგეძორი 154.
ძეგლი («დადგეს მთისა მის ძორსა, რომელსა ეწოდების ძეგლი») 200.
ძელის ხიდი (თბილისშია) 53.

ᲗᲐ

თმიდანი ადგილნი 277.

ᲰᲐ

ჰანეთი 68, 256, 278, 309 ნ. აგრ. ლაზიკა.
ჰელე (ციხე) 49.
ჰყონდიდი 114.

Ხ

ხადა, კადა 251, 270.
ხაზარეთი 83.
ხაზარეთის ველი 224.
ხალდია 283.
ხალიბთა ქვეყანა 256.
ხატაეთი, ხატავეთი 84, 128, 307.
ხაჩენის ციხე 66.
ხერკი 249.
ხვარაზმი 307.
ხვარასანი, ხორასანი, ხუარასანი 9, 219, 222, 223, 229, 247, 289.
ხილხალი 288.
ხლათი (ქალაქი) 5, 20, 39, 59, 61—63, 65, 70, 71, 73, 111, 121, 215.
ხორასანი, ხუარასანი ნ. ხვარასანი.
ხუედურეთი 285.
ხუნანი, მტკვრის ციხე, ყიზ-ყალა.
ხუნანის ველი 8, 16.
ხუჯბადინი 16.

Კ

კადა, ხადა 251, 270.
კადის თავი 221.

Ჯ

ჯავახეთი 60, 100, 123, 125, 155, 159, 167, 180, 181, 203, 216, 304.
ჯავახეთის მთები 206, 208.
ჯეონი 41.
ჯვარის მონასტერი (სინას მთაზე) 73, 276.
ჯიქეფონი 150.
ჯნალი («თეგუთარ... ივლტოდა... მთასა ლადოსასა, ჯნალის თავსა») 201.

Ჰ

ჰაბანდის სანახები 154.
ჰამადანი 10.
ჰემსი ნ. ამასია.
ჰერეთი, ერეთი 6, 14, 15, 97, 123, 181, 188, 196, 216, 313.
ჰირკანიის ზღვა 309.

რედაქტორი სიმ. ჟაუსჩიშვილი

კორექტორი პ. ლაბარტყავა

გადაეცა წარმოებას
24/V 49 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII 49.
ტირაჟი 5000. უე 06443. სასტ.
თაბახი 22½. სააღრიცხვო-საგამომცემლო — 27,875. ანაწყ. ზომა 7×11.
გამომცემლობის შეკვეთა № 30.
სტამბის შეკვეთა № 180.

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა
სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწ.
უნივერსიტეტის
გამ. სტამბაში,
მარის ქ., 1.

Ѳ560 14 355.

1-40

580/5

ив. ДЖАВАХИШВИЛИ

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО НАРОДА

Кн. II

(на грузинском языке)

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО
ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА
ТБИЛИСИ — 1949